

თქ 8760
2

თუღო სწხოუიწ

მთგზწურობწნი

გუწიწ
წჭწწწ
სწმუწზწყწწწ
წფწწწეწი

სწხელგწმი
თბილისი
1950

91(47,922)

თ. სახმობო

მ.ს. 2013-3520

თ. K8760
2

მ.ს. სახმობო

სახმობო
თ.ს. 1950

რედაქტორი გ. ჩიტაია
ტექ. რედაქტორი ვ. იარალაფი
გამომშვები ხ. პაპუკაშვილი
კორექტორი ა. მუხნარჯია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. IX. 50 წ. ანაწყოების ზომა 6,5×10,5. ქალაქის
ზომა 60×92. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 20,25. შვკ. № 1809. ტირაჟი 5000. უ003469

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული ინდუსტრიის
გამომცემლობისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 управления по делам полиграфической промышленности,
взаимосвязи и книжной торговли при Совете Министров Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

რედაქტორისაბაზი

წინამდებარე წიგნი „მოგზაურობანი“ ეკუთვნის მხცოვანი ეთნოგრაფის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას კალამს.

თ. სახოკია ქართველ ეთნოგრაფთა იმ წრის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც მოღვაწეობა ილია ქაჯკავაძის თაოსნობით დაიწყო ჯერ კიდევ წარსული საუკუნის 80—90-იან წლებში და რომელმაც თავისი უანგარო და თავდადებული შრომით ქართულ ეთნოგრაფიას დიდი სამსახური გაუწია.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში ისპობოდა ფეოდალური გაღმონაშთები, ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, იქმნებოდა ეროვნული ბაზარი, ბურჟუაზია და საწარმოო პროლეტარიატი, მიმდინარეობდა მტრების მიერ მიტაცებული მიწაწყლოს დედა-სამშობლოსთან შემოერთება. ამ დროს ქართველი ხალხის ნაციად ჩამოყალიბება ხდებოდა.

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდში ქართულ ეთნოგრაფიასაც შეჰქონდა თავისი წვლილი და შეძლების-და გვარად ემსახურებოდა თავის დროის საჭიროებებს.

თ. სახოკია თავისი დროისათვის კარგად მომზადებული, გამჭრიახი და გონებათმხვილი მკვლევარი-ეთნოგრაფია. მას დაწერილი და დაბეჭდილი აქვს არა ერთი და ორი ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. ამასთან ერთად თ. სახოკია ეთნოგრაფიული კოლექციების შესანიშნავი შემგროვებელია. მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული საკოლექციო კომპლექსები სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული, სახელდობრ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (თბილისი), რუსეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ლენინგრადი), საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების მუზეუმში (პარიზი) და სხვ. თ. სახოკიას არაერთგზის მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ეთნოგრაფიულ ყრილობებში.

თავის ეთნოგრაფიულ ნაწერებში თ. სახოკია მოვლენებს და ფაქტებს აღწერს საკმარისი სისრულით. თითქმის ყოველმხრივ და შედარებით ზუსტად. ამის გამო და იმიტომაც, რომ ეთნოგრაფიული სინამდვილე ავტორის მიერ ფიქსირებულია დროის გარკვეულ მონაკვეთზე, აღწერილ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მკვლევარს აქვს შესაძლებლობა გარკვეული დროისათვის ფიქსირებული მასალა შეადაროს შემდეგ ხანებში მოცემულ ფაქტებს, ისევე როგორც წინა პერიოდის მოვლენებს და ამ გზით

მოვლენის არსი, მისი წარმოშობის პირობები, მისი განვითარება, მისი „მოდრაობა“ გაარკვიოს.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ თ. სახოკიას მიერ შეგროვებული მასალა საესეებით აკმაყოფილებს თანამედროვე საბჭოური ეთნოგრაფიის მკაცრ მოთხოვნილებებს, სახელდობრ, ეთნოგრაფიული ფაქტის ცოცხალ სინამდვილეში დადგენის კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდს. მაგრამ ამისდა მიუხედავად, თ. სახოკიას ეთნოგრაფიულ ნაწერებში უხვადაა მოცემული საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილის ამსახველი მასალა და ამავე დროს რიგი მეცნიერული ღირებულების მქონე საკითხი სწორადაა დასმული და სათანადოდ გადაწყვეტილი.

არსებითად ამავე ხასიათისაა ამ წიგნში გოთაეზული ნაწერებიც. მიუხედავად იმისა, რომ ფორმით ჩვენ საქმე აქვს მგზავრის წერილებთან, ავტორი მგზავრის შთაბეჭდილებათა გადმოცემის გზით ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეს ასახავს. თ. სახოკია ვრცლად გადმოგვცემს გურიის, აჭარის, სამურზაყანოსა და აფხაზეთის მოსახლეობის საწარმოო გამოცდილებას, შრომით ჩვევებს და კულტურულ ვითარებას. კერძოდ, მას აწერილი აქვს ამ ტომების მიწისმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ჩაცმულობა, გადასაზიდი და გადასაყვანი საშუალებები, ყოფაქცევა, ზნეჩვეულება, ხალხური სიტყვიერება და სხვა, რომლებშიც მოცემულია ბევრი ახალი, მანამდე ლიტერატურაში უცნობი ეთნოგრაფიული ფაქტი და თავისებურება. თ. სახოკიას მიერ აღწერილი ეთნოგრაფიული ფაქტები და მოვლენები მკვლევარს აძლევს საშუალებას ახლებურად გაარკვიოს ღღემდე უმართებულოდ გადაწყვეტილი რიგი საკითხი.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ერთ-ორ მაგალითს მოვიყვანთ.

პირველი მაგალითი. ავტორს საკმაო სიზუსტით აქვს აღწერილი გურული ჩამური, მისი მუშაობის პროცესი და დამზადების ტექნიკა. ეს აღწერილობა მდიდარ მასალას შეიცავს ამ კომპლექსური იარაღის წარმოშობის საკითხის გადასაჭრელად.

ბურჯეთაზიულ სამეცნიერო ლიტერატურაში თავისი წარმოშობით ეს იარაღი დასავლეთ-ევროპის კულტურულ წრეს განეკუთვნება და ინდო-ევროპული ჩამომავლობის ხალხთა მონაპოვრად არის მიჩნეული. ამავე თეორიის თანახმად ჩამური დასავლეთ ევროპიდან, კავკასიაზე გავლით, შორეულ აღმოსავლეთში გავრცელდა; საქართველოსა და კავკასიაში ის გარედან შემოტანილი, სესხების გზით მიღებული იარაღია (E. Meynen). ამემად, როდესაც ქართული და კავკასიური ჩამურები შესწავლილია, ირკვევა, რომ საქართველო და კავკასია ჩამურის წარმოშობის საკითხში გვევლინებიან არა როგორც გადამცემი რგოლი დასავლეთისა და აღმოსავლეთის შორის, არამედ როგორც დამოუკიდებელი კულტურის კერა, სადაც ეს კომპლექსური იარაღი წარმოიშვა და აქედან სხვა ქვეყნებში გავრცელდა.

მეორე მაგალითი. ისევე დეტალურად და სისრულით თ. სახოკიას აღწერილი აქვს დასავლეთ საქართველოს შუაეცეხლიან სახლთან დაკავშირებული კერა და მისი შემადგენელი ნაწილები. კერძოდ, აღწერილია ასაყრები, ოჯინჯალი, სხენი; თავანი და მათი ნაირსახეობანი. ამ მეტად მდიდარი მასალის გვერდით ღარიბად გამოიქვიჩება თურქული სახლის თავანების აღწერილობა. ამისდა მიუხედავად ბურჯუაზიული მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თავანის კონსტრუქციის შემქმნელები თურქები არიან (Fr. Nopcsa). ეს მკვლევარები ანგარიშს არ უწყვეთ იმ უდავო ვითარებას, რომ ტერმინი თავანი თურქული ტომებიდან მხოლოდ ანატოლიელ თურქებს აქვთ, რომ შუა აზიის თურქული მოსახლეობა ამ ტერმინს არ იცნობს და რომ თურქული ენის მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია ამ ტერმინის ძირის ახსნა. სულ სხვა ვითარებაა ამ ტერმინთან დაკავშირებით ქართულში, სადაც, ერთის მხრით, თავანის კონსტრუქცია ნაირსახიბთაა მოცემული, დაწყებული სადა აღნაგობიდან, რთული კონსტრუქციით დამთავრებული (ზემო სვანეთის მასალა). მეორე მხრით, თავანს ქართული ეტიმოლოგია აქვს და ქართული ენის მონაცემების საფუძველზე სავსებით დაამკაყოფილებლად ირკვევა მისი აზრობრივი შინაარსი. ამის მიხედვით აშკარაა, რომ თავანი ანატოლიის თურქულში ქართულიდანაა შესული და არა პირუკუ, როგორც ამას ბურჯუაზიული მეცნიერები ცდილობენ დაამტკიცონ.

თ. სახოკიას წილად ხვდა აქარის ეთნოგრაფიული სინამდვილე შესწავლა იმ დროს, როდესაც ამ მხარეში ახლად გადავარდნილი იყო თურქეთის ბარბაროსული ბატონობა და ამით მიყენებული ქრილობა აქარას ჯერ კიდევ მოშუშებული არ ჰქონდა. თურქეთის მხეცური თარეშის ნაკვალევზე ავტორი გულდასმით იკვლევს აქარელების ეკონომიურ მდგომარეობას, მათ კულტურულ ვითარებას და ახალი ცხოვრების ზეალმაგლობისა და წინსვლის ფაქტებს აფიქსირებს. ამჟამად ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორი თავგანწირვით იბრძოდა და რამდენი სისხლი დაღვრა ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის ჯართან ერთად აქარისა და შავშეთ-კლარჯეთის თურქეთის კლანჭებისაგან განსათავისუფლებლად. ამას, სხვათა შორის, კარგად მოწმობენ ომის დროს (1877—78 წ. წ.) დახოცილ ქართველ მეთმართა დღემდე აქა-იქ დაცული საფლავეები და საფლავის ქვების წარწერები.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ამ წიგნში მოცემული ეთნოგრაფიული სინამდვილის აღწერილობა გააქვნილია პუბლიცისტური ელემენტებით. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ დროის საკირობოროტო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე, ამხელს თავად-აზნაურობისა და სამღვდლოების უმსგავსო მოქმედებებს, ამჟღავნებს მოხელეების უკანონო საქციელს და თარეშს, ებრძვის ცარიზმის რუსიფიკატორულსა და კოლონიზატორულ პოლიტიკას და მთელი თავისი არსებით ჩაგრულთა მხარეზეა. ამ ნიადაგზე თ. სახოკიას მეფის მთაწრობა დევნიდა, ის არა ერთგზის იყო დაპატიმრებული და გოდასახლებული. მეფის მოხელეებისა, ენადარმებისა და ჯაშუშების თ. სა-

ხოკიას წინააღმდეგ მოქმედების შემადგენელი სურათის კარგად ასახავს ერთი ღღემდე გამოუქვეყნებელი საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც შედგენილია კავკასიის ოლქის მთავარმართებლის სამხედრო-სახალხო მმართველობის კანცელარიის მეორე განყოფილების მიერ 1904 წ. 15—20 მარტს ამ დოკუმენტს ეწოდება: „Дело об исследовании политической благонадежности, проживающих в Сухумском округе Федота Тимофеева, Сахокия, Антимоза Ивановича Джугели...“, являющихся главными представителями грузинской партии, против действующей мероприятия правительства по обрусению населения округа и принятию против них административных мер воздействия“.

ამ წიგნის პუბლიცისტურ ნაწილში ავტორი გვევლინება როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროზე. მას ახარებს ხალხში შეგნების ვალდებულება, ცოდნის დანერგვა, ბიბლიოთეკების დაარსება, ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, სკოლების ქსელის გაფართოება და ყურადღების გარეშე რჩება იმ დროინდელ საქართველოში ანტაგონისტურ კლასთა შორის წარმოებულ ბრძოლა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზუსტებასა და შესწორებას საჭიროებენ ავტორის ისტორიული ექსკურსები და ეტიმოლოგიური ძიებანი.

მთლიანად „მოგზაურობანი“ დიდი ინტერესით იკითხება, რასაც ხელს უწყობს ავტორის მდიდარი ენა და მისი თხრობის შესანიშნავი ოსტატობა. ამავე დროს „მოგზაურობანი“ ის წყაროა, რომელიც საქართველოს განაპირა მხარეების მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ვითარების შესახებ მკითხველის ცოდნას აზღვირებს და აღრმავებს.

მგზავრის წერილები და მგზავრის შენიშვნები, რომლებიც ამ წიგნშია შესული, თ. სახოკიას მიერ დაწერილია მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე. იმ ხანებში ავტორმა იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დავალებით იმოგზაურა გურიასა, აჭარასა, სამურზაყანოსა და აფხაზეთში. ავტორმა თავის მოგზაურობის შთაბეჭდილებები ცალკე წერილების სახით გამოაქვეყნა სხვადასხვა დროს იმავე ხანის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ეს წერილები, გაბნეული ჟურნალ-გაზეთებში და ამდენად ძნელად ხელმისაწვდომი, ამჟამად ერთ წიგნშია თავმოყრილი, რაც, ვიმედოვნებთ, მკითხველს საზოგადოებას და მეცნიერ მკვლევართ ამ წერილების გაცნობასა და გამოყენებას გაუადვილებს.

ამ წიგნში შესული ნაწერებიდან: „სამურზაყანო“ დაბეჭდილი იყო ჟურნალში „მოამბე“ 1896 წ., №№ 1 და 6; „გურია“—ჟურნ. „მოამბე“ 1897 წ., №№ 4 და 10 და 1898 წ. №№ 1, 2, 4 და 6; „აჭარა“—ჟურნ. „მოამბე“ 1898 წ., № 4 და 10, 1900 წ., № 1 და 1901 წ., №№ 1, 3, 5, 7, 8, 9, 10; ხოლო „აფხაზეთი“—გაზეთში „ცნობის ფურცელი“ 1903 წ., №№ 2309, 2343, 2349, 2356, 2367 და 1904 წ., №№ 2386 და 2456. აქ ამ წიგნში მოთავსებული ნაწერები დაბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ტექსტების მიხედვით, თითქმის უცვლელად. შესწორებულია აშკარა კორექტურული შეცდომები. ავტორის მიერ მოთხოვნილი ლიტერატურა და მოტანილი ციტატები, მცირე გამოწაკლის გარდა, რედაქტორის მიერ დედნებთან შეჯერებული არ არის.

გ. ჩიტაია

წინასიტყვაობის მაგიერი.—მარშრუტი: ნატანებ-ოზურგეთის გზა.
 —თანამგზავრის გაცნობა—„წყუფულიმც იყავ, ბათუმის ქალაქი!“
 პური თუ ღომი?—დგაბზუფელი მეომრის თავგადასავალი.

ზაფხულში, როცა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი ერთ მთლიან გახურებულ თონეს წარმოადგენს, როცა ადამიანი აქ სასუნთქავ ჰაერს ამაოდ დაეძებს, ამ დროს აქედან გასვლას, ნეტავ, თუ რამე სჯობს! მით უფრო ბედნიერად სთვლის ადამიანი თავის-თავს, თუ წინ გზაც უდევს, მოელხს უნახავი ადგილების ჰერეცა, პირისპირ ყოფნა უმანკო ბუნებასთან.

ამგვარ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა 1897 წლის ზაფხულს ამ სტრიქონების დამწერიც. დიახ, ბედნიერთა გუნდს! მოელოდა ნახვა გურიისა, გურულებისა, რომლებიც საფუძვლიანად ამაყობენ თავისი კოხტა გურიითი, სწავლა-განათლებით დაწინაურებულ გურიითი, რომელზედაც ჩვენს გაზეთებში თითქმის ყოველ-დღე ვკითხულობთ რაიმე სანუგეშოს, წინსვლის მომასწავებელს. მომელოდა ნახვა გურულებისა, რომელთაც სილამაზით, სიცქეიტით და სხვა სანაქებო თვისებით თითქოს განსაკუთრებული და თან საპატიო ადგილი უჭირავთ ქართველებში. ბევრი რამ გამოიგონია მათი უპირატესობის აღმნიშვნელი, მაგრამ, თქვენც დამეთანხმებით, გაგონება, სხვისი პირიდან მოსმენა სულ სხვაა, და საკუთარი თვალით, პირისპირ ნახვა—სულ სხვა გახლავთ.

ამგვარად, ეს ჩემი საზაფხულო მარშრუტი შემდეგი გახლდათ: ჯერ უნდა მენახა გურია, იქაური მკვიდრნი, ბუნება, უფრო ტიპიური სოფლები. აქედან უნდა ავსულიყავ გურიის ახლად აღმოჩენილ საავარაკო ადგილებზე,— ბახმაროს მთაზე; ხოლო ბახმაროდან გზა განმეგრძო აქარისაკენ, რომელსაც თავიდან უნდა დავყოლოდი და ბოლომდე გადამეთელა. პირველად გურიის დედაქალაქ ოზურგეთისათვის უნდა დამეკრა თავი.

ოზურგეთში მიმავალი მგზავრი რკინიგზის სადგურ ნატანებში უნდა ჩამოხტეს. აქ მოგზაურთ ელოდება ორი დილიქანი: ერთი მოლოკნებისა, რომლებსაც იჯარით აქვე აღებული ოზურგეთსა და ნატანებს შუა ფოსტის ტარება, და მეორე—„გურულ მეეტლეთა ამხანაგობისა“, ანუ,

როგორც ამას სიმოკლისათვის ეძახიან,—„კამპანიისა“. ამ ორ დილიჯანს გარდა აქვე მოუშტარს უცდის სამი-ოთხი ეტლი, ზოგი ზემოდასახელებული „კამპანიისა“ და ზოგიც კერძო მესაკუთრეთა. ხანდახან იმდენი მგზავრი მოიყრის თავს ნატანებში, რომ ვერც დილიჯნებსა და ვეღარც ეტლებში ჩასაჯდომ ადგილს ვერა შოულობენ. ამიტომ, გაჩერებასაც არ აცლიან მატარებელს, ყველა ფაცა-ფუცით გამალებული მირბის სადგურის აღმოსავლეთის მხარისაკენ, სადაც მეეტლეები მგზავრთ უცდიან წასაყვანად. თანამგზავრები ხომ მგზავრს ვაგონებშივე აფრთხილებენ ამის შესახებ. მეც სხვის ფეხის ხმას აყვევი, შეიქნა სირბილი, გესმით სიტყვის ნაწყვეტები, დაუსრულებელი ფრაზები... კი ვერ გააჩვენო, ვინ რას ამბობს. ამას-ღა ხედავთ, რომ ყველა ბარგს ჩაჭფრენია და შურდულივით მირბის ეტლებისაკენ. ვაი თქვენი ბრალი, თუ მეზობელს სიმარდეში ჩამორჩით!

აჰა, თავისუფლადაც აპოისუნთქეთ. არხეინად ზიხართ ეტლში. რადა ღირს ის რწმუნება, რომ ამ შუალამისას აქ არ დარჩებით და არ გამოცდით იმ უსიამოვნებას, რომელიც უეჭველად თანა სდევს ისეთ ადგილებს, სადაც მგზავრმა ღამე საეჭვო სისუფთავის დუქნებში და ათასნაირ მოდემისა და ნათესაობის მწერთა საზოგადოებაში უნდა გაათიოს...

ეტლში ოთხნი ვისხედით: ორი უკან და ორიც წინ, სკამზე. უკან თავისუფლად ჯდომისათვის მეეტლე, ერთხელვე შემოღებულ ნიხრის თანახმად, მგზავრთ ათ-ათ შაურს ახდევინებს, ხოლო წინა სკამზე მჯდომთ— ორ-ორ აბაზს. კოფოზე იმდენი ხურჯინები, ჩემოდნები, ბოხჩები და სხვა რაგინდარა მოგროვდა, რომ ადგილი აღარ დარჩა, მეეტლეს ფეხები ჩადგა. ავად თუ კარგად ისიც მოეწყო, მარდად გადაუტყლაშუნა ცხენებს, დაუწროუწუნა, ერთი უცხო ენაზედაც შემოსძახა წასაქებელი სიტყვები (ალბათ, ქართულად ემძიმებოდა გასაჯავრებელი სიტყვების წარმოთქმა) და, ჰერი გიდი!... გასწია გზა-ტყეცილზე. გავიარეთ ხის დუქნები, იქვე ორ-რიგად ჩამწყკრივებულნი; ლიფლიფების სინათლე თვალთაგან მოგვეფარა და თავი შევყავით დაბურულ ტყეში, რომელზედაც თეთრ ზოლად მიიკლაკნებოდა ჩვენი გზა.

გზაში სიციხისაგან დატანჯულებს ტყის სიგრილემ შეება მოგვცა. ჯერ წვიმას ეპირებოდა, მაგრამ თანდათან ღრუბლებმაც გადაიყარა და მთვარემ კეკლუცად შემოგვაშუქა დავერცხლილი სხივები. გარშემო სრული სიჩუმე იყო გამეფებული. ამ საოცნებო მყუდროებას ჩვენი ეტლის ხმა-ღა არღვევდა, ხან ქარავანი შემოგვხედებოდა სიმინდით დატვირთულ ურმებისა, რომლებიც შეკვეთილში მიედინებოდა. ურმები აქ პატარები იციან, თან თვლებიც ერთიანია, სქელი ფიცრისაგან გაკეთებული. უღელში, უეჭველად, ხარები უნდა ებას და მარდად მიჰქონდეს ტვირთი-კამეჩი, ურემში შებმული, აქ იშვიათად შემხვედრია. ისიც, თუ შეაბამენ, ქართლურ ურემს უნდა შეაბან. კამეჩი, როგორც დარბაისელი პირ.

უტყვი, აჩქარებას ერიდება. გურულის ხასიათს უფრო ხარი შეეფერება, მის გემოზე ხარი-ლა ივლის. შარა-გზა, რომელზედაც ჩვენ მივდივართ, მეტად ვიწროა, ორი ურემი თავისუფლად გზას ვერ აუქცევს ერთმანეთს; ერთი მათგანი უქვევლად განზე უნდა გადავიდეს, თხრილისავენ. ასეთ დროს ურემის გადაბრუნება ხშირი მოვლენაა.

სოფლები არა ჩანს, მთელი 10—12 კილომეტრის მანძილს ისე გავი-ლის კაცი, ორ-სამგან თუ შეხვდება გზის პირად გადმომდგარ სახლებს. უმეტესი ნაწილი გზის იქით-აქეთ ედებარე ადგილებსა ან დაბურულ ტყეს უჭირავს, სადაც წითელი ყველა სხვა ხეებსა სჭარბობს, ანდა, სადაც ტყე გაკაფულია, მთელი ზღვაა სიმინდის ყანებისა. წყალი ყველ-გან უხვადია, ან უკეთ, ქარბადაცაა. გვალვა ამ ადგილას ქირნახულს წარბსაც ვერ შეახრვეინებს, ის კი არა, უფრო რგებს კიდეცა, მოჭარბე-ბულ სინესტეს ამორებს.

გარშემო გამეფებული მყუდროების დარღვევას ვერაფერ ვბედავდით, წინ გვიჯდა ერთი თავით-ფესებამდე იარაღში ჩამჯდარი თეთრწვერა, ასე 60 წლის მოხუცი. ზედ ესხა: ხმალი, ვერცხლით მოჭედირი, მაჭახე-ლა, სატყვარი, რევოლვერი, ზამბულაკი და ზარბაზანი-ლა აკლდა. მკერდს სხვადასხვა ჯვრები უფარავდა. აქ ნახავდით წმ. გიორგის ჯვარს, ვერცხლის მედლებს, ზოგს „მამაცობისათვის“, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის დროს მიღებულს, ზოგს „ერთგულებისათვის“ და, ვინ იცის, კიდევ რისთვის. ვერ მოითმინა ამდენ ხანს ჩუმიად ჯდომა და პირველად ამან დაარღვია ჩვენი დუმილი. მართალია, უცნობი ვიყავით, მაგრამ გზა-ში გაცნობა თანამგზავრისა ხომ ადვილი საქმე გახლავთ: !საერთო ინ-ტერესი ბევრია ხოლმე მოგზაურთ შორის! ჯერ ყველას სათითაოდ, ჩვეუ-ლებრივ, საითმიმავლობა გვკითხა. ამ წინასიტყვაობით ცოტა გამხნედა, ენა აამოძრავა. სანამ ჩვენ რასმე ვკითხავდით, თვითონ დაიწყო თავისი თავგადასავალი. პირველად, რაც შეიძლებოდა, ზრდილობიანად, შეუკურ-თხა ბათუმს, სადაც, მისი აზრით, ზაფხულობით კაცს არ ედგომება და ისიც ავადმყოფსა იქაურ საავადმყოფოში. ეტყობოდა, ძალიან უკმაყო-ფილო უნდა ყოფილიყო ამ ქალაქით.

— ეს თვე-ნახევარია, იმ დასაწყევ ქალაქის საავადმყოფოში ვიყავ, — განაგრძო მოხუცმა, — მართალია, იმის უფლება მაქვს, მუქთად მარჩი-ნონ, საქმელ-სასმელიც სახელმწიფო მიძღვევა, მაგრამ, რათ გინდა, პურ-მა და იმათმა სუფმა მომკლა, ბატონო! რამდენჯერ ვინატრე, სად არის ჩემი დებაზუ (სამშობლო სოფელი), კაკლის ძირას მწვანე, ზედ გაშლი-ლი სუფრა, ჩხავრის ღვინო, საწებელიანი ქათამი და ღომი-მეთქი! მა-რა ვინდა მიგდო ყური! გინდა თუ არა, ჭამე პური და სუფი ამ სიცხე-ში!.. ხეფსი არ ჩადიოდა პირში... ოჯო, ერთი-არ მკითხეს: რა გეხალისება, დავით, რა საქმელი უფრო გიყვარსო? დედავ! გავკუჭდი, მარა რაფა გავ-კუჭდი!.. ვაი ჩემს დღეს-თქვა! როცა ახალგაზრდა ვიყავი, ჯან-ღონით

საესე, როცა მკლავში ღონე მერჩოდა და მტრის მოკვლა შემეძლო, ქე მეფერებოდნენ, „მალადეც“, დავითო, მაჯილდოვებდნენ, უფროსი თავის ხელით ჩამოქიდებდა გულზე ჯვარს თუ მენდალს,—ახლა? ნუ მკითხავთ, ნუ! მოხუცდი, დაბერდიო, უქნარი ხარ, შენი თავი ვის რათ უნდაო! გევიგე ჩემი სიაბღლე, მარა რაღა დროს! ჰო-და, ვერ გოუძელი, ძმაო, ვერა. ახლა, ეს არის, გამუეჭეცი და ბათუმს ქვა და გუნდა მივაყარე. არ ვემართლებოდი თუ? თუ მიწერია სიკეტილი, ისეც ისე ჩემ დებაბუში მოვუტე, და ჩემმა მეზობლებმა დამიტრონ-თქვა.“

მკითხველი ახლა მიხვედრილი იქნება დავითის „აედმყოფობის“ მიზეზს. რამდენჯერმე დაიკრუსუნა: „ქრილობებისაგან“, რა ვიცი, რა არ გამიჩნდა! ძვალს მტებს და საშველი კი ვეფერი მოუხერხე. ჩემს ტერს ასეთი მოხუცებულობა ნუ მიცეს ღმერთმა! მირჩენია აფერი მებადოს: არც სახლი, არც კარი, არც მამული, ოღონდ აფერი მტკიოდეს. ყოლიფერს იშოვის, ისესხებს, იყიდის კაცი, სიმთელეს კი ვერა. 15 წლისა ვიყავი, ჯერ ისეც უწვერ-ულვაშო ბაღანა, სხვებმა მეც წამიტანეს საომრად, ჩერქეზები უნდა გაეწყვიტოთო! ხუთმეტი წლის ბაღანა კაცის კვლას დამაჩვიეს, ყანას, სახ-კარს, სოფლის მყუდრო ცხოვრებას შეჩვეულს მიძნელდებოდა ომში წასვლა, არ მიედიოდი. მარა ხმა გაეარდა, ვისაც ბიჭობის გამოჩენა, ვისაც ჯვარის მიღება უნდა, ჩერქეზეთში წავიდეთო. ქე აყევი სხვის ფეხის ხმას, დიდებს მეც წახედე და ამ წახედულობამ ქეც წამწყმინდა.

ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ, ისეთ ადგილებზე გავიარეთ. ახლავის მუაგონდება, გზაში რა წვალება ჩვენ გამევიარეთ, რავე ვჯახირობდით!... შინ რომ დაებრუნდებოდით, ყოლიფერი გვაიწყდებოდა. ბევრჯელ გეინატრია გამხმარი მქადის ყუა, ბევრჯელ წყურვილით ვიუყუებოდით, წვიმა ზედ დაგვიდოდა და საცოდავად გეწუწავდა, სცივე ლურსმანსავეთ გვატანდა ტანში. მარა რას მიქვიან გაკირვება ახალგაზრდობაში!... ის ახრი, რომ, შეიძლება, წმ. გიორგის ჯვრის კვალერი გამხდარეყავით, გემხნევებდა, გვაიწყებდა ყოველსავე გაქირვებას. პირველი თოდის წამლის კვამლის სუნი მომხვდა!... მწარე იყო... პირველად არ მინდოდა კაცის მოკვლა. მაგრამ როცა ჩემს გვერდით ჩემი მეზობლები, დარჩეული ბიჭები ჩაიკეცნენ, ვსთქვი, ახლა ჩემი რიგია-მეთქი, და გულმა სხვანაირად დამიწყო ცემა. მეც გევიმეტე სასიკეტილოდ მტერი!... ხოლო როცა ერთის თავი ტანს მოვაშორე და სისხლით, კაცის სისხლით, ხელი შევიღებე, მერე წვიდა და წვიდა, სუმთელი!... რა ადამიანი მომეკლა და რა წიწილი, ჩემთვის სულ ერთი იყო. როგორც წიწილის მოკვლის დროს არ ამიკანკალდებოდა ხელი, ისე ადამიანის მოკვლის დროსაც საქმე დაწყება იყო, შეჩვევა, პირველ შიშისგან თავის განთავისუფლება. გარდავიხადე ერთი ომი. ცოტათი დამკოდეს და ჯვარიც მომცეს: უფროსმა თავის ხელით დამკიდა გულზე. პირველი ერთი კვირა იმის

ცქერის მეტი აფერი-გამიკეთებია. ვატრულებდი ათასფრად ხელში, ხან რას ვუშინჯავდი და ხან რას! ჯერ ვისაც არ მიეღოთ, შურდათ! კრი-
ლობა მალე მომიჩრა. საშინლად მეჩქარებოდა გურიაში წამოსვლა. რის-
თვის? განა იმისთვის, რომ ჩემიანები მენახა,—ჯვარი ვაჩვენებ ყველას,
თავს მოვიწონებ-მეთქი. გულადი მეომრის სახელი გავითქვი მთელ გურია-
ში. ყველგან ჩემზე ლაპარაკობდნენ: ტირილში, ქორწილში თუ სხვაგან—
პირში თუ პირს უკან ყველა მე მაქებდა. ზოგს უხაროდა ჩემი „დაწინა-
ურება“ და სულითა და გულით მილოცავდნენ, „ეს ერთი და სხვა მრავალიო!“—მეუბნებოდნენ. მაგრამ ტრებს კი თვალგზი ეფსებოდათ შურით..
უჯვროდ მეზობლისას არ გედვიარდი. ქამა-სმის დროს სულ ზედ მეკიდა..
ლოგინში არ შეიძლებოდა, თვარა ძილის დროსაც დევიკიდებდი. ახლან-
დელ ყმაწვილს სიცილადაც არ ყოფნის ჯვარი, მაშინ სხვა დრო იყო.
ნამეტურ ქალებს მოსწონდათ. სარკეში რომ ჩევიხედავდი, პირველად
ჯვარს დავხედავდი, ხომ კარგად მკილია-მეთქი, გადმობრუნებული ხომ
არ არის-მეთქი. უღვაშებს რო გვეიწკიპინებდი, დღეობაში გვეიდოდი
და სოფლის ლამაზ ციციფს რო გადავხედავდი აღერსიანად!... ყველა
მკითხავდა: როდის, რაფერ მოგცესო? მეც თავიდან მუუყვებოდი ყოლი-
ფერს: ჩერქებს რომ თავი მოვქარი და უფროსს მივართვი, მერე თავის
ხელით რო დამკიდა გულზე ვერცხლის გაბზინებული ჯვარი და რო მითხ-
რა: „კოჩად დავითო!“... ჩემგამეტს სოფელში კიდევ ერთს ჰქონდა ჯვა-
რი, მშურდა, არ მემეტებოდა სხვისთვის. შორიდანვე შევამჩნევი ჯვარიან
კაცს; ხან სხვადასხვა სოფლებში იმიზა წვეილოდი, რომ დემთევალა, ვის-
და ვის უშოვია ჯვარი-მეთქი... მაგრამ ეჰ, რომელი ერთი სიაბღლე გიამ-
ბოთ!..

„შემდეგში, რავარც კი ხმა გავარდებოდა, „ვაინობააო“, ყველაზე წინ
მე მივიდოდი. თხოვნა არც კი მინდოდა; ყოველთვის მარაგად ვიყავი.
შეკაზმულ ცხენს გამოვიყვანდი, შევათამაშებდი კონდრიან ეხოში. ერთს
აღერსით მიმოვაფლებდი თვალს იქაურობას, იქნება უკანასკნელად გხედავ-
მეთქი, „მშვიდობითს“ ვეტყოდი ჩემიანებს, ლაფშას მათრახს შემო-
ვკრავდი და მისი ნალების სმა-ლა გაისმოდა შორიდან. ერთ „ვაინობაზე“
ზარბაზნის ყუმბარამ კაკალ ყურთან გამიზივლა, მერე ისე ღონივრად,
რომ იქვე დევცი და კარგა ხანს გონზე არ მოსულვარ. სიცოცხლე
შემჩრა, მარა ყურები კი დამეფსო. თუ ძალიან არ მიყვირეთ, ვეფერს-
ვერ გვეიგონებ. ბევრი ვეჯაკი დეიხოცა, ბევრ სოფელს დააკლტა სოფ-
ლის თვალი ყმაწვილები, მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, როლას ომია, თუ
კაცი არ მოკტება! ტყვია ბრმაა, არ არჩევს კარგს ცუდისაგან. რომელსაც
მოხვდება, უნდა გაიტანოს. მარა ეს კია, უფრო კარგები იხოცებიან-
ცუდი სიკვტილსაც მოსძულებია. აჭარლებისა და ქობულეთლების ხოც-
ვა ბარემ არ მინდოდა, ვიციოდი, ჩვენიანები იყვნენ, მარა რა მექნა,
ისინი თათრებს მოწინავე რაზმებში ყავდათ. გვესროდნენ და ჩვენც ვეს-
როდით; სული ტკბილია: რო არ გვესროლა, დავგხოცავდნენ. ბოლოს

კილო დამპრეს, მომცეს, რა თქმა უნდა, ჯვარი, მენდალი! ჩინი, პენციაც კი დამინიშნეს. ავად რო გავხდები, „კაზიონად“ მარჩენენ, საქმელი, სასმელი, სანამ არ მოვრჩები, სულ „კაზიონი“ მეძლევა, გროშ-კაპიკს არ მახთიებენ. მარა რეიზა მინდა ან ერთი და ან მეორე! სულ იმას ვიძახი: რა ყაზილარი ყოფილვარ! რა დამიშავეს სხევებმა, რო ვნოცავდი, ან მე ჩემს სიცოცხლეს ბეწვზედ რად ვკიდებდი?! მარა სად იყო, ბატონო, კუჟა! სხვებიც მე მგვანდნენ, ჩემსავით ფიქრადნენ, ჯვარისგამეტე აფერი ახსოვდათ, ერთი ჯვარიზა ხუთ კაცს წაჭირდნენ კისერს, დრო იყო იმისთანა. თუ არ ომით, არ გვეგონა, თავის სახელეება თუ შეიძლებოდა. შინ დარჩომა ქალთა წესიაო, ვამბობდით.

ახლა, ბატონო, როცა ორივე ყური დამეფსო და ქარებმა სული ამოშართო, ამ სიცხე-პაპანაქებაში იძულებული ვარ „ბალნიცაში“ ვიწვე და პური და სუფი ვჭამო!.. იმტელი სიკეთე, თქვენ არ დაგწყევლით და, მე შომცეს ღმერთმა, რამტელს ეხლა მე ვნანობდე და ჩემს სიბადლეზე კუჭი მომდიოდეს, მარა, რავაც მოგახსენეთ, რაღა დროს! დაქარგულ სიმრთელეს ეს ჯვარი ვერ დამიბრუნებს, პენციამაც ვეფერი ვერ მიშველა. ასე უნდა ვიკვნესო ჩემ სიცოცხლეში, სამარის კარამდე, სხვაც ვაწუხო და მეც ორი დღის სიცოცხლე გაუხარებლად უნდა მოეჭამო. ერთი, კაცმა შკითხოს, რა მსჯიდა? არ მერჩია, შინ ყოფილიყავ? მამული მაქს და დედული, ლეთის ბოძებული. რაც ჩემ სახჩი პურსა და ღვინოს მოვიწვეთ, ერთს ოჯახს კი არა, სამდა ოთხ ოჯახს არჩენს. დიახ, ასეთები ვიყავით ყველა ჯვარიანები, ვისაც დღეს გურიში დენინახავთ. ბევრი დეიხოცა მათში, მაგრამ 300-მდე. დღესაც ცოცხალია... კიდევ, მაღლობა ღმერთს, რომ ჩემით გათავდა ეს დრო, რომ ჩემს შვილებს მაინც სხვა უკეთესი დრო მოესწროთ, დრო მშვიდობითა და ადამიანურად ცხოვრებისა“.

დამაფიქრებელი იყო, ძველის, ათას ქარცეცხლში გატარებული გურული მეომრის ნაამბობი. გარნა სასიამოვნო და, თუ გნებავთ, სასუგეშოცა ის გახლავთ, რომ, მოხუცის თქმისა არ იყოს, ის დრო იყო და აწ აღარ იქნება, დრო შეცდომისა და თვალხუჭელა ცხოვრებისა. მართალია, დრო იყო გმირობისა იმ აზრით, რა აზრით გმირობა მაშინ ესმოდათ გურიაში, და გურულიცა ცდილობდა თავის საუკუნეს, როგორც საუკუნის შვილი, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას უკან არ ჩამორჩენოდა. ამიტომ, ისიც გმირობდა. გმირობდა უზომოდ; თოფი სულ მუდამ გატენილი დაჭკონდა, ხმალ-სატევარი—გალესილი; ხოცავდა სხვას და თვით თავის-თავს, მტრად დასახულს, აკლავდა. „ჯვარი“ მეფობდა მაშინ, „ჯვარს“ იქით ხსნა არ იყო, მისი აზრით, და ისიც ჯვარსა შოულობდა, სწორედ იმ ჯვარსა, რომელიც დღეს სასაცილოდ გამხდარა უფროსიერთ მაშინდელ მეომართათვის.

გურიანთის ციება.—გურია ფირალების დროს.—ფირალობის მაგიერი—ქურდობა.—ძველი ქალაქი პეტრა ანუ „უჩინარი“.—სად არის პეტრას ქალაქი?—ოზურგეთის ჩასვლა.—ლიტერატურა გურიის შესახებ.—ძველი და ახალი გურია: საზღვრები, რიცხვი მცხოვრებთა.—საიდან დაეუქვა ოზურგეთის მახრას „გურია“?—ძველი მწერლები.—ბატონიშვილი ვახუშტი.—სულხან-საბა ორბელიანი.—დიუზუა დე მონპერე.—მარი ბროსე.—ქობულეთური ლეგენდა. გურია—გული საქართველოსი.

მერიას მივატანეთ, მე-7 თუ მე-8 კილომეტრია ნატანებიდან. გზის პირას გურულს დუქანი გაუღია (უნდა აღვნიშნოთ, რომ აქეთკენ დუქნები გარდა გურულებისა, სხვას არავის აქვს). შიგ ზიზია თავითიდან და ადგილობრივად მოქსოვილ შალის წინდებიდან მოყოლებული ყოველგვარ საწვრილმანო სავაქრა: ცოტ-ცოტა. მეეტლემ ცხენები ხუთი წუთით შეასვენა. აქვე წამოგვეწვიენ უკანამორჩინილი ეტლები და დილიენება, ჰაერი მეტად ნოტიოდ გვეჩვენა. გვითხრეს კიდევცა, ციება ხშირია აქეთკენო. სადგურ ნატანებიდან მოყოლებული აქამდე და ამას იქითაც მდ. ნატანების ქალებია, თავისი ქაობებით. ბუნება განსაკუთრებით მდიდაროდა უხვია, ნიადაგი ნაყოფიერი. მხოლოდ ეგ არის, რომ ადამიანს ბევრი ღონისა და ენერჯის დახარჯვა სჭირდება აქაურ ციებცხელებასთან ბრძოლაში. განსაკუთრებით ამ ადგილებში ბუდობს ცნობილი გურიანთის ციება. ამ ციებით მოშხამული სისხლი იშვიათად იკურნება. თუ ურთი გაუჯდა ტანში ადამიანს, მის იქიდან გამოდევნას არაჩვეულებრივი საშუალება სჭირდება. ყველაზე საშინელი ის გახლავთ, რომ ყოველგვარ სატკივარს აქ საფუძვლად ციება აქვს. აქაურ აფთიაქიდან ქინაქინის ოდენა არც ერთი წამალი არ გააქვთ გურული ოჯახისთვის. უკანასკნელ ხანებში ავადმყოფები, განსაკუთრებით ციებიანები, გურიის ახალმოდის ავარაკზე, ბანმაროს მთაზე, მიდიან, სადაც მთის ჰაერი ყოველგვარ წამალზე უკეთესად და უფრო ჩქარა ჰკურნავს ხოლმე, ვისაც კი ამოსვლა შეუძლია.

დაიძრა ეტლი. გზა ისევ დაბურულ ტყეზე მიდის. ტყეს სიმინდის ყანები მისდევს, ყანებს—ისევ ტყე და ასე მიდის მთელი გზა. ცამ თითქმის სულ გადიყარა ღრუბლები. მთვარისაგან შეიფერცლა მიდამო. და საოცნებო სახე გადაიყრა; ფანტაზიას სულს უდგამს, ხორცშესხმულს ჰყოფს. ერთ-ორგან უდაბურ ადგილას, გზის პირას, ფარღალა კარუვები შეგვხვდა, შიგ შეიარაღებული გლეხები ისხდნენ ცეცხლის გარშემო. ესენი იყვნენ მკველნი მგზავრთა, მათი უზრუნველმყოფელნი. ეხლა თითქოს არც კი არიან საჭიროვო, იმიტომ რომ ნატანებსა და ოზურგეთს შუა მიმოსვლა სრულიად უშიშარია. სულ სხვა იყო ამ ოთხი წლის წინათ, როცა დარჩიას, ნიკოლაიშვილის, მიქელაიშვილის და სხვა ცნობილი ფირალების მარტოოდენ სახელის გაგონება შიშის ზარსა სცემდა ამ გზით მოსიარულეთ, განსაკუთრებით ვაჭრებს. მეტის-მეტი ვაჭირებდა

თუ გააბედვინებდა წინეთ მგზავრს ამ გზით სიარულს. ისიც, ზარბაზნის გარდა ყოველგვარი იარაღი ზედ უნდა აესხათ, შექველად. ახლა უბრალო ჯაყვა რა არის, ხშირად ჯაყვაც არ უდევთ ხოლმე ჯიბეში მგზავრთ, ისე გადავარდა შიშინანობის დრო.

გურიას ერთ ხანს მეტად ცუდი რეპუტაცია ჰქონდა. ზოგნი, ვინც არ იცნობდნენ აქაურობას, ამბობდნენ: ბუნებაა ისეთი, ყაჩაღობა აქაურების დაბადებითვე თანდაყოლილი თვისებააო. გურული თუ არა სძარცვავს, თუ ვისმე ყელში არ უჭერს და არ აღრჩობს, ისე გული ვერ მოუსვენებსო. ყოველივე ამ ვითომ თანდაყოლილი თვისებით უნდა აესხნათ, კერძო ფაქტი შექველად უნდა განეზოგადებინათ; ერთს რომ რამე სიწუწუკე ჩაედინა, შექველად ბუკითა და ნაღარით დუნისათვის უნდა შეეტყობინებინათ: შეხეთ გურულებს, ქვეყანას ძილს უფრთხობენ, მათზე ახი იქნება, სულ აყვრიდეთ აქედანაო. კმაროდა, გურულს მარცხად, სრულეზობით უნებლიედ, რაიმე კანონის საწინააღმდეგოდ დამართოდა, მაშინვე ფეხზე დადგებოდნენ ყველანი: არიქათ, შეთოკეთ, გაწკებლეთ, ჩაადგეთ ბნელეთში, მზის სინათლეს დაანატრეთ, ეგზეკუცია ჩაუყენეთ ოჯახშიო. არც კი დააცლიდნენ ბოდიში მოეხადნა დამნაშავეს. ისე გააბოროტებდნენ ლანძღვით, ისე თვალის დახამხამებაში შეჰლახავდნენ მისს თავ-მოყვარეობას, მის წმიდათა-წმიდას, რომ კაცი იძულებული ხდებოდა ფირალად გავარდნილიყო, ე. ი. ისეთ კაცად იქცეოდა, რომლისათვისაც არ არსებობდა, როგორც ფრანგები ამბობენ, ni foi, ni loi.¹ გურული ფირალი უკანასკნელი სისტემის თოფს იყიდდა, პატრონებით დიეტვირთებოდა და გავარდებოდა. საგანი გავარდნისა ორი ჰქონდა: ერთი—შუარი ეძია შეურაცხყოფელთა, და მეორეც—თავი დაეფარა მდევნელთაგან. ფირალი დათარეზობდა, რასაკვირველია, მანამდე, სანამ არ მოჰკლავდნენ სადმე. საკვირველი ის იყო, რომ მოკლულს გაცივებას არც კი აცლიდნენ, მაშინვე მის ადგილას მეორე ჩადგებოდა, გაიჩენდა ამხანაგებს და ძილს უფრთხობდა ყველას.

ხალხი წელში წყდებოდა, რა ღონეს არა ჰღონობდა ფირალობის ამოსაკვეთად, მაგრამ ამ უკანასკნელს მაინც ბოლო არ ეღებოდა. იტყოდით, ერთ ხანს თითქოს დასცხრენო, ეს არის, თავისუფლად ამოვისუნთქავთო და, გაიხედავდით, ერთბაშად თოფის წამალივით იფეთქებდნენ. თან, არავინა ფიქრობდა, გურულის ბუნება გაეცნო, მისი თვისება გამოეკვლია. აქაც იმავე ზომისა ხმარობდნენ, რასაც სხვაგან, სრულეზობით წინააღმდეგი ტემპერამენტის ხალხთანა ხმარობდნენ. ეს აუწონ-დაუწონლობა იყო მიზეზი, რომ ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა და გურიას ფირალობა საბედისწეროდ დაჰყოლოდა.

ზევითა ვსთქვით, ეს სამი-ოთხი წელიწადია, გურიამ ფირალებისაგან შეისვენაო. დიხხ, ფირალობა დღეს აღარ არის, მაგრამ მეორე სენმა

1) არც რჯული და არც კანონი.

იჩინა თავი—ქურდობამ. დღეს ყველანი მთელს გურიაში ქურდობის გახ-
შირებას უჩივიან. განსაკუთრებით ემდურიან მწყემსებს, რომლებიც ზუგ-
დიდის მაზრიდან გადმოდიან, აქ თავისი ჯოგი მოჰყავთ და ზამთარში
ბარადა რჩებიან გურიელების მამულში და ზაფხულობით მთებზე ადიან.
თუ რამე დაიკარგება, ბრალი ამ მეჯოგეებსა და მათთან სტუმრად მი-
სულ ნათესავ-ნაცნობებს ედებათ. მართალია, ადმინისტრაცია მონდომე-
ბულია, გურულების საკუთრება დაიცვას, მაგრამ ჯერჯერობით სენი
მაინც არა მცირდება.

ერთხელ კიდევ შეასვენა აქაფებული ცხენები მეეტლემ მეორე დუქნის
წინ და გასწია ოზურგეთისაკენ. აჰა, გავიარეთ „უჩინარი“, სადაც მდ. სკურ-
დუბისა და ნატანების შესართავთან, ცნობილი ფრანგი მოგზაურის დიუბუა
დუ მონპერეს თქმით, უნდა იყოს ძველად სახელგანთქმული და უდი-
დესი ქალაქი რომაელებისა პეტრა, ანუ გურულების „უჩინარი“. აი
რას ამბობს ცნობილი მოგზაური ამ ადგილის შესახებ: „...გავჩერდით
ამ მეთუთხმეტე კილომეტრზე (ზღვიდან ოზურგეთის გზაზედ). სადაც მდ.
სკურბედი (აშკარაა, პატიეცემული მოგზაური ამ სახელს შეცდომითა
ხმარობს) მდ. ნატანებს ერთვის, დიდი ხნის წიფლების ქვეშ. ხავსმოკი-
დებული ნანგრევები ხეების უშველებელ ფესვებზედ ცნობისმოყვარეობას
მიძრავს. თანახმად ამ ქვეყანაში (გურიაში) დარჩენილ ზეპირგადმოცე-
მისა, მე ვიდექი იქ, სადაც, დიდი ხნის წინეთ, შეიძლება 1.000 წელი-
წადიც იყოს მას აქეთ, არსებობდა გურიის ერთი უდიდესი ქალაქთა-
განი“... „აქ ყველგან სიმდიდრე იყო ჩაფლული, მაგრამ ვერავინ მიაგნო
არც წინათ და არც შემდეგ. ამიტომ, იმავე ზეპირგადმოცემის თანახმად,
„უჩინარი“ დაერქვა“¹.

ქალაქი „უჩინარი“, დიუბუას თქმით, რომელიც ემყარება ბერძენ
მწერალ პროკოპიუსს, ძველადვე ცნობილი პეტრა იყოვო. ბიზანტიის
იმპერატორ იუსტინიანე I დროს ბიზანტიელებს მოუკიდნიათ აქ ფეხი
და დაუარსებიათ სიმაგრე. სპარსთა მეფის ხოსროს დროს ეს ქალაქი
ხპარსელთ დაიპყრეს. 532 წ. ქრისტეს შემდეგ სპარსელთა და რომაელთა
შორის ზავი ჩამოვარდა და ისევ რომაელნი დაჰპატრონებიან. პეტრას
ცინე-ქალაქს იმავე თავითვე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონია მიქ-
ციული ყველასაგან. 550 წელს პეტრა დანგრეულ იქნა.

საქმე ის გახლავთ, რომ დიუბუას ნათქვამი ქალაქ პეტრას ადგილ-მდე-
ბარეობის შესახებ ბერძენების ისტორიკოსთა ნათქვამს არ ეთანხმება.
აი რასა ვკითხულობთ ამ ქალაქის შესახებ: „კოლხიდაში საზღვისნაპირო
ქალაქია პეტრა, შავის ზღვის (Pontum Euxinum) ნაპირად. პირველად
ეს ქალაქი უბრალო დაბა იყო და ბევრი არავინ იცნობდა, მაგრამ იმპე-

¹) Dubois de Montpereux: „Voyage autour du Caucase“, III, გვ. 87.

რატორმა იუსტინიანემ მაგარი კედელი შემოავლო და უხვად შეამკო¹. მეორე ალაგას აი როგორ აგვიწერენ ამ ქალაქს; „...პეტრა ზღვიდან მიუვალი იყო, რადგან დაკიდული კედლები ერთა ყოველმხრივ, მხოლოდ ერთი მხრით მიუდგებოდა კაცი, ვაკიდან, მაგრამ ეს ვაკეც განიერი არ იყო, უზარმაზარ და დაკიდულ კედლებ შუა მოქცეული“².

აშკარაა, პატივცემული მოგზაური უნდა ცდებოდეს, როცა ბრძანებს, რომ ძველი პეტრა ახლანდელ ვაშნარში არისო. იმიტომ რომ, ძველ ისტორიკოსთა აღწერით, პეტრა გაშენებული ყოფილა, ჯერ ერთი, შავი ზღვის პირას და მეორეც, კლდიან ადგილას, ხოლო „ვაშნარი“, სადაც სკურდუბი მდ. ნატანებს ერთვის, ვაკე ადგილია, კლდის ნასახიც არ არის და აქ აშენებულს ყველა მხრიდან მიუდგება კაცი.

ოზურგეთს ვუახლოვდებით. მოხუცი თანამგზავრი დაცხრა. ლაპარაკით მოიღალა. იმასლა იძახდა, ნეტავ, თქვენი სიცოცხლით, ჩქარა მივიდგ ჩემს დვაბზუში და ლომის გემო ვნახოვო. რამდენიმე მსუბუქი აღმართი ავიარეთ, გავედით ნატანების ხიდზე და ოზურგეთის სანთლებიც გამოჩინდა. ორი საათი და ნახევარი მოვუნდით გზას. უკვე ოზურგეთის ქუჩაზე დაადგეს ცხენებმა ფეხები. ოზურგეთი ტყეში ჩადგმულ ქალაქს წარმოადგენს... მაგრამ სანამ კოპწია გურიის დედაქალაქზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, საჭიროდა ვსთვლით საზოგადოდ გურიის შესახებ ვთქვათ რაიმე.

ლიტერატურა გურიის შესახებ, განსაკუთრებით ძველი, ძალიან ღარიბია. მოგზაურებს ეს კუთხე საქართველოსი როგორღაც ყოველთვის განზედა რჩებოდათ. ის ცნობები, რომლებსაც ძველი მწერლები გვაძლევდნენ გურიის შესახებ, მეტად მწირი ხასიათისაა.

გურია აქვს აწერილი ბატონიშვილ ვახუშტის თავის „ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსისა“-ში, რომელიც პართულ-ფრანგულად გამოცემულია ჩვენი ქვეყნის წარსულის დაუღალავი მკვლევარ აკადემიკოსი მარი ბროსეს მიერ. გურიაში უმგზავრია და, ოზურგეთს გარდა, რამდენიმე სოფელი უნახავს 1831 წელს ფრანგების ცნობილ მოგზაურს დიუბუა დე მონპერეს; დასასრულ, გურია გამოკვლეული აქვს არქეოლოგიურად ჩვენს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს. მისი მოგზაურობა აღწერილია ამ 20 წლის წინეთ გამოცემულ წიგნში.

თანახმად ბატონიშვილი ვახუშტის აღწერისა, ძველ გურიას დიდი ადგილი სჭერია, გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე ახლა უჭირავს.

„მზღვრის ამ გურიასა: აღმოსავლეთით—მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი; სამხრეთით—ქოროხის მდინარე

¹ იხ. რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი: „ცნობანი ბერძენთა და რომაელთა ძველ მწერლებისა კავკასიის შესახებ“, შტრიტერის „Memoriae populorum“-დან ნათარგმნი კ. განის-მიერ. ნაწილი II, გვ. 79.

² ibidem გვ. 80.

და მთა მცირე ფერსათიდან ჩამოსული; დასავლეთ—აჭარა-გურიის შორისი; ჩრდილოთ—რიონი, გურია-ოდის შორისი და დასავლეთით—„შავი ზღვა“¹.

დღეს კი, როდესაც ქობულეთი ჩამოცლილი აქვს გურიას, წინანდელი სივრცე შესამჩნევად დააატარავებულია, სახელდობრ, მთელი გურიის სივრცე, რომელიც შეადგენს ერთ ოზურგეთის მაზრას, შეიცავს 1980,16 კვადრატულ კილომეტრს, ზედ დასახლებულია 88,760 სული მკვიდრი ანუ 43,8 კაცი კვადრ. კილომეტრზე, ახლანდელი საზღვრები შემდეგია: სამხრეთით—მდ. ჩოლოქი და აჭარა-გურიის მთა; დასავლეთით—შავი ზღვა; ჩრდილოეთით—რიონი, რომელიც სამეგრელოდან ჰყოფს გურიას და აღმოსავლეთით—ნიგოთის მთა, აჭარა-გურიის მთიდან გამომავალი, რომელიც გურიას იმერეთისაგან ჰყოფს.

1831 წელს, როცა რუსეთმა გურია შემოიერთა, გურიის მკვიდრნი აღუწერიათ, როგორც დიუბუა ამბობს. მაშინ გურია ორ სამოურაოდ განიყოფებოდა: ერთი იყო ოზურგეთისა და მეორე—ნაგომარისა. ოზურგეთის სამოურაოში ცხოვრობდა 18,430 სული ორისავ სქესისა და ნაგომარისაში—18,270; ორშივე ერთად—36,700 სული ანუ 4,300 კომლი, ე. ი. კომლზე $8\frac{2}{5}$ სული. ამ ანგარიშით ყოველ კვადრატულ კილომეტრზე ჯდებუას მთელი სივრცე მაშინდელი გურიისა 1,800 კილომეტრად აქვს აღნიშნული) $20\frac{7}{8}$ სული მოდის. როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, 65 წლის განმავლობაში გურიაში მცხოვრებთა რიცხვს ორჯერ მეტად უმატნია.

ზემოხსენებული მცხოვრებნი გურულები არიან.

საინტერესოა თვით სახელი „გურიის“ ახსნა. სამწუხაროდ, ადგილობრივმა გამოკითხვამ ბევრი ისეთი, მართლა ხელჩასაქიდი, საბუთი ვერ მოგვცა ამ სახელის ასახსნელად.

ძველი მწერლები გურიას გორგურის ეძახდნენ: „აქ (იბერიაში) არის თემები: გორგური², კორია, კახეთია“ და სხვ. სიტყვა „გურია“ იმავე მწერლებს რამდენსამე ალაგას აქვთ მოხსენებული, მაგრამ არა თემად და ნაწილად იბერიისა, არამედ ქალაქად³.

ბატონიშვილი ვახუშტი აი რას მოგვითხრობს ამის თაობაზე: „ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზს, მაშინ ამათ (გურულებმა) არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთვისა, რომელნი იყვნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი⁴, ადარნასე და ძე მისი აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს გურიაობით განდგომილნი და ენა მათი, რომელსა უბნობენ მესხური, და იმერთაებრ⁵.

¹ ბატონიშვილი ვახუშტი: „ლეონრაფიული აღწერა საქართველოსა. გვ. 414.“

² „ცნობანი ბერძენთა და რომაელთა მწერალთა“, ტ. II, გვ. 56.

³ Ibid. გვ. 3 და 56.

⁴ ეს სტეფანოზ საქართველოში მეფობდა უბრალო მთავრის სახელით 600-616 წლებში.

⁵ ვახუშტის „ლეონრაფია“, გვ. 64.

2. თ. სახოკია—მოგზაურობანი.

ქკუაში მოსასვლელია ეს ახსნა. გურული ფიციხია, „გულმწყრალია“, ვახუშტისა არ იყოს; თუ ჰგონია, რომ ოდნავაც არის, შეურაცხყავით, არ დაგინდობთ, თავი ცოცხალი არ უნდა, თუ სამაგიერო არ გადაგიხადათ.

ახლა ყური დაუგდოთ ქართულ ლექსიკონის ავტორს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (გვ. 64) გურიოზა ახსნილია შემდეგი სიტყვებით: „მიდევნება არევით“. მართალია, ეს სიტყვები, თითქმის განდგომას არ ნიშნავდესო, მაგრამ დაახლოებით ამ ახსნით მაინც ის აზრია გამოთქმული, რომ გურია, რომლის მკვიდრთა თვისებას, სხვათა შორის, შეადგენს გურიოზა, ნიშნავს დაუცხრომელთა სამყოფელს.

მეგრულად გური გულსა ნიშნავს, გურამი—ბრაზიანს, გულიანს; ცნება გულადიც ამ სიტყვით აღინიშნება. საქმე ის გახლავთ, რომ გურული ცნობილია ბრაზიანობით, ანუ როგორც, თვითონ ამბობენ, „კუქიანობით“ და ამასთან გულადობითაც სწორ-უპოვარია საქართველოს პროვინციებში. გურული და გულფიცხი მეგრელს სინონიმებად მიაჩნია.

ჩვენი ისტორიის მკვლევარი მარი ბროსე არ ეთანხმება ვახუშტი ბატონიშვილს. სახელი გურია აწინდელ ოზურგეთის მაზრას მისთა მკვიდრთა თვისების „გურიოზისა“-გან არ უნდა რქმეოდესო. მით უფრო, რომ ამ ახსნას ისტორიულად საფუძველი არა აქვსო. გურიელის სახელი 14 საუკუნიდანა გვხვდება ტრაპიზონულ გუჯარში, ე. ი. 100 წლის წინათ გურიის ვაკალკავებამდეო. ბროსე ჰფიქრობს, რომ ეს სახელი, შეიძლება, ზორაოსტრის სარწმუნოების აღმსარებელთაგან გუებრებისაგან (ქებრ სპარსული სიტყვაა, ნიშნავს ცეცხლის თაყვანისმცემელს) წარმოდგაო, რომელთაც გუარიც (guare) ერქვათო. ამათ მე-9 საუკუნეში რამდენსამე ხანს ეპყრათ გურია, როცა მეფე იუსტინიანესა და ხოსროს შორის ომი იყო ლაზისტანის გამო, რომლის ნაწილსაც მაშინ გურია შეადგენდა.

ერთი პოეტური ლეგენდაც, რომელიც დარჩენილა ქობულეთში და, რომელიც „ივერიაშიაც“ იყო აღნიშნული, რადიკალურად ეწინააღმდეგება ზემოგამოთქმულ აზრს გურიის სახელწოდების შესახებ. არა გვგონია მეტი იყოს, მკითხველს ეს ლეგენდაც გავაცნოთ:

იყო ინდოეთს მეფე შედათი, კაცი იმდენად გულზვიადი და კადნიერი, რომ მოინდომა ედემი გაეშენებია,—ერი ღმერთად მიმიჩნევსო. ედემი, მართლა, საუცხოვო სანახავი იყო და სწორედ. სამოთხესა ჰგვანდა. მაგრამ ერთი წუნი ჰქონდა: „რა სამოთხეაო,—კრძალვითა და მოწიწებით მოახსენეს შედათს,—როცა შიგ ანგელოზნი არ არიანო!“

მეფემ მაშინვე მოუწოდა თავისს მსლებელთ და უბრძანა, დაიარეთ მთელი ქვეყანა და, საცა კი ნახოთ „გურიები“ (ლაშაზები), მე მომგვარეთო; მეფეს უნდოდა ეს გურიები სამოთხეში დაესახლებია.

მსლებლებმა შეასრულეს ბრძანება მეფისა, შეჰკრიბეს „გურიები“ მთელი ქვეყნის პირზედ და გაემართნენ ინდოეთს. კავკასიაში რომ მო-

ვიდნენ, აქ შეიტყვეს უცებ, რომ ღმერთმა უწყალოდ დასაჯა შედათი კადნიერებისათვის; დაახვია უმრავლესი კოლო და ქინქლა, რომელთაც ისე დაჰკბინეს უბედური მეფე, რომ რუმბივით დასივდა და მალე სულიც განუტევაო. „გურიებმა“ მოისმინეს ეს ამბავი და გადასწყვიტეს, ნუღარ დაებრუნდებოთ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში, დაავრჩეთ აქ, ამ ტურფა მხარეშიო, რომლის მშვენებაში ისე მოჰხიბლა გურიები, რომ მართლა სამუდამოდ დასახლდნენ საქართველოშიო. დასასრულ, ერთ ამბავსაც აღვნიშნავთ, გურულებიდანვე გაგონილს, გურიის სახელის გამოსარკვევად. გურიის რომელიღაც მთავრის დროს სასახლეში ლაპარაკი ჩამოვარდნილა, რათ დაერქვა ჩვენს მხარეს „გურიაო“ ერთს იქ დამსწრე თავადთაგანს ასე აუხსნია ეს კითხვა. საქართველოს სამეფოს ძლიერების დროს, როცა მისი ზაზღვრები აღმოსავლეთით თეთრ ზღვასა სწვდებოდა და დასავლეთით ტრაპიზონამდე მიდიოდა, გურია გულად (მეგრულად გური—გულია), შუალაგად ითვლებოდა ჩვენი ტურფა მამულისაო.

III

ოზურგეთი.—მდებარეობა ოზურგეთისა.—ზავე ოზურგეთისა.—სახლეები.—ვაჭრობა და ვაჭრები.—ჩაცმულობა იქაურის ვაჭრისა.—„პარასკეობა“.—მეგრული მწვემსები გურიაში.—ქალაქის ბ.ლო, მისი წარსული და აწმყო.—ოზურგეთი, როგორც სატახტო ქალაქი გურიელებისა.—სახალისი გალავანი.—უკანასკნელი მთავარი გუიისა და მისი ოჯახის თავგადასავალი.—გურიელთა ჩამომავალნი ოზურგეთში.—მოგზაური დიუბუა დე მონპერე ოზურგეთში.—ბოტანიკოსი საიჩი.—აწინდელი სახე მთავრის სასახლისა.—ეკლესიები.—სასტუმრო. მცხოვრებთა რიცხვი.—ვინაობა მცხოვრებთა.—ქარხველი კათოლიკენი ოზურგეთში.—„დრუჟინა“.

აჰა, ესეც კოპწია გურიის დედაქალაქიცა! ადამიანის ყურადღებას იპყრობს თავდაპირველად ის უხვი მწვანე სამოსელი, რომელშიაც გახვეულია ოზურგეთი. ასე ბრძანებთ, შეცდომით ტყეში შევედი, სადაც შეცდომითვე სახლებია აშენებულიო. საშუალო ტანის ქუჩებს აქეთ-იქით მხარეზე ჩარიგებული აქვს სხვადასხვა სიდიდის ხეები, ზოგი—ადამიანის ხელით დარგული, ზოგიც თავისით ამოსული.

ხამი კაცი ვერ დაიჯერებს, თუ ეს ქალაქია და არა საავარაკო ადგილი. ყველა ხალვათადა ცხოვრობს. ყოველ მოქალაქეს ეზოდ შემოკავებული აქვს ერთიდან ორ დღიურამდე და ამ შემოკავებულ სამოსახლოში ყველაფერია: ხეილიც, საჩრდილოებელი ხეებიცა, ბოსტანიც, საბალახოცა, საქარლისა დ ფრთოსანთათვის საკმაო ადგილიცა; თითქმის ყველგანაა: უზარმაზარი ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ბროწეული, ლღვი, უშველებელი თხმელები, რომელზედაც გაშვებულია ვაზეები—ნაქებ ჩხავრისა არ გეგონოთ, არა, „ადესისა“. ყვევილებში, არ ვიცით, რისთვის, ყველას *Rosa Syrica*-ს ბუჩქები სჭარბობს. აქა-იქ ხედავთ ბავშვებს, რომლებიც ხეების კენწეროს მოჰქცევიან და პეშვით იყრიან პირში მოკრფვილ ხილსა,—ნამდვილი სოფელი წარმოგიდგებათ! ხეების მწვანე სამოსლიდან,

თითქმის ყოველ ეზოში, თითქო მოხუცის თეთრად გადაბენტილი წვერიად მკაფიოდ გამოსჩანს $\frac{1}{4}$ გოჯის სიბრტყე და ორ-სამ ადლის სიგრძე ბურ-ბურშელეზიანი ერთი-ორი მხარის სიგრძე ჯოხები. ეს განლავთ „ჩიჩილაკი“ რომელსაც ყოველ ახალ წელიწადს აკეთებენ გურულის ოჯახში (როგორც სამეგრელოში); „კალანდას“ ამ ჩიჩილაკით უკვლევენ ოჯახს და მერე ხეზე გაიტანენ, სადაც მეორე კალანდამდე რჩება.

შორიდან სახურავებს, და ისიც მალალი სახლებსას, თუ დაინახავს კაცი ამ ცამდე ამართულ ხეებს შორის! მშვენიერი წიწვიანი ხეები იყო თურმე ჩარიგებული აქაურ ორპირად ჩამწყკრივებულ დუქნების წინ-ზამთარ-ზაფხულ ამწვანებული ყოფილა აქაურობა. მაგრამ ხორველობის დროს (1892 წ.) სულ ერთიანად აუჩხენიათ, ხორველას გააჩენსო (?). ახლა აქა-იქ არის დარჩენილი ობლად, თითო-ოროლა დახაზლებული წყავი-ისიც სოფლიდან ჩამოსულების ცხენების მისაბმელად.

ერთი პატარა მდინარე, ბაზრის წყალად წოდებული, ქალაქს სიგრძე-სიგანეზედა რწყავს. ყველა დუქანს წინ წყალი ჩაუდის და თან მიაქვს ყოველგვარი უსუფთაობა ქალაქისა. მერე ჩაუვლის ქალაქის საყასბოს და უერთდება მდ. ბუჯჯს. ბაზრის-წყალის შემწვობით შესაძლებელია კაცმა იდეალური სისუფთავე დაიცვას. მართლაც და, ოზურგეთს თამამად შეუძლია სხვა ჩვენს პროვინციულურ დაბა-ქალაქებთან თავი მოიწონოს თავისი სისუფთავეთა. ზაფხულობით აქაურ ქუჩებზე მტვერს ვერა ნახავთ, არც აედარში იცის მაინცა და მაინც დიდი ტალახი.

ოზურგეთს მთა-გორიანი მდებარეობა აქვს. ერთ ისეთ წერტილს ვერა ნახავთ, რომ იქიდან შეიძლებოდეს მთელ ქალაქს მიმოავლოთ თვალი. ჯამხრეთ-დასავლეთით მოსჩანს აპარა-გურიის მთა, მდიდარი ტყეებით შემოსილი, ჩრდილოეთით—კავკასიის ქედი; დასავლეთიდან აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ მთაგორები იწყება ვიდრე აპარის მთებამდე.

ამბობენ, ოსმალოს ჯარი ძველ დროში ოზურგეთამდე თუ მოატანდა, ამას იქით კი სიარული არ შეეძლო, რადგან გურულებს ამ ადგილას ზურგი ყოველთვის მაგრად ჰქონდათ, მტერი ვერას აკლებდაო. ამ ნაამბობის შემდეგ უფრო საფუძველი ეძლევა მეგრულ სახელწოდებას ამ ქალაქისას. პრეფიქსი ო, რომელიც ემატება სიტყვას თავში, უდრის ქართულს სა-ს, მაგალითად მეგრული ო-სიმიინდე—ქართული სასიმიინდე, ო-შურეთი—სა-სულეთი (საიქიო) და სხვ. აგრეთვე ო-ზურგეთი იგივე სა-ზურგეთია. ამ აზრისა ოზურგეთის სახელწოდების შესახებ ისტორიკოსი მ. ჯანაშვილიცა.

ჰავა აქ ნესტიანია. ხშირი წვიმაც იცის, თუ ერთი პირი მოიხსნა ცამ, მერე ვადალება არ მოაგონდება. სინესტის შიშით ქვითკირის სახლებს აქ იშვიათად აშენებენ. უფროსერთი აქაური სახლი ფიცრისა-კედლებს გარშემოკრული აქვთ სიმალღეზედ თხელი ლამფები, ლურჯად შეღებილი, რაიცა თავისებურ ელფერს აქაურ სახლებს. იშვიათად შევხვდებით აგრეთვე ორსართულიან სახლებსა,—თითქმის ყველას ერთსა-

რთულიანი ოდები უდგათ, გადახურული კრამიტით, ან, როგორც აქ უძახიან, „ქერაბინით“, რომელსაც გურიაშივე, სოფ. აკეთში, აკეთებენ. აქაური სახლის საძირკველი ადლ-ნახევრის სიმაღლეზედა დგას, დედამიწიდან ამორებული.

ამგვარად, ნიადაგს ამორებულ სახლს ტენი არ ეკარება; კედლები მშრალად ენახება. ზამთარში ცივა ასეთს სახლებში, ქარს შემოსვლა არ უჭირდება. ბუხარი მარტო იმის ახლო მიმჯდარს თუ გაუთობს წინა ტანს, ზურგი კი ისევ ყინულივით არჩება.

დუქნები აქაური ორ რიგად არის ჩამწყკრივებული, ქალაქის შუა ალაგას, ვგრედწოდებულ ბაზრის-წყლის მარჯვენა მხარეს. შენობები დუქნებისა სულ ქვიტკირისაა. ამ ჩვიდმეტი წლის წინად კი სულ ხის დუქნები ყოფილა აქა. ერთ მშვენიერ დღეს ოზურგეთს ცეცხლი გასჩენია და ერთ ღამეში თავიდან ბოლომდე გადაბუფულა აქაური დუქნები. მის აქეთ ხალხი დაშინებულა და ხის დუქანი აქ არავის დაუდგამს.

ვაქრობა სულ გურულების ხელშია. მათ შორის ორი ლაზიც ურევია. მეთვრამეტე საუკუნეში, როგორც ბატონიშვილი ვახუშტი მოგვითხრობს თავის „საქართველოს ლეონრაფიაში“, ოზურგეთში ებრაელები და სომხებიც ყოფილან ვაქრებად. პლატონ იოსელიანიც ამბობს „საქართველოს ქალაქების აღწერაში“, რომ ოზურგეთის მკვიდრთა შორის ურიები და სომხებიც არის¹. არ ვიცით, ამ საუკუნის დასაწყისში იყვნენ თუ არა ოზურგეთში ისინი, მაგრამ 1850 წელს კი, როცა პატივეცემულმა ისტორიკოსმა შეადგინა თავისი წიგნი („საქართველოს ქალაქების აღწერა“), ოზურგეთში რომ არც სომეხი იყო და აღარც ებრაელი—ეს ექვს გარეშეა. ამას მოწმობენ თვით დროული კაცები, ოზურგეთის მკვიდრნი. თუ ისინი როდისმე იყვნენ ოზურგეთში, ახლა კვალ-წმინდად ამოუკვეთიათ ფეხი აქედან. უცხო თესლის ვაქარს გურულები თავიანთ შორის არ ამოგინებენ. ამ შემთხვევაში ძალიანა ჰგავს გურულები მეგრელებსა და იმერლებს. ყოველგვარი ხელობაც სულ გურულების ხელშია. ზენკალი, მეწაღე, მეთუნე, მეშუშე, კალატოზი, დურგალი, ხურო, ხარაზი, მჭედელი, მღებავი, ყასაბიცი კი,—სულ გურულები არიან.

დიდი ხანი კი არ არის, რაც გურულებს ვაქრობისათვის ხელი მოუკიდნიათ. ამ ოცდაათი, ორმოცი წლის წინათ ერთ გურულსაც ვერ ნახავდით თურმე ვაქარს ოზურგეთში. მთელი ვაქრობა ხელში ჰქონიათ ლაზებს. იმდროინდელ კომერსანტები ყოფილან ქართველი კათოლიკე აუშანიშვილებიცა, რომლებიც დღესაც ცხოვრობენ ოზურგეთში, მხოლოდ არა ვაქრობენ, არამედ მოქალაქეებად ირიცხებიან. მაშინ გურულებს სირცხვილად მიაჩნდათ ვაქრობა. არც გული მიუწყევდათ, იმიტომ რომ კანონი არ არსებობდა მშვიდობიანი ცხოვრების მფარველი, ძალმომრეობა იყო გამეფებული. ბატონს შეეძლო თვისი ყმა-ვაჭრისათვის ყველაფერი

¹ იხ. პლატონ იოსელიანის წიგნი, „წინანდელი და აწინდელი ქალაქები საქართველოსი“, რუსულ ენაზე, გვ. 58 და 50.

წაერთმია. თუ ერთი-ორი ვინმე გულს არ იტყვდა და მინც ვაჭრობდა, უქველად თოფ-იარაღში უნდა მჯდარიყო. კბილით ეჭირა ვაჭარს საქონელიცა და სიცოცხლეცა. გარეშე მტერიცა და შინაური უსაქმური მებატონეც ვაჭარსა და ფულიანს ემტერებოდა, ასე რომ ათასგვარ შემთხვევაც იყო დამოკიდებული ვაჭრის ბედი. როგორც მოგვხსენებათ, ასეთ პირობებში ვაჭრობა ველარა ბოგინობს, უფროსის ასეთ პირობებსა ხოლო როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, რაკი პატივი დაედო პიროვნებას, ძველებური, ბატონ-ყმური შეხედულება მოისპო, გურულმა არამც თუ მსწრაფლად შეითვისა საიდუმლოება ვაჭრობისა, არამედ ისეთი უნარი და შინა გამოიჩინა, რომ სხვას, მასზე ადრე სავაჭრო სარბიელზე გამოსულს, გადააჭარბა, წინ გაუსწრო და იქამდე მიიყვანა საქმე, რომ თავისი მეტოქე იძულებულჰყო აბარგებულყო, ვაცლოდა. ახლა გურულ ვაჭარს არამართო ოზურგეთში შეხედვებით, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში და თვით რუსეთშიაც. თან, წინდახედულისა, ანგარიშისა და გაბედული ვაჭრის სახელიცა აქვს განთქმული.

აქაური ვაჭრები ქართულად არიან ჩაცმულნი, ათასში ერთი თუ ატარებს. ეგროპულ ტანისამოსს. მაგრამ ისე კი აცვიათ, რომ მაშინვე შეატყობთ მოქალაქეთა რომელ კლასს ეკუთვნიან. აი ჩაცმულობაც დარბაისელი ვაჭრისა: შალის ან მაუდის ჩოხა კოჭებზედა სცემს, ვერცხლის ქამარი-არტყია, ვერცხლისავე საათი ჰკიდია გრძელ ძეწკვიანი, შარვლის ტოტები წალღებზე გადმოშვებული აქვს, თავთ ხურავს, თუ ზაფხულია, ჭილობის ქუდი და დასასრულ ხელთ უჭირავს ქარვისა ან გიშრის კრიალოსანი. აი გარეგანი სახე აქაური ვაჭრისა. ზამთარში ამ ტანისამოსს უმატებს პალტოს, რომლის ქვეშიდან ჩოხის ტოტები ურცხვად გამოიყურება, და მზრებზედ წამოსხმული აქვს პლედი. გურულ ვაჭარს ჩაცმულობაში ძალიანა ჰგვანან მისი ძმები—მეგრელები და იმერლები.

პარასკეობით ბაზრობა ანუ, როგორც აქ ეძახიან, „პარასკეობა“ იცინან. გარშემო სოფლებიდან შემოაქვთ გასასყიდად ყოველგვარი ნაწარმოები სოფლისა: ხილი, მწვანილი, ფრთოსანი, ოთხფეხი, სხვადასხვა ნაქსოვები როგორც აბრეშუმისა, ისე მატყლისა, თიხის ჭურჭელი, ქვევრები, კოკები, დოქები, მჭადის საცხობი კეცები. ბაზარშივე გამოაქვთ გათლილი ფიცრები. სხვათა შორის დიდძალი შემოაქვთ ურთხლის ფიცრები—თითო კარგად მოზრდილი ფიცარი ექვს აბაზად იყიდება ხოლმე. აბა კარგი საყურებელი მაშინაა, როცა მილეთის ხალხი ბუზვიით ირევა! სხაბა-სხუთი ლაპარაკი, მარდი მიხვრა-მოხვრა—სიცოცხლე დულს და გადმოდის!... თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გოცნება, როცა ასეთ ხალხში მძიმე, ჯმუხი, მხარბეჭიანი ჯვარელი¹ შემხვდა!.. ქუჭყიანი იყო, სპეციფიკური სუნი ასლიოდა ბოსლისა. წინ ედგა სულაუნებით² სავე გურული გორიცა.

¹ ჯვარი—სოფელია ზუგდიდის მაზრაში. ამ სოფლის მცხოვრნები მწყემსებნი არიან.

² სულაუნი—მეგრული ყველია, მრგვალად და პრტყლად გადახედილი.

საკვირველი კონტრასტი იყო ამ მთის შვილსა და გურიის მკვიდრთა შორის! რამდენად მეორენი სწრაფნი იყვნენ როგორც ქცევასა, ისე ლაპარაკში, იმდენად აუჩქარებელი იყო პირველი. ასე ბრძანებდით, სადმე ცეცხლი უკიდია და იქ მიეშურებიანო. მუხივით ეხვევიან, ევაკრებიან, სეტყევასავით აყრიან სიტყვებსა, ის კი ქანდაკებასავითა დგას, გორიცასთვის ხელი დაუვლია და გაიძახის:

— ორი—სამი შაური, პატენი.

ვკითხე მისებურად სადაურობა, გვარი, სადმყოფობა.

პირველად თითქო გაუკვირდა მეგრულის გაგონება, მაგრამ მერე თამამად მიპასუხა:

— კვარაცხელია ვორექ, ჯვარული (კვარაცხელია ვარ, ჯვარელი).

— ამ სიშორეზე რად გადმოხვეწილხარ?

— რად, ბატონო, და ჯოგი გვყავს გურიაში,—მიპასუხა ზღაზენით მთის შვილმა,—ჩვენით უდგათ სული გურულებს: ჩვენ რომ არ 'მოვდიოდეთ სამეგრელოდან, მთელი გურია უყველოდ დარჩებოდა. ჩვენს მეტს აქ არავის ჰყავს საქონელი. მთებში ზაფხულობით სულ ჩვენი, მეგრელების, საქონელი ბალახობს. აქაურ კაცს სირცხვილად მიაჩნია მწყემსობა; თუ ჯოგს გაჰყვა, მისი აზრით, თავი მოეჭრება, იმასა რჩეობენ, ყველი იყიდონ ჩვენგან, ვინემ თვითონ გაიჩინონ საქონელი. თაკილობენ, მე-ჯოგე როგორ უნდა გავხდეთ ერთი სულუგუნიზაო?! შენ ვილა ხარ?—ფამილიარულადა მკითხა ბოლოს მწყემსმა.

როგორც შევიძელ, დაუტყმაყოფილე ცნობისმოყვარეობა.

ბალი იმ აზრით, რა აზრითაც სხვაგანა აქვთ წარმოდგენილი, ოზურგეთში არ არის. თუმცა აქაური ნიადაგი და პაერი ხელს უწყობს ყოველგვარს უმაღლეს კულტურას, ყველას საკუთარი ეზო აქვს. იქა აქვთ გაშენებული ხეხილი, უბრალო ხეებიც უდგათ, როგორც მაგალითად თხმელა ან ხურმა და სხვ. ისეთი ბალი კი, რომელსაც მართლა კულტურა ეტყობა, ერთია ოზურგეთში. ეს გახლავთ აქაური მკვიდრის ი. თუმანიშვილისა. ამ ბალის ხეხილებსაც, და აგრეთვე დეკორატიულ მცენარეებსაც მოსიყვარულე და მცოდნე პატრონის ხელი ატყვია.

არის ოზურგეთში ეგრედ-წოდებული ქალაქის ბალი, როგორც ამბობენ, კავკასიის მთავარმართებლის თ. ვორონცოვის დროს (1844—1850 წლებში) გაშენებული. ადრე ეს ბალი მდიდარი ყოფილა სხვადასხვა ძვირფას მცენარეებით. შესანიშნავია ეს ბალი იმიტაც, რომ აქ პირველად დაარგვევინა თ. ვორონცოვმა ქ. ოდესიდან გამოწერილი ვაზის „იზაბელას“ ჯიში, რომელსაც მერე „ადესა“ დაერქვა, ალბათ იმიტომ, რომ ქ. ოდესიდან მოუტანიათ. მერე მთელს გურიაში გავრცელებულა ეს ვაზი. გარნა დღეს კი, ძველი დიდების მოსაგონებლად, ამ ბალში სამიოდ ქადარი დგას, ერთი ფიჭვი და სამიც *Cunninghamia lanceolata* (ურთხელის მსგავსი ხეა) და სხვა უბრალო ხეები და მსხალი. ამ ხეებს შემთხვევითი ხასიათი აქვს დღეს. კაცი ძნელად წარმოიდგენს, რომ ოდესმე აქაურობა

უკეთეს დღეში იყო. რუს-ოსმალის ომის დროს შიგა მდგარა ჯარი და ხეები უწყალოდ აუჩხიათ. მერე უპატრონოდ დარჩენილი ქალაქის პატრონთ (დეპუტატებს) თვითონ ბალის ადგილის გაყიდვისათვის მიუყვიათ ხელი. კვადრატული მხარი ხუთ შაურად თურმე იყიდებოდა. ახლაც გიჩვენებენ აქაურნი ძველი ბალის ქადრებს კერძო მეპატრონეთა ეზოებში, აწინდელი ბალის სამხრეთ მხარეს. იმ ბალისაგან, რომელსაც ადრე 1/2 ოთხკუთხი კილომეტრი ჰქონია სივრცე, ახლა 5—6 დღიური თუ-ღაა დარჩენილი.

ამ ბაღში ორი ხის შენობაა. ერთს მათგანში ზაფხულობით ქალაქის კლუბი გადმოაქვთ. ბალის ადგილზევეა ოზურგეთის საქალბო სასწავლებელი. თვითმართველობა ქალაქისა ცდილობს ამ ბაღს ცოტა რივიანი სახე მისცეს და მართლა ბაღს დაამსგავსოს, რომ ერთ დროს მაინც ოზურგეთელებს ერთი საზოგადო თავშესაფარებელი ადგილი ჰქონდეთ ზაფხულობით.

ოზურგეთი გურიის მთავართა ანუ გურიელების სატახტო ქალაქი იყო. ოზურგეთს იხსენიებს ბატონიშვილი ვახუშტი: „ოზურგეთს არის სასახლე დიდშენი, და კეთილ-პალატოვანი გურიელისა“¹. ბატონიშვილ ვახუშტამდე ერთი საუკუნით ადრე ოზურგეთი მოხსენებულია აგრეთვე ქაიხოსრო გურიელის სიგელში. „ამას უამსა, ოდეს თქვენს (აქის მთავარ-მოწამის წმ გიორგის) საყდარს სიმაგრეშიდ ვიყავით, გამოგვიძახა დიანმან ვამეყმა, თავდასასხმელი დიდი ლაშქარი იმერელნი, ოდიშარნი, შარვაშიძე, ჩვენი საპატიო კაცებიც თან ახლდნენ. მოგვიხდნენ და შუა გურია დაარბიეს და შენს მეტი ღონე აღარა მქონდა და შიგ თქვენს ტაძარშიდ შევიკაზმეთ, მოვედით ოზურგეთს, სასახლეში გამაგრდნენ ისინი“². ეს ქალაქი ძველის-ძველი არ უნდა იყოს, ყოველივე შემთხვევაში, ოზურგეთის სიძველეს დღეს არაფერი მოწმობს. ერთადერთი ქვითკირის გალავანი-ღაა დარჩენილი, ქალაქის ბალის გვერდით, ისიც სანახევროდ დანგრეული. შიგ მოთავსებულია სამსართულიანი ქვითკირის შენობა—ადგილობრივი „დრუჟინის“ ბინა. ეს გალავანი გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია V-ის დროს არის ნაშენები 1812—1814 წლებში.

გურიის უკანასკნელი მთავარი იყო გურიელი მამია V, რომელიც ცხოვრობდა ოზურგეთში. 1810 წელს მამიამ აღიარა რუსეთის სუზერენიტეტი. 1826 წელს 20 ნოემბერს მამია გარდაიცვალა და დარჩა მცირეწლოვანი ქალი, ეკა (ეკატერინე), 12 წლისა, შემდეგ ლევან ჩიჩუას მეუღლე და ვაჟი—დავითი, 6 წლისა. რუსეთის მეფის მთავრობამ რეგენტობა ჩააბარა მამია გურიელის ქვრივს სოფიოს. დედოფალი კმაყოფილი არ იყო რუსეთის მეფისა,—რა უნდა, რომ ჩემი ქვეყნის საჭმებ-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი: „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოსა“, გვ. 416.

² იხ. დ. ბაქრაძის შრომა, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ რუსულს ენაზე, გვ. 192.

ში ერევან? გადასწყვიტა მომხრე ეშოვნა და რუსეთის ბატონობისათვის თავი დაედო. ამ აზრით 1828 წელს დედოფალი სოფიო გაიქცა ოსმალეთში, თან წაიყვანა თავისი შვილებიცა, მრავალნი დიდებულნი და ერთგულნი. მაგრამ გულსინადები ვერ აუსრულდა. 1829 წელს დედოფალი ანატოლიაში გარდაიცვალა. ბოლოს, 1833 წელს, სამშობლოში დაბრუნდნენ მთავრის შვილები. დავით ჯერ პეტერბურგში სწავლობდა პაეების კორპუსში და მერე დალისტანში ერთი ომის დროს მოკლულ იქნა.

ამჟამად ოზურგეთში მხოლოდ სამი ოჯახობა-ღაა გურიელების გვაროვნობისა; 1) ქაიხოსრო მალაქიას-ძის გურიელის მემკვიდრენი: ეკატერინე და მარიამი, (თ. დ. გუგუნავაზე გათხოვილი); 2) კონსტანტინე (კოწია) მალაქიას-ძე გურიელი და მისი ორი ასული: ელენე და ნინო და 3) იესე გიორგის-ძე გურიელის ძენი: ლევანი, გიორგი და ვლადიმერი (ტუტულია). აქ მოხსენებული ქაიხოსრო, კონსტანტინე და იესე გურიელები გურიის უკანასკნელ მთავარს ბიძაშვილის შვილებათა ხვდებიან.

სწორედ იმ ვალავანში, სადაც ახლა „დრუჟინა“ დგას, მამია გურიელს თავის სიციოცხლეში მშვენიერი სასახლე აუშენებია. უწინ კი სოფ. უჩხუბს (დვებუს საზოგადოებაში) ცხოვრობდა თურმე. ის ადგილი, სადაც პირველი სასახლე მდგარა, ახლა შექმნილი აქვს გლეხ ქანუყვადეს. როცა რუსეთი საბოლოოდ დაპატრონებია გურიას, ეს სასახლე საშინლად გაოხრებული ყოფილა, დიდი შეკეთება სდომებია. დიუბუა დე მონპერესაც უნახავს ეს სასახლე თავის მოგზაურობის დროს. „დღეს აქა-იქა აქვს სახურავი,—ამბობს ფრანგი მოგზაური ამ სასახლის შესახებ,—ჭერ-იატაკი დაღობია; ყველაფერი გაოხრდა. გვერდით მოხელეებს საცოდავი ქონები გაუკეთებიათ, ხოლო ამ საუცხოვო შენობისა აჩრდილი-და დარჩა. ვალავანი, აბანო, ფანჩატურები, სასახლეს რომ ერტყა,—უკეთეს მდგომარეობაში არ არის.

ოზურგეთში დიუბუა დე მონპერო იმ ოთახში მდგარა, სადაც დაულალავი ბოტანიკოსი, გულმოდგინე მშრომელი მეცნიერებისა—სავიჩი ავადმყოფი წოლილა. გურიის ფლორის მკვლევარი აჭარის მთებზე მუშაობდა თურმე, მ დღის განმავლობაში მარტო პური, ყველი და ჩაი ჰჭონია საზრდოდ. თან, წვიმიანი დარიც შესწრებია. ბარად უკვე გაციებული ჩამოსულა. ოზურგეთში რომ მოსულა, დამშეული, ხარბად სძგერებია ჯაქმელსა ამდენი მარხულობის შემდეგ. ნასადილევს გაუფენია ნაპოვნი მცენარეები მთავრის სასახლის უშველებელ დარბაზში, რომელიც მისთვის დაუთმიათ. ამასობაში ავადმყოფობაც მოერია და გარინდებული, მძინარეისავით დაეცა თურმე მცენარეებს. ავადმყოფობა სახალად გადაექცა. მაიორ ჭილაშვილს (ჩვენი სახელოვანი მამულიშვილის, დიმიტრი ყიფიანის სიმამრს), რომელიც მაშინ ოზურგეთში იყო რუსეთის მთავრობისაგან გამოგზავნილი მთავრის ქონებისა, მისი და მისთა მოხელეთა

შემოსავლის აღსანუსხველად, და რომელთანაც იდგა სოვიჩი, ამ უკანასკნელისათვის სასაქმებელი წამალი დაუღვევინებია. მერე ქუთაისში წამოუყვანიათ, სადაც კიდევ გარდაცვლილა. განსვენებულ საეიხს დიდძალი იშვიათი და ახალი მცენარენი აღმოუჩენია გურიაში; უფრო დიდ სამსახურს გაუწევდა გურიას, რომ ისე არ მოსწრაფებოდა სიცოცხლეო, ამბობს დიუბუა.

დღეს ამ სასახლისა არაფერია დარჩენილი. გალავანი ნახევრად დანგრეულია, მთავრის აბანო „ღრუჟინას“ ზოგი საკუქნაოდ და ზოგიც შეშის საწყობად აქვს გადაქცეული.

მარმარილოს სვეტები სასახლისა ყირიმის ომის წინ (1849—1850 წწ.) სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს, უთხოვია მთავრობისათვის. ნება მომეცით ჩემი სასახლისათვის წავიღო სამეგრელოშიო. ნება დაურთაეთ, და წაუღებინებია კიდევცა. მაგრამ სიკვდილს მოუსწრია და ის სვეტები ანაკლიაში ჩარჩენილა.

შესანიშნავია აგრეთვე ოზურგეთში 1873 წელს აშენებული სახლი დიმიტრი ქაიხოსროსძის გურიელის; გურიის უკანასკნელი, მთავრის, მამიას ბიძაშვილისა, სადაც ამ ჟამად „ღრუჟინის“ საავადმყოფოა მოთავსებული.

ეკლესია ორია ოზურგეთში,—ორივე ხისაა და საკმაოდ ძველი. ერთს რუსის ეკლესიას ეძახიან და შიგ დადიან სამხედრონი, ხოლო მეორე ქართველებისაა. ორივე ეკლესიას წინ უდევს კოხტა მიწდორი, გარშემო ხეებშემორიგებული.

ოზურგეთში ერთი სასტუმროც არის, სადაც მგზავრს შეუძლია მანეთად იშოვოს საკმაოდ მოწყობილი ნომერი, საზოგადოდ კი ეტყობა, რომ მუშტარი ხშირად არა ჰყავს.

მცხოვრებნი ორსავე სქესისა ოზურგეთში 4, 703 სულს არ აღემატება, ნათ შორის მამრი 3,015-ია და მდედრი—1,688. რამდენიმე მოხელის გარდა, მკვიდრნი სულ ქართველები არიან. ასეთი წმინდა ქართული ქალაქი საქართველოში სხვაგან იშვიათად შეგვხვედრია. ქუჩასა, ეკლესიასა, დუქანში, ყველა საზოგადო შესაკრებელ ადგილას, შინა თუ გარეთ—ქართული ლაპარაკი-ლა გესმით. ათასში ერთთელ რომელიმე მეტი-ჩარა, ვითომ ინტელიგენტი თუ აჯახირებს ქართულს ენასა და ის თუ დაარღვევს ამ საერთო ჰარმონიას და გურიის დედაქალაქის ნიშანდობლივ ელფერს. აქაურები არამც თუ სხვას გადაუბირებია, არამედ თვითონ გამოუჩენია იმდენი სიმტკიცე ხასიათისა, რომ სხვა გადმოურჯულებიათავისებურად, თავის გემოსა და ჭკუაზე. გურულმა ამ შემთხვევაშიც გამოიჩინა თავისი ფხა.

3—4 მოსახლე ქართველი კათოლიკეებიც არიან აქა, გვარად თუმანი-შვილები. ესენი პირველად ექვსნი ძმანი ყოფილან, როცა ახალციხიდან წამოსულან ბედის საქებნელად. პირველად მოსულან ქუთაისში, იქიდან ოზურგეთში გადმოსულან. აქ ვაჭრობისათვის მოუკიდნიათ ხელი, გური-

ელებიც მფარველობას თურმე უწყევდნენ და ერთ დროს შეძლებულთ ვაჭრების სახელიცა ჰქონიათ. ესენი მაშინ ვაჭრობდნენ ოზურგეთში, 1860 წლებში, როცა გურულებს ვაჭრობა, ადლის დაქერა და დახლს უკან დგომა სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდათ.

ოზურგეთის ცხოვრებაში საკმაო სიცხოველე შეაქვს და ვაჭრობას სულს უდგამს აქ დაბანაკებული ჯარი ანუ „დრუჟინა“, რომელიც უმეტესად შედგება გურიისა და სამეგრელოს სოფლებიდან გაწვეულ ახალგაზრდა კაცთაგან; მათი ბინა მოთავსებულია სამსართულიან ქვიტკირის სახლში, რომელიც აშენებულია, როგორც ზევითაცა ვსთქვით, სწორედ იმ ადგილას, სადაც გურიის უკანასკნელი მთავრის სასახლე ყოფილა.

საინტერესო რამ მიაბზეს ამ დრუჟინის შესახებ. ავადმყოფობა ჯარისკაცთა შორის, განსაკუთრებით სტომაქისა, ხშირია. ღომს და საზოგადოდ მსუბუქ საჭმელს დაჩვეული კუჭი, რა თქმა უნდა, ერთბაშად შავ პურს ვეღარ ჰგუობს და ჯარისკაცი ხშირად მსხვერპლი ხდება ამ შეურვევარი საჭმლისა. მიცვალებულთ აქავე, ოზურგეთშივე, მარხავენ. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მეგრელ მიცვალებულთ საფლავში არ აყენებენ... საჭმე ის გახლავთ, რომ მეგრელი თუ უცხო მხარეში მოკვდა, ჭირისუფლები ცდილობენ უეჭველად წამოასვენონ თავის სოფელში და მშობელ მიწას მიაბარონ მიცვალებულის გვამი, თორემ სული მისი ვეღარ მოისვენებს, მთელი თავისი ღღენი დაუსრულებელ ტანჯვა-წვალებებში იქნებაო. ამიტომ, დიდ ცოდვად მიაჩნიათ მეგრელ ჭირისუფლებს მიცვალებულის დამარხვა უცხო მხარეს. რა თქმა უნდა, სადაც ასეთი რწმენაა მიცვალებულის სულის შესახებ. იქ მეგრელი ყოველსავე ჰლონობს მიცვალებული წინაპართა შორის დაასაფლავოს. ჯერ, რა თქმა უნდა, ურჩევნია კანონიერი გზით გავიდეს ფონსა, და, თუ კანონი მის სურვილს გადაელობა, მეტი რა გზაა, კანონს უნდა გადავიდეს.

ოზურგეთში მოკვდება თუ არა რომელიმე ჯარისკაცი, სამეგრელოდან წამოყვანილი, ამხანაგები მშობლებს აცნობებენ, არიქათ, მოეპატრონეთ მიცვალებულსაო. ისინიც აიბარებებიან დაუყოვნებლივ. თუ გადამდებინებითაა ჯარისკაცი მომკვდარი, იციან, რომ არ დაგვანებებენო და, ამიტომ, საფლავიდან ამოაქვთ ქურდულად და ისე მიაქვთ თავიანთი მიცვალებული. როგორც მითხრეს, ოზურგეთში საგანგებო ოსტატებიც არიან თურმე სამარხიდან მიცვალებულის ამოღებისა. ოღონდ კრ აღნიშნონ, აქა მარხიაო, თვალის დახამამებაში მიცვალებული ზევით ამოაქვთ, ხოლო მის მაგიერ ცარიელი კუბო-ლა რჩება. მერე მიაქვს იქავ, წყლის პირას, გამოშვინავს, გარეცხავს, დასჭრის ასო-ასო და ხურჯინებში ჩააწყობს. შემოაკრავს ცხენს და ჭირისუფალს გზას დაულოცავს. რა თქმა უნდა, „ოსტატსა და მაინძელს“ ღირსეული „გასამრჯელო“ ეძლევა.

თუ ჭირისუფალმა „ეს საქონელი“ მდ. რიონზე გაიტანა როგორმე, მერმე შიში არაფრისა აქვს. თავისუფლად შეუძლიან „ტირილი“ გამართოს და ისე გაპატიოსნებული მიაბაროს მიწას თავისი მიცვალებული.

ოზურგეთის სულიერი ცხოვრება.—სწავლა-განათლება.—ქართული სტამბა.—წიგნის მალაზია.—მეტელეთა ამხანაგობა“ ანუ „კამპანია“.—გურიის საეკპრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“ და მისი მოღვაწეობა.—„შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“.—ქალაქის უფასო წიგნსაცავი.—უზუნალ-გაზეთები.—ქალაქის თეთიზართველობა.—ოზურგეთის მოქალაქის ოჯახი.

ამის შემდეგ საინტერესოდ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ გურიის დედაქალაქის შინაგანი, სულიერი ცხოვრება, მით უფრო, რომ ოზურგეთი ცენტრია, შუაგულია, რომლის გარშემო შეჯგუფებულნი არიან დაბა-სოფელნი გურიისა; ეს ქალაქი ასე თუ ისე ტონს აძლევს თვისი ბატარა მოძმეების ცხოვრებას.

ამიტომ, ჩვენ ჩამოვთვლით ყველა იმ დაწესებულებათ, რომელნიც დაარსდნენ ადგილობრივი საზოგადოების მოწინავე, შეგნებული ნაწილის შეცადინებოთ, საკეთილდღეოდ და წარსამატებლად საზოგადო ცხოვრებისა.

ჩვენს გაზეთებში ხშირად იბეჭდება ხოლმე წერილები საზოგადოდ გურიისა და კერძოდ ოზურგეთის შესახებ. თანახმად ამ ნაწერებისა, ეს კუთხე და ეს ქალაქი დიდად დაწინაურებულადა გვაქვს წარმოდგენილი. ჩვენ ვეცდებით დავხატოთ სურათი ოზურგეთისა, რაც შეიძლება, რეალური, რომ მკითხველს წარმოუდგეს ოზურგეთი ისეთი, როგორიც ეს ქალაქი არის ნამდვილად. ოპტიმიზტებს ნუ დაუჯუჯერებთ და ნუ ვიტყვი, ოზურგეთი ჩვენი ქალაქების იდეალიაო. იდიალზედ ჯერ შორს არის ეს ქალაქი, მხოლოდ ეს შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თავის ტოლ ქალაქებს ძალიან გაუსწრო წინ, მისი მკვიდრნი დიდ შნოსა და უნარს იჩენენ მოქალაქეობრივი ცხოვრების გაუმჯობესებაში.

დავიწყეთ სწავლა-განათლებიდან.

ოთხი სასწავლებელი ემსახურება ამჟამად სწავლა-განათლების საქმეს ოზურგეთში: სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებელი, საქალაქო სასწავლებელი, საქალაქო სკოლა და სამრევლო სასწავლებელი. ყველაზე ხნიერი ამ სასწავლებლებში—სასულიერო სასწავლებელია, სადაც, გარდა სასულიერო წოდების ბავშვებისა, საერო წოდებისანიც იზრდებიან. ეს სასწავლებელი დაარსდა 1846 წელს. აქედან გამოსულა თითქმის უმეტესობა გურიის მოწინავე მოღვაწეთა. 1896 წლის 1 იანვრისათვის შიგ ითვლებოდა 208 ყმაწვილი, ყველანი ოზურგეთის მაზრისა. მის შესანახად ყოველწლიურად იხარჯება 11,120 მანეთი¹.

მეორე ალაგი უჭირავს საქალაქო სასწავლებელს, 1874 წელს დაარსებულს, რომელშიაც 303 მოსწავლე ითვლება და რომელზედაც წლიურად იხარჯება 8,205 მანეთი. ეს სასწავლებელი მოსწავლეთა რიცხვით მთელი კავკასიის სასწავლო ოლქის 37 საქალაქო სასწავლებლებში მე-

¹ სტატისტიკური ცნობები სწავლა-განათლების შესახებ ამ წერილისათვის გამოკრებილი გვაქვს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის 1895 წლის ანგარიშიდან.

ხუთეა (1—ეკატერინოდარისა (541 მოსწავლე), 2—ქუთაისისა (316), 3—სტავროპოლისა (316), 4—ზუგდიდისა (309) და 5—ოზურგეთისა (303)—საქალაქო სასწავლებელთან დაარსებულია სამეურნეო განყოფილებაცა, რომელიც ჯერ-ხანად მეტად უნუგემო მდგომარეობაშია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქალაქმა, ისე ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობამ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინეს, როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი.

შემდეგ მისდევს საქალებო ერთ-კლასიანი სკოლა, 1879 წელს დაარსებული. შიგა სწავლობს 112 ქალი, უმეტესად ოზურგეთის მკვიდრთა. ამ სკოლას ინახავს ამისათვის მკვიდრთაგან ამორჩეული მზრუნველი კომიტეტი. წელიწადში ეხარჯებათ 1,400 მანეთი. სკოლას ვერ ემადლიერებიან, და დღეყოველ იმასა სთხოვენ, ჩვენ ენაზედაც გვინდა ჩვენმა ქალებმა ისწავლონ რამეო.

დაგვრჩა სამრევლო სკოლა, 1893 წელს დაარსებული; მასში სწავლობს 58 ბავშვი.

ამ ციფრებიდანა ჩანს, რომ ოზურგეთში 681 მოსწავლე სწავლობს, რომლებზედაც წელიწადში ეხარჯებათ 20,745 მანეთი.

მაგრამ ეს სკოლები ყველა მთხოვნელებს ვერ აკმაყოფილებს, ამ უკანასკნელ წლებში მაინც. ხშირია, როცა სასწავლებლიდან უკან გაუბრუნებიათ შიგ შესვლის მსურველი. ახლა გადაწყვეტილია სამრევლო საქალებო სკოლაც მოუმატონ სკოლების ხსენებულ რიცხვს. გარდა ამისა, ოზურგეთის თვითმმართველობაცა ცდილობს ოზურგეთში პროგინაზია გაახსნეინოს როგორმე მთავრობას.

ამ ექვსი წლის წინათ საქართველოში ქართული სტამბა მხოლოდ სამგან იყო: თბილისსა, ქუთაისსა დი ბათუმში. ამ დროს, 1890 წელს, ოზურგეთის მკვიდრი, კ. თავართქილაძე, დ. კილაძის ამხანაგობით, ოზურგეთში სტამბასა ხსნის, რომელშიაც ჯერ უბრალო ბლანკები და ქორწილ-ტირისში მოპატიყების წერილები იბეჭდებოდა; მერე აქ დაბეჭდილი წიგნებიც დაინახა საზოგადოებამ. აქ დაიბეჭდა, სხვათა შორის ორჯერ, შოთას უკვდავი პოემა: ოზურგეთის ისტორიაში საპატიო ალაგინეჭება დათმობილი სტამბის დაარსების ამბავს.

სტამბას მოჰყვა წიგნის მალაზია, საიდანაც თავის დროზე შეეძლო საზოგადოებას ახლად გამოსული ქართული წიგნის ყიდვა. ესეც დიდი ნიშანი იყო წინსვლა-წარმატებისა. შეუწყვეტელი კავშირი გაიმართა ოზურგეთსა და საქართველოს ცენტრ—თბილისის შუა; ინტერესი აღიძრა საზოგადო საქმის შესახებ ლაპარაკისა, სჯა-ბაასისა.

1890 წელს თბილისში დაარსდა პირველი „ამხანაგობა“ წიგნების გამოცემისა. ამ ამხანაგობას ბანი მისცა ყველაზე წინ ოზურგეთმა. ამ ხანებში, სხვათა შორის, საქირ-ბოროტოდ გახდომოდა ოზურგეთს ნატანებსა და ოზურგეთს შუა მგზავრთა გაჭირება. მეეტლეთა თავგასულობას საზღვარი არა ჰქონდა: უნდოდა არ წაგიყვანდა მგზავრს, უნდოდა—

თუმანს გადავხედვენივდა, დამშლელი არაგინა ჰყავდა. ასეთი უწყსობმა ჟანსაკუთრებით საგრძნობელი იყო ოზურგეთის ვაჭრებისათვის, რომელთაც, საქმეებისა გამო, ხშირად სჭირდებოდათ ხოლმე ნატანებს ჩასვლა.

ფილა მოთმინებისა პირთამდე რომ მოიყარა, ზოგიერთებმა სთქვეს: მიდი, ამხანაგობა დავაარსოთ და კერძო მეეტლეთა ფარფაშს ბოლო მოვუღოთო. თქმა და ასრულება ერთი იყო: შეადგინეს ეგრედ-წოდებული „მეტლეთა ამხანაგობა“, წილის ფული თითოეულის წევრისათვის 20 მინეთი დანიშნეს და დაიწყეს კიდევ მოქმედება. კაცის თავზე ოზურგეთიდან ნატანებში და იქიდან უკან ამოყვანაზე ეტლით ათი შაური და-აწესეს, ხოლო დილით—ექვსი შაური. გაიძახოდნენ, „ამხანაგობა“ წააგებსო, მაგრამ ზარალის მავიერ ორნაირად მოიგო: ჯერ ერთი, ახერა პაის პატრონები, რომელთა რიცხვს დღითი-დღე ემატებოდა, და მეორედ—მგზავრს მეტისმეტად გაუადვილა და გაუფხვა მისვლა-მოსვლა. ამხანაგობას ამ უამად 250 წევრი ჰყავს. შეძენილი აქვს შიგ ქალაქში 2.000 კვად. მეტრი მიწა, აიგო შენობები, გაიკეთა ეტლების საკეთებელი ქარხანა, დაიქირავა ოსტატები, რომლებიც ადგილობრივად აკეთებენ ეტლებს, მარხილებს და სხვ.

ეს პირველი „ამხანაგობა“ იყო გურიაში. პირველმადე ნაბიჯმა ნათლად დაარწმუნა ყველანი, რომ საერთო ღონით ყოველთვის მეტი გაკეთდებაო, ვიდრე ცალ-ცალკე დაყოფილი ძალითაო.

ნავსი გატყდა. პირველ ნაბიჯს მეორე მოჰყვა.

თუ საზოგადოდ საქართველოს შესახებ ითქმის—მეურნეობის დედააო, ამ სახელის ღირსია კერძოდ მისი ერთი საუკეთესო ნაწილი—გურია. ყველაფრით არის შემკული ეს მხარე: ნაყოფიერი ნიადაგით, უხვი მცენარეულობით, ზომიერი ჰავით. ყველა ეს ისეთი პირობებია, რომ მეურნე თავისი შრომისათვის ერთი-ასად ჯილდოვდება. მხოლოდ ეს ბუნებრივი სიმდიდრე შემშუშავებელს მოელის, მოელის შეგნებულ მუშას, რომელიც გონივრულად გამოიყენებს ბუნებისაგან მუქთად მოწვდილ სიუხვეს. მეურნეობა კი ამ სამეურნეო მხარეში ჯერ ისევე პირველყოფილ მდგომარეობაშია. იქ, სადაც ყოველ უმაღლეს კულტურას, ჩაის მცენარისა და ფორთოხალ-ლიმონ-ზეთისხილიდან მოკიდებული, შეიძლება მოჰკიდოს კაცმა ხელი, მთელი მეურნეობა მარტოოდენ სიმინდის თესვით განისაზღვრება: იქ, სადაც საუკეთესო ჯიშის ვაზის მოშენება და შამპანისებური ღვინის დაყენება შეიძლება, მწკლარტე „ადესის“ ღვინის კეთებას სჯერდებიან; იქ, სადაც ბუნება ხელს უწყობს მეოჯახეს აბრეშუმის ქია წელიწადში ორჯერ გაიჩინოს და საუკეთესო აბრეშუმეულობით უცხო ქვეყნებს კონკურენცია გაუწიოს, სწორედ ამ უცხო ქვეყნიდან შემოტანილ აბრეშუმეულსა აქვს ბზარი.

სხვათა შორის, როგორც ზევითაცა ვსთქვით, გურიაში აბრეშუმის ქია შესანიშნავად ხეირობს. მართალია, აქ ღიდალი აბრეშუმის მოწევა

შეიძლება, მაგრამ, სავალალოდ, გურია დღემდე სხვის მუშად ითვლება. ამის მაგივრად, რომ თვითონა ნახოს რაიმე ხეირი, მისი ნაოფლარითა სხვა, მუქთანხორა, უშრომლადა სარგებლობს. რაკი გურიაში ნაქსოვი აბრეშუმეულობა ადგილობრივ ბაზარს არა სცილდებოდა და არც აქაურების მიერ ტლანქად ამოღებულ ძაფსა ჰქონდა გასაველი, ჩარჩებმა გურულებსაგან მარტო აბრეშუმის ქიის პარკის ყიდვა დაიწყეს. ფუთ პარკში 4—5 მანეთს აძლევდნენ ეს ჩარჩები და მერე იმავე ფუთ პარკს ხუთ თუმნად ჰყიდდნენ, ესე იგი, მწარმოებელი სჯერდებოდა იმის შეათედს, რასაც ჩარჩი მზამზარეულ საქონელში იღებდა. მოდი და ნუ დასჯერდები, როცა თავზევით ძალა არა გაქვს! გურული წყველიდა ჩარჩს, „ულეთო“-ს, „იუღის კერძს“ ეძახდა, მაგრამ ბოლოს მიინც იმავე „ულეთოს“ უნდა დაღრეჯოდა: „შენი ქირიმე, წაილე, გამისალო“.

ძალზე გამწვავდა საქმე. შეგნებულმა ნაწილმა ადგილობრივი საზოგადოებისამ გადაწყვიტა მიჰმველებოდა მწარმოებელს, ესხნა ჩარჩის ხელიდან, შუამავლად გაჰხდომოდა მწარმოებელსა და მომხმარებელს და მათი ცხოვრებაც გაეუშჯობესებია და წარმოებაც გაეძლიერებია.

უნდა დაეარსებიათ ამხანაგობა. ამ ამხანაგობას აზრად უნდა ჰქონოდა: გავერცელებინა გურიაში მეაბრეშუმეობა; საქმე ისე დაეყენებია, რომ გურიიდან შეუშუშავებელი მასალა კი არ გაეზიდნათ, არამედ შემუშავებული, და ფული, შრომის ფასი, ერთი ოცად დატრიალებულიყო გურიაშივე. რა თქმა უნდა, არც თავის-თავი უნდა დაჰვიწყებოდა ამ მომავალ ამხანაგობას. დროც ხელს უწყობდა: ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში მარტოოდენ „ამხანაგობის“ დაარსების შესახებ ლაპარაკობდნენ, ხალხი თანაგრძნობით ეკიდებოდა ამხანაგობის დაარსების აზრს.

ბოლოს, 1896 წელს, დაარსდა ეგრედ-წოდებული „შუამავალი“, ანუ გურიის სავაქრო-სამრეწველო ამხანაგობა, რომელშიც ყველას შეუძლია ჩაეწეროს, თუ კი საწევრო ფულს, ერთ თუმანს, წარმოადგენს. საუკეთესო ნაწილი ოზურგეთისა, და კერძოდ გურიის მკვიდრთა, დიდი აღტაცებით მიეგებნენ ამ ახალ ამხანაგობას, რომელსაც „შეძლო შეეცვალა მათი მდგომარეობა, შველა, დახმარება მიეცა“.

პირველში „შუამავალს“ 500 მანეთი-და შეუგროვდა საწევრო ფული. რა თქმა უნდა, ამ თანხით შორი მანძილის გავლა არ შეიძლებოდა. რადგან საქმის დაწყება ექარებოდათ, ხოლო ფული არ ჰქონდათ, 8,000 მანეთი ისესხეს. მოქმედების რაიონად პირველად აირჩიეს დ. ლანჩხუთი. აქ იყრიდნენ თავს აბრეშუმის პარკის მყიდველები. რა თქმა უნდა, ამათ არ ექაშნიკათ მეტოქის ნახვა და ისიც შინაურისა.

პირველ წელიწადსვე „შუამავალმა“ აბრეშუმის პარკის ფასი ერთ-ორად ასწია: 4-5 მანეთის მაგივრად ერთ ფუთ პარკში 10 მანეთს აძლევდა. უცხოელები იძულებული გახდნენ ამ ფასად ეყიდნათ პარკი. ამ მეტოქეობით სარგებლობდა გლეხი—მწარმოებელი. გლეხმაც მოიგო იმ წელიწადს და „შუამავალსაც“ 1,300 მანეთი წმინდა მოგება დარჩა.

ლანჩხუთშივე გახსნა „შუამავალმა“ სახელოსნო, აბრეშუმის ძაფის ამო-
სართავად, გამოიწერა მანქანები ხონის მეაბრეშუმეთა ამხანაგობისაგან
და სოფლის ქალებს მშვენიერი წმინდა ძაფის ამოღება შეასწავლა.

ამავე დროს „შუამავალმა“ გახსნა განყოფილებები საჯვებოსა და სოფ-
ლებზეში (ოზურგეთის ახლო). შეიძინა მიწა, ზოგიც უსასყიდლოდ შეს-
წირეს მემამულეებმა (მამულაიშვილებმა დეაბზეში). მეორე წლისათვის,
„შუამავალმა“ 4,000 მანეთის საღი თესლი ნისიად დაურიგა ხელმოკლე
სოფლელებს. ამით დიდი თანაგრძნობა და პატივისცემა დაიმსახურა. ნორ-
ჩმა ამხანაგობამ საზოგადოებისა და წვერთა რიცხვი თან-და-თან ემატე-
ბოდა.

თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არც მოწინააღმდეგეთ ეძინათ; განსა-
კუთრებით ვაქრებს. ესენი ჰფიქრობდნენ და დღესაც იმ აზრისანი არიან,
რომ „შუამავლის“ გაძლიერება, კერძო, სათითაო ვაქრებს თუ ბოლოს
არ მოუღებს, არც ხეირს დააყრისო; თუ გაძლიერდა ეს ამხანაგობა,
ხელში ჩაიგდებს მთელ ალებ-მიცემობას და ჩვენს დუქანს აგვალაგე-
ბინებსო. აი, სწორედ ვაქრობის ერთის ხელში მოსალოდნელმა კონცენტ-
რაციამ დაუფრთხო ძილი ვაქრებს და გადასწყვიტეს ხელი შეეშალათ.
„შუამავლის“ მოქმედებისათვის, ფრთის გაშლის ნება არ მიეცათ.

ამ გაზაფხულზე ოზურგეთში ისეთ ვაქრებს დაუწყიათ თურმე აბრე-
შუმის ქიის პარკის ყიდვა, რომელთაც თავის დღეში არ უყიდნიათ პარ-
კი, და აბაშასა და ლანჩხუთში ჩამოსულ ჩარჩებისათვის მიეწოდებიათ.
მიუხედავად ამისა, „შუამავალი“ უფრო გაორკეცებული მხნეობით მოქმე-
დებდა. წლეულს 16,000 მანეთის პარკი უყიდნია, გაუშვრია თავის ფარ-
დულებში და ასე მომზადებული პარკი ფუთი 43 მანეთად გაუყიდნია.
ყოველსავე ხარჯს გარდა, „შუამავლის“ წვერებს, 4,000 მანეთი წმინდა-
მოგება დარჩენიათ.

როგორცა ვთქვით, ნდობა დიდი დაიმსახურა „შუამავალმა“. დილაც
ეკნება ნდობა ისეთ დაწესებულებას, რომელიც წონაში არავის ატყუ-
ებს, ფულს ნაღდად აძლევს და, ამასთან, სხვაზე მეტს თუ არა, ყოველ-
სავე შემთხვევაში, ნაკლებს მიიხსნის არ აძლევს საქონლის პატრონს.

„შუამავალმა“, გარდა აბრეშუმისა, მიმდინარე წელს ბაზარი გაუჩინა.
გურიის სოფლების ხილსაც. გურიაში ხილი აუარებელი მოდის და,
ამასთან, კარგი ღირსებისაც, მაგრამ პატრონი კი ხეირს ვერასა ხედავს:
ან შენახვა არ იცის, ან ვერ გაუგზავნია სადმე სხვაგან და რიგიან ფა-
სებში ვერ გაუსაღებია. თუ გაიტანა, ოზურგეთს ვერ გასცდება. დღეს
კი ალებ-მიცემის საგანი გახდა: თაფლი, თაფლის სანთელი, თხილი,
ვაშლი და სხვ. ყველაფერში ერთი-ორად ასწია ფასები „შუამავალმა“.
თხილი წინა წლებში ექვს აბაზს ზევით არ გაყიდულა ფუთი, წლეულ-
კი „შუამავალი“ ცამეტ აბაზადაც ჰყიდულობდა ფუთს. თაფლის სანთ-
ლის ფასი 16—18 მანეთი იყო ფუთზე. წლეულ 22 მანეთს იღებდნენ

სოფელური იმავე საქონელში. ბაზარი გაუჩინა აგრეთვე ვაშლს, მსხალს, ბროწეულს. მარტო თხილი 2,200 მანეთისა იყიდა „შუამავალმა“, ვაშლი, მსხალი და ბროწეული—2,400 მანეთისა, სანთელი—1,200 მ., თაფლი—1,600 მანეთისა. ყოველივე ეს მიდის რუსეთის ქალაქებში და კარგი მოგებაცა რჩება ამხანაგობას.

ამავე დროს მოქმედობს ქ. ოზურგეთში „შემანახველ-გამსესხებელი“ ამხანაგობა, ოზურგეთის მკვიდრთაგანვე შემდგარი. 20 წელიწადზე მეტია, რაც ეს ამხანაგობა ოზურგეთში არსებობს. ოპერაცია მისი, ცოტა არ იყოს, შეფერხებული იყო აქამდის, რადგან საქმის მმართველებმა ცოტა ახირებულად შეხედეს ამ საქმეს. მთელი ამხანაგობა რამდენსამე კაცს ჩაუვარდა ხელში, ისინი იყვნენ სარევიზიო კომისიის წევრებიცა და გამგეობისაცა. ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ უფროსებმა მკვიდრთაგანმა არც კი იცოდნა, თუ არსებობდა ოზურგეთში ამისმაგვარი—რამ საკრედიტო დაწესებულება. ამ ზაფხულში ინტელიგენცია ჩაერიო საქმეში, ახალი წევრები აირჩია როგორც გამგეობისა, ისე სარევიზიო კომისიისა, ასე რომ, იმედია, ეს დაწესებულება ჯეროვან სამსახურს გაუწევს ოზურგეთის ხელმოკლე მკვიდრთა.

ახლა შევიხედოთ აქაურს საქალაქო წიგნსაცავში, რომელიც ქალაქის თვითმმართველობის მეთაურობით დაარსდა ამ ზაფხულს. ოზურგეთმა ამ მხრივ, თბილისის და ქუთაისის შემდგომ, ყველა ჩვენს დაბა-ქალაქებს გაუსწრო, თვით ბათუმსა და ფოთსაც კი, რომელთაც ოზურგეთი ქონებრივად ვერც კი შეედრება. წიგნსაცავს ერთი კარგი მოზრდილი ოთახი აქვს დათმობილი ადგილობრივ კლუბში. რუსულ განყოფილებას ამშვენებს ნაწერები რუსეთის საუკეთესო მწერალთა: ნეკრასოვისა, გოგოლისა, ლერმონტოვისა, შჩედრინისა, ტურგენევისა, ლ. ტოლსტოისა და სხვ. რამდენიმე სამეცნიერო წიგნებიც ურევია რუსულ ენაზედვე. ქართულ განყოფილებაში შეხედებით, რა თქმა უნდა, ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერებს და სხვა გამოცემათა. წიგნები დაკაზმულია სადად და მაგრად და მოთავსებულია ორ განჯინაში. მათი რიცხვი 600-ს გასცდება. წიგნსაცავი ახალ-ახალ წიგნებსაც იძენს შეძლებისადაკვალად და აზრად აქვს ისეთნაირად მოეწყოს, რომ შიგ ინტელიგენტ კაცს ყოველგვარი წიგნის მოპოება შეეძლოს. კავკასიის დროგამოშვებითი გამოცემანი წიგნსაცავს ყველა მისდის. რუსეთიდან რამდენიმე საუკეთესო თვიური ჟურნალი და გაზეთიც აქვს გამოწერილი.

ყველას შეუძლია წიგნსაცავში შესვლა და უსაყიდლოდ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვა. ხოლო ვინც შინ წაიღებს, მცირედ ფასს იხდის. მკითხველები წიგნსაცავს არ აკლია, მათი რიცხვი დღითიდღე მატულობს. უმკველია, თავის დროზე ეს ნორჩი დაწესებულება დიდ სამსახურს გაუწევს აქაურებს, განსაკუთრებით აქაური ვაჭრების ნაჭრებს, რომელთაც აქამდე არ იცოდნენ თავისუფალი დრო რისთვის მოეხმა-

რათ. წიგნსაცავს გავლენა ექნება აგრეთვე ყომარბაზობისა, სამიკიტ-
ნოებში ფუჰად დროების ტარების და ათასგვარ უწყისოების შემცი-
რებაზე.

წიგნსაცავს უვლიან აქაური ქალები. შვიდ ქალს აქვს ნაკისრი კვო-
რაში ერთხელ მორიგედ იყვნენ ხოლმე. საუტხოვო წესიერებაა წიგნების
კითხვის დროს წიგნსაცავში.

წიგნსაცავი ქველმოქმედთა ფულით არის დაარსებული, ხანაც წარ-
მოდგენები და სალიტერატურო საღამოები გაუმართავთ მისს სასარგე-
ბლოდ. დღესაც ზისდის წიგნსაცავს სხვადასხვა კუთხიდან შემოწირუ-
ლება თუ ფულით, თუ წიგნებით.

ამავე წიგნსაცავში ყოველკვირაობით შეკრებილ საზოგადოებას უკით-
ხავენ ხოლმე სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს, და ეს საქმე ჩა-
ბარებული აქვთ აქაურ ქალებს. სხვა ქალაქებში მკვიდრთათვის ასეთი
საქმე უცხოა. სწორედ სანუგემო საყურებელი გახლავთ, როცა კვირაობით
სახლიდან გამოსული ხალხი, ათასფრად მორთულ-მოკაზმული, ქალი თუ
კაცი, სამკითხველსაკენ მიემზურება, წიგნი უნდა წაიკითხონო.

საინტერესოა აქვე ჩაურთოთ სია კავკასიის იმ ჟურნალ-გაზეთებისა,
რომლებიც ოზურგეთის მკვიდრთ მოსდით. „ივერია“—28, „მეურნე“—28,
„ცნობის ფურცელი“—26, „კვალი“—22, „მომამბე“—8, „ჯეჯილი“—8,
„მწყემსი“—7, აკაკის „კრებული“—14, „ახალი მიმოხილვა“—18, „კავ-
კაზი“—8 და „ტფილისის ფურცელი“—1.

ზემოთ აღნუსხულ დაწესებულებათ ოზურგეთის ინტელიგენციამ მხარ-
ში ამოუყენა ახალი ამხანაგობაც,—მე მოგახსენებთ ცენტრალური წიგ-
ნის მალაზიის დაარსების შესახებ, რომელიც იმავე საამხანაგო წესით
იხსნება, როგორითაც გაიხსნა აქ არა ერთი და ორი დაწესებულება.
ყოველი წევრი იხდის თითო თუმანს. ამხანაგობის ინტერესი მოითხოვს—
მისს წევრებად მომეტებულად მასწავლებელნი იყვნენ. აზრადა აქვს:
მთელი გურიის სკოლებს, წიგნსაცავებს, სასოფლო კანცელარიებს მია-
წოდოს ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები, საკან-
ცელარიო ნივთები და სხვ. ერთის მხრით უნდა გააადვილოს დასახელე-
ბული ნივთების შეძენა, და მეორედ—შედარებით, იაფად მიაწოდოს
მუშტარს. აქამდე ამ მხრივ გურია დიდ გაკარვებაში იყო: რვეული,
რომელიც თბილისში 2 კაპეიკად იყიდება, ოზურგეთში ან სხვაგან,
მედუქნემ შეგირადს უტკველად შაურად ან მეტად უნდა მიჰყიდოს. ამ-
ნაირადვე იყიდება წიგნებიცა. გარდა ამისა, უბრალო წიგნის შეძენა რომ
უნდოდეს კაცს, უნდა, უეჭველად, თბილისიდან გამოიწეროს. ფოსტის
ხარჯს თქვენი კირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ სანამ რომელიმე
მიყრუებულ სოფლამდე გამოწერილი წიგნი მოაღწევდეს, ერთ თვეზე
მეტე მინც გაივლის. ხსენებულ ამხანაგობას გადაწყვეტილი აქვს პირ-

დაპირ თბილისთან და რუსეთის მექარხნეებთან დაიჭიროს საქმე და იქიდან დაიბაროს ყოველივე მასალა უშუამავლოდ, რომ თვითონაც იაფად დაუჯდეს და მუშტარსაც მცირედი გასამრჯელო გამოართვას. ერთიც იქნება მოგებული და მეორეცა. მოგების გარდა მუშტარი მადლობელიც დაჩივბა.

საზოგადოდ, მთელ ქალაქსა და კერძოდ ამ „ამხანაგობათა“ და დაწესებულებათ დარაჯად უდგა ქალაქის თვითმართველობა, შემოღებული 1896 წელს. ქალაქის თავად მოწვეული ჰყავთ ახალგაზრდა უნივერსიტანტი, ოზურგეთის მაზრისავე მკვიდრი. რაც აქამდე დააკლდა ქალაქს უბატრონობითა და მოუვლევლობით, ახლა ცდილობს თვითმართველობა, შეივსოს. მართალია, მთელი წლიური ბიუჯეტი ქალაქისა სამას-ოთხას თუმანს არ აღემატება, მაგრამ ამით გულს არ იტებს თვითმართველობა, გაორკეცებული მხნეობით ეკიდება ყოველსავე დაბრკოლებასა. ბევრი კითხვები აღძრა თვითმართველობამ, რომელთაც სამაზრო მნიშვნელობაცა აქვთ. თვითმართველობამ შეაფასებინა ქალაქის უძრავი ქონება შემოსავლის კვალობაზე, თვითმართველობა ცდილობს ოზურგეთში საეაყო პროგინაზია დააარსოს, თვითმართველობამ გაუხსნა მკვიდრთ საჯარო წიგნსაცავი, თვითმართველობავე ცდილობს სამუდამო თეატრი შეაძენინოს ოზურგეთსა, ბოლოს, თვითმართველობავე თავობს ოზურგეთში საეკიმო თავშესაფარის დაარსებას და ექიმის მოწვევასა და სხვ...

სანუგეშო ის არის, რომ იმ დროს, როცა ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებსა, იმათაც კი, სადაც თვითმართველობა არის შემოღებული, სალათას ძილითა სძინავთ, ოზურგეთი, ეს პატარა და ღარიბი ქალაქი, წლებზე ფებს იდგამს, აწუხებს ცასა და ქვეყანას: ეს გვინდა, ეს გვესაჭიროება, ეს დაგვიარსეთო!... აქაც ყველზე მეტად აშკარად ჩანს გურულის ცოცხალი ბუნება: ათასნაირ გზას ეძებს—გასაჭირს მოუაროს, ოღონდ კი ფონს გავიდეს სადმე. გულს იმედი გესახებათ, როცა იმათ უყურებთ...

დასასრულ, შევიხედოთ აქაურ ოჯახშიაც. ყველაფერს ცხადი ნიშანი ეტყობა კულტურულობისა, ან სურვილი მაინც აქვთ ამისი. მთელ ოზურგეთში ოთხი მანდილოსანი დაეინახე ქართულად თავდახურული: ორი მათგანი, ხანში შესულები, გურიელების ოჯახს ეკუთვნოდა და ორიც მღვდლებისა იყო. შიდაპრელი ლაპარაკი აქაც იკიდებს ფებს, განსაკუთრებით ეგრედწოდებულ ინტელიგენტურს ოჯახებში. გურული კილოც სიმღერისა თანდათან ადგილს უთმობს „ვეროპულს მოტივებს“. ყოველ ოჯახში ნახავთ გიტარასა, ამასთან, ყველა გასათხოვარს სირხცვილად მიაჩნია ზედ დაკვრა არ იცოდეს. სამწუხაროდ, ჩვენი ხმატკბილი ჩონგური ყველას დაეიწყნია, აბუჩად აუგდია. მთელი ოზურგეთი რომ შეძოიაროთ, გაგიჭირდებათ მისი ნახვა. ჩონგურზე დაკვრა თუ იცინა,

ისევ ძველებმა. ვერც დაირასა ნახავთ სადმე. ერთი საიდუმლო ენაც-
იციან ზოგიერთ ოჯახში. ამ ენაზე ისე მარდად და ადვილად ლაპარაკობენ,
როგორც ქართულად. საიდუმლო ამ ენისა ის არის, რომ მიტელ-
სიტყვას უკუღმა ამბობენ.

ახლა გადავიდეთ აქაურ სოფლებზე.

V.

ოზურგეთიდან შემოქმედამდე.—გარეგნობა აქაური სოფლისა.—გზა.—მეზი-
ლე გოგო-ბიჭები.—„ჯვარი“.—შემოქმედელნი.—დუმბაძიანთ გვარი.—
მიტროპოლიტი იაკობ დუმბაძე.—მდ. ბუჯი.—უნიღობა.—ეშმაკების ბუ-
ნაგი და მამა გიორგი დუმბაძე.—მღებარეობა შემოქმედის მონასტრისა.—
ძველი სიმდიდრე მონასტრისა.—მისი გაქურდვა.—შემოქმედის „გულანი“.—
წინაპართა შრომისმოყვარეობა.

გურიაში საპატო ადგილი უჭირავს სოფ. შემოქმედს თავისი დიდ-
ბული წარსულით. აქ ძველის-ძველიდან აღმართულია დიდი მონასტერი.
სადაც ისხდნენ მიტროპოლიტები, „შემოქმედლებად“ წოდებულნი,
რომელნიც ქრისტიანობას იცავდნენ და იფარავდნენ მაჰმადის სარწმუ-
ნეობის ფანატიკოს აღმსარებელთაგან. დიდებული წარსულის მოსაგო-
ნებლად ეს მონასტერ-ტაძარი დაგვშენია.

შემოქმედი ოზურგეთის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს, 5 კილო-
მეტრის მანძილზე. ზაფხულობით ყოველ ნახევარ საათში გადის ოზურ-
გეთიდან ჯაგვი ამ სოფელში წამსვლელთათვის. კაცის თავზე ახდევინებენ
სამ შაურს. ხალხი ბლომად დადის აქეთკენ, რადგან ზაფხულობით შე-
მოქმედის ჰავაც განთქმულია.

გკათათვის სიცხე იდგა. მწვანე ხავერდის სამოსელს ბუნებისას მზე
ბლუჯა-ბლუჯა აყრიდა სხივების კონას, როცა ოზურგეთიდან გავედით-
ჯაგვზე მხიარულმა კამპანიამ მოიყარა თავი. არც ახალუბ-შემოგლეჯილი,
გაქნილი, გურული მეჯაგვე ჩამორჩა ენის სიმახვილეში ჩვენი კამპანიის
წევრებს. მხიარულად გავედით ოზურგეთიდან, სიცილით; სტუმართ-
მოყვარულად შემოგვეგება ბუნებაცა და სოფელიცა.

მარჯვნივ დაგვრჩა ფერდობზე წამოდგმული ორსართულიანი სახლი
ქაიხოსრო გურიელისა, გურიის ეპისკოპოს გაბრიელის (ტუსკიას) მიერ
შექანილი, სადაც ეს უკანასკნელი 1882 წელს გარდაიცვალა. ქალაქიდან
გავედით, მაგრამ კარგა ხანს ვერ შევამჩნიე საზღვარი სოფელსა და ქა-
ლაქს შუა,—ისე ჰგავდა ერთი მეორეს, ისე ცოტა იყო მათ შორის
კონტრასტი. იგივე სარკმლიან-ბუხრიანი ოდები. იგივე სეგებით სავსე
და შემოლობილი ეზოები, მცირედი განსხვავებით, სახელდობრ: სოფ-
ელს უფრო მეტი შემოელობნა ეზო, ვიდრე ოზურგეთის მოქალაქეს-
ყველა ეზოში გამოქიმულია მშვენიერი. ყაერთ გადახურული ფიცრული

ძახლები აქაური გლეხისა: ორ-ორი სარკმელი, ფარდებიანი, კონტად ვასცქერის გზას. განიერი აივნის რიკულზე გადაფენილია გასამწვევებლად შშვენიერი ლოგინი, რომელიც ქართელს ან იმერელ გლეხს სიზმარშიაც გაუჭირდება ნახოს. საამო სურათის დასამთავრებლად გურული ლამაზი ქალი თამამად ვასცქერის ცნობისმოყვარე თვალებით გამვლელსა.

მხოლოდ ათასში ერთგან თუ დაარღვევს ამ საერთო ჰარმონიას დაფეხვილი, ისლით გადახურული და განზე წაწოლილი ფიცრის სახლი შეტად ხელმოკლე გლეხისა. ეზოს ღობე სანახევროდ დანგრეულია, კოლინდრის მაგიერ შამბია ამოსული, სქელ კანიანების ჩამომავალს არაკინ უშლის თავისუფლად ცხოვრებას. ისიც დინგით ჩიჩქნის მიწას და სახნისგავლებულს ამსგავსებს იქაურობას, ან ლენჯუკოში განცხრომითა ჰგორაობს. ცხვირწინ, გამოზნექილივე ნალია (სასიმინდე) დგას, ქვეშ აწყვიტა: აქაური პატარა ტანის, ბრტყელ-თვლებიანი ურემი, სახნისი და დაწნახელი.

დასასრულ, ჰასთან, რომელიც აქ ყოველ ეზოშია, გლეხის ქალი, დიასახლისი, მეტად თავისუფლად ჩაცმული, ქვაბით წყალს აცხელებს, წინ ვობი დაუდგამს და სარეცხსა რეცხავს. ჩვენს დანახვაზე ხოხობივით თავსა ჰმალავს. რამდენიმე, დედიშობილა ბალები გარს შემოხვევიან და ქოჭში პაწია წისქვილებს აკეთებენ.

გზა მშვენიერია, ვიწრო რომ არ იყვეს. ორი ურემი ერთმანეთს რომ შემოხედება, ერთ-ერთმა უეჭველად თხრილისაკენ უნდა გადაუხვიოს, თორემ ისე ერთი-მეორეს გზას ვერ უქცევს. გზის იქით-აქეთ მთლიანი ღობეა გავლებული. ყველგან თხმელები და ზედ გაშვებული ვაზებია. ხან სიმინდის ყანები იწყება, აქა-იქ ღომიც გამოჩნევა.

გზის პირას სოფლის გოგო-ბიჭები დგანან და მგზავრს წინ ელობებიან. ზელში ან ხილით სავსე კალათები, ან კიდე ვარიები უჭირავთ და ბროლივით თეთრი, მიჯრით მიწყობილი კბილების გამოჩენითა ვთხოვენ: „ჩემო ბატონო, იყიდეთ, იაფად მიირთვიეთ“. განსაკუთრებით პატარა ქალების, ან როგორც აქ ეძახიან, „ციცების“ სილამაზე იპყრობს ძალაუნებურად თქვენს ყურადღებას. ფეხშიშველად, თავთ არა ხურავს-რა, ტანისამოსიც ძლივას უფარავს სიშიშვლეს, მაგრამ ამნაირადაც მიმზიდველია მისი ცეცხლის მფრქვევი შავი თვალები, მზემოკიდებული, სანდომიანი სახე. ხანდახან მარტო იმისთვის ევაჭრები განგებ, რომ ნეტ-ხანს ვუცქიროვო. თან საკვირველი ერთი გარემოებაც არის, უმრავლესობა შავვერემანები არიან, მაგრამ მათ გვერდით ხედავთ სრულებით ქერას, თითქმის, თეთრ-თმიანს, ქროლა-თვალებიანს. ძალაუნებურად ეკითხებით თქვენს თავს, საიდან დაიბადა ეს სხვადასხვაობა ტიპისა?

გავიარეთ სოფ. კვირიკეთი, რომელსაც, მსგავსად აქაური სოფლებისა, რამდენიმე ოთკუთხი კილომეტრი სივრცე ადგილი უჭირავს. გვერდით დაეტოვეთ სოფ. ქალა. ამასობაში წამოვეწიეთ მეორე ჯაგვს. ზედ ქალები-ლა ისხდნენ. სანამ დაფუმბარდამხარდებოდით, ერთმა წვერმა

ჩვენი კომპანიისაჲ, ჯაგვიდან გადაიწია, თურმე იმათ ათვალეირებდა-
თავი ვერ შეიმაგრა და თქვენი მოწონებული სასახლე ააგო. მის იღბალ-
ზე, ლობე შეხვდა იქვე და იმან შეიმაგრა, თორემ მისი სახე საექიმო
გავიხდებოდა. ჯერ ერთი უბედურება ვერ მოენელებინა ლამაზთა სქესის
თაყვანისმცემელსა, რომ, გულის გასახეთქად, მეორე უბედურება ზედ
დაერთო. ჯაგვიდან გადმოვარდნილ კავალერის ნახვაზე წინწასულმა
ქალებმა სიცილი ვერ შეიკავეს. ერთი თანაგრძნობის სიტყვაც კი არ
უთხრეს... ასეთმა გულქვაობამ ჩვენი თანამგზავრი საგონებელს ჩააგდო.
და, ცოტა არ იყოს დაღონებული, ჯაგვზე დაჯდა.

ხუთი კილომეტრი ისე გავიარეთ და ისე ავედით შემოქმედში, რომ
არც კი შეგვიტყვია. სოფლის შუა ადგილას, რომელსაც „ჯვარს“ ეძა-
ხიან, რამდენიმე დუქანია ხისა, ზოგი საფართლე, ზოგიც საწერილმანო..
თავში უდგას მშვენიერი შენობა სოფლის სასამართლოსი, ანუ, ადგილობ-
რივად რომ ვთქვათ, „კანცელია“, იმის გვერდით მშვენიერსავე
შენობაშია მოთავსებული სკოლა. აქვე გახლავთ წიგნსაცავი, აქაური
მემამულის, თავ. კოწია გურიელის მეთაურობით დაარსებული, რომე-
ლიც 300 მანეთი დაჯდომიათ.

მარცხნივ მშვენიერ ეზოებიდან მდიდრული სახლები მოსჩანს აქაურ
მკვიდრთა. გეგონებათ, შეძლებული თავადები უნდა სახლობდნენ აქაო-
მაგრამ, როგორც მითხრეს, აქ მოსახლეთაგანი თავადი ერთიც არ არის
თურმე. აქვე სახლობენ დუმბაძენი, რომელთა გვარშიაც თავი შეინა-
ხა ჩვენს დრომდე გურულმა, ეგრედ წოდებულმა დუმბაძეების კილომ
საეკლესიო გალობისაჲ, ამ რამდენიმე წლის წინათ ფილ. ქორიძის
მიერვე ნოტებზედ გადაღებულმა. ამ გვაროვნობას ამ მხრივ იგივე მნიშ-
ვნელობა აქვს გურიისათვის, რაც ძმათა კარბელაშვილებს და კარგარე-
თელებს ქართლში, ჭალაგანიძეთა—სამეგრელოში. თვითონ ანტონ დუმ-
ბაძე, 80 წლის მოხუცი, რომლისაგანაც გადაიღო ნოტებზე ფილიმონ
ქორიძემ კილო გალობისა, დღესაც ცოცხალია.

დუმბაძიანთ გვარი ისტორიული გვარია. ჩვენს საეკლესიო ისტორიაში
ცნობილია შემოქმედელი იაკობ დუმბაძე, რომელიც მიტროპოლიტად
იჯდა შემოქმედის კათედრაზე XVII საუკუნის გასულს. დ. ბაქრაძეს
თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში“ მოხსენებული აქვს ხელნაწერი
სასულიერო შინაარსისა „ფუტკარი“. ეს ხელნაწერი ინახება შემოქმედის
მონასტერში და შემდეგი წარწერა აქვს თვით მიტროპოლიტ იაკობ
დუმბაძის ხელით: „ვაჟ შენ, დიდსა და ზესთა აღმატებულსა, ცათა
მობაძვსა, საყდარსა შემოქმედისასა, ერთარსებით ქებულსა, სამეხით
დიდებულსა, ხატსა ღვთაებისასა, ჩვენ, მსასოებელმან თქვენმან, შენმავ.
მიტროპოლიტმა დუმბაძემან იაკობ, შემოგწირეთ წა-ე ესე ფუტკარი“.

ეს იაკობ დუმბაძე, როგორც საქართველოს კათალიკოსი ანტონ I
მოწმობს, ფრიად კუჟიანი, მეცნიერი და დიდებული მოღვაწე ყოფილა-
დომ. ბაქრაძეს თავის წიგნში მოჰყას პლ. იოსელიანის შეკრებილი

ცნობები ამ დიდებული გვამის შესახებ: „იაკობ ღუმბაძემ სწავლა-განათლება მიიღო ტრაპიზონში; შემოქმედელად აკურთხა 1682 წელს იმერეთის კათალიკოსმა დავითმა (ნემსაძემ); 1687 წელს რომში გაემგზავრა; დიდი ამბით მიუღია პაპინოკენტის. იქიდან წამოუყვანია 7 კათოლიკეთა მისიონერი და წამოსულა საქართველოში, მაგრამ ეს მისიონერები შემდეგში აქედან განდევნილ იქნენ. რომ მოხუცდა, ათონის მთაზე გამგზავრებულა; მერე იერუსალიმს, სადაც აღსრულებულა კიდეცა“. იმავე პ. იოსელიანის თქმით, მიტროპოლიტ იაკობ ღუმბაძეს ორი ნაწერი დაუტოვებია: ერთი შესახებ მაჰმადის სარწმუნოების უარყოფისა და მეორეც „შვიდთა საიდუმლოთა“ შესახებ¹.

თვითონ მონასტერი შემოქმედისა, როგორც უმრავლესობა საქართველოს ტაძარ-ეკლესიებისა, მაღლობზეა აღებული. სოფელსა და მონასტერს შუაში გიჟმაჟი მთის წყალი—„ბუჟი“ ჩამოუდის, რომლის ნაპირები და თვით კალაპოტი სავსეა უზარმაზარი სიპი ქვებითა. ამ ქვებს ეს მდინარე შორი მანძილიდან მოაგორებს და მის ძალას წინ ვერაფერი უდგება. რაც კი რამ მოხვდება, განსაკუთრებით წყალდიდობის დროს, თან მიაქვს. სოფელთათვის რისხვია, თავზარდამცემია. მათს ნაოფლარსა და ნაჭირნახულევს ერთ წაშში აქრობს, მიწასთან ასწორებს. იტაცებს ყანებს, სახლებს, შინაურ საქონელს და ზღვას ურთავს. წყალდიდობის დროს მღვრიეა, ისე კი თეთრია, რძესავით, რადგან სულ შფოთავს, ქუხს, ლოდინდან ლოდს ეხეთქება, სდულს, თითქო ცეცხლი შეუკეთებია ვისმეო. ზედვე ეტყობა, რომ თავისუფალი ადგილის, მთების შვილია, მთების ძუძუთი ნაზარდი.

მეტად დაუდევარი რამ არის ბუჟი, კალაპოტის ცვლა საშინლად უყვარს. კიდევ ამიტომია, რომ ზედ მკვიდრი, სამუდამო ხიდის გაკეთება ვერ მოუხერხებიათ სოფელთ. მარტო ზამთრობით თუ გასდებენ ერთ ორ ძელს, და ისიც გაზაფხულამდე ჩერდება. აღიდდება თუ არა წყალი, ეს სახელდახლო ხიდიც თან მიაქვს და სოფელთათვის გაღმა-გამოღმა ნაპირები მდინარისა შეკრულია. ამ დროს ყოველ უშიშარ მგზავრს ბუჟის ჩქარი და მაგარი წყალი მეტად უღმობელად სჯის ხოლმე სითამამისათვისა.

სცადეს კიდეცა შემოქმედში ამ წყალზე მკვიდრი ქვის ხიდი გაეკეთებიათ. მთელმა სოფლის საზოგადოებამ მიიღო მონაწილეობა, ადგილობრივმა მკვიდრმა იაგორ მამინაიშვილმაც ორას თუმანზე მეტი გაიღო თავისდა წილად ამ საკეთილო საქმისათვის, ბოლოს, როგორც იყო, დაამთავრეს ხიდი, მაგრამ ერთ წელიწადსაც ვერ ისარგებლეს სოფლებმა ამ ხიდით. რამდენიმე ხნის შემდეგ წყალმა ჯერ ერთი მხრიდან შეაგლიჯა ნიადაგი, მერე მეორე მხრიდან, ბოლოს სულაც წაიღო 5000 მანეთად დამჯდარი ხიდი და დარჩნენ სოფელნი უხილოდ, ძველებურად.

¹ დ. ბაქრაძე, „არქეოლოგიური მოგზაურობა“, გვ. 156.

ნახიდარის გაღმა, მარჯვენა ნაპირას, გორაკის ძირში გამოქვაბულია, რომელიც წინათ, დაყოფილი ბერების ბინა ყოფილა, ხოლო დღეს ტურებისა და ღამურების საბუდრად გამხდარა. ცრუმორწმუნე სოფელთა ფანტაზიას ეს ადგილი მიუვალად და უწმინდურ სულთა ბუნაგად გადაუქცევია. შიგ შესვლას ვინც გაბედავს, ავსულნი იპყრენო და აწვალბენო. ამ ოცი წლის წინათ შემოქმედში ღრმად მოხუცებული მღვდელი გიორგი დუმბაძე ცხოვრობდა. რადგან ამ გორაკის კლდეში მშვენიერი საშენი ქვაა, ეს მღვდელიც ხშირად მუშაობდა აქ და ქვას აზიდვინებდა. ერთ საღამოს ამ გამოქვაბულს გაუარა, ეშმაკებმა დაიჭირეს და უწყალოდ დაჟეჟესო, დაუყარეს ხმა ცრუმორწმუნე სოფელლებმა... და სხვა მრავალი ამის მსგავსი ხმები იყო და დღესაც არის გავრცელებული ხალხში ამ გამოქვაბულის შესახებ. იმასაც კი ამტკიცებენ, რომ შიგ ტახტია, ოთახია და გაუქრობელი სანთელი ანთია მთელი წელიწადიო.

მონასტერზე ასასვლელი გზა სამხრეთით იწყება, მოუხვევს აღმოსავლეთით და გორაკს ჩრდილოეთით აყვება. მთელ გორაკზე შეფენილია თხმელისა და ხურმის ხეები; ზედ გაშვებულია მტევნებით დახუნძული ვაზები. აქ მოდიოდა და ახლაც მოდის, თუმცა ცოტა, განთქმული გურული ღვინო „ჩხავერი“. მთელი ეს ათ ქცევაზედ მეტი ვენახი მონასტრის საკუთრებას შეადგენს.

ასასვლელი გზა მაინც და მაინც მოსხლეტილი არ არის: 20 წუთის განმავლობაში თავისუფლად ადის კაცი. მშვენიერი მდგომარეობა აქვს თვით მონასტერს: სამხრეთ-დასავლეთით მოსჩანს ჯუმათის მთა, აღმოსავლეთით—აჭარის მთების მწვერვალნი, დასავლეთ-სამხრეთით—ერთი ნაწილი გურიისა და ფირუზის ფერი შავი ზღვა, რომელზედაც ჩიტების ოღენად მოსჩანს სანდლების გაშლილი აფრები.

გალავნის კარებთან შემოგვეგება ერთი მორჩილი, რომელმაც მაშინვე შეატყობინა ჩვენი მისვლა მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ იოანეს (გვარად შავლიაშვილია, კახეთის მკვიდრი), აგრეთვე ჩვენი სურვილი მონასტრის დათვალიერებისა.

მონასტერი შუატანისაა და ორი ტაძრისაგან შედგება. ერთი (მარჯვენა) „ღვთაება“ და მეორე (მარცხენა) „ზარზმა“. ორივე ტაძარი ერთმანეთს მიშენებულია. შენობა ეამთა ვითარებისაგან დაძველებულია, ხოლო ადამიანის დაუდევრობას თითქმის ბოლო მოუღია გურიის ისტორიულ ძეგლისთვის. ეტყობა ყოველთვის არ ყოფილა ეს ტაძარი გადახურული. წვიმას თავისუფლად უდენია და კედლები ისეა დამსკდარი, რომ მათი შეკეთება და განახლება შეუძლებელია. ამ უკანასკნელ ხანს, როგორც იყო, ყავრით გადაუხურავთ, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი შევლებია გაფუჭებულ საქმეს. რომ დროითვე ეზრუნათ და წვიმა არ ჩაეშვათ, ეს კედლები ასე პირდაღებული არ იქნებოდა. გარედან სატირელ მდგომარეობას მონასტრისას შიგნითი მხარეც ბანს აძლევს. ყველგან წვიმის კვალი ატყვია, მხატვრობა თითქმის სულ ერთნაირად ჩამორეცხილა.

შემოქმედის მონასტერი არამც თუ გურიაში, მიელ საქართველოში მდიდარ მონასტრად ითვლებოდა. ეს იყო სამარხი ადგილი გურიელთა და ყოველი გურიელთაგანი მოვალეობადა თვლიდა რითიმე განემშვენიერებინა და გაემდიდრებინა ის ტაძარი, სადაც დაკრძალული იყო ძველები მათა წინაპართა და სადაც სიკვდილის შემდეგ თვითონ უნდა დამარხულიყო. აქ, სხვათა შორის, დასაფლავებულინი არიან: გურიელი მამია, დედა მისი დედოფალი მარინე, შემოქმედელი ეპისკოპოსები. აქვე განისვენებს მეუღლე ქიახოსრო გურიელისა—ელისაბედ ერისთავის ასული, მეუღლე ბატონიშვილი ტარიელისა—დესპინე, მთავრის ქიახოსრო გურიელის ასული, მალაქია გურიელი და სხვანი.

გარდა იმისა, რომ გურიელნი პატრონობდნენ შემოქმედის მონასტრს და ყოველთვის უხვი შეწირულებით ამდიდრებდნენ ამ ტაძარს და საეკლესიო სამკაულებსა სწირავდნენ, აქვე პოვებდნენ უშიშარ ადგილს ძვირფასი ჯვარ-ხატნი, წამოსვენებული თურქთაგან დევნილ ქართველების მიერ სამცხე-საათაბაგოდან. წინაპარნი აწინდელ აპარელთა, ოდეს განსაცდელის დღე დაადგათ, იმის ზრუნვაში იყვნენ, საეკლესიო ნივთნი და წიგნები მტარვალთა მუსგრისაგან გადაერჩინათ და უვნებლად გურიაში შეენახათ. ჩვენ რაც მოგვივა, მოგვივიდეს, ოღონდ წინაპართაგან გადმონაცემი განძი როგორმე დავიფაროთო, მტრებმა თავისი უღირსი ხელები არ შეახონ და არ შებღალნონ.

1861 წელს შემოქმედის მონასტერი ქურდების მსხვერპლი გამხდარა. გაუტეხიათ და წარუტაცნიათ რაც რამ მოუხელებიათ და რის წაღებაც შესძლებიათ. აპარის მთებზე რომ ასულან, იქ გაჩერებულან. ამასობაში წამოსწრებიან გურიიდან წამოსული მდევერები, დაუჭერიათ ისინი და გაბაწრული ჩამოუყვანიათ გურიაში. ნივთები წაუერთმევიათ. მათი კვალი ახლაც ატყვია შემოქმედის მონასტერში დაცულ ხატებსა: ზოგს თვალები აქვს დათხრილ-დაჩიჩქნილი, ზოგს თვალ-მარგალიტი აქვს ამოგლეჯილი ბუღიდან და სხვა.

ერთი ნაწილი ამ შებღალული სამკაულისა ერთ ზანდუკში აქეთ შენახული. მაგრამ მაინც ძლიერ მცირე ნაწილია დარჩენილი იმ საუნჯისა, რომელიც ერთ დროს შემოქმედის მონასტრისა ყოფილა. ეტყობა, სასტოკი ყურადღება არა ჰქონია მიქცეული მის შენახვას. სხვათა შორის, აქა ყოფილა სახარება ძვირფას თვალმარგალიტით შექედილ-შემკული. მესამოცე წლებში ამ ძვირფას სახარების მაგიერ, რაღაც მანქანებით, მხოლოდ ვერცხლში შექედილი სახარება დარჩა ამ მონასტერში. როგორ, რა გზით დაიკარგა ესდენი საუნჯე მონასტრისა—არავინ იცის...

ასეთი სავალალო მოვლენა შენიშნულია არა მარტო შემოქმედის მონასტერში, ეს დაუდევრობა და ჩვენი დავრდომა დაედო სარჩულად იმას, რომ გელათისა, ქვათახევისა, სიონისა და სხვა მონასტრებში ესოდენი ძვირფასი სამკაულია საუკუნოდ და კარგული ჩვენი შთამომავლობისთვის...

ამბობენ, და საბუთიც არა გვაქვს არ ვირწმუნოთ, რომ შემოქმედის მონასტერს მდიდარი წიგნსაცავიცა ჰქონდაო. მართლაც და, ყოვლად შეუძლებელია, რომ სამიტროპოლიტო კათედრაში მწიგნობარნი არ ყოფილიყვნენ. ერთი მათგანი, მიტროპოლიტი იაკობ ღუმბაძე შემოქმედელი უკვე მოვიხსენიეთ ზემოთ. მათი გულმოდგინების ნაყოფია „გულანი“ შემოქმედში დარჩენილი. ის წარმოადგენს უზარმაზარი ტანის წიგნს, მშვენიერი ხელით და დიდი გულმოდგინებით დაწერილს სქელს ქალაღღზე. ერთ კაცს კიდევ უჭირდება ამ „გულანის“ აწვევა. ეს წიგნი გადაუწერი-ათ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში: ათანასე ქაეჯარაძეს, მთავარ-დააკვანს იოანეს, მდივანს იოანეს, შვედლებს საბასა და იოსებ ტუსკიებს. ერთ ალაგას მიწერილიცა აქვს „გულანს“ საბა ტუსკიას ხელით, რომ ამ წიგნის გადაწერაზე მთელი 18 წელიწადი უშრომნიათ. შემოქმედის „გულანს“, სხვა მინაწერთა შორის, ერთი საინტერესო მინაწერიც აქვს. ამ მინაწერში ჩამონუსხულია ისტორიული ამბები XVI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული XVIII საუკუნის გასვლამდე.

„გულანები“ ძველად ყველა შესანიშნავ ტაძრებსა ჰქონდათ და განძალითვლებოდა. მისი გადაწერისათვის დამაშვრალან არა ერთი და ორი კალიგრაფი. ზოგი მთელი თავის სიცოცხლეს ანდომებდა ასეთი წიგნების გადაწერასა.

VI.

გომისაკენ.—გომელი გუშავი: ცხენის თავი.—გომი, როგორც საგარაკო ადგილი.—გომის ტყე.—წყლის ჩაშური.—ფეხის ჩაშური.—ლომის შემუშავება.—ლომის თესვა გურიანში.—სანთლის არაყი.—მეფუტკრეობა.—არაყის ხდა.—გომის „ჩაქუხა“.—სტუმრად ყოფნა გლეხისას.—„პაპა-ჯვარი“.—დადევი.—მლაღავი.—ობურგეთში დაბრუნება.

შემოქმედს აკრავს სოფ. გომი, ცნობილი, სხვათა შორის, თვისი ჩაქუხათი, რომელიც შემოქმედიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზედადიდად გვიქვს ამ ჩაქუხას მშვენიერება, დიდძალი ხალხი დადის მის სანახავადაო. ჩვენც ფეხის ხმას ავყევით, ვსთქვით, იმერლისა არ იყოს, კვიცსაც გაეზენით და სიდდერსაცა ენახავთო. დავსხედით ჯაგვზე, მაგრამ არ გავვივლია რამდენიმე მხარი, იძულებული შევიქნით ძირს ჩამოვსულიყავით და ქვეითად გვევლო. გზა მკადა-ქვეებით არის მოფენილი და ჯაგვის თვლები ერთ მხარეს რომ აღიმართებოდა, მეორე მხარეს ისეთნაირად დაეხეთქებოდა ქვას, რომ გულ-ღვიძლს არ არჩენდა ადამიანს. გზის იქით-აქეთ ნაპირებზედ ჩაყოლებულია ქვის ყორის გალავანი ლობის მაგივრად, რაიცა მოწმობს, რომ ქვა აქ უხვადაა. ხეები უფრო და უფრო ხშირდება, მზის სხივი ველარც კი ატანს შიგ. ასე გგონიათ, სახლები ტყეში დგასო. ყველა მხრით რუების ჩხრიალი გესმით, ყანები და ეზოები სიგრძე-სიგანეზე ირწყვის; უმქველია, გვალვა აქ საშიში არ იქნება. სახლებიც ახლო-ახლო დგას, ეტყობა, მიწა ძვირობს. ხეები

ვაზებით არის დაბანდული. ზოგ ხეზე ლობიოც კი გასულა და მისი წითელი ყვავილი ლამაზად არის შეხამებული ხის მწვანე ფოთლებთან. ლობიოს მოკრეფვა რომ მოუნდეს პატრონს, 7—8 მხარის სიმაღლეზე უნდა ავიდეს ხეზე.

ლობების სარებზე თითქმის ყოველ მოსახლეს, გამოჩინებულ ალაგას, ჩამოცმული აქვს ცხენის გამზმარი თავები. არ შეიძლება კაცმა ამ თავებს ყურადღება არ მიაქციოს. ეს გახლავთ დარაჯი და მცველი აქაურთა კარ-მიდამოსი და აგრეთვე ჭირნახულისა. თუ ვინიცობაა ავი თვალის პატრონს შეშურდა თავისი მოყვასის ჭირნახული, გინა კარმიდამო დარაიმე სიბოროტე გაივლო გულში, ცხენის თავის დანახვაზე ყოველსავე მზაკვრობას ძალა ეკარგება და ნიშანში ამოღებულ მოსახლეს ვერას ავინებს. რა ძალი საშუალებაა ჭირნახულის დაზღვევისა ყოველივე ხიფათისაგან!..

სახლები გზის იქით-აქეთ არის ჩაირგებული; ყოველი მათგანი თუ სამთვალნი არა, ორთვალნი მინც არის. ყველა სახლს სამზარეულო უმჯველად ცალკე უნდა ჰქონდეს, მთავარ სახლიდან 15—20 მხარის მოშორებით. უმეტესი ნაწილი დღე-ღამისა აქაური გლეხის სახლობა ამ სამზარეულოში, ან როგორც აქ ეძახიან, „სამზადში“ ატარებს. იქა ხარშავს, საქმელს, აქვე იშლის სუფრას, იქვე აქვს თათბირი ოჯახის განკარგების შესახებ. მთავარ სახლში, ან ოღაში, მარტო დასაძინებლად და სტუმრის მისაღებად მოდიან. როგორც სამეგრელო-იმერეთში, ცეცხლი აქაც შუა ალაგას უნთიათ, კერაზე. იმის თავზე დაკიდულია საკიდელა, რომელზედაც თუჯის ქებასა ჰკიდებენ ხოლმე ლომის მოსახარშავად; აქვე იბოვება კეცი, მკადის გამოსაცხობად და რამდენიმე სხვადასხვა სიდიდის ქოთნები ლობიოს ან სხვა რისამე მოსახარშავად. საჯდომად „ჯორკოს“ — ტლანქად გათლილ ჯირკვებს ხმარობენ. სუფრა იგივეა, რაც სამეგრელო-აფხაზეთში — გრძლად გათლილი $\frac{1}{2}$ ალაბის სიგანე ფიცარი, თითო ალაბიან ოთხ ფეხზე დაყენებული, რომელსაც წინ ისე იდგამენ, რომ ზედ არაფერს აფარებენ.

აქაური შენობები სულ ხისაა, ორი ეკლესიაც შეგვხვდა გზაზე, ისინიც ხისა იყო. ხე-ტყე ბევრია და არც ისე ძვირი.

სხვაგან რაც უნდა სიცხე იყოს, გომში მინც გრილა. ამიტომ, ამ სოფელსაც ისე ეტანება ხალხი, როგორც შემოქმედსა. თან, მთაც ზედგააკრავს. ჰაერით გომი ისეა განთქმული გურიისში, როგორც სურები, ასკანა, ვაკი-ჯვარი, ლიხაური და სხვ. ციება აქ სრულებით არ იცის. სამაგიეროდ, ზამთარი შედარებით, ცოტა არ იყოს, სუსხიანი იცის თურმე.

გომს ზედვე აკრავს მშვენიერი ტყე კოწია გურიელისა და ქაიხოსრო გურიელის შემკვიდრეთა, 15,000 დესიატინაზე მეტი. უმეტესი ნაწილი ტყისა ფიჭე-ნაძენარია. გომელებს ამ ტყით უდგათ სული. მთელი ზამთარი

შიგ მუშაობენ, ამზადებენ სახლის ასაშენებლად მასალას, მერე სოფელში ჩამოაქვთ, სახლსა დგამენ და სხვა სოფლებზედა ჰყიდიან. ნაყიდს სახლს შლიან, ურემზე უდებენ და 30 კილომეტრისა და მეტ მანძილზე მიაქვთ. სახლის დაშლა და ხელახლა მისი დადგმა შეიძლება კაცმა ოთხ-ხუთ დღეში მოასწოროს. ამავე ტყეში არიან ზამთრობით მეგრელი მწყემსები თავისი ჯოგითა. მემამულენი თითო სულ თხაზე საძოვრის ბაჟს 25 კაპ. ახდენებენ. მაგრამ თან ესეც კია, რომ ტყე საშინლადა ოხრდება. თხები ახალ მოზარდ ხეებს მოუკორტნელს არ უშვებენ. აქვე მუშაობენ აქარელნი და გარშემო სოფელთათვის ხის ჯამ-ჭურჭელს ამზადებენ. ნადირი ტყეში აუარებელია, განსაკუთრებით შველი. ზამთრობით დღე არ ვაგა, მონადირეებმა ერთი-ორი შველი არ მოჰკლან.

მდ. ბუჯი ამ სოფელზე გადის. სოფელთ ამ მდინარედან ტოტები გადმოუვლიათ და თითქმის ყოველ მოსახლეს თავისთვის პატარა, ერთ-თვალიანი წისქვილი აქვს. წისქვილის გვერდითვე გაკეთებულია წყლის ჩამურები, ღომის საცხევაად. მეტად სადა კონსტრუქციისაა ეს ჩამურები და, ვგონებთ, მეტი არ იქნება მისი მექანიზმი მკითხველსაც ვაგაცნოთ.

გრძლად ამოთხრილია მიწა; იქით-აქეთ დასხმულ ბარჯგებზე გადებულია ძელი, რომელზედაც დაკრულია ხუთი-ექვსი ალაბიანი ძელი კოვზის ფორმისა. ამ ძელს ერთი ბოლო ამოღრუტნული აქვს კოვზივით და შიგ ეტევა 5 საწყვამდე (საწყვი ადგილობრივი ზომაა სითხისა, უდრის 2 ფუთს) წყალი. სახელად ამ ნაწილს ჩამურისას ჰქვიან „კოვზი“. მეორე ბოლოზე ამ ძელს გაყრილი აქვს პერპენდიკულიარულად მოკლე, 1 მეტრიანი სამი მკლავის სიმსხო ჯოხი — „წირისთავი“, რომელსაც თავზე ქვა აკრავს. ორი ოყის (ოყა—3 გირვანქა) სიმძიმე, რომ, როცა „კოვზი“ წყლით გაივსება და ძირს დაიწვეს და წყალი გადმოიღვრება, „წირისთავი“ მაგრად წამოვიდეს ქვეითკენ. წირისთავს ქვეშ, დაუცვეთელობისათვის, თუნუქი ან რკინა აკრავს. ქვეშ უდგას ამოჭრილი ჭურჭელი ქვისა, ქვევრის სახისა, მხოლოდ თავი უფრო ფართო აქვს, და შიგ ეტევა ორი ქილა ღომი. ამას ჰქვიან „საცხეველი“. წირისთავი ან ურთხლისა უნდა იყოს, ან თელისა ან კიდევ სხვა რამ მაგარი ხისა. საცხეველებს უფრო ალაგობრივ აკეთებენ. მთლად, ყველას ერთად, ზემოაღწერილს, ჩამური ჰქვიან. თუ წყალი არ აკლია ჩამურს, დღე-ღამეში ორ ქილა ღომს გაცხევავენ, თუ არა და, ერთსაც ძლივს მოერევა.

გარდა ამისა, აქეთკენვე ხმარობენ მეორე ნაირ ჩამურს, ეგრეთწოდებულ „ფეხის ჩამურს“. აი მისი სახეცა: ერთმანეთზე ორ-სამ ალაბის მოშორებით დასმულია ორი ბარჯგი, თითო ალაბის სიმაღლეზე, ზედა დევს ლატანი, „ლივლივად“ (ღერძად) წოდებული, ამ ლატანზედ დაკრულია ჰორიზონტალურად ზემოაღწერილი ძელი, მხოლოდ უკოვზოდ; ამ ძელს აქვს მარტო წირისთავი, რომელიც საცხეველსა ჰხვდება. ეს ძელი ღერძიდან ერთ მხარეს ნახევარ ალაბზე ცოტა მეტია გადაშვრილი და ცალი

ფეხი იქ უდგას მცეხველს (აქედან სახელწოდება მისი—„ფეხის ჩამური“).
ხოლო მეორე ფეხი გალაჯული აქვს ისე, რომ „ლივლივი“ შუაში ხედება.
მცეხველის ტანის დასამაგრებლად კაცის სიმაღლეზე ბარჯგებზე ლატა-
ნია გადებული—„სახელური“, თავის სისწვრივ, ორსავე ხელის მოსაკიდებ-
ლად. ჯერ დააწვება ფეხით ბოლოს, რომ თავი, სადაც წირისთავია-
გაყრილი, აღიმართოს; წირისთავი რომ აღიმართება, მცეხვაფი მეორე
ფეხით ძირს დასწევს და დაჰკრავს საცეხველში ჩაყრილს ჩხოს (გაუცეხველ-
ლომის მარცვალს) და მარცვალსა და ნახორს (ჩენჩოს) ერთმანეთს.
აშორებს.

ლომის თაველებს გაცეხვამდე ლასტზედ გაშლიან და დაჰკიდებენ კერის-
ზემოთ, ცეცხლზე. ერთი დღე ჰყოფნის გასახმობად. მერე ჩამოიღებენ და
ზოგი ხელით და ზოგიც ჯოხით თაველებს მარცვალს აცლიან. ამ მარცვალს
ჯერ „გადაურევენ“ (გაანიავებენ). გასანიავებლად ხმარობენ „ვარცლსა“—
ერთი ალაბის სიგრძე და ერთ ნიშან (4 გოჯი) განის ხის გეჯას. მეორე
ვარცლსაც ქვეშ დაუდგამენ. ერთი ქალი (გურიაში ლომის ცეხვა საქალო
საქმედ ითვლება, მამაკაცი ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებს)
ხელში იღებს ლომით სავესე ვარცლს და ქვეშ დადგმულ ვარცლზედა-
ჰყრის ნელ-ნელა. მეორე ქალი კაბის კალთებს აიკრეფს და უქნევს გასა-
ნიავებლად. ასე განიავებული, მაგრამ ჩენჩოიანი (ნახორიანი) ლომი
მიაქვთ ჩამურში გასაცეხვადა.

დიდი შრომა სჭირდება ლომის გაცეხვას, მაგრამ უფრო დიდი შრომა-
სჭირდება მის შემუშავებას. ჯერ ერთი, ნიადაგი, სადაც ლომსა სთესენ,
უუქველად მშრალი უნდა იყოს. თუ ქვიანი ნიადაგი არ არის, ჯერ თოხით
უნდა მოიჩიქნოს მიწა, მერე მერულით (სამკაპიანი სამუშაო იარაღია.
ხისა, ორთითის მსგავსი) უნდა „გაამერულონ“ (გააფხვიერონ) მოთოხნილი-
მიწა, შემდეგ გაფოცხონ და მხოლოდ მაშინ ჩაჰყარონ თესლი მიწაში.
დიდი სიფრთხილე ჰმართებს მთესველს ლომის დათესვის დროს: საჭიროა
თესლის თხლად ჩაყრა, თორემ, სქელ ლომში თოხის შეტანა ძნელია.
თუ თავის დროზე მზიანი დღეები არ დაუდგა, ლომი ფუქდება. შემოსულ-
ლომს თუ ავდარმა უსწრო, გამოდარებამდე თუნდ ერთმა თვემ გაიაროს.
პატრონი ხელს ვერ ახლებს, ვერ მოშკის.

ვთქვათ, მომკო. ახლა მისი „გამოწყობა“ გაუხდება გლეხს თავში სა-
ცემი. თუ ამ დროს ხელი დააკლო, მთელი მოსავალი წყალში გადასაყ-
რელი გაუხდება. უნდა შეიტანოს ცარიელ ნალიაში (სასიმინდში) და
ყველგან თანაბრად გაშალოს. მერე ნალიას გვერდები უნდა შემოუბუდ-
ნოს გვიმრით ან ფეშერით და ქვეშიდან კადონი (დიდი, გაგანია ცეცხ-
ლი) უნდა შეუთოს, რომ ზევით ასულმა ალმა გააშროს, სინესტე თუ
კი რამე აქვს, სულ გააშროს ლომსა. ამავე დროს ლომს ზემოდან თხმე-
ლის ნედლ ფოთლებს მოაყრიან. ცეცხლი ქვეშიდან მანამდე უნთია, სა-
ნამ თხმელის ფოთლები არ დაჰკნება, მხოლოდ მაშინ იღებენ ამ სახით
„გაწყობილ“ ლომს და კალათებით ხულაში შეიტანენ. თუ ამ შემთხვე-

ვაში ზომიერი კადონი არ შეუნტეს და ღომს ერთი ბეწო სინესტე შერჩა. გაფუქდება და ღირსებას დაჰკარგავს: არც ფერი ექნება კარგი ღომისა და არც გემო.

კარგი ღომი იცის მაღლობ ადგილზე მდებარე სოფლებში: გომსა, შემოქმედსა, ლეხორში და სხვაგან. აქეთკენ ნ ჯიშის ღომი იცის: „თეთრი“, „ბარამულა“, „ძირდაბალი“, „შიდიკვირა“, „ხუქილა“, „ჯორიელა“. ყველას ღირსებით „თეთრი“ ღომი სჯობია, მეტად თეთრი ფერისაა, და ერთი ქილა „თეთრი“ ღომი ერთი აბაზით მეტად იყიდება ყოველთვის, ვიდრე სხვა ჯიშისა. თან, ის უპირატესობაცა აქვს სხვა ღომთან შედარებით, რომ „სიმწიფეს ითმენს“, ე.ი., რომ დამწიფდება, შეგძლიათ ერთი კვირის უკან მომკოთ,—ამით არა დაუშავდება—რა თაველეებს. სხვა ჯიშის ღომი კი მაშინათვე თუ არ მოიმკო, მარცვლები სულ გასცვივა და ცარიელი თაველები—ლა შეგრჩებათ ხელში,

თვითონ მცენარე 1½—2 ადლის სიმაღლე იზრდება, წვრილია და ნაზი ფოთლები აქვს. მისი ჩალა საუკეთესო საკვებია საქონლისათვის და ძვირადაც იყიდება. სიმინდის ჩალის კონა რომ 2 კაპეიკი ღირდეს, ღომის ჩალის კონა ერთი სამად უნდა გაიყიდოს.

გურიაში ადრე დიდძალი ღომი მოდიოდა, სანამ სიმინდი არ იყო ისე გავრცელებული, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ზოგან ღომს სრულებითაც არა სთესენ. სიმინდი შემოიღეს ყველგან, მკაღს დიდი პატივი დაედო. უფრო იმიტომ შემცირდა ღომი, რომ მუშაობა და ჯაფა მეტი უნდა, ოთხჯერ—ხუთჯერ მეტი, ვიდრე სიმინდსა, თუმცა ფასი კარგი აქვს, ქილა ღომი ალაგობრივ 1 მ. და 20 კ.—2 მანეთად იყიდება. თან სათაქლოდ მიაჩნით ღომის ცეხვა სოფლის ქალებს. მიყრუებულ ძაფელისა და ძალიან ღარიბები თუ გაცეხავავენ ახლა ღომსა.

ამჟამად მთელ გურიაში ღომი სიმინდზე 16-ჯერ ნაკლები მოდის. მაგალითად, 1896 წელს მთელ გურიაში მოსულა 2,832,900 ქილა სიმინდი, ღომი კი 176,557 ქილა.

საფ. გომი განთქმულია ეგრედწოდებული „სანთლის არაყით“, რომელსაც თათლისაგან აკეთებენ. აქაურები მეფუტკრეობას ძალიან მისდევენ, მთის სიახლოვეც ძალიან ხელს უწყობს ამ დარგს მეურნეობისას. ორმოც ოჯახამდე მისდევს მეფუტკრეობას. სუყველას ერთად 400-მდე სკა ფუტკარი ჰყავს. აქაური სკა მრგვალ ძელს წარმოადგენს, ამოღრუტნულს და შუაში გაჭრილს. ფუთ თათლს 2 მ. და 50 კ.—3 მანეთამდე აქვს ფასი, სანთელს—18 მან.

სანთლისაგან ხდიან საუკეთესო სუნისა და სიმაგრის არაყს. თათლ-რომ გასწორავენ, ფიჭს ააღულებენ, სანთელს გარდა რაც დარჩება, ჩაჰყრიან ქვაბში დასამყავებლად. მერე დამყავებულ ნივთიერებისგან ქაქასავით ხდიან არაყსა. უფრო ერთ ნახადსა ხმარობენ სასმელად, ორჯერ იშვითად ხდიან, რადგან ისედაც კარგი არაყი გამოდის. გემრიელია, სურნელოვანი და მაგარი. კაცი სმით ვერა ძლება.

თითქმის ყოველი ოჯახი მისდევს აქ არყის ხდასა. საარყე ქვაბები ყველას უდგას. გომის გარდა სანთლის არაყს სხვაგანაც აკეთებენ, უფრო მთის კალთებზე მდებარე სოფლებში, მაგალითად: ერკეთსა, სურებსა, ჭინეთსა, აქსა და სხვაგან. ფასიც კარგი აქვს ამ არაყს. ვერმუთის ბოთლი (ლიტრი) 1 მანეთად იყიდება, იმ დროს, როცა ქაჭის არაყს ცხრა-ათ შაურად იშოვიოთ.

საზოგადოდ, არყის ხდა მთელ გურიაში გავრცელებულია, განსაკუთრებით ბევრსა ხდიან ქაჭის არაყს. როგორც ქუთაისის გუბერნიის სტატისტიკურ ცნობებიდანა ჩანს, 1895 წელს მთელ გუბერნიაში ყოფილა 399 ქარხანა არყის სახდელი. ამათგან 299, ესე იგი ნახევარზედ მეტი ოზურგეთის მაზრაში შემოაბდა. ფულად 24,750 მანეთის არაყი გამოუხდიათ, რაზედაც 385 კაცს უმუშავნია. იმის მაგივრად, რომ თანდათან იმატოს ამ წარმოებად, უკანასკნელ წლებში თანდათან კლებულობს. მიზეზი გახლავთ მეტის-მეტი ბაფი, რომელიც სააქციზო უწყებას დაუდვია ამ წარმოებისათვის. მწარმოებელი ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ პირდაპირ ზარალია მისთვის არყის ხდა. სოფლებს უფრო ხელს აძლევს იყიდოს, ვიდრე საკუთარი ქაჭისაგან ხადოს. ერთმა იოხუნჯა კიდევთა: „ბატონო, ქაჭას ღორებს ვაძლევთ და ჩვენ კი ნება არა გვაქვს მოვიხმაროთ“.

აქაური ღვინოც ნაქებია. „ჩხავერი“ ცოტა დარჩა, მაგრამ რაც არის, კარგია. „ადესა“ მოდებულია ყველგან. ნიადაგიც ხელს უწყობს და „ადესისაგანაც“ კარგი ღირსების ღვინო დგება.

სოფლის უკანასკნელი სახლიც უკან დავტოვეთ. გზა უკვე აღმართს შეუდგა. თავს დავგვტკეპროდა სუროიან ხეებისაგან შეკრული კამარა. მარჯვნივ, რამდენიმე მხარის მანძილზედ, ბეუჯი მიხუვის. ამ ტყეში ნახევარი კილომეტრიც გავიარეთ. ჯერ მოგვესმა ქუხილის მსგავსი ხმა. მცხოვრებთ, ალბად, ბუნებას წაჰბაძეს და იმიტომ დაარქვეს „ჩაქუხა“ მდინარის კალაპოტის იმ ნაწილს, სადაც წყალი მაღლიდან ძირს ქუხილით ეშვება, ჩაჰქუხს. მერე თავს წაუადექით თვით ჩაქუხასაც. ამ ადგილას ბეუჯის კალაპოტი მთლიანი კლდისაგან არის შემდგარი. ორი მხარის სიმაღლიდან მხარ-ნახევარ სივანის კალაპოტში მოქცეული წყალი ძალუმად ეხეთქება თავქვე, კლდიან ნიადაგს. ქაფად ქცეული მდინარე შეუწყვეტლადა სდულს და ზედაპირი მისი ქვეიდან ამოსულ ჰაერის ბუმბუტებით არის დაფარული. ოთხ-ხუთი მხარის მანძილზე წყალი ასე ვიწროდ მიმდინარეობს, მერე კი იშლება, დროებით წართმეული თავისუფლება ისევ უბრუნდება, ფრთასა შლის და გაშმაგებული ეხეთქება ხან ერთ ლოდს, ხან მეორესა; ზედ გადააგორებს დაჭრილი ლომის ფაფარს დამსგავსებულ ტალღას და მიჰქრის განუწყვეტლივ. გულზეიად ბეუჯის ღრიალს, მთა და ტყე ბანს აძლევს, სანამ მთიდან წამოსულ მდინარეს—აქის წყალს არ შეუერთდება. მერე ცოტათი დარბაისილდება, სიფიცხე აკლდება; ხოლო ცოტა ქვემოთ, როცა

ნატანებს შეუერთდება, სახელსაცა ჰკარგავს და თანაც მღოვრდება, წინანდელი ფერი და იერი აკლდება.

მდ. ბჟუჯს სათავე გომის მთებში აქვს. სათავესთან სულ რძესა ჰგავს თურმე წყალი და სულ, მთელ გზაში ხმაურობს, ვიწრო კალაპოტში მომწყვდეულს თითქოს სული ეხუთება და გაშლილ ალაგზე გამოსვლასა ჩქარობსო. იქიდან მალიგორად მოდის ბახმაროს მთებიდან გამოსულ მდინარე ბახვის წყალთან ერთად. ზამთარ-ზაფხულ ცივია. ამიტომ ამოურჩევია თევზთა მეფეს—კალმახს ეს მდინარე თავის საცხოვრებლად სხვა ჯიშის თევზს აქ ვერ ნახავთ. როდესაც გნებავთ, მასწინ შეგიძლიათ ეს თევზი დააქვინოთ ამ წყალში და სუფრა დაამშვენებინოთ. თვითონ ჩაქუხასთან განსაკუთრებით უყვარს კალმახს ცხოვრება. ბრძოლა უყვარს წყალთან, დაბრკოლების დაძლევა, ძალის გამოჩენა. მთვარიან ღამეს ჩაქუხასთან დგომას და მის ცქერას არაფერი სჯობია თურმეთითო წყრთა კალმახები წყლიდანა ხტებიან და ჩაქუხას იქით გადასვლასა ჰლაშობენ. ერთს მეორე ჰბაძავს, მეორეს მესამე, და ამ რიგად ებრძვიან წყლის ტალღებს. ზევიდან გადმოხეთქილი წყალი კი ხვერდის ჩარჩოს თვისი მარგალიტისებური წინწყლებითა ჰნამავს სანეტაროდ, საოცნებოდ...

მთელი 1/2 საათზე მეტი ვილაღეთ უმანკო ბუნების წიაღზე. დავბრუნდით სულითა და გულით დამტკბარნი მისი ყოველმხრივი ძლიერებისა და სიუხვის კერტითა. მოგატანეთ სოფელს. გავიარეთ ერთი სახლი, გავიარეთ მეორე. ერთბაშად გზაზე წინ გადაგვეღობა თავით ფეხამდე. შაგებში გამოწყობილი (ქალზე მგლოვიარედ ყოფილა) გლეხი და ყველანი გაგვაჩერა უსიტყვოდ. გაგვიკვირდა. არ ვიცოდით რასა თხოულობდა ჩვენგან. ჯერ სალაში მოგვცა მდაბლად, მეტის ზრდილობით და თან დასძინა:

— გთხოვთ, თქვენი ქირიმე...

— რა გნებავთ?—დავეკითხეთ.

— ყველას არ გიცნობთ, ბატონო, მარა ქე ვიცი, ვინც ბრძანდებიო:— ამიზა ნუ გამიწყრებით...

— დიდი სიამოვნებით, თუ კი რამ შეგვიძლია,—ვუპასუხეთ ერთხმად.

— რაკი აქედან მობრძანდებით და ჩემს ქონის პირდაპირ გაიარეთ, თუ შეიძლება, იმდენი პატივი მეციოთ ჩემს ღარიბ ქონში შემობრძანდით. მართალია, თქვენ საკადრის პატივს ვერ გცემთ, მარა მაინც ნუ გამიწყრებით... ხო მოგვხსენებათ ღარიბი კაცის საქმე... თქვენი ხელის ნარეცხი დასტუეთ ჩემს სახში.

ღამდებოდა. წინ კარგა მანძილი გვედო. მაგრამ ჩვენი სტუმართმოყვარე გურულის გულრწფელ თხოვნას ვერ ვეწინააღმდეგეთ, მოგვერიდა, რომ გავაწბილოთ, ვაი თუ განაწყენდესო.

შეგვიძღვა ეზოში. სახლის აივანზე ხელად გამოიტანეს თხილი, ვაშლი, სანთლის არაყი და ჩხავერის ღვინო. დაგვალოცვინა თავი და თვი-

თონაც დაგვლოცა თავაზიანად. სანაქებო იყო „ჩხავერის“ ღვინო, ოქროს ფერისა, გემოდ ნაზი და უზადო. რაც უფრო ვსვამდით, უფრო მეტი გვინდებოდა. ეს ღვინო კაცს აფხაზურ „ამილახუს“ მოაგონებს. ბოლოს, ჩვენმა სახელდახელო მასპინძელმა ბოდიში მოიხადა, რომ „ასე ცოტა რამისთვის გავსაჯეთო“...

სახლიდან გამოსვლით ლატანს წაეაწყდით, 6—7 მხარის სიგრძეს, ეზოს შუალაგას დარჭობილს. რა თქმა უნდა, თავისი საფუძველი აქვს ამ ლატანს, თავისი დანიშნულება. წვერში ჯვარი აქვს გაკეთებული და ზედ გადაუჯიდიათ ეკლის გვირგვინი: ქრისტიანობა და პირველყოფილი ანიმიზმი ერთმანეთში არეულა. ეს გახლავთ „პაპა-ჯვარი“, ანუ იარაღი, მფარველი იმ ოჯახისა, სადაც იგი დასმულია. გურულს გამოცხადებული მტრისა არ ეშინიან იმდენად, როგორც უჩინარისა, დაფარულისა, მისი ფრთაშესხმული ფანტაზიის მიერ წარმოშობილისა. ჯერ კიდევ გულუბრყვილოდა სწამს, რომ ჩვენი ცოდვილი ქვეყანა საცხეა ათასგვარ მზაკვარ-მაცდურებითა, რომელნიც ადამიანს, მოსისხლე მტრებივითა ჰყავთ გადაკიდებულნი, ყოველსავე სიავეს უშვრებიან. გურულის წარმოდგენით, კუდიანებს წელიწადში ერთ დღესა აქვთ ბენეფისი, — დღესასწაული, — ეს არის „დადგის“ ანუ პირველ ენკენისთვის წინა ღამეს. მაშინ გურული, ოჯახის სახლის უფროსი უმკველად აკეთებს ზემოაღწერილ „პაპა-ჯვარს“ და ეზოში გამოჩინებულ ალაგას მიწაში ჩაარჭობს. ამნაირისავე „პაპა-ჯვრით“ შეაიარაღებს ყანებს. „მლაღვი“, ავი განზრახვით შემოსული, თავის ბოროტ თვალებს ამ ოჯახის მცველს „პაპა-ჯვარს“ ვერ ააშორებს. შეხედავს თუ არა, თითქო რამემ შეულოცაო, ყოველი მისი გრძნეულება დუნდება, უძლური ხდება. წყევლით ბრუნდება უკან ხელცარიელი, დამარცხებული მლაღვი. მიდის სხვა ოჯახში. ჰფიქრობს, ვინ იცის, იქნება სხვა ვერ მიხვდა ან დაავიწყდა და წინ მტერი არ შემომავებაო. თუ მოუშვადებლად დაუხვდა გლეხკაცი, მაშინ ფრთას ისხამს მლაღვი, დღესასწაულობს, ყოველივე სურვილი უსრულდება.

გარდა „პაპა-ჯვარისა“ გურიაში სხვა საშუალებასა ხმარობენ „მლაღვის“ საწინააღმდეგოდ. სახლს, სამზარეულოს, ხულას, სასიმინდეს, ბოსელ-საქათმეს, მარნის კარებს თავლის სანთლის პაწია გუნდებს აკრავენ; შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრს სათითაოდ ჯვარედინად მიაკრავს თავზე იმავე თავლის სანთლის გუნდებს: ერთს შუბლზე და ორს იქით-აქით საფეთქლებზე, აგრეთვე თმაზედ. ამ სახით „შებეჭდილი“ უნდა იყოს შინაური ოთხფეხი საქონელიცა. სანთლით ცვა-ფარვა სჭირდებათ უსულო ნივთებსაც: სატყეარს, თოფს, სახლის ავეჯს, ჯამ-ჭურჭელს, ტანისამოსს, მიმინოს, ჩიტბადეს. დასასრულ, იმ ღამეს, რომელსაც „შეცვა ღამე“ ჰქვია, მზის ჩასვლიდანვე მთელ სოფელში თოფებს ისვრიან და თან ხმამალლა ჰყვირიან; „ჰაუჰო! შენი სვი და შენი ჰამე, ჩემსა ჯვარი დამიწერე“... თუ მოახერხებენ, არც იძინებენ იმ ღამეს.

თუ ეს პირობები არ არის დაცული, მალავე თავისუფლად, დაუბრკოლებლად შემოდის სახლში და, ვისაც სანთლის გუნდა არა აქვს „შებეჭდილი“, გულს ამოაცლის, ზოგს ნაჭერს ამოაცლის ტანისამოსიდან, მერე კერასთან მივა, გადააბრუნებს კერას (შემის სასთუმლად დადებულ ქვას), ქვეშიდან ამოიღებს რალაც გასაფრენ წამალს, ამოისვამს ილიაში და სადმე ჯუჯრუტანაში გაძვრება და მოუსვამს როკაპისაკენ, ტაბაკონას მთაზე (სამეგრელოში).

მალავენი დაღამებითვე იწყებენ სოფელში ძრწოლას სანადიროდ. ხშირად კატად იქცევა ხოლმე მალავე და ეძებს მსხვერპლსა. ამიტომ, ყველა კატას, იმ დამეს შინ შემოსულს, ოჯახის წევრნი დიდი სიფრთხილით ადევნებენ თვალ-ყურს. თუ კატა მეზობლისაა, ან სრულიად უცნობია, ეცდებიან დაიჭირონ და ტუჩი გახურებულის შანთით დაუწვან. მეორე დღეს, როცა კატა ისევ ადამიანად იქცევა, დალი დააჩნდებო. ამიტომ, ვინც იმ დღეს ლოგინში ჩაწევა და თავს მოიავადმყოფებს, ეჭვი შეაქვთ, მალავე უნდა იყოს და წინაღამეს მალავეობაზე დაიჭერდნენ და დაღალავდნენო.

მალავეებს, გურულის აზრით, ადამიანის გული უყვართ. ზოგს ახალგაზრდა ქალის გული მიაქვს ძღვენად როკაპთან—მალავეების უფროსთან, რომელსაც რეზიდენცია ტაბაკონას მთაზედა აქვს, ზოგს ახალ ჯვარდაწერილისა, სხვებს დედის პირმშოსი და საზოგადოდ ისეთებისა, ვინც სიცოცხლეს მხოლოდ იწყებენ და მთელი სიტკბოება ცხოვრებისა საესებით ჯერ არ უგემნიათ.

თვითონ როკაპი, რომელსაც ესდენი დარჩეული ძღვენი მისდის მისთა ხელქვეითთაგან და ერთგულ მოსამსახურეთაგან, მახინჯის სახის მოხუცია, მდებრობითის სქესისა, უღმობელი, ადამიანის სისხლს მოწყურებული. თავისი ტანის სიგრძე კბილები აქვს, რომლებიც წინ მიწაზე უწყეია. ყოველი მის მოსაკითხავად და ერთგულების გამოსაცხადებლად მოსული მალავე მივა თუ არა თავის ბატონთან, ხელში ქვას აიღებს და როკაპის კბილებზე დააკაუნებს. როკაპი შეინძრევა და დაეკითხება:

— ვინ მოსულხარ?

— მე გახლავარ (სახელი და გვარი), დიდო მოწყალეო, ბატონო და ჩვენო მფარველო! ერთი წელიწადია, არა გხლებივარ. ახლა გეახელით და მოგართვით გული (სახელი და გვარი ვისიც არის). ამის პატრონს მოუშხამე სიცოცხლე, ეს იყო, ახლა დაიწერა ჯვარი და საუკუნოდ გამოვასალმე თავის საქმროსა, ცხოვრების სიტკბო არც კი უგემნია.

— ბარაქლა, კარგად გიქნია. კვლავაც გახსოვდეს შენი ბატონი, იმისი პატივისცემა იკოდე.—დარიგებას აძლევს როკაპი და მალავეიც შორდება. გათენებამდე იქა ჩიება და გათენების ხანს თავის სოფელში ბრუნდება.

იმ მალავეებს, ვინც ხელცარიელი მივლენ როკაპთან, ეს უკანასკნელი საშინლად ურისხდება...

უკვე დაბნელდა, როცა გომიდან გავედით, შემოქმედთან ისევ დავსხედით ჩვენს ჯაგვზე. მთვარიანი ღამე იყო. ხეების ხშირ სამოსელში ძლიერას ატანდა სხივებს ღამის მნათობი და გზას სანახევროდ გვინათებდა. საოკნებო ჩრდილი ხეებისა მლაღავებად მეჩვენებოდა; ერთ მოლიან ზოლად გაირბინა ჩემს წარმოდგენაში სოფელელთა მზადებამ, ადამიანის ფულებით დატვირთულმა ფრთაშესხმულმა მლაღავებმა, ტაბაკონას მთამ... ამასობაში აოჯრგეთის სახლებიდან გამოსულმა სინათლემ მხიარულად შემოგვცინა...

VII

სოფ. ეწვრი და მისი მცხოვრებნი.—უნუგვეო მომავლი.—სახელმწიფო ბანკი.—თაგად-აზნაურთა მოსალოდნელი უმამულობა.—რის პატრონია დღეს გურული გლეხი?—რის პატრონი იქნება?—სად უნდა ვადასახლდეს გურული?—ჩინაობა ეწვრლებისა.—მათი ძალა და უნარი.—მათი სოფლის საზოგადო სახე.—ასიმილაცია.—მაგალითი წალვერლებისა.—რაოდენობა რუსებისა გურიაში.

დარწმუნებული ვართ, რომ მკითხველთა უმეტესმა ნაწილმა არც კი იცის, გურიაში გურულების მეტი თუ სხა ტომის ხალხიცა ცხოვრობს, თუ სხვა ხალხიცა ტკბება აქაური ლაქვარდი ცის ცქერითა. უნდა გამოვტყდე, რომ მეც ამ აზრისა ვახლდით. გარნა ვასაკვირველიც არ არის ვგ უცოდინარობა. ვინ საიდან რა უნდა იცოდეს, როცა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში დღემდე ხმა-კარინტიც არავის დაუძრავს, ამის აღნიშვნა საქიროდ არავის დაუნახავს!

მე მოვახსენებთ სოფ. ეწვრზე, სადაც, ეს ათი წელიწადია, რუსები დასახლდნენ. იქნება, ასე შეუმჩნეველი იმიტომ დარჩენილა ეს სოფელი, რომ თვალსაჩინოს არას წარმოადგენს არც მისი სივრცე, არც შიგ დასახლებულთა რიცხვი, აღარც მათი წარმატებული, გინა გარეშეთათვის წასაბაძი სამაგალითო და სახარბიელო ყოფა-ცხოვრება. დიახ, იქნება ეს იყოს მიზეზი ხსენებული სოფლის ასეთი უჩინარობისა, მისი დავიწყებისა, მაინც, რა მიზეზიც უნდა იყოს აღუნიშვნელობა, გვერდის ავლა ამ ფაქტისა დაუშვებელია.

ასეთი სოფელი დღეს ერთია გურიაში, ხვალ კი ათი და ოცი სხვა მოემატება. ხოლო ეს სწორეთ იქ უნდა მოხდეს, სადაც ადგილობრივსავე მკვიდრს, რომელსაც მთელი საოჯუნობით უცხოვრია აქა, მიწა არა ჰყოფნის სახნავ-სათესად; ეს იქ უნდა მოხდეს, სადაც ადგილობრივი მკვიდრი დღეს არა, ხვალ იძულებული გახდება კერა მოიშალოს, აიყაროს, ბავშობითვე შეზრდილ მიწა-წყალს თავი ანებოს და, ვინ იცის, სად უნდა ეძებოს დასასახლკარბელი მიწა, რა პირობებში უნდა ჩადგეს! და ვინც იცნობს ქართველი კაცის ხასიათს, მის ნიშანდობლივ თვისებას, ვინც იცის მისი სიყვარული დედულ-მამულისა, ვინც იცის ქართველ კაცისათვის რა მწარეა კერის მოშლა, ფუძისათვის თავის დენებება, მხო-

ლოდ ის მიხედვება სავსებით, რა მწარე იქნება გურულისათვის ასეთი პერსპექტივა...

ამჟამად საგუბერნიო ადმინისტრაცია იმის ცდაშია, ზედმიწევნით აღნუსხოს რაოდენობა სახელმწიფოს მიწებისა გურიაში, რომ ზედ დაასახლოს სხვა ქვეყნის უმიწაწყლო ოჯახობანი. მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ აქაური მემამულენი, განსაკუთრებით მასაქეთ, რაც თბილისში საადგილ-მამულო სახელმწიფო ბანკის განყოფილება გაიხსნა, როგორც სხვაგან, ჩვენშიც იმის ცდაში-ლა არიან, ჩემმა მეზობელმა მამულის დაგირავება არ მომასწროსო. თითქოს ემინიანთ, ვაი თუ ბანკს მერე ფული შემოეღიოს და ჩვენი მამული არ დაიგირავოსო. მით უფრო ხალისით აგირავებენ მამულებსა, რომ ფულს იმდენს იტებენ, რამდენს მაშინაც კი ვერ აიღებენ, ხელადებით რომ გაეყიდნათ. ან, ჩვენში ისეთი შეძლებული ვინ არის ორი-სამი-ათას დესეტენიანი მამული იყიდოს! მემამულეებს ფული იმ განზრახვით გამოაქვთ, რომ ბანკს უკან აღარ დაუბრუნონ. ან, თუ ჰფიქრობენ დაბრუნებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანანასავით მზამზარეულად ზეციდან ჩამოცვივდა ფული, ან კიდევ, თუ მათმა ბედმა იმუშავა და მათს მომგებიან ბილეთს 200,000 მანეთის მოგება ზედა!.. უქვევლია, 20—30 წლის განმავლობაში ეს კერძო მამულები სახელმწიფო ბანკში გადავა. ამას წინ არა უდგა-რა: არც ჩვენი სწავლა, არც ჩვენი წინდახედულობა, აღარც ჩვენი ზრუნვა მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის. მაშინ? მტერი ასე დაგიღონდეთ, ჩვენი გლეხი დაღონდეს და დაძმარდეს! მაგრამ მე თქვენა გკითხავთ, ცარიელ დაღონებასა და დაძმარებას როდის რა უშველნია, რომ ეს დაღონება, ეს დაძმარება ჩვენ გაგვიხდეს გაქირვების ტალკვესად, უკვდავების წყაროდ, რომ ჩვენ დაგვედოს მტლად?! დაუფიქრებდითარ ამას როდისმე? პასუხი საბედისწეროა, სამწუხაროდ—არა! ან ძლიერ ცოტად! დიახ, მაშინ ერთი გზა-ლა დარჩენიათ: სახლ-კარის მოშლა და სხვაგან ძებნა ბედისა. რავიციო, ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი ამ სოფელში: იქნება, ციმბირისაკენაც დაუწყოს ძებნა მამულსა გურულმა გლეხმა, როგორც დღეს სხვა ქვეყნის უმიწაწყლო მცხოვრებნი შერებიან. რადა? რადა-და იმიტომ, რომ გურულ გლეხს ერთი ან ორი დღიური მიწა თუ-ლა შერჩება. ჯერ დღეს გურიაში კაცის სულზე 5 დღიურიც ძლივს მოდის. ამთაგან 1½ დღიური სახელმწიფოა. დანარჩენიდან 1 დღიური მაინც უხმარი იქნება, 1½ დღიური მთასა, ღრესა და ჰაობს ექნება დაქერილი. ასე რომ, კაცის სულზე ერთი დღიური თუ მოდის კარგი, სახნავსათესად გამოსადეგი მიწა, ისიც კარგი ღვთის წყალობა იქნება! ეს დღეს, და რა დღე დაადგებათ აქაურებს 20, 30 ან 40 წლის შემდეგ: როცა მცხოვრებთა რიცხვი ერთი-ორად იმატებს?..

სოფელი ეწერი ქ. ოზურგეთიდან სულ კილომეტრ-ნახევრის მანძილზეა დასავლეთით, ოზურგეთ-ნატანების შარა-გზის მარცხენა მხა-

რეს. გარეგნობით არაფრით განსხვავდება გურიის სხვა სოფლებისაგან. აგივე ფიცრული სახლები, ისლით ან ყავრით დახურული, იგივე წყნელის წალიები (სასიმინდეები), ოთხ მაღალ ბარჯვზე შეყენებული, იგივე სიმინდის ყანები გარშემო, მხოლოდ ეწერელები უფრო მკიდროდ, ჯგუფადაცხოვრობენ, ქალაქის წესზე, ვიდრე გურულები. მიუღ სოფელში 15 კომლია. მაძრობითი სქესისა 38 სულია და მდებრობითისა—28 ანუ სრულიად 66 სული ორისაჲ სქესისა.

ყველა აქ დასახლებული ყოფილი ჯარის კაცები არიან. სოფელი ეწერი ამ ათი წლის წინათ გაუშენებიათ. ყველა მათგანმა იცის რაიმე ხელობა: დურგლობა, კასრის კეთება, მეწაღეობა და სხვ. სამსახურის ვადა რომ გათავებიათ, სამშობლოში არ დაბრუნებულან. დარჩენილან ოზურჯეთში და თავისი ხელობით დაუწყიათ თავის რჩენა. გაუვლია დრო-ჟამსა. მთავრობისათვის უთხოვნიათ, თავისუფალი მიწები მოგვეცით სახელმწიფო და ზედ დავსახლდებითო. ადმინისტრაციასაც შეუწყნარებია მათი თხოვნა და ეგრედწოდებულს გურიანთის აგარაში, იქ, სადაც დღეს სოფ. ეწერია, მიუზომნია სამ-სამი დესეტინა მიწა, სულ 15 კომლისათვის— $97\frac{1}{2}$ ქცევა. თუმცა იმავე ახალშენების გვერდით სახელმწიფო გლეხები—გურულები სახლობენ, რომელთაც კომლზედ ორ-ორი ქცევა მიწა ძლივას აქვთ.

ვინც ეწერში დაესახლა, მთავრობას ყოველივე საერო და სახელმწიფო გადასახადისაგან გაუნთავისუფლებია, ფულადაც სამ-სამი თუმანი მიუცია კომლზე პირველ ხანს ხელის მოსამართავად,—მოეწყვეთ და გაშენდითო.

ათი წლის ვადა სრულიად საქმარისია გლეხისათვის, რომ ოჯახი ფეხზე დააყენოს, მეურნეობა გააჩალოს, მით უფრო, თუ სხვისაგან შემწეობა და დახმარება ექნება, თუ ბეგარისაგანაც გაანთავისუფლებენ.

მაგრამ ეწერლებს არამც თუ მეურნეობა გაუჩაღებიათ, არამც თუ სხვისი წასაბაძი რამე შემოუღიათ, არამედ საქმე ისე წაუყვანიათ, რომ ლამის არის თავი დაანებონ იქაურობას და სხვაგან ეძებონ მიწა-წყალი.

მიელი სოფელი ექვს დღიურ მიწაზედ არის მოთავსებული. სახლები ფიცრულია, უმეტეს ნაწილად პატარები, ბუხრიანი, ისლით ან ყავრით გადახურული. საზოგადოდ, როგორც მოვისხენიეთ, ამათი სახლები გურულების სახლებისაგან არაფრით განირჩევა. მხოლოდ ერთ მოსახლისათვის გულს ვერ მოუთმენია და რუსული ფაცხა გაუკეთებია წყნელისა, ტალახით გაუგოზავს შიგნითა და გარეთ და მერე კირი წაუსვამს.

ყოველ მეკომურის ეზოს 300-400 ოთხკუთხა მხარის სივრცე ადგილი უჭირავს. ცდილან შიგ ხეხილი გაეშენებიათ. მაგრამ ჯერ ცოტაა, მხოლოდ ბალია აუარებელი და ისიც სქლადა დგას, ასე რომ ნაყოფი კარგად ვერა მწიფდება მორეული ჩრდილისაგან. ბოსტანში მზესუმზირა და კომბოსტო უმეტესად უნდა იყოს. ეზოსა და ეზოს შუა თხმელის წყნელის ღობეა გავლებული, ისიც ზოგან გატეხილი, ზოგან წაქცეული,

ერთს ოჯახში შეევედი. დამიხვდა შავგვრემანი, მარილიანი სახის გურული დედაკაცი—დიასახლისი. გარს ეხვევოდნენ ქერა, ცხვირ-აწეულ ბავშვები, ღარიბულად ჩაცმულები. სახლი, სადაც შევედი, ორთვალაიანი იყო. ერთ ოთახში მამა სახლისა—რუსი, დურგლობდა; შიგ ეწყო ხელსაწყო იარაღები, ნახევრად-დამზადებული ავეჯი, ზოგი გაშალაშინებული და ზოგიც გასაშალაშინებელი ფიცრები. ხოლო მეორე ოთახში ეწყო: დაკონკილი ლოგინი, ორიოდ თევში, გაშავებული მაგიდა, რომელზედაც სამოყარი და ქეთლი იდგა. კუთხეში იდგა გურული გორიკა¹.

იამთ ჩემი მისვლა, სკამი შემომთავაზეს და ყველანი პარმალზე ჩამოვსხედით. დედამ თავის 1!—12 წლის ქალს დაუძახა: „ცა,² რამე ხილი მოუკრიფე სტუმარსაო“.

ვკითხე სადაურობა ჩემს მასპინძელს. რუსული არ დაჰვიწყებოდა, მაგრამ არც კარგად ახსოვდა. „ოცი წელიწადია, რაც სამსახური გავათავე, — მომიყუა რუსულად, — სამშობლო ჩემი რიაზანის გუბერნიაშია. არ წავედი. რადგან სახლში, ჯერ ერთი—დედ-მამა არ მეგულებოდა და მეორეც—სიღარიბე მომელოდა. მიწა ორი დესიატინი დავკრჩა ორ ძმას. ერთი როგორც იქნება, ხელს მოინაცვლებს ორის დესიატინათი, და ორისა კი არა მოგახსენოთ, ვარჩიე აქ დავრჩენილიყავ, — შევეჩვიე აქაურობას. ცოტა დურგლობა ვიცოდი. მერე ამას რომ უყურებთ, — და თავის ცოლზე მიმიტითა, — თვალში მომივიდა და ვთხოვე ცოლად გამომყოლოდა. ჯერ უარზე დადგა. პო-და იმას მოგახსენებდით, ჩემი მარია ჯერ უარზე იდგა, არ უნდოდა გამომყოლოდა, მაგრამ მერე კი დამთანხმდა. ჩემსავით უდედ-მამო იყო, გაჭირებული. რუსული სულ არ იცოდა, მე კიდევ—ქართული, მაგრამ, როგორც იყო, ერთმანეთს მუნჯურად ვაგვიბინებდით, რაც გვინდოდა. მერე ცოტა რუსული იმან ისწავლა, მეც ქართული ვისწავლე და მას აქეთია მოგვაქვს ჩვენი დღე.“

„ჩემსავით დარჩენილები ვინც ვიყავით ოზურგეთში, შევიკრიბენით დამთავრობასა ვსთხოვეთ თავისუფალი მიწა მოეცა ჩვენთვის დასასახლებლად. გამოგზავნეს მიწის მშომელი და რასაც ახლა ხედავთ, ეს მიწა მოგვიზომეს. მაშინ აქაურობა გვიმრას მიჰქონდა, მაგრამ ახლა როგორც არის, ცოტათი გავსწმინდეთ. დიახ, მიწა მოგვეცეს, მაგრამ რათა გინდათ, წითელი მიწა, „ძაბუნი“. მოსავალი ნაკლებ იცის; ყველაფერს შემოლობვა უნდა, თხრილის შემოვლებაა საჭირო, ამას კიდევ ხარჯი და ჯაფა უნდა. თორემ ისე საქონელი ყველაფერს გაგვიოხრებს. ერთმანეთს რომ მხარს ვაძლევდეთ, კიდევ არაფერი. მაგრამ ხართაბალა ის გახლავთ, რომ ერთი ალთას გაიძახის და მეორე—ბალთას... სმაზე ხელი ვერ ავიღეთ. გურულებს კი სმა ეჯავრებათ. ჩვენი ცოლები

1. გორიკა—ზურგზე მოსაკიდებელი კალათი.

2. ცა—შემოკლებული ციცა (გოგო, ქალი).

სულ იმას გვეჩხუბებიან, რადა სვამთო?.. სიმინდს სამყოფს ვერ ვიწვეთ. იძულებულნი ვართ სხვაგან ვიმუშაოთ და $\frac{1}{3}$ ნამუშევრისა ვაძლიოთ მიწის პატრონს. ვეჯახირობთ ასე. მაგრამ მიინც გული არ გვიდგება, უნდა ავიყარნეთ აქედან... გავიგეთ, ბატონო, აფხაზეთში აფხაზები გადაარეკეს და იმათი ადგილები რუსებს უნდა დაურიგონო. შემოდგომაზედ, ქირნახულს რომ ავიღებთ, ერთი ხუთი მანეთი სადმე უნდა ვიმოვნო და წავიდე იმ ადგილების სანახავად. მეცა და სხვებსაც თუ მოგვეწონა, უმეველად უნდა გადავესახლოთა.

ამნაირად ლაპარაკობდნენ იქაური რუსები. ყველას გული აეყარნა იქაურობაზე; ყველა სიღარიბეს უჩიოდა.

ამათი ლაპარაკი მეტად აჭრელებულა. ქართული ყველამ იცის. ერთი რუსი ვნახე, გვარად სანდალოვი იყო, დიდის ხნიდანვე აქ დარჩენილი. თითქმის წმინდადა ლაპარაკობს ქართულს, მხოლოდ კილოს უქცევს ცოტათი და პაჭუა, ჩრდილოეთის მცხოვრების ნიშანდობლივს ცხვირზე ეტყობა, რომ ჩრდილოელია. ბავშვები-კი ყველანი წმინდა ქართულს ლაპარაკობენ, გურული კილოთი, სხაპასხუპით. ამათგან ათში ერთმა თუ იცის რუსული. მინდორზე მთელი გროვა თამაშობდა ამ სოფლის გოგონა ბიჭებისა.

ამყარად ეტყობა მთელ სოფელს გაქართველება. ჯერ ახლაც სახლის უფროსები ზნე-ჩვეულებას აქაურს მისდევენ, ქართულის სწავლას არა თაკილობენ: „ქართული გეჭირია, ბატონო,—მითხრა ერთმა,—ჩვენი ცოლებს სამშობლოში ან მეზობლებში რომ გადავალთ, უქართულოდ ვერას გავხდებით“-ო. ტანისამოსს ჯერ ისევ რუსულს ატარებენ: ჩქიშებს, რუსულ კარტუზს, ხალათს და სხვა, ახალი მოდგმა-კი ჩვენებურად იცვამს—იხურავს. ამათ რომ დავაკვირდი, თვალ-წინ წარმომიდგა სოფ. წალვერში (ბორჯომის ხეობაში) ვორონცოვის დროს დასახლებული რუსები. როგორც წალვერელებმა ვერ გაუძლეს ქართველების გავლენას და მთლად გაქართველდნენ, ისე ეწერელი რუსებიც ადგანან გაქართველების გზასა. როგორც წალვერში, ისე ეწერში ასეთი ასიმილაცია რუსეთიდან მოსულებისა ადგილობრივ მკვიდრებთან, უპირველეს ყოვლისა, მათი ცოლების წყალობაა. წალვერში რუსებს არამც თუ ენა აქვთ გამოცვლილი, გვარიც კი არ შეურჩენიათ პირვანდელი სახით. მაგ. ტროფიმოვი—ტროფიმაშვილად გადაუქეთებიათ, პეტროვი—პეტრიაშვილად და სხვ.

როგორც ზევითა ვთქვით, უმეტესობა ეწერლებისა ხენა-თესვას მისდევენ. იმავე წესით ხნავენ და სთესენ, რა წესითაც გურულები. სამეურნეო იარაღიც კი გურულებიდანა აქვთ გადაღებული. გაუმჯობესებული იარაღის შემოღებაზე არც იმათ უფიქრიათ და არც არავინა ზრუნავს მათთვის. სთესენ სიმინდს; ზოგნი სიმინდის გარდა ლომსაცა სთესენ. ვენახები არ გაუშენებიათ. რამდენიმე ძირი „ადესა“ მხოლოდ ეზოებში

უდგათ, მაგრამ ყურძნადვე სქამენ, ასე რომ ღვინოს გარედან თუ იყი-
დიან, თორემ თვითონ არ აკეთებენ.

ვინც ხელობა იცის რაიმე, რჩეობს თოხისა და სახნისის მაგივრად
ხელში შალაშინი და მეწალის სადგისი დაიჭიროს და ოზურგეთში ორიოდ
გროში აიღოს.

მეზობელი გურულები ამ ახლად შემოსახლებულებს არ ემდურიან.
„ესაა, ბატონო, — მითხრა მათ შესახებ ერთმა გურულმა, — ლოთობა
უყვართ, რასაც იშოვიან, უნდა „ოტკა“ დალიონ მისი, თეარა სხვაფერ
ქე არიან გვარიანიო“.

* * *

ხსენებული ახალშენის გარდა თვით ოზურგეთშიცაა ნაჯარისკაცალი
რუსები. მათი რიცხვი აქ ოცამდეა. ცოლებად ყველას გურული ქალები
ჰყავს. თავს ხელობით და დღიური მუშაობით ირჩენენ. მთავრობამ ამა-
თაე დაურია 90 ქცევა მიწა.

რუსები სხვა სოფლებშიაც არიან ჩასახლებულნი. მაგ.: მაკვანეთში, ბახეს,
დვაბზუს, ლიხაურს, ხრიალეთს, აკეთს, ზედუბანს, ხვარბეთს, ლანჩხუთს,
ნაგომარს და სხვ. მაგრამ მაკვანეთისა და დვაბზუს გარდა, ყველგან თითო
კომლია. ამ ორ სოფელში კი ორ-ორი კომლია. ზოგს დედა-ენა სრუ-
ლიად დაეიწყებულ აქვს, ტანისამოსს გლეხურს ატარებენ. ზოგნი აქ
1860 წლიდანაა სცხოვრობენ. იმათ შვილებმა, როგორც აქ ამბობენ, ერ-
თი „ღერი“ რუსული არ იციან. მხოლოდ გვარი შერჩენიათ რუსული.
ერთი სასაცილო ამბავიც მიაშვეს იმათ შესახებ: სასამართლოში მოწ-
მედ დაბარებული ყოფილა ვინმე ნიკიტინი, ერთ-ერთი ზემოდასახლე-
ბული სოფლის მცხოვრები. მოსამართლე საქმის გარჩევას შეუდგა და
დაბარებულს ნიკიტინს გამოუძახეს. მოსამართლის წინაშე წარსდგა ჩა-
ქურ ტანისამოსში გამოწყობილი გურული. მოსამართლე რუსის გამო-
სვლას მოელოდა და გურული რომ დაინახა, გაჯავრდა, — დაუძახეთ ნი-
კიტინსაო. „ეს ვახლავთ, ბატონო, ნიკიტინიო, — მოახსენა თარჯიმანმა,
— ქართულის მეტი არაფერი იცისო“.

ასეთი მაგალითები აქ ხშირია თურმე.

ამჟამად მთელ გურიაში 50-მდე ასეთი კომლი რუსი ირიცხება. მათ-
განი მამრი — 117 და მდედრი — 94, ხოლო სრულიად 211 სული ორისავე
სქესისა.

გზა.—მდებარეობა.—ეკლესია და მისი სიძველენი.—„ჯვარი“.—დღეობა ანუ გამოფენა ლამაზებისა.—გურული ბანოვანი და მისი ჩაცმულობა.—გურული თავადიშვილი და გლეხი.—ძველებური და აწინდელი დღეობა.—ლიხაურის ციხე.—როგორ აშენდა ლიხაურის ციხე?—მანია გურიელის მოღარე და მისი შვილი.—ლიხაურის ტყე.—ჩვენი მასპინძელი ვახუშტი.

თუ კი სოფ. შემოქმედს საბატიო ადგილი უჭირავს გურიაში, როგორც ისტორიულსა და სააგარაკო კუთხეს, არც ლიხაურია დასაფიქვბელი. თუ არ აჯობებს შემოქმედს, „ჩამოდექს“ მაინც ვერ ეტყვის პირველს მეორე.

სოფ. ლიხაური მდებარეობს ოზურგეთის აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეს აჭარა-გურიის მთების ერთ-ერთ კალთაზედ. ოზურგეთიდან ამ სოფლამდე სულ ერთი საათის სავალი გზა არც კია ცხენით. ლიხაურის სანახავად დღეობა შევირჩიეთ. გვინდოდა კვიციც გაგვეხედნა და სიდდერიც გვენახა, ლიხაური და მისი ისტორიული ნაშთიც მენახა და იქაური მკვიდრიცა.

სხვათა შორის, დღეობას ოზურგეთიდანაც დიდძალი ხალხი მოდის ხოლმე ლიხაურში. ერთ ჯგუფს მეც შევეუერთდი. გავედით მდ. ბეუჯის ფონს სწორედ იმ ადგილას, სადაც ამას აქის-წყალი უერთდება, და სადაც, ცოტა არ იყოს, დინჯდება, სიფიცხე აკლდება, ხმას იმდაბლებს. მეორე ნაპირას ათიოდ მხარის სიგორძეზე დარჩენილა ერთი ნაწილი იმ ხიდისა, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ აუგია ოზურგეთის ერთს ვაჟარს, აწ განსვენებულს, ოქროპირ ურუშაძეს. მაგრამ დიდ ხანს არ დასცალდათ თურმე ოზურგეთლებს ევლოთ ამ ხიდზე. ხიდი, რაც შეიძლება, მკვიდრი ყოფილა, მაგრამ წარსულ წყალდიდობას მაინც ვერ გაუძლო და აბობოქრებულმა მდ. ბეუჯმა ჯერ მდ. ნატანებს და მერე შავს ზღვას შერთო წვითა და დაგვით მოზიდული მასალა ხიდისა. ეს ერთი ნაწილი, რომელიც ჩვენა ვნახეთ, გადარჩენილა და გარიყულივით უხმარადა დგას დღესაც, როგორც უტყვი მოწმე წარსულისა.

დღეს კი ერთი მდ. ბეუჯზე და მეორე აქის-წყალზე შერჩეულია ვიწრო ადგილები და ზედ წყალზე საცალფეხო ბონდებია გაკეთებული. მაგრამაა შეკრული, მაგრამ დიდ წყალს მაინც ვერ გაუძლებს. ისიც მაშინ არის გაკეთებული, როცა წყალმა იკლო. გაზაფხულობით იმასაც მოიტაცებს და იქით-აქეთ ნაპირის მკვიდრნი ერთმანეთს მოწყვეტილნი რჩებიან. უბედურებაც ხშირად ხდება ხოლმე. წარსულ შემოდგომაზედვე მოიტაცა ბეუჯმა ერთი გლეხი და დაახრჩო.

ახლა მთავრობას განძრახული აქვს ბათომიდან შარა-გზა გამოიყვანოს ოზურგეთზე, მაშინ, უეჭველია, ამ ადგილსაც ეშველება, ამბობენ, ოზურგეთის პირდაპირ უნდა გაკეთდეს ბეუჯზე რკინის ხიდიო.

მდ. ბუჟივიდან გზატკეცილი ერთხანს ტყე-ტყე მიდის. თეთრ ზოლად დაკლანკილ გზას ჩარჩოსავით ლამაზად აკრავს ამწვანებული ტყე რცხილისა, გარეული თხილისა, თხმელისა, ან კიდევ ნარი, კუროს თავი, ეკალი, ერთმანეთში აბურდული. ალაგ-ალაგ ტყე კეკლუცად იკვრის, თალივით თავს დასცქერის მგზავრს და მზისაგან იფარავს. ნაკადულების საამო ჩხრიალი გულის უზარებს კაცსა. ერთი კილომეტრის მანძილზე ეს გზა ასე მიდის. მერე იწყება სიმინდის ყანები. ტყის მოშორებით, ზედ შუა გზაზე, გრძელ ლატენებისაგან შეკრული კარია ჩამოკიდებული ძელზე. იქითაქეთ მცირე მანძილზე ლობეჯაქეს შემოვლებული. ერთი ნაწილი ღობისა ყანას მდ. აჭის-წყალის მხრივ იფარავს საქონლისაგან და მეორე მხრით — ტყიდან. სულ ორმოციოდე მხარის სიგრძე ღობეს მთელი ოცდაათი და ორმოცი დღიური ყანა აქვს დაფარული და დაცული. უფროსიერთ აქაური ყანებისა ასეთი ყაირათიანი ღობით არის შემოკავებული. მთელი გზის ორივე ნაპირას ფიცრული სახლებია ჩამწკრივებული ვიდრე ლეხოურამდე. აქ კი იშლება სოფელი. სიგრძე-სიგანეზეა გადაფენილი ორსამ ოთხკუთხ კილომეტრის სიგრძეზე.

ლიხაური ისტორიული სოფელია. აქ საყურადღებოა მისი პატარა, მაგრამ ძველის-ძველი, 1552 წ. კახაბერ გურიელის მიერ აშენებული ეკლესია, მაღლობზე წამოდგმული, სოფლის შუაგულ ალაგას. აქ არის დაცული დღემდე ძველის-ძველი ხატები. მათ შორის შესანიშნავია ღვთისმშობლის ხატო ვერცხლისა და ოქროცურვილი, თვალმარგალიტით შემკული. ამ ხატის წინაშე ხალხი ფიცსა სდებს ხოლმე და მღვდლების ჩაგონებით ყველასა სწამს, ვინც ტყუილად დაიფიცებს, ხატი გარისხავს, ზარს დასცემს; ამიტომ ამას „საზაროს“ ეძახიან.

უმეტეს მათგანს წარწერები აქვს, რომელნიც ნათელსა ჰყენენ ზოგიერთ ბუნდოვან და გამოურკვეველ საკითხებს ჩვენი ისტორიისას და, კერძოდ, გურიელთა გვარის სიძველეს. ამავე ეკლესიაში შენახულია ტყავზე დაწერილი ოთხთავი ასომთავრული ხუცურიით. აქაურ მღვდელს კონტრიძეს დაუკაზმინებია ეს განძი ჩვენი საეკლესიო მწერლობისა და საკმაოდ სისუფთავით შეუნახავს. შიგნით ეკლესიას კედლებზე მხატვრობაცა ჰქონია, მაგრამ დრო-ჟამის განმავლობაში წაბლალულა, ჩამოცვენილა; ზოგიერთი სახე ახლაცა ჩანს.

ეკლესიას პატარავე სამრეკლოცა აქვს მოდგმული დასავლეთით. სამრეკლო აშენებულია გურიის მთავრის გიორგი გურიელისა და მისი ძმუღლის ელენეს დროს, 1422 წელს. როგორც ამ სამრეკლოს ხუცური წარწერებიდანა ჩანს, ლეხოურს ძველად რეხეული რქმევია,

ძირს, „ჯვართან“, განივრად გაშლილი, რამდენიმე საუკუნის კირვარამის მნახველი მუხა დგას. ეს ხე იქაურ ეკლესიის მიუცილებელ კუთვნილებას შეადგენს. ყოველივე ეკლესიის გალავანს დასავლეთ საქართველოში რამდენიმე თუ არა, ერთი მუხა ან ცაცხვი მაინც უნდა ამშვენებდეს. აქ ხატზე „გადასაცემად“ მოდიოდნენ. ჩაარტობდნენ თურ-

მე ლურსმანს ძირამდე და იტყოდნენ: „ლებორის ღეთისმშობელოჲ ამას და ამას (სახელი და გვარი) მანამდე ნუ მისცემ ხსნასა და შველას, სანამ თავისი კბილით არ ამოილოს ეს ლურსმანი ამ მუხიდანაო“. ამავე მუხის ძირას იყრიდა ხალხი თავს სამართლის გადასაწყვეტად, საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად, აგრეთვე დღეობაში დროს გასატარებლად. ხსენებული მუხის ძირას ერთი ტლანქი ქვის ჯვარია მიყუდებული და, ალბათ, იმიტომ დაერქვა „ჯვარი“; თვით იმ ადგილას, სადაც მუხია, იქ ცხრამდე დუქანია, სოფლის სასამართლო და სასოფლო ორკლასიანი სკოლა.

დღეობა აქაური, როგორც სხვაგან საქართველოში, გამოფენა სილამაზისა და ლამაზებისა. თქვენ ყურადღებას უწინარეს ყოვლისა აქ იპყრობს ის სილამაზე სახისა, რომელიც გამჩენს მიუშადლებია აქაური მკვიდრთათვის. ვინც ქალს ლამაზი სქესი დაარქვა, ალბათ, სახეში გურული ქალი ჰყავდა. თეთრ-ყირმიზი სახე, სურათი ცხვირი, შავ-ხავერდისებური, გამომეტყველი თვალები, რომელშიაც ვნებთა-ღელვაც იხატება და გულკეთილობაც (აქ იშვიათად შეხვდებით ლამაზს, მაგრამ მაკდურს, მოღალატე თვალებს). მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვილდივით გადაკიშული წარბები, მიჯრით მოწყობილი, ბროლივით კბილები, ყურყუმასავით შავი და გრძელი თმა,—ი საზოგადო სახე აქაურის ბანოვანისა. ზიზღის მომგვრელ მახინჯი სახის ქალსა თუ კაცს აქ ვერ შეხვდებით. მერე—ყველა ტანადია, მოხდენით მოლაპარაკე, ლაპარაკში ის სიჩქარე და თავისებური კილო ეტყობათ, რომელიც ნიშანდობლივია გურულისათვის და რომელსაც უჩვევი ყური სიამოვნებით ისმენს. მაგრამ ესეც კია, რომ პირველში აქაური ლაპარაკის გაგება გარეშეს, არაგურულს, უჭირდება. ხანდახან ისეთ სიტყვას გამოურევენ, რომ გიჭირდებათ მთელი აზრის გაგება. ყოველსავე შემთხვევაში, სხვა მხრიდან მოსულმა კარგა უნდა შეაჩვიოს აქაურ ლაპარაკს ყური, სანამ კარგად გაიგებდეს, რასაც ეუბნებიან. ამას უფრო იმ სიჩქარესა და სისწრაფეს ვაბრალებთ, რა სისწრაფითა და სიჩქარითაც გურული ქალი თუ კაცი, თავისი აზრის გამოთქმასა ცდილობს. თან ლაკონიური ლაპარაკიც უყვარს.

ესეც კია, რომ აქაური სილამაზე მეტად აზიზია, გამძლე არ არის, ჩქარა „ხუნდება“, აქაური ქალი 13-14 წლისა—უკვე გასათხოვარია, ასაკოვანია. საკმაოა, იგივე ქალი გათხოვდეს და ერთი წლის უკან ნახოთ: შეილიანი, ხანდახან ნასახიც არ შერჩებათ ხოლმე იმ თვალისმომკრელ სილამაზისა, რომელიც ასე უხვად ამშვენებდა და რომელიც მაყურებელსა ჰზიბლავდა. სისუსტე და სინაზე აქაური სილამაზისათვის—ნიშანდობლივია. ერთი რამ არ შეიძლება არ უსაყვედუროს კაცმა აქაურ ბანოვანსა. არა სჯერდებიან ბუნებისაგან უხვად ბოძებულს, ხელთუქმნელს სიმშვენიერესა და ხელოვნურად ჭკდილობენ უფრო დამშვენდნენ, უფრო გაკოხტავდნენ, უფრო მოაწონონ თავი მაყურებელთა. თითქო იმისთვის-

ლა იყვნენ გაჩენილნი,—სხვას მოვეწონოთ, სხვა დასტკბეს და მოიხიბლოს. ჩვენი ქვერტითაო. ფერ-უმარილი, ისიც უზომოდ, ქარბად ხმარებული, მთელ სიამეს გინელებთ.

თავისებურია თუ მთლად არა, ერთი ნაწილი მაინც, აქაური ქალის ტანისამოსისა. განსაკუთრებით თავისებურია აქაური თავსახურავი. ფანტაზიისათვის სრული თავისუფლება მიუციათ. აქ ჰნახავთ: ევროპულ შლიაპებს, ქართულ ჩიხტაკობს; ზოგს მარლის ნაქერი წითლად შეუღებავს და რკინის ჩხირით ქოჩორზე მსუბუქად დაუკრავს, ასე გეგონებათ, წითელი ნისლის ნაქერი აკრავს თავზედაო. უმრავლესობას ადგილობრივე მოქსოვილი, იქნება თავის ხელითაც იყოს, აბრეშუმის გარუხები ახვევიათ. მაგრამ ყველაზე მეტად უხდებათ აბრეშუმის ყაბალახები, თავზე ვაჟურად შემოხვეული. ქალი მაუდის ყაბალახსაც ატარებს, მაგრამ ტარებაც არის და ტარებაცა! აქაურ ქალს ყაბალახის ტარებაშიაც თავისებური, სხვათაგან განსხვავებული გემო და შოკ ეტყობა. ცალი წვერი წმინდა მაუდის ყაბალახისა მრგვალად აქვს მოხვეული და $\frac{2}{3}$ ყაბალახისა წელზე ჩამოუშვია თმასავეთ. მეტად უხდებათ ეს მანერა ყაბალახის ტარებისა. ასეთნაირად თავდახურულ ქალს რო შეხედებით, გეგონებათ, გასაქცევად ემზადებაო. კარგათ დაგეშოლ მიმინოს მოგაგონებთ.

ბუნების კანონის წინააღმდეგი იქნებოდა, როცა ასეთი ლამაზი ქალბოი, ვაჟებიც მათსავეთ ლამაზები არ იყვნენ! დიახ, ვაჟებიც ასეთივე ლამაზები არიან და ზოგს შემთხვევაში სჯობიან კიდევცა. მათს სილამაზესთან ერთად საუცხოოდ შეხამებულია მამაცური, პირდაპირული გამომეტყველება სახისა და ცოცხალი, მოძრავი ხასიათი. სიმწარე, სიხარული მალე მოქმედებს აქაურზე, და მისა სახე ერთ წუთში, შეიძლება რამდენ ნაირადმე გამოიცვალოს, იმისდამხდვით, გარედან რა შთაბეჭდილება მოქმედობს პატრონზე. კეთილშობილება ყველას ეხატება სახეზე. გარდა ამისა, აქაურებს ვერ შეამჩნევთ სახეზე იმ კონტრასტს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს თავადსა, აზნაურსა და გლეხს შუა არის. განსაკუთრებით დღეობაში. ქართლში და, საზოგადოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი ღარი და ხაზი არ უნდა, გლეხი თავადისაგან გამოიყნოს: არც ჩაცმულობაშია რაიმე, დაახლოებული მაინც, მსგავსება, არც ქცევა—ლაპარაკში. ამ ორ წოდებას შუა უშველებელი უფსკრულია, ხილია ჩატეხილი. ქართლელ გლეხს რაღაც დაჩაგვრის, დამონების ბეჭედი აზის სახეზედა. თამბაქდ ორს სიტყვას ვერ ეტყვის ადამიანს, თითქო რილატის ეშინიან, რაღაც აწუხებსო, თავი მაღლა ვერ აუღია, წელში ვერ გასწორებულა. ახლა ნახეთ აქაური, გურული გლეხი და შეადარეთ მის ქართლელ მოძმეს! შედარებაც კი არ შეიძლება. თითქმის ყველას გრძელი ჩოხა აცვია სუფთად და ფაქიზად; გლეხიც თავადივით პირდაპირი მოლაპარაკეა, თამამი, მოსიყვარულე, დაშაქრულის სიტყვა-პასუხის პატრონი, უმაღლესად ზრდილი და თავაზიანი. სულ იმის ცდაშია, როგორმე გაამოს, არ გაწყენინოს-რა. წინდაწინვე მიგიხვდეს, რაცა გწა-

ღია და მყისვე აგისრულოს სურვილი,—ეს მისთვის ბედნიერებაა, უმალ-
ლესი ნეტარება. ხანში შესულთ ვერა ნახავთ გულზე ნიშანი—რამ არა
ჰქონდეთ: წმ. გიორგის ჯვარი, ან მედალი არეკიდოს, სხვდასხვა ომებ-
ში მიღებული მამაცობისა და თავგანწირვისათვის.

* * *

დღეობას აქ თავისი ძველებური ელფერი და ხასიათი დაუკარგავს-
ახლა მხოლოდ მოდიან, მუხის ძირას ვახშმობამდე რჩებიან და მერე
თვითავიანთ სახლებს მიაშურებენ დასაძინებლად. ღამის თვეა გადავარ-
დილია. სხვა სოფლებიდან მისული მლოცველები სტუმრებად ითვლე-
ბიან. ყველა მათგანს თავისი „მასპინძელი“ ჰყავს: ან ნათესავი, ან მო-
კეთე და ან კიდევ უბრალო ნაცნობი. ესენი თვით დღეობა დღეს მო-
დიან, წირვას ისმენენ და სადილად „მასპინძლისას“ მიდიან. თვით-
ეკლესიის გალავანში საკლავის კვლა და იქვე სმა და დროს გატარება,
როგორც ქართლ-კახეთის დღეობებში იციან, აქ არ არის. ნაწირვებს
ცოტა ხანს მუხის ძირას დარჩებიან, ნაცნობებს, ახალმოსულებს მოიკით-
ხავენ, „თვალს წყალს ასმევენ“, როგორც აქ ამბობენ ხოლმე, და სო-
ფელს მოეფინებიან. თამაშობა და სიმღერა ძველად თვით ეკლესიის
კარწინა ცოდნითა, გაშლილ ჰაერზე, მაგრამ ახლა გადავარდნილია-
მთელი მზიარულება სახლებშია. ყველა სახლიდან გაჟოისმის ცოცხალი-
ხმა გურული სიმღერებისა.

* * *

ლეხოურის ეკლესიიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, საკმაოდ მაღალ-
ქედზე აგებულია ლეხოურის ციხე, რომელიც ძველ დროში გურიის სამ-
თავროს თურქთა შემოსევისაგან იცავდა. ამ ციხეშივე მდგარა რუსის
ჯარბე, როს ეს უკანასკნელი თურქებს ეომებოდა. ამის სანახავადც
გავსწიეთ.

მიხვეულ-მოხვეულ გზით შეიძლება თითქმის ციხის ძირამდე ავიდეს.
კაცი ცხენით. აქედან კი ციხემდე 40 მხარის მანძილია და ფეხით უნდა
ავიდეს კაცი. გზის იქით-აქეთ მხარე დაფარულია თხმელისა და ხურმის
ხეებით, რომლებზედაც ვაზებია გაშვებული. ისე ავედით, დალაღვა არც
კი გვიგვრძენია. მშვენიერი გადასახედია ამ ციხიდან. თითქმის ნახევარი
გურია, ანუ, უკეთ, მთლიანი ტყე, რადგან სახლები არსაიდანა ჩანს,
ქობულეთი, ფირაუზის ფერი შავი ზღვა—ფეხქვეშ ეშლება ადამიანს-
საუცხოვო, მსუბუქი ჰაერია; სხვაგან რაც უნდა ცხელოდეს ზაფხულობით,
აქ მაინც ნიავეი ჰქრის და გრილა. გურიის მთავარსაც იმიტომ აურჩე-
ვია საზაფხულო საცხოვრებლად ეს ადგილი. ბევრს ახსოვს ის დრო,
როცა გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია, ამოდიოდა ხოლმე აქ საზაფ-

ბულოდ. სასახლე შიგ ციხეში ჰქონია, იქავე ჰქონია ეკლესია. ქეცა ყოფილა ამოთხრილი. მაგრამ დღეს ყოველივე ნარ-ეკლითაა დაფარული. მსოლოდ კუთხეში გდია ერთი ქვის ჩამური, ღომის საცეხევაად. გარშემოჯერ ისევ თითქმის მთლად შენახულ ციხეს მშვენიერად სუროა შემოხვევია და შორიდან ისე მოსჩანს, თითქო მწვანე ხავერდი აქვს შემოკრული შუა წელზეო. სუროს ყვაივლს ფუტკარი დაჰსეოდა და ამ გამეფებულ მღუმარებას მათი ნირშეუცვლელი ზუზუნი არღვევდა.

ციხე მკადა-ქვისაგან არის ნაშენები. მითხრეს, ამ ციხის საშენებელი ქვა სულ მდ. აჭი-წყლიდან, რომელიც ციხიდან ერთის კილომეტრის მანძილზეა, არის ამოზიდულიო. აი ზეპირგადმოცემაც რას ამბობს ამ ციხის აშენების შესახებ. თურმე ხალხი ეყენათ გამწკრივებული ციხესა და აჭი-წყალს შუა. მდინარის ნაპირას ვინც იღვა, ქვას იღებდა და მეორეს, თავის გვერდით მდგარს, აწოდებდა, მეორე-მესამეს და ასე ბოლომდე, სანამ ქვა ციხესთან არ ავიდოდა. სანამ ციხე არ მოთავდა, ქვა სულ ასე აუზიდნიათ. სხვაფრივ ქვის აზიდვა, მაგალითად, ურმით არც შეიძლებოდა. მეტად ძნელი სამუშაო იყო თურმე და ყოველ სადამოს დაყენებულ მუშათაგან ორ-ორი კაცი კვდებოდაო: ერთი ის, რომელიც ქვას იღებდა ნიადაგიდან, ხოლო მეორე ის კვდებოდა, რომელიც სულ თავში იღვა და მოწოდებულ ქვას ძირსა სდებდა. ყველაზე მეტი სასჯელი ამ ორ კაცს—თავსა და ბოლოში მდგართ—ადგათო.

ეს ზეპირგადმოცემა, ლეხოურის ციხის შესახებ დარჩენილი, გვაგონებს სხვა ამგვარ ზეპირგადმოცემათა, რომელნიც დარჩენილნი არიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ლეხოურის ციხის მსგავსად მაღალ ადგილებზე, და ზოგჯერ მთებზედაც, აშენებულ ეკლესია-ციხეების შესახებ. მაგალითად, იდენტური თქმულებაა დარჩენილი მარტვილის საჰყონი-დელო ტაძრის (სამეგრელოშია) აშენების შესახებ. როგორც ლეხოურის ციხეს, მარტვილის ტაძარს ურემი ვერას გზით ვერ მიუღებოდა, რომ საშენებელი მასალა ამით აეზიდნათ თითქმის ერთის კილომეტრის მანძილზე. ასე რომ თუ არ იმ ხერხით, რა ხერხითაც უშენებიათ ლეხოურის ციხე და მარტვილის ტაძარი, ამ შენობათა აგება ძველ დროში ყოფილად შეუძლებელი იქნებოდა.

ციხის ძირშივე სახლობს შვილი გურიის უკანასკნელი მთავრის შილაძე ქაიხოსრო თაყაიშვილისა—ნიკიფორე. ქაიხოსრო თაყაიშვილი ახლა მკედარია. თავის დროზედ შეძლებულ კაცად ითვლებოდა, აზნაურებში შეძლებით ტოლი და ბადალი არა ჰყავდა. მამია გურიელი რომ მოკვდა, დიდძალი ქონება დარჩენია მისგან. ქაიხოსრო ისეთი შეძლებული ყოფილა, რომ „დიდი გიორგი“ ერისთავისთვის (სოფ. ხიდისთავს, გურიაში) ქალიშვილი უთხოვია ცოლად. ერთი რალაც ნივთი ჰქონია ძვირფასი, მთავრისაგან დარჩენილი, რომელზედაც გი-

ორგი ერისთავს თვალი რჩებოდა თურმე (დღესაც არ იციან, რა იყო ეს ნივთი). „ეს ნივთი მომეცი,—უთქვამს გიორგი ერისთავს,—და ჩემს ექვს ქალში რომელიც გინდა, ის წაიყვანო“. ქაიხოსროსაც სულ უმცროსი, ყველაზე ლამაზი ქალი ამოურჩევია და უთქვამს, ეს მომეციო. გიორგის მიუცია, გარნა, სამაგიეროდ, ნათხოვნი ნივთი წაუღია.

ხსენებულ ქაიხოსრო თაყაიშვილის შვილმა ნიკიფორემ სახლში შეგვიპატიუა. სახელდახელოდ გაგვიმასპინძლდა და ნამდვილ, უხალო „ჩხავერის“ ღვინის გემო გვაჩვენა. აქაური „ჩხავერი“ იმნაირადღვა ნაქები, როგორც შემოქმედისა. ჩხავერის ვაზი აქ კიდევ იმდენი დარჩენილა და ღვინო იმისი იმდენი დგება, რომ სტუმარს ასე თუ ისე უმასპინძლდებიან იმით. „ჩხავერის“ გვერდით „ადესას“ დაუჭერია ალაგი. მაგრამ აქაურ „ადესასაც“ ძალა მოჰმატებია, ეტყობა, კარგ ნაიდაგს საუკეთესოდ გადაუგვარებია.

მასპინძელმა გვიჩვენა ძველი ზარბაზანიცა, რომელიც მისი ეზოს ერთ კუთხეში ეგდო. ადრე ეს ზარბაზანი ლეხოურის ციხეში დებულა. გვითხრეს, ამ ციხეში ამაზე უკეთესი ზარბაზანიც იყო, მაგრამ რუსების ჯარმა წაიღოვო. ადრე ამ ზარბაზნიდან გურიანთაში (რამდენსამე კილომეტრზეა ციხიდან) ვესროდით ნიშანშიო.

სადილად ბევრს გვეპატიუა ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძელი, მაგრამ სხვაგან ვიყავით დაპატიუებული, ჩვენი „მასპინძელი“ სხვა იყო იმ დღეს და ამიტომ გამოვწყით უკან იმავე გზით, რომლითაც ამოვედით.

გარშემო ლეხოურს ტყე არტყია. ადრე მდიდარი იყო ეს ყოველივე საშენი მასალით, მაგრამ ახლა თანდათან გაიკაფა. ნადირი, განსაკუთრებით გარეული ღორი, დიდძალი ბუდობს აქაურ ტყეში. ზამთრობით, თუ თოვლიცა ძვეს, დღე არ გავა, თითო ტახი არ მოჰკლან. ბევრსა ჰკლავენ მეზობლად სოფ. აქში დასახლებული მაჰმადიანი ქართველები. ესენი თვითონ არა სკამენ ამ ცხოველის ხორცსა და ოზურგეთში შემოაქვთ გასაყიდად. თითო ზრდა გათავებული ღორი ოზურგეთის ბაზარზე კაცმა შეიძლება 5—6 მანეთად იყიდოს.

უკვე მესამე საათი დაიწყო, ათასგვარად გადაბანდულ შუკებში რომ გავიარეთ და მივატანეთ ჩვენი მასპინძლის, ვახუშტი თ-ძის სახლს. ქიშკართან შემოგვეგება თეთი სახლის უფროსი—თეთრწვერა მოხუცი.

ეზოში რომ შევედით, უსაზღვრო ბედნიერება გადაეფინა ჩვენ მასპინძელს, თვალები გაუბრწყინდა. თვითონ მოგვეშველა ცხენიდან ჩამოხტომის დროს. რაკი ზაფხული იყო, სუფრა გარედ გაიშალა, ზედ იმ ადგილას, სადაც ღვინით სავსე ქვევრები ეფლა მიწაში. აქეთკენ ქვევრებს ცის ქვეშ მარხავენ, ზევიდან არაფერი ჰფარავს. ეს კია, წითელი მიწით მაგრადა აქვს თავი მოგოზილი, ასე რომ წყალი ზევიდან ვერ ჩაატანს. ზამთარ-ზაფხულ ასეა დატოვებული. ზამთარში ზედ ათოვს და, როცა ღვინო დასქირდებათ, ჯერ კარგა ხანს იმაზე უნდა იზრომონ, რომ თოვლი მოაშორონ ქვევრს. ამ საქვევრო ადგილას გარშემო მრგვლად

შემორიგებული აქვს რცხილის ხეები, რომელთაც კენწეროები ერთად აქვთ შეერთებული, ერთ კონად გაკეთებული. ბუნებას ერთ კენწეროდ გადაუქცევია, მერე ისე ოსტატურად, რომ შორიდან, თუ არ იციტმისი საიდუმლო, დაენიძლავებით კიდეცა კაცს—ერთი ხე სდგას და არა რამდენიმეო. მშვენიერი ჩრდილი იცის, მზის სხივები ქურდულად თუ შეპყოფენ თავს საიდანმე. ღვინოს თქვენს თვალ-წინ იღებენ ხრიკათი. იქავე გვერდით პატარა რუ მოდიოდა და ზედ გამართული იყო პატარავე ერთთვლიანი წისქვილი და წყლის ჩამური ღომის საცხევაად. მათ აქით სიმიანდის დატაროიანებული ყანა საამოდ ღაღაღებდა.

აი, ასეთ პოეტურს ადგილას გაეშალა სუფრა ჩვენს მასპინძელს. პირთამდე სავსე სუფრას, სხვათა შორის, გვიმშვენებდა საუცხოვო არაყი სანთლისა, ნამდვილი ჩხაერის ღვინო და ბუჯის გემრიელი კალმახი. უბეკოდ აქაური სადილი ვერ სადილობს და უმძალოდ კიდევ აქ ბექსფასი არა აქვს. მძალე განუყრელი კუთვნილება ბექისა. მძალე მარტო აქეთკენ იციან. აკეთებენ განგებ დამძალებულ ნიგვზისა და ძმრისაგან. პირველში კაცს უგემურად ეჩვენება, მაგრამ მერე, რომ შეეჩვევა, უიმისოდ ბექი არ ეგემრიელება.

გურული სიმღერები „ხასან-ბეგური“, „ინდიმინდი“, „ხელხვაი“ სმენას გვიტკბობდა მენახეთა. ბოლოს გიტარაც გამოჩნდა, ბევრი ვათვალეირე ჩვენი ზონგური „ხმატკბილი და საამური“, მაგრამ გიტარას სოფლიდანაც გაუღდენია ჩვენი ეროვნული საკრავი.

სადილის გათავების ხანს მეზობლის ქალებიც შემოგვიერთდნენ. იმ განზრახვით რომ დახმარებოდნენ მასპინძლებს და კარგად გავემხიარულებინეთ სტუმრები. თან მოიტანეს „ბუზიკა“ („ვერიდებოდი ღოლოსაო. შემხვდა ღობის ბოლოსაო“). მისმა ქყვიტინმა მთელი სიამე წმინდა გურული სადილისა, ცოტა არ იყოს, ჩამიშხამა. მაგრამ მის დამკვრელს, შავგვრემანსა და მარილიანს ციცას გულწრფელად სწამდა, ამით ვასიამოვნებო, და ჩვენც მოთმინებით აღვიქურვენით—მისი იმედი არ გაგვეცრუებინა.

სმამ საღამომდე ვასტანა. აქაურები სმაში თავის აღმოსავლეთ საქართველოს ძმებს არ ჩამოუვარდებიან. აქაც ვაქაკობად მიაჩნიათ სმა. მაგრამ, რამდენიც უნდა დალიოს გურულმა, წრეს არ გადავა. ჯეროთითო კიკა ვსვით, მერე ორ-ორი, შემდეგ სამ-სამი, ბოლოს ოთხ-ოთხიც. მხოლოდ ყანწებით არ გვისვამს.

მზე ჩაესვენა, როცა სუფრიდან ავიშალენით. ყველას გვეტყობოდა, გურული სუფრის ხათრით ბახუსისათვის საკმაო მსხვერპლი შეგვიწირავს. იმდენი კი მოვახერხეთ, მასპინძლისთვის მაღლობა გვეთქვა. იმანაც მაღლობა გვითხრა, რომ „ჩვენი ხელის ნაბანი წყალი მის ოჯახში დაეღვარა“.

ოხურგეთში რომ მივედით, „ხასან-ბეგურის“ ხმა კიდევ გვიღვა ყურში.

ნ ა გ ო მ ა რ ი

ნაგომარისავენ.—გზა.—გურიელის სამოურაო.—„ნაგომარობა“.—ჩვენი ხალხის ხელსაქმე.—სუფსის კალა.—მამულეების გამიჯვნა.

მკათათევია. ზომიერი სიცხე დგას. ოზურგეთი თითქმის დაცარიელებულია. ვისაც კი მოცლა და შეძლება ნებას აძლევდა, ყველა არილებდა თავს ოზურგეთსა, ყველანი ბახმაროს მთისკენ მიისწრაფოდნენ. ზოგი თიბათვის გასულსავე წასულიყო ამ მთაზე, დანარჩენნი ახლა მიდიოდნენ.

მეც, სხვებთან ერთად, ამ მთაზე უნდა ავსულიყავ. მაგრამ მოულოდნელად გზა ვაგვიგძელდა. უნდა ვაგვევლო ნაგომარში, ნაგომარიდან აკეთში და იქედან კიდევ—ბახეში. მხოლოდ ამ აღილოს შემდეგ შეგვეძლო ბახმაროს აღმართს შევდგომოდით.

ნაგომარი ოზურგეთიდან 12 კილომეტრის მანძილზეა. ვიწროსა, მაგრამ კარგად მოკენქილ გზაზე ეტლი მშვენივრად მიჰკორავს. ასეთი კარგი სასოფლო გზები მარტო აქეთკენ, გურიაში, თუ შეხვდება საქართველოს სხვა კუთხეში ნავალ კაცსა. აქ, ეტყობა, ყველას შეგნებული აქვს, რომ უგზოოდ ფასი არა აქვს მეურნეობის ყოველგვარ ნაწარმოებსა. არა გვევინია, რომ სხვაგან, საქართველოს რომელსამე კუთხეში, სოფელენი გზების გაყვანისათვის იმდენსა ზრუნავდნენ, რამდენსაც გურიის მკვიდრნი ზრუნავენ და ეს სწორედ მაშინ, როცა გურულმა გლეხმა ათას-გვარს, კარზე მომდგარ გაჭირვებას პასუხი უნდა გასცეს! 1896 წელს მთელ ოზურგეთის მაზრაში (გურიაში) გზების შესაკეთებლად „ბეგარაზე“ გაუყვანიათ 55,753 ქვეითი კაცი, 7,669 ურემი და 497 ცხენი.

სოფ. დებაზუმდე გზა ერთ გრძელ, დაუსრულებელ ხეივანში გადის, ხოლო ამ სოფლის შემდეგ დაბალი ტყე იწყება. თვით მოსახლენი იშვიათად შეხვდება მგზავრსა. ეს უდაბურობა გზისა ადრე, ფირალოზის დროს, საშიშრად ჰქმნიდა აქ მოგზაურობასა და თვით ფირალებს დიდად უწყობდა ხელსა. თანამგზავრებმა ის ისტორიული პუნქტიც მიჩვენეს, სადაც რომელიღაც ფირალს,—არ ვიცი—მიქელაშვილს, არ ვიცი—მეხუზლას არა ერთხელ დაუცია შიშის ზარი გამველელ ვაჭრისათვის.

გავედით მდ. ნატანებში, უკან დაგვრჩა ბახვის წყალიცა. გველივით დაკლაქნილი და აღმართ-დაღმართიანი გზა გასწორდა და ნაგომარიც გამოჩნდა, სიმინდის ყანებს შუა, ვაკე ადგილას გაშენებული.

ნაგომარი, როგორც ზევითაც ვსთქვით, მეორე სამოურავო იყო გურიელისა და მოურავად აქ იჯდა თავადი გუგუენავა, რომლის ჩამომავალი პატივცემული მოხუცი თავადი სვიმონ გუგუენავა, ოზურგეთის მაზრის უფროსი, ჩვენს მწერლობაში ცნობილი მოლექსე, შვილი პოეტის დათა გუგუენავის, დღესაც აქა ცხოვრობს. გურიელიც ხშირი სტუმარი ყოფილა თავისი სამოურავოსი და, ალბათ, სხვათა შორის, ესეც დაედო მიზეზად იმასა, რომ აქ, ამ სოფელში დაბა გაშენებულა, ვაჭრობა გაჩაღებულა.

დუქნები აქაური ყველა ხისაა და ორპირად არის ჩარიგებული, როგორც ოზურგეთში, შუაში გაყვანილი გზის იქით-აქეთ ნაპირებზე. აქვე ჩვენებურ პროვიზორს აფთიაქი გაუღია. ერთ სადუქნე შენობაში ადგილობრივის ინტელიგენციის მეცადინეობით უფასო წიგნსაცავი მოთავსებულია. შიგ მეტად მცირე რიცხვია წიგნებისა, ვახეთებიც სულ ორნაირი იდო მაგიდაზე. მაგრამ სულ არარაობაში ესეც დიდ წყალობად უნდა ჩაითვალოს.

ნაგომარი თავისი ბაზრობით არის ცნობილი; ან, როგორც აქ ამბობენ, ყოველი წლის მკათათვეში „ნაგომრობა“ იციან. ჩვენ რომ მივედით, ბაზრობა, ის-ის იყო, დაეწყით. ბაზრობა იწყება 15 მკათათვიდან და გასტანს ორ კვირას, ესე იგი მკათათვის გასვლამდე.

ნაგომრობა ერთ საუკეთესო ბაზრობად უნდა ჩაითვალოს მთელ გურიაში. ჯერ ერთი, ვაჭრობისათვის ჩინებული დროა შერჩეული—მკათათვე, როცა გურული გლეხი თითქმის მოცლილია. ამ დროს სიმინდი გამარგლილი აქვს და შეუძლია ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს თავისის ნაწარმოებითა. აბრეშუმის პარკიც მოწეულია და სოფელ ქალს თავი ხელთა აქვს გასასყიდად გამოიტანოს როგორც აბრეშუმის ძაფი, ისე ნაქსოვიცა.

ხალხი ნაგომრობას დიდძალი ეკრიბება. ვაჭრები უფრო სოფ. საჯავახოს მცხოვრები ებრაელები არიან. ფართლეული და საწვრილმანო ორპირად ჩამწყკრივებულს, წყნელისაგან მოწულს კარგებში აქეთ მოთავსებული. ვაჭრობის საგანი ფართლეული და სოფლებიდან შემოტანილი ნაწარმოებია, ყველაზე მეტი შემოაქვთ აბრეშუმი, ძაფად ამოღებული, აგრეთვე აქაურებისავე ნაქსოვი დარაია, რომლის ალაბი ექვს შაურიდან სამ აბაზამდე იყიდება. ნაქსოვი, საზოგადოდ, ტლანქია, გაცილებით ჩამოუვარდება დ. ხონში ნახელსაქნარ დარაიას. აქვე ჰყიდიან დარაიის საზაფხულო ყაბალახებს, თითოს 2 მ. ასეთი ყაბალახები ჰხურავთ გურიაში თავმომწონე ყმაწვილკეცებსა და ზოგან ქალებიც კი ატარებენ. ამჟამად ძალიან მოდაშია. მოაქვთ აგრეთვე თიხის სხვადასხვა ჭურჭელი, მკადის საცხობი კეცები მახლობელ სოფ. ვანიდან. აქაური კეცი მთელს გურია—სამეგრელოში განთქმულია, სულ დიდი კეცი ღირს ორი აბაზი. გამოაქვთ ჩონგური, სხვადასხვა სიდიდის ქილობი. ძალიან ბევრი დააქვთ გასასყიდად ალაგობრივე მოწულს ქილობის ქუდი, ფართო, შვეიცარიელი გლეხები რომ ატარებენ, იმ სახისა. თითო ქუდს სამ შაურად იყიდით. აქაური გლეხები და პატარა ბიჭები ხშირად ატარებენ ასეთ ქუდებს. მეტად პრაქტიკული რამ არის მზის გულზე ყანაში მუშაობის დროს. სიცხისაგან ძალიან იფარავს თავს. რომ კაცი იყოს, ნაგომარს გარდა სხვაგანაც გაუხსნიდა ბაზარს ამ ქუდს, მხოლოდ ერთი ბეწო გაუმჯობესება სჭირია. ზოგს ფასონი აქვს უშნო, თორემ მეტად ხელოვნურად არის მოქსოვილი. ბაზრობაზედვე ნახავთ პატარა ბიჭებსა, რომელთაც შოლტზე დაბმული ღაჯოები (ფრინველია ერთნაირი,

შელურაზე დიდია) დაჰყავთ გასასყიდად. მიმინოს დასაქერად საუკეთესო
მიტია ლაჟო და ამიტომ ფასიცა აქვს. თითო ლაჟო, თუ გაუწვრთვენელია,
სამი შაური ღირს. კარგად გაწვრთვნილი მამალი ლაჟო ორ მანეთადაც
ჟაიყიდება.

ცუკვა, თამაში და სიმღერა, როგორც მაგალითად ხობისა და ძველი-
სენაკის (სამეგრელოში) ბაზრობაზე იციან, აქაც იცოდნენ წინათ, ეხლა
აღარ იციან აქ. ხალხი მოდის სავაჭროდ, სასაქმოდ, ნახავს ნაცნობებსა,
შოიკითხავს და უკანვე ბრუნდება. თვით ადგილი ბაზრისა ძალზე ვიწ-
როა, თან მტვერი ასდის საშინელი. გარეშემო თავისუფალი ადგილი
ცოტა აქვს შორიდან მოსულ ხალხის შესასვენებლად. ყოველი ფეხის
დადგმა მიწა ყანად არის ქცეული.

გურიაში ნაგომარს გარდა ამნაირივე ბაზრობა იმართება სოფ. ჯუ-
შათში ენკენისთვეში და ერთ კვირას გასტანს, საჯავახოში პეტრეპაე-
ლობას და იქაც ერთი კვირა გრძელდება. მაგრამ „ნაგომრობას“ სხვებ-
თან უპირატესობა აქვს. აქაური ოპერაცია (30,000 მანეთი) თითქმის
უდრის ჯუმათისა (9,700 მ.) და პეტრე-პავლობის (18,000) ოპერაციას
ერთად.

*
* *

ნაგომარს ზედვე აკრავს ნაყოფიერი სუფსის ჭალა, განთქმული სიმინ-
დის მოსავლითა. ნიადაგი სულმუდამ მსუქანი და პოხიერია, რადგან მდ
სუფსა, როცა მოდიდდება და ნაპირებზე გადაივლის, ზედა ტოვებს
ლამსა. ეს კია, რომ აქაური ჰაერი ტანსიმრთელისათვის მაწყენარია,—
ციება იცის. მთელი ჭალა მოფენილია სასიმინდეებით. როცა სიმინდს
მოსტეხავენ, შიგა ჰყრიან. შინ წაღება ან და გაყიდვა რომ მოუნდებათ,
გაცეხავენ სასიმინდეშივე, ტომრებში ჰყრიან და ურმებით მიაქვთ, სა-
დაც უნდათ. მთელი ზამთარი სიმინდი გარეთ არის, სახლიდან შორს
მანძილზე. მეტად ოსტატურად არის გაკეთებული აქაური სასიმინდის
ერთი ნაწილი. ბარჯგსა, რომელსაც აქ გამძლეობისათვის ურთხლისას
აკეთებენ, და თვითონ სასიმინდეს ტანს აერთებს მრგვალი, ჯამის სა-
ხით გათლილი ნაჭერი ხისა. მხოლოდ, ჯამის ამოდრტუნული ნაწილი
ქვეითა აქვს მოქცეული, ქვედა კი—ზევით. ამის საიდუმლო ის გახლავთ,
რომ თავგი სასიმინდეში ბარჯგიდან ვერ ავა: ბარჯგზე ჩამოფარებულ
ჯამს რომ მიატანს, პირალმა მოექცევა ქვეშიდან ჯამსა და მყისვე ძირს
ჩამოვარდება.

ნაწილი ამ ჭალისა ეკუთვნის თავ. გუგუნავეებს და ერთი ნაწილიც—
თავდგირიძეებსა. მაგრამ დღემდე გაუმიჯნელი იყო და მონაწილისა-
თვის თავისი ქონების საზღვრის გამოურკვევლობა მეტად სამძიმო იყო.
ეს გამოურკვევლობა თავისი უფლებისა აქაც, როგორც სხვაგან. სა-
ქართველოში, ხშირადა ყოფილა ყოველგვარი შფოთის მიზეზი. ხოლო
ეს შფოთი და უთანხმოება კიდევ სატყვერითა და ტუქებით არა ერთხელ

გამორკვეულა. კერძო მემამულეთა და ხაზინის ქონების აღსანუსხავად და გასამიჯნავად ჩემს იქ ყოფნაში სახელმწიფო ქონებათა უწყების აგენტი და მიწისმზომელი იყო გამოგზავნილი. მცხოვრებთა შორის ათასგვარი ხმა დადიოდა აგენტის შესახებ. საქმე ის ვახლავთ, რომ თუ გლეხი იტყოდა, ესა და ეს ადგილი, რომელზედაც მე ვმუშაობ, სახაზინოა, მებატონეს, ვისგანაც გლეხს სამესამედოთ თუ სამეოთხედოთ ჰქონდა აღებული მიწა, აგენტი კიდეც სადავოდ, ან, როგორც აქ ამბობენ „სასპოროდ“ აღიარებდა. თანაც გლეხს ჩაგონებული ჰქონდა, თუ სთქვი, ესა—და—ეს მიწა სახაზინოა, მებატონეს ჩამოერთმევა და შენ ჩაგბარდება, დაჯექი და იმუშავეო. მემამულენი მეტად ამრეზილნი იყვნენ იმ ფაქტით, რომ გლეხებს იმას კი არ ათქმევინებდნენ, რაც იყო და იცოდნენ, არამედ ძალას ატანდნენ და სიმართლეს აქელვინებდნენ, ვითომ და მათისავე სარგებლობისათვის. უფრო იმაზე მოსდიოდათ გული, რომ ბატონი ჩვენებურია, და ქართულად, რაც უნდა იმას ჩააგონებს უვიცსა და უსწავლელ გლეხსაო, გლეხმა რა იცის, რომ იმასაც ერთმევა მამული და ჩვენცა! სად გაგონილა, ბატონო, ჯერ ეჩიინება, ასე სთქვი, თვარა დეილუპებო?! ამბობენ, უმეტესობა მამულეებისა, რაც იმ ზაფხულს გაიმიჯნა, ხსენებულმა აგენტმა სადავოდ გამოაცხადაო და ვინ იცის, როდის მოეღება ბოლო ამ დავასაო... მემამულენი იმას ნატრობდნენ, ნეტავ ჩქარა გვედირსოს მამულების გამიჯვნაო და ახლა თავში საცემი ის გაუხდათ, რომ ათას ალაგას ფული უნდა ხარჯონ და სამართლის წესით ხაზინას უნდა ედავონ... სად შეუძლიათ, ბატონო,—შემომჩიველა ერთმა თავადმა, ჩვენს ისედიც გაჩანაგებულს თავად-აზნაურობას იმდენ ხარჯს გაუძლოს და ხაზინას პასუხი მისცესო?... ეგეც ერთი უსამართლობა გვატყდება თავზედაო!..

გამოვსწიეთ აკეთისაკენ, რომელსაც ნაგომრისაგან მდინარე სუფსაჰყოფს. ზედ ნავია ბრტყელ—ბსკერიანი, რომელიც იქით-აქეთ საქვებით გაჰყავთ. ეტლი გამოღმა დაესტოვეთ, რადგან წყალი ცოტა მომატებული იყო და ჩვენ კი ამ ნავით მეორე ნაპირას ვავედით.

X

აკეთი

აკეთი.—მამუკა თავდგირიძე და თავდგირიძეთა გადმოსვლა გურიაში.—მამუკა თავდგირიძე და აქარის ფაშა აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილი.—მამუკას მემკვიდრეობა.—მაცხოვრის ეკლესია.—საჯვარე თოხაძიანთ უბანში და ორიოდ სიტყვა ძველ ხელნაწერთა შეკრების გამო.—„ნაოფლარი“.—სოფლის მასწავლებელნი.—ვასილ რუსი.—აკეთელი მათუსალა.—სტუმართმოყვარეობა.—აკეთელი იდალგო.—„მშვიდობით, ტარიელის სამშობლო სოფელი“

აკეთი გორის ფერდზედ არის შეფენილი და ზედ დასცქერის სუფსის ჰალასა. აქედან სუფსის ვაღმით, აღმოსავლეთის მხარეს, მოხანს რამდენიმე სოფელი გურიისა, გურია-აქარის მთების კალთებზე შეფენილი,

მთის ზემოთ—უხვი ტყე. სოფელი-მეთქი, მაგრამ ეს შეცდომა იქნება,—
თითო სოფელში თითო სახლს თუ მოჰკრავს კაცი თვალსა, ისეა და-
შალული სახლების სახურავები ტყეში.

ერთი კვირის განმავლობაში აკეთის სტუმარი უნდა ვყოფილიყავ,
სანამ პირდაპირ ბახმაროსაკენ ვიბრუნებდი პირსა. ამიტომ საკმაო დრო
შქონდა მომესმინა წარსული აკეთისა და აწმყო მდგომარეობა მისი.

აკეთი, როგორც უმრავლესობა გურიის სოფლებისა, ისტორიული
სოფელია. და ეს ისტორია მისი საკმაოდ მდიდარი გახლავთ. ოთხი
სოფლისაგან შედგება აკეთი: პირველი საკუთრივ აკეთია, მეორე—ზომ-
ლეთი, მერე—კანჭათი და ვანი. ჩვენ აქ გვექნება ლაპარაკი საკუთრივ
აკეთის შესახებ.

ამჟამად აკეთში გლეხებს ვარდა სახლობს რამდენიმე მოსახლე აქაურ
შებატონე თავად თავდგირიძეთა, რომელთა წინაპარი XVII საუკუნეში
ქობულეთიდან გადმოსულა აკეთში.

ამ გვაროვნობას თავისი საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს და აქ
ვეცდებით მკითხველსაც გაავცნოთ იგი.

აწინდელი თავდგირიძენი წინად თავთირიძებად იწოდებოდნენ და
მოსვენებულნი არიან როგორც სახელოვანი თავადნი სამცხე-საათაბა-
გოსა. სამცხე-საათაბაგოში ჰქონიათ სოფელი „ჩორჩანელი სასაფლაო-
თა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“. სამცხე-საათაბაგოელ თავდგ-
რიძეთა გვარი ამჟამად სამგან არის: ქვედა აჭარაში, ქობულეთსა და გუ-
რიაში—სოფელ აკეთს.

სოფელ აკეთში თავდგირიძენი დასახლებულან მეჩვიდმეტე საუკუნის
მეორე ნახევარში. მათის წინაპრის, მამუკა თავდგირიძის, გამოსვლის
ამბავი მკიდროდ შეკავშირებულია ქობულეთის მხარეში ქრისტიანთა
და მაჰმადიანთა პირველად შეტაკებასთან. ამ მამუკა თავდგირიძის
პირდაპირი შთამომავლანი არიან როგორც ქობულეთს (მაჰმადიანნი), ისე
სოფ. აკეთს (ქრისტიანენი) მცხოვრებნი თავდგირიძენი. მამუკა მაშინ გად-
მოსულა გურიაში, როცა მთელი ჩაქვი და ქობულეთი ჯერ ისევ ქრის-
ტიანი იყო. მისი საბატონო იყო როგორც ჩაქვისა, ისე ქობულეთის მხარე.

საოცარია, ხანდახან რა უბრალო შემთხვევას, თითქმის უმინშენლო
მიზეზს შეუძლია მთელი მხარის სვე-ბედი წალმა დაატრიალოს, თითქმის
ძირითადად შესცვალოს მისი მდგომარეობა. მამუკას სახლთუხუცესადა
ჰყავდა აზნაური, ვინმე ოთარ იოზიშვილი. ოთარს, თავის მხრივ, ოცდა-
ხუთი მოსახლე გლეხი ჰყოლია. სახლთუხუცესის თანამეცხედრე მეტად
წუწურაქი და პურძვირი რამა ყოფილა და თან უდიერად თურმე ექ-
ცეოდა გლეხებსა. როგორც ზებირგადმოცემა მოგვითხრობს, როცა ყანაში
გლეხები ჰყავდა და ამუშაებდა, რამდენიც უნდა ყოფილიყვნენ, ოთა-
რის ცოლი ერთ ხელის სიფართე მკადს და მის შესაფერ შეჭამადს
გაუგზავნიდა, ხოლო იმისი დარდი ნაკლებად აწუხებდა—ყოფოდათ
ასეთი მცირედი საქმელი თუ არა. ძალიან კარგს ვუნებაზედ უნდა ყო-

ყოფილიყო მამუკას სახლთუხუცესის თანამეცხედრე, რომ მუშებნისათვის ზედნადებად ღვინოც გაეგზავნა, თუნდაც თითო ყლუპის მეტი არა რგებოდათ თითოეულსა.

გაბერდნენ გლეხები ასეთი ძალ-უმაღურის ცხოვრებითა. სთქვეს, რაღა ჩვენი სიცოცხლე, თუ ჩვენს მებატონეს თავი არ დაეაღწიეთო. შეთქმულებმა გადასწყვიტეს, მესადილემ ჩვენი მებატონის ცოლისგან გამოგზავნილი ჯერი რომ მოგვითანოს, ერთი ლახათიანად მივაშავოთ და ამით მაინც ვიოხოთ გულიო. მართლაც, მესადილემ ჯერი მიუტანათო თუ არა, მისცივიდნენ და მანამ სცემეს, სანამ მე და თქვენ მივეშველებოდითო.

რა თქმა უნდა, მებატონე ჩვენს თავხედობას რომ გაიგებს, უშუბში არ გვაკოცებს და, სანამ დრო გვაქვს, თავს ვუშველოთო, სამშობლოში გაჩერება ყოვლად შეუძლებელიაო, გადასწყვიტეს დამნაშავე გლეხებმა.

მაშინ ვინც რასმე დაუშავებდა მებატონეს, ან და კაცი შემოაკვდებოდა და შინ გაჩერება არ შეეძლო, ოსმალეთში ეძებდა ხსნასა. ჯერ ერთი, იქვე, მეზობლად იყო, და მეორეც—თუ კი როგორმე ამ ქვეყნის მიწა-წყალს დაადგამდა ფეხს, მისი სიცოცხლე დაზღვეული იყო. აი, ამ ოსმალეთს მიაშურეს იმ რვა მუშამაც, რომელთაც ხელი აღმართეს თავისი ბატონისაგან გამოგზავნილ კაცის წინააღმდეგ.

გაიგეს სახლთუხუცესმა და მისმა ცოლმა ლტოლვილი ყმების ამბავი. ცოლმა სიკაპასით ცეცხლი მოიკიდა და თავის ქმარს ურჩია, უეჭველად ახლავე უნდა მოიღოს ბოლო ამ უწყისობას და დამნაშავენი სამაგალითოდ დაღესაჯოთ, თორემ იმ შეჩვენებულთ თუ ეს თავხედობა შევარჩინეთ, იმათ მაგალითს სხვებიც წაჰბაძვენ, გაგვიორგულდებიან და დავიღუბებითო. სხვა გზა არ არის, უნდა შევიპყროთ როგორმეო.

სახლთუხუცესს ორი ძმისწული ჰყავდა. უფროსი ადგა და, ვითომ საძებრად და დასაჭერად, გაქცეულებს გამოუდგა. მაგრამ გულში კი სხვა ჰქონდა: იმასაც სჭირდა რაღაც ჯავრი თავისი ბიძისა და თურქეთში რომ გადავიდა, ქრისტიანობაზე ხელი აიღო და თვითონაც მებაბოხეთ მიემხრო.

იმ დროს ბათუმსა და ჩაქვს შუა მდებარე ადგილი ძარცვაგლეჯისასპარეზად იყო გადაქცეული. აქ იყო გზა, სადაც უნდა გამოეტარებინათ გურიაში მოტაცებული ლამაზი ქალები ოსმალთა ჰარამ-ხანებისათვის. მამუკა თავდგირიძის სახლთუხუცესის ყმები გაქცევის შემდეგ ორ კვირას არ გაუგლია, ისე მოსამსახურე ლამაზი გოგო დაეკარგა სახლთუხუცესის ცოლსა. ამ უკანასკნელმაც ბრალი თავის მაზლისწულსა დასდო, თუ არა ის, გოგოს მოტაცებას სხვა ვერავინ გამიბედავდაო.

ოთარის ძმისწულმა გაიგო, ბიძოლა ჩემი ასეთ ცილსა მწამებსო. ეწყინა საშინლად, მით უფრო, რომ ცათამდე მართალი იყო ამ საქმეში. ადგა და თვითონქ დაუწყო ძებნა დაკარგულ გოგოსა. ცოტა ხნის უკან იპოვნა კიდევ: გოგო ტრაპიზონში გასასტუმრებელ სანდალში იჯდა და წასვლას-ღა ელოდა, ისე იმანაც მოუხსრო. როგორც იყო, გამოიხსნა ტყვედ

წასაყვანი გოგო და ბიძას გამოუგზავნა. თან წერილიც მოსწერა: „ჰკითხეთ გოგოსა, — მე მოვიტაცე, თუ სხვათაგან?“ გოგონაც მოახსენა თავის ქალბატონს: თქვენმა მასლისწულმა კი არა, სხვამ მომიტაციაო.

დაფიქრდა სახლთუხუცესი-ოთარი. რაკი ასეთი ცილი დავსწამე ალაღმარათ დმისწულსა, რა საჭიროა, ცოცხალს არ გამიშვებსო. მოდი, ისევ მე დავასწროვო. ჩაუსაფრა გზაში კაცი თავის ძმისწულსა და მოაკვლევინა.

მოკლულს დედიდან ბიძა ყავდა, ვინმე გუგუზნავა. ამან რაკი გაიგო თავისი დისწულის სიკვდილი, სთქვა—მისი სისხლი უნდა ავიღოვო. ამ აზრით გადაიხვეწა ოსმალეთში, იქ შემოიერთა აღრვეე გაქცეული ნაყმევები ოთარისა. მერე გამობრუნდა უკან, დაეცა თავს ოთარს და ძირიანბუდიანად ამოჟუჟა.

ამ შინაური უთანხმოებით ისარგებლეს ოსმალებმაცა. ამდენი ხანია, ვებრძვით გურჯებსა და ვერაფერი დავაკელითო. ახლა ამათ შევეუერთდეთ და, იქნება, ვსძლიოთ ეს კერპი და გაუტეხილი ხალხიო. მართლაც, თავს დაესხნენ ქობულეთს და მოსრეს მანდაურობა.

გამარჯვების შემდეგ აქვე დაბინადრენ ოსმალთა ფაშები და მათი მხედრობა. მუსლიმანთა ურდომ აღმართა ხმალი და დაუწყო ბრძოლა ქრისტეს სჯულის აღმსარებელთა. ახლად დაპყრობილი ნაწილი საქართველოსი განსაცდელში ჩავარდა. ჩვენი განკითხვის დღე დადგაო, ამბობდნენ აქაური მკვიდრნი. მტერი, ეს არის, მოგვერია, ძალით ვერაფერს ვაუხდებთ ამათანაო. სჯული მაცხოვრისა ამდენს ხანს მტკიცედ და შეუშწიკველად დავიცავს და დავგიფარავს. დღეს კი ორში ერთი დაგვრჩენია ამოსარჩევად: ან უნდა ხელი ავიღოთ მამა-პაპათა სალოცავეებზე ან და სიკვდილს მივგებებნეთო. ვინც ნებით არ მუსულმანობდნენ, ბარბაროსნი მუსრს ავლებდნენ; არ ინდობდნენ არც მოხუცს, არც ახალგაზრდას, აღარც ქალსა და აღარც კაცს. ბევრმა ქართველმა შეაკლა თავი ოსმალთა მახვილსა, ბევრმა, უფრო სუსტმა, ქედი მოიხარა ბატონის წინაშე; უმრავლესობა კი მგზობელ გურიაში გადაიხვეწა, სადაც შეეძლოთ ქრისტიანთ შეერთებოდნენ უშიშრად.

მებატონე მამუკა თავდგირიძე, ნეტა რასა ჰფიქრობდა ამ დროს, რას აპირობდა? ჯერ გამაგრდა, ეგონა, დროებითია ეს აწიოკებაო, იქნება, გრიგალმა გადაიაროს და ისევ მოსვენებული ცხოვრება გვეღირსოს. იმედს არა ჰქარავდა. მაგრამ მტარვალი არა ცხბრებოდა. მის თავგასულობას სახლგარი არა ჰქონდა, მსხვერპლთა რიცხვს დღე-ყოველ ემატებოდა. ქრისტიანენი ადვილად ვერა სთმობდნენ თავის რჯულსა, უმალ ზეარაკადა სდებდნენ თავიანთს თავსა. მეტი გზა არ არის, თავი უნდა ავარიდო აქაურობასაო, გადასწყვიტა მებატონემა. მაგრამ გამოჩინებით აქედან გასულა არ შეეძლო. მართო რომ ყოფილიყო, თავს უშველიდა როგორმე. მართალია, დიდძალი მამული რჩება, მაგრამ ყოველსავე დავთმობ, ყველაფერზე ხელს ავიღებ, მხოლოდ მაჰმადის სარწმუნოება ძა-

ლატი თავზე არ მოძახვიონ, ჩემთა მამა-პაპათავან ნაანდერძევ რჯული-სათვის არ მალალატებინონო. დიახ, თავისთავის მეტი რომ ვინმე არა ჰყოლოდა, კიდევ გაატანდა როგორმე სამშვიდობოს, მაგრამ რა უნდა ექნა ცოლისათვის (ცოლად იმერეთის მეფის ასული ჰყავდა), ან შვილი-სათვის? მათი წამოყვანა ძნელი იყო, რადგან თვალ-ყურს ადევნებდნენ. ოსმალნი გულმოდგინებით სდარაჯობდნენ ამ ოჯახსა, — თუ ამას ავაღე-ბინეთ ხელი თავის რჯულზე, მაშინ დანარჩენი, მისნი ხელქვეითნი, ამას მიჰბაძავენ, როგორც უფროსსა, და მათი მორჯულება ადვილი საქმე იქნებაო.

მამუკა თავდგირიძემ გადასწყვიტა, რაჟი ძალით ქერას გავხდი, ხერ-ხით მაინც გაეალ ფონსაო. თავის მამულში ჩამომდგარ ფაშასა სთხოვა, ნება მომეცით გურიანში წავიდე ჩემი ცოლშვილითურთ; თქვენი აქ შემოსვ-ლის შემდეგ მანდეთქენ ყმები გამექცენ და მინდა დავებრუნოვო. ფაშა ჯერ უარზე დადგა და მერე უთხრა:

— მძევალი დავგიტოვე და მაშინ შეგიძლიან წახვიდე.

— მძევალი რალად გინდათ, — უპასუხა მამუკამ, — როცა მთელი ჩემი ავლადიდება თქვენს ხელთაა? განა ეს კი არ გეყოფათ მძევლად?

— შენი ავლადიდება საკმაო არ არის. შენი ცოლშვილი დასტოვე და-თუ გინდა, მიბრძანდი.

უმძიმდა მამუკას ამ პირობის შესრულება, მაგრამ რა ექნა? დაუტოვა მძევლად თავისი მეუღლე და შვილი მაქსიმე, თვითონ კი გურიაში გადმოვიდა. ორივე დედაშვილი, მამუკას წასვლის შემდეგ, ოსმალებმა გაამაჰმადიანეს. ამ მაქსიმე თავდგირიძისაგან მომდინარეობენ ქობულეთის აწინდელი ბეგები — თავდგირიძენი.

გურიაში მამუკამ შველა სთხოვა ჯერ ქაიხოსრო გურიელს (1658 წ.): ჯარი მომეცი, ქობულეთში ოსმალნი მამულებს მართმევენ და უნდა დავებრუნოვო. ქაიხოსრო გურიელმა თანაუგრძო მის თხოვნას. ამასობაში მამუკამ ცოლის ძმასაც შეატყობინა თავის ამბავი და იმერეთიდან იმ-ნაც მოაშველა ჯარი. მამუკა თავდგარიძე ამ შეერთებული ჯარით მიუხტა ქობულეთში ფესმოკიდებულ ოსმალებს, მაგრამ რიცხვმრავალმა მტერმა სძლია, და ისიც უკუ იქცა დამარცხებული.

გურიაში ქაიხოსრო გურიელმა ახლად შემოხიზნულ მამუკა თავდგი-რიძეს, როგორც დიდებული გვარის თავადს, დიდძალი მამული და ყმე-ბი უბოძა და სოფ. აკეთში დაასახლა. აქ მამუკამ მეორე ცოლად შეირ-თო თავად მაქსიმეშვილის ასული, რომელისაგან ესვა ხუთი ვაჟი: გი-ორგი, მირზაბეგ, სოლომონ, ალექსანდრე და ფრიდონ.

მამუკა თავდგირიძის სახელი, როგორც გმირისა და ღონიერის კაცი-სა, დღესაც არის დარჩენილი გურიაში. თან ახლდა სულ მუდამ 60 შეი-არალებული კაცი, რომელთაც თავისი ხარჯით ინახავდა. სხვათა შორის, ერთი ებიზოდი მის ცხოვრებიდან დღესაც ახსოვთ აკეთლებს. ერთხელ მამუკა თავდგირიძეს თავადი გიორგი გუგუნიავა, სოფ. ძიმითელი მემა-

მულე სწვევია. სადილად რომ ისხდენ, შემოვიდა მსახური და მოახსენა მამუკას: „ბატონო, ხუთი აჭარელი ალა (ახნაური) გეახლათო“. მამუკამაც უბრძანა, სახლში შემოიყვანეთ და სადილი აჭამეთო. ნასადილევს ალები წარსდგნენ მამუკას წინაშე და მოახსენეს—„აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილმა, აქარის ფაშამ, თქვითან მოციქულად გამოგვგზავნა და შემოგივალათ: „ნებით ჩაგებარდები თუ ძალით დაგიმორჩილოთო?“ მამუკამ ამაზე ეს შეუთვალა: „ცოცხალის თავით ნებით არ დაგმორჩილდებით; თუ ძალით მობრძანდებით—დაგიხედებითო“. ხოლო ალებს საჩუქრები მისცა და უკანვე გაისტუმრა.

მამუკამ ყოველივე ეს სტუმრად მოსულ გ. გუგუნავას გააგებინა და თან შემწობაცა სთხოვა. გუგუნავამ აღუთქვა: სოფ. ძიმითის ქვედა მხარეს გავამაგრებინებ ჩემს ყმებსა და მტერს არ შემოუშვებო.

იმვე დღეს ბრძანება გასცა მამუკამ—ვისაც კი თოფის ალება შეგიძლია აკეთელსა, უნდა გამოხვიდეთ: მტერი მოდის და დაეუხვდეთო. ძიმითის საზღვრიდან მაცხოვრის ეკლესიამდე (აკეთში) მამუკამ გაამაგრა თავისის ჯარებით, ხოლო თვითონ ძიმითის მხრით გ. გუგუნავა უნდა გამკლავებოდა მტერსა. ამავე ადგილზე იღვა მებუქე, რომელსაც დავალებული ჰქონდა—სამას ნაბიჯზე რომ მოახლოვდებოდა მტერი, ბუკი უნდა დაეკრა და მერე თოფიც უნდა გავარდნილიყო. თვითონ მამუკა და მისი სამოცი კაცი, ტყეში ჩასაფრებულნი, სუფსის პირას უცდიდნენ მტერსა.

მესუთე დღეს აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილიც შემოვიდა გურიაში. თან მოჰყავდა აჭარელი მეომარნი (მაჰმადიანი ქართველნი). მამუკა მოუთმენლად მოელოდა ბუკის ხმას. მტერი მდ. სუფსაში გამოვიდა. ამ დროს მებუქემ ბუკი დაჰკრა და ბუკის ხმას თოფებმა მისცა ბანი. მამუკა თავდგირიძე უკან დაედევნა მტრის ლაშქარსა. აბდულ-ბეგი რომ დაინახა, შეუძახა: სად მიხვალ, შე მყრალოვო? ორსავე მხარეს თოფები დიაცალა. მაგრამ მამუკა და აბდულ უვნებელი დარჩნენ—ტყევიბი მარჯვედ აიცილნენ. დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ხმალ-ამოწვდილები ეკვეთნენ. მამუკამ ფარი მიიშველა და აბდულ-ბეგის მოქნეული ხმალი აიცილნა. ახლა თვითონ მოუქნია და მტრის თავი ტანს მოაშორა. უსულო გვეიბი აბდულ-ბეგისა ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. გაცხარდა ომი. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდნენ. მაგრამ მამუკამ გაიმარჯვა და მტერი თავგზა დაკარგული უქოქცა.

აბდულ-ბეგი, როგორც მამუკა თავდგირიძე, ცნობილი იყო ვითარცა კაცი ღონიერი. მისი ნახმარი თოფი დღესაც არის შემონახული განსვენებულ ნესტორ თავდგირიძის სახლში; როგორც ამბობენ, ამ თოფს აბდულ-ბეგი თუთხმეტ ღრამ თოფის წამლითა სტენავდაო. რაიმე დღესასწაულში, სხვათა შორის, ამ თოფსაც ისვრიან აკეთში. მხოლოდ ჯერ თოკით ხეზე მიაკრავენ, რადგან ხელში დაჭერა მისი და ისე სროლა, ყოვლად შეუძლებელია.

მამუკა თავდგირიძის მამულები, ჩოლოქისა და ცხრაფონას მდინარეთა-შორის მდებარე, ქობულეთში მაჰმადის სჯულის გავრცელების შემდეგაც გურიის ნაწილად ითვლებოდა და მამუკას მემკვიდრე და მისნი აზნაურ-ნი სარგებლობდნენ. აღმოსავლეთით ამ ადგილს საზღვრავდა სოფ. ქა-ქუთი და დასავლეთით—შავი ზღვა. სივრცე ჰქონდა: განი 20 კილომეტრი და სიგრძე—30. როცა რუსეთმა და ოსმალეთმა თავიანთი სახელმწი-ფოები გასაზღვრეს, ჩოლოქს იქით მიწები ოსმალეთს დარჩა. ასე რომ ერთი ნაწილი მამუკა თავდგირიძეს მემკვიდრეთა ადგილისა და, მაშა-საღამე, გურიისა ც რუსეთის ქვეშევრდომთ ჩამოერთვით და ოსმალეთს დარჩა. ამიტომ მამუკას მემკვიდრეებმა არა ერთგვის აღძრეს საქმე და მთავრობასა სთხოვეს: საზღვარი მდ. ცხრაფონაზე გადაიტანეთ, რადგან ცხრაფონამდე რაც ადგილებია, ჩვენია, ხოლო ჩვენ კი რუსეთის ქვე-შევრდომნი ვართო. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთთან გამართა მიწერ-მოწერა—ამ საქმის შესახებ, მაგრამ დღესაც გადაუწყვეტელია ეს კითხვა. თუმცა მემკვიდრენი კი იმედს არა ჰკარგავენ: ერთხელაც იქნება ჩვენსა-ღაღვიბრუნებთო.

*
*
*

აკეთში ძველ ნეშთთა მოყვარის ყურადღებას იპყრობს პატარა ქვით-კირის ეკლესია. როგორცა სჩანს შიგ დარჩენილ ძველ საეკლესიო ნივ-თების წარწერებისაგან, ეს პატარა ეკლესია ქობულეთიდან გადმოსულ თავდგირიძეთა საფარველ ქვეშე ყოფილა, რომელნიც დიდი გულმოდ-გინებითა ზრუნავდნენ მის შემკობისა და გამდიდრებისათვის. განძი-ბევრი უნდა ყოფილიყო შიგა, მაგრამ მტერთა არა ერთგვისი შეუხიათ თავიანთი უწმინდური ხელი წინაპართაგან სასოებით დატოვებულ სიმ-დიდრისათვის. ვერცხლისმოყვარებით დაბრმავებულთაგან ეს ეკლესია გაძარცულ იქნა 1853 წელს; არ დააჯერეს ამასა და მეორეჯერ, ექვსი-წლის შემდეგ—1859 წელს, გაუძარცვიათ. მესამეჯერ 1872 წელს გაუ-ზიდნიათ ეკლესიიდან, რაც 1853 და 1859 წლებში გადარჩა წაუღებელი-დღეს ამ ეკლესიაში ინახება ვერცხლის ჯვარი, რომლის წარწერა იხსენიებს ვისმე იესე მანგელიშვილს და მის მეუღლეს, ბატონს მარესს, მაჭუტაძის ქალს. იქვე დაცულია პატარა ვერცხლის ჯვარი, ხატი წმ-გიორგისა, ღვარისთავის წმ. გიორგის ხატი, კიდევ წმ. გიორგის ხატი, რომლის წარწერაში მოხსენებულია ბოქაულთუხუცესი მირზაბეგ თავ-დგირიძე.

მაგრამ ამ ეკლესიაში ყველაზე შესანიშნავია პატარა ხატი—ღვთის-მშობლისა, თვალმარგალიტით შემკობილი. ეს ხატი ადრე, როგორც აქაურები ამბობენ, სვენებულია ჩურუქსუში ცნობილ „თეთრიანის“ ეკლესიაში, რომელიც ამ ორმოცი წლის წინათ ადგილობრივს მაჰმადიან-ებს დაუნგრევიათ. როცა მამუკა თავდგირიძემ მაჰმადიანობა არ ინდომა და ქობულეთიდან სოფ. აკეთში ავლტო, ეს ხატიც თან წამოუღია-

დ. ბაქრაძისათვის უამბნით აქაურებს, ამ ხატს ჩურჩუქსუელი თავდგირი—
ძენი, თუმცა მაჰმადიანნი არიან, მაგრამ ახლაც სცემენ პატივსაო—
ხშირად თავიანთი წინაპრების სალოცავის კარწინ მოდიან და ცხვარა
მოჰყავთ შესაწირავად და ეკლესიის კარწინ ჰხოცავენ, როგორც მართლ—
მადიდებელნიო.

აკეთის ეკლესიაში დასაფლავებულნი არიან, სხვათა შორის, თავადი
გორგი თავდგირიძე და მეუღლე მისი. მაცხოვარის ეკლესიის ცოტა
მოშორებით ერთი ხის საჯვარე დგას. დაძველებულია, სახურავი
ნახევრად ჩაცვენილი აქვს. იატაკი მიწური აქვს. კანკელის მაგივრად
უბრალო ფიცრის კედელია. აღსავლის კარები არა აქვს. საკურთხევე-
ლი არის. სრულებით შემთხვევით მოგვიხდა შიგ შესვლა და საკურთ-
ხელის ერთს კუთხეში შემთხვევით წავაწყდით ერთს ნაფლეთებად
ქცეულს საეკლესიო წიგნს, ტყავზე დაწერილს. ზოგი ფურცელი ჩრჩილი-
საგან საცოდავად დახრული იყო, ზოგი სქელს მტვერს დაეფარა და
ზოგსაც წვიმის წყალი მოხვედრია, დაობებულია და ერთმანეთს მიჰკვ-
რია... გული გამეწურა სიბრაღისაგან... ერთი მხრით—მაგალითი
ჩვენი წინაპართა გულმოდგინებისა, მათი უანგარო ღვაწლისა, ხოლო
მეორე მხრით — ჩვენი დაუდევრობა, არცოდნა ნაანდერძევის განძისა,
აბუჩად აგდება ჩვენი მამებისა, რომელნიც იღწვოდნენ ჩვენი მწერლობის
გამდიდრებისათვის, თვალს იწყალებდნენ წიგნების გადაწერაში, რომელ-
ნიც ათისა და ოცის წლობით დამაშვრალან ამ საშვილიშვილო საქმისა-
თვისა. მათის ამაგის უარყოფა და წიხლის კვრა თუ არ არის, მაშ რა
არის ჩვენი საქციელი?! წიგნი რა არის, წიგნიც კი ვერ შეგვინახავს
სათანადო ადგილას!.. ამაზე მეტი უბედურება-ლა იქნება? თითქო
ვინმემ დაგვაგალო, უდიერად მოვეპყრათ ძველ ხელნაწერთა, ჩრჩი-
ლისა, მტვერისა და ნესტის მსხვრებლი გახვადოთ, რომ ამით, თუმცა
ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მოვულოთ ბოლო მათს ხსენებასა, მაინც
აღვგათ პირისაგან დედამიწისა...

ეს ათი წელიწადი მაინც იქნება, გავიძახით—ძველი ხელნაწერები
გველუპება ჩვენი უმეცრებითა და ვუპატრონოთ როგორმე, დროით-
მივეშველოთ და ვიხსნათ განსაცდელისაგან ეს უტყუარი საბუთი ჩვენ-
ისტორიისა, დიდებით მორკმული და ძლიერამოსილი წარსულისა ჩვენისაო—
და მაინც არა გვეშველა-რა, ან და კინი-ლა ვუშველეთ საერთო-
საქმესა, კინი-ლა გავისწორეთ შეუნდობარი შეცდომა და დანაშაული.
ორასიოდ ხელნაწერი მოგვიგროვებია „ქართველთა შორის წერაკითხვის
გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნსაცავში და ამდენისავე ხელნა-
წერისათვის თავი მოგვიყრია სიონის ტაძართან დაარსებულ „ძველ
ნაშთთა საცავში“. ეგ არის და ეგ! ისიც შემთხვევითი ხასიათი აქვს ამ
ორ ადგილას მოქუჩებულ ძველი მწერლობის წიგნებსა. არც ერთს
ამ ზემოხსენებულს სალაროთაგანს არა ჰყავს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა
კუთხეში სპეციალისტი, რომელიც გაფაციცებით ეძიებდეს სხვადასხვა

ოჯახებსა და მონასტერ-ტაძრებში ჩვენი ძველი მწერლობის ნაშთთა და აღმოჩენისთანავე უგზავნიდეს იმ კრებულს, რომლის წარმომადგენლია და წვევრად ითვლება.

განვლო იმ ხანამ, როცა ასე თუ ისე შეგნებული კაცი სამთლით საქმე-ბარი გვეყავდა სოფელში. ახლა ორი და სამი თუ არა, თითო ცოტათი წასწავლი კაცი ყველგან მოგვეპოვება. ასეთს დავევალოთ, ზნეობრივ, რა თქმა უნდა, დახმარება ამ საშვილიშვილო საქმისა, ვსთხოვოთ, იკის-როს მამულის სამსხვერპლოზე იმანაც დასდოს თავისი წვლილი. იქნება, მითხრან, ყველა მოვალეა ასეთ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღოს სხვის უთქმელადაცო. თქვენს პირს შაქარი! განა ჩვენ კი არ ვიცით, რომ ყველანი მოვალენი ვართ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ თუ სხვამ არ მოგვაგონა, ისე ძალიან მალე გვაფიწყდება მოვალეობა. ჯი-ჯინი გვეკირია, ჯერ არც ისე გამოფხიზლებული გახლავართ. მაგალითი-სათვის შორს წასვლა არა გვეკირია. საცა ზემოაღწერილი ფაქტი მოხდა, მგონი იქ ექვსზე მეტი ინტელიგენტია, საშუალო სასწავლებლებში კურს-დამთავრებული. უეჭველია, ყველა ერთიმეორეს უყურებს ყველაფერში და ამასობაში საქმე გაუკეთებელი რჩება. აბა დავალებული ჰქონოდა საზოგადოებისაგან ერთ-ერთს, მაშინ, უეჭველია, სულ სხვა იქნებოდა.

რამდენადაც გვახსოვს, შარშან თბილისში „საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავის“ კომიტეტმა ერთ-ერთ თვის სხდომაზე გადასწყვიტა კიდევაც: პროინციებში აგენტები ვიყოლიოთ და დავევალოთ იზრუნონ ძველ ნაშთთა დაცვისა და შეკრებისათვისო. ამ ამბავს, უეჭველია, ყველა ჩვე-ნი ქვეყნის გულშემბატკივარი დიდი სიხარულით მიეგებება. მხოლოდ სა-სურველია ხსენებულმა კომიტეტმა მალე აღასრულოს თავისი გადაწყვე-ტილება და მალე შეუდგნენ ამ საქმის განხორციელებასა.

* *

აკეთიშვიე ყოფნის დროს შემთხვევა მქონდა გამომეკვლია ერთი მიწის-ქვეშეთი, რომელსაც აქაურნი „ეშმაკის საყდარს“ ეძახიან, ალბათ იმიტომ. რომ სოფელნი შიგ შესვლას ვერა ჰბედავენ და ასე ამბობენ, შიგ ეშმა-კები სცხოვრობენო. ეს გვირაბი აკეთის იმ უბანშია, სადაც თოხაძეები ცხოვრობენ. ერთი გორაკის ფერდიდან იწყება; შესავალი ბალახითა ჰქონდა დაფარული. ნიადაგი მხოლოდ შესავალთანაა ქვანარევი, მერე კი წმინდა წითელი მიწაა, სწორად გამოხატხარი. შემსვლენი ორნი ვიყავით, იძუ-ლებულნი გავხდით ფოფხვით გვეარნა, რადგან ტანის გამართვა არ შეიძლებოდა ხერელის სიდაბლისა გამო. წინ ანთებული სანთელი მიგვი-ძლოდა, გრძელ ლატანზე დაკრული; ათი მხარის მანძილი გავიარეთ. ამ დროს, განის სოროს წავაწყდით. ვიარეთ კიდევ პირდაპირ. გავიარეთ 15 მხარი და იქ კი უნდა გავჩერებულიყავით, რადგან მიწა ჩამოხვავებულა და გზა შეგვეკრა. დაგბრუნდით და შევედით გვერდის ხერელში. იქაც ჭუთითოდ მხარის მანძილი გავიარეთ, ნეტი არა, რადგან გაფუჭებულმა

ჰაერმა სანთელი გაგვიქრო. ჩვენც, რაკი სასუნთქაჲი ჰაერი მოგვესპო, ამით გავათავეთ ჩვენი გამოკვლევა. ამ ალაგას და მთელ გზას განსაკუთრებით აშკარად ეტყობა ნადენი წყლის კალაპოტი. მაგრამ ისიც ეტყობა, რომ გზა სულ ახლახან გაუკეთებია წყალსა. აქაურობმა ამ გვირაბის შესახებ ბევრი დერა გვეთხროს-რა, მაგრამ იქვს გარეშეა, რომ აქ ძველად, შიშინანობის დროს, ადგილობრივნი მკვიდრნი თავს იფარადნენ მტერთაგან. ნამუშავარი ადამიანის ხელისაა. თუმცა სხვა ვერაფერი ვპოვეთ-რა აქ ადამიანის კვალი. ახლა ნადირი-ლა თუ იცხოვრებს შიგა. საშიშობა შიგ შესვლა, განსაკუთრებით წვიმისა და წყლობის დროს: ადვილად შეიძლება თალი კიდევ ჩამოზავდეს მსგავსად ჩვენგან ნანახ ზევეებისა.

მამუკა თავდგირაძის ჩამომავალთგან აკეთში ამჟამად სამად-სამი მოსახლეა. ერთ მათგანში ფრიად საინტერესო ამბავია დარჩენილი.—საინტერესო, როგორც ნიმუში ჩვენი ხალხის გულუმბრყვილობისა და ცრუმორწმუნეობისა, ამბავი ეხება იმ გიორგი თავდგირიძეს (მამუკას შვილს), რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

აკეთში და თვით შორეულ სოფლებშიაც მშობიარეს მოლოგინება გაუჭირდება თუ არა, მაშინათვე მიჰმართავენ როსტომ თავდგირიძიანებს შველის სათხოვნელად. იქნება გგონიათ, რომ ამ გვარში ექიმი იყოს ეინმე, ან ბებია. არც ერთია და არც მეორე. ამისთვის საკმაოა ერთ-ერთმა წევრმა ამ ოჯახისამ მისცეს მოსულს თავისი „ნაოფლარი“: ცხვირსახოცი, პერანგის ნახევი, ან ახალუხის ნაგლეჯი და სხვ. საკმაოა, აქაურების აზრით, ეს „ნაოფლარი“ სასთუმალს ქვეშ ამოუდონ იმ ქალს, რომელიც „ირჯება“ (უჭირს შვილის შობა) და მაშინათვე განთავისუფლდება.

საიდან, როგორ ან როდის შეიძინა ამ გვაროვნებამ ეს პანაცეა? ამასაც მოგითხრობთ. გიორგი თავდგირიძე, რომელზედაც ლაპარაკი გვექნება, ჭკუიანი კაცი იყოვო, მოგვითხრობენ. ერთხელ სურების (აკეთის პირდაპირ არის) მთებისაკენ თეთრი რაღაც უნახავს აფრიალებული. რა უნდა იყოსო? უკითხავს. ვის რა უთქვამს, ვის რა. ბოლოს, გიორგი თავდგირიძეს უთქვამს, ჰინკები უნდა იყვნენო. თუ არ წავედი და არა ვნახე, სულ გადავალევიო. მომზადებულა, თოფ-იარაღი აუხსამს და თან ხუთი მარჯვე ყმაწვილი წაუყვანია. ყველას „გიორგი“ რქმევია. როცა ახლოს მისულან, გიორგი თავდგირიძეს უთქვამს მახლობლებისათვის: თქვენ აქ დამიცადეთ, თუ გამიპირდა, დაგიძახებთ და თქვენც მიშველეთო. ასულა გიორგი სწორედ იმ ადგილას, სადაც თეთრი რაღაც რომ ყოფილა აფრიალებული. რომ ასულა, უნახავს, რომ ჰინკებს სარცეხი გაუფენიათ მზეზე და აშრობენო. ყველას მიუსწრია და ჩამოუღია თავისი-საცეალი, მხოლოდ ერთს დარჩენია ხეზე ჩამოუღებელი. გიორგის მისვლაზე, ყველანი გარს მოჰხვევიან, მაგრამ გიორგის ხმა-მალა დაუძახინია: „გიორგი“! ჰინკებს გულები დახეთქიათ, დავილუბეთ, წმ. გიორგის ეძახის და ყველას ამოგვფუთავნო და კისრის ტეხით გაფანტულან. დარ-

წინილა მხოლოდ ის, ვისიც ყოფილა ხეზე დაკიდებული პერენგი. ამასობაში ქვეიდან ბიჭები ამოსულან. შეუკრავთ ქინკა და სოფელში წამოუყვანიათ. თან წამოუღიათ მისი პერანგიცა, როგორც გამარჯვების ნიშანი. სოფელში რომ მოსულან, ქინკა ქვევრში ჩაუგდიათ და თავი მოუკრავთ. დიდხანს წვალებულია ქინკა. გიორგისათვის უთხოვნია, გამიშვი და დაგლოცავო. იმასაც ამოუშვია. ქინკას სათითაოდ დაულოცავს მისი სახლი, ცეცხლი, ჯოგი. სხვათა შორის, უქემური (ავი სული) არ შეგახედება არამცთუ შენა და შენს მოდემას, არამედ ყველას, ვისაც თქვენს ნაოფლარს მისცემთო. აგრეთვე, სადაც თქვენი ნაოფლარი იქნება, იქ ორსული ქალი რაც უნდა „ირჯებოდეს“, განთავისუფლდებაო. ახლაც სოფელნი, როცა ტყეში მიდიან, ამ ოჯახის ჩამომავალს რასმე „ნაოფლარს“ ჩამოართმევს და მერე თუნდაც ორი ღამე დარჩეს გარედ, იმედი აქვს, ავი სული ხელს არ მახლებს, დაზღვეული ვარ მისი ბოროტის განზრახვისგანაო.

ესა და სხვა ბევრი ამის მსგავსი ფაქტები ჩვენი ხალხის ცხოვრებისა, საინტერესო ეთნოგრაფისათვის და დამახასიათებელი ამ ხალხის გონებრივი, ჩამორჩენისა, თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, თუ რამდენი შრომა და თავგამოდება გემართებს, რათა ეს ხალხი სწორე გზაზე გამოვიყვანოთ და ვიხსნათ იმ ცრუმორწმუნეობისაგან, რომელსაც იგი; მსგავსად პრომეთეოსისა, სიბნელის კლდეზე მიუჯაჭვავს... ეს ცრუმორწმუნეობა, როგორც არწივი იუპიტერისა, წიწყანის მის გულ-ღვიძლსა, ჰვემავს მას უსულღმერთოდა, და ხმა გოდებისა მისისა, ეგ ხმა განწირულებისა შველასა ჟვთხოვს...

* * *

ვისი მეოხებით გაითქვა გურიამ მთელ საქართველოში, კერძოდ, და ზაზოგადოდ, კავკასიაში სახელი დაწინაურებული პროვინციისა?—სოფლის მასწავლებლისა. ვის წყალობით დაიქსელა გურია სკოლებითა და წიგნსაცავ-სამკითხველოებითა? ამავე სოფლის მასწავლებლისა. ვის უნდა უმაღლოდეს გურული, რომ თითქმის ყოველი სოფელი საუკეთესო შარა-გზით არის შეერთებული მეორე სოფელთან? სოფლის მასწავლებელსა. განუზომელია ის ღვაწლი და ამაგი, რა ღვაწლი და ამაგიც სოფლის მასწავლებელმა გურიასა და მის მკვიდრთა დასდო. დიად; განუზომელია ღვაწლი და ამაგი იმ კაცისა, რომელიც, შეცდომით, ყოველგან პატარა კაცად არის ცნობილი, რომელიც ითმენს სიღარიბესა, წყურვილსა, შიმშილსა და ყოველგვარს ვიწროებასა, გარნა სულით ყველაზე მდიდარია, რადგან იცის რა წმინდა, დიადი და პასუხსაგები მოვალეობა აქვს ნაქისრი, მოვალეობა ყრმთა აღზრდისა, სულიერად მათის ამაღლებისა, განსპეტაკებისა. მისთვის აწმყო არ არის, იგი ყველაზე ნაკლებად იგემებს ხოლმე სიტკბობასა. მისი სიტკბოება და ნუგეში—მისგან ჯეროვნად აღზრდილი ახალთაობის მომავალი ბედნიერებაა. მომავლითა ხარობს, მისით სულდგმულებს, მისით ნეტარებს.

ჩვენი ქვეყნის არც ერთ კუთხეს არა ღირსებია ასე რჩეული სოფლის მასწავლებლები, რომელთაც საცესებით ჰქონოდა შეგნებული თავილი მოვალეობა. რა თქმა უნდა, მათის მოქმედების ნაყოფების მიზეზი მართა მასწავლებლები არა ყოფილან. დასავეწყებელი არ არის ის ზარომებაცა, თუ რა წრეში, რა ხალხში ხედათ წილად ემოლვაწნათ, თესა სიმართლისა და განათლებისა რა ნიადაგზე ეთესათ, რათა სასურველი მცენარის წილ ღვარძლი არ აღმოცენებულყო. მართლაც, ძვირია ისეთნაირად მიხედროლი ხალხი, როგორც გურიაშია, განსაკუთრებით როგორც აქაური დაბალი წოდებაა. ყოველსავე სასიკეთოს ალლოთი მიუხედებიან ხოლმე. საკმაო რასმე აზრს ყური მოჰკრას, მხოლოდ ურთხელ გაიგონოს, რომ აუყვეთ, ბანი მოგკეთ. ასეთი თვისება მდაბიო წოდებისა დიდი რამაა მათ შორის ჩავარდნილ მოლვაწისათვის, მათი დღეგრძელობის მზრუნველისათვის.

ადგილობრივი ადმინისტრაცია კი არაფერს აკეთებს მისდამო რწმუნებულ ხალხისათვისო?—იქნება, ვინმემ მკითხოს. ამაზე პასუხად ჰოცი თქმის და არაცა. საქმე ის გახლავთ, რომ მოხელე ყოველ უწინარეს—მოხელეა, მოხელურად უყურებს თავის დანიშნულებასა. რასაც უბრძანებენ, აასრულებს, მორჩა და მოისვენა. ამ შემთხვევაში მისი როლი მეტად მკრთალია, მესამე ხარისხოვანია.

რა იქნენ უმაღლესი სწავლით აღჭურვილი შვილი გურიისა? ემსახურებიან თუ არა გურიას, თვით გურიაშივე? სამწუხაროდ, ამაზედაც უარყოფითი პასუხი უნდა მოგახსენოთ. იქნება, ჩვენი ცხოვრების უკულმართი პირობები იყოს ამის მიზეზი? რა მოგახსენოთ. საქმე ის გახლავთ, რომ აქაურობას ვასცილიან სწორედ ისინი, ვისაც ყველაზე მეტის სარგებლობის მოტანა შეუძლიათ თავისი სოფლისათვის, ვისაც სამშობლო სოფელი ყველაზე მეტს მოსთხოვს. ყველანი დიდ ქალაქებს, თბილს ადგილებს ეტანებიან. სოფელი ათასში ერთხელ თუ მოაგონდებათ..

მაშ ვის ჩაუგდეს ხელში სოფელი? ვისა და, საწყალ მასწავლებელს, რომელსაც არც უმაღლესი სასწავლებლის ფარატიანი აქვს, არც თბილი ადგილის შოვნა შეუძლია და უნდა დასჯერდეს მოკრძალებულ როლს სოფლის მასწავლებლისა და წინამძღვარისას.

1892 წ. სოფ. აკეთში დაარსდა „გურიის სახალხო სამკითხველო“. თუ არა ვცდებით, ეს წიგნსაცავი პირველი იყო არამეტუ გურიისა, არამედ მთელ საქართველოსათვის. რა თქმა უნდა, ჩვენი სოფლების შესახებ მოგახსენებთ. ახალი საქმე ყოველთვის ძნელი ვასაკეთებელია, განსაკუთრებით ისეთი საქმე, როგორც პირველად წიგნსაცავის დაარსებაა. აკეთლებმა იმდენი იღონეს, რომ თავიანთ განათლების ტაძარს—სოფლის ორკლასიან სკოლას სამკითხველოც ამოუდგეს გვერდით, როგორც უმცროსი დაი, ხელის შემწყობი სოფელთა განათლებისა და წარმატების საქმეში. ზოგი იყიდეს, ზოგიც შემოაწირინეს ქვეყნის გულ-შემატკივართა და, ბოლოს, მშვენიერმა კრებულმა ქართულისა და რუსულის

წიგნებისამ დაამშვენა სადა, მაგრამ საკმაოდ დიდი განჯინები წიგნთ-
საცავისა. ამჟამად რუსული წიგნების რიცხვი ამ წიგნთსაცავში 270—ზე
მეტია, ხოლო ქართულისა—325. სადა კედლები დამშვენებულია ჩვენი
მწერლების სურათებითა. ხალხისათვის ფასდაუდებელია აქაური წიგნი-
საცავი. ახალმოზარდს იშვიათად ნახავთ, არ იცოდეს სახელი ალ-
ყაზბეგისა, არ იცნობდეს აკაკის ლექსებსა და სხვა მწერალთა ნაწარ-
მოებსა. კვირაობით ამავე სამკითხველოში ხალხს სხვადასხვა წიგნებს-
უკითხვენ.

აკეთში წიგნსაცავის გახსნის შემდეგ ხუთ წელიწადსაც არ გაუვლია,
ისე 12 წიგნთსაცავი დაარსდა გურიაში, სახელდობრ: ოზურგეთისა, შე-
მოქმედისა, ლანჩხუთისა, ასკანისა, ბახვისა, სურებისა, ჩიბათისა, ნაგომ-
რისა, ნიგოთისა, ჩოხატაურისა, აცანისა და მიქელ-გაბრიელისა. დღე-
საც თხოვენ სხვადასხვა სოფელში წიგნთსაცავის გამართვასა, მაგრამ რა-
ღაც ფორმალობის აუსრულებლობისათვის ხელს უშლიან: ტენდენციური-
აზრითა ხსნით წიგნსაცავებსაო.

სარგებლობა აკეთის წიგნსაცავისა, და საერთოდ სხვებისაც, გურიაში
ამჟამად მით უფრო დიდია, რომ სკოლებში (გარდა სამრევლოებისა)
ქართული ენა თითქმის მიტოვებულია. „ბუნებრივად“ წოდებულმა არა-
ბუნებრივმა მეთოდმა სწავლებისამ ჩვენი ენა დაჩაგრა და ჰგვემა გურიის-
სკოლებში. აქ ქართული ენა დაჩაგრულია როგორც საგანი და კვირაში
ერთი გაკვეთილი აქვს დათმობილი. აი, ასეთ დროს, რა თქმა უნდა,
წიგნსაცავი-ღა თუ მიეშველება მოზარდ თაობას და რასაც სკოლაში-
რა სწავლობენ, სკოლის გარეთ-ღა თუ შეიძენენ სამკითხველოდან გა-
მოტანილი წიგნების წყალობითა.

ყველაზედ უფრო საინტერესო და საგულისხმიერო ამ წიგნსაცავების-
გახსნის საქმეში ის გახლავთ, რომ ამჟამად ნებართვას ჩოხიანებიც კი
თხოულობენ, ისინი კისრულობენ გაძლოლასა. მერე სწორედ ის ჩოხიანე-
ბი ერევიან ამ საქმეში, რომელთაც ამ ათისა და ოცი წლის წინათ მი-
მინოების უკან დევნა უფრო ემარჯვებოდათ... შემთხვევა მქონდა, ერთი-
მათგანი დახლოებით გამეცნო. დ. გ.—შიღლია, ნებართვა ითხოვა თავის
სოფელში წიგნსაცავის გახსნისა. დაბრკოლება რაღაც გადაეღობა მის
თხოვნასა. ამან გული არ გაუტეხა. ასწია და თავისი წიგნების რიგება
დაიწყო საკითხავად. ესეც დროების ნაყოფი გახლავთ, და ნაყოფიც
სანუგეშო.

გულს იმედი ჩამესახა ყოველივე ნახულითა. ცოდვილი ვარ, უნდა გა-
მოვტყდე: როგორც ქართველმა ვინატრე, ნეტავ სხვა კუთხენიც ჩვენი ქვე-
ყნისა ამ წერტილამდე მაინც იყვნენ დაწინაურებულნი-მეთქი. მოგესხენე-
ბათ, ქართველი კაცი, ნატვრითა ცხოვრობს, მისით სულდგმულობს.

დავეშვიტო ლამაზ სერიდან, საიდანაც ლამაზი შენობა ორკლასიან სკოლისა და მოკრძალებული სახის საყუდარი ჩვენთა მწერალთა გონების წარმოების კომწიად გადასცქერის ფერდობზე შეფერილ სოფელსა. სხვათა შორის, ერთ ღარიბულს ქოხსაც დაუმხარამხარდით. ერთმა მოსერიანთაგანმა გვირჩია—ვასილ რუსს ვეწვიოთო. სწორე მოგახსენოთ გამიკვირდა. აბა საიდან მოვიფიქრებდი, რომ რომელიმე დათუნაიშვილის ან კიდევ—მგელაძის მეზობლად, გურიის მივარდნილ კუთხეში, ვოლოგდის, ან უფრო შორეულ, გუბერნიიდან გადმოსულს რუსსა ვნახავდი დასახლკარებულს!..

რა გვარია ვასილ რუსი?—გვარს მეზობლები არ ექაზიან და არც იციან, მგონი ცოლმაც კი არ იცის. როცა აკეთის ცის ქვეშ გაჩნდა, ყველამ ისა სთქვა, „რუსი“ მოვიდაო. გვარი არავის უკითხავს. როცა ცოლს ირთავდა, იქვე მეზობლის ქალს, იმასაც არ უკითხავს მშობლებისათვის—ვიზედ მათხვევთო. იცოდა, რომ „რუსს“ მიჰყევბოდა. ლამის არის, თითონაც დაავიწყდეს თავისი გვარი. ეს-ღა ახსოვს, ორი იმპერატორის—ნიკოლოზ I და ალექსანდრე II—ხელში უმსახურნია, ბევრ ომებში ვრეულვარო. 1867 წელს სამსახურიდან გამოსულა. თვითონაც არ იცის კარგად, აქ რანაირად ჩამოვარდნილა. აქაურს მებატონეს თ. ყარ. თავდგირიძეს ჯერ მოსამსახურედ აუყვანია, მერე ერთგულის სამსახურისათვის ჯილდოდ რამდენიმე დღიური მიწა მიუცია და დაუსახლკარებია. ერთხელ მოვინდომე რუსეთში წასვლა, —მითხრა ვასილ რუსმა,—ჯერ წერილები ვწერე, მაგრამ პასუხი არავინ გამცა, ვთქვი, ალბათ, არავინ დარჩენილა ჩემიანები მეთქი, და ვარჩიე აქ დარჩენა. ბატონისაგან წყალობა არ მაკლია. ცოლიც ღვთისნიერი ადამიანი შემხვდა. დაგრიჩი და დაგრიჩი მას აქეთო. ეზოში ვასილ რუსს ღომი ეთესა; რამდენიმე ძირი ვაზი ხეზე გაუშვია. თავის შესაფარებლად ფიცრული ქოხი უდგა პატარა, ისე პატარა, რომ თავი კუდს ძლივას მოიქნევს. ისიც შუაში გადაუფიცრავს და ორთვლიანად გაუხდია. ხელის სიფართე სარკმელი კედელში გამოუჭირა, სწორედ იმგვარი, რუსის ქოხებს რომ აქეთ ხოლმე ავეჯი სახლისა მეტად მარტივი და ცოტაა. ცარიელ ფიცრებზე ღარიბული ქვეშსაგები უფენია. კედელზე ხატი იქვს. პატარა მაგიდაზე სამოვარი უდგას.

სახლი უფრო იმიტომ აქვს ვასილ რუსს, რომ სთქვან: სახლი აქვსო, თორემ დგომით შიგ წელიწადში ერთი თვეც არა დგას. მარტო ცოლს დასტოვებს დარაჯად, კერა არ გააცივოსო, თვითონ კი თავის ნაბატონარის შვილს ემსახურება. როცა შინ არის, გაჭირვების ტალკვესია ყველასათვის. ლხინსა თუ ჭირში მეზობლებსა შველის. ამ შემთხვევაში დაუფასებელია. ეს კია, ნალხინევს, სულს არ წაიწყმენდს, და მამა-პაპათა სასმელს ღირსეულად იგონებს, რითაც მეზობლებს ათასგვარ ოხუნ-

ჯობის მასალას აძლევს ხოლმე. მეზობლები მეტად გულკეთილად ეპყრობიან: უცხო კაცია, ჩვენ თავი შემოგვაფარა, ჩამოგვესიძა და სირცხვილია, ჩვენს ხელში რამე გაუქირდესო. ლაპარაკით ვასილ რუსი გურულად ლაპარაკობს, რა თქმა უნდა, მეტის-მეტი დამახინჯებითა. და კილოს ქვევით. თავისი დედა-ენა სანახევროდ დავიწყებული აქვს.

დანაშაულად ჩაგვეთვლება, აკეთში ვიყოთ და არ ვაქით აქაური პაერი და არ ვახსენოთ მის წყალობით მათუსალას ხნისად მოყრილი მოხუცი. მართლაც, შესანიშნავი გახლავთ სიმრავლე აქაურ მოხუცებულთა. ასი წლის კაცის ნახვა აქ იშვიათი ამბავი არ არის, ჩემს იქ ყოფნის დროს ჯერ კიდევ სული ედგა ამ ას-წლოვანთა რაზმის მამათმთავარს, აკეთელ მათუსალას, 147 წლის მოხუცს, ან, უკეთ, მეორედ გაახალგაზრდავებულ გლესს, სიმონიკა ღლონტს. თოხი უკანასკნელ ხანამდე ხელიდან არ გაუგდია და სულ მხარში ედგა თავის მოხუცს შვილებსა და შვილიშვილებს. მეორე ცოლი შეურთავს 110 წლისას და იმისაგან შვილი დარჩა 29 წლისა. ჩემს იქ ყოფნაში ავად გახდა. ეს პირველი ავადმყოფობა იყო მის სიცოცხლეში და თან გადაჰყვა კიდევ. მის ტირილზე მარტო მისნი შთამომავალნი დაესწრნენ: ასი სული ქალი და კაცი. მისი უფროსი ვაჟი ოქროპირი ამჟამად ას წელს მიტანებულია. შვილები დარჩა სიმონიკას—10, შვილის-შვილები—38, შვილის-შვილის-შვილები—43, შვილის-შვილის-შვილის-შვილები—9.

ჩვენი მასპინძლის ოჯახი ეკუთვნის ერთ იმ ოჯახთა რიცხვს, სადაც ტრადიცია ძველი, ქართული სტუმართმოყვარეობისა ჯერაც არ გადავარდნილა და ძალადაუქარგველია. აქ ცხოვრობდნენ ის ფეოდალნი, რომელთა ოჯახში ამ 30—40 წლის წინად დღეში ხშირად თითო ხარი იკვლოდა ხოლმე სტუმართათვის. ხალხს ჯერ კიდევ არ დავიწყებია ეს უხვი მასპინძლობა და დღესაც, თითქო, თავის მოვალეობად მიაჩნია ყველას, ხშირად დახედოს ხოლმე ამ ოჯახსა. ესთქვათ, რომელიმე აზნაურმა, გინა თავადმა გაიარა სახლის პირდაპირ: შემოვა ჭიშკარში, ფართო ეზოს ერთ კუთხეში ცხენს მიაბამს, ხელში მათრახს დაიჭერს და წამოვა სახლისაკენ. მიესალმება შინაურებს, ისინიც მოესალმებიან, და ჩამოჯდება. გაივლის 5 წუთი. შემოვა მეორე—მესამე, შემდეგ—მეოთხე, და ასე, სანამ ამ მოულოდნელად მოსულ მოსადილეთა რიცხვი ათამდე მანც არ ავა. იკვლის უწყალოდ ქათამი, მოაქვთ ყველი უზომოდ, უზომოდვე ღვინო და სხვ. ყოველივე კეთილსინდისიერად ალაგებულ იქნება სუფრიდან. ასე, როგორც კვირა დღეს, ისე ორშაბათს, როგორც ხსნილსა, ისე მარხვაში. სადილს ამშვენებს მშვენიერი გურული სიმღერა, კრიმანჭულებით შეგკობილი, მერე ტბილი მუსიადი. ამასობაში

შთელი დღის სიარულით დაღლილი მზეც ჩაესვენება. სიცხე ადგება ჭიქებსა, ჩაისა და შაქარსა. ჩაის ვახშამი მოჰყვება, ხოლო ვახშმის შემდეგ, გაქვს თუ არა გაქვს, ყველას საწოლი უშოვნე, გულუხვო მასპინძლო! ცოტა ხანს კიდევ გაისმის ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვები, სანამ მორთვი თავის მადლიან ფრთებს არ გადაათარებს ყველასა.

ყოველივე ამის შემდეგ, მოდით და უსაყვედურეთ ჩვენებურ მემამულესა: რატომ შეძლებული არა ხარ, რატომ არა სდულს და არ გადმოდისო შენი ოჯახი ყოვლითა სიუხვითაო? საიდან, როგორ, ბატონო? ასეთი ხალხის გადამკიდემ საიდან რა უნდა მოაგვაროს კაცმა? ვსთქვათ, მშრომელი ერთია და მისი მონაგარის ხევის წამრთმევი—ათასი! არ მიიღებ—სირცხვილია, თავი მოგეჭრება, რადგან შენსავით ახალმოდურად, პროგრესულად უნდევ ჰფიქრობ, სხვა არავინა. რად უნდა იფიქროს კონსერვატორმა სხვასავით, შენსავით, როცა ეს იმისთვის მავნებელია, სარტა არ არის? მისთვის უფრო ხელსაყრელია, აქოს, ადიდოს „ძველი, ნეტარი დრო“; ის დრო, როცა ყველა თავადის ოჯახში ყოველდღე თითო ხარი იკვლოდა სტუმართათვის, „ჩხავერი“ ზღვიდა სკდებოდა, სუფრა სულ მუდამ გაშლილი იყო; ის დრო, როცა ისა და მისნი მსგავსნი არცა სთესდნენ, არცა მკიდნენ, ვით ფრინველი ცისანი, გარნა მათთვის ზრუნავდა „მამა ჩენი ზეციერი“. ახლა ეს სწორედ იმ ოჯახს სეტყვავს, საცა თვითონ არაფერი ეხარჯება, საცა სხვის საბჭელი იწვის და თვითონ კი ხელს ითბობს... აქვს მამის ხმალი, სატევარი, ცხენიცა ჰყავს და დიდის... დღეს თქვენთანა, ხვალ—ასიკოსთან და ა.შ., სანამ რომელსამე ჩხუბში, რომელიც მას ასე რიგად უყვარს, ან სხვას არ შეაკლავს თავს, ან და სხვას არ ააგებს სატევრის წვერზე და ციმბირს აქეთ დაატოვებინებენ. ესეც, ალბათ, დროების მოტანილი გახლავთ.

* * *

ამ სხვადასხვა ჯურის წარმომადგენელთა კრებულში ერთი ფრიად საინტერესო ტიპი გავიცანი, ძველი დროების შთამონაკვეთი, ძველი ცხოვრების ნაშთი. იმასაც ზრუნვა არსებითის პურისათვის მეტ ბარგად შიამნია, ვისიც ერდო მაღალია, ის მისი მყარია.

ჩენი გმირი თავის ბატონის სახლშია გაზრდილი, თავისი ულუფა უკლებლივ ჰქონია. არ აკლდა ბატონის წყალობა სილაღე, ცხენი, ტანი-სამოსი.

კარგი და, სახელი არა ჰქვიან თქვენს გმირსაო?—იქნება, მკითხოს მკითხველმა. როგორ არა, ჰქვიან და სწორედ დიდებული სახელიცა ჰქვიან. მაგრამ მე მაინც ვერ გავამჯღავნებ. ვერ გავამჯღავნებ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემს გმირს გურულის სისხლი უდგას ძარღვებში, მაშასადამე, ფიცხა, თოფის წამალივით იფეთქებს. მეორე საბატიო მიზეზიც ის გახლავთ, რომ, რა ვიცი, ცოდვის შეილნი ვართ... რომ რამე მეტი წამომცდეს, მაშინ რაღა უქნა? ხომ მოგეხსენებათ, მართალის მთქმელს ცხე-

ნი შეკაზმლი უნდა ჰყავდეს. ეს ბრძნული ანდაზა განსაკუთრებით მაშინ უნდა გაიზვიადოს ადამიანმა, როცა ჩვენი გმირის მსგავს ადამიანის შესახებ გადასწყვეტს ლაპარაკს. თუმცა ისიც მართალი გახლავთ, ღვთისწინაშე, ის ადგილი, სადაც ამ სტრიქონებს ავწერ, ჩემი გმირის სამშობლო სოფელს მთელი 150 კილომეტრითა შორავს და შუაში შავი ზღვაცაა.

მაგრამ თქვენთვის სულერთი უნდა იყოს, ჩემს გმირს ნამდვილი სახელი ერქმევა, თუ მოგონილი! ამიტომ, მოდი, ტარიელს¹⁾ დავარქმევთ... საბუთი მეტი გვექნება თავის გამართლებისა.

ჰო—და, იმას მოგახსენებდით. ტარიელი პატარობიდანვე თავის მფარველისას გაიზარდა. იარაღის ტარება შეიძლო თუ არა, მას შემდეგ თავის სიცოცხლის საუკეთესო ხანა ბრძოლის ველზე გაატარა, თავისი ბატონის გვერდით. იმასთან იყოფდა ჰირსა და ლხინსა. ცათაფრენა შეუდგება ხოლმე, როცა მოიგონებს იმ სანეტარო დროს, რომელიც მან გაატარა ჩერქეზეთში... მითთან ბრძოლა, მითთან ვაჟკაცობის გამოჩენა... რაც უნდა ილაპარაკოს, საიდანაც უნდა მოჰყვეს, უეჭველად ჩერქეზებთან უნდა ახსენოს, ნახევარ საათით მაინც საჩერქეზოში უნდა გადავიდეს. ჩერქეზები და საჩერქეზო მისი სუსტი მხარეა. „ეს წმ. გიორგის ჯვარი იქ მომცესო“,—გამოურევს, ვითომც სხვათა შორის, და ცალბედი თვალთგულზე ჩამოკიდებულ ჯვარს დახედავს. თან, ვითომ ზიზღი გამოეხატება სახეზე: „დიდი რამ კი არ გეგონოთ, მე დამსაჯეს, ჩემი ღვაწლი ვერ დააფასეს, ან შეეძლოთ დაეფასებინათო?! ერთ ჩერქეზ თავადიშვილს თავი მოვებარი წიწილივით,—ციდილობს ტარიელი გაგაცნოს ამ ჯვარის მიღების ისტორია,—მეორე ცოცხლად დევიქირე და მივეყვანე „ბატრიადის ნაჩაღნიც“. მაღადეც, ჩემო ტარიელო, მითხრა,—გურულებმა მასახელეთო. მომცა ეს ჯვარი და მითხრა, თუ უღვაში მაქ, გადაგიხდი მაგიერ პატივისცემასო. ქე იყვნენ სხვებიც, კაი-კაი თავადიშვილები, კაი-კაი აზნაურიშვილები, მარა ჩემტენი ვაჟკაცობა არავის გამოუჩენია“.

ბოროტი, შურიანი ხალხი კი სულ სხვას ამბობს. „ტარიელი მისდღემჩი ოზურგეთს არ გასცილებია და აკეთში რომ მოვიდოდა, გვატყუებდა, საჩერქეზოში ვიყავიო. ჯვარ და ხატზე დევიფიცავ, ჩერქეზი თვალთ არ უნახიაო“. ზოგი ამბობს: არა, სულს არ წვეიწყემენდ, ყოფნით ქე იყო ტარიელი საჩერქეზოში, მარა ცოცხალი ჩერქეზი ისე არ დოუქერია, რავაც მე ლომი არ დამიქერიაო. ამასობაში მესამე გამოტყვრა, რა თქმა უნდა, ისიც ტარიელის მოწინააღმდეგე დასს ეკუთვნის. ხომ მოგესენებათ, გმირს მტერიც ბევრი ჰყავს. „ისიცრუეს ამბობს, ბატონო, ცოცხალს კი არა, მკტარს მოკრა თავი და „ნაჩაღნიკი“ მოატყუაო“. ერთმა სულ მოსკრა კისერი ჩვენს ტარიელს: „გვარცხვენს, ბატონო, გურულებს! ეს თუ ვაჟკაცია, ვაჟკაცები რავარი უნდა იყვეს გურიაშიო!? ჯვარი კაცის მოკვლიზა კი არა, მასხარა იყო, ყველას აცინებდა მილიციაში; უმ-

¹⁾ ავტორის გადმოცემით ეს გმირი გოჯასპირ მგვლაძე ყოფილა, საკმაოდ ცნობილი თავისი მოსწრებულ სიტყვა-პასუხითა.—რედ.

ფროსს ქე ჰქონდა, ოჯო, ერთი ჯვარი და ქე მიცა ტარიელს. ეს კი გა-
შოსულა და ყმედობს, ვაჟაკობისთვის მომცეს ჯვარიო. აბდალი!..“
შთელს სოფელში ვისაც უნდა ჰკითხოთ, ყველა დაუსრულებელი ვარიან-
ტებით დაგიწყებთ დაპარაკს ამ თემაზე. მოგეხსენებათ, სოფელს პირს
ვერავინ აუტრავს. ღვთის წინაშე, ტარიელიც ასეთი აზრისაა, როცა
ტყუილში დაიჭერენ.

ასეა თუ ისე, ტარიელს, აკეთელ გმირს, ერთი ჯვარი ჰქვიადა გულზე
და იმის მიღების ამბავი ისტორიას უჭირდება დანამდვილებით მოგვეთ-
ხრას. დღეს ტარიელი 80 წლისაა, ყველა მაინც ასე ამბობს.
თუმცა თვითონ ხმას აერცვლებს, 42 წლის მეტი არ ვიქნებო. მხოლოდ
წვერ-ულვაშია მისი საიდუმლოების გამცემი. მაგრამ იმისთვისაც
წამალი გამოუგონია. თვითონ ძალიანა ჰმაღავს. მაგრამ, თქვენს ლხენას,
ცნობისმოყვარე მეზობლებს აბა რა გამოეპარებათ! ხომ მოგეხსენებათ,
ცხიხე ყოველთვის შიგნიდან გატეხილა. ისიც კი იციან მეზობლებმა—
რამდენი ეხარჯება თვეში ტარიელს საღებავის ყიდვავში.

ტარიელმა ცხვირი განსაკუთრებით მას შემდეგ აიწია, რაც აზნაუ-
რობა დაამტკიცა. როგორ?!—გაიოცებს მკითხველი.—ტარიელს განა აზნა-
ურობა საძებნელი ჰქონდაო? შორს წაგვიყვანს ამის ამბავი. თვითონ
ტარიელიც გულიგულში ცოტას კი არა სწყევლიდა, ვინც ღირსება სა-
ძიებელი გაუხადა. მერე ვინ იყო ასეთი უღმერთო, არ იკითხავთ? ვინა
და გურიელი! იმას მიუცია და იმასვე წაურთმევია აზნაურობა და „კე-
თილშობილება“. მერე მიზეზს არ იკითხავთ? სულ უბრალოა. მოგეხსენე-
ბათ, გურიელს მწყერზე ნადირობა უყვარდა. უნადირნია და მის მზღებ-
ლებს ტარიელის მამის ყანა ამოუჯოკრნიათ ცხენების ფეხებითა. ამ
დროს თურმე ტარიელის მამამაც მოუსწრო და დაუმტკიცა, რომ ლო-
ნიერის დედ-მამის შვილი ვარო. საცა თქვენი სთქვათ: იქ მეც ნუ და-
მივიწყებთო. როგორა გგონიათ, გურიელი შეარჩენდა ასეთს თავხედო-
ბას? რა თქმა უნდა, არა! ტახტის აზნაური კი იყვნენ ისა და მისნი
სახლის-კაცნი, მაგრამ გურიელმა არ დაინდო. ასწია და აზნაურთა სი-
დიდან ტარიელის მამა ამოფხიკა. მაშინ ეს ამბავი არავის გამოუთქვია,
იმიტომ რომ საჭირო არ იყო. მიიცვალა გურიელი, მიიცვალა მისი ურჩი
აზნაურიცა. დარჩა ტარიელი. ხარჯის აკრეფა შემოიღეს. ვიღამაც ტარი-
ელი დააბეზლა—აზნაური არ არისო. ჯერ იხუა, მაგრამ რაკი დაატყო,
საქმე ცუდად არისო, ბედს დამორჩილდა. იხდიდა ბეგარას, მაგრამ
ჩუმად, სხვებისგან დაუნახავად. მეზობლებმა იცოდნენ, მაგრამ პირში თქმას
ტარიელს ვინ გაუბედავდა!... ტარიელი იმის დასამტკიცებლად, რომ მამა-
ბაბათა ღირსება ისევე ჰქონდა, დაპარაკში უეჭველად გამოურედა: „თუ
კეთილშობილის სისხლი მაქვს... თუ კეთილშობილი ვარ... ვხედავ, კეთილ-
შობილი ბრძანდებით და მეც, „ვითარცა კეთილშობილი“, მოგახსენებთ...“

მაგრამ ხმა გამოვიდა, ვინც კეთილშობილია, საბუთია საჭიროყო.
ოქით ეცა ტარიელი, აქეთ ეცა... მტერი ისე დაგიღონდეთ, როგორც

ის დალონდა. ყოველსავე მის იმედს კბილი მოეჭრა. ბოლოს, როგორც იყო დაიმტკიცა აზნაურობა. ისტორია ამ აქტსაც სხვადასხვანაირად ხსნის. რომ ჰკითხავდნენ: ტარიელ, შენ მოხუცდი, ცოლი არა გყავს და შვილი, აზნაურობა რაღად გინდოდაო?—ბოშო, რავე გეკადრება, მე ისეთაც მიცნობდნენ, მარა თუ ჩემი საცხოვრებელი გადავალე ამ საქმეს, იმიტომ რომ ცოლს რომ შევიერთამ, ჩემი შვილები ყაზახებათ არ დამირჩეს-მეთქი.

ერთი ნაკლიცა სკირს ჩვენს აკეთელ ჰიდაღგოს: ენაზე თითქოს ვისმე ნალეგლა დაუსხამსო, არ შეიძლება ვისიმე ქება წამოსცდეს. თითქო მოვალეობად მიაჩნია თქმა აუგისა თავის მოყვასის შესახებ, რა თქმა უნდა, ზურგს უკან. დღეს თქვენთან არის—არ იცის, რა სიტყვებით აგეყვანოთ-ცათამდე და ანგელოზები გვერდით მოგისვით. ზურგი შეგაქციით—მაშინაც სიტყვებს ეძებს და ვერ უპოვნია, რომ აგყაროთ ყოველივე ღირსება ადამიანური. ქვეყნის ცოდო თქვენ უნდა მოგკიდოთ ზურგზე და გაზიდვინოთ. კიდევ ამიტომ დაარქვეს მეტ სახელად „ყია-მყრალი“. კი არ იტყვიან—ტარიელი სად არისო? მხოლოდ იმას იკითხავენ, „ყია-მყრალი“ ხომ არ გინახავთო? და საკმაოა წარმოგიდგეთ პატარა ჯორი, გაცვეთილი ქოლგა, გულზე ჯვარი, თეთრ-წითლად შეღებილი წვერულვაში, მორღვეული თვალები, სილალი¹ და შიგ ჩამუდარი ტარიელი... მარტო ზურგს უკან აუგის თქმისათვის არ დაერქვა ტარიელს „ყია-მყრალი“. განთქმულია თავის ცინიკობისათვის. გარდა ამისა, ვთქვით, გაუწყურით, შენიშვნა მიეცით, არ გეგონოთ, შუბლ-გახსნილი შემოგხედოთ. შემოგიტყვით, კოპებს შეიკრავს და ერთი კვირა არ გაიჭაჭანებს თქვენს მხარეს. ბრძანებთ, ეგ არის, მოგვხედა ღმერთმა, ტარიელმა ამოიკვეთა ფეხიო. გაიხედავთ—გამოარჩევს ისეთ დროს, როცა სტუმრები გყავთ, შემოვა ეზოში, ჯორს ხეზე მიბამს და ამოიჯღღებთ გვერდით, თითქო აქ არაფერიაო.

სახლი აქვს ტარიელსა?—როგორ არა! მაგრამ შიგ კი იშვიათადაცხოვრობს. უმეტეს ხანს, სადაც უღამდება, იქვე უთენდება. ორ დღეს თქვენთანაა, ორ დღეს—სხვასთან და ასე დაუსრულებლივ. რა მენაღვლება, ჩემი ულუფა ყველგან მეძლევაო. ნასტავლებსავით ვერ მოგართვეს—დაატანს ხოლმე თავმომწონედ.—მე ტარიელი გახლავართ, კეთილშობილი; მიცნობენ, ვინცა ვარ. ნასტავლები კი არ დამეტოლონ ბიქს!... უსტავლიათ და აბა კაი კაცია-და ჩემსავით იცხოვრონ! დაუჯინიათ, „ივრისტები“ (იურისტები) ვართო... ჰაი ბეჩა ტარიელი!... მე უნდა მესტავლა, ვაყურებივდი სიერს, დაუფსვბდი თვალებს, თვარა აბდალს და ყაზილარს გინდ ასტავლე და გინდ არა, მაინც აბდალია, იმას ვერაფერი უშველის. ვინძახიან, უნივერსი გამითავებიაო. დეიქვა და დეიწვა მისანა უნივერსია, თუ რაცხა ეშმაკი!.. ოჯო, თუ მე უნივერსში არ ვყოფილვარ, პურს ვერ ვჭამ საწყალი!... ეჰ, გული მიკტება ახლანდელ ნასტავლ ყაზილარებს რომ ვუყურებ...

¹ სილალი—იარაღი.

მთელი ერთი კვირა ბედნიერება მქონდა ტარიელის თავგადასავალი შესმინა. მაგრამ ამასაც უნდა ბოლო მოჰღებოდა, ბახმაროს მთები შორიდან გვაძღვედა სალამსა, თვალსა გეტაცებდა მისი დახვეწილი ჭედები. თავისკენ გვიზიდავდა,

აკეთიდან ორნი უნდა გავსულიყავით ბახმაროსკენ. გადავწყვიტეთ ჯორიც გვეშოვნა, რადგან აღმართისათვის ეს პირუტყვი დაუფასებელია, რაშიც მე თითონ დავრწმუნდი.

თითონ აკეთიდან სალამო ხანს გავედით, რადგან იმ ღამეს ბახვში უნდა დავრჩენილიყავით და მეორე დღეს დილა-ადრიაანა უნდა შევსდგომოდით ბახმაროს აღმართსა. მშვიდობით, ტარიელის სამშობლო სოფელი!

XI

ბ ა ხ ს ი

აკეთიდან ბახვამდე.—კარ-მიდამო გურული აზნაურისა.—მეღვინეობა.—გურ-რიელის მეღვინეთუხუცესი.—ონა მუნარგია და გურული გლეხი.—გაბრიელ ეპისკოპოსი.—მისი ღვაწლი ბახვის წინაშე.—შემნახველ-გამსესხებელი საღარო.—გაყ-ჯვარი და ვაკე-ჯვარელები.—სწავლა-განათლება.

ჩემი თანამგზავრი იყო ერთი აკეთელი აზნაური, ზრდილი, თავზიანი, სიტყვა-პასუხიანი. ჩემთვის ჯორი ვაჭირავებინე, რადგან ეს ცხოველი აქ დიდ პატივშია, როგორც შიმშილისა და ხედნის ამტანი, ამასთან, როგორც სწორ-უბოვარი ამსვლელი ყოველგვარი მანძილისა და ხასიათის აღმართზედ. კიდევ ამიტომ არის, რომ აქაური და, საზოგადოდ, სურამს აკეთელი სულიერი მამები ამ პირუტყვს სულ მუდამ უპირატესობას ნძლევენ და ზოგჯერ შეაბერდებიან კიდევცა. ჩემს თანამგზავრს მებარგულად წამოეყვანა 17—18 წლის ბიჭი, რომლის გარეგნობას ადამიანში მარტოოდენ სიბრაღულის გრძნობა შეეძლო აღედრა: დაგლეჯილი ყაბალახი, ახალუხის მაგვარი, რალაც ძონძებად ქცეული სამოსელი, მის ქვეშ—დაგლეჯილივე პერანგის ამხანაგი ტანს უფარავდა; ფეხთ ეცვა ისევ დახეული ჩუსტები, ისიც შეეკეცა, წამ-და-უწუმ ფეხებიდანა სძვრებოდა და ფრატუნით თუ შეეძლო სიარული. თან მოჰყვებოდა თავისივე მსგავსი ბედაური: ცალ-თვალა, მუნიანი, ცალის ფეხით კოჭლი, ძვალ-ტყავა... ეტუბოდა, დიდ ხანს უმსახურნია თავის პატრონისათვის და, საცა სამართალი იყო, პატრონს ამდენი ხნის ერთგულად ნამსახური და ნაამაგვეი პირუტყვი თავისუფლად უნდა გაეშვა, რომ სიკვდილი მაინც ტვირთმოუკიდებულად ჰღირსებოდა. მაგრამ ადამიანი რიღას ადამიანია, თუ პირუტყვი შეიბრაღა!... იცის, რომ ვერ უჩივლებს, ჯარიმას ვერ გადაახდევინებს... ცხენიც ემორჩილება უსიტყვოდ, სანამ ბერკეტით გამოსატანი არ გაუხდება პატრონსა სვაე-ყორნის გამოსაძლომად... ჰო-და, ამ ცხენს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ამ ცხენის ჩონჩხს აკიდებული ჰქონდა საბან-გობანი და ჯამ-ქურქელი ჩემის თანამგზავრისა. ერთიც და მეორეც

ბარიდან ააქვთ ბახმაროზე. მართალია, ბახმაროც აგარაკად ითვლება, მაგრამ არც ისეა ჯერ მოწყობილი, რომ ცარიელ-ტარიელ კაცს შეეძლოს ასვლა და იქ ცხოვრება. ბარჯს თავისი სიმძიმეც დაუმატა ჩვენმა მეზარ-გულმა, და შეუდექით გზას.

გავედით ისევ სუფსაში, უკან დაგვრჩა დ. ნაგომარი და ერთი საათის სიარულის შემდეგ მივაღვეთ ბახვის-წყალსა. ეს მდინარე აქ ყველა სხვა მდინარეებში ერჩევა. არა ჰგავს დამდორებულს სუფსასა ან კიდეც ნაგომარის წყალსა. მთის წყალია, ჩქარი, ერთადავ ქაფი ადგა პირზე. კალაპოტი და ნაპირები სავსე აქვს უშველებელ სიბი-ქეებითა, რომელთაც აღიღების დროს პატარა კენჭებსავით მოაგორებს ხოლმე მთიდან. ამ დროს მისი გრგვინის ხმა შორს მანძილზე ისმის თურმე და ადამიანს მისი სიმძლავრის ყურებაზე შიში იპყრობს, თავის უძლურობას მკაფი-ოდა ჰგრძნობს.

ბახვის-წყლის ჩავარდნილი კალაპოტიდან იწყება სოფ. ბახვის სერები, ვაზებით შეფენილი. აქაური ბუნება აფხაზეთის ბუნებას აგონებს კაცსა. ცოტა ხნის შემდეგ თვით სოფლის ვაკეს მოვექეციით. სოფლის გზას იქით-აქეთ რუები ჩაუდის და უხვადა რწყავს სოფლის ბაღებსა და ყანებსა. მათი საამო ჩხრიალი გარშემო სიგრილესა ჰყენს.

საათის 4-ზე აკეთიდან გასულები საათის 6-ზე უკვე შუაგულ ბახვში ვიყავით. ერთი მოზრდილი, მწვანე ხასხას მდგლოთი მოსილი ეზოს კიშკარში შევედით. აქ იყო ჩვენი მასპინძელი, რომელთანაც ღამე უნდა გაგვეთია და მეორე დღეს დილა აღრიანა ბახმაროსაკენ აღმართს შეეს-დგომოდით. ოთხ-ხუთ დღიურის სივრცე ეზო ვაზებიან ხეებითა მოფე-ნილი. ერთ მხარეს თხილის ბუჩქებია ჩარიგებული. მეორე მხარეს ჩა-უდის კარგა მსხვილი რუ, რომელიც სახლს უკან ბოსტანსა და სიმინ-დის ყანასა რწყავს. ცხენები ხეებზე მივებით. ჩვენი მეზარგული იქვე ხის ძირას პირაღმა წამოკოტრიალდა განცხრომით. მამასახლისი შინ არ დაგვიხვდა. ჩემმა თანამგზავრმა, როგორც დაახლოებულმა მეგობარმა სახლიპატრონისამ, თვითონ იკისრა იმის მაგივრობა და სახლის აივანზე ჩამოსაჯდომად მიმიწვია.

სახლი, ან როგორც აქ ეძახიან, ოღა ჩვენი მასპინძლისა, როგორც თითქმის ყველა სახლები გურიაში, ხისაა, რაიცა მოწმობს ხე-ტყის შე-დარებითს სიაფეს, საძირკველი სახლისა ნიადაგს აღწნახევარზე არის მოშორებული. საკმაოდ მოზრდილი სარკმელები უქვევლად უნდა გას-ცქეროდეს ეზოს. დარბაზი აქაური სახლისა ზომაზე დიდია, ისე დიდია, რომ ცხენი გაქენდება. ერთი მხრით გრძელი ტახტია, ხალებით დაფე-ნილი. ეს კია, რომ ეს დარბაზი უფრო საზაფხულო საცხოვრებლად არ-ის მოწყობილი, ვიდრე საზამთროდ. კედელი არც შიგნიდან არის გაგო-ზილი და არც გარედან. ჯუჯრუტანებიდან ქარი თავისუფლად შემოდის, ასე რომ შიგ ჰაერი მუდამ სუფთაა. ბუხარი თუმცა აქვს დარბაზსა, მაგრამ შიგ რაც უნდა ბევრი შეშა ჰყაროთ, სითბო 2° არ აღემატება.

დარბაზის გვერდით მეორე ოთახია, სასტუმრო. შემდეგ მოსდევს საქა-
ლო განყოფილება და ერთი ც საბან-გობანის დასალაგებელი. ავეჯს, უსა-
ქიროესს გარდა, აქ ვერაფერსა ნახავთ: მაგიდა, რამდენიმე სელი და
ეგ არის და ევა. ეზოში ბალახია და ხეები, შიგადაშიგ ხილიცაა. ოღას
გვერდით, 20—30 მხარის სიშორეზე, სამზადი უდგას. იმის უკან თავლა,
ზოსელი, სასიმიდე და სხვ.

ასეთია ოდა და მოსახლეობა აქაური აზნაურისა. ეზოს უკან მოდებუ
ლი აქვს სიმიდის ყანა, რომელსაც მოზრდილი რუ რწყავს, ბახვისწყა-
ლიდან გადმოგდებული.

საათის 9-ზე ჩვენი მასპინძელიც მოვიდა, ლაბაბიანი, ჩასუქებული.
სიმუსქნისაგან პირისახე ულაპლაპებდა. გურიიში ძალზედ მსუქანის და
ტანსხვილის კაცის ნახვა ძალაუნებურად იპყრობს თქვენს ყურადღებასა.
შემეტყობა აქაურებისა ტანთხელი და ტანწვრილია. აქაურ მკვირცხლ-
ბუნებას არ ეხამება როგორღაც ასეთი სიტლანქე და მძიმობა. გაეხარ-
და სტუმართ მისვლა, მერე—უცხოთა. გაგვიმასპინძლდა გურულად, გულ-
უხვად. გემო გვაჩვენა ცნობილი გურული ჯიშის ყურძნის „მტევან-
დიდის“ წვენისა. ვახშამზე ერთი მეზობელიც შემოგვიერთდა. ჯერ, რო-
გორც საზოგადოდ, ყველა ქართულ სუფრაზე ვიცით ხოლმე, ღვინო შე-
იქნა ლაპარაკის საგანი.

ბახვი ძველთაგანვე იყო ცნობილი და ნაქები თავისი კარგის ღირსე-
ბის ღვინითა. ზოგის აზრით (მაგ. აგრონომ ერმ. ნაკაშიძე), თვით
სახელი ბახვი ამ სოფელს ბერძენთა ღვინის ღმერთის ბახუსისაგან და-
ერქვაო. როგორც სხვაგან გურიიში, ისე აქაც დარჩენილა დღემდე სიმ-
ღერა, ანუ, უკეთ, ლოცვა, რომლითაც მიმართავენ ავუნას, ანუ კერა-
თაყვანისმცემლობის დროის ღმერთმფარველს მიწის ნაყოფისა და ქირ-
ნახულისას. ახალი წლის ანუ კალანდის წინა ღამეს მამა სახლისა გაუძ-
ღვება დანარჩენ წვერთ ოჯახისას და მიუძღვება მარანში. ხელში ყვე-
ლას ანთებული თაფლის სანთელი უჭირავთ; თან მიაკვთ ხაჭაპური,
ღვინო და ღორის თავი. ოჯახის უფროსს, გარდა ამისა, ხელში თოხი
ან ცული უჭირავს. მივა გადმოპირქვავებულ საწნახელთან და ურტყამს
ცულს ან თოხს ყუთით, თანაც შემდეგ ლექსს ამბობს:

ავუნა, ავუნა, გამეიარე,
ბახვი, ასკანა გადმეიარე.
ჩვენს მამულში ყურძენიო,
მტრის მამულში ფურცელიო.
ჩვენს მამულში გოდრითაო,
მტრის მამულში გიდლითაო.

აქ ადრე ვენახები ცალკე ყოფილა, მიშვებული. პატრონები თავის
ვენახებს 10 და 15 კილომეტრითა ყოფილან ხოლმე ხანდახან დაშორე-
ბული. აკეთებულსაც კი ჰქონიათ ძველ დროში აქ ვენახები და მარტო
ყურისმგდებლები ეყენათ, თვითონ პატრონები მხოლოდ რთველის დროს

მოდიდნენ. რაკი მოსავალი დიდი იცოდა მაშინ ვაზებმა, საწნახლებიც: დიდები ჰქონიათ, რასაც შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. დარაჯს ვენახის ყურის გდებისათვის გადაწყვეტილს ქირას არ აძლევდნენ. ქირაში ღვინო ეძლეოდათ გასამრჯელოდ. რომ დასწურავდნენ ყურძენს და ქვევრებში ჩასხმას რომ დაიწყებდნენ, საწნახელის წამოყირავებამდე ღვინო არც გამოვიდოდა, პატრონისა იყო, მერე კი — დარაჯისა, დარაჯს 30 საწყაი ღვინო მინც ერგებოდა თურმე. ახლანდელი საწნახელები კი იმდენად პატარაა, რომ იმდენი ყურძენი, 30 საწყაი ღვინო რომ გამოვიდეს, არც კი ჩაეტევა.

მაშინ ღვინოც ბევრი ყოფილა, მსმელებიც გაწვრთნილნი და მემარნეებიც — გამოცდილნი. გურიელს ერთი მეღვინეთუხუცესი ჰყოლია, გვარად ანთაძე, კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში. რითაც თავი დიდად მოჰქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ, გამოვცადოთო. აურევიათ ერთმანეთში 3 ნაირი ღვინო: $\frac{2}{5}$ ფერსათული (სოფელია), $\frac{2}{5}$ ოსეთური, (სოფელია) და $\frac{1}{5}$ ჩაქური. მოუხმიათ მეღვინეთუხუცესი ანთაძე და უთქვამთ — გამოიცანო. იმასაც, გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისათვის:

ფერად ფერსათულია,
გემოდ — ოსეთურიო,
ცოტას მოჩაქურებსო.

„ახლა, ბატონო, არც ღვინო გვაქვს, არც სმა ვიცით და არც ღვინის გამოცნობა“, — ნაღვლიანად გვითხრა მასპინძელმა.

ერთი მეზობელი გლეხიც გვიჯდა გვერდით. ვერ ვიფიქრებდით, ღვინის სმის გარდა, თუ სხვა რაშიმე გაგვიწევდა ის კამპანიას. მამია გურიელის ლექსთა კრებული ის იყო, ახლად დაიბეჭდა. თითქმის ყველა გურულის ოჯახში შეხედება კაცი ამ მთელ დასავლეთ საქართველოში პოპულარული მეოსნის ნაწერებსა. ეს ვიცოდი, მაგრამ იმას კი მინც ვერ მოვიფიქრებდი, თუ ჩემთან ერთად მოსუფრალი გლეხი ამ მწერლის შესახებ ჩამომიდგებდა ლაპარაკსა. ზებირად მითხრა მისი, ამ მახსოვს რომელი ლექსი, მიაზბო, როგორც თვითონ ესმოდა, ღირსება მამიას პოეზიისა და ბოლოს, მისს ბიოგრაფს, ბ-ნ იონა მეუნარგიას გადასწვდა. „გავგლანძლა გურულები, ჩვენი საქებარი პოეტი გვიგინაო“. შევეცადე დამემტკიცებინა მისი შემცდარი აზრი, ვამეგებინებინა, რომ ბ-ნ მეუნარგიას თუნდაც რომ ცუდად ეხსენებინა მ. გურიელი, იმას მინც ვერავინ დასწამებს, რომ აზრადა ჰქონდა გურულების ძვირად ხსენებამეთქი. მაგრამ საქმე ის არის, თუ რამდენად ჭკუაში დაუჯდა ან რამდენად საბუთიანად ეჩვენა ჩემს თანამოსაუბრეს ბ-ნ მეუნარგიას გამართლება. შესანიშნავი და სწავლისხმო თვით ფაქტი გახლავთ ჭალარაწერთულ

გლეხის შეხვედრისა, რომელმაც იცის, ვინ არის მამია გურიელი, რა გაუკეთებია მას მამულისათვის და სხვ. და ეს გლეხი სოფლის მცხოვრებია, სკოლა არ უნახავს, საღდაც და ვისგანღაც ძალის-ძალით უსწავლიბა ორიოდ ანბანი...

მშენიერი დილა იყო, ნახი, უმანკო. გარემო ფრინველთა სტვენა-ქიქვით აივსო. ცხრათვალა მზისაგან დედამიწას ორთქლი აუვიდა. ცხენები შეგვიკაზმეს, დაეწყუნარდით, შემოგვიერთდა ჩვენი მასპინძელი და დილის სიგრილეზედ გამოვსწიეთ. ეზოდან გამოვედით თუ არა, შარა-გზას დავადქვით. გზით დაქსელილია აქ მთელი სოფელი. შარა-გზა მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან. განათლებული ქვეყნის სოფელი მოგაგონდებათ ამ მხრივ. გლეხს ზედ კარებთან ჩაუდის კობტად ნოკირწყლული გზა, რომელიც უადვილებს თავისი ნაწარმოების გადაზიდვას ერთი ალაგიდან მეორეზე. ყოველივე ამას ატყვია მადლიანი მარჯვენა ამ სოფლის შეილის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა (ქიქოძისა), რომელიც სოფელ ბახეში დაიბადა, აქ აღიზარდა სიყრმითვე და მერე ამავე სოფელს, მის დაჩაგრულ მკვიდრთ ემსახურა მთელი თავისი ცოდნითა დაუცხრომელი ენერგიითა. ჩვენში, იმ დროს მაინც, პირველი მაგალითი იყო, რომ თავის სამშობლო სოფლისათვის ვისმე იმდენი ამაგი დაედო, რამდენიც გაბრიელმა ბახეს დასდო. ერთ დროს სრულიად დავრდომილი, დაქვეითებული, დაჯანდაკებული, მწირი სოფელი ბახეი დღეს, გაბრიელის მეოხებით, პირველ სოფლად ითვლება მთელს გურიაში და, ცოდვა არ იქნება, კაცმა თქვას, რომ როგორც გურიაში, ისე სხვაგან საქართველოში ამას სოფელი არა სჯობსო.

უწინარეს ყოვლისა გაბრიელმა ბახეელებს აუშენა თავისი საფასით ქვითკირის ტაძარი, გაუყვანა გზები, რომლებზედაც ადამიანს თვალი რჩება ხოლმე. შემდეგ, ბახვის-წყლიდან ტოტი გამოაგდო და ვაკე-ჯვრისა (ბახვის ზემოთ სოფელია) და ბახვის მწირი და უნაყოფო ადგილები სარწყავი გახადა, გაანაყოფიერა. იქ, სადაც მანამდე, აქაურებისავე თქმით, ერთი ჯამი სიმინდი არ მოდიოდა, დღეს ადამიანს თვალსა და გულს უხარებს მხარ-ნახევრის სიმაღლე სიმინდისღერი, რომელსაც სამ-სამი ტარი ამშვენებს, ტარო და მერე როგორც ტარო? თითო წყრთიანი... გაშენდა ბალები და ვენახები. ერთის სიტყვით, მთელი მიდამო წალკოტად იქცა. გარდა ამისა, დააარსა სკოლა, სადაც არა ასსა და ორასს მიუღია პირველდაწყებითი სწავლა.

სრულებით ბუნებრივი იყო გაბრიელის ზრუნვა, კერძოდ თვისთა თანამოგვარეთა განათლებისათვის. მისი მეოხებითა და საფასით ათზე მეტი კაცი უმაღლეს სასწავლებელში აღიზარდნენ. არც ერთ სოფელს იმდენი ნასწავლები არა ჰყავს, რამდენიც ბახესა. ინჟინერი გენბავთ, ექიმები, მეტყვევ, იურისტი—თითო ან ორი ყველა პროფესიის კაცი ჰყავს. დიახსანუგეშო მოვლენა გახლავთ. იქ, სადაც ერთმა კაცმა მხოლოდ პირადი მხნეობით, ესდენი სარგებლობა მოუტანა თავის სამშობლო სოფელსა,

შისგან აღზრდილთა უფრო უნდა წარმატებით აქაურობა, მაგრამ სამ-
წუხაროდ, მარტო სწავლაც არაყოფილა თამასუქი ადამიანის კაიკაცო-
ბისა... თუ კიდევ სული უდგას ბახვს, ისევ გაბრიელის უხვი გულისა-
ვან, თუ კედლები შენდება საერთო წარმატებისა, ისევ გაბრიელისაგან
ჩაყრილ საძირკველზე.

გაბრიელის საფასით ნაყიდ ადგილზეა ორკლასიანი სასოფლო სკოლა,
რომლისათვისაც დღეს ქვეითკირის სახლი შენდება. სკოლის ეზოში მშვე-
ნიერი ბაღია, იქვე ვენახია, სკები. ყოველივე ეს სამაგალითოდ და
მისაბაძევად ჩაითვლება არამც თუ სოფლისათვის, არამედ ქალაქისათვისაც.
სკოლასთანავე არის წიგნთსაცავი. ჩვენდა სამწუხაროდ, იმ დროს მოგ-
ვიხდა აქ გავლა, როცა მასწავლებლები ბახმაროზე იყვნენ წასულები და,
ამიტომ, აქაურობის მარტო გარეგანი ნახვით დავკმაყოფილდით.

ბახვივე მოქმედობს შემნახველ-გამსესხებელი სასოფლო სალარო,
1881 წ. 11 იანვარს გახსნილი. საინტერესოა მკითხველს ამ სალაროს
მოქმედების ანგარიშიც გავაცნოთ. მთელი წლის (1896 წ.) განმავლობა-
ში სესხად გაუციათ სოფლელებზე 3,293 მანეთი. ხოლო 1897 წლის
1 იანვრისათვის მოგება დარჩენიათ 170 მანეთი. მთელი თანხა ჰქონიათ
3,317 მ. და 71 კაბ. როგორც ყველგან სხვაგან, აქაც სოფლის მასწავ-
ლებელნი არიან საქმის გამძღოლნი და მესვეურნი.

ამნაირივე ამსანაგობა სოფლად გურიაში ბახვს გარდა ერთია,—სოფ.
ასკანაში. აქ მოქმედება დაუწყიათ 1897 წ. 2 იანვარს. მაშინ დამაარსებ-
ლები ითვლებოდნენ 50. ნახევარი წლის განმავლობაში ეს რიცხვი 179
ავიდა, მათში ქალი 21 იყო. ოპერაცია: საწილო ფული—1845 მ.,
გასესხებულის $\frac{1}{10}$ 178 მ. და 71 კ., დაბრუნებული სესხი: 1,009 მ., შე-
სანახად შემოტანილი—719 მ. და 79 კ., სხვადასხვა შემოსავალი—53 მ.
და 70 კ. გადარიცხული საწილო ფული 2 მ., სულ შემოსავალი: 3,908
მ. და 20 კ.; გასავალი: საწილო გარიცხულის ამხანაგ. 2 მ., სესხად გა-
ცემული—3599 მ. $\frac{1}{10}$ ვადამდე შემოტანილი სესხისა 2 მ. და 69 კ. მო-
ბარებული ფული გაიტანეს: 238 მ. და 60 კ. ამის $\frac{1}{10}$ —1 მ. და 1 კ.
გამგეობის ხარჯი 43 მ. და 85 კ. სულ 3,887 მან. და 15 კ. ნაღდი სა-
ლაროში 21 მ. და 15კ.

* * *

ბახვიდან ბახმაროს მთის აღმართამდე მგზავრს ერთი სოფელი აქვს
გასავლელი,—ეს გახლავსთ ვაკე-ჯვარი. შარა-გზის იქით-აქეთ ოდებია
გადმომდგარი ამ სოფლისა, ასე რომ მთელი სოფელი თითქმის სიგარძე-
ხედაა გაშენებული. მოჩუხჩუხ წყლით მორწყულ ყანებში დატაროვებული
სიმინდი მწვანედ ხასხასებს, მხარ-ნახევარის სიმაღლე. ყოველ ეზოში
ბაღი და წისქვილია. ვისაც ამ ათი წლის წინათ უნახავს აქაურობა,
როცა დავგალული სიმინდი ადამიანს ცრემლებსა ჰგვრიდა თვალებზე
და მხენელ-მთესველი, მთელი წლის შრომის შემდეგ, ყანიდან თითო ჯამ

სიმიინდს თუ აიღებდა სასიმიინდეში შესაყრელად, დღევანდელ განაყოფიერებულს, სახეგამოცვლილ ვაკე-ჯვარს ველარც კი იცნობს. ქეშმარიტად გასაოცარია აგეთი მეტამორფოზა!... რაც გაბრიელის მეოხებით ბახვის-წყლიდან ტოტი გამოიყვანეს, მსგავსად ბახვისა, სამოთხეს დაემსგავსა. აქაური განსაკამოლეული ნიადაგი.

ვაკე-ჯვარი იქა თავდება, სადაც იწყება აღმართი გურია-აჭარის მთებზე გადასასვლელი გზისა, რომელსაც მგზავრი მთელი ერთი დღე უნდება. თუ აღრე არ არის წამოსული, მგზავრი ამ სოფელში უნდა გაჩერდეს ღამისა გასათევად და შესასვენებლად, რომ მეორე დღეს მთაზე, უდაბურ ადგილას, არ მოუხდეს გაჩერება, სადაც თითქმის არაფრის შოვნა შეიძლება. ამ თავისი განსაკუთრებული მდებარეობის წყალობით სოფელი გავაჭრებულია... თუ გნებავთ, მოგაგონებთ შვეიცარიის სოფელს, სადაც ყველაფერი ფულზეა გადატანილი, ფულით იზომება. მეგობრობა, ალერსი, თქვენი მასპინძლის სტუმართ-მოყვარეობა იმდენად არის კარგი, რამდენად მსუქანია თქვენი ჯიბე და—წინაუკმო. პირველი უმეოროდ წარმოუდგენელია. ურთიერთს შორის მკიდრო კავშირი აქვს ორსავე. იშვიათ მგზავრს ნახავთ, საქმე ჰქონოდეს ვაკე-ჯვარელთან და ქებით ახსენოს მისი სტუმართ-მოყვარეობა. ყველანი პირალებით ამაგებენ აქაურთა მკვიდრთა, — უპირული ხალხიაო. ვსთქვათ, ბახმაროზე მიბრძანდებით. იმ ანგარიშითა ხართ წამოსული, რომ ვაკე-ჯვარში ცხენი უნდა დაიჭირაო. ვაკე-ჯვრელი მანეთად გაგირიგდებთ, მერე კი არც იმისი შერცხვება, ორი მანეთი მოგთხოვოთ. მენავისა და ნაწვი მჯდომისა არ იყოს, ისეთ ადგილას, სადაც თქვენ მარტო დაჩაგრული მხარე ხართ და ვის ხელშიაც თქვენი ბედი და იღბალია, კიდეცა სჭრის და კიდეცა ჰკერავს, უნდა ბედს დაემორჩილოთ და სხვათა დრტვინვას თქვენი ჩივილიც შეუერთოთ. ვთქვათ, დაგიღამდათ და ღამე ვაკე-ჯვარში უნდა გაათიოთ. ღამე თქვენ ცხენს მოგპარავენ, ანუ უკეთ, დაგიმალავენ, რა არის, ჩემი ცხენი ვაჭირავენინო და ქირა გამოვართვა მამა-სისხლადო.

აქაური ჰაერი ნაქებია და საზაფხულოდ მოაგარაკენიც ეტანებიან, მაგრამ ცხოვრება ძვირია, ყველაფერს ცეცხლი უკიდია. არა ერთისა და ორისაგან გამიგონია საჩივარი, მასპინძელიც კი ჩვენს ხარჯზედ უნდა ვაცხოვროთო.

სოფლის ბოლოს სამოთხე ალაგას დუქნებიც არის, სადაც უსაჭიროების ყიდვა ყოველთვის შეუძლია კაცსა. დუქნის წინ ხშირად შეხვთებით საჩინო ადგილას ჩამოკიდებულ „პაპა-ჯვარს“ ან დუქნის მფარველ მავნე სულთაგან, მზაკვართაგან: პატარა, აჭრელებული ჯოხებია, თითო მტკაველის სიგრძე ჯინჯილებიანი.

* * *

პირველი ნახევარი ჩვენის მოგზაურობისა თითქმის გავათავეთ, ესე იგი, ვნახეთ გურია, მისი მკვიდრნი, მისი ცხოვრება, რამდენის ნახვა და-

გაცნობა კი შეიძლებოდა ერთის თვის განმავლობაში. ჩვენი წერილების (სისრულისათვის აქა გესურს ორიოდ სიტყვა ვთქვათ, ანუ უკეთ, ციფრები ვალაპარაკოთ ჩვენს მაგიერად გურიაში სწავლა-განათლების შესახებ. ეს ციფრები, ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად მჭერმეტყველურად ლაღადებს საქართველოს ამ კუთხის გონების დაწინაურების შესახებ. განსაკუთრებით ვაკვირდებოდით ამ მხარეს და შევნიშნეთ, რომ იშვიათი არ არის ისეთი სოფელი, სადაც წერა-კითხვა მხოლოდ ზოგიერთმა 40 წელს გადასულმა თუ არ იცის. ცნობებს ამისათვის ვიღებთ ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურის და კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუველის 1896 წლის ანგარიშებიდან.

თანახმად ამ ანგარიშებისა, მოელს მაზრაში, სადაც 25 საზოგადოება და 100 სოფელია, 1896 წ. ითვლებოდა: 1 სასულიერო ოთხ კლასიანი სასწავლებელი (ქ. ოზურგეთში), 33—სამრევლო-საეკლესიო სკოლა, 13—წერა-კითხვის სკოლა (სასულიერო უწყებისა); საერო განათლების სა-მინისტროს უწყებისა: 1—სამოქალაქო სასწავლებელი (ქ. ოზურგეთში), 1—სამოქალაქო ორკლასიანი, ქალებისათვის (ოზურგეთშივე), 1—სასოფლო ნორმალური სასწავლებელი, 12—ორკლასიანი და 1—კერძო სასწავლებელი (ბახეში). ყველა ამ სასწავლებლებში საანგარიშო წლის გასულს სწავლობდა მამრობითის სქესისა 2,550 ყმაწ., მდედრობითისა 283, სულ 2833 ყმაწე. ორისავე სქესისა.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ სკოლებთან ერთად სოფლებში არა ერთგან და ორგანაა გახსნილი წიგნსაცავეები, საიდანაც წიგნებს ეზიდებიან სოფელნი და სკოლაში შექმნილ ცოდნას უფრო იმტიციებენ.

XII.

ბ ა ხ მ ა რ ო

ბახმაროს გზა—კოკია და „ცხრა-ფუთა“.—მშენება „ტილისა“.—ბახმარო: მისი წარსული, მისი აწმყო.—ერისთავების დავა.—მოჭარენი.—ცხოვრების პირობები.—ბახმაროს სამოვრები.—მეგრული მეჯოგენი.—უზა კვა-რაცხელია და მისი ფილოსოფია; მისი კარავი.—განდრეკილზე ასულა.—ზის ამოსვლა.—აფდარი და გასვლა.

დილის ათი საათი იყო. შარა-გზა და ვაკე გათავდა და აღმართს შევედ-დექით. მაშინვე ატყობთ, რომ საქმე გექნებათ ისეთ გზასთან, რომელსაც ადამიანის ხელი არ მიჰკარებია და, მაშასადამე, მოკლებულია ყოველივე სიადვილეს მგზავრისათვის. ითვალისწინებთ, თუ რა ზომის ჯაფა უნდა დაადგეს თქვენს ფეხებს, ან კიდევ საკოდავ პირუტყვს, რომელიც იძულებულია თქვენი ტანი ზიდოს. პირველი ნაბიჯის გადადგმაზედვე შექისას ბუციფალს სიმწრის ოფლი გადაასკდა თავის პატრონის სიმძიმისაგან. სიბრალულის გრძნობით აღვისილმა ჩემი კოკია¹ შექი-

¹ ასე ეძახიან ჯორს გურია—სამეგრელოში, საალფროსო.

ჴას¹ დაუთმე და მის ცხენის ჴურგს მე მოვექეცი. იმისი ლაჯებს ქვეშ აღარც კი გამოჩნდა საბრალო ცხოველი. ყურები-ღა უჩანდა. აკენესდა, მაგრამ რა აკენესდა!.. ქვის გულის პატრონსაც კი თვალზე ცრემლებს მოჰგვრიდა სიბრაღისას. ცხენებს საქმეს, აღმართის გარდა, ისიც უჭირებდათ, რომ ახალი ნაწვიმირი იყო და მოღიაულ გზაზე ფეხები წამ-ღა-უწუმ უტურდებოდათ. ზოგჯერ ძიულებულნი ვიყავით ფეხით გვევლო და ცხენები სალთად წაგვეყვანა; მხოლოდ მექისა, რომელსაც შესაფერისობისათვის „ცხრა-ფუთა“ დავარქვით, არა შორდებოდა თავისს კოკიას.

გზა ტყე-ტყე მიდის. რცხილა, წიფელი, წაბლი, ლეკუხა ერთმანეთშია არეული. ყველას კი წიფელი სჭარბობს. ტყე მდიდარია, მაგრამ უგზოობის გამო ადამიანი ვერ სარგებლობს. მხოლოდ თავად მ. ნაკაშიძეს დაუწყია საკასრე მასალების ჴრა, რომელიც ჩალვადრებით ჩააქვს ძირს. სხვა მასალას აქედან ვერ ჩაიტანს კაცი, რადგან აქაურ საცალფენო გზაზე მარტო ცხენი თუ გაივლის და ისიც გაჭირვებით, თორემ ურემი ვერას გზით ვერ მიუდგება აქაურობას. და ამდენი სიმდიდრე მექთადა ღებვა და ოხრდება ტყეში. ეგვევ ითქმის იმ ძვირფას ნაძვენარზე, რომლითაც დაფარულია აქაური მთების მაღალი ადგილები.

ალაგ-ალაგ სულ ვიწროვდება, სული ეხუთება გზასა, ორ კედელს შუა მოქცეულსა. თუ ცხენით შიგ შეხვედით, უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ. თუ წინ ცხენი შეიშოვხვდათ, გზას ვერ უქცევთ ერთმანეთს. განსაკუთრებით გასაჭირია ამ ალავას გავლა, როცა ჯოგს მოერეკებიან. მწყემსებმა და საქონლის პატრონებმა ეს იციან და სათოფეზედ ყვირილს მოჰყვებიან. ამ ყვირილით წინიდან მომავალ მგზავრს აფრთხილებენ, არ დაიძრათ, სანამ ჩვენ არ გავალთო. ხშირად ამ ალავას უბედურებაც დატრიალებულა. ეს გზა ამასთანავე კალაპოტიცაა მთის ნაკადისა. ღვარობის დროს მთელი კალაპოტი ივსება, მძლავრად მოდის და რაც და ვინც გზაში შეშოხვდება, ფეხზე არ აყენებს და თავის მსხვერპლად ხდის ხოლმე.

კარგი და, როგორ-ღა დადიან ასეთი გზითაო? იკითხავეთ: დიდი გაჭირვებით. ნახევარი გზა ფეხით უნდა აიაროთ. ვისაც ფეხით სიარული არ შეუძლია და ცხენი არ ეცოდება, თავის დამაგრება მაინც უნდა იცოდეს უნაგირზე, ამიტომ რომ მთელი გზა ერთმანეთზე უარესი აღმართ-დაღმართებია. ხალხი მაინც დადის, განსაკუთრებით გაჭირვებული, ციებისაგან ილაჯ-გაწყვეტილი. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბავშვებიც კი დაჰყავთ ამ გზითა. ზოგს ჴედ უნაგირზე დააკრავენ მაგრად, ზოგს ყუთებში ჩასვამენ და იქით-აქეთ დაჰკიდებენ ცხენსა და საპალნისავეთ აზიდვინებენ.

რაც უფრო ჴევით ავდივართ, ნისლი განუწყრელი თანამგზავრი ხდება ჩვენი. ხან ბამბასავით-შიგ გავხვევით, ხან ჩვენგან გაგოგდება და სადმე

¹ მელქისედეკის შემოკლებული სახელი, გვარად ბერიძე ყოფილა, როგორც ავტორმა გადმოგვცა.

ხევში დაეკიდება ხეებსა. მშვენიერი გადასახელია ვაკისკენ: მოსჩანს ყვითელი ზოლი სულ მუდამ ამღვრეული რიონისა, თეთრი ლიანდაგი რკინიგზისა, ქუთაისი, სენაკი, სამეგრელოს მთები, სამტრედია, ესე იგი, ნაწილი იმერეთისა, მთელი გურია და ნახევარი სამეგრელო. გზაზე ბევრია წყავი და განსაკუთრებით მოცივი. სიარულისაგან ნერწყვებამშრალი მგზავრი ხარბად ეტანება მოცვსა, რომელიც შეგიძლიათ იმდენი მიირთვათ, რამდენიც გნებავთ—უწყინარი ხილია.

გზა უარესად აღმართდება. ზედ ერთვის ლაფი, სიარული სჭირდება. რამდენჯერმე სასახლე ავაგეთ. უმეტეს ხანს ფეხით მივდივართ, გარდა „ცხრა—ფუთასი“, რომელიც წურბელასავით არა შორდება თავის კოკიასა. ისიც ქშინავს, ოფლი ასკდება სიმწარისა. უჭირდება ჩვენი მებარკულის როსინანტსაც. აქეზებენ: „ბედაური წინ!“, „ას თუმნიანო, გასწი!“ მაგრამ მაინც სიარულს უკლებს, ალონებს პატრონსა. ბოლოს შუადღის ხანს ავატანეთ ბახმაროს გზის შუა პუნქტს — „თხემლნარას“. აქ პატარა მინდორია და გვერდით წყაროცაა. საიდანაც უნდა მოდიოდეს მგზავრი—ქვევიდან ზევით, თუ ზევიდან ქვევით, ერთხელვე შემოღებულ ჩვეულებების თანახმად, აქ უნდა გაჩერდეს, შეისვენოს თვით და პირუტყვისაც შეება მისცეს. შესვენებით კი ისვენებენ, მაგრამ აქაურ წყალს მაინც არა სვამენ, მის მსმელს „მუხლები მოეჭრება“ მაშინვე და ვერ ივლისო. ჩამოვხტით ყველანი. „ცხრა-ფუთიანის“ ჩამოხტომა, კოკიას გაგორება და მოსართავების დაწყება ერთი იყო. შეგვეშინდა. ეგ არის, კოკიამ უორნები გაახარაო,—ვსთქვით, თურმე ჩვეულებადა ჰქონია მის რჯულსა: დაღლის შემდეგ უეჭველად უნდა გაგორდნენ თურმე-ცოტათი დაენაყრდით. ამასობაში ჩამოვვეწიენ ჩლვადრები, რომელთაც საბალნეები მოჰქონდათ ფქვილისა, პურისა, ზოგს ბარგი აეკიდებინა მოაგარაკეთა.

ნახევარ საათს უკან ისევ შევუდექით გზასა. თანამგზავრნი ცხენებს არა შორდებოდნენ, თუმცა საცოდავი პირუტყვნი ბევრს ეწვალებოდნენ. ფეხები უკანკალბდათ, მთელი ტანი საპონის ქაფად ექცათ, მუცელი საბრველივით ებერებოდათ. მაგრამ მხედარი მაინც ზედ იჯდა მაშ ცხენი რალად მიწადა, თუ მე ფეხით ვივლიო. ნამდვილი მტარვალია ადამიანი ზოგ შემთხვევაში... თითქოს ლმობიერების ნიშანწყალი დაეკარგაო.

ერთი საათიც და, ტყე უკან დავსტოვეთ, ტიალზე (შიშველი ადგილი) გამოვედით. მთის სიომ დაგვბერა. იქავე, სომლიასთან, დუქანი გამოჩნდა. აქაც შევისვენეთ, ცივი, მთის წყაროს გემო ვნახეთ, შუბლი გავიგრძილეთ და ისევ შევუდექით. ნისლი უფრო ხშირად გველობება წინ. ერთი მხარის მაინძილზე არაფერსა ვხედავთ. შიგ ინთქება ხეები და შორს განმარტოვებით მღვარი ნაძვის ხეები. გზა უკეთესია, აღმართები ძქრება, მიდამო ვაკდება. აქა-იქ, გზის პირას ქოხები. შიგ დვანან „მეჰაერენი“, როგორც აქ ეძახიან ჰაერის გამოსაცვლელად ამოსულთა.

იქვე ხვადავი სძოვს, ყვავილთა შორის, რომელთაც ჩხრიალითა რწყავს მთიური ნაკადულები, წმინდა, კამკამი. მრავალფეროვანი ყვავილების ფშვინვა საკმეველივით ადის ზეცას სადიდებლად ბუნებისა, მისთვის საგალობელის სათქმელად. ყოველი ყვავილი, ყოველი ბალახი, ამ საოცნებო ნიადაგზე აღმოცენებული, რომელთაც გარშემო დარაჯებად მთენბი უდგანან, თავისკენ გიწვევენ, რომ გულში ჩაეხუტოთ, რომ სმენადიგეტკბოთ სიყვარულის საგალობელითა. ძალიან ბოროტი უნდა იყოს ზღამიანი, რომ აქ იყოს, აქაური ბუნების სიდიადეს, მის დაუსრულებელს და გასაოცებელ მშვენებას უყუროს და გული ნეტარების გრძნობით არ აღევსოს, რომ არ აღფრთოვანდეს ჩაგრული მოქმის შველის სურვილითა. ამ დროს ადამიანისათვის დაბრკოლება არ არსებობს, უძლურება რა არის, იმან არ იცის. ვინდათ, სულ აქ იყოთ, ამ ოცნების სამეფოში, მთელი სიცოცხლე, მთელი საუკუნე ამ ბუნების წიაღზე გაატაროთ. ისე გემძიმებათ აქაურობის მოშორება, როგორც ერთხელევე გულში ჩაკრული საყვარელის არსების მოგლეჯა. ლურჯმოცილა ცა თავს დაცქერით, შორიდან სალამსა და მხურვალე კოცნას გიგზავნით. მისი მოლიმარე, ალერსით სავსე თვალეზი იმასლა გეუბნებათ, რომ ამ ადგილას ძმობისა და სათნოების მეტი არა არის-რაო, ბოროტებას ადგილი არა აქვსო... მშვენიერია, მშვენიერი აქაურობა, ისე მშვენიერი, ისე დიდებული, რომ სიცოცხლე, რაც უნდა ძალღუმადური იყოს ბარად, აქ გიყვარდებათ. ყოველ ნაბიჯზე ეპოტინებით ყვავილს, რომელიც აქ უფრო წმინდა, უმწიკვლო მშვენებით არის გაბრწყინებული, ყოველ ნაბიჯზე ხელეზსა ჰყოფთ ვერცხლის წყალივით მოლუკლუქე წყალს... ჰნეტარებთ სულითა და ხორციით. თვალსა ხუჭავთ, მახსოვრებას ძალას ატანთ, რომ დაგავიწყდეთ ბარი, ქალაქი, თავისი უსიამოვნებითა....

ცოტაც გავიარეთ და მთის ფერდობზე გამოჩნდა ჯოგი ძროხებისა, კარკები მეჯოგეთა, მათ შორის ქოხები მოჰაერეთა და მათს გვერდით ხეცები, ნაძვნარით დაფარული. ექვსი ვერსის სიშორიდან ბახმაროს სახლების სახურავებიც გამოჩნდა. სიმწარე გამოვლილის გზისა გავიწყდება, დაღლილობა ჰქრება და მხნელ მივისწრაფვით ამ ალთქმის ქვეყნისაკენ. თვალსა გეტაცებს მის გარშემო შემორკული მთის მწვერვალები, ლურჯმოციალე ცის ჩრდილით დაფარულები, რამდენიმე ალაგას გავედით მთიდან ქუხილით წამოსულ წყლებში, რომლებიც ბახვის-წყალს ერთვიან და რომელსაც აქ ორი მხარი აქვს ვანი. ისიც არა. გავიარეთ ბაისურა (ადგილსა ჰქვიან), შემდეგ ტყე ბუმბერაზ ნაძვებისა. აქა-იქ გაბნეულია ქოხები ხელ-მოკლე მოჰაერეთა. აჰა, გავედით ბახვის-წყალზე და ავატანეთ თვით ბახმაროსაც, რომელსაც მუქი ფერი ჩარჩოსავით შემოკრული აქვს ნაძვისა და სოჭის ტყე. შუაში 20 და 30 მხარის მანძილზე დაშორებით გაბნეულია მოაგარაკეთა ფიცრული სახლები, ორსამ თვალნი, ბუხრებიანი.

ბახმარო მთის სახელია, სადაც უწინ ამოდიოდნენ და ახლაც ამოდიან ზაფხულობით მეგრელი მწყემსები. როგორ გადაიქცა ბახმაროს მთა სააგარაკო ადგილად და რა რიგია მისი აწინდელი ყოფა? უეჭველია, ბახმაროს ერთ დროს თავისი მეისტორიეც გამოუჩნდება, და ჩვენც ვეცდებით აქ ხელმისაწვდომ ვყოთ ყველასათვის ის ცნობები, რომლებიც ადვილობრივ შეგვირიბეთ.

უწინარეს ყოვლისა მოგახსენებთ ხალხში დარჩენილი მისი სახელწოდების ამბავს, რომელსაც, ცოტა არ იყოს, რომანიული სარჩულიცა აქვს. ამბად არის დარჩენილი,—ერთ აჭარელს გურიაში ერთი ლამაზი ქალი ზოუტაცნია. ქალს სახელად მარო რქმეგია. მომტაცებელს, რა თქმა უნდა, მდეგრები გამოსდგომია და დასწევინ კიდევცა სწორედ ბახმაროსთან. აჭარელს გადაუწყვეტია, ეს არის, წამართმევენ ჩემი გულის დამტყვევებელს და რაკი მისი აღერსითა და სიყვარულით ნე ვერ დაესტები, ნურც სხვა გაიხარებსო, და ეგოსტ არწყის თავისი მშვენიერი ტყვე ზოუტავს და მდეგართათვის ოსმალურად დაუძახნია: ბახ (ნახე) მაროი (მარო—სახელია ქალისა), ე. ი., აი, მოვკალი და მიდიო, ნახეთ, რაც გინდათ, ის უყავითო. ეს ერთი ფურცელი გახლავთ ბახმაროს ისტორიისა, იმ ბახმაროსი რომელიც მოწამე იყო აურაცხელის სისხლისღერისა და მოტაცებისა, რადგან ზემო-აჭარა ამ გზით უერთდება გურიასა და ამ ბახმაროზე გადაჰყავდათ ტყეები და გადაჰქონდათ ნადავლი.

ბახმაროს მთები მთელ გურიაში განთქმულია თავისი საზაფხულო, ალპიური საძოვრებითა და მდიდარი ტყეებითა. ეს 30,000 დესიატინის სიგრცის ადგილი საკუთრება იყო გურიაში ცნობილი თავადიშვილების—ერისთავებისა. ხოლო დღეს პატრონად გამოუჩნდა ხაზინა. საგულისხმიეროა ასეთი სიმდიდრის გადასვლა ერთი პატრონისაგან მეორის ხელში, გარნა უფრო საგულისხმოა ზოგიერთი ვაჭბატონის ქცევა, როკელნიც ამ საქმეში თვალსაჩინო როლსა თამაშობდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ ამ უშველებელ ერთიანს მამულს ერისთავები უხსოვრას დროიდანვე ჰკულობდნენ. მოღავე არავენა ჰკოლია ამ გვაროკუნებას და აკც არავის ფიქრად მოუეიდოდა, ამათ დასდაკუბოდნენ. მამ როგორ მოხდაო!—იკათბავს გაოკუბული შკითხველა. მოგახსენებთ.

ერთ ზაპათარს, როკა ბახმაროსა და მის მიდამოებში ნადირის მეტი ძე ნორციელი არაეინ დადიოდა, ადვილობრივმა მეტყევემ ბ-ნაა ი. ქ ძემ თავისი დარაჯები ჩააყენა ბახმაროს ტყეში. ექსი თვის გახმავლობაში აქ აცხოვრა და მერე, როკორც სახელმწიფო ქონების წარმომადგენელმა, სოფ. ხიდისთავში (გურიაში) არაეინად მკოფ ერისთავს, პატრონებს ბახმაროისას, დავა აუტება.—ეს მამულები სახაზინოა და უკლება არაეითარი გაკეთ მისი სარგებლობისო. ერისთავებმა ჯერ სერი-

ოზულად არც კი შეხედეს ამ, მათი აზრით, უსაბუთოდ ატეხილ დავას. რა საბუთით წაგვართმევს მამა-პაპიდან გადმოცემულ ქონებასაო?!.. ხოლო ბნ-ქ-ძეს საბუთი მამულის წართმევისა ჰქონდა და ამ საბუთსაც რუსეთის კანონმდებლობაში „მფლობელობის უფლებას“ ეძახიან... ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში უკვე გაირჩა შარშანდელი წლის აპრილის თვეში და ერისთავებმა წააგეს. საქმე ახლა პალატაშია გადატანილი და უწინდელი პატრონები თავის უფლებას ამტკიცებენ.

გურიაში როდის მიაქციეს ბანმაროს ყურადღება, როგორც სააგარაკო ადგილსა? სულ არ იქნება 7—8 წელიწადი, ისიც—სრულებით შემთხვევით. აქ ზაფხულობით ამომავალ მგერელ მწყემსებს სოფ. გურიანთას მცხოვრებ ძმათა ქარცივაძეთაგან ერთს ზაფხულს ერთ-ერთი ძმა ამოჰყვა „საჰაეროდ“, გურიანთის ციებისაგან განსაკურნებლად. მთის ჰაერმა, საუცხოო წყალმა თავისი ზეგავლენა იქონია „მოჰაერეზე“ და ციებისაგან შვება-მოცემული ჩამოვიდა ბარად. მეორე ზაფხულს ძმა ამოიყვანა, ისიც მოკეთებული დაბრუნდა. მეგრე სხვებს ურჩიეს. ამ სახით, პიონერებად ქარცივაძენი ითვლებიან. პირველი სახლი (ხისა) აქ ნიკიფორე ქარცივაძემ წარმოსდგა. ამას სხვებმაც მიჰბაძეს. სატყეო უწყების აგენტს სამოსახლო ადგილები სთხოვეს. იმნაც თითოეულს მთხოვნელს 200 ოთხკუთხი მხარი მიწა მიუზომა ორ მანეთად წელიწადში. მეგრე ექიმიც ამოვიდა ბანმაროზე, შეამოწმა ამ აგარაკის კარგი, ციების საწინააღმდეგო, თვისება და თავის პაციენტებს ყველას ურჩია ამოსვლა. ამან უფრო წააქეზა ხალხი და მიაშურეს. ამ სახით, იქ, სადაც ამ 7—8 წლის წინათ ორად-ორი სახლი იყო, დღეს სამოცზე მეტი სააგარაკო სადგომია წარმოდგემული. მათ შორის 9 დუქანიცაა. თვით ბანმაროს საუკეთესო ადგილას, იქ, სადაც დღეს თ. ივ. მაკუტაძეს სახლი აქვს და მასთან ერთად ორ-სამ სხვას, 1890 წელს მწყემსს, ვინმე ღვინჯილიას საქონელი ეყენა და მწყემსური ქოხი ედგა. სამოსახლო მიწების შოვნა თანდათან კირდება. ზოგი ორ ნაჰერს იღებს, რაკი იაფია,—ხალვათად ვიცხოვროთო.

სახლები აქ, როგორცა ვსთქვით, ფიცრულია. ზუროებად მოდიან ვაკე-ჯგერელები და აჰარლები. ოთხთვალ სახლს და სამზარეულოს (ცალკე) 300 მანეთად დაგიდგამენ თავისი მასალით, ორთვალს—100—150 მანეთად. მასალას იქვე გვერდით ტყეში ყიდულობენ თვითონ ზუროები სახელმწიფო ქონებათა უწყებისაგან. ზოგ სახლს ბუხარიცა აქვს. ეს კია, ერთი პირი 30 მანეთი ჯდება. ერთი აგურხანაც გაუკეთებიათ. ბუხარი კი აქაურ სახლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რადგან ხანდახან, როგორც, მაგალითად, შარშან, ძალზე ცივა, სითბო ზოგჯერ 8—9 გრადუსია.

ბანმაროს მთის ჰაერით სამკურნალოდ ჯერ-ჯერობით გამოდიან გურიის ვაკე-ადგილების ციებით დაავადებული ოჯახობანი. მომსვლელთა

რიცხვი ყოველ წლობითა მატულობს. მაგალითად, შარშან ზაფხულს 1,000 სული მოჰაერე იყო. ამოსვლა შეიძლება მხოლოდ ცხენით. თან მოაქვთ ყველას საბან-გობანი და სურსათი, რადგან აქ სასტუმრო არ არის. უმეტეს შემთხვევაში ყოველ ოჯახობას თავისი საკუთარი სახლი აქვს. იშვიათად თუ ვინმე ჰქირაობს ოთახსა. სეზონში (1½ თვე) ერთი ოთახი 20—25 მანეთი ჰფასობს. შარშან გასაქირავებელიც არ იყო ოთახი.

ცხოვრება, შედარებით, ძვირია, რადგან ბარიდან (ოზურგეთიდან) ამოტანა სურსათისა ძვირი ჯდება. ჩალვადრებს ფუთ საქონელზე მარტო ამოტანისა 40—50 კაპ. მიაქვთ. არის აქ ცხრამდე დუქანი, სადაც თითქმის ყოველ გვარის სანოვავის შოვნა შეიძლება. რა თქმა უნდა, სამი-ოთხი კაპიკი მეტი ღირს აქ საქონელი, ვიდრე ოზურგეთში. მაგალითად, გირვანქა შაქარი ოზურგეთში სამი შაური რომ ღირს, აქ 18 კაპიკად ფასობს, პური გირვანქა—6 კაპ. მერე, კარგი პურის შოვნაც ძნელია. მეტად ცუდ პურს აცობენ აქაური მეპურენი. მეგრულ მწყემსებისაგან საკლავს იშოვით. ოყა ხორცი 20 კაპიკია. იმათვე შემოაქვთ სულგუნი (გადაზელილი ყველი) თითო 10—12 კაპ., რძე ბოთლი ორ შაურად. კარაქი და ერბო აქარელ მწყემსებს მოაქვთ მახლობელ ეილებიდან.

საზაფხულო სეზონი, ბახმაროზე იწყება თიბათვის 20-ის შემდეგ. ამაზე ადრე აქ არ ამოისვლება,—ძალზედა ცივა. ხანდახან, როგორც მაგალითად, შარშან, 12 თიბათვეს თოვლი მოსულა. სეზონი მარიამობისთვის შუა რიცხვებამდე გრძელდება. ღამ-ღამობით სიცივეები იცის. სითბო ხშირად 8 გრადუსამდე დასულა. 32° სიცხე აქ მაქსიმალურია. შარშანწინ ყოფილა ასეთი სიცხე და მოაგარაკენი შინ ვერა ჩერდებოდნენ და ყველანი იქვე მოდებულ ნაძენარში იმალებოდნენ თურმე.

მოაგარაკეთათვის აქ გასართობი ჯერ არაფერია, ანუ უკეთ, თავისებური გურული. გასართობია. სახელდობრ: ყოველ საღამოს ბურთაობა. იმართება, რომელშიაც ბანოვანნიც იღებენ მონაწილეობას. რა სიმარტივეა ჩვეულებათა!... სიმღერა, ფერხული, ლეკური ისეა გამართული, როგორც გურიის რომელსავე სოფელში დღეობის დროს. ერთმა მასწავლებელმა კეგლი გააკეთა და ბუზივით ეხვეოდნენ ქალი თუ კაცი. დიდ პატივშია ნარდისა და ქალაღდის თამაში.

სასეირნო და თვალის სასეირო ადგილები აქ ბევრია. გარშემო მდებარე მთები: ბაისურა, განდრეკილი, ფაფარა, საყორნია და მათი კალთები მშვენიერი სასეირნო ადგილებია. ბახვის წყალი, სადაც მხოლოდ კალმახები იცის, მშვენიერი საბანაოა. ცივი წყაროები ყოველ ნაბიჯზეა. მათ შორის ერთია შესანიშნავი, ეგრეთ წოდებული „გურიელის საცივი“ (საცივს გურიაში წყაროს ეძახიან), ბახმაროს ჩრდილოეთით, მდლობზე. ამ წყაროს წყალს 4 გრადუსი-ლა აქვს სითბო. როგორც აქაურები მოგვითხრობენ, ადრე გურიის მთავარი სანადიროდ სოფ. ასკანიდან (20 ვერსია ბახმაროდან) რომ გამოვიდოდა, სადლობისას ამ ადგილას

აატანდა და სადილს ამ წყაროსთან მიირთმევდა და სახელიც აქედან დაერქვა ამ საცივესაო.

ექიმი ბახმაროზე არ არის. ჩემს იქ ყოფნაში ერთი ბებია იყო და ერთიც ფერშალი. ბებიას, რა თქმა უნდა, პრაქტიკა ნაკლებად ჰქონდა, ზოლო ფერშალი კი ქინაქინას ბევრს ასაღებდა, იმიტომ, რომ ჩუმი ციება ვისაც კი აქვს ტანში, აქ რომ ამოვა, უსათუოდ უნდა გამოაჩნდეს. როცა ბახმარო გაიზარდება, შესაფერისი გზა გაუკეთდება, აქ ამოსვლას შემთხვევითი სასიათი არ ექნება, მაშინ, შექველია, თავისი ექიმიც გაუჩნდება, რაიცა მოაგარაკეთათვის აუცილებლად საჭიროა. ამბობენ, აზრად აქეთ— ბათომის ლაზარეთიც, სადაც ციებიანი ბევრია, ზაფხულობით აქ ამოიტანონ ხოლმეო.

ბახმაროზე ყველაზე თვალსაჩინო ნაკლი უწიგნსაცავობაა. გაზეთები ბევრსა აქეთ გამოწერილი, მაგრამ საქმეს მათი მიღება აქირებს. მეტად უწესრიგოდ ამოაქეთ ხოლმე. შარშან ზოგიერთმა მანდილოსნებმა ითავეს, ეს ნაკლი ბახმაროს შემდეგისათვის მაინც ააცილონ თავიდან და მომავალ წიგნსაცავის სასარგებლოდ ხელისმწიფრით ფულიც კი შეჰკრიბეს. ჰეიქრობენ, სოფ. ასკანის წიგნსაცავის ჟურნალ-გაზეთები ზაფხულობით ბახმაროში დაიბარონ და ამისთვის საკუთარი კაციც დაიჭირონ.

ისე მოპაერეთა გარდა აქ ამოდის მაზრის უფროსი, თან მოსდევს ერთ-ერთი ბოქაული, რომელიც წესრიგსა იცავს. შიში ფირალეებისა სრულებით არ არის, თუმცა ბახმაროს გარშემო ტყე და ტიალები აკრავს და 20 კილომეტრის სიახლოვეს სოფელი არ არის. ყველანი უღარდელადა ცხოვრობენ. ჯერ მაინც მაგალითი არა ყოფილა, რომ ვინმე გაეძარცვათ. ზამთრობით კი ცარიელდება აქაურობა, ძე-ხორციელი არა დგება, სახლები უპატრონოდ რჩება. ამ უპატრონოდ დაგდებულს სახლებს მეჯოგენი რაზა-კოქებს აცლიან, და, თუ აღრეული ზამთარია, თავის კარგებს თავს ანებებენ და სწორედ იმ ოთახებში, სადაც ამ ერთი თვის წინათ განცხრომითა ეცხოვრობდით, საქონელს აყენებენ...

*
* * *

ბახმაროს, როგორც ვსთქვით, გარეშემო საუცხოო ალბური საძოვრები აკრავს, სადაც საზაფხულოდ მეგრელი მწყემსები მოერეკებიან ჯოგს, განსაკუთრებით ძროხისას. პირველში გამიკვირდა კიდევცა: სად გურიის საძოვრები და სად მეგრელი მწყემსები მეთქი! საქმე ის გახლავთ, რომ გურულს მწყემსობა სათაკილო ხელობად მიაჩნია, გურულმა რომ ძროხა მოწველოს, ესე იგი, სადღედაკაცო საქმე რომ გააკეთოს, ყველასგან ყბადასაღები გახდება, მისი აზრით. ჯოგის უკან დევნა, მეჯოგობა—გურულის აზრით, სააუგო ხელობაა, ადამიანის ღირსების დამამცირებელი. გარდა ამისა, მეჯოგის უზრდელობა ცნობილია. თვითონ

სიტყვა „მეჯოგე“ ლანძღვის სიტყვად არის ქცეული. „ნამდვილი მეჯოგა“—იტყვიან, როცა ვისიმე უზრდელობა ჰსურთ გამოხატონ. სხვათაშორის, მიზეზიც ეგ უნდა იყოს იმისა, რომ ოზურგეთის მაზრაში საქონლის მოშენებას უკანასკნელი ადგილი უჭირავს მთელ გუბერიაში. მაგალითად, როგორც 1896 წლის ანგარიშიდანა სჩანს, ოზურგეთის მაზრაში ცხენები ჰყოლიათ 3,469, ჯორები—139, სახეღარები—37, ხარები და ძროხები—13.451, კამეჩები—139, ცხვარი—66, თხა—3,435 და ღორები 32,938, სულ 53,674 სული საქონელი.

საზოგადოდ, გურიაში საქონელი იმდენი ჰყავთ, რომ ოჯახში საქიროებისათვის ეყოთ. გასასყიდად საქონელს არ აშენებენ და, მაშასადამე, არც საზაფხულო იალაღებზე აღიან. ასე და ამგვარად, მწყემსობა აქაურს მთებზე მეგრელების მონოპოლიად გამხდარა. უმეტესობა მწყემსებისა ზუგდიდის მაზრიდანაა წამოსული, საკუთრივ შემდეგის სოფლებიდან: ჯგალიდან, წალენჯიხიდან, კორცხელიდან, ესე იგი იმ ადგილებიდან, სადაც მკვიდრნი საქონლის მოშენებას მისდევნენ. განსაკუთრებით აქ ბევრ მწყემსს შეხედვებით კვარაცხელიას გვარისას. ეს გვარი გურიაში საერთო გვარად გამხდარა მწყემსებისათვის. მწყემსს რომ შეხვდება გურული, ჰკითხავს, კვარაცხელია სომ არა ხარო? ყველანი მესაკუთრენი არიან. მათში მდიდრებიც ბევრი ურევია. ზოგსა ჰყავს: 100 ძროხა, 60 ცხენი, 400 თხა. წარმოდგინეთ, აქარის საზღვარზე ღორის კოლტიცი გაუჩენიათ, რასაც მეზობელი აქარელი, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხედავს.

საძოვრებს მწყემსები იჯარით იღებენ ხაზინიდან მთელი ზაფხულით. ზოგი მთელ მთაში სამას მანეთს იხდის. მერე კერძოდ ვინც მიიბარებს საქონელს, მწყემსს მოსამწყეხავს აძლევენ საქონლის რიცხვის კვალობაზე. მაგალითად, თითო ცხენზე 2 მ. აძლევენ და სხვ. რჩებიან აქ თითქმის ხუთი თვე, მაისიდან მოყოლებული. სანამ კარგად არ დასთოვს, აქაურობას თავს არ ანებებენ. ბარად (გურიაშივე) ღვინობისთვეში ჩამოდიან. აქ კი კერძო მემამულეებთან არიან დაბინავებულნი, ან დასახელმწიფო მამულეებზე სხვილფეხა საქონელზე ორ აბაზს იხდიან, თხაზე—ორ შაურს. უმეტესად ჩოჩხათის საზოგადოებაში თ. ჯამბაკურ გურიელის და მისი ძმების მამულეებში ღვინო გიორგობისთვიდან ვიდრე მეორე წლის მაისამდე. მსხვილფეხზე და ღორზე (დიდი ხბო) იხდიან—1 მან., წვრილფეხა საქონლის შენახვისათვის თხუთმეტში ერთს აძლევენ. გარდა ამისა, ღვინო სოფ. გურიანთას და მდ. ჩოლოქის ორსავე ნაპირებზე, შავის ზღვის პირად, სადაც ზამთრობით უფრო თბილა.

აქაური მწყემსები ზოგი 30 წელიწადია, რაც აქეთკენ დიდნიან. გურიაში ომამდე ჰქონდათ გზა გაკაფული. ზოგი სამი წლობით არ ბრუნდება სამშობლო სოფელში. ისე კი რიგრიგობით დადიან სახლში დიდ

დღესასწაულებში: კალანდას (ახალწელიწადს), აღდგომას და სხვ. ისეთებიც არიან, რომ აქ სახლკარდებიან და სამუდამოდა რჩებიან. საქონელს იმავე პრიმიტიული წესით უვლიან, როგორც მათი მოძმენი სამურზაყანო-აფხაზეთისა. თავისთვის თუ იკეთებენ კარავსა, რაც, აქაურ ტყის სიუხვეში, იაფი ჯდება, თორემ საქონელი ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშა ჰყავთ, დარსა თუ ავდარში, უბინაოდ. საცოდავ პირუტყვეს ზედ დასდის წვიმა, თოვლი; ნებში წვეს, არავინა წმენდს, ითმენს საოცარი მდგნეობით სიცხევსა და ყოველსავე გაჭირვებასა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებს თავისი გავლენა აქვს ხოლმე მათი ხორცისა და რძის რაოდენობასა და ღირსებაზე, ყურადღებას არავენ აქცევს თორემ.

რძისაგან აქ მხოლოდ ერთნაირ ყველს აკეთებენ—სულგუნს, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ვადაზელილს. ასაღებენ მომეტებულად ბარელ გურულეებზე, რომელთაც აქ ზაფხულობით სიმინდის ფქვილი ამოაქვსთ ხოლმე და იმაში უტკლიან. ქილა ფქვილს 80—90 კაპიკის ანგარიშში აძლევენ, ხოლო თითო ვადაზელილი, რომელიც გირვანქაზედ ცოტა ნაკლებს იწონის, ორი შაურის ანგარიშში მიაქვთ. შრატისაგან ნადულს (ხაქოს) აკეთებენ, მაგრამ უფრო შინაურობაში სახმარად. რძესა და მწონს ბახმაროში ჰყიდიან მეჭაერებზე. კარაქის კეთებას სულ არ მისდევენ. ხოლო ზედმეტს ხარსა თუ ძროხას საკლავადა ჰყიდიან ბახმაროშივე.

ბახმაროში მოჭაერეთა შორის მეგრელი მწყემსები ხშირად გამოჩნდებიან ხოლმე. ადვილი საცნობებიც არიან, სხვებში მკაფიოდ ერჩევიან: ტლანქი მიმოხერა, მოკლე, წყლისფერი ჩოხა, ჯვარული შალისა, ტყავის ჩაფულა, მოკლე, ჯვარული ნაბადი, მოწითაწო ფერისა და დაცხავებული, წოწოლა ქუდო ნაბდისა ან დავლეჯილი ყაბალახი, მაკლური თვალები და ხელში ნაძვის ჯოხი, თეთრად გათლილი. ბახმაროში ყველა მწყემსის ბელადად უხა (სახელია) კვარაცხელია ითვლება. იმას მთელი ბახმარო იცნობს თავის ბრტყელ-ბრტყელი და ცინიკური ლაპარაკით. მაგრამ, საკვირველია, ამდენი ხანი აქა ცხოვრობენ, გურიაში ტრიალებენ და ქართული მაინც ჯვარულის (სოფელია ზუგდიდის მაზრაში, იქაურები ლაპარაკში კილოს უქცევენ) კილოთი უნდა ილაპარაკონ. ასე ლაპარაკობდა უზაცა. ერთ დღეს მეც ვამაყნენ ბახმაროს ეს გმირი. გამოეხმაურე მისებურად, რამაც დიდად გააოცა. ვკითხე სადაურობა, როგორმყოფობა. ჯერ მეგრულად მელაპარაკა. მიქო ბახმარო იმ დროისა, როცა აქ არავინ დადიოდა, არც ქალები ამოდიოდნენ და არა „სთვალამდნენ“ აქაურობასაო. მერე სხვების გასაგონად თავისებური ქართულია მითხრა: „ქალებქ რომუ გაჩიდნ აქანა, წახითა და მოგვესიპა, ბატონო, საქიმე: ნადირიქ გეიქცა, ხორაიცი გოუფუქდა, სემილარისტი (ვითომ, ნასწავლი) ქალებიქ აქურო“ გოლეფი (მთები) რომუ ნახესუ და დათვალესუ, ყოლიფერი წახითა. არ ღირს აქანა ყოფნა, ბალახი კილო სუნთე-

ლი გაფუჭდა...“ ესე იგი ნასწავლმა ქალებმა დაიწყეს აქ სიარული და გველაფერი დათვალესო (თვალი ჰკრესო): ბალახი, ნადირი, მთა, წყალიო. ქალის ნახვას მთა არა ჰგუობსო, ქალმა თავი არ უნდა აჩვენოსო. როგორც ნადირი თვალს მოჰკრავს ქალსა, მისს ხორცს წინანდელი გემო ეკარგებაო. ბალახსაც ძალა აკლდება, ისე ვერ ასუქებს საქონელსაო. ქალების თვალებსა აქვთ ასეთი ძალაო.

უხსას სწამდა, რასაც ამბობდა. და მე იძულებული ვიყავ ბოლომდე მომესმინა მისი ფილოსოფია.

* * *

მესამე დღე იყო ჩემი იქ ყოფნისა. საშინელმა მოწყენილობამ აგვიტანა. ახლო-მახლო ყველაფერი ვნახეთ, თითქმის ყველა გავიცანით. გადავწყვიტეთ ბახმაროს აღმოსავლეთით მდებარე „განდრეკილის“ მთაზე ასვლა და მზის ამოსვლის დიდებული სურათის ნახვა. წასასვლელად ოთხნი ზოგვეზადენით. ბახმაროდან საღამოს რვა საათზე გავვდიეთ. თვით განდრეკილის ძირას, ბახმაროდან ორის კილომეტრის მანძილზე ჩვენს ნაცნობს შეგოგავს უზა კვარაცხელიას ეყენა ჯოგი. ღამე აქ უნდა გავვეთია და დილის 2 საათზე შევსდგომოდით მთას, რომ 4 საათისათვის, ესე იგი, როცა მზე ამოდიოდა, მძლავრ ვყოფილიყავით.

ნახევარ საათის განმავლობაში უკვე უხას კარავში ვიყავით. შეგვიპატიეთ, მაგრამ მის შეპატიუებას რაღაც ნაძალადეობა ეტყობოდა. აქ უკვე გამქრალია ის გულწრფელი სიხარული, სტუმრის დანახვით აღძრული, რასაც მგზავრი სხვაგან მთებზე შენიშნავს. აქ ხალხის სიასხოვეს გავლენით ფულის სიყვარულს სტუმრის სიყვარული მეჯოგის გულიდან განუღვევია. კარავში ბარე 15 კაცამდე დაგვიხვდა დიდი და პატარა. უხას ორი ძმაცა ჰყოლია და სულ ერთადა მდგარან. სამსავე ძმას შეძლებულ მწყემსების სახელი აქვთ.

მკვარტლისაგან გაშვებული კარავი ნაძვის მრგვალ ძელებისაგან არის შეკრული, ჯარგალის მსგავსად; ზევიდან ნაძვის ყავრით გადაუხურავთ. ქობის ავეჯს შეადგენს: დამონძილი ორიოდე საბანი, შავი, მსუბუქად გაჩორკნილი ფიცრები ტახტის მაგიერად, კეცი, თუჯის ქვაბი, ბუყუნი — მაწონისათვის, ტაბაკი, რამოდენიმე თეფში და ხის კოვჩები. ეს არის და ეს. ამ მკვარტლის და სიბინძურის სამეფოში ერთ კუთხეში თანხაზე ეგდო ი. გოგებაშვილის „კონა“ და ზოგი რამ რუსული სახელმძღვანელო წიგნები. თან გვესიამოვნა და თანაც გაგვიკვირდა. თურმე ამ კარავის წევრთაგანი ერთი ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ყოფილა, მეორე იქავე სასულიეროში. უზა ერთსაც ბათუმის გიმნაზიისათვის ამზადებინებდა... უზა მეტის-მეტი ფულის მოყვარული და თანაც უსწავლელი რომ იყო, ვიცოდით. გამიკვირდა მისი სიუხვე. ჩემს კითხვაზე ამ საგნის შესახებ, დაახლოებით, შემდეგი მიპასუხა: „ხომ ხედავ, ბატონო, რა ცხოვრებას ვეწეით! ჩვენი ცხოვრება რა ცხოვრებაა! ჩვენთვის სიხა-

რულის დღე იშვიათად გათენდება, სულ ტანჯვა, ჯაფა, სიცივე, ვაგლახი. ხან მთელი ორი დღე არა მძინავს ხოლმე. რისთვის? იმისათვის, რომ უსწავლელი ვარ. მამა-ჩემს არც ფული ჰქონდა, არც მისი ჭკუა, რომ ჩემთვის ორი ანბანი ესწავლებინა. მეჯოგეობა იცოდა და მეც ეს მასწავლა. ღმერთისა და თქვენი წყალობით ორიოდ სული საქონელი მყავს, ყოველ წლობით ორიოდ გროშს ავიღებ. ვიცი, რომ თუ ჩემს შვილს ვასწავლე, ერთ დღეს თქვენსავით „ჩინონიკი“ იქნება, ჭკუაც იქნება და ფულიცა. ჩემი ხელობით შორს ვერ წავა. თუ „ორი ღერი“ წიგნი არ ისწავლა, კაცი მჭადს არ მოუტეხს. ამიტომ, მე დავიკლებ, უქმელი დავჩემი და იმას კი რამეფრად „ქლასს“ გავათავებინებ“.

როცა ვუთხარით ჩვენი მოსელის აზრი, ფრიად გაიოცეს. მთაზე და მერე ღამით რა გინდათო? მზის ამოსვლა რომ ვახსენებთ, სიცილად არ ეყოთ: მზეს ბახმაროდანაც დაინახავდითო. ჩემი უბის წიგნი და ფანქარი რომ ნახა უზამ, დაასკენა, „მთის ასაწერად“ მიდიანო და თავისიანებს ისე გააცნო ჩვენი თავი. რაკი არ იშლით და მაინცა და მაინც გინდათ ნახოთ, მარტო ვერ ვაგომებთ, კაცსა და ძაღლებს ვაგაყოლებთ, თორემ ან გზა დაგეკარგებთ, ან „უწმინდური“ (დათვი) შემოგხვდებათ და დაგამარცხებთო. აქ დიდძალი იცის დათვებიო,—ჩვენი მსახურების სურვილი განაცხადა უზამ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მადლობა გადაუუხადეთ. მხოლოდ მერე ვინანეთ, რომ მადლობა ტყუილად დაგვეკარგა.

ვანშობის დრომ მოატანა. გვასვეს რძე, შემოგვთავაზეს მაწონი, გადაზელილი, ტალახის მსგავსი ღომი სიმინდის ფქვილისა. კვამლმა სული ამოგვართვა, ნავახშმევს თვალების მოსატყუებლად მივწყქით ტახტზე. უზა დაგვირდა, თავის დროზე მე გაგაღვიძებთო. ის კი არა, გულში სხვა სდებია. მაინც ვერ დავერწმუნებია თავისი თავი, რომ ჩვენ მართლა გვწამდა მთაზე ასვლა. ჩემს თანამგზავრებს ჩაეძინათ. მე კი კვამლმა აღარ დამაძინა, მხოლოდ თავი მოვიმძინარე. კერის პირას უზა და მისი ერთი ძმა დიდ ხანს ლაპარაკობდნენ. მათი ლაპარაკის საგანი ჩვენც ვიყავით. რა თქმა უნდა, სასიკეთოდ არ მოვუხსენებიავართ, სთქვეს: დაეძინებათ, ჩვენ არ ვავალვიძოთო, მანამდე მზეც ამოვა და ესენი არ წავლენო. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ სულ გამიკრთა ძილი.

ორის ნახევარზე წამოვდექით. ველოდეთ, უზა კაცს ვაგაყოლებს, გზის მაჩვენებელსაო. ეს კი საჭირო იყო, რადგან მთაზე ათასი ბილიკებია, თუ ერთს ასცდით, დიდს ხანს მოგიხდებათ ხეტიალი უგზო-უკვლოდ. მაგრამ უზამ ისე დაიჭირა თავი, თითქო არაფერს დაგვირებოდა და თითქო არც ჩვენ გვეთქვას მადლობა წინდაწინვე. მერე ძალის-ძალით გამოვართვით სატევარი, თორემ იმასაც არ იძლეოდა. არც ძაღლები გამოგვაყოლა...

შეუვლექით აღმართს. გზას გვინათებდა ცისკრის ვარსკვლავი. ჩუმი და მშვიდი ღამე იყო. ცა ისე იყო მოჭედილი ვარსკვლავებითა, რომ ერთი

ხელის დადება ადგილი არ დარჩენილიყო თავისუფალი. სიჩუმეს მხოლოდ შორს, ბახვის წყალის ჩხრიალი არღვევდა. მისი ხმა ბახმაროს გარშემო შემორკალულ მთების კალთებსა ჰკოცნიდა. ათასში ერთხელ უზას ქოფაკების ხმაც ამოატანდა ჩვენამდე. ჰაერი მეტად წმინდა იყო. გზაში ბალახით გამომძლარი ცხენი შემოგვხვდა, ერთს ალაგას გაჩერებული. უზასგან დაშინებულებს ცოტა გვეყო, რომ უწყინარი ცხენი დათვად დაგვესახა. სატყერის გარდა თოფიც მოგვექონდა. ერთმა თოფიანს დაუძახა:

— ვასო!

— თოფი სადა გაქვს?

— ზურგზე.

— პატრონა არის შიგ?

— არა.

— სადა გაქვს?

— ჯიბეში, ცხვირსახოცში გამოვკარი.

ამასობაში თვითონ ცხენმა გვისსნა გასაპირისაგან. ჩვენს ლაპარაკზე დაფრთხა და გზა გასწმინდა. ხოლო ჩვენ სიცილი აგვიტყდა და მეთოფურს ქება ვუთხარით ასე „მარაგად“ ყოფნისათვის...

4 საათზე მთას მოვექექით. შევისვენეთ, მაგრამ სიცივე ძალზე იკბინებოდა. სუთის 40 წუთზე მტრედის ფერ ღრუბლებს მზის შორეული სხივები მოხვდა. ცისკიდურს, თითქო უმანკო ქალიაო, მზის სხივების მოხვედრაზე შერცხვა, ბაგე-ტუჩები ვარდისფერად შეეღება. მთლად მიდამო ვარდის ხავერდს დაემსგავსა. ბოლოს, თვით გამოგზავნი ამ სხივებისა გამოჩნდა. უმანკო იყო ბუნება, დედამიწა, რომელზედაც ჩვენ ვენებივრობდით. მთის ზურგი უთვალავ აღმასებად აბრჭყვიალდა. ამოწვე-რილი მზის სხივნი ჰკართოდნენ, თითქო გვეაღერებდა და კდემამოსილი საგალობელს გვიგალობსო. გარშემო გამეფებულს დუმილს არაფერი არღვევდა. თვით ჩვენ სულგანაბულნი შევცქეროდით ამ დიდებულ სურათს ბუნებისას. ჩვენი სახე, თვალები—ერთიანი გამომეტყველება იყო იმ უზომო აღტაცებისა, რომელმაც მთელი ჩვენი არსება მოიცვა. მზის სხივთაგან განათებულ „საყორნიას“ მთამ საოცნებო სახე მიიღო. შორს ლაპლაპი დაიწყო შავშეთის თოვლიანმა მწერვალებმა.

მზემ ცოტ-ცოტად ქვეყანა გაათბო. ჩვენც ტკბილად დავიძინეთ ნახევარი საათით. უკან შურდულივით დავეშვიტ. უზამ საუზმედ დაგვახვედრა რძე და მაწონი. აქეთობას ვნახეთ ბახმაროს ჩრდილოეთით მდებარე სერი ფურნია, საიდანაც მკაფიოდა სჩანს მთელი ბარი გურია-სამეგრელოსი და შავი ზღვა. მაგრამ მანამდე ნისლიც აირია და ხშირი ნაძვნარით ბახმაროში დავეშვიტ.

ის იყო და ისა—დარმა ჩხირი მოგვატეხა. დაიწყო წვიმა, ნისლი, წვიმა, ნისლი, დაიჭირა სიცივე. ვიფუფნებით საზამთრო ტანისამოსში და ეს—31 მკათათვეს!

საშინელია ავდარში აქაურობა, როცა კოკისპირულად ასხამს ზევი-
დან! მეხი ისე ახლოს ვარდება, გეგონებათ, ეს არის, თავზე დამატყდაო-
ამ დროს, უკუმ ღამეში, როცა თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი სიბ-
ნელისაგან, იელავს, მაგრამ მერე უარესად ჩამოზნელდება, მეჯოგე
დაძრწის კლდე-ღრეში და ეძებს გარედ დარჩენილ საქონელს, თან გულ-
შემზარავი ხმით ღრიალებს... საქონელს უძახის... ან დათვს ეომება...
უნდა ერთხელ გაიგონოს კაცმა ეს ხმა, რომ საესებით იგრძნოს მისი
შემზარავობა...

ცოტათი გამოიდარა თუ არა, საშინელი ქარი ატყდა. გვეგონა ამ
სახლებსაც წაიღებსო. თავი დაფუკარი აქაურობას, მეტი დარჩენა არა
ღირდა. გზა აჭარისაკენ უნდა განმეგრძო.

ისტორიული მიმოხილვა.—პოლიტიკური მდგომარეობა.—ოსმალის
გაბატონება.

აწინდელი ახალციხის მაზრის დასავლეთით და გურიის, ანუ ოზურგეთის
მაზრის, სამხრეთით, აქარის-წყლის ხეობაში მდებარეობს ღრატოვანი
და ხევიან-კლდიანი კუთხე საქართველოსი—აქარა. მუნ სახლობს ბუნების
ყოველგვარ სისასტიკესთან მებრძოლი, მრავალჭირნახული, სიამეს და-
ნატრებული ხალხი ქართველთა ტომისა. იმის წყალობით, რომ ეს ხალხი
თურქეთის საზღვარზე ცხოვრობდა, ხან გულიდან მოგვეწყდებოდა და,
თურქთა ხელში ჩაეპარდნილი, მათი მტარვალობის მსხვერპლი ხდებოდა.
საქართველო ღონეს მოიკრეფდა, წელში გასწორდებოდა, მტერთა მიერ
მოსვრულ ოჯახს აღადგენდა, მტერს ლომივით შეებმოდა, წარსულის
ჯაგერს იყრიდა—და ეს მხარეც, სხვასთან ერთად, საქართველოს უბრუნ-
დებოდა, მის ფრთებს ქვეშ შეათარებდა თავსა.. აქარა ვერ მოასწრებდა
სულის მოთქმას, ეკონომიურად წელში გასწორებას, რომ ისევ მტერი
ჩაიგდებდა ხელში, ისევ განახლდებოდა,—ახლა კი გაორკეცებული სიმ-
ძაფრით,—რბევა და დაწოკება სოფლებისა, მკვიდრთა ავლა-დიდებისა,
მუსრვა შეილთა და ქალთა, შეგინება და შელახვა რწმენისა. ქეშმარიტად
გასაოცარია, როგორ არ აღიგავენენ დედამიწის პირისაგან აქარა და
მისნი მკვიდრნი, როგორ-ღა დარჩა ხსენება მათი!...

უკანასკნელად ორ საუკუნეზე მეტი იყო ეს მხარე თურქთა ბატონო-
ბისა და ბრძანებლობის ქვეშ; აქარა ორი საუკუნე მეტი კენესოდა მათი
შონობის მძიმე უღლით დატანჯული. ხოლო რაც თურქთ უკანასკნელად
დაიპყრეს როგორც აქარა, ისე სხვა მისი მოსაზღვრე ადგილნი (ართვინი,
შავშეთი, იმერხევი და სხვ.), თვითონ აქარა უძლური იყო მტრისათვის
წინააღმდეგობა გაეწია და ძალით ეხსნა თავი; თვით ცენტრი საქართვე-
ლოსი უკეთეს მდგომარეობაში არა ყოფილა, წარსული ძლევა-მოსილობა
არ დაჰბრუნებია, რომ მოწყვეტილ თანამომქმეთ მიჰშველებოდა. აქარ-
ლების ასეთმა მდგომარეობამ მიაღწია რუსეთ-თურქეთის 1877 წ. ომამდე,
როცა თურქეთი დამარცხდა და ამ ოცი წლის წინათ რუსეთმა, ბერლი-
ნის ტრაქტატის ძალით, ბათომისა და ართვინის ოლქები ოსმალეთს ჩა-
მოაცალა, და, მათ შორის, ეს მხარეც, რომელზედაც ჩვენა გვაქვს ლაპა-
რაკი, საქართველოს შემოუერთდა.

რას მოგვეთხრობენ ჩვენი მემატიანი აქარის შესახებ? ძლიერ ცოტას. ასეთი დაეწევა ამ მხარისა სხვა ვერაფრით აიხსნება, თუ არა მისი გეოგრაფიულად მოწყვეტილი მდგომარეობით. მაგრამ სანამ თვით ამ მხარეში შევდგამდეთ ფეხსა, საქიროდ მიგვაჩნია ის მწირი ცნობები მაინც აქარის შესახებ, რაიცა ჩვენს ისტორიაში მოგვეძევა, წინ წავიმძღვართ, რომ მომეტებული სიადვილით გავითვალისწინოთ მიზეზი აქარის აწინდელი მდგომარეობისა.

ძველად ზემო-ქართლად იწოდებოდა ნაწილი საქართველოსი, მტკვრის სათავისაკენ მდებარე, ანუ ძველივე სამცხე-საათაბაგო (აწინდელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და თვით აქარა), განთქმული დიდებულებითა, მქადაგებლებითა, მწიგნობრებითა. ამ სამცხე-საათაბაგოს ნაწილს შეადგენდა აწინდელი აქარაცა, რომელიც სამცხე-საათაბაგოსთან იყოფდა ქირსა და ლხინსა, ებრძოდა საზოგადო მტერსა, მასთან ერთად იცავდა სარწმუნოებასა და თავის ეროვნულს დამოუკიდებლობასა. როდესაც საქართველოს პირველმა მეფემ ფარნაეზმა (301—237 წ. ქრისტეს წინათ) აღექვანდრე მაკედონელის მთავარსარდალს აზონს საქართველოს უკანასკნელი ნაწილი კლარჯეთიც წაართვა და საქართველოში სრულიად გამეფდა, ცხრა საერისთაოდ დაჰყო და ყველგან ერისთავები დასვა. „მეექვსე (ერისთავი) დასვა წუნდსა და მისცა მტკვრის აღმოსავლეთი ფარანამდე და თავამდე მტკვრისა“¹. ამ მეექვსე საერისთაოს ნაწილს შეადგენდა აწინდელი აქარაცა.

ბერძენთა მწერალნი აქარას *Ανεραβ*-ს უხმობენ და მოხსენებულთა *X* საუკუნეში. აქარა, მათის მოწმობით, იყო ერთი იმ ოთხ საპრეფექტო-თავანი (ბერიაზახი, კარნატი, კუელი და თვით აქარა), რომელნიც შეადგენდნენ იბერიის მეფის (კუროპალატი სუმბათი, 923—958) სამფლობელოსა. აქარა მდებარეობდა, მათი თქმით, ამავე სახელწოდების მდინარესთან (აქარის-წყალი), რომის იმპერიის საზღვრებზე². ბიზანტიელი მწერალნი ამის მეტს არას მოგვეთხრობენ ამ მხარის შესახებ. გასაკვირველიც არ არის. თვით მდებარეობა (მთა-გორიანი) ისეთი მიუვალი აქვს აქარასა, რომ არც კარგ საეპიკრო გზად იყო გამოსადეგი და არც სხვა მხრივ წარმოადგენდა სახარბიელო რასმე. ასე რომ, მომეტებულ შემთხვევაში, აქარა უუპურადღებოთ და განზე რჩებოდა.

არც ქართველი მემატიანი აღნიშნავენ ამ მხარეს საკუთრივ. მოიხსენებენ მხოლოდ: ამათა და ამათ დაიპყრესო, და ეგ არის და ეგ! *XIII* საუკუნის მეორე ნახევრიდან, ზემო-ქართლში ჯაყელთა გვარის გაძლიერების შემდეგ, აქარა, ზემო-ქართლი და ლაზისტანი ჯაყელების (შემდეგში „ათაბეგებად“ წოდებულების) ხელში იყო. 1465 წ. ბრძოლა იმართება ყვარ-

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი. საქართველოს ისტორია, გვ. 38.

² „ცნობანი ძველთა ბერძენთა და რომაელთა მწერალთა კავკასიის შესახებ“. რუსული-თარგმანი გ ა ნ ის ა, II, გვ. 2.

ყვარე ათაბეგსა და მეფე გიორგის¹ შორის; ყვარყვარე შველასა და დახმარებასა თხოვს კახაბერ გურიელს და მაგიერში საჩუქრად აძლევს აპარასა და ჭანეთს (ლაზისტანს). „ამისთვისაც მისცა ყვარყვარემ აპარა და რომელნიმე ჭანეთის (ადგილნი) გურიელ კახაბერს, რათა მწე ექნას ერისთავთა ზედა სამცხისა და კლარჯეთისათა. ხოლო გურიელმა კახაბერ სიხარულით მიიღო ქვეყანანი (აპარა და ჭანეთი) და...“ მაგრამ თურქნი ორივეს ართმევს გურიას. შემდეგ აპარა-ჭანეთი ისევ როსტომ გურიელის² (გარდ. 1564 წ.) ხელში გადადის. იმისავე დროს თურქები აშენებენ ბათუმის და გონიოს ციხეებს. მერე, 1609 წელს, გურიელი მამია II თავისის სპითა გადადის აპარაში, ამოსრავს შიგ ჩაყენებულ თურქთა ჯარსა და ამ მხარეს იბრუნებს. მაგრამ დიდი ხნით არა. აპარა ისევ თურქების ხელში გადადის.

II

ა ზ ა რ ი ს მ თ ა ზ ე

საზღვრები.—შემოსასვლელი გზები.—ბანმაროდან გასვლა.—ბახვის-წყლის სათავე.—სამასი წლის დაშორებული ძმები.—აპარელი ქალების შეხვედრა.—ზოტიყელის ეილა.—საზოგადო საზე.—ვილის სასტუმრო.—გამასპინძლება.—„კითხვა სირცხვილი არ არის“.—იგავი.—ქართული ენა.—ჩემი მასპინძელი ირემამე.—სახლი ანუ კონალი აქაურთა.—მერძვეობა.—აპარელი შინაურთა. ბაში.—გამომშვიდობება.

აპარა, ანუ აწინდელი ბათუმის ოლქის ერთი ნაწილი, მდებარეობს გურიის სამხრეთით. მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით—არსიანის მთა, რომელიც კასპისა და შავი ზღვის მდინარეებსა (ქობლიანისა და ჭვანის წყლები) ჰყოფს ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, არსიანის მთაა საზღვარი აპარისა და ახალციხის მაზრისა; ჩრდილოეთით—აპარის ქედი, რომელიც არსიანის მთის გაგრძელებას შეადგენს და რომელიც გურია-აპარას ერთმანეთისაგან საზღვრავს; სამხრეთით—შავშეთის ქედი, ისიც არსიანის მთის შტოა და ჰყოფს აპარის წყალს და მის შტოებს—იმ მდინარეებისაგან, რომელნიც ერთიან მდ. ქოროხს მარჯვენით. ხოლო, დასავლეთ აპარა თავდება სოფ. კიბესთან, ერთი კილომეტრის მოშორებით იმ დაგვილიდან, სადაც მდ. აპარის წყალი მდ. ქოროხს ერთვის. აპარა ორად განიყოფება: რომელსაც უფრო მაღალი მდებარეობა აქვს, ზემო-აპარა ჰქვია, დაბალი მდებარეობის აპარას—ქვემო-აპარა. ორივე აპარა სამი მხრით შემოზღუდულია მაღალი მთებით. არსიანის უმაღლესი წერტილი 3333 მეტრია, სულ დაბალი—ყანლის მთა (2270 მეტრ). არც აპარის ქედია დაბალი. მისი უმაღლესი წერტილი (ხინოს მთა) 2841 მეტრს უდრის.

¹ ვახუშტი, „საქართველოს ისტორია“, გვ. 305.

² დ. ბაქრაძემე, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურია - აპარაში“ (რუსულად), გვ. 75.

მთელი ეს მხარე, როგორც მკითხველი ხედავს, მთებს შუაა მოქცეული და მოთავსებულია ქვაბვით ჩაფარდნილ აჭარის-წყლის ხეობაში.

აჭარას შემოსასვლელი გზები აქვს. შემდეგი მხრიდან: ერთი—ბათუმის მხრიდან, ეგრეთ წოდებულ ბათუმ-ახალციხის შარა-გზით, მეორე—ამავე გზით ახალციხიდან (ყანლის მთაზეა გადმოსავალი); გურიიდან სამი გზა შემოდის: ბუჯის-წყალის ხეობით თავინურზე (2918 მ.), აჭარის-წყლის ხეობით და ბახვის-წყლის ხეობით ბადიშზე. ამ სამში ბადიშის გზა ყველასა სჯობია. შავშეთიდან სამი მხრივ შემოდის გზა: ერთია, მთა კორდა (2,640 მ), მეორე—ხევა (3073 მ) და მესამე—ყვირალა.

აჭარაში შესასვლელად ჩვენ ავირჩიეთ ბახმაროდან მიმავალი გზა ბადიშზედ, საიდანაც დაღმართ-დაღმართ გზა ჩადის აჭარის პირველ სოფელ ღორჯომში. სანამ გზას შევედგებოდი, წინასწარ ბახმაროში გავიცანი რამოდენიმე დღით აქ ამოსული ზემო-აჭარის უფროსი, კაპიტანი ალექს. ბერიძე, რომელმაც დიდი სიხარულით მოისმინა ჩემი განზრახვა აჭარის დათვლიერებისა და ნამდვილი ქართულის თავაზიანობით აღმითქვა ყოველგვარი დახმარება ამ, ჩემთვის უცნობ მხარეში მოგზაურობის დროს. ბ-ნი ბერიძე რამდენიმე დღით ადრე გავიდა ჩემზედ, ასე რომ ვეღარ ვისარგებლე მისის წინადადებით და იმასთან ერთად ვერ ვიმოგზაურე სოფ. ხულომდე, სადაც იმყოფება ზედა-აჭარის ნაწილის სამმართველო.

ბახმაროდან რომ გავედი (31 მკათათვეს), 9 გრადუსი-ლა იყო სითბოსი. კველა სახლები გამოკეტილი იყო და ბუხრებიდან კვამლი ამოდიოდა. მახლობელ ეილამდე (აჭარელი მწყემსების საგაზაფხულო ადგილი, სოფელი-კით) გზის მაჩვენებლად მომყვებოდა ერთი ქობულეთელი ჩაფარი, ოზურგეთში მოსაპსახურე და ბახმაროზე მაზრის უფროსთან ერთად ამოსული, ფიცხი, როგორც თოფის წამალი. ხურჯინი ერთ აჭარელს გადავკიდეთ მხარზე. სამივე ფეხით მივიდოდით, რადგან გასავლელი მანძილი ერთი საათის სავალი-და იყო.

პირველ ეილას, აჭარას გზაზე მდებარეს, ზოტი-ყელის ეილა ჰქვიან. ორი გზა მიდის ამ ეილაში: ერთი საცხენოა და შორს (7-8 კილომეტრის მანძილზე) უხვევს, მეორე კი თვით ბახვის-წყალს აჰყვება, ხეე-ხეე, და ერთი-ორად ახლო მოსპრის გზასა, თან, უფრო ლამაზიცაა. აქ ბახვის-წყალი ვიწრო კლდეან კალაპოტშია მოქცეული და იქით-აქეთ ნაძენარი აკრავს. მდინარე, სანამ ბახმაროსთან მდებარე ვაკეზე გამოვიდოდეს, საშინლად ფიცხობს, პირზე ქაფს იგდებს, ებრძვის ხორგებსა და სიბქეებსა, ღრღინის ნაპირებსა. საამო სასმენია მისი ნაირ-ნაირი ბურტყუნი, შხული, ჩქეფა, გუგუნს; ხან ყველა ხმა ერთმანეთში აერევა. მთიდან ჩამოშვებული თოვლი ზამთრისა ალაგ-ალაგ კიდევ ჩარჩენილიყო აულებელი, რაიცა ისედაც გრილ ჰაერს უარესად აგრილებდა. გარშემო გამეფებული სიმშენიერე ბუნებისა, რომელსაც ტახტად ბახვის-წყლის ხევი ამოურჩევია, გვიხიბლავდა, ოცნების სამეფოში გვიტაცებდა...

მაგრამ, იმავე დროს, როცა ოცნება ფრთის გაშლას აპირებდა და ნეტარების ქვეყანაში გადაფრენას ჰლამობდა, სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ჩემდა უნებურად გულს, ცოტა არ იყოს, მწარედ ღრღნა დაუწყო ერთმა საკითხმა. და ამ საკითხმა, თითქო ცივი წყალი გადამახსნოს, ერთბაშად გამომარკვია, ბურანიდან გამომიყვანა... სად, ვისთან ან რისთვის მივდივარ?—აჭარაში, აჭარლებთან, რომ მოვიკითხო.. „მოვიკითხო!“ დაცინვით გავიმეორე ჩემივე პასუხი. ფიქრმა, რომლისთვისაც არ არსებობს არცა დროის, არცა მანძილის სიშორე, რომელმაც არ იცის, საზღვარი რა არის, გამითვალისწინა დიდებული ხანა თამარისა, რომელიც, თუ აქაურებს დაუჯერებთ, ხშირად აბედნიერებდა აჭარას თავის მოსვლითა, მისი სიტყვა ღვთის სიტყვად მიაჩნდათ. მომაგონდა დრო, როს მხდალს მდევად აქცევდა მისი სიტყვა და ქართველისათვის დაბრკოლება არ არსებობდა, ყველა ერთი აზრით იყო გამსჭვალული, ყველა ერთი აზრის სანაცვლოდა სწირავდა თავსა—მამული ვასახელოვო. იმისი და იმისი შვილის აუგი არავის წამოსცდეს პირიდანო... წარმომიდგა, როცა საქართველოს სხვა კუთხის შვილებთან ერთად აჭარელნიც იყოფდნენ ჭირსა და ღზინსა, როცა მხარში ვუღექით ერთმანეთსა და ერთმანეთის სიერთაგულეში სული ამოგვდიოდა. გავითვალისწინე ის დრო, როცა მათი ტკივილი ჩვენ გვესმოდა და ჩვენი ტანჯვა კიდევ—მათა, როცა თავსა ვსდებდით ერთმანეთისათვისა. იმ დროს ჰყვოდა ქართველი ერი, გაბრწყინებული იყო მისი მამული. ჩვენი სიმდიდრე, კეთილ-დღეობა, ტაძარ-ეკლესიები მტერსა შურდა და ქვეყანას აკვირვებდა. თამარი მოკვდა. განვლო ოთხასმა თუ ხუთასმა წელიწადმა. საქართველო დასუსტდა. აჭარა, რომელიც თავისი განაპირა ადგილას მდებარეობით ჩვენი მამულის მცველად და დარაჯად ითვლებოდა, მტერმა დაიმონა. ჩვენ, ჩვენმა უძღურებამ გვაიძულა ღვთის ანაბარა დაგვეტოვებინა აჭარის მკვიდრნი. სამასი წლის ბრძოლის შემდეგ, ხელი ააღებინეს სარწმუნოებაზე, შემუსრეს ეკლესიები და, ცოტა არ იყოს, შეულახეს ენაცა, ეს უკანასკნელი ძაფიცა, რომელმაც ისევ უნდა შეგვაკავშიროს, შეგვაერთოს ძმურად და ურომლისოდ, რომელიც არ უნდა იყოს ერი, თავის პიროვნებასა ჰკარგავს, არ ერობს.

პირველად მივდიოდი სამასი წლის განმავლობაში ჩვენი გულიდან მოწყვეტილ ძმებთან. მეუბნებოდნენ, ქართული დაცულია მათ შორის და უფრო უკეთესიც, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეშიო. მაგრამ მაინც ვეკითხებოდი ჩემს თავსა: გავიგებ-ლა იმათსას და გავაგებინებ-ლა ჩემსას? გვაქვს-ლა კიდევ რამ საერთო, გვაკავშირებს-ლა კიდევ რამე? იმედი უნდა ვიქონიოთ რისამე, თუ საბოლოოდ სასო უნდა წაგვეკვეთოს-მეთქი?..

ამ ფიქრში გართული კლდის ბილიკს აღმა შევყევი. რაღაცა უცნაურს ხმაზე კივილი მოგვესმა ქალისა. ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა და, ბოლოს, კლდის მოსახვევში, მოკივარსაც დავუპირისპირდით. თურქულად:

მორთული დედაკაცი მორბოდა, თან, რაღაც გაუგებარ სიტყვებს ამბობდა. მეორე ქალი უკან მოსდევდა ფეხ-და-ფეხ. თვალი-ლა ძოკვარ შავგერემან სახეს... კარგად გასინჯვა ვერ მოვასწარი, რადგან ქუჩუიანი ჩადრი თავზე მოიფარა, ასე რომ მარტო სხეულს და ტერფ-დამსკდარ ქუჩუიანს ფეხებს-ლა ეხედავდი. გრძელი, ლურჯი პერანგი კოჭებამდე სცემდა. ალისფერ ჩითის განიერ ტოტებიანი შეიდიში პერანგს ქვემოთ დასთრევდა, ფეშტამალი, ძალზედ მოსკრილი წვირითა, გრძლად ჩამოშლოდა. „უტხო“ კაცი რომ დამინახეს, მაგრად გაეხევიენ ჩადრებში, რომ ჩემი ცნობისმოყვარე თვალთათვის მათის ნახვის საშვალემა წაერთმიათ. აი პირველი ნიშანი იმისა, რომ ერთმანეთისათვის სხვადასხვანი ვართ-მეთქი: მე მათს სანახავად მოვედი, და ესენი კი თავს იმალება, ჩვენს ნახვას ერიდებიან-მეთქი. ჩვენ რომ დაეუმხარდამხარდით, ბილიკს გადაუხვიეს, და ზურგშეკეულები ერთ ალაგას გაჩერდნენ, სანამ გავივლიდით მე და ჩემი თანამგზავრი. ჩვენი მეზარეული უკან ჩამორჩა და ამბავი გამოჰკითხა. ქალი ისევ ჩადრ-მოუხსნელი იდგა და ისევ ელაპარაკებოდა, ჩადრის ქვეშიდან. კივილის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მის ვაქს შამა „დაუშხრდაო“ (გაჯავრებით გამოეკიდაო), ბალვი (ბავშვი) სადღაც გაიჭრა და ვაი თუ სადმე ღრანტეში გადიჩეხაო. გვეკითხებოდა, ზომ არსად შეგხედრიათო? მოგვშორდა და მისი კივილის ხმა კიდევ დიდხანს გაისმოდა კობეროში,—თავის „ბალეს“ ეძახოდა.

გავათავეთ ხევი. ტყე უკან დაგვრჩა და საბალახოზე გადმოვედით, ტილზე. ბახვის-წყალს ხმა უსუსტდება, ტანითაც პატარავდება, მხარი, ანუ მხარ-ნახევარი-ლა თუ აქვს განი. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს, მოკრძალებული, მშვიდი და უწყინარი, თითქმის მიკნავებული ბახვის-წყალი იგივე ბახვის-წყალია, რომელიც ამ ათის-თხუთმეტის კილომეტრის იქით მთას და ბარს ეომება დაჭრილ ლომივით, მთელის სახლის სიმსხოქეებს კანჭებევით მიაგორებს, ჰგლეჯავს სოფლებს, ასწლოვან ხეებს... წინ შემოგვეფეთა ორი 9—10 წლის ბავშვი,—აჭარლების შვილები. მოკლე კვარტუა ეცვათ ადგილობრივად მოქსოვილი შალისა, ტანზე შეაოჭერილი, ამავე შალის ძიგვა,¹ საჯდომთან დანაოჭებული და ფესებთან კი მჭიდროდ შემოკრული. თავზე წითელი ოსმალური ფესები ეხურათ. თეთრგვრემანს, ცოტათი მზემოკიდებულს სახეს მეტად შეენოდა ყარყუმევით შავი, გამომეტყველი, სიცოცხლით სავსე თვალები, მოძრავი ტანი. ჩემს ნახვაზე დამფრთხალ ჯეირანივით ყურები სცქვიტეს, ორი წყვილი გაცელებული ლამაზი თვალები მომამეტერეს: ხბორებს, ფერღზე შეფენილებს, თავი გაანებეს. „გამარჯობა თქვენი!“ შეესძახე ბავშვებს. შეკრანენ, ერთს ხანს ხმა ვერ ამოიღეს, თითქო პასუხის მიცემას ვერ ახერხებენო. მერე გონი მოიკრიფეს და მოსხლეტით მითხრეს: „გავიმარჯოსო!“.

¹ ძიგვას აქ შალვარს ეძახიან, როგორც სამგერლოში.

ერთი საათი სიარულის შემდეგ მივიდით იმ ადგილას, სადაც ერთი სამხრეთიდან და მეორეც დასავლეთიდან გადმომდინარი მთის წყლები—ლაშისფერდის-წყალი და ჩრდილოს-წყალი—ერთდება და ორსავე ერთად ერთი სახელი ერქმის—ბახვის-წყალი. აქ არის ზოტის-ყელის ეილა, სადაც დგანან ზემოაჭარის სოფლის ღორჯომის მცხოვრებლები თავიანთი საქონლითა. ამ წყლების იქით-აქეთ ნაპირზე გადმოდგმულია ორორ სართულიანი ჯარგვისებური ხის სახლები, ან, როგორც აქ ეძახიან, კონალები. ეს, თუ გნებავთ, საზაფხულო სოფელია. სოფლის შესავალთან განმარტობითა დგას ხის დაბალი, მხარნახეგრის სიმაღლე, ჯარგვალი, ორ-თვალიანი. ეს გახლავთ სასტუმრო სოფლისა, მხოლოდ უსასყიდლო. ვინც აივლის და ჩაივლის, ყველა მგზავრსა აქვს სრული ნება შიგ გაჩერდეს, ღამე გაათიოს და მერე გზა განაგრძოს და ღამის გასათევი სასყიდელი კი არავის მისცეს, და არცა ვინა სთხოვს. სასტუმროს ერთი თვალი ადამიანისათვის არის და შიგ იქით-აქეთ ფართო, შავრამ ძალზე დაბალი (ერთი მტკაველის სიმაღლე) ტახტებია შეკრული, ხოლო შუაში მიწურზე ცეცხლი ანთია. მეორე თვალი-კი ცხენის დასაბეგლად აქვს მოდგმული.

მიველი თუ არა, ჩემს გზისმაჩვენებელ ჩაფარს ვაკითხვინე სეფერ ხათიბ-ოღლი ირემამე, რომელთანაც ღამე უნდა დავრჩენილიყავ. მითხრეს, სხვაგან წავიდა და, საცაა, დაბრუნდებო. მანამდე, გნებავთ, აქ დაიცადეთ და გნებავთ—იმის სახლში მიბრძანდით. ქალები-ღა არიან სახლში, შავრამ ეს არაფერია, როგორც შეუძლიათ, პატივსა გცემნო. ვარჩიე სასტუმროში დაცდა, გარეთ, მწვანეზე, მოვიკალათე. იქით-აქეთ მთები დაკვექქროდა, მწვანე ხასხასა ხავერდით შემოსილი. მთიდან მომავალ ლაშისფერდის-წყალის ჩხრიალი სქენას გვიტკობდა. ამასობაში, ჩემთან თავი მოიყარეს ირემამდის მეზობლებმა. ყველას ერთგვარად აცვია ტანთა: შალის მოკლე ჩაქურა, დოშლული, ნაოჭებიანი, ტოტებ ვიწრო ძიგვა, შალისავე სქელი ჭრელი წინდები და ქალამნები, წელზე ბრტყელი ქამარი აქეთ შემორტყმული, სრულებით სადა. შიგ გაყრილი აქვს თურქული მუცელ-გამოწეული დანა, ზოგს სატეგარი. თავზე ყაბალახი აქვს შემობლანდული, ზოგს ფესიცა ხურავს. ყველანი ტანადი არიან, მხარ-ბეჭიანნი. ტიპი იგივეა რაც საზოგადოდ ქართველისა. შავი ან თაფლისფერი თვლები აქვთ; სურათი ცხვირი და საერთოდ მამაცი და გულკეთილი გამომეტყველება სახისა. წვერს იპარსავენ.

თითოეული მათგანი, როგორც კი მომიახლოვდებოდა, ასე ორი-სამი მხარის სიშორიდან, ოსმალურად სალაშს მომცემდა მოწიწებით: ჯერ იტყოდა „სალამ ალექუშე“ და მერე მარჯვენა ხელით პეშეს გააკეთებდა, დაბლა წაიღებდა, თან ცოტათი გადიხრებოდა, მერე გასწორდებოდა, ხელს ტუჩთან მიიტანდა, ტუჩიდან შუბლზე მიიღებდა, შემდეგ ძირს დაუშევებდა და მინამდე იდგა, სანამ არ შეეხებეწებოდი, დაბრძანდი-მეთქი. გაიგეს ჩაფრისაგან, საიდან მოვდიოდი, ვისთან უნდა გავჩერებულიყავ

ღამე, მერე საღ უნდა წავსულიყავ. მაშინვე წავიდნენ და არ ვიცო-
ქი: საღ, სადილი შეუკვეთეს. ნახევარ საათს არ გაუვლია, ერთმა გლუხ-
მა ხონჩით მოიტანა ცხელი მჭადი, ბორა (დაჭრილი ყველი, ერბოთი
მოხრაკული ტაფაზე), ხავიწი (სიმინდის მოხარშული ღერძილი, ბლო-
მად ერბო ჩართული) და ყაიმალი (ნაღები). სუყველაფერი ერთ ხონჩაზე
ეწყო. შექამადი ყველა სპილენძის თეფშებზე იყო, ზვიდან ხუფი ეხურათ
საჭმლის გაუცივებლობისათვის. პატარა მალხაზმა ბიჭმა გუგუმი (თუნგი)
ვაარბენინა და თვალის დახამხამებაში მშვენიერი, ცივი, ანკარა წყაროს
წყალი მოიტანა. ჯერ ხელი დამაბანინა და ერთმა მოხუცებულმა რომელ-
მაც მასპინძლის როლი იკისრა, დიდის თავაზიანობით მითხრა: „ბრძანე,
ბატონო!“ პირველად ვერ გავიგე იმისი ქართული და ჩემს თავს ვკით-
ხე, რის თქმა უნდოდა-მეთქი! მაგრამ იმისმა საჭმლისაკენ გამოშვერილ-
მა ხელმა მიმახვედრა, რომ საჭმლის ჭამასა მთხოვდა და ჩვენებური
„საჭმელი მიირთვით“-ის მაგიერ „საჭმელი ბრძანე“ ან მარტო „ბრძანე“
სცოდნიათ-მეთქი. მეც არ დავაყოვნე „მებრძანებინა“... საჭმლისათვის.
მაგრამ ძნელი „საბრძანებელი“ გამოდგა აქაური საჭმელი. გარდა მჭა-
დისა, ყველას ერბო აქვს ჭარბად ჩართული; სამი ლუქის შემდეგ კაცს
გულს უსუყებს და ჭამას თავს ანებებს. სამაგიეროდ, აქაური წყალის
სმით კაცი ვერ ძღება; აქაური ერბოიანი საჭმელი ხომ უფრო ანდომებს
კაცს წყალსა. ერბოს ჭარბად ხმარება აქაური ცივის ბუნების მოთხოვნი-
ლებსაა. რაც უფრო ცივა, იმდენი უფრო მხურვალე საჭმელსა თხოულობს
აგებულება ადამიანისა. აქარა კი, როგორც მთა-გორიანი ალაგი, ძალზე
ცივ ადგილებს ეკუთვნის. ნასადილევს, წარმოიდგინეთ, ამ მთაზე ყავაც
კი მომიტანეს!.. ყავა აქ ყველა მეოჯახესა აქვს. ჩაის არა ხმარობენ და
ყავით კი შექველად პირი უნდა ჩაიტკბარუნონ. და ყოველივე ეს უსას-
ყიდლოდ შემომთავაზეს. საჭმლისა და სტუმრის პატივისცემისათვის
სასყიდლის შეძლებით აქარელს საშინელ შეურაცყოფას მიაყენებთ.

სანამ სადილს გავათავებდი, ოთხი გლეხიც მოგვემატა. ერთი ხანში-
შესული გლეხი ახლოს მომიჯდა და ბოდისის მოხდით წმინდა ქართუ-
ლით მითხრა: „კითხვა სირცხვილი არ არის, ბატონო!“ მართალია, ჩა-
ფარსა ჰკითხა ჩემი ვინაობა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერ დააკმაყოფილა მისმა
პასუხმა და ზემოხსენებულის სიტყვებით მე მომიბრუნდა. იმის მაგიერ,
რომ პირდაპირ ეკითხნა, რაც უნდოდა, იგავით დაიწყო, შორიდან. ეტ-
ყობა, ეს მანერა ლაპარაკისა, ძველთაგან დარჩენილი, დღესაც დიდს
პატივშია.

„ერთ შეძლებულს კაცს,—დაიწყო თანამოსაუბრემ,—ორი მოჯამაგირე
ჰყავდა. ერთს დღეში შაურს აძლევდა, მეორეს—1 კაბიკსა. ერთ დღეს
მისი სახლის კარ-წინ ჩაღვადრებმა გაიარეს და შორი-ახლო დაისვენეს.
ალამ ერთკაბიკიანი მოჯამაგირე გაგზავნა, წადი, ნახე ჩაღვადრებო-
მოჯამაგირემ აღის ბრძანება აღასრულა: მხოლოდ მივიდა, დახედა და
უქანავე დაბრუნდა. მერე შაურიანი მოჯამაგირე გაგზავნა. ის მივიდა

ჩაღვადრებთან, ჰკითხა ვინაობა, სადაურობა, საითმიმავლობა, რა საქონელი მიგაქვთო? ერთი სიტყვით, ყველაფერი გამოჰკითხა, თუმცა არავის უთქვამს მისთვის ესენი გაეგო. ყველაფერი აღას უამბო. აღამ კაპიციანი მოჯამაგირე აძაგა, შაურიანი—აქო. ეს ქართული, (ე. ი. ლაპარაკი) თქვენ შეგებებათ, ბატონო. ჩვენ გვეწვიეთ, გეტყობათ პატიოსანი, უცხო კაცობრძანდებით. ჩვენს სოფელზე რომ გაიაროთ და ჩვენ რომ მერე ვინმემ გვეკითხოს, ვინ იყო თქვენთანაო, რა ვუთხრათ, რაც არ გვეცოდინება?

— ძველთაგანვე ჩვენი ძმები ყოფილხართ, — ვუთხარი, — მერე ერთმანეთს დაეშორდით. ერთმანეთის არც კარგი ვიცოდით, არც ავი. მოვსულვარ, გნახოთ, თქვენი ამბავი გავიგო და თქვენს ძველ ძმებს ვუამბო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! შეიტყეთ, გაგვაცანით. ჩვენც რაც შეგვიძლია, ხელს შევიწყობთო.

ამ დროს ჩაფარმა ორს კაცს, სერ-სერ მიმავალს, თვალი მოჰკრა, იხმო ორივე. ხუთ წუთს უკან მგზავრნი ჩვენთან იყვნენ. თვალწინ წარმოგვიდგა ორი ჯვარელი მეგრელი, ნაბდის წოწოლა-ქულებიანი, მოკლე, წყლისფერ ჩოხებიანი.

— აქეთკენ რა გინდოდათ?— მოსვლის უმაღვე გამარჯვების მაგიერ, ჰკითხა, ცოტა არ იყოს, გულმოსულად, ერთმა აჰარელმა მეგრელს.

— რა და, ცხენები დეიკარქა აქანეი და იმგენს ვეძებთუ.

— სტუჟი, შე მეგრელო, — შეუტია აჰარელმა, აქ არაფერი დაიკარგოს, თორემ... — და თან დასძინა, რომ აქეთკენ საქურღლად დადიან მეგრელები, ცხენები არ შეგვარჩინესო. რომ შეიძლებოდეს მეგრელს ფეხი არ უნდა შეადგმევენოს კაცმა აქეთკენაო.

... ერთ საათს უკან გაიგო იმავე აჰარელმა, რომ დედაც და მამაც მეგრელები ჰყავდა მათს სტუმარსა. თითზე იკბინა...

გამიკვირდა ასეთი უბოდიშობა და მუქარა. მაგრამ მათი საჩივარი არც თუ სულ უსაფუძვლო ყოფილა: მერე გავიგე, საქმე ის გახლავთ, რომ მეზობლად, ბანხაროს მთებსა და იმის ახლო-მახლო ზაფხულობით საქონელი უყენიათ მეგრელებსა, იმათთან ვითომ „სტუმრად“ „ნათესავები“ მოდიან ხოლმე სამეგრელოდან. „აქეთ დაბლით (ფეხით) მოდიან და უკან-კი ცხენებით ბრუნდებიანო“. ხოლო ეს ცხენები უეჭველად აჰარელისა უნდა იყოს. ეს „სტუმრები“ დღისით დადიან გარშემო ეილებში და ათვალეირებენ, საიდან უფრო მარჯვე გასაპარებელიაო. მათი გადამკიდე აჰარელს მოსვენება არა აქვთ. ხშირია სისხლის ღვრა, დღე-მუდამ საჩივარია ოზურგეთის მარხის უფროსთან— მეჯოგე მეგრელებმა დაგვანელესო, ასე რომ მეგრელებს აქ მეტად გატეხილი აქვთ სახელი.

საკმაოდ ილაპარაკეს ჩვენთან, და, ამასთან, არა ერთმა და ორმა, რომ დაგვირგებოდით და საზოგადო აზრი შეგვედგინა მათი ლაპარაკის ხასიათზე, რასაც დიდი სიამოვნებით ვუზიარებთ მკითხველსაც. თურქთა ბატონობას, მართალია, ქრისტიანობა განუდევნია აჰარიდან და

აქარელები ძლიერ მოსაყენი გამხდარან მაჰჰადისა, მაგრამ ქართული ენა მაინც შერჩენიათ. ერთმანეთში სულ ქართულად ლაპარაკობენ. მაგრამ ყური უნდა შეაჩვიოთ. პირველ ხანში გიძნელდებათ მათი ნათქვამის გაგება. დიდი განსხვავებაა გურულ სხაპასუხით ლაპარაკსა და აქაურების დინჯ ლაპარაკს შორის. ამ მხრივ აქაური ქართულეს უფრო მოგაგონებთ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს მკვირცხლ მკვიდრსა. თვითონ ნელი მიმოხვრა, აუჩქარებლობა მათს ლაპარაკს შეეხამება. პირველში როგორც მე მიჭირდებოდა მათი ნათქვამის გაგება, ისე იმათაც ჩემი ნალაპარაკევის გაგება უჭირდებოდათ. ერთი ამთვანი ქართლში ყოფილა და მითხრა, პირველად სანამ კარგად არ „დავუყურებდი“ (არ დავუჭვირდებოდი), ვერ ვიგებდი იქაურების ლაპარაკსაო. ეგ სიძნელე იმისგან წარმოსდგება, ჩვენი აზრით, რომ ზოგი სიტყვების ქართული სახელწოდება დაჰვიწყებიათ და თურქულ სახელებს ეძახიან. ასეთი სიტყვა როცა ფრაზაში გაერევა, ხანდახან მთელი ფრაზის შინაარსი გაუგებარი რჩება მსმენელისათვის. ხშირად ხპარობენ სიტყვას ბა-ს, რაიცა ნიშნავს კი, ჰო, მაშ-ს. პირველ პირის ნაცვალ სახელს მეს-ს ბოლოს ნა-ს უმატებენ ლაპარაკის დროს, როგორც ქართლის ზოგიერთ სოფელში იციან ხოლმე, მაგ. ამ ფრაზას: „მე გიიხარი“, აქარელი ასე იტყოდა „მენა გითხარი“. ამბობენ აგრეთვე, ისიც ქართლელების მსგავსად, რამდენის მაგიერ რამითი-ს. მოხვევების მსგავსად ხშირად ურევენ ლაპარაკში ჰაი, ჰაი-ს, ესე იგი, მაშ, ჰო. აქვე შევხვდით ბევრ სიტყვებს, რომელნიც ან ძველ ქართულში ანდა კიდევ სამეგრელოში ხმარობენ. მაგალითად, შარვალს სამეგრელოში ძიჭვა-ს ეძახიან; ამავე სახელს ეძახის აქარელი ტანისამოსის ამ ნაწილს, მხოლოდ მცირეოდენის ცვლილებით, სახელდობრ ძიჭვა-ს (ქ-ს მაგერად გ-ნია ხმარებული). სხვათა შორის, აქავეა დარჩენილი ძველი, საღმრთო წერილის სიტყვა, რომელიც რამდენადაც ვიცით, საქართველოში სხვაგან არსად იხმარება, ან და ჩვენ მაინც არ გაგვიგონია. ეს გახლავთ საეკლესიო ნითვის, ფეშხუმის სახით გაკეთებული ხის ქურჭელი, რომელიც სუფრის ალაგას იხმარება აქ და სახელადაც ფეშხუმი ჰქვიათ.—მრგვალია, როგორც ფეშხუმი და იმასავით მრგვალი ფეხი აქვს შუაზე დიამეტრი ზოგს ორიდან სამ მტკაველამდე აქვს. ზეუ აწყობენ საკპლიან სპილენძის სინებს სადილ-ვანშუმის დროს და მოსუფრალნი გარს შემოუსხდებიან. ჩვენი ყურადღება ძველი ქართულის ფორმამაც მიიქცია. არ იტყვიან: „მე არაფერი მეკარგება“, არამედ ასე უნდა თქვან: „მე არაფერი მეკარგეხის“. ლაპარაკში აქაურები მეტად თავაზიანები არიან. არ შეიძლება რამე თქვან, რომ არ დაატანონ: „ბატონი“, „ბრძანდები“, „თუ უკაცრავად არ გახლდეთ“ და მებრი სხვა საბოდიშო სიტყვები, რომელნიც ქართული ენის ნიშანდობლივს თვისებას შეადგენენ. ქალებმა ოსმალური არ იციან. მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ და მიაბებს, წმინდა ქარ-

თული ენა ქალებში უფრო დაცულიაო. აქ ვერ გაიგონებთ იმ უწმაწურ სიტყვა-პასუხს, ურომლისოდაც ქართლელ მდაბიოს ლაპარაკი ვერ მოუხერხებია. ლანძღვა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ. ამის შესახებ ერთმა მითხრა: „ქართლში ვიყავე, ყველაფერი ძალიან მომეწონა იქაურებისა, მხოლოდ ბევრი გინება სცოდნიათო“.

აქარაში ქართული ენის შენახვაზე კიდევ გვექნება საუბარი შემდეგ წერილებში და ახლა-კი ჩვენს დღიურს განვაგრძობთ.

სადილი რომ გავათავე, ჩემს გარშემო შეკრებილმა სოფელებმა დაიბანეს ფეხები, მკლავები, ხელები და პირი. გაიხადეს მოკლე კვარტუა, იქვე მწვანეზე გაიშალეს, ზედ დაიჩოქეს და შუადღის ლოცვა შესარულეს. პირველად ვხედავდი აქარელ მაჰმადიანს ლოცვის დროს. გამაოცა იმ სასოებად და მხურვალეობად, რა სასოებითა და მხურვალეობით მაჰმადიანი ქართველი ლოცულობდა, პირშებრუნებული დასავლეთისაკენ, სადაც ეგულებოდათ მაჰმადის სამშობლო და საფლავი.

ცოტათი თვალი მოვატყუე: მწვანეზე. გრილი ნიაგი, მთიდან მდინარესთან ერთად ჩამოსული, თავისი საამო სისინით მზის სხივებს ძალას უკარგავდა და ძილს საამოდ უზდიდა აღამიანს. სადამომდე დრო ბევრი მჩებოდა ეილის დასათვალღერებლად, რასაც დიდი სიამოვნებით შევეუდექით.

ის ეილა, სადაც ჩვენ ვიდექით, ზოტი-ყელის მთაზედ არის გაშენებული და სახელიც აქედან დაერქვა (ზოტი-ყელის ეილა). სოფელი ხევშია და ყოველმხრიდან დაფარულია ქარებისაგან. ეს მთა, რომელიც აღმინისტრაციულად ოზურგეთის მაზრაშია, ადრე, როგორც თვით ბახმაროს მთა, გურულ თავადებს, ერისთავებს, ეკუთვნოდა. ახლა კი, როგორც თვით ბახმარო, ესეც ხაზინის ხელშია გადასული, ამ სამი წლის წინათ ატეხილ დავის შემდეგ. აჭარელნი (სოფ. ღორჯომიდან) აქ როგორც ახლა, ისე მაშინაც გადმოდიოდნენ, როცა აქარა ოსმალების ხელში იყო და ზაფხულობით საქონელს აძოვებდნენ იქაურ მშვენიერ ალბიურ საბალახოებზე. მთის პატრონებს, ერისთავებს, საძოვრის ქირას საქონლის რიცხვის კვალობაზე აძლევდნენ. მეწველ ძროხაზე ან კამეჩზე ერთ ყველს იხდიდნენ, უწვეველზე—არაფერს. ფულად არაფერს აძლევდნენ, აგრეთვე ცხვრისა და თხის ძოვებისათვის. ამ უკანასკნელზე მართლმეწველზე აძლევდნენ ათის თავს, ესე იგი, ათ მეწველ ცხვარში (ან თხაში) ერთ ცხვარს (ან თხას) აძლევდნენ ერისთავებისაგან დაყენებულ კაცს. ამნაირი გადასახადი აქარლებს მეტად შეღავათიანად მიაჩნდათ და ახლაც უკან მისტირებენ იმ ძველ დროს, როცა, მათი სიტყვით, ორივე მხარე კმაყოფილი იყო: მთის პატრონიცა და საქონლის პატრონიცა. გარდა იმისა, რომ უბალახობით გაჭირებული აჭარელნი ერისთავების საბალახოთი სარგებლობდნენ, ეს უკანასკნელნი, როგორც ძლიერნი და გავლენიანი თავადიშვილნი, გაჭირების დროს (მტრის თავსდასხმა, ქურდებისაგან დარბევა-დაწიოკება), თავის მოვალეობად სთვლი-

დნენ დაეცვათ და დაეფარათ მათ მთაზე შეფარებულნი, 25—30 კილომეტრის სიშორიდან წამოსულნი სოფელნი. ესენი ნებას არავის აძლევდნენ, ცუდ-უბრალოდ დაერბიათ აპარენი, თუნდა შეუ რაცხყოფა მიეყენებინათ. ბოლოს, ხელი ხელსა ჰბანდა და ორივე-კი-პირსა. ორივე მოგებულნი რჩებოდნენ: საქონლის პატრონიცა და მთის პატრონიცა.

ამჟამად ზოტი-ყელის მთის საძოვრები ნარდად აქვთ აღებული იჯარით ზემო-აპარის სოფლის ღორჯომის მცხოვრებლებს ზაფხულში 185 მ. ყოველი მათგანი იმის კვლობაზე იხდის ფულს, რამდენი სული საქონელიცა ჰყავს.

ასეთი ეილები ზოტი-ყელის ეილის მახლობლად ორი-სამი სხვაც არის აპარლებსა. არის აგრეთვე ხუთი-ექვსი მდ. ბეუჯის სათავეში, თავინურის მთაზე.

ეილაზე სოფელნი მაისის გასულს ამოდიან. თან მოჰყავთ ცოლშვილი და მოაქვთ საბან-გობანი და ავეჯი, რაც კი რამ დასჭირდებათ ოჯახში. ყველა ოჯახს თავისი კონალი (სახლი) აქვს, ორსართულიანი, მრგვალის ძელებისაგან გაკეთებული. ყოველ მოსახლეს 20—30 ოთხკუთხი მხარი ადგილი აქვს შემოკავებული საქონლის შესარეკად; იქვე სახლთან ზოგს ბოსელიცა აქვს მოდგმული ხბორებისათვის. ყველა სახლი ერთად არის შექუპკვილი. ზოტი-ყელის ეილაში 60-ზე მეტი სახლია, და, სულ ბევრი, 4 ქცევა ადგილი რომ ექიროს. აქა რჩებიან სექტემბრის გასვლამდემთიდან ჩამოსვლის შემდეგ ერთ თვესაც ყიშლებში ატარებენ. ყიშლები იმნაირივე სადგომებია, როგორც ეილების კონალები. ესენი მხოლოდ საშემოდგომოდ არის აშენებული იქ ადგილას, საცა ტყე თავდება და გაკაფული ადგილები (სათივები) იწყება სოფლისა. აქ საქონელს აბამენ და თივითა ჰკვებავენ. ერთ თვეს ან თვე-ნახევარს (ადრეულ ზამთარზეა დამოკიდებული) აქ რო დაჰყოფენ, მერე სახანძროდ სოფელში დაემგებებიან.

საქონელი აქ ყველას მომეტებულად თავთავისი ამოუდის. რიცხვი მათი ძალიან განსაზღვრულია. ყველას იმდენი ჰყავს, რამდენიც თითოეულ მეოჯახისათვის აუცილებლად საჭიროა, სახელდობრ: ერთი ან ორი ძროხა, რამდენიმე ხარი, 10—20 სულამდე ცხვარი და თხა. ვისაც ერთი ან ორის მეტი არა ჰყავს საქონელი, თვითონ არ ადის ეილაზე, თავის მეზობელს ატანს. მეწველ ძროხაზე შესანახ ფულად ართმევენ ერთ მანეთამდე, ხოლო რაც კარაქი და ყველი გამოუვა ძროხას, აგროვებენ და მერე პატრონს აძლევენ. აქაური საქონელი, ან, როგორც აქ ეძახიან, ბოხრიკი, მეტად წენიკის ჯიშისაა. ზედმეტს გურიასი ჰყიდიან საკლავად.

სალამოხანს ჩემი მასპინძელი ირემამეც მოვიდა. სეფერ ხათიბ-ოღლი ირემამეც, ასე, შუახნის კაცია, წამოსადგევი ვეჯაკი. ღორჯომელების მოლაა. სხვა სოფლებისაგან, ან როგორც აქ ეძახიან, სოფლიერებისაგან, ვერ გაარჩევთ: ტანისამოსი იგივე აცვია. მხოლოდ წითელი ფესი ხურავს და გარშემო დოლბანდი აქვს შემობლანდული. ქართულს კარგად

ლაპარაკობს, იცის თურქული წერა-კითხვა. ქართული წიგნი რატომ არ იცი-მეთქი? „გურჯული (ასე ეძახიან ქართულს) ქითაბი (წიგნი) კარგია, რომ ვიცოდე, მაგრამ მასწავლებელი არავინ მყავდა. მედრესში (სკოლაში) მარტო თათრულს (აქ თურქულს თათრულს ეძახიან, თურქს კიდევ თათარს არქმევენ) გვასწავლიან. ჩვენს მემლექეთში (სამშობლოში, ესე იგი აქა-რამში) გურჯული ქითაბი არავინ იცის.“ ვუთხარი აზრი ჩემი აქ მოსვლისა. ძალიან გაეხარდა. მეტად სტუმართმოყვარეც გამოდდა. ბოდიში მოიხდა, თქვენი თანა ძვირფასი სტუმრის პატივისცემა ჩვენ სად შეგვიძლია, მაგრამ რასაც არ დაგვზრახავთ, თქვენ იცითო. მაშინვე წააღებინა ჩემი ხურჯინი და მერე მე თვითონ შემოყვანა თავის ყონალში. იმის უფროსი ვაჟის მეტი სახლში არავინა მჩვენებია.

ჩემი მასპინძლის სახლი, როგორც სხვებისაც, ორსართულიანია. ზედა სართულში ცხოვრობს ჯალაბი, ქვედაში—თავლა და ბოსელია ერთად. გარედან სახლს სიგრძე 4 მხარი აქვს, ვანიც ამოდენივე. პირველად კიბეზე ავედი და შევედით დერეფანივით მოდგმულ ოთახში, რომელსაც ერთის მხრით სიგრძეზე ტახტი აქვს და ზედა ჰყრია ერთმანეთში არეული: უნაგირი, კალათი და სხვა 'მინაური ნივთი და ავეჯი. შესავლელ კარის პირდაპირ კედელში გაჰოჭრილია სინათლის შემოსასვლელი, რომელიც მხოლოდ ფიცრის დარაბით იხურება. გარედან ამ სარკმელს მოდგმული აქვს, რაფასავით, ოდნავ ამოღრუნტული ფიცარი, ორი მტკაველის სიგანე,—ეს არის ხელპირის საბანი. ამ დერეფანს განი 5 ადლი აქვს, სიმაღლე $\frac{1}{3}$ ადლი.

ამ განყოფილების გარდა, რომელიც სტუმართ დასაწოლიცაა, ორი სხვა განყოფილებაცა აქვს აქაურების კონალსა. მეორე განყოფილება საჯალაბოა და იმავე დროს სამზარეულოცაა. იქით-აქით დაბალი, მტკაველ-ნახევარის სიმაღლე ტახტებია მიკრული, განივრები (ერთი მხარი), ცარიელი და ძალზე შავი. ტახტებს შუა ქვედა სართულის ქერზედ მიწა აყრია და კერა არის გამართული: ზემოდან საკიდელა ჰკიდია რკინისა, რომელზედაც საჭიროების დროს ქვაბებსა ჰკიდებენ, როგორც სხვაგან საქართველოში. ერთ კუთხეში ფიცარია მიკრული, სადაც ჯამ-ჭურჭელი აწყობა. კედლები როგორც პირველი განყოფილებისა, ისე ამ საჯალაბოსიც ფარდალაა, ოდნავ გაჩორკნილი მრგვალი ძელები ერთმანეთს ზოგან $\frac{1}{2}$ გოჯზე ჰშორავენ, ასე რომ სიცივესა და ქარს გარედან შემოსვლის დროს წინ არა ეღობება-რა. საჯალაბოში ქალია ბატონი, ჩამაყაცს და ისიც უცხოს, როცა შიგ ქალები არიან, შემოსვლა არ შეუძლია. ან, თუ შემოვა, ქალები სხვაგან იმალებიან. აქა ხარშავს საჭქელს ქალი, აქ აკეთებს საოჯახო ხელსაქმეს და აქავე იძინებს აჭალ-ბუჭულებითურთ. სიბინძურეს გვერდს ვერ უქცევთ. განსაკუთრებით პირველად, ერთბაშად მისულს ცაცს, ხამად მეტად უძნელდება თვალი და, განსაკუთრებით, ყნოსვა, შეაჩვიოს აქაურობას.

საჯალაბოდან დაბალ კარში გახვალთ და შედიხართ მესამე განყოფილებაში—სარძევეში. ეს ოთახი მარტო რძისათვის არის მიჩენილი და სარძევეც იქიდან დაერქვა. აქ იკრიბება მთელი მონაწველი რძე და მისგან აკეთებენ ყველაფერს, რის გაკეთებაც-კი იციან აჭარლებმა რძისაგან. ერთ მხარეს ფიცრები შეკრული და ზედ პატარა გოგები ანუ ბარქაშები აწყვია. შიგა დგას უმი რძე, რომელსაც მოწველის შემდეგ ორ დღეს აჩერებენ, რომ ნაღები (აქ ყაიშალს ეძახიან) მოიგდოს. იქიდან მოხდილ ყაიშალს სდღებენ, სანამ კარაქს არ გამოაცლიან. კარაქ-მოხდილ ყაიშალს ადულებენ და ცოტა ერბოს იქიდანაც მოხდიან. რაც დარჩება, იმას მარილს ურთავენ და გააცივებენ. გაცივებული მასალა სქელდება და იმისაგან პატარა, ხელის გულის სიფართო კვერეულებს აკეთებენ, დააკრავენ ყაყარზე და მზეზე აშრობენ. ამას ყურუთი ჰქვია. ყურუთს უფრო შინაობაში სახმარად აკეთებენ, —ლარიბთა და ხელმოკლეთა საქმელია. მჭადს შეატანენ ხოლმე ყველის ან ხორცის მაგივრად ზამთარში. არც იყიდება და თუ იყიდის ისევე ლარიბი ვინმე, რომელსაც თეთრეული¹ არ აბადია. ერთ ოყას 15 ყურუთი იწონის და ფასობს ორ შაურიდან აბაზამდე.

ზოგი მეოჯახე შრატს ადულებს, იქიდან ხაქოს ან, აქაურულად, ჩოროთანს იღებს, ამ ჩოროთანს პარკში ასხამს, შიგ ერბოს ნადულარს ჩაურთავს. ზოგი კიღვე ამაში ყაიშალს (ნაღებს) მიუმატებს სიკარგისათვის და ყველა ამ ერთად არეულ ნივთიერებისაგან ყურუთს აკეთებენ, —უფრო ჭემრიელია.

თუ ცივი დღეებია, რძეს ოთხ დღეს აჩერებენ სარძევეში, რომ ბევრი ყაიშალი მოიგდოს. თუ თბილი დღეებია, ორი დღე სამკოფია. ზოგი ყაიშალის მოხდის შემდეგ რძეს შეადელებს და ყველს აკეთებენ. ყველი კარაქზე ორჯერ მეტი კეთდება. აქაური ყველი ფორმით თუშურს მოჰგავს, მაგრამ ღირსებით კი მცტად დაბალი ხარისხისაა, გემოც არა აქვს და თან უწმინდურია (შავი, ბალნით სავსე), ფასიც მცირედი აქვს: ბათმანი (6 ოყა) ექვს აბაზად იყიდება, ესე იგი, გირვანქა—6-7 კაპიკად.

შედარებით კარგი ფასი აქვს კარაქს და ისიც ნაღებისას. აქაური კარაქი გააქვთ ერთი მხრით ბათუმში და მეორე მხრით—გურიაში. უკანასკნელ დროს, როცა ბახმაროზე გურიიდან მოაგარაკეთ დაიწყეს სიარული ზაფხულობით, მათ შორის საკმაოდ საღებდა. ოყა (სამი გირვანქა) კარაქს სამ-ოთხ აბაზად ჰყიდიან. ზოგი ოჯახი წელიწადში ათ ბათმანს (60 ოყას) კარაქს გაყიდის და ათი ბათმანიც თვითონ დარჩება ოჯახში წლიურ სარჩოდ. ერთი ძროხა წლიურად 1 ბათმან კარაქს იძლევა, თუ კარგი მეწველია და საკვები არ აკლია. მდარე მეწველი ძროხა 2—3 ოყა კარაქს აჯერებს თავის პატრონსა.

¹ ე. ი. წველა, რძე და მისი პროდუქტები.

ხაქოს ამოღების შემდეგ და შრატის დანარჩენ ნივთიერებას აქაურები მარილს ჩაურთავენ ხოლმე და მეწველ ძროხას ასმევენ,—რძეს მოუმატებსო.

კარაქს მაწვნისასაც აკეთებენ. დოს აირანს ეძახიან და მისგან შეჭამანდს აკეთებენ, როგორც ქართლ-კახეთში. ხოლო მაწონს კი იშვიათად აკეთებენ საქმელად. თუ აკეთებენ, ისიც ცხვრის რძისაგან, რომელსაც განგებ ამისათვის სწველიან.

ქურჭელი სითეთრისათვის სულ ნაძვისაა. სულ რამდენიმეა. აი მათი სახელებიცა: 1) გვარდა,—ნაძვის თხელ ყავრისაგან აკეთებენ რგვლად, კარაქის საზიდად ხმარობენ, ცხენს იქით-აქეთ გადაჰკიდებენ, 2) საწველელი,—ისიც იმავე მასალისაგან კეთდება, რა მასალიდან გვარდა კეთდება და სახითაც ამ უკანასკნელს მოჰგავს, 3) ხელგობი,—თელისაა, მაგარი, შიგ ყაიძალი დგას კარაქის ამოღებამდე 4) ვარია,—საღვებელი მაწვნისა, იმ გვარივეა როგორც ქართლში, ორი ადლის სიგრძე მრგვალი ძელია, გულ ამოდრუტული, თოკებით არის დაკიდული, და როცა მაწონს ჩაახამენ, იქით-აქეთ აქანებენ. გარდა ამათი სარძევეშივეარამდენიმე დიდი გობები, ბარქაშები და დიდი და პატარა კოვზები ხისა. სუნი მეტად მძიმე დგას იმ ნივთიერებათაგან, რომელნიც იხრწნებიან, ჭურჭლის უსუფთაოდ შენახვისაგან. ამ სუნს ემატება აუტანელი სუნი, ბოსლიდან ამომავალი, რომელსაც მთელი ქვედა სართული უჭირავს. ფართო ჯუჯრუტანები რომ არ იყოს დარჩენილი კედლის ძელებ შუა, სადაც ჰაერი თავისუფლად შემოდის, და შიგნით ჰაერი ძლიერად არ იწმინდებოდეს, ბოსლიდან ამომავალი ნიშადურის სუნი ერთ საათში ამოაღრჩობს შიგ მყოფთ.

მერძეობაში მამაკაცს ერთობ მცირედი წილი უდევს. აპარელი მამაკაცი ეილაში ყოფნის დროს მარტო შეშას თუ მოიტანს ტყიდან ან კარაქს თუ ჩაიტანს ბათუმსა და გურიიში გასასყიდად. დანარჩენი საქმე, როგორც მაგ. მოწველა საქონლისა, ისე კარაქ-ერბო-ყველის კეთება, სულ ქალებს აწევთ კისერზე. საქონელსაც კი ისინი გარეკავენ ხოლმე დილდლილობით საბალახოზე.

სარძევის იატაკი ერთ ალაგას გამოჭრილია ერთი ოთხკუთხა ადლის სითფართოზედ, მიღებული აქვს საცალფეხო კიბე, ერთი ძელისა (როგორც მეგრული ტყვა). აქედან ჩაღიან ქვედა სართულში, ანუ ბოსელში, სადაც საქონელი იწველება და ღამღამობით აბია. იატაკი ფიცრულია, მაგრამ საშინელი იკლიბაკლოა, ასე რომ კარგად, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეთ, მაინც არ გაიწმინდება. იქვე ღარი აქვს, რომლის შემწეობით პატვი გარედ გადის და ან იქვე გროვდება მთელი წლობით, ან და, თუ მდინარის პირასაა კონალი, ფენი წყალში გადადის. გურულები ამბობენ, ბახვის-წყალში აპარლები ფენისა ყრიან და კალმახს იმით აძლებენო. ყველგან ფენის სუნია, თითონ საქონელიც უმეტეს წილად ფენში ამოვანგლულები არიან, მათის სიწმინდისათვის ზრუნვა, ეტყობა, მეტ ბარგად მიაჩნიათ.

ავგაროზები კი ყველას ჰქიდიან გულზე, რომ ავის თვალით არავენ შეხედოს, არავენ „გათვალოს“.

ამ პირუტყვთან ერთად ნახევრად პირუტყულ ცხოვრებას ეწევიან აჭ საზაფხულოდ ამოსული აქარენი. მათი ზრუნვის საგანია ცალკე ზამთრისა და ცალკე უსაკეებობისაგან დავარდნილი საქონელი ზაფხულის თვეში მოალონიერონ, სული მოათქმევიონ, რამდენიმე ბათმანი კარაქი გაყიდონ და ცოტადღენი კიდევ საზამთროდ შეინახონ. სხვა ყოველი ფიქრიც სხვა ყოველი ზრუნვა ამ მთის მცხოვრებს, მწირ ბუნებასთან დაუძინებლად მებრძოლ აქარელს თითქმის არ მოეპოვება. არ არის მისთვის სიმღერა, არ არის მხიარულება. ოთხი თვის განმავლობაში მთაში გამეფებულ მყუდროებას ცოტათი არღვევს თავისი იქ ყოფნით, მერე, როცა ხელ-ახლა დაჰფარავს თეთრი სუდარა თოვლისა გარემოს, ისიც ქვევით ჩამოდის, სადაც 7-8 თვეს კარგამოკეტილ სახლში ზის, რადგან თოვლი ყოველი მხრით გზას უკრავს, ქვეყანაში გამოსწყვეტს. მაშინ ცარიელდება მთაცა, ცარიელდება აქარლების კონაღებიცა შემდეგ ზაფხულამდე.

* * *

როცა ჩემი მასპინძელი სახლს მათვალეირებინებდა, წინდაწინ თითონ შევიდოდა ხოლმე და ქალებს გააფრთხილებდა, უცხო კაცი მოდისო, და ისინიც იმალებოდნენ. ასე რომ, ოთახში რომ შევიდოდი, პატარა ბალები, 5—6 წლისანი, თუ დამხვდებოდნენ შინაურების წარმომადგენელად და თვალმდაჭყეტილი შემომცქეროდნენ. 12—13 წლის გოგოებიც კი იმალებოდნენ, იმათაც ცოდვად მიაჩნდათ სხვა სარწმუნოების, არა-მუსულმანს, სჩვენებოდნენ. ამ ხნის გოგონებსაცა აქვთ პატარა ჩადრები, რომლის ქვეშიდან ჩუმჩუმად გათვალეირებენ. თქვენ-კი თავის-თავს ათას ჭისა მარჩილისთვისაც არ გაჩვენებთ, განსაკუთრებით თუ მათგანი ვინმე არის თქვენთან, ისეთი, რომლისაგან მერე საყვედურს მოელის ასეთი „ცოდვისათვისა“. სიცილისაგან თავს ვერ იკავებს ადამიანი, როცა უყურებს ამ 11—12 წლის გოგოებს. ვსთქვათ, ხბოს ან საქონელს მისდევნენ უკან და თქვენ დავინახათ. ჯერ გათვალეირებენ პირხსნილი, მერე, 40—50 ნაბიჯზე რომ მიუახლოვდებით, ხოსობსავით თავს იმაღავენ თავიანთს პატარა, საქონლის ფიენით გაშავებულ ჩადრებში. მთელი დღე ისე დაფაფი აქ, რომ მდებრობითი სქესის სახე, რამდენი არ ვეცადე, ახლოდან ვერა ვნახე. მარტო ბავშვების სახის შემწეობით უნდა დამეტანებინა ძალა წარმოდგენისათვის და გამეთვალისწინებინა მათი დედების სახე. ბავშვები კი მომეტებული ნაწილი თეთრგვრემნები იყვნენ, თაფლისფერ თვალბიანი, დაწყობილისა და მიმზიდველის სახისანი. უეჭველია, საცა პატარები ასეთები იყვნენ, მათი დედებიც იმათ უნდა ჩამოგავდნენ—მეთქი. მეტი გზა არ იყო, ამ ჩემი ფანტაზიის სიცხოველეს უნდა დავსჯერებულიყავ დრომდე. ვნადღობდი, ნუ თუ ისე უნდა წავიდე აქარიდან, რომ აქაური ქალის სახე მარტო წარმოდგენილი უნ-

და მქონდეს და კი ვეღარ ვნახო-მეთქი? ჩვენებურთაგანთათვის მარტო ქალებისათვის არის შესაძლებელი მათი სახის ნახვა. ბახმაროდან ხშირად გადმოდიან აქ ქალები და კაცები ამათ სანახავად. როგორც მიამბეს, საშინლად უკვირთ აქარელ ქალებს, როცა ხედავენ, რომ „გურჯის“ ხანუშები კაცებთან ერთად დადინა და ისიც უჩადროდო, მათთან ერთად თავისუფლად ლაპარაკობენ და ეს სირცხვილი არ არის მათშია. ისიც მიამბეს, რომ ზოგნი შენატრიან კიდეცა „გურჯის“ ქალების ასეთ ბედსაო... და თავის მდგომარეობის შეცვლის სურვილს თამამადაც აცხადებენო.

სანამ დაბნელებოდა, მე და ჩემმა მასპინძელმა ირემამემ მთელს ეილას შემოვუარეთ. ყველგან ქართულად გვესაღებოდნენ. „გამარჯობას“ რომ ვეტყოდი, „გაძღვრებოდა“ მიპასუხებდნენ. მთელი სოფლის ცნობისმოყვარეობის საგანი გავხდი. თავაზიანად მეკითხებოდნენ სადაურობას, „რა საქმისათვის გარჯილხართ“. ზოგი „მთის ამწერს“ მარკქმევდა, ზოგს „ხვანთქარისაგან“ (ხელმწიფე) გამოგზავნილი „ჩინოვნიკი“ ეგვონე. იმითმე გვათვალისწინებდნენ, რომ უნდა ყველაფერი გაიგოს ჩვენი ამბავი და გადასახადი უნდა მეტი დაგვადონო. ხოლო როცა გამოკითხვა დავუწყე მათი ეკონომიურის მდგომარეობის შესახებ, მიუხედავად მათი უმაღლესი თავაზიანობისა და სხვათა სამსახურისათვის მზადმყოფობისა, პასუხს ძნელად, უხალისოდ ან ორკოფად და საზოგადო ფრაზებით იძლეოდნენ. საზოგადო ხასიათი მათი პასუხისა ესეთი იყო: „ძაბუნნი (მწირი) მიწა გვაქვს, სიმინდი და ბური ან სულ ცოტა მოდის, ნახევრობაზე მეტი მშვირები ვართ, გადასახადი მაინც ბევრი გვაწევს, ჩვენი მემლექეთი (სამშობლო), ესე იგი, აქარა, რუსის ხვანთქარზე შორსაა და ჩვენს ამბავს ვერ ვატყობინებთ, თვარა შეგვიბრალეებს და გადასახადს ცოტას გავგაწერსო.“

დაბნელდა თუ არა, ჩვენს სახლს დაუბრუნდით. აქ აღრე წვებიან, თითქმის მზის ჩასვლისთანავე. საქონელს დაბინავებენ თუ არა, აქაურნი მკვიდრნიც მოსვენებას ეძლევიან. სამაგიეროდ, ირაჯრაყებს თუ არა, ისინიც ფეხზე არიან. რაკი აღრე წვებიან, ვახშამიც აღრე იციან, ვახშამზე თვითონ სახლის უფროსი მემსახურებოდა. საჯალაბოს კარებთან შიგნიდან მღვარი ცოლი რასაც მოაწოდებდა, ეს წინ მიდგამდა. შემოიტანა ფეშხუმი, რომელზედაც ზემო აღწერილი წესით ელაგა სპილენძის თფუშები, ხუფებიანი, და ცხელი მჭადი. აქ ასე იციან: რაც საქმელი გაუკეთებია დიასახლისისა, ყველაფერი ერთად უნდა ელაგოს ფეშხუშზე. სანამ ერთ კერძსა სქამთ, მეორეს ხუფი აქვს დაფარებული. ერთი ხელი საქმელის შემდეგ მეორეს მიჰყოფთ ხელსა. ვახშამი სადილსა ჰგვანდა. ჩანგლის მაგიერ შრომა მარჯვენა ხელის ხუთს თითს ადგია. თქვენთან ერთად სხვებიცა სხდებიან ჭამად. და რადგან ყველასათვის ერთი საზოგადო თეფშია, ყველანი შიგა ჰყოფენ ხელებსა, რომლებიც პირში ლუქმის ჩადების შემდეგ გულმოდგინეთ ილოკება ხოლმე... ხელსახოცის

უქონლობისათვის მასპინძელი, ცოტა არ იყოს, ბოდიშს იხდის. საქმე-
ლები მეტად სუყეა. ზედ აყოლებთ მშვენიერს, ცივსა და ანკარა წყალს,
რომლებითაც ქებულა ხალმე საზოგადოდ მთები, და აჭარისა კერძოდ-
წყლით საესე თუნგი სახლის პატრონის ერთ-ერთ მოზრდილ ვაჟს უჭირავს,
რომელიც თავს გადგათ, სანამ სუფრას არ აალაგებენ. ღვინოს ბანმა-
როშივე გამოვეთხოვე. მამათა სქესის გარდა ქალთაგანი, რა თქმა უნდა,
თქვენთან არავენ გამოჩნდება. იმათი ხმა-კი ჩვენთან მკაფიოდ შემო-
დიოდა. ქართულად მამაკაცებზე გაცილებით წმინდად ლაპარაკობდნენ..

ნავახშმევს მასპინძელმა თავისი ხელით ლოგინი გამიშალა ტახტზედ-
მართალია, ერთი კნინი პრეტენზიაც არა ჰქონდა ამ ლოგინს სი-
სუფთავისა, მაგრამ მაინც ლოგინი ერქვა. ბოდიში მოიხადა მასპინძელ-
მა, რომ გეცოდნოდა, თქვენ ამობრძანდებოდით, ლოგინს ბარიდან
ამოვატანიებდითო. ბალიშები, ტლანქ გაუზენტავ მატყლით გატენილე-
ბი, ძალიან გრძელები სცოდნიათ. სიგრძე ორი ადლი აქვს აქაურს ბა-
ლიშსა, განი — ერთი. გარედან ჩითი აქვს გადაკრული, რომელიც ერთ
დროს კრელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჟამთა-ვითარებისაგან ყოველი-
ვე ფერი დაკარგული აქვს, ანუ უკეთა შავი ფერი აქვს. ლეიბიც ბალიშს
მიავაგდა: მოკლე, მატყლისა, ჩით-გადაკრული და უფერული. კიდევ
კარგი, თან ზეწარი მქონდა და იმან დაპტარა ლეიბ-ბალიშის ნაკლუ-
ლევანება!

ჯერ ისევ ცხრა საათი იყო, რომ მასპინძელმა „ძილი ნებისა“ მითხ-
რა და საჯალაბოში გავიდა. მეც მოსასვენებლად განვეშადე. ღამის
ოჩუმეში მესმოდა, როგორ იჭუჭკებოდნენ საჯალაბოს მკვიდრნი ჩემს
ოთახში გამომავალ ჯუჯურუტანასთან და რამდენიმე წყვილი ცნობის-
მოყვარე თვლები გულმოდგინედ მათვალეირებდნენ და ცდილობდნენ
შეეტყოთ, „გურჯი“ (ე. ი. ქართველი) როგორა წვებაო. ქვეიდან ამო-
მავალ ფეინის სუნისაგან სულთქმა მიგუბდებოდა, თავბრუ მეხვეოდა..
ამას ზედ დაერთო სხვა კირიცა. სახლიპატრონის უფროს შვილს რამ-
დენიმე ჯანდაკი ხაშალი თხა შეეგდო სახლში და იმათმა ხველებამ თვა-
ლი არ მომახუჭვინა. სამთელი ისევ მენთო. უნებურად ზევით ავიხედე-
ურდელობა იყო ჩემის მსრით, მაგრამ არ შემეძლო არ დამენახა ტუა-
ლეტის ერთი ნაწილი, რომლითაც თავის ტანის სიშიშვლესა პფარავდნენ
ისინი, ვისი სახის ნახვაც აგრე მენატრებოდა. დაგიფიცავთ, რომ იმას-
საპონის თვისება თავის დღეში არ გამოუცდია. არც ის ეტყობა, რომ
მის პატრონს როდისმე წყალი მიკარებოდეს ტანზე... როცა მეორე
დღესა ვკითხე ერთ აქაურს, მდინარე რომ ჩაგიდისთ, ხომ იბანთ
ტანსა-მეთქი? და გამაოცა მისმა პასუხმა: „სირცხვილია მდინარეში
ტანის ბანაო, ვინმე დაგვინახავსო!“ უცნაურად ესმით სირცხვილი.
მდინარეში ტანის ბანა სირცხვილია და ის კი სირცხვილი არ არის,
ადამიანმა ქუჭყს შეაქმვეინოს თავი!...

ინათა თუ არა გარეთ გაეიქერი. დატანჯულმა ფილტვებმა ამ ფენის სამეფოს მოშორებით ხარბათ შეისუნთქა წმინდა, ცხოველ-მყოფელი ჰაერი მთისა. დაეკვირავე სოფ. ხულომდე 2 მანეთად ცხენი. ცხენის პატრონი, ღორჯომელი გლეხი, ფეხით უნდა გამომყოლოდა. დილის შვიდ საათზე, მზე რომ საკმაოდ ამოიწვრა და დანამული მიდამონი ათასფრად რომ ააბრჭყვიალა, საუზმის შემდეგ მადლობა გადაუხუხადე ჩემს სტუმართ-მოყვარე მასპინძელს გულუხვობისათვის და ჩემი ჩიჩქრონე და მე, ბადის მის მთის გადასვლას შევუდექით.

III

ზოტი-ყელიდან ღორჯომამდე

სანტარო ბუნება.—მთის ჩივილი.—გურული ქალ-ვაჟების მოტაცება.—
„ჩრდილაზე.“—მთის გზა.—„სისხლის ღელე“ (ყანლი-დერე).—აჭარელი და ფირალობა.—ღორჯომის ტყე.—სათივები აქაურთა.—ყიშლადები.—სოფელში შესვლა.

ღამის ძილის შემდეგ ბუნება იღვიძებდა, თვალს იფშენებდა. მზის სხივებისაგან ორთქლი აუშვა დანამულმა სერებმა ზოტიყელისამ. მთის ფერდობებზე ნაჭერ-ნაჭერ მიკრული, ბამბის მსგავსი, ნისლი ლურჯ, მაგრამ მზის სხივთაგან ოქროში დაფერილ სივრცეში დნებოდა. მისგან დაფარული და ახლა თავადებული ბალახი უბიწო ქალივით გაუბედავად შეჭლიმოდა უმანკო ღიმილით და თან თითქო „ჭიტა“-ს ეუბნებოდა ქვეყნის მნათობის სხივთა ოქროს კონასაო. და ეს დიადი გაღვიძება დიადი ბუნებისა ნელა ხდება, ჩუმად, აუჩქარებლად, თანდათანობით. მარტო შორს, ხევებში ჩარჩენილ თხელის ტყიდან მოისმა სიხარულის გამომხატველი ნაწყვეტ-ნაწყვეტიანი ჭიტ-ჭიტი თითო-ოროლა ჩიტებისა, რომელთაც ამ უმანკო მთის სამეფოში შეუფარებიათ თავი.

ათი წუთის სიარულის შემდეგ ზოტი-ყელიდან მომავალ გზის მსუბუქი აღმართი თავდება და ვაკეზე ცხენი ადვილად მიდის. ჩემი ჩიჩქრონე ღორჯომელი¹ გლეხი სულეიმან ბერიძე², ლარიბულად ჩაცმული, ფეხით მიმიძღვის წინ და მაცნობს ადგილ მდებარეობას: მარცხნივ წამოზიდულია „კვარჩხალის-კალო“, თავისი მრგვალის მოყვანილობით, მართლა კალოს დამსგავსებული, მარჯვნივ აყუდებულია ქედები: „საყორნია“, „ფაფარა“, „ჯვარი-უღვთო“. ამით შუა კიდევ ვაკეა, მწვანე ხავერდის ფერი, ჩუმი. აქაურ სიჩუმეს ოდნავ-და არღვევს ყვავილთა შორის მისუსტებული ხმით მოლუკლუე ვერცხლის წყლის მსგავსი წყაროები. ადამიანის გრძნობას ცათა-ფრენა აქვს შემდგარი ამ მთათა სამეფოში, როცა ესენი გულში გიხუტებენ, თავის მღვეურ ძუძუს გაწოვებენ, თან შუბლ-გახსნილი შე-

¹ ღორჯომი—სოფელია ზემო-აჭარაში.

² აქაურ მცხოვრებ ქართველებს, როგორც მამპიანიანებს, სახელები ყველას ოსმალური ჰქვია. ზოგს გვარებიც გამოუცვლიათ ოსმალურ გემოვნებაზე, მაგრამ რომ ჰქონხოს, ყველამ იცის ქართულად რა გვარი ჰქონიათ.

შოგლიმიან თავიანთი მღევური, ძლევამოსილი ღიმილით... რაც უნდა მიძინებული ჰქონდეს ადამიანს კეთილშობილური გრძნობა, აქ უეჭველად ჭლიქებს. მათი ქვრეტით მოხიბლული და ტყვედქმნილი თვალი ადამიანისა ველარ ძლება მათი ცქერით, ბოლოს, მიბნეღით იხუჭება, თითქოს იმის ცდაშია მახსოვრობაში ისე ძალუმად აღბეჭდოს სახე მათი სიმშვენიერისა, რომ დავიწყება არ შეეძლოს. აქაური მთა მთელი ტრაქტატია ადამიანის მიღრეკილებათა, გრძნობათა და მისწრაფებათა გამაფაქიზებელი, გამაკეთილშობილებელი, რასაც ადამიანის გრძნობა წლობით ვერ შეიძენს ბარად, იმის შესაძენად საკმარისია ერთწამიერი ხილვა დიდებული და ამაღლებული ბუნების სიმშვენიერისა.

ერთი შეხედვით, თითქოს უშფოთველად დგას ეს მთები აპარისაო. თითქო ნალღელი და ხინჯი არ აქვთ-რა გულშიო. მაგრამ არა, ნალღელი ამ მთესაც აქვთ, ადამიანებს არა ერთხელ აუმღვრევით მათთვის სისხლი, არა-ერთხელ შეუკვრევენბიათ შუბლი. არ დავიწყებენ ეს მთები გურულ ლამაზ ქალებისა და ბავშვების სასოწარკვეთილ ტირილს, რომელსაც არაერთხელ აუხმინებია აქაურობა. ვინ იცის, რამდენჯერ შეუსვამს მთას მათი მღულარე და უმანკოების ცრემლი... მთა სისხლის, და ისიც ადამიანის სისხლის, დაღვრის წინააღმდეგია, გულს ურევს მისი ნახევა, მაგრამ ადამიანებმა ესეც აგემეს, სისხლიც შეასვეს... ბევრჯერ გამართულა სწორედ აქ, ამ ადგილას, სადაც მე ბუნების მშვენიებით ეტკებები, ბრძოლა მღევართა და ქალ-ბავშვების მომტაცებელთა შორის, ბევრი სისხლიც დაღვრილა.

გურია იმავე თავითვე განთქმული იყო ლამაზი ქალებითა, რომელთაც ოსმაღეთის წარჩინებულთა ჰარამხანებში დიდი ფასი ჰქონდათ. მეზობელ აპარულ თურქებს გურიიდან ქალებისა და ბავშვების მოტაცება ხელობათა ჰქონდათ გადაქეუული. მოიტაცებდნენ თავიანთ მსხვერპლსა გურიაში, ამ გზით შემოჰყავდათ აპარაში, აპარიდან ბათუმში მიჰყავდათ, სადაც ბაზარზე, სხვა საქონელთან ერთად, კრავებივით გურიის სოფლების „ცოცხალი საქონელიც“ იყიდებოდა. მყიდველები იყვნენ სტამბოლისა და ტრაპიზონის ფაშების აგენტები. და ყოველივე ეს უშიშრად ხდებოდა, კანონი არა სდევნიდა ასეთი საქონლის გამყიდველ-მყიდველებს. იცი წელიწადი არც კი იქნება, მას შემდეგ რაც ასეთი სამარცხვინო ვაქრობა არსებობდა...

ბავშვებს სხვა აზრითაც იტაცებდნენ გურიიდან. მომტაცებელს იმედი ჰქონდა, პატრონი გამომყვება და მოტაცებულის შვილის დახსნას მოინდომებსო. ამ დახსნის დროს მომტაცებლის ჯიბეში ჩადიოდა გამოსახსნელი ფული. ამ შემთხვევაში, უფრო შეძლებულ დედ-მამის შვილებს იტაცებდნენ, იმ იმედით, რომ ფულს მეტს ავიღებთ, როცა თავიანთ შვილებს დაიხსნიანო. ჩემმა თანამგზავრმა, სხვთა შორის, ერთი მაგალითი მიაგმო ასეთი აზრით მოტაცებისა, რომელიც ამტკიცებს, რომ მოტაცებული ბავშვის მამისაგან აღებული ფულით მომტაცებლის გარდა,

აქარელი მოხელეებიც ითბობდნენ ხელებსა. ამ 20 თუ 25 წლის წინათ, სოფ. ქვანის მცხოვრებმა ვინმე ქათამაძემ გურიიდან ორი ვაჟი მოიტაცა ათი წლისა. რა თქმა უნდა, მამა გამოედევნა, და აჭარაში ძებნა დაიწყო დაკარგული შვილებისა. სოფლებში გაისმა. ქართველი ბალები (ბავშვები) მოუტაცნიათო. შშობლები სოფ. ხულოში მოვიდნენ ჩუდიარის (ბოქაული) მოადგილესთან, ინჯაყად ბერიძესთან, და შესჩვილეს, ასე და ასე დაგვემართათო. მუდირის მოადგილემ შეიტყო მომტაცებლის გვარი და დაიბარა. მერე დაიბარა ჩაუში (ჩაფრების უფროსი) და ვითაძე თავისი ზადითებით (ჩაფრებით). მომტაცებელ ქათამაძეს ბავშვები გამოაყვანიდა და თვალის ასახვევად ჩხუბი გაუმართა. მამა ყოველივე ამას უყურებდა. ქათამაძე ვითომ დამარცხდა და გაიქცა, ბავშვები კი იქ დასტოვა. მამას შვილები ჩააბარეს და ფული მიიწცა დაატოვებინეს „გასამრჯელო“, რომელიც მუდირის მოადგილემ და მომტაცებელმა ქათამაძემ გაიყვეს.

ასეთი ტაციობა ახლა მხოლოდ აშბად არის დარჩენილი, ზიზღით მოსაგონარ აშბად. რაც აჭარა სწლახლა შემოგვეერთდა და ისე მოწყვეტილი აღარ არის ჩვენგან, როგორც 1878 წლამდე იყო, ეს ტაციობაც შეწყდა.

ნახევარი საათის სიარულის შემდეგ ერთ ტრიალ მინდორზე გავედით. სახელად „ჩრდილა“ ჰქვიათ ამ ვაკეს, ალბათ იმიტომ, რომ იქით-აქეთ მთის სერები აკრავს და უმეტეს ხანს დაჩრდილულია. შუა აღაგას დგას. ვების ყორე, საზღვრის მაჩვენებელი. ესა ყოფილა 1878 წ.-მდე საზღვარი ოსმალეთის სახელმწიფოსი. აქა მდგარან რუსეთისა და ოსმალეთის მხრივ დაყენებული დარაჯები ორისავე სახელმწიფოს საზღვრების დასაცავად. თვალწინ გადაგვეშალა საუცხოვო სურათი. ჯერ გამოჩნდა ქედები: „ბადიში“, „გორა“, „საქუდაფერდი“. იმათს იქით ცოტა მკრთალ ლაქეარდ სიერცეში გამოიხატა რელიეფი აჭარისა, გარდი-გარდმო დასერილი მთებით, რომელთაც თხემნი შიშველნი ჰქონდათ და კალთანი მუქად დაფარული ტყითა. იმათ იქით ცათამდე აყუდებული იყო მთები შავშეთისა, არსიანის მთების გავრძელება, მერე შორს, ცის დასავალს, გამოჩნდა ბუნდად კარჩხალის მთა: თხემი თეთრად გადალესოდა თოვლითა, კალთები კი სანახევროდ ნისლში ჰქონდა გახვეული. ნისლიდან აქა იქ გამოჩნდა შავი ლაქები, რაიცა მთელ ტანს ბუმბერაზისას აქრელებულ სახეს აძლევდა. თითქო მიიჯაჭვა ამ სურათმაო, კაცი მის წინ ხმა-მოუღებლად დგას, მუნჯივით, გარინდული, მთლად ცქერად და აღტაცებად ქცეული; სული უფუნდება კაცს შეტის მეტ სიამისაგან, მცნებას ვეღარა ჰპოულობს თავისი გრანობის გამოსახატავად სრულად, სავსებით, უმეტნაკლებოდ სიტყვა აღამიანისა, კალამი მარტოოდენ მკრთალ სურათს თუ-ღა გამოჩნატეს ამ მშვენიერ ადგილისას...

„ბადიშიდან“ მოყოლებული საცალფეხო გზა ქანდება, ცხენს უნაგირი კისერზე მოექცევა, თუ კაცი ქვევით არ ჩამოხტა; თვით სალთა ცხენსაც ძალიან უჭირდება ამ დაღმართში ჩასვლა. გზა კლდიანია. თუ სოველიცა,

წამ და უწუმ უტურდება ფეხები პირუტყვსა. სულ იმის ცდაშია, ფეხის მოსაკიდებელი ალაგი იპოვოს. მიდამო ჯერ ტიტველია, შორს, ძალიან შორს მოსჩანს ჯერ თითო-ოროლა ხეები, წინასიტყვაობასავეთ, თვალის შესამჩნევად, იმას იქით-და იწყება შავი ტყე, რომელიც მთის კალთებსა ჰფარავს. ყოველ ნაბიჯზე ხეებია, საიდანაც მთის წყლები ჯერ მოშხუვის, მერე სხვას უერთდება, ძალას იკრებს, ხმას იმალლებს და, კლდეებსა და ლოდებთან შეტაკების შემდეგ, ყვირილით ექანებთან ქვევით. შორიდანაა კარგი საყურებელი ეს მთის წყლები! ხედავთ აღუღებულ რძის ზოლს, რომელიც ათასნაირად დაკლაკნილი, მიხვეულ-მოხვეული დასდევს მთის ზურგში მრავალი ხნის ბრძოლის შემდეგ ამოჭრილ კალაპოტსა, ხან 10—15 მხარის სიმაღლიდან თავდაყირა ეშვება დაქანებულ კლდეზედ, მის ჰაერშივე დაფანტულ წინწყლებს ნზის სხივები ატანს შუაში და ცისარტყელას ანსგავსებს. ერთ ხანს დაფანტული წყალი, მერე ისევ თავს იყრის, სულს ითქვამს, დაკარგულ ღონეს მიმოიკრებს და განაგრძობს ისევ თავის თავქეიფა მოგზაურობას ნაირნაირი დუღუნით. აქ სახლის სიმსხო ლოდს ეძგერება და ალევს თავის ძალასა, იქ ათასი წლობით ნაგებ კლდესა ღრღნის და ძირს უთხრის. საერთოდ კი სიცოცხლე შეაქვს ამ სიჩუდის სამეფოში, სადაც ზევიდან მარტო ფრინველთა მეფე, არწივი, თუ ამოხს მძლავრი ფრთებით ცის სივრცესა და ჩამოსძახებს თავმომწონედ ათასში ერთხელ.

გზა ისევ იკლიბაკლოდ მიდის. ცხენს წინა ფეხები წაშვერილი აქვს, უკანა კი თითქმის დაწკობილი აქვს ძირს, თითქო ზისო, და ასე მისცურავს. ეტყობა, მეტად დაოსტატებული არიან აქაური ცხენები ასეთ გზებზე სიარულში. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ჩრდილას“ გზა ერთ საუკეთესო გზად ითვლება აქარაში. ამ გზით ზაფხულში შეუწყვეტელი მისვლა-მოსვლა აქეთ აქარლებს გურიაში. აქედან, ვანსაკუთრებით, სიმინდის სასყიდლად გადადიან, იმიტომ რომ აქარელს ქირანახული იშვიათად გაჰყვება მარტამდე ან აბრილამდე. ზოგს იანვარშიაც შემოეღევა სიმინდი. მერე სულ ნაყიდითა ცხოვრობენ აქაურები ცხენებიც კარგი იციან, ღონიერი და მსუქანი, ყველა ულაყებია, ცხენს აქ არა ჰკოდვენ, ულაყივით ღონიერი არ იქნებაო. ფაფარი ყველას მოკლედ აქეთ შეკრეპილი. აღმართში აქაური ცხენი კურდღელივით მიდის. თითოეულ ცხენს ამ აღმართზე 10-სა და მეტ ქილა სიმინდის ატანა შეუძლია. როცა გურიაში მიდიან, აქარიდან თივა თან მიაქვთ. ზამთარ-ზაფხულ მშრალ საკვებს აძლევენ. ნიღლ ბალახზე იშვიათად მიუშვებენ. ზაფხულობით აქაურების ნახირში მარტო ჰკავებსა, რომელთაც არა ხედნიან და მოსაშენებლადა ჰყავთ, თუ ნახავს კაცი. მართალია, ცხენებს დიდი ჯაფა ადგას აქ, მაგრამ, სამაგიეროდ, საუცხოვოდ უვლიან. თვითონ იკლებს პატრონი და ცხენს კი საკვებს არ მოაკლბს. როგორც სამეგრელოში ან ფხზაზეთ-სამურზაყანოში, აქაც გაძვალტყავივებულ ცხენს კაცი ვერ ნახავს. დიდ სირცხვილად მიაჩნიათ, როცა ვისმე მქლე ცხენი ჰყავს. იტყვიან, რა კაცია,

პირუტყვს არ უვლისო! ადგილი ასახსნელიცაა ეს წმინდა მშობლიური ზრუნვა აქარელისა ცხენისათვის. ამ კლდიან ადგილებში, სადაც ურემი არ მიუღებდა, უცხენოდ ერთ გირვახეა ტვირთს ვერ გაიტანს ერთ ადგილიდან ძეოვ ადგილზე. ამისთანა ბუნებასთან მებრძოლი კაცი მოდი და ნუ მოუვლის შვილივით თავის მარჩენელ ცხენსა!..

საათის ათზე მივატანეთ „სისხლის ღელესთან,“ რომელსაც თურქულ სახელსაც ეძახიან ამავე მნიშვნელობისას („ყანლი-დერე“). ხევი ამ ადგილას საშინლად ვიწროვდება, თითქმის იკვრის. თუ შიგ შვეიდა ქვეითი კაცი, სხვაგნით ვერც მარჯვნივ გავა, ვერც მარცხნივ. უნდა პირდაპირ გავიდეს ან უკან დაიხიოს, რაკრამ ცხენისათვის ესეც ძნელია. ვიწრო შუქასა ჰგავს. შუაში ჩაუდის წყალი, ადლისა თუ ადლნახევრის სიგანე. ჩანს, ადიდების დროს მეტის-მეტი ღონიერია. ეს იმაზე ეტყობა, რომ სახლის სისხსო ლოდები, თითქო კენჭები იყოვო, მოუგორებია და აქ დაუყრია. გარშემო დაბალი და თხელი ტყეა წიფლისა, რცხილისა და ჯაგებისა.

„სისხლის ღელე“ ამ ადგილს იმიტომ დარქმევია, რომ ადამიანის სისხლი ხშირად დაღვრილა აქ და შერთვია დედამიწასა; ცივ ტყვიას, ან, როგორც ჩემმა სულეიმანმა თურქულად უწოდა „ყურუმუს“ მეორეჯერ დაყვირებაც არ დაუტლია გაუფრთხილებელ მგზავრისათვის. „ფირალები“ (გავარდნილი ავაზაკები) ამ ადგილს თავის ბუნაგადა სთვლიან, საიმედო საფარად, სადაც გამეღვლის გაძარცვა და მოკვლაც საძნელო სრულებით არ არის მათთვის. როცა აქ რასმე ჩაიდენდნენ ფირალები, სანამ სოფელში (პირველი სოფელი აქედან ლორჯოშია, 10–15 კილომეტრის მანძილზედაა) ამათის მოქმედების ამბავი ჩავიდოდეს, ესენი ცხრა-მთას გადალახავენ. ამიტომ, მგზავრნი სულ იმის ცდაში ყოფილან (და დღესაც არიან) ეს ადგილი სინათლით გაეელოთ.

ამ სამი წლის წინათ ეს ღელე შემდეგი სისხლის ღერის მოწამე ყოფილა. ზოტიყელიდან მოდენილან ორი ჩაფარი და ორი სოფელი. ამ უკანასკნელთ მატყლით დატვირთული ცხენები მოჰყავდათ თურმე. რომ დაუმხარდამხარდნენ საშიშ ადგილს, ოთხმა ჩასაფრებულმა ფირალმა შესძახა. — სილალი (იარალი) დასტოვეო! — არ დაეტოვებო, — თამამად უპასუხნით მგზავრებს. ფირალს ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, მაშინვე საქმეზე უნდა გადავიდეს. იმისთვის დრო ძვირია. იმ წამსვე თოფები გავარდა. ორისავე მხრიდან 40 მეტი თოფი დაუტლიათ. ჩაფრები ქვებს ამოჰფარებიან და ისე ესროდენ თურმე. ბრძოლა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. გამარჯვებულები ჩაფრები დარჩნენ. მოწინააღმდეგეთ მოუკლეს ერთი ფირალი, ერთსაც ბარძაყში მოხვედრია ტყვია და მძიმედ დაჭრილა. ორს კი თავისთავისათვის უშველნია, დაჭრილი და მოკლული კი ჩაფრებისათვის ჩაუტოვებიათ, თქვენ უჭირისუფლეთო. დაჭრილი ავადმყოფი ბათუმში დაუწვენიათ საავადმყოფოში, სადაც ექიმებს დაკოდილი ფეხი

სულ მოუჭრიათ. როცა მორჩა, სასამართლომ 12 წლით ციმბირში გაგზავნა. ოთხივე ფირალი ქვედა-აჭარლები ყოფილან.

სანამ აჭარაში გადმოვიდოდი, ვინ იცის, რას არ მეუბნებოდნენ: მთელი აჭარა ფირალებით სავსეა, კაცს გავლა არ შეუძლია მათშიო, უეჭველად უნდა გაძარცონ, ან მოჰკლანო. მაგრამ, როგორც მერე დავრწმუნდი, ეს ხმები მეტად გაზვიადებული ყოფილა. მოხდებოდა ხოლმე, რომ ორ-სამ წელიწადში ერთხელ ვინმე ფირალად გავარდეს, მაგრამ ეს არის და ესა. ზოგიერთ გაზეთს რომ უყუროთ, რწყილს აქლემი უნდა აზოზინონ. ერთი კაცი მთელ ჯარად ეჩვენებათ და მთელ ქვეყანას ბუკითა და ნალარით აუწყებენ. სხვაგან ათასჯერ უარესი ამბები ხდება, მაგრამ ის არაფერია. სწორედ ამაზეა ნათქვამი: სხვის თვალში ბევრსა ხელავენ და თავის თვალში ძელსაც არაო. საწყალი აჭარლები! რაკი ერთი სახელი გაუტყდათ და ყბად აიღეს, მერე არაფერი ეშველათ. ფირალობა რა არის, ისე გაკადნიერდნენ აჭარლების ცუდად-მხსენებელნი, რომ საჯაროდ ამტკიცებენ, აჭარელი გაუტანელიაო. ამის მთქმელს, დარწმუნებული ვართ, აჭარელი თვალითაც არ უნახავს. უნდა ახლო გაიცინოს კაცმა აჭარელი, რომ მართლა დაათასოსუძისი რაინდული ხასიათი. თუ კარგი გული უჩვენეთ, თქვენთვის თავის დადებას ნეტარებად ჩასთვლის ეს მთის შვილი. მაგრამ თუ, ერთი ბეწოც არის, მუხანათობა შეგატყოთ, დაუნდობელია. შეურაცხყოფა, მისი აზრით, პარტო სისხლით მოიბანება. შურისძიება არის აქა, მართალია, და ამას უკიყინებენ, ბარბაროსობააო. მაგრამ იგივე შურისძიებაა სხვაგანაც. განსხვავება ისაა, რომ ფორმა სხვაა ამ შურისძიებისა.

ჩემს დროს, განსაკუთრებით, იდეალური მშვიდობიანობა იყო აჭარაში. მთელი აჭარაც ისე შემოვიარე, რომ სიყვარულისა და თავაზიანობის მეტი არაფერი შემიმჩნევია აქაურ ხალხში. „სისხლის ლეღ“ მე და ჩემმა სულეიმანმა უვნებლად გამოვიარეთ, იარალის ხმარება არ დავგჭირვებია. რომ დავგჭირვებოდა კიდეცა, იმედი მაქვს, წინა წლის ჩაფრებივით გულზვიადად არ დავუხვდებოდი გაჭირვებულს ხალხს, რომელიც ლუქმა-პურისათვის თავის-თავს ბეწვზე ჰკიდებს. რა თქმა უნდა, უჭკუობაში ჩამოერთმევა, თოფის სროლაში გავარჯიშებულ აჭარელ ფირალს ვაეჯიბროს ჩემისთანა მშვიდობის მოყვარე მგზავრი, რომელსაც თოფი კი არა, უბრალო ჯაყვაც კი არა აქვს ჯიბეში...

რამდენიმე ხანს გზა კიდე ხევ-ხევ მიდის. წყლების შხუილი ისევ ყურში გვიდვას. პირქუში, ათასგვარ ფიქრით სავსე სახე მთისა თითქოს გასრესას უქადის მის კალთებზე მავალ მგზავრსაო. კაცს აქ ჭიანჭველა ჰგონია თავი, ყოვლად უმწეო, ეს-ეს არის, მთა გამაქრობსო, კადნიერებას არ მიაპტიებსო.

საქულაფერდის მთიდან ნაძვის ტყე იწყება ღორჯომელებისა. ტყე აქა-იქ გაკაფულია და სათიბებად არის გაშვებული. ზოგან სათივე დაკიდულ კლდეზედაა. ასეთ მიუღვამელ ალაგას ასვლას აღარ უშინდება

აპარელი, ოღონდ ერთი ტოტი თივა მეტი შეინახოს ზამთრისთვის. ასეთ ციკაბო ადგილას ასვლას მარტო გაჭირვებული აპარელი თუ იკისრებს. მერე რა ადვილად უტურდება ადამიანს ფეხი! ყოველ წამს მოელის მოსხლეტას და სადმე ხრამში ჩაგორებას... რას იზამთ, გაჭირვებაა. ერთი შეხედვითვე ატყობთ, რომ გაჭირვება განუყრელი თანამგზავრია აქაური მკვიდრისა. როცა თივას გააშრობენ, რომელიმე ხეს ტოტებს შეასხებენ და ზედ წამოაგებენ თივის ზეინს. აქ ტოვებენ ზამთრის პირამდე. როცა თოვლს დასდებს, მარხილით სოფელში ჩამოაქვთ თივა. ზაფხულში ჩამოტანა, უგზობისა განო, ყოვლად შეუძლებელია. სოფლიდან ეს სათიბებენ ორი-სამი საათის სავალზეა. მაშ რა ქნან! ასე რომ არ გაიჭირვონ საქმე, ზამთარში საქონელი შიმშილით გაუწყდებათ.

ბოლოსა და ბოლოს საქმე ისე გასჭირვებითა აქაურებს, რომ ტყესა სჩეხავენ და სათიბებად უშვებენ. სათიბებში ხშირად შეხვდებით ახლად მოჭრილი ხეების კუნძებს. მართალია, რის ვაი-ვაგლახით, სათიბებს აფართოებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ტყესა სპობენ. თუ ასე მიჰყენენ, მალე, ტყეს სულ გააჩანაგებენ. და ახლა თუ სათიბები აკლიათ, მაშინ უშეშოდ დარჩებიან. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მარჯვე და ადვილად მისავალ ალაგას ტყე არც ახლა დგას. თუ დარჩენილია ტყე, ისევე ხეებში, ან მთის წვერებზე, სადაც ზაფხულში კაცი ვერ მიუღდება. მთელი შეშა ან ხის საშენი მასალა ზამთრობით უნდა ჩამოზიდონ სოფელში მარხილებით. ჩემმა სულემანმა შემომჩივლა, სანამ ხვანთქარის ხელში ვიყავით, ტყეს, როგორც გვინდოდა, ისე ვჭრიდითო. ახლა „ნესლიჭი“ (ვითომ „ლესნიჩი“—მეტყევე) მოვიდა და გვითხრა, ეს ტყე „საყირალო“ (სახელმწიფო) არისო და ჩვენდა დაუკითხავად არაფერი უნდა მოსჭრათო. სოფელიერი (სოფელი) ადგა და მოახსენა: ეს ტყე ხვანთქარს ჩვენი მამა-პაპისათვის უბოძებია და ახლა თქვენ უფასოდ არ გვანებებთო? თუ არ მოგვეცით, ჩვენ ავღებთ და სათათრეთში (ოსმალეთში) წავალთო. „ნესლიჭმა“ ვერაფერი გვიყო და წავიდაო.

იქ, სადაც ტყე თავდება, იწყება ყიშლალები, ანუ საშემოდგომო ბინები. მთიდან ენკენისთვეში ჩამოსულ საქონლისათვის. ოცამდე ჯარგვალადადგმული ორსართულიანი. ზედა სართული ძალზე დაბალია, კაცი ძლივს გაიმართება. განყოფილება არა აქვს. აქა დგას საქონლის პატრონის ოჯახი, ხოლო ქვედა სართულში საქონელი დგას. ამ ყიშლალებში რჩებიან თვე ან თვენახევარი. თუ ადრეული ზამთარი არ არის, მეტ ხანსაც რჩებიან.

აქედანვე გზა, შედარებით, უკეთესი ხდება. შორს გამორჩა პირველი სოფელი ზედა-აჭარისა ღორჯომი. ხის სახლები აქა-იქ არის შეფენილი სერებზე. სოფლამდე ორი საათის სავალი გზა კიდევ დაგვრჩა. ყოველ ფეხის გადადგმაზე ანკარა წყაროებია, ძალზე ცივი, ყოველ წყაროს დარი აქვს გაკეთებული და იქვე უმკველად დევს წყლის დასალევი ხის ქურქელი, ნიჩხის სახისა. გზა ათასფერ სურჩელოვან ყვავილებით არის შემ-

კული და გალამაზებული, დაღლას აქ, განსაკუთრებით, თუ დღემართიკაა, არა გრძობთ, სიმშვენიერე ბუნებისა ყოველივეს გავიწყებთ. აქარა და მისი მივების თხემნი მკაფიოდა ჩანან. მხოლოდ ალაგ-ალაგ ნისლი მსუბუქად დაჰკიდვია და ლაქვარდი ცის სივრცეს ოღნაგ მუქადა ჰღებავს. საცაა სოფ. ლორჯომისაჲც მივატანთ. მოუთმენლობა მეტყობა, უცნობი სოფლის და მისთა მკვიდრთა ნახვა მესწრაფება. გზაში გვხვდებიან გულა-აკიდული მთიბაეი გლეხები, რომელნიც მთისკენ მიემურებიან. თანდათან ვაკდება, რა თქმა უნდა, იმასთან შედარებით, საიდაც ამ ხუთის საათის წინეთ დავეშვით. 3.000 მეტრის სიმაღლე ადგილიდან 2.000 მეტრის სიმაღლეზე ჩამოველით. ჰაერი ათბა. თუ მთაზე 13—14 გრადუსი იყო სითბო, აქ თერმომეტრი 18—20 გრადუსს გვიჩვენებს. და, ბოლოს, ხუთი საათის სიარულის შემდეგ, აჰა, სოფელი ლორჯომიც, სადაც სახლები, ზემო-იმერეთის მსგავსად, აქა-იქ, გორებზეა არწივის ბუდესავით მიკრული.

IV.

აქაური სოფელი.—ჯამე.—სახლი აქარელისა.—აქაური ბუნება და ზამთარი.—ქრისტიანობის ნაშთი და გრაფ უვაროვის მეუღლის საარქეოლოგიო მოგზაურობა აქარაში.—არქეოლოგიური ნივთების გახილვა.—ჩვენი დაუდევრობა.—აქაური ქალი.—გორგაძის ქალი იეთერა და მისი თავგადასავალი.—ხულომდე.

მარიამობისთვის ორი იყო, ჩვენ რომ ლორჯომში შევედით. თიბვის დრო იყო და მამათა სქესისანი, 15 წლიდან მოყოლებული, სულ მთებისაკენ იყვნენ გაკრეფილნი. სოფელში ქალებსა-ღა ვხედავდით. თუ აივანზე გადმომდგართ ვნახავდით, მაშინვე ჩადრს აიფარებდნენ, „გურჯი“ მოდიხო, ეტყოდნენ ერთმანეთს, ოთახში შეეარდებოდნენ და სარკმელიდან გვათვალიერებდნენ, სანამ თვალთავან არ მიეფარებოდით. ჩემი ნახვა კი ძლიერ აინტერესებდათ. ან რა გასაკვირველია! წელიწადი, თორმეტი თვე სახლში სხედან, თავის სოფლის იქით არსად გასულან, აქაური მცხოვრებთა გარდა არაეინ უნახავთ.

ნიადაგი აქაური მეტად უსწორ-მასწოროა, ალბათ, ამიტომ ვერ მოუხერხებიათ სოფლელებს სახლების ერთად დადგმა. საცა-კი ნიადაგის ჰისწორე ნებას აძლევს, ერთმანეთის მახლობლად დგას ორი-სამი სახლი მეზობლებისა. ამ მთა-გორიანობის წყალობით მთელი სოფელი, სადაც ას კომლამდე ითვლება, 50 დღიურ მიწაზე იქნება გადაფენილი. თუმცა-კი, მერე, ხულოს ქვემოთ, ერთი სოფელი ვნახე, სადაც გლეხები ქართლელებივით ერთად არიან შუქუქკვილნი. ლორჯომი მეტის-მეტად მიუდგომელ ადგილასაა. ყოველ მოსახლეს თავის საკუთარი ეზო აქვს, სადაც ზეხილი უდგას და სიმინდი უთესია. როცა აქაურ ჯუჯა სიმინდს უყურებთ, გიკვირთ და თანაც კითხულობთ, ნეტა ვისთვის ან რისთვის დათესა ამის პატრონმა ეს სიმინდიო? ტანი აქაურ სიმინდს ერთი ალაბი არც კი აქვს,

ტარო—თითო გოჯი, ან სულ არა აქვს. ეტყობა, ნიადაგი მეტად გამოფიტულია. ვკითხე სულემიანს; ასეთის სიმინდისათვის თავს რად იწუხებთ-მეთქი?—რა ვქნათ, ბატონო, ესეც რომ არ დაეთესოთ, ჩალა არ გვექნება და ჩვენებურ გრძელ ზამთარში საქონელს რაღა ვაქამოთ!...

გზად გავიარეთ აქაურების ჯამეში. შენობა ხისაა. გარშემო ოთხიოდ დუქანია, ხისავე, მეტად დაბლები და პატარები. ჯამე დაკეტილი იყო. დაუძახეს მოსამსახურეს და კარები გააღებინეს. ერთი მოხუცი გლენიცი მოვიდა. ყველამ ფეხზე გაიხადეს და ისე შევიდნენ ჯამეში. მეც იმათ მივბაძე. ძალიან მიეწონათ, რომ ასე პატივისცემით მოვეპყარ მათს სალოცავსა. ჯამე შეიგინდნენ დამშვენებული იყო საუცხოო ჩუქურთმებით. მითხრეს, ეს ჯამე აქაური უსტას (ხელოსნის) ნაკეთებიაო. გვარად ადამაძე ყოფილა. ახლა მკვდარია. უფრო კი ქანელები მოდიან აქ ჯამების საკეთებლად. ქანელი მოხარატენი ცნობილი არიან.

გავიარეთ რამდენიმე შუკა. წყაროები ყოველ ნაბიჯზეა, მთის წყალიც უხვად მოჩუხჩუხებს და მარდად აბრუნებს ერთთვალა წისქვილებს, რომლებიც აქ ხშირადია. მთელმა ნახევარმა საათმა გაიარა, სანამ ჩემ სულემიანს სახლს მივატანდი. ჭიშკარს მივადექით თუ არა, სულემიანმა დიდი ბოდიში მოიხადა და მთხოვა: „აწი კია ბატონო, სადილობა. ფუხარა (ღარიბი) სოფლიერი (სოფლელი) გახლავარ, თქვენი საკადრისა პატივისცემა არ შემძლია, მარა თქვენ იცით, თუ არ დამმედურვით“.. მე ბევრი არ ვაპატიებინე თავი და ისიც შემძლვა სახლში.

სულემიანს სახლი, როგორც ყველა სხვა აქაურისა, ხისაა, ორ-სართულიანი. ჯერ შევედივართ ძირის სართულში, რაღაც წინათახის მსგავს განყოფილებაში, რომლის იქით ახორი (ბოსელი) იწყება, საქონლის დასაბმელი. აქედან ზევით ასდევს კიბე. ჯერ აღიხართ ვიწრო სოხასში (ტალანი). ამ სოხასის იქით-აქეთ სამი თუ ოთხი ოთახია, სულ პატარები. და ერთი-მეორის სახისა. ამათგანი ერთი საჯალაბოა (იგივე სამზარეულო და სასარცხო). აქ დედათა სქესისანი და წვრილფეხობა ფუსფუსებენ. საჯალაბოს ვანი ორი მხარი აქვს, ამდენივე სიმაღლე და სიგრძე ერთს კუთხეში ბუხარია, რომელშიც რკინის ზედადგარზე საბილენძის ქვაბებით საჭმელი მზადდება. არის მეორე ოთახი, ამავე სიდიდისა, სადაც ორს მხარეს განიერი ტახტებია შეკრული, შუაში მიწურია (ფიცრის იტაკს მიწა აყრია), ბუხარი აქაც აქვს კედელს დატანებული. კაცის სიმაღლეზე პატარა საკმელი აქვს გამოჭრილი. მინების მაგივრად ფიცრის დარაბა აქვს ჩარჩოში ჩამჯდარი, მისაწვე-მოსაწვევი. კედელში გამოჭრილია „მუსანდარა“ (თახჩა), სადაც საბან-გობანი ინახება. აქვე დგას სკივრი ხისა შინაურ რაგინდარამეების შესანახად. ეს არის საწოლი ოთახი მათი. მესამე ოთახი—სასტუმროა, ან აქაურულად „მუსაფირლიქი“. აქ სტუმრები იყრიან თავს ქორწილის ან სხვა დროს. იქით—აქეთ განიერი ტახტებია, ზედა ჰფენია ქეჩა, ან და ტიტველია. ტახტს და ტახტს შუა ადგილი მიწურია და ძალიან ცოტა, სულ ადლნახევრის

სივანე. სტუმარი ოთახში შემოდის თუ არა, ტახტზე ადის და ზედ იკალათებს, მუხლ-მოკცით. „სალამ-ალეიქუმის“ თქმის შექმდე პირში ჩიბუხს გაიჩრიან და ლაპარაკს მოჰყვებიან. მეოთხე—ნახევარი ოთახია. კოშკი ჰქვია, საზაფხულო ოთახს წარმოადგენს, აივნის მსგავსს. აქა ჰყრია გოდრები, შინაური იარაღი და სხვა რაგინდარა. ზაფხულში ჯალბი მომეტებულ დროს აქ ატარებს: ართავს, ქსოვს, მატყლსა სთელავს, ლობიოს არჩევს და სხვ. ოთახები ყველა ბნელია, ჰაერი მძიმე დგას შიგა და დიდი მტვერიც იცის. ფეინის სუნი, რომელიც ქვევიდან ამოდის და ოთახებში თავისუფლად ვრცელდება, ყველგანა სდევს კაცსა. აქაურს ყნოსვა შეჩვეული აქვს ამ სუნისათვის და არ ეჩოთირება. ამ კოშკთან ფეხისალავიცაა გამართული. ზემო სართულშივეა ხულა (ბელელი), სადაც ხარობია (განყოფილებები): ზოგან ხორბალი ჰყრია, ზოგან სიმინდი, ზოგან კიდევ ლობიო.

ახორში საქონელი უბიათ: ცხენი, ხარი, ძროხა, კამეჩი. ბაგა ფიცრული აქვს და პატივი გარედ ერთის გაპოჭრილიდან იყრება და იქვე კედლის გვერდით გროვდება. ასე რომ ფეინის სუნი სულ მუდამ დგას აქ. ახორს გვერდით მოდგმული აქვს ფარდული შემისათვის. ასე რომ ზამთრობით აქაურ კაცს სახლს გარედ გასვლა არც კი სჭირია, ყველაფერი შინა აქვს. მარტო წისქვილში თუ წავა.

ლორჯომი ზემო აჰარაში ერთ-ერთი უდიდესი სოფელია. ტყე უხვად აქვთ და ახლო: ტყის სიაფის გამო ყველას ნშვენიერი სახლები აქვთ გადაჭიმული. ეგ არის, უგზოობისა გამო ხე-ტყის მასალა ვერსად გაუტანიათ. მართალია, აქაური მიწა მთაგორიანია, სახნავ-სათესად ძნელია, ნიადაგი მოღალული და გამოფიტულია, სიმინდი თებერვლამდე ან მარტამდე თუ გაჰყვებათ, მაგრამ ამით გულს არ იტეხენ. ახლოსა აქვთ მშვენიერი საზაფხულო საძოვრები და საქონლის მოშენებას მისდევენ¹. აკეთებენ ერბოს, ყველს, რომელსაც გურიაში, ან კიდევ ბათუმში ასაღებენ; ქალები მშვენიერ შალებსა ქსოვენ მატყლისაგან. ლორჯომში მოქსოვილ შალებით იმოსება ზემო-აჰარის მკვიდრთა უმეტესობა. ერბოს გარდა თვით საქონელსაც ჰყიდიან საკლავად. ამ სოფელში ირიცხება: 60 კამეჩი, 356 ხარი, 1, 050 ძროხა და 1, 000 სულამდე ცხვარი². კამეჩები სულ მიწველები ჰყავთ. სამუშაოდ აღარ იყენებენ, რადგან აქაურ მთა-გორიან ადგილებზე და უგზოობაში, სადაც მსუბუქი საქონელია საჭირო, ეს ტანმძიმე პირუტყვი სრულიად უხმარია. აქ ადრე, ქრისტინანობის დროს, ღორებიც ბევრი ჰყოლიათ, და, როგორც მითხრეს, თვით სახელი „ლორჯომი“ ამ სოფელს „ლორის ჯოგისაგან“ დაერქვაო. გარდა საქონლის მოშენებისა, აქაური შემოსავლის წყაროდ ითვლება მეფუტკრეობა და მებაღეობა. აქაური მსხალი განთქმულია. ხილი ყოველს მეოჯახეს უდგას ეზოში. საკვირველია, ამ მსხლის სამეფოში, რამდენი არ

¹ ზემოთ აღწერილ ზოტიყელის ეილაში სულ ლორჯომელები არიან.

² სტატისტიკური ცნობები აღებული გვაქვს 1894 წლის ანგარიშიდან.

ვათვლიერე, ერთი ძირი ვაშლიც ვერ ვნახე. აქაურებში ზოგს ორას-სამას თუმნის შეძლებაცა აქვს.

ერთი ფრიად მოსაწონი და მისაბაძი თვისება უნდა აღენიშნოთ აქაურებისა. ძალიან უყვართ გაჭარვებული მეხოზლის გაკითხვა. რაც უნდა უჭირდეს აქაურ გლეხს, სხვა ერის კაცივით, შარავჯაზე არ გადმოდკება და გამვლელ და გამომვლელს მოწყალებისათვის ხელს არ გაუშეკრს. აქაურებისათვის დიდ სირცხვილად ითვლება, რომ ვინქემ თქვას, ღორჯომელი ფუხარა (ღარიბი) მათხოვრობდაო. რა ღორჯომი, მაკულა აჭარა მოვიარე და ერთი მათხოვარი არ მინახავს. მარტო ერთხელ შემხვდა ერთი მეტის-მეტი ღატაკი გლეხი, ტანის სიშიშკლე ნახეკრადაც არა ჰქონდა დაფარული. გავიცანი. ცოლშვილიანი გამოდგა. მივეცი, რაც რამ შემეძლო. მადლობა გადამისადა, მაგრამ ამ მადლობის თქმასაც მისი ღირსება იხატებოდა, სხვა ერის მათხოვარივით თავმოყვარეობა არ დაიქცირა და თავი არ შეიზიზღა გამკითხველს. ვთქვათ, სოფელში ვინქე კუტია, ან სხვა რიგად ფიზიკურად დამახინჯებული. სხვა უშაგათო გარედ გამოავდებს, ითხოვე და შენ ირჩინე შენი თავიო. აქ კი სახლში ინანავენ. ქირს გაძლება უნდაო, ასე ამბობენ. ან კიდევ, ვიქვეა, გაღარიბდაოჯახი, რაიმე ზარალი მოუვიდა, ან საზოგადო შემშალობაა, ყველა გლეხი თავის წმინდა მოვალეობადა სთვლის, თუ კი რამე აბადია, მეზობელს რამე უწილადოს, ხელი მოანაცვლებინოს და სისაწყულეს არ დააჩაგვრინოს.

ზამთარი აქ ხანგრძლივი იცის. თოვლს ხანდახან ენკენისთვეში დასდებს და მისამდე არ აიღებს. მერე, დიდი თოვლის მოსვლაც იცის. მაგალითად, 1896 წელს აქ ოცი მტკაველის სიმაღლე თოვლი დებულარა თქმა უნდა, ადამიანს ბუნების ასეთს ძლიერებასთან საბრძოლველად ღონე არ ეჩინს. და აქაური გლეხიც წელიწადში 8 თვის განმავლობაში სახლში ზის გამომწყვდეული. იერც ის წავა სხვასთან, და ვერც იმასთან შოვა ვინმე. საზაფხულო ბილიკები კი არა, ხშირად სახლებიც არასჩანს. იმდენი თოვლი ადევს ზევიდან. ამას ახლა დაუმატეთ ქირნახულის ნაკლებულება, რაიცა ხშირი სტუმარია ხოლმე აქაური გლეხისა, და მაშინ აღვიღად წარმოიდგენთ აქაურის უმწურო ყოფასა. ქალები ზამთრის დამიებში ხელსაქმობენ: ქსოვენ შალებსა, წინაღებსა, ართავენ მატყლსა. საქონელიც საშინლად იტანჯება: საკვები ხშირად აკლდებათ და გაზაფხულის პირამდე ვერც კი გააღწევენ. ზოგიერთი, რაკუ თივა და ჩალა ნაკლებად აქვთ, ზაფხულში ხეს ფოთლიან შტოებს აქრიან და იმას ინახავენ საქონლისათვის. ერთი სიტყვით, ზამთარი ერთი დაუსრულებელი ტანჯვაა აქაურისათვის.

აქ თოვლის ზეავებიც ხშირია. ამიტომ ისეთ სოფლებში ან სოფლები ისეთ უზნებთან, რომელნიც საზავო ადგილას არიან გაშენებულნი, სახლებს ცოტა მოშორებით ტყე აკრავს ნაძვისა, რომელსაც „საფარი“ ჰქვიან. ამ ტყის დანიშნულება ის არის, რომ მთიდან წამოსული თოვლის ზეავი

შეაჩროს და სოფელთა სახლები დაღუპვას გადაარჩინოს. ამ საფარი-
დან წყნელის გამოჭრაც კი სასტიკად აკრძალულია თვითონ სოფელთა-
ჯან, იმიტომ, რომ, ეს ტყე რომ გაიჭრას, ზევისი შიშით ერთ ზამთარ-
საც ვერ გაჩერდება აქ, ასეთ დაუფარავს ალაგას, მოსახლე. იძულებული
ვახდება, ფუძე მოიშალოს და სადმე მყოფდრო ალაგს დასახლდეს. სადაც
საფარი არ არის, უბედურებაც ხშირია. წარსულ დიდ თოვლობის დროს
თოვლმა რამდენიმე მოსახლე იმსხვერპლა.

ჩემი სულემანი გულუხვად გამიმასპინძლდა. საქმელები იმნაირივე
იყო და იმნაირისავე წესით გამიშალეს სუფრა, როგორც ზოტყელში,
ასე რომ მეტია იმათ შესახებ კიდევ ლაპარაკი. აქ მხოლოდ იმას შევნიშ-
ნავთ, რომ აჭარელს, თუ კი რამ აბადია, სტუმრის პატივისცემა დიდ
ნეტარებად მიაჩნია. სტუმარს ღვთის კაცადა სთვლის. თუ თვითონ არა
აქვს-რა, მეზობელთან გადავა და იმას გამოართმევს—ეს სირცხვილად
არ მიაჩნიათ. როცა მეზობელს დასკირდება, ისიც იმავე სითამამით გად-
მოდის და თხოვს: სტუმარს მინდა პატივი ვცე და ესა და ეს დამაკლდაო.

ჰაერი აქ მეტად მრთელია. ავადმყოფობა, განსაკუთრებით გადამდები,
იშვიათი მოვლენაა. არის აქ ერთად ერთი სატკივარი—თიადორა. აქაურს
ყიყვი გამოუვა ყელში, ეზრდება და, ბოლოს, დიდ ლაბაბსავით დაათრევს.
ზოგს ისე დიდი აქვს, რომ წვერის მსგავსად მთელ გულს უფარავს. ვინც
ყიყვიანია, ფერი არ ადევთ, სისხლ-ნაკლებიანი არიან. ერთი შემხვედა
ლორჯომში ყიყვიანი, ყრუც იყო და მუნჯიცა. მაგრამ მისი სიმუნჯე და
სიყრუე იქნება სხვა მიზეზისაგან ყოფილიყო. ამბობენ, ქალებშიც შეხ-
ვედება კაცი ყიყვიანებასო. აქეთკენ, როგორც მთა-ადგილებში, ხშირია
ეს ავადმყოფობა. ბევრნაირი ჰიპოტეზაა ამ სატკივრის შესახებ. მიზეზად
ზოგი იმას ასახელებს, რომ სოდის მარილის ნაწილები აქაურ წყალს
ნაკლებად აქვსო. ზოგი იმითა ხსნის, რომ აქაურ მცენარეულობაში იოდი
ცოტა არისო. ეს სატკივარი, როგორც ვიცით, სვანეთშიაც ხშირია.
ამბობენ, კირის კლდეების სიბევრეც არის ყიყვის მიზეზიო.

ქრისტიანობის ნაშთი ლორჯომში არა არის-რა. მხოლოდ მაჩვენეს
კი პირდაპირ, სოფ. აგარას ზემოთ, მთაზე ძველი „ქილისა“ (ეკლესია).
ამ ათი წლის წინათ ერთი „მოსქოფის“ (მითომ მოსკოველი, ესე იგი
რუსი) ხანუმა (ქალბატონი) იყო აქ, ფაციებიც (გასათხოვარი ქალები)
დაყვებოდა და ძველ ქილისებს ეძებდა და ხატავდაო. ეს „მოსქოფის
ხანუმა“ გახლდათ გრაფი უვაროვის მეუღლე, რომელიც აჭარაში 1886
წელს მოგზაურობდა არქეოლოგიური აზრით. უვაროვისა, სხვათა შორის,
ლორჯომის მახლობლად მდებარე სოფ. აგარაშიაც ყოფილა და აუწერია
ამ ციკაბო ადგილას დარჩენილი ძველი ნასაყდრალი. ამ ადგილამდე
საცალფეხო ბილიკი ადის. ზევით ყანაა და ნასაყდრალიც ამ ყანაშია.
გარეთა პირი,—როგორც აგვიწერს უვაროვისა,—ეკლესიას არ შერჩენია.
დარჩენილა მხოლოდ კედელი მქადა ქვისა, მაგარი დუღაბით შეერთე-
ბული. აქაურ მკვიდრთ არა ახსოვსთ-რა ამ ეკლესიის შესახებ: წირვა

როდის იყო შიგ ან როდის დაინგრა და სხვა. ეს კია, რომ აქ ამოს-
კლისა და ეკლესიასთან მიახლოებისა ეშინიანთ. მით უფრო ეშინოდათ
ეკლესიის ქვეებისათვის ხელი ეხლო ვისმე... ერთხელ ღორჯომელ გლენს-
რამდენიმე თლილი ქვა წაუღია ამ ადგილიდან თავის სახლში. მეორე
დღეს, შეშინებულს, თავის მეზობლისათვის უთქვამს: მთელი დამე ვილაც
ჩემის სახლის კარებს აბრაგუნებდა, შემტერევის აპირობდა და მანამდე
არ მომასვენა, სანამ არ მოვისაზრე, ცხენისათვის მომეკიდებინა ქილი-
სიდან წამოდებული ქვები და უკანავე მიმეტანაო. მეორე გლენს ამ ეკლე-
სიასთან მიწა ამოუთხრია და ერთი ოქროთი სავსე ქილა უპოვნია. ძლიერ
გახარებოდა და შინ წამოდნო ნაპოვნი ქილა. შინ რომ მოსულა და ქილა
გაუისინჯავს, ელდა სცემია: ქილაში ოქროს მაგიერ გველები ფუსფუსებდ-
ნენ თურმე. აქედანა ჩანს, თუ რა შიში ჰქონია აქაურებს ამ „ქილისისა“.
აღრე ეკლესიის გარშემო წარწერიანი ქვებიცა ყოფილა, ალბათ, საფლა-
ვებისა, მაგრამ ახლა აქ ხნულებია და ქვები არსადა ჩანს. უფაროვისას
რამდენსამე ალაგას ამოუთხრევენებია, მაგრამ ვერაფერი უპოვიათ.

ეკლესია ოთხკუთხია, აღმოსავლეთისაკენ დამრგველებულია. კედლები
ერთი მხარის სიმაღლეზე შენახულა სიგრძეზე. საკურთხევლის ერთი ნა-
წილიც დაკულია. ეკლესიაში შიგნიდან ამოუთხრევენებიათ და უპოვნიათ:
მინის ქურქლის ნამტერეგები, ღვთის-მშობლის ხატი თხელი ბრინჯაოსი,
რკინის რგოლები, სულ პატარა და ტლანქად ნაქედი ჯვარი რკინისა,
ორი ეყვანი თითბრისა, რკინის გასალები, რკინის დანა, რკინის და
ბრინჯაოს ჩხირები, ვერცხლის ღილები, ნატეხი მინის ფიალასი, ნახა-
ტიანი და ნატეხი ქვის ხატისა, ხელოვნურად ნაჩუქურთმევი, ქართულ-
მხედრულ წარწერიანი. ამ ქვის ხატზე გამოსახულია მაცხოვარი, ღვთის-
მშობელი და სხვა წმინდანები. იატაკზედ ნაპოვნია მრავალი ნატეხები
თიხის ქურქლებისა. აგრეთვე უპოვნიათ რქები არჩვისა და წყვილი
ირმის რქა, რომელსაც ორივე ბოლო განგებ წამწვეტებული ჰქონია.

უფაროვის ექსპედიციამ, როგორც აქარიდან, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა
კუთხეებიდანაც, არქეოლოგიური მხრით რაც რამ ღირსშესანიშნავი ნახა,
ყველაფერი გაზიდა. გაზიდა ძველი ხატები და ხელთნაწერებიცა. სამ-
წუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნიდან ეზიდებიან ჩვენს ეროვნულს საუფჯესა,
ვინ იცის სად მიაქვთ, საბოლოოდ გვწირავენ, და ჩვენს შორის კი არა-
ვინ გამოჩნდა ისეთი, რომ ამავე ნივთებისათვის თავი ერთად მოეყარა და
შთამომავლობისათვის უკლებლივ გადაეცა. მაგრამ სადაა ასეთი მაღლიანი!
სანამ ჩვენ გონს მოვიკრფედეთ და საქმეს შევეუდგებოდეთ, ხელიდან
გამოგვაცლთან ყველაფერს. მართალია, ხსენებული ექსპედიცია ყველა-
ფერს ეზიდებოდა აქედან, გვეუბნებოდა; ამ ძვირფასი განძის ფასი თქვენ
არ იცითო, მაგრამ, მეორეს მხრით, ამაგიც დაგვლო: ყველაფერი დაწვ-
რილებით აღწერილ და დახატულ იქნა. დიდძალი საეკლესიო ნივთებია
წაღებული აფხაზეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, რა-
ჭიდან, სვანეთიდან და სხვ. სხვათა შორის, აქ მოვისენიებ იმასაც,

რომ ამ ექსპედიციას ნაღმით დამტვრევა უნდოდა და ვერა კი დააკლო-
რა მარმარილოს ქვასა, რომელიც ედო შავშეთში კუროპალატ აშოტის
საფლავს, ამ მეფის მიერ აშენებულ ცნობილ ტბეთის ეკლესიაში. ტბეთ-
ში ტაძრის გარშემო ადგილები, თვით ეკლესიის საძირკვლებიც კი, სულ
გადათხრილი იქნა. დიდძალი ნივთები უპოვნიათ, ჩვენი არქეოლოგი-
ისათვის ძვირფასნი, და წააღებინეს. აშოტ კუროპალატის საფლავის ჯერ-
გათხრა უნდოდათ, მაგრამ საფლავის ქვა ისეთი მძიმე გამოდგა, რომ
ორმოცმა მუშამ ძვრა ვერ უყო. მაშინ, როგორცა ვთქვით, ბერძენ ოს-
ტატებს უბრძანეს, ნაღმით დამტვრიეთ და ისე ამოვიღოთ, საფლავში-
რაც ნივთები იქნებოა. ოსტატები გაკვირვებულები იყვნენ, რომ მარმარი-
ლოს ქვა ისეთი მაგარი გამოდგა, რომ ნაღმითაც ვერა დააკლეს-რა.

მზე კარგად გადაიხარა, რომ ღორჯომიდან გამოვედით. საღამომდე
სოფ. ხულოში უნდა ჩავსულიყავით. გზა, ანუ, უკეთ, ბილიკი, 1500
მეტრის სიმალიდან სულ ქვეით მიდის. გზის იქით-აქეთ ფერდობნი
სიმინდის ყანებს უჭირავს და შიგ სახლებია. სადაც გავივლიდით, ბავ-
შვები გროვა-გროვად აგვედევნებოდნენ, „გურჯი“ მოდისო. სიმინდის
ყანებს შორის შემოსული პურიც ბზინავს მზეზედ, დაქანებულ ფერდობ-
ზედ თხლად ამოსული, ქოსას წვერივით. დედაკაცებს ხელში ნამგალი
უჭირავთ, ჩადრი ზურგზე გადაუდღიათ და მკიან. მაგრამ ვაი ასეთ მკა-
სა! ნახევარა მეტი ღონე იმათი და ფიჭვი-გონება იმას უნდება, ფეხი
მოვიმაგროთ როგორმე და არ დავგორდეთო. იმას, რასაც ბარში ნახე-
ვარ დღეს თავისუფლად ასწრებს კაცი, აქ ეს საცოდავები მთელ დღე-
სა და ხან მეტსაც უნდებიან. მოსავალი მაინც რიგიანი მოდიოდეს!
ასეთ დაქანებულ ადგილას, სადაც ნიაღვარისაგან ნიადაგი სანახევროდ
ჩამორიყვება ხოლმე, თესლი ფეხს ვერ იკიდებს. ერთი კოდი¹ (16 ოთხ-
კუთხი მხარი) მიწაზე 5—6 პინა² ხორბალი თუ მოვიდა, დიდი
ღვთის წყალობად ჩაითვლება. ხან ისიც არ მოვა და შრომა და ტანჯვა
ამაოდ ჩაუღლის ხოლმე მხენელ-მთესველსა... მართალია, შრომა აქ ნაკ-
ლებად ჯილდოვდება, მაგრამ აქაური კაცი გულს არ იტეხს, ბუნებას
მაინც ებრძვის, იქნება ერთი ლუკმა მაინც გამოვგლიჯო ხელიდანაო.
ცოლიც მხარში უდგას. ხენაში, თესვაში, მკაში— ქალი მამაკაცთან ერ-
თად იყოფს შრომასა. ოჯახი ხომ სულ იმის კისერზეა.

საშინელია აქაური დედაკაცის მდგომარეობა... ტანჯვა და წვალება
ამ დაჩაგრული არსების ხვედრი. ბუნებასთან ბრძოლა ხომ არ აკლია...
რელიგიისაგან დაჩაგვრა კიდევ სხვაა. სახლშია ჩაკეტილი, არ შეუძლია
გარედ მამაკაცების საზოგადოებაში გაერიოს. ქმარს უფლება აქვს ძვე-
ლი ფეხსაცმელივით მოიცვალოს და გაუშვას... იმის ბაღლად სხვა
შეირთოს...

¹ კოდი—აქაური ზრმაა მიწის.

² პინა—18 ოყა.

თუ გათხოვილი ქალის მდგომარეობა საბრალოა, არც გასათხოვარიც მსახარბიელო დღეში. განსაკუთრებით, გათხოვების დროს არის საცოდავი აქაური ქალი. ისე გაათხოვებენ, ან ვაჟი ისე შეერთავს ცოლსა, რომ არც ერთი და არც მეორე ამ დრომდე ერთმანეთს ვერ ნახავენ. ცოლქმრობის საქმე მოციქულების შემწეობით თავდება; რასაც დედმა უბრძანებენ, იმას უნდა დამორჩილდნენ ქალიცა და ვაჟიც. თუმცა არც უმეგობრაა, რომ ქალმა თავის პიროვნული ძალა არ გამოიჩინოს. თუ შეატყო ან ნახა როგორმე ვაჟი და არ მოეწონა, უარის თქმისა არ ერიდება. მოწონება-დაწუნება ვაჟის გარეგნულ, წმინდა ფიზიკურ ღირსებაზე დამოკიდებულია. რა თქმა უნდა, ზნეობრივ მხარეზე ლაპარაკიც კი მეტია ამ შემთხვევაში. ხშირად მოხდება ისიცა, რომ ვაჟი, თუ ქალმა ცოლობაზე უარი უთხრა, ძალას მიმართავს ხოლმე, როგორც დასავლეთ საქართველოში იციან. ამ რამდენიმე წლის წინათ სწორედ იმ ბილიკზე, რომელზედაც ახლა მივდივართ, ხეხვები და წყლები მოწმენი ყოფილან ერთი ამგვარად მოტაცებული ქალის კივილისა.

სოფ. რიყეთში (ლორჯომიდან ათიოდ კილომეტრის მანძილია) ყველასა ხიბლავდა თავის სილამაზით გლეხის, გორგაძის ქალი, მშვენიერი იეთერა; არა ერთ თავმომწონე ყმაწვილს რჩებოდა მანზე თვალი, არა ერთი ყმაწვილი კაცი იყო მისი შერთვის მონატრული. ერთმა ლორჯომელმა თავმომწონე ყმაწვილმა სულია ბაიდარ-ოღლიმ მოციქულები გაუგზავნა ქალის მამას, შენი ქალი მინდა შევიერთო ცოლად. როგორც ქალს, ისე მამას სულიას სიძეობა ჭკუაში არ უჯდებოდათ და მოციქულის პირით უარი შეუთვალა ქალის მამამ. იწყინა ვაჟმა, თავმოყვარეობა შემიღახეს, ამის შემდეგ სადღა გამოეჩნდო!.. იხმო 15 დარჩეული ყმაწვილი და უთხრა: ძმობა ახლა შეგიძლიათ დამიმტკიცოთ, ან სიცოცხლე და იეთერას ქმრობა და ან სიკვდილი, თუ უიმისოდ მიწერია ცხოვრებაო. ისეთ ქალისათვის თავის გათუქება ოღონდაც რომ ღირსო. სიამოვნებით მიეკვებნენ ამხანაგის მოწოდებას ყმაწვილები, შეიარაღდნენ და თავს დაეცნენ გორგაძეს. ქალს ტკბილი, უდარდელი ძილით ეძინა. როცა თვალები გაახილა, ტიტველა ტანზედ ხელებსა ჰხვევდნენ უცნობნი, შეჭვრავნენ ყაბალახებითა, შესვეს ცხენზე და... ერიპა ტყეში... ქალი სიმწარისაგან თმებს იგლეჯდა და გზაზე ბლუჯა-ბლუჯა ჰფანტავდა. სამშვიდობოს რომ გავიდნენ და ცოტათი დამშვიდნენ, სულიას ამხანაგებმა შეხედეს მოტაცებულს და მისი სილამაზის ნახვაზე ცალები აუჭრელდათ. თეთრგვრემანი ქალის სხივი ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ყველას მოუუნდა დაჰპატრონებოდა და თავისთვის წაეყვანა. მოუვიდათ კინკლაობა და წასვლისათვის არავინა ზრუნავდა; ქალის დაპატრონების ასურვილმა სრულებით გადააიწყათ, რომ უკან მდევრები მოსდევდნენ ქალისაგან გაფანტულ თმის კვალზე. ამასობაში თავს წაადგნენ მდევრები, ქალი წაართვეს და მომტაცებლებმა თავს-ლა უშველეს.

შესდგა საქმე ამაზე. მეჯლისმა (სასამართლომ) გააჩნია ეს საქმე და-
დამნაშავე მსუბუქად დასაჯა. მეჯლისის ერთ-ერთ წევრს შერიფ-ალა-
ყადი-ოღლის (ბოლქეძეს¹) ძალიან მოეწონა ეს ქალი და განიზრახა-
თავისი გერისათვის, დევრიშა ლომან-ოღლისათვის, შეერთო. აბა უარს
ვინ ეტყობა და გაჩაღდა ქორწილი. იეთერა და მისი ქმარი შვიდ წელი-
წადს ერთად ცხოვრობდენ ტკბილად. მაგრამ ქალის ბედნიერება მუ-
ლებს შეშურდათ და ქმარს რა ხმები არ მიუტანეს თავისი ცოლის შესახებ,
—ორგულია, გლალატობსო... იმდენი უჩიჩინეს საწყალ ქმარს, რომ იძუ-
ლებული გახადეს ცოლი გაეშვა. ისიც ადგა, მიუყვანა ცოლი მის მამას-
და თან მიუტანა „ბოშ-ქალადლი“ (განქორწინების ბარათი) და „ნიქაფი“
(მზითვის ფული) 100 მანეთი. თვითონ კი შინ დაბრუნდა.

მაგრამ დარდმა ჭკუაზე შეშალა ცოლ-გაშვებული კაცი. ამბობდნენ,
ძალიან უყვარდა თავისი ცოლი და დები რომ ისე არ გადაჰკიდებოდნენ,
არც კი გაუშვებდაო. სულ ლოცვაში ატარებდა თურმე დროს. ბოლოს
თავის ძმასთან წავიდა სტამბოლში. აქ ძმამ უწამლა და მოაჩინა.

მორჩენილი დევრიშა აპარაში გამობრუნდა და თავის სიმამრს შეუთვა-
ლა, ქალი გამომიგზავნე უკანვეო, მაგრამ ქალის სურვილის წინააღმდეგ,
დევრიშას დაბრუნებამდე, აბასთუმანში მიუთხოვებიათ ასლან ლორთქი-
ფანიძისათვის (მაჰმადიანი). ქალმა რომ გაიგო, დევრიშა დაბრუნებულა
და ისევ ვუნდივარო, სიხარულით დასტოვა თავისი მეორე ქმარი და
პირველ ქმართან გამობრუნდა. თან წამოიყვანა ციცა (ქალიშვილი), რომე-
ლიც ასლანთან ეყოლა.

მეორე ქმარმა ეს იწყინა და ცოლს უკან გამოუდგა და დევრიშას
მოსთხოვა, ჩემი ცოლი მომეციო. დევრიშამ ქრთამი შეაძლია 200 მანე-
თი და ეხვეწებოდა, ნუ წამართმევ იეთერსაო. ლორთქიფანიძე დაიყო-
ლია დევრიშამ, მაგრამ, ოსმალური კანონით, ქალი მეორე ქმრის სო-
ფელში უნდა წაეყვანათ და იქაურ მეჯლისს გაეჩნია ამ ორი ქმრისა
და ერთი ცოლის საქმე და განქორწინების წესი შეეხრულებინა. ქალი-
არ მიჰყვებოდა: რომ წავიდე, უკან აღარ გამომიშვებს ჩემი ქმარიო, სა-
მართლამდე არც კი მიმიყვანენო.

ეს საინტერესო საქმე ჩემს დროს ირჩეოდა ხულოში. მე რომ წამოვე-
დი, ჯერ კიდევ არ იყო გათავებული. მეცა მქონდა შემთხვევა ეს ქალი-
მენახა. თვითონაც არა მალავდა თავის სახესა, რაკი ისეთი ლამაზი
იყო. თან სატევარსაც ატარებდა, თუ ძალა დამატანეს, თავს არ ვი-
ცოცხლებო.

* * *

სულ დაღმართ-დაღმართ ვეშვებით. გზა ხან ნახევარ ალაბის სივანე
ხდება, ხან ხრამს გადასცქერის, სადაც ლორჯომის წყალი საშინელო

¹ აქაურებს ზოგიერთებს ორ-ორი გვარი აქვთ ხოლმე: თურქული და ქართული.

ბმეურობით მიჰხუვის. აქა-იქ შემოგვხვდება თივით დატვირთული სელი. უღელი ხარით წებმული, სელი ჩვენბური ურმის მაგეირია, მარხილის მსგავსი; თვლები არა აქვს. თვლებიანიც არის, მაგრამ ასეთი ურმები დაბლებია ძალზე და თვალის მტკაველ-ნახევრის განისაა. ასეთი ურმები უფრო კარგს გზებზე დადის. აქაური სელით ათი ფუთის სიმძიმეს თუ წაიღებს ხარები აქაურ აღმართიან გზებზე.

ყანიდან მომავალი ქალებიც შემოგვხვდა რამდენიმე ალაგას. უკან გულები ეკიდათ და ტვირთი მიჰქონდათ. ჩემს ნახვაზე ჩადრს მოიფარებდნენ, ლობეს აეკვროდნენ და ზურგს შემოგვაქცევდნენ.

ორი საათის სიარულის შემდეგ, რაიცა ძალზე ჰლაღავს უჩვევ მგზავრს, ჩამოვატანეთ შარა-გზას, რომელიც ბათუმსა და ახალციხეს შუა არის გაყვანილი, 140 კილომეტრის მანძილზე. თავისუფლად ამოვისუნთქე სწორე გზაზე. მიამა კიდევცა ცივილიზაციის ნაყოფის ნახვა. გავიარეთ ძველებური ხიდი სწორედ იქ, სადაც ლორჯომის გზა ამ შარა-გზას უერთდება. ამბობენ ეს ხიდი თამარ მეფის გაკეთებულიაო—რამდენიმე კილომეტრი საუცხოვო ხეობით სიარულისა—და ჩვენ უკვე ხულოში ვართ, სადაც რამდენისამე დღით მოსვენება მოგველის.

V.

სოფ. ხულო და აპარის წარსული

ხულო.—წარსული ცხოვრება აპარისა.—ხიმშიაშვილთა გვარი.—აბდულ-ბე-გი ხიმშიაშვილი.—სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი.—ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი და გენერალი ბარონი ოსტენ-საყენი.—ახმედ-ბეგის შვილები.—ქერ-ხუსეინ-ბეგი და ოსმალეთის ცდა აპარის ფაქტიურად დამორჩილებისა.—ოსმალური ხარაჯის შემოღება.—ბათუმის ოლქის დაპყრობა რუსეთის მიერ.—აპარ-ლების გადასახლება ოსმალეთში.—მათი ყოფა ახალ ქვეყანაში.—ამბოხება აპარაში.—გენერალ-მაიორ კომაროვის „განცხადება“.—როგორ მიეგება ქართველობა ახალ შექმნილ ძმებს.—სადილი თბილისში 1878 წ. 20 გიორ-გობისთვის.—წერილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა.

თამარის ხიდიდან სოფ. ხულომდე ერთი საათის სავალი გზაა. ორ კლდეს შუა საშინელი გრგვინვით მიმავალი აპარის-წყალი, დედა მდინარე აპარისა, ერთბაშად განზე გრჩებათ და გამოდინხართ ასე 8 დღი-ურის სიფართე ვაკეზე ზღვის პირიდან 1,131 მეტრის—სიმაღლეზე. ამ ვაკეზე, მის ჩრდილოეთით გაშენებულია სოფ. ხულო—უწინდელი რეზი-დენცია ახალციხის ფაშებისა: სელიმის და ახმეტისა და აგრეთვე ზემო-აპარის უკანასკნელი მმართველისა და პატრონის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა.

ვაკეზე პირველად თვალში გხვდებათ ორ-სართულიანი სახლი, სადაც მოთავსებულია ხულოს ნაწილის კანცელარია; მის გვერდით ხისავე ორ-სართულიანი სახლია, აპარულის არქიტექტურისა, სადაცა დგა-

ნან აპარელი ჩაუშები ანუ ჩაფრები. კანცელარიის იქით-აქეთ ცოტა მოშორებით ორი სახლი დგას ქვეთიკრისა, ოთხ-ხუთ თვლიანი თითოეული. ორივე სახლი ეკუთვნის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილებს, ერთი — თემურ-ბეგს და მეორე — არსლან-ბეგს. სამმართველოს წინ, გზის პირას, კოშკისა და აბანოს ნანგრევებია. აქ ყოფილა სასახლე თვით შერიფ-ბეგისა. ნაკოშკართან გაშენებულია ბაღი, აწ თავმინებებული და ცხენთა საძოვრად მიშვებული. თვით ხულოელები სამმართველოდან ნახევარი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობენ.

ხულო ისტორიული სოფელია; და ბევრ რისამე მოწმეა აპარელთა ცხოვრებაში. იმად ღირს, რომ აქ ცოტა მეტ ხანს შევჩერდეთ და გავაცნოთ მკითხველს ხულო, მისი დღევანდელი მდგომარეობა, როლი ხიმშიაშვილის გვარისა აპარის ცხოვრებაში, ხულოსა და ხულოსთან ერთად აპარის წარსულიც.

ხულოში, რომელიც ყველაზე დიდ სოფლად ითვლება ზემო-აპარაში, მცხოვრებნი ორმოც კომლამდე არიან. სახლები ყველას, როგორც საზოგადოდ აპარაში, ორ-სართულიანები აქვთ, ხისა; ზოგან ქვეთიკრის სახლიც შეხედება კაცს. ზედა სართულში თვითონა ცხოვრობენ, ხოლო ქვედაში საქონელი უბიათ. შუაგულ სოფელში აშენებულია ხის ჯამე. საძირკვლად დატანებული აქვს ის ქვის მასალა, რომელიც დარჩენილა ოსმალთა მიერ ეკლესიის დანგრევის შემდეგ. ეს ეკლესია ამ სამოცი წლის წინათ მდგარა და მაჰმადიანთ პირველად პირდაპირ ჯამედ უქცევიათ. ლოცვად რომ მდგარან, ხოჯასი და მლოცველ ხალხის ხმა, გუმბათის რეზონანსის მიზეზით, ერთმანეთში არეულა. ამ უხერხულობის ასაცილებლად ქვის გუმბათი ჩამოუშლიათ და ხისა გაუკეთებიათ. მერე სულაც დაუქცევიათ ქვეთიკრის ეკლესია და იმის ალაგას აუგიათ ხის ჯამე, რომელიც დღესაც დგას. საძირკველს ერთგან ჩატანებული აქვს ძელი ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვა. ჯამეს წინ აუზია, მშვენიერი წყაროს წყლისა, სადაც გამაჰმადიანებული ქართველნი ნამაზსა შერებიან. აუზს იქით, ჩრდილოეთით, ნასახლარია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა. ხოლო ჯამეს დასავლით ქვის გალავანშემოვლებული სასაფლაო შერიფ-ბეგის წათესავთა. ყველა საფლავს ძეგლი ადგას მარმარილოსი: ფართო ფიცარი მალა აყუდებული და თავზე ოსმალური ფესის ქანდაკება. აქ არიან დასაფლავებულნი: ცოლშვილნი მურთაზ-ბეგისა (შერიფ-ბეგის შვილისა), არსლან-ბეგი, სებასტოპოლის ომში მოკლული ძმა შერიფ-ბეგისა — აჰმედ-ფაშა, იბრაჰიმ-ბეგი და სხვ. უმეტესობა საფლავებისა შამბით არის დაფარული. ჯამეს ცოტა მოშორებით ათიოდ დუქანია ხისა, პატარები, საწვრიღმანოები, საყასბო, სამჭედური. ვაჭრები ბერძნები და სომხებია.

ეს ზოგადი სურათია ხულოსი. ახლა მივმართოთ ხულოს და, საზოგადოდ, აპარის წარსულ ცხოვრებას.

XVII საუკუნის ნახევრამდე აქარა ხან გურიელების ხელში იყო და ხან ოსმალეთში შედიოდა. ამ ხნიდან კი ეს უკანასკნელი საბოლოოდ დაებატრონა და თან ქრისტიანობაც XVII საუკუნის ბოლოდან ისპობათანდათან. მაგრამ ოსმალეთის გავლენა ფაქტიურად უფრო XIX საუკუნეში დაეტყო საქართველოს ამ ნაწილს. აქ თურქეთის ბატონობის მკვიდრად ფეხის მოკიდებას ხელს უწყობდნენ მაღალი წოდების პირნი, ბეგები, რომლებიც სხვადასხვა ჯილდოებითა და დაპირებებით, პირადი სარგებლობით გატაცებულნი, ადვილად ელევოდნენ თავისი ხალხის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას და მამა-პაპათა სარწმუნოებასაც.

აქარაში, და განსაკუთრებით მისს ზემო ნაწილში, გავლენიანი იყო და მთელი მხარის ბატონად და პატრონად იმავე თავითვე ითვლებოდა ხიმშიაშვილის გვარი. ეს გვარი, როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, მონათესავეა არაგვისპირის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებისა. მათს წინაპარს XVII საუკუნეში კაცი შემოპყვდომია არაგვის ხეობაში, მეფის რისხვას გაქცევიდა და აქარაში შეხიზნულა. აქ, როგორც კარგ ვაჟაკს, თავი გამოუჩინია და მალე მთელი მხარის ბატონობაც ხელთ ჩაუგდია. იგივე ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, რომ აწინდელი ხიმშიაშვილების წინაპარი აბდულა-ბეგი უბრალო, მშვიდობის მოყვარე მწყემსი ყოფილა და ქვეყნის უფროსობა ფიქრადაც არ გაუვლია, როცა მწყემსის ჩომბახი ეჭირა ხელში და საქონელს უგლიდა. მაგრამ ბუნებრივმა ტყუამ და სიმდიდრემ ხალხში გავლენა მოუპოვა, თავისთავს „ბეგი“ უწოდა და სხვადაც არ გაუტეხა ხათირი. ამ აბდულას, ერთ დროს მწყემსად ყოფილს, ჩვენ უკვე ვხედავთ აქარელთაგან შედგენილ მეომართა რაზმის უფროსად, ძლევაშოსილების მაძიებელს, გურიის სოფელ აკეთში თავად მაშუკა თავდგირიძესთან მებრძოლს. მაგრამ ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ გასულა. ეს იყო 1782 წელს. აბდულა პირველი ხიმშიაშვილი იყო, რომელსაც ისტორიაც იცნობს, და რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ზემო-აქარაში ხიმშიაშვილთა გვარეულობას. აბდულა ბეგს დარჩა შვილი სელიმი. ისიც მამის კვალს ადგა და ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ ფაშობაც-კი იშოვნა და სელიმ-ფაშად იწოდებოდა. ეს ის სელიმ-ფაშა იყო, რომელსაც ახალციხეში გაქცეული და უტახტოდ დარჩენილი სოლომონ, მეფე იმერეთისა, რუსების წინააღმდეგ 1814 წელს შევლასა და დახმარებას თხოვდა.

წარსული საუკუნის უკანასკნელ წლებში აქარა ახალციხის ფაშას, ათაბაგ შერიფ-ფაშას ექვემდებარებოდა. გარემოება მეტად აწეწილდაწეწილი იყო. ამით ისარგებლა სელიმ-ბეგმა, ფეხი კარგად მოიმაგრა აქარაში, ბატონი გახდა აქაურ მკვიდრთა და ახალციხის ფაშას პირდაპირ, კანდიერად გამოუტყადა, არ მინდა გემორჩილო და ბატონად გალიაროვო. მარტო ეს როდი იკმარა სელიმ-ბეგმა. შეპყრობა აქარელნი

და მათი შემწეობით 1803 წელს შერიფ ფაშა ახალციხიდან განდევნა, ხოლო ფაშობა თითონ ჩაიგდო ხელთ¹.

სელიმ-ფაშას დროს, როგორც აქარა, ისე ახალციხის საფაშალიყო ლეკების ბუნებად იყო ქცეული. ეს მტაცებელი ხალხი თავისუფლად დათარეშობდა ყველგან. სელიმ-ფაშას ეს მთიელები ქართლის დასარბევადა ჰყავდა დაუპირავებული. ცოტ-ცოტათი ძლიერების ფრთები გაშალა, ქედმალღჭირად დაიჭირა თავი და სულთანს თითქმის არც კი ემორჩილებოდა. სულთანს, რა თქმა უნდა, არაფერად ექაზნიებოდა თავისი ქვეშევრდომის ურჩობა და განურისხდა. სელიმი იძულებული იქნა ახალციხიდან ლტოლვილიყო. სელიმს სიკვდილიც მიუსაჯეს. შერიფ-ფაშა ისევ დაბრუნდა ახალციხეში და თავის მეტოქეს ძებნა დაუწყო. სელიმ-ფაშა ამასობაში აქარაში იმალება თავს თავისი სახლობით, რადგან მასთან ერთად მის სახლობასაც ჰქონდა სიკვდილი მისჯილი.

1815 წელს სულთანის ბრძანებით არზრუმის სერასქირმა, ბაბა-ფაშამ (ფებლევანმა) აქარაში ისევ გამოგზავნა დიდი ჯარი. სელიმ-ფაშა ზემო აქარის სოფელ ბაკოსთან ხირხათის ციხეში გამაგრდა და იქ იყო, სანამ მოლაღატემ ხელში არ ჩაიგდო. სელიმ-ფაშის მოკვლის ამბავს დაწერილებით ვიტყვი, როცა ხირხათის ციხის აწერის შემთხვევა გვექმნება.

სელიმის დასჯის შემდეგ მისი ოჯახობა ახალციხეში გადაიყვანეს, გარდა მისი ორი შვილისა—აჰმედ-ბეგისა და აბდი-ბეგისა. აბდი-ბეგმა ცოლად შეირთო გურიელი მამია V-ის დაი—ესმა. ორივე ძმა გურიაში გაიქცნენ მამია გურიელთან.

1828 წელს რუს-ოსმალის ომი ატყდა. სელიმის უფროსი შვილი აჰმედ-ბეგი უკვე დავაჟაკებული იყო. თანაც დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ფოცხოვიდან მოკიდებული შავი ზღვის პირამდე. სიზიდირე და მამული დიდი ჰქონდა,—ზოგი მამისაგან დარჩა, ზოგიც თვითონ იყიდა. ხულოშტ სწორედ იმ ადგილას, სადაც ქრისტიანობის დროის ეკლესიის ნანგრევებია, სასახლე აიშენა და დასახლდა. რუსებთან თავის ახმედ-ბეგისთანა. გავლენიანი კაცის დაახლოება და მეგობრობა დიხ სასურველი და საჭიროც იყო. ამიტომ, ახალციხეში დაბანაკებულ რუსის ჯარის უფროსმა, თავადმა ბებუთოვმა, 1828 წელს, ახმედ ბეგთან მოლაპარაკება გამართა. 1829 წელს ახალციხის გარშემორტყმისათვის ახმედ-ბეგს ფაშობა ებოძა და თანახმა გახდა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო. იმპერატორმა ნიკოლოზმა გენერალ-მაიორობა და სტანისლავის ლენტი უბოძა, რომლის მისაღებად ახალციხეში იქნა მოწვეული. მაგრამ მალე გარემოება გამოიცვალა: თავადი ბებუთოვი გამოსცვალეს. ხოლო ახმედ-ფაშამ, რომელიც პირადად იცნობდა ბებუთოვს და ენდობოდა, ვერ გაჰმედა ერთბა-

¹ ისტორიული ნაწილის შედგენის დროს ვსარგებლობდი დ. ბაქარაძის რუსულად გამოცემული წიგნით „საარქეოლოგიო მოგზაურობა გურია-აქარაში“ და გ. ყაზბეგის რუსულივე წიგნით „სამი თვე ოსმალეთის საქართველოში“.—ავტ.

შად მინდობოდა, ახალციხის ჯარის ახალ უფროსს, გენერალ ბარონ ოსტენ-საკენს. ამიტომ, თუმცა პირობა მისცეს ახმედ-ფაშას, არას დაგიშავებთო, მაგრამ მაინც არ წავიდა ახალციხეში, სადაც ოსტენ-საკენმა იხმო.

ბარონი ოსტენ-საკენი მოლაპარაკებას აღარ შეუდგა და პირდაპირ აქარაში წავიდა თავისი ჯარით. ამ გალაშქრების დროს, ესე იგი 1829 წ., შარიამოზისთვეში უამი მიძინვარებდა აქარაში და მცხოვრებნი ტყეებში იყვნენ დახიზნულნი. თვითონ ახმედ-ფაშა ქვემო აქარაში იმყოფებოდა. რუსის ჯარი სოფ. რიყეთში რომ მისულა, ლორჯომში გაუგიათ. ხულოში მამასახლისები შეკრებილან და რუსეთის გენერლის მოციქულს დახვედრიან. მოციქულს უთქვამს: რუსები ბათუმში მიდიან, აქარლებს არას ერჩიან, მაგრამ რა სოფელშიაც თოფი დაიცლება, იმ სოფელს ანაცარი-შტუტებენო. გენერალს მოუთხოვია, რომ თვითონ ახმედ-ფაშა მიგებებოდა. მამასახლისებს სამი დღე ვადა უთხოვიათ. მაგრამ ამ დროს თვითონ ოსტენ-საკენი მისულა ხულოში და, რადგან ახმედ-ფაშა ვადაზე არ გამოცხადებულა, ბრძანება გაუცია მისი სახლი გადაეწვათ.

ამასობაში ახმედ-ფაშას თავი მოუყრია 300—400 აქარელისათვის და გადაუწყვეტა—რუსები ბათუმისაკენ არ გაეშვა. რუსის ჯარი ხულოში ორ ღამეს დარჩენილა და მერე ლორჯომისაკენ დაბრუნებულა. ოსტენ-საკენის რაზმი, არტილერიით და კავალერიით, ორი ათასი კაცისაგან შესდგებოდა. თან მიჰქონდა აუარებელი ურმები, ბევრი დიკრილი და ავადმყოფი ჰყვანდა და მეტის-მეტი სიმძიმით მიდიოდა. მთელი დღე მოანდომა ხულოსა და ლორჯომს შუა გზის გავლას. აქ ჯამესთან, მოედანზე კარავი დასცა და მეორე-დღეს სომლიის მთის აღმართს შეუდგა. ახმედ-ფაშა უკან ფეხ-და-ფეხ მისდევდა და თავისი კაცები წინ და წინ ჯაგზავნა გზის შესაკვრელად. აქარლები მთებზე გადმომდგარნი, ზევიდან ქვებს აგორებდნენ და ჯარს საქმეს უბრკოლებდნენ. 22 მარიამობისთვის საღამოზე რუსის ჯარი საქულაფერდის ქედს მოექცა. ღამე იქ გაათია. მეორე დღეს გურიის საზღვრისაკენ გაემართა, იქიდან ქვაბლიან-ჩაის დაჰყვა ახალციხისაკენ.

ეს უკანასკნელი ეპიზოდი იყო 1829 წლის ომისა. მალე ზავი ჩამოაგდეს. ახმედ-ფაშას ყარსის გუბერნატორობა მისცეს და ერზერუმის სერასქირად მოკვდა.

1829 წლის ომის შემდეგ, იმის წყალობით, რომ ახმედ-ფაშას, ოსმალეთის მთავრობის წინაშე, დიდი სამსახური მიუძღოდა, ხიმშიაშვილის გვარშია ხელში ჩაიგდო თითქმის მთელი ოსმალეთის საქართველო. თითოეულში ძმად თითო ნაწილი მიიჩნია თავისთვის. ამ დროს ესენი ოსმალეთის სულთანს მარტოოდენ სიტყვით ექვემდებარებოდნენ. ერთად ერთი ბეგარა—ჯარის-კაცობა იყო. ესეც ახმედ-ფაშამ შემოიღო, რომ ამით ეამებინა სულთანისათვის და თავისი ერთგულობა დაემტკიცებია. მაგრამ ამ ბეგა-

რასაც პირველ ხანში წესიერად არ იხდიდნენ, — სამიოდ-ოთხიოდ კაცს და ისიც უსახლკაროს ვისმე თუ გაიყვანდნენ სულთანის ჯარში.

ახმედ-ფაშის სიკვდილს შემდეგ, მათს ძმებში, ყველაზე გავლენიანი ქერ-ხუსეინ-ბეგი იყო. ახმედ-ფაშის შვილის შერიფ-ბეგის მცირეწლოვანობის გამო მთელ აჭარას ქერ-ხუსეინ-ბეგი მართავდა და ოსმალეთის მთავრობას ხელს უშლიდა აქ ოსმალური წყობილების შემოღების საქმეში. ქერ-ხუსეინ-ბეგის მოსახეშავად ოსმალეთიდან ჭყონია-ფაშა, კაცი მეტად სასტიკი, გამოგზავნეს. ჭყონია-ფაშა ქვედა-აჭარაში, სოფ. ქედას, დაბინავდა და იქედან შიშის ზარსა სცემდა გარემო მცხოვრებთ. მაგრამ ქერ-ხუსეინ-ბეგი მიუხედა და ქედიდან განდევნა. მაშინ ჭყონია-ფაშას მაგივრად სხვა, იმაზე უღონიერესი და უსასტიკესი კაცი, ქეი-ოღლი, გამოგზავნეს ტრაპიზონიდან. ოთხი ათასი კაცით მოვიდა აჭარაში და მთელ ქვეყანას წვა და სრვა დაუწყო. ამავე დროს ქერ-ხუსეინ-ბეგის წინააღმდეგ ყარსის ფაშის ჯარმაც გამოილაშქრა. ხუსეინ-ბეგი შეიპყრეს და ყარსში გაგზავნეს. მაგრამ მტერს ხელიდან გაუსხლტა. მეორეჯერ ისევ დაიპყრეს და სტამბოლში გაგზავნეს, სადაც მეორმოცე წლების გასულში მოკვდა კიდეც.

ქეი-ოღლის სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა და თავისი სახელი მარად-სახსოვარი გახადა. იმან შემოიღო ცოტ-ცოტად აჭარაში თურქული მართვა-გამგეობა და ნიადაგი მოამზადა საკომლო და მიწის გადასახადისათვის.

როცა ახმედ-ფაშისა და ქეი-ოღლის წყალობით თურქეთის მთავრობამ ხალხს თავისუფლება ნელ-ნელა გამოაცალა ხელიდან, მერე განიზრახა ბეგებისთვისაც წაერთმია იგივე დამოუკიდებლობა. მეორმოცე წლების გასულსა და მეორმოცდაათე წლების დასაწყისში წარმოადგენელნი ბეგების გვარეულობისა სტამბოლში იხმეს. მთავრობამ გამოუცხადა: თქვენი ფირმანები უნდა გადავშინჯოთ და ახლები მოგცეთ, ახალი წესების თანახმად შედგენილებიო. ბეგებს ეგონათ, ეს არის, გავკეთდით, მთავრობა წყალობით აგვავესებსო, და რაც რამ საბუთები ჰქონდათ ქართველ მეფეთაგან, ან თურქეთისაგან ბოძებულნი, სულ სტამბოლში წარადგინეს. მთავრობამ რაკი ყველა საბუთი ხელში ჩაიგდო, თამამად გამოუცხადა ყველას: „სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომი განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, ვალდებული არიან ხარკი იხადონ საერთო წესითა“.

ამ სიტყვების გამოცხადებასთან ერთად ბოლო მოეღო აჭარის მკვიდრთა თავისუფლებასაც.



ამ დღიდან მოკიდებული, თურქეთი ან იგივე ოსმალეთი, ე. წ. „პორტა ოტომანისა“, მტკიცედ და თამამად იწყებს აჭარაში ფეხის მოკიდებას, ხალხს ბეგარა (ათის თავი ყოველგვარ მოსავალზე) გააწერა, მთელი მხარე ოსმალეთის საერთო კანონებს დაუქვემდებარა, სამხედრო სამსახურ-

რიც შეიპარა. ათასგვარი მოხელეები მთავრობისა ხალხს მიესია და მის ავლა- დიდებას წურბელასავით წუწნა დაუწყო, რასაც სახელმწიფო ოფიციალური კანონი აკლებდა, იპას ეს მოხელენი უსრულებდნენ.

სანუგეშო არც ბეგების მდგომარეობა იყო. ჩამოერთვით ძველებური უპირატესობანი. ნებიერად ცხოვრებას ჩვეულნი—ახალ რეჟიმს ვერ შეურიგებოდნენ. ბეგებმა რუსეთისაკენ დაიწყეს ცქერა. ამბობდნენ, რუსების ხელში თავად-ახსაწრობა დიდ პატივშია და თუ რუსეთმა ეს მხარე დაიპყრო, ჩვენი უფლებანი ისევ დაგვიბრუნდებაო. უკანასკნელი ბატონი ზემო-აქარისა, ახმედ-ფაშას შვილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, განსაკუთრებით ხელს უწყობდა რუსეთს აქარის დაჭერის საქმეში.

* * *

აი, ამ მდგომარეობაში მოასწრო უკანასკნელმა რუს-ოსმალოს ომმა, როცა ოსმალეთი, ძლეული, 1878 წელს, ბერლინის ხელშეკრულების ძალით, იძულებული იყო აწინდელი ბათუმისა და ართვინის ოლქები რუსეთისათვის დაეთმო. იმავე დროს რუსეთის მთავრობამ შემოერთებული მხარის მკვიდრთ გამოუცხადა: ვისაც არა გსურთ აქ დარჩენა და ოსმალეთში გირჩენიათ გადასახლება, სამი წელიწადი ვადა გეძლევათ. ვინც ამ ხნის განმავლობაში გადასულხართ, გადასულხართ, მერე კი ნება არა გაქვთო. მთელი ამ სამი წლის განმავლობაში აქარა შფოთავდა. ოსმალეთიდან დას-დასად მოსული აგენტები უარესად უჩუჩებდნენ აქაურებს. აშინებდნენ ხალხს, რუსის ხელში ძალიან გაგიჟიდებათ. ურჯულო ხალხია, მაჰმადის რჯულზე ხელს ავალებინებთო. ოსმალეთში წამოდით, მიწა ბევრია და სულთანის მფარველობის ქვეშ თავისუფლად და ბედნიერად იცხოვრეთო. ომის გათავების შემდეგ მთელს მხარეში საშინელი შიმშილი ჩამოვარდა. ხალხი ომში იყო გართული, ხელში იარაღი ეჭირა, ხენა-თესვისათვის არავის ეცალა. ეს გარემოება და ფანატიკოს მოღების ქადაგება ერთმანეთს დაერთო, ხალხი ააღელვა, გული აუტკრუა აქაურობაზე და ისიც აიყარა. იმ სამი წლის განმავლობაში ბათუმის ოლქიდან 38,000 სული გადასახლდა ორსავე სქესისა. შეებიზნენ თურქეთს, მაგრამ თურქების მთავრობამ მეტად მცირე ზრუნვა გამოიჩინა მათს დასაბინავებლად: შიმშილმა, წყურვილმა, უბინაობამ და ათასგვარმა გაჭარბებამ სასოწარჟვეთა გადამოხვეწილებს. აი ამათ შესახებ რა წერია იმ დროინდელ გაზეთ „დროებაში“ (1879 წ. №188):

„როგორც გვესმის, ახალ-შემოერთებულ საქართველოს ნაწილებიდან, ოსმალეთში გადასახლებულები ტრაპიზონის ახლო დაბინავებულან შემდეგ ადგილებში:

„ტრაპიზონისა და ხოფას შუა: 1. იომურას (ტრაპიზონიდან აქეთ, პარახოდით“ ორი საათის სავალზე), 2, სურმენეს, რვა საათის სავალზე პარახოდით“, 3. ოფს, თექვსმეტი საათის სავალზე ხმელეთით, 4. ორიზეს-

20 საათის სავალზე ხმელეთით, 3. ათინას, 26 საათის სავალზე ხმელეთით, 6. არჰავეს და 7. ხოფას.

„სულ, როგორც ამბობენ, ამ შვიდ ადგილას და იმის ახლომახლო არიან დასახლებულები 500 მოსახლე, უმეტეს ქობულეთელები არიან. ამათგან ნამეტნად სახლობენ სურმენს, ორიზეს და ათინას, დანარჩენ ადგილებში ნაკლებად. ეს სულ, რაც მოვისხენით, ტრაპიზონსა და ხოფას სახლობენ და რიცხვით (კომლზე რომ ხუთი სული ვიანგარიშით) 2,500 სულზე მეტია.

„ტრაპიზონს იქით უნიემდის დასახლებულან შემდეგს ადგილებში და მის ახლო-მახლო: 1. თირიბოლის (3 საათის სავალია „პარაზონით“), 800 სული; 2. კიროსუნს (რვა საათის სავალია, ტრაპიზონს იქით), 100 მოსახლე ანუ 500 სული; 3. ორდუს (ათი საათი ტრაპიზონს იქით) და 4, უნიეს (13 საათის სავალზე). ორდუს და უნიეს ყველაზე მომეტებულად დასახლებულან, მეტადრე უნიეს—4,000 სული.

„ამ ოთხსავ ადგილას აჭარლები და მაჭახლელები არიან, მხოლოდ უნიეს არიან ცოტა ქობულეთელებიც.

„ამგვარად, ტრაპიზონს იქით, სულ 5.300 სული იქნება. სამწუხაროდ, უფრო ცუდი დღე ადგებათ მომეტებულ მოსახლეებს, რომელნიც უნიეს დაეხიზნენ. უნიედან ორი დღის სავალზე უნდა გადაასახლონ ნიქსარს.

„სულ გადასახლებულების რიცხვი, თუ დერვიშ-ფაშისაგან ძალად გადაყვანილები, და თუ მერმეთ ნება-ყოფლობით—7.800 არის, რაც ტრაპიზონს ახლო-მახლოა.

„ამას გარდა ქანეთში და ტრაპიზონის გარშემო გაფანტულები არიან. უსახლობისა, ნაკლებულობისა და ჰაერის დაცდისაგან დიდს სიღარიბეში და ავადმყოფობაში არიან. ბევრს ყმაწვილები და დედაკაცები დახოცივათ. საზოგადოდ, ძალიან მწუხარებაში არიანო და ამბობენ, ნანობენ გადასახლებასაო.

„ოსმალის მმართველობას ვერაფერი შემწეობა მოუცია და ტრაპიზონის ფაშას საყვედური მისვლია. ამბობენ, ზოგს უკან დაბრუნება უნდაო, მაგრამ გასვლისას ბევრს, თავისი თუ სხვის შეცდომით, ისეთი ბილეთი აუღია, რომ დაუბრუნებლად გავდივართო. ამ გარემოებისა გამო რუსის მთავრობისა ეშინიათ და დარჩენილან საცოდავად“...

* * *

ყოველივე ამას მოჰყვა აჭარელთა ამბოხება. მიზეზი ამ ამბოხებისა იყო ერთი მხრით, უტაქტო საქციელი ამ შემოერთებული მხარის ახალი უფროსებისა, რომელთა ხელშიაც მცხოვრებთა სვე-ბედი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხულოში ზემო-აჭარის ნაწილის კანცელარიას ცეცხლი წაუქიდეს და გადაბუგეს. თვით ნაწილის უფროსს განძინვარებულნი ხალხი მოუკვლელს არ გაუშვებდა, რომ მას დროზე არ შეეტყო და არ გაქცეულიყო. ამასობაში რუსის ჯარიც მოვიდა და აღელვებული ხალხი

დააყუჩა. მეორე მხრით, ფანატკოსი მოღლები არ ისვენებდნენ და ხალხს უქადაგებდნენ: რუსები სჯულს გამოგიცვლიან, ცოლებს გაგიუპატიურებენ, მიწა-წყალს წაგართმევენო. ამ ხმების გასათანტავად და ახალ შემოერთებული ხალხის დასამშვიდებლად, მაშინდელი სამხედრო გუბერნატორი ბათუმის ოლქისა, გენერალ-მაიორი კომაროვი იძულებული შეიქნა, მცხოვრებთა საგულისხმოდ, შემდეგი განცხადება გამოეცა:

ბათუმის ზოგიერთი სანჯახის ფუხარა და აღიებთ ტყუილ ხმებს აყოლიან და ლაპარაკობენ, რუსის მთავრობა ჩვენს საკუთარ მიწა-წყალს და სამართალს წაგვართმევსო, რომელიც ოსმალს დროს გვქონიაო. ამისთანა ტყუილი ამბით შეშინებული ხალხი ამდგარა, დაუგდია ოხრად თავის სახლ-კარი და ემზადება მუჭაჯირად წასვლას თურქეთში... საწყლებმა ის კი არ იციან, რომ იქ იმათ მოელის დიდი მწუსარება, შიმშილი, წყურვილი და შეილთა სიკვდილი. ამისთანა გონჯი ამბების გასამტყუნებლად ჩვენ გვინდა გამოვუცხადოთ ხალხს მთავრობის კეთილი აზრი და სურვილი:

1) ვერც მუსულმანის სარწმუნოებას, ვერც მუსულმანის ოჯახობას და იმის ჩვეულებას ვერავინ ვერ შეეხება, მაგრამ „ყანი“ — სისხლის გადახდა კი უნდა მოიშლოს. კაცის მოკვლა დიდი ცოდვაა და არავის ნება არა აქვს მტრობით კაცი მოჰკლას, ვისაც დუშმანი ჰყავს, იმან სასამართლოში უნდა იჩივლოს და იმ დუშმანს სამართალი დასჯის დანაშაულობისათვის. მუსულმანის ქალებს ვერავინ ცუდ რასმე ვერ ჰკადრებს. რუსის კანონი ითხოვს, რომ თვითონ მუსულმანები მუდამ პატივს სცემდნენ, უფლიდნენ თავის ქალებს ისე, როგორც ყურანში წერია. კანონი არავის არ მისცემს ნებას, რომ ქალს უპატიურად მოექცნენ, ყოველ ქალს ნება აქვს სამართალში იჩივლოს, თუ უპატიურობა მიაყენეს რამე თავის ქმრის ან მამის ოჯახში, და იმედიც უნდა ჰქონდეს, რომ სამართალი იმისკენ იქნება.

2) ცოლმა თუ უჩივლა ქმარს ან ქმარმა ცოლს, შეილმა მამას, ან მამამ შეილს, ბისიმმა ბისიმს, ან თუ ქვრივ-ობლის საქმე იქნა, ან მეკვიდრებობაზე საჩივარი ატყდა, ყველა ამგვარი საქმეები განიხილება და გადაწყდება მეჯლისში მუსულმანის კანონის ძალით ისე, როგორც ყურანში წერია, ან როგორც შარიათი ამბობს.

3) რაც ოსმალს დროს თახშირი და სახელმწიფო გადასახადი იყო, იმაზე მეტი არ გადახდება. მაგრამ ყველას რომ იმის გადახდა გაუადვილდეს, თახშირს ფულზე გადას-ჭრიან: თახშირს აიღებენ სამართლიანად, მდიდარს ქვეყანაში მეტს აიღებენ, ღარიბს ქვეყანაში ნაკლებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ოსმალს დროს რომ თახშირი იყო, აწ იმაზე ნაკლები იქნება. ღარიბს მდიდარზე ნაკლები თახშირი გადახდება; ძალიან ღარიბ ფუხარას სულ არ გადახდება.

4) რაც სოფლებისა და მემკვიდრეების ხელში ტყვებია, ისინი ისევ იმათ დარჩებათ. ტყვეების სარგებლობა, როგორც ოსმალეთის დროს ყოფილა, ისევ იმ წესზე და კანონზე დარჩება. დანარჩენი ტყვეები, რომელნიც ოსმალეთის დროს ხვანტქრისა ყოფილა, სახელმწიფოდ დარჩება და მთავრობა ყარაულებს დააყენებს, რომ ტყე უბრალოდ არავინ მოჭრას და არ წაახთინოს. ვისაც ამისთანა ტყვეებიდან ხის ძეგლის ვადატანა ჰსურს, იმას ტყის თახშირი გადახდება და ბილეთი მიეცემა ტყის მოსაჭრელად.

5) რუსის მთავრობას, როგორც საქართველოში და კავკასიაში არ გამოჰყავს ნიზამი, სალდათი, ისე არც აქ გამოიყვანს; მაგრამ სახელმწიფო სამსახურისათვის და წესიერების დასაცველად რუსის მთავრობა გამოიყვანს მილიციას და ჯამაგირს დაუნიშნავს, როგორც საქართველოში და კავკასიის მხარეზეა. თავის ქვეყნის დაცვა მტრის წინააღმ-

დღე ყოველი კაცის ვალია და, რასაკვირველია, ბათუმის სანჯჯახის მუსულმანებისათვისაც ეს საქმე ძვირუფასი და წმინდა მოვალეობაა.

6) მეჩეთებთან და ჯამეებთან მედრესეები უნდა გაიმართოს და იმამებმა ყმაწვილებს მუსულმანის რჯული და წერა-კითხვა უნდა ასწავლონ, როგორც ოსმალის დროს ყოფილა. რუსის მთავრობა მედრესებს შეეწევა და თავის მეარველობას არ მოაკლებს. რუსის მთავრობაც გამართ. ეს თავის სკოლებს, მაგრამ ძალით არავის არ წაიყვანს ამ სკოლაში. მაგრამ თუ ვინმე მუსულმანს ისურვა შევიდეს სწავანა ამ სკოლაში, ან ობლის, ეთიმის, პატრონმა ობლის გახარდა, იმათ უნდა სთხოვონ მთავრობას და ის ნებას მისცემს, რომ ყმაწვილები მიიღონ სკოლებში. მუსულმანის შეილებს ამისთანა სკოლებში ვყოფილებათ თავ სი იმამები, რომელნიც ასწავლიან იმათ მუსულმანის საჯულზე წერა-კითხვას. მოლებს, მუფტიებს და იმამებს იმედი უნდა ჰქონდეთ, რომ რუსის მთავრობა შეეწევა იმათ და თავის მოწყალებას არ მოაკლებთ, როგორც. არ ავლებს სხვა სარწმუნოების სასულიერო წოდებას. რუსის მთავრობას უწინაც ჰყავდა ათი მილიონი მუსულმანი, რომელთა მოლები, იმამები და მუფტიები მთავრობის მოწყალებით ცხვირობენ და კეთილ დღეობაში არიან.

7) დაწოენს მთავრობა ვერ მოშლის ამისათვის, რომ ეწინა, უცხო ქვეყნის ვაჭრობამ ხალხი არ გაადარბოს. მაგრამ ყოველ ღონისძიებით კი ეცდება, რომ ხალხს გაუადვილოს იმდენი საქონლის გატანა ბათუმიდან, რაც თავის სახლისათვის და მკვიდრისათვის დასაჭირდება.

8) სანამდის ბერლინის კონგრესით დადებული ვადა გადასახლებისა არ გავა, მანამდის მუსულმანებს შეუძლიათ თავისუფლად გადასახლება ოსმალეთში. იმათ შეუძლიათ ვაყიდონ თავის სახლ-კარი და ნივთები; მაგრამ ადგილ-მამულს ვერ გაჰყიდინან; მოაჯიროს შეუძლია მარტო მუღკის გაყიდვა, თუ ოსმალსაგან ბოძებული თოფი აქვს. ბერლინის კონგრესისაგან დადებული ვადა რომ გავა, იმის შემდეგაც შეუძლია თითო-თითოდ თითოეულს სახლობას ოსმალეთში გასვლა; მაგრამ მის გულისთვის პასპორტი უნდა აიღოს.

9) ფირალებს და მჭუცავეებს რუსის მთავრობა ფიცხად სჯის, მაგრამ საჭიროა, რომ მართალი მოწმეები და ცხადი საბუთები წარუდგეს სასამართლოს, და თუ ნამდვილად დამტკიცდა იმისი დანაშაულობა, კანონი ძალიან ფიცხად დასჯის, თვითონ მთავრობა ეცდება, რომ ფირალის გამამტყუნებელი საბუთები შეკრიბოს და მეგრე შეუბრალებლად დასაჯოს.

რუსის მთავრობას სხვა უფრო ფიცხელი ღონისძიება აქვს ფირალის დასასჯელად; იმას შეუძლია უცებ მოაშაროს ცუდი, გონჯი კაცი სოფელს და მემლექეთს; მაგრამ ამის გულისათვის სოფელმა და მემლექეთმა თვითონ უნდა შეადგინონ ქალაქზე თავისი გადაწყვეტილება და მუხურების დასმით, ან ხელის მოწერით უნდა სთხოვონ მთავრობას, - ესა და ეს გონჯი კაცი ან ფირალი მოგვაშორეო. ქალაქზე შედგენილ გადაწყვეტილებას. ორ მესამედს მცხოვრებლებისას უნდა ჰქონდეს ხელი მოწერილი. ამის შემდეგ იმათგან დასახელებულ ცუდს და გონჯ კაცებს მთავრობა უცხად გადასახლებს შორს ქვეყნებში ან საუკუნოდ, ან დიდი ხნით. თვითონ სოფლებს და მემლექეთებს ნება აქვთ დაიპირონ გონჯი კაცი და მერე შეუდგინონ გადაწყვეტილება იმათ დასაქარგავად; დაკვიროს უმაღაც შეუძლიათ მცხოვრებლებს შეადგინონ ქალაქზე გადაწყვეტილება, მერმე მთავრობაც შეეწევა იმათ დასაქვრად.

10) რუსის მთავრობა დანიშნავს სამხაზურში აქაურ მცხოვრებლებს, ვინც ღირსი იქნება, არამც თუ მარტო ზაფთიებათ, უჩასტკის ნაჩაღნიკებათაც. რუსის მთავრობა იმდენად გულდანდობილია აქაურ მუსულმანებზე, რომ იმათგან მილიციაც შეადგინა და უჩასტკის ნაჩაღნიკებიც დანიშნა აილულებით, ჯამაგირებით; მაგალითად, თუფან-ბეგი (შერვაშიძე) განაწესა ქვედა-აჭარაში, ახმედ-ბეგი ართვინის უჩასტკაში და ნური-ბეგი ხიმშიაშვილი შავშეთისა და იმერხევის უჩასტკაში.

11) ბათუმის მხარის უფროსი მისწერს ყველა ოკრუგებისა და უჩასტკების ნაჩაღნიკებს, რომ ისინი ტკბილად ექცეოდნენ ხალხს და ყურადღებით მოუხმენდნენ ყველს იმათ თხოვნას და გაჭირვებას; იმათ უნდა შეატყობინონ ყოველივე ხალხის თხოვნა და გაჭირვება ბათუმის გუბერნატორ-ფაშას, რომ იმან იზუამდგომლოს უმაღლეს მთავრობასთან და დააკაყოფილოს ხალხის სამართლიანი თხოვნა. ყოველივე, რაც ზემოთ მოხსენებულია, უნდა გამოცაადდეს აჭარა-ლივანში, შავზეთ-იმერხეში, ბათუმ-ჩრუქსუში, ბორჩხა-მაჭახელში და მურღულში იმ აზრით, რომ ხალხმა აღარ დაუჯეროს ცუფს კაცებს, რომელნიც ატყუებენ, ვითომც ხალხს მოელოდეს სხვადასხვა გაჭირება და შეწუხება რუსის მთავრობისაგან“.



შემოერთებისთანავე, რუსის მთავრობამ ბათუმის მხარეს ცალკე სამხედრო გუბერნატორი დაუნიშნა, ოლქი ნაწილებად დაჰყო და ცოტ-ცოტად და თანდათან მკვიდრნი, რომელნიც მარტოოდენ „რუსის“ ხსენებაზე სათოფეზე გარბოდნენ, შეეჩვივნენ რუსის ადმინისტრაციას, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობას. ამასთან ერთად დაგვიანდებოდნენ ორას წლობით დაშორებული და გულიდან მოწყვეტილი ძმები, ბედმა ისევ შეგვკაერთა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაზომ დიდი და განუსაზღვრელი უნდა ყოფილიყო მაშინ სიხარული მთლად ქართველობისა, რომელსაც ამდენი ხნის ნატურა, მაჰმადიან ქართველების შემოერთება შეუსრულდა. როცა ამ ეპოქას მოვიგონებთ, არ უნდა დავივიწყოთ ის ღვაწლი, რა ღვაწლიც მიუძღვის ჩვენს წინაშე განსვენებულ გრიგოლ გურიელს, რომელიც დაახლოებული იყო მაჰმადიან ქართველებთან. ეს ქვეშაირიტი მამულიშვილი კარგად იცნობდა მათ, იცოდა რა კილოთი, რა ჰანგით ელაპარაკნა ამ ისტორიული აქტის შესახებ, აფხსნა და ჩაეგონებინა მათთვის მისი მნიშვნელობა და ჩვენ ძმებად დავესახეთ, და არა მტრებად, როგორც მაჰმადის სარწმუნოება ასწავლიდათ.

ბათუმის მხარის შემოერთებისთანავე, 1878 წ. ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა ქართველ მაჰმადიანთაგან დეპუტაცია. ქართველების მოწინავე წრემ განიზრახა სადილი გაემართნა ამ ძვირფას სტუმრებისათვის და ამ სადილზე აღენიშნათ შეერთების ეს დაუვიწყარი აქტი, მოელოცნათ ერთმანეთისათვის ეს ბედნიერი დღე, ქართველური გული გადაეშალათ ერთმანეთისათვის და მტკიცე და ურყეველი საძირკველი ჩაეყარათ ძმობისა საიმედო მომავლისათვის. ამ შეხვედრას მოთავეობდა ჩვენი დაუვიწყარი მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანი. სადილი გამართული იყო თ: ივანე მუხრან-ბატონის სახლში, კლუბის დიდ დარბაზში. მასპინძლები ორმოცდაათ კაცამდე იყო. მათს შორის იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, გრ. ორბელიანი, კონ. მამაცაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, დიმ. ჯორჯაძე, დიმ. ფურცელაძე, ლიტერატურის წარმომადგენელი, გარდა ილია ქაქავაძისა, რომელიც ამჟამად თბილისში არ იმყოფებოდა, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ივ. კერესელიძე, ნიკ. ავალიშვილი, „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი და სხვ. სტუმრები ყოფილან 16 კაცი, მათ შორის გენერალ-მაიორი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. ამ ღირსსახსო-

ვარ სადილზე სიტყვები წარმოსთქვის: პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა, აქარელთა დეპუტაციის მეთაურმა ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლიმ, შემდეგ ალ. ზუბალაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა და აკ. წერეთელმა.

შუა სუფრის დროს გრ. ორბელიანი, სავსე ჭიქით ხელში, წამოდგა და წარმოსთქვა შემდეგი ჩინებული, გრძნობით სავსე სიტყვა:

„ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარია? რას ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სიხარულს მას სანახავსა, როდესაც ერთი დღის შვილნი, შავი ბედის გამო, განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, — ანაზღაურდალ. მოულოდნელად შეპხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადი სიყვარულითა.

„ჩვენცა, ეგრეთვე საქართველოს შვილნი, ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. თვალი, გული გვექირა თქვენკენ, ბატონებო, და გნატრობდით, როდეს აღმოვა ჩვენთვის მზე შეერთებისა!

„და აი, დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენს იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყევლად“... და დღეის იქით ლხინშიაც, კირშიაც, უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარცა ერთნი დედა — საქართველოს შვილნი“...

გრ. ორბელიანის შემდეგ წამოდგა უფროსი დეპუტაციისა ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი და წმინდა ქართული ენით რამდენიმე სიტყვით წარმოსთქვა სადღეგრძელო დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვლისა.

შემდეგ წამოდგა ალ. ზუბალაშვილი და თქვა:

„მოწყალეო ხელმწიფენო! რაც უნდა მძიმე ხვედრი შეხვდეს ხალხს, საზოგადოებასა, თუ ბოლოს ყოველივე კარგად გათავდება, დიად, კაცმა მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა!

„შემდგომ მრავალწლიანი ომისა, სისხლისღვრისა და სიმძულვარისა ორ ძმა ხალხს შორის, რუსეთისა და ოსმალის საქართველოსა, მიუხედავად მან განგებამ ისე მოიყვანა საქმე, რომ დღეს ეს ორი ჩამომტერებული ხალხი ერთად შეყრილნი ვართ და ვდღესასწაულობთ განხეთქილების მოსპობას ჩვენს შორის, ჩვენს ძმურად შეყრასა „ძველებურათა, ჩვენებურათა“ იმ კაის გულითა, რომელსაც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, ისე თქვენშიაც გეგულებით.

„ძველად დიად მრავალგვარი სიმდიდრე და სიკეთე ჰქონია საქართველოსა და ესლა ერთიდა მაინც საუნჯე კიდევ გვაქვს უნაკლულოდ, ესე იგი კაი გული, რომელიც ყოველთვის აღიძვრის თავგანწირულებით ყოველ საზოგადო კეთილ საქმეზედ ძმურის სიყვარულისათვის.

„ამგვარ თვისებისა გამო ჩვენი გულისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ახლა ნებით თუ უნებურად, ხომ ჩვენი ხართ, და რა გავიცანით ერთმანეთი და რა კიდევ ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ, მაშინ უმკველია, სულ ჩვენი

იქნებით, ერთნი ვიქნებით და ერთად გავსწვებ უღელსა, საზოგადო წარმატებისათვის!..

„მაგრამ ვის ჰმართებს კიდევ ქება და პატივი ამ ჩვენი შეერთებისათვის? ბატონებო, სტაქნები დაამზადეთ! ეს ქება და პატივი, დიახ გემართებს, რომ ვუძღვნათ ძლიერ რუსეთის ხალხსა! და ეს სადღევარძელო იყოს პატივისცემისათვის რუსეთის ხალხისა!“

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა დიმიტრი ყოფიანმა:

„დღევანდელისთანა დღე, დიდი ხანია, სანატრელი იყო ჩვენთვის. ორიოდე სიტყვა მომხსენებინეთ ამის განსამარტებელი.“

„ერთხელ საქართველოც ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზე გვემოწმებიან: ერთის მხრით—გმირული მოქმედება, რომელსაც თვალწინ წარმოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთი სახელისა, როგორიც, მაგალითად, ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი თამარ მეფე; მეორეს მხრით—გვემოწმებიან ისეთი ხუროთ-მოძღვრებითი ამოსაკითხავები, როგორც, მაგალითად, ციხესიმაგრეები და ტაძრები შიგნით და ტაძრები გარეთ, დიდის სიშორიდან რომ მოგვითხრობენ ქართველობის ქველობასა და ღვთისმოყვარობას,—ათონის მთიდან იერუსალიმამდე.“

„ბუნების გამოძიებლობით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრავი არა არის-რა. დროთა ბრუნვაში სხვადასხვა შეტაკებანი მომხდარა და ერთი ისეთიცა, რომ დაურღვევია ჩვენი გვარ-ტომობითი კავშირიცა. და ორასმა, სამასმა წელწაღმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა,—ისინი ჩვენთვის სწუხდნენ, ჩვენ—იმათთვის; ჩვენ იმათი აღარა ვიცით-რა, იმათ—ჩვენი.“

„ვინ იცის, კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დიდი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი, იმისმა ზრუნვამ ხალხთათვის მოგვამადა ეს შეერთება ამდენი ხნის დაშორებულებსა. როგორც თავადმა გრიგოლ დიმიტრის-ძემ წარმოსთქვა, მადლობას განუზომლადა ვზრდით ჩვენს გულში და რადგან ახლა აგვიხდა ასასწლეული ნატკრა, ვისურვოთ, თავად გრიგოლის სიტყვებისამებრ, სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილი კავშირისა უკუნისადმე! და ამ ჩვენს ძველს მოძმეებს რომ თვალით ვხედავთ და ძმურის სიყვარულით შევკზარით, შევსვათ სადღევარძელო იმათი!“

ნადინის დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა აკაკი წერეთელმა:

„ბატონებო! ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, მშირად დავსწრებივართ სუფრაზედა სადაც ჩვეულებრივი მოღებნა და გულგახსნილობა ყოფილა, მაგრამ ისიც კი არ დავგორჩენია შეუნიშნავად. რომ ხანდახან ამ მოღებნის დროს ზოგიერთ მოღბინე ქართველების მზიარულ სახეს კმუნვის ღრუბელი გადაჰკერია; თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწვეტდათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღასაც ინაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზე!..“

„დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მზიარულება უნაკლული და სიზარული უღრუბლო!“

„და რას უნდა მივაწეროთ ეს? [თუცა თითოეული თქვენთაგანიც კარგად გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა-ვითარებისაგან დაშორებულია“

ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელ ახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება.

„დიად, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიღეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩაესძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია!

„და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?“

„აქ მე გადაჭარბებულს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო; დედაენა და ერობა! ამაების სადიდებლად ბევრი შორმა გაუწევია და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარსენებულს მამა-პაპებს.“

„პირველი, ესე იგი, ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმეთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები გყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკილად სასაუბროდ.“

„მეორე, ესე იგი, ერობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთგვარად აუბეჭდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუთრად ქართველი ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთი შეხედვისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც; ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ წავალთ,—სამაოა, რომ აქვე, აი სულრაზედ მივიხედ-მოვიხედოთ.“

„ახლა გხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენ შორის ძმური კავშირი თურმე აროდეს არ ყოფილა მოშლილი!

„დიად, დღემდე თუ ცალკ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივიცემთ ერთმანეთს ხელს, დაავადებით ერთგზას და მივპართავთ ერთ მიზანს.“

„აქ ესეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ იმ ჩვენს სამაგალითო მამა-პაპებს, სხვათა შორის, ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ: მტრისა და მოყვრის პასუხის გება; ვისგანაც კი რამე კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გადაუხდიათ.“

„ამ ღირსებებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადაგებს და ვინც ავვისრულებს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დაუშტკიცოთ სიყვარული...“

„თუ ჩვენი მამა-პაპები აღვენებდნენ, თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალ-დახუჭული...“

„მზად ვიყოთ, რომ ბედს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, კარი გაუღოთ,—და უბედობას ვეწინააღმდეგოთ!“

„ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა!

„მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დაეფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადვენოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამზობრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდგ იმათ ენერგიას და ცოდნას მამებმაც დაეხმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვილაყვით, რომ ჩვენს წინაპრებთან პირშავად არ დაერჩეთ!“

სიტყვები ნიჭიერი მგონისა, რომელმაც გამოხატა დამსწრე საზოგადოების აზრი, დიდი აღტაცებით მოისმინა ყველამ. მთელი სადილის განმავლობაში ლაპარაკის საგანი—ძვირფასი სტუმრები, ახალი შემოერთებული მხარე და მათნი მკვიდრნი იყვნენ. ქართველის გული სავსებით აძგერებულ იქნა დიდის ხნითვე დაკარგული ძმების პოვნითა, მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ საინტერესოა ვიკითხოთ, ისიც: ამ ახლად შემოერთებულ მხარეში ჩვენი ძმები ჩვენს შესახებ რასა ჰფიქრობდნენ, მივჩინდით ძმებად თუ არა? სამწუხაროდ, სარწმუნოების ფანატიზმს, ეს გრძნობა შეუღ-

ყველა. მაგრამ ეს წმინდა გრძნობა არასოდეს არ გამქრალა და მარად ღვივოდა აქარელთა სულსა და გულში, როგორც უშრეტი ლამპარი. ჩვენი აზრით მეტად საინტერესოა გაცივნით წერილი აქარის უკანასკნელი ბატონის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა, დაბეჭდილი „დროებაში“ ერთი წლის შემდეგ იმ სამახსოვრო სადილისა, რომელზედაც ორივე შეერთებულმა ძმებმა ერთმანეთს დაახლოებენ მიულოცეს. თავის წერილში, რომელსაც აქვე გადმოვსწერთ, თავისი „აღსარება გამოსთქვა ავტორმა და სახელადაც „გულწრფელი აღსარება“ დაარქვა. აი ეს წერილიცა:

„კაცის ცხოვრება თავიდან ბოლომდისინ დღე-ღამესავეთ მუდამ ცვლა-მოძრაობაში არის.

„მე მინდა, ბატონებო, მოგახსენოთ ჩემი ცხოვრების უმთავრესი თავ-გადასავალი გულ-მართლობითა.

„მე, ჩემის ყმაწვილობის მოღმა, ჩემდა სამწუხაროდ, ოსმალოების ქვეშევრდომობაში ავახილე თვალი: თავიდანვე ჩემი თანაბემამულე, ჩემ მოძმეთ ტანჯვა, ჩაგვრა, თავში ცემის მეტი არა მინახია-რა! ვაზუვადებული ლხინი, სიხარული რა არის კაცითვის, უთუოდ მალე მოსაგდება, მოსწყინდება, რომ ჭირი, ნაღველი, კენესა და ოხერა რა იყოს..

„თუმცა მე კერძოდ, ჩემის ღირსების შესაფერად მომეტებული სახელიც მქონდა, პატივიც, კარგი ყოფა-ცხოვრებაც და სიმდიდრეც მამა-პაპეული, თუ ჩემგან შეძენილი, რომლით შემეძლო თავისუფლად ოსმალური გალაღებით და შევებით სიცოცხლე, მაგრამ ესე ყველა გარუული გამოჩენილობა თვალში სრულ არაფრად არ მომდიოდა!

„პირად ძალა-ნებრივ სიმხიარულე-კმაყოფილებას ვიჩენდი მართო ოსმალების სათვალ-ფერივით; მაგრამ შინაგან ტკბილი სული, მგური მუღამაჟის რაღაცა გამოურკვეველი სიმწუხრის ბნელ-უკუნით მოცული მქონდა; ვცდილობდი მუდამ ცისმარე დღეს, ამ ჩემის დავარდნილ-დაცემულის მდგომარეობის როგორმე გაუმჯობესობას. მაგრამ ვერაფერი ვერ მოვიგვარე!

„ან როგორ ავიცილებდი თავიდან ვგრეთ ბოროტ-მოვლინებათ, როდის ერთის მხრით ოსმალოების უსამართლობა, მძლავრობა, ცარცვა-მგლეჯელობა, დამაქცევლობა და ჩემ ტკბილ სამშობლოს უკიდურესი აოხრება, გატიალება დლითგან-დღეზე უფრო და უფრო მატულობდა?.. მეორე მხრით, ჩემსა საყვარელ მოძმე მეს-კლარჯთა ზნეობრივი საშინელი გარყვნა, განებვირება, ავჯულობა, მეთავეობა, სიხარება, მგლეჯელობა, მოსისხლეობა, ჭრა, ცვლა და მისთანა, კაცობრიობითის გზა-კვალითგან გარეთ გასვლა ღუაქვანა ჩემს ქვეყანას! და დღე ერთ მზგეფსად, მზგეფსი თვედ, თვე ერთ წლად და წელიწადი ერთ მოთელ საუკუნობად.

„ჯერ ოც-და-ხუთის წლისა არ ვიყავი, რომ მრავალი საუკუნოების უწყალოდ დატან-ჯულ მსხვერპლადა ვგრძნობდი მე ჩემს ნორჩს, ახლად გაშლილს ყვავილოვანს სიცოცხლეს! ანაირი ჩემი ტანჯული სიცოცხლის წამლად, ვსთქვი, ქვეყანაში შესვლა, კოლის შერთვა, დაწვრილ შეილება, ხან ერთზედ, ხან მეორეზედ გულის გადაყოლება, მოყვრებში კარგი დროების გატარება, ლხინი, სიხარული, ნაგარღობა და მასთან კაცს გულის მასიამოვნე. მაგრამ ამ ყველა საშუალებამ რაც არ მომიმეტა ჭირი ჭირზედ, თვარემ საამისოდ არა შეუმსუბუქებიათ-რა ჩემთვის. ერთი-სიტყვით, რკინის ვალიაში შემწყვედელი უფვის მდგომარეობას ჰგავდა დაახლოებით ჩემი მდგომარეობა. მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოძმეთა გამოსხნას, ჩემი ქვეყნითურთ, თურქეთის ხელიდან არუს ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შესვლას, რომლის მფარველობაც იყენენ დიდის

ხნის მოღმა ჩემი უმრავლეს საყვარელ მოძმეთა მხარე-ქვეყნები: იმერეთი, ქართლი, კახეთი, მესხეთის მცირე ნაწილი და სხვ., მაგრამ არ იქნა, არ მეღირსა..

1853 წელს ომიანობისა, ცოტა რამ იმედი მომეცა. ვამბობდი: აგერ, ახლა გამოვალ თურქეთის ქვეშევრდომობისაგან, ჩემიანება და ჩემს ქვეყანასაც გამოვიხსნი იმათ მტარ-ვალობითგან და დიდებულ რუსეთს შევეურთდები. მაგრამ, საუბედუროდ, ყოველი საშუალები გამიწყდა, გზა-კვლი დამეშო, ყოველგნით ფოლბი მომადგა და ხელი მომეცარა:-- განა მოიპოვება ყოველთვის სადმე მისთანა ერთგული მოყვარე მეგობარი, რომ შენ ხეა-შიაიდი მიამდო, პატიოსნად შეგინახოს და არ გაგთქვას? განა მოიძებნება მუდამ თავ-გრ. გურიელისთანა, უფ. მ. მეფისაშვილისთანა და ზოგიერთ ახალციხელებთანა გამოსადეგი ძმა-კაცები, გაქირებულნი კაცის ხელის-ხელ-მენდილად და წყალული გულის საბლუნ-წამლად, რომ ისარგებლოს ჩემისთანა სვე-ბედისგან განწირულმა კაცმა?..

„რაც იქნა, იქნა, მადლობა ღმერთსა, იმათ სრულ აღარ მოვიხსენიებ, ყველას დაგიწყების უფსკრულში მივსცემ. ახლა მადლობა, ქება და დიდება ყოველის მპყრობელს, ყოველის შემძღებელს, ყოველად სახიერს, ერთს ღმერთსა, რომ ამ ყველა ჩემი გულ-სულის შემავიწროებელმა ბნელ ღამის წამმა განვლო, გადაიარა. 1877 წლის ომიანობის მოღმა, ჩემდა საუკუნო სასიხარულოდ მომეცა საშუალება ღვთის მადლით მაღალ რუს ხელ-მწიფის მფარველობის ქვეშ შესვლისა. მეცა და ჩემს თანამემამულეთაცა ჩვენს მრავალრიცხველ ძმათა თანა შეერთებითა. კურთხეული განგება, რომ ჰბედავდა მუდამ ჩემი შეწუხებული გულის კნესა-ობერასა, ნუგეზით მომაგო სამაგებრო, მით ღამის ბნელი უკუნი ბრწყინავლე დღედ გადამექცა, სიმწუხარე—სიხარულად და ქირი ღბინხედ შემეტყალა!..

„მის მოღმა დაფუხაროვდი ქ. თბილისს, სხვა-და-სხვა ჩინებულ პირთა, თავადთა და ახნაუთა. თავიდან მოყოლებული უკანასკნელ ალსაველის მქონე პირთამდის და მათთანა პატივცემულ ყოველ წოდების პირთა ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერაოდეს ვერ დავიფრცებ ჩემ დღეში მე იმათ დიდ მოკეთობას, წრფელ კაცთ მოყვარუბას და მიღებულებას.. თუმცა ახლა დროებით ცოტა ხნით დავშორდი მე იმათ მწყალაობელ მოკეთე მოყვარობას. მაგრამ სულ-გული ისევ იმათთან მიბრუნავს იგინი არიან ჩემი გონების მარად მატარწყენნი, სასო-იმედნი და დავეიწყებულად ძვირფასნი სახსოვარნი..

„ღმერთმან ჰქნას, ისე მალე მივხვდე მე ჩემის გულის საწადას, მათთან ხლებასა, რომლის მსგავსი უბედნოერისი წამი არ შეიძლება იყოს ჩემთვის ამ ქვეყანაზედა.. ღმერთმან ჰქნას, მეცა და ჩემთა თანამომეტეცა საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდი კეთილშობილური მოქმედება; შევერთებულყოფთ მტკიცე ძმურად ჩვენს დიდის ხნის აქეთ დაშორებულ მრავალ რიცხვს ძმათთანა, სულითა და გულითა და ყოველ კეთილ-განწყობილებითა ხელი-ხელს მიგვეკეს და გარდაგვედგას ის გმირული ნაბიჯები, რითაც განთქმული იყვნენ ქრისტიანობისა ჩვენნი წინაპარნი საქვეყნოდ, ეხაროსთ დიდის ხნის მოღმა იმათ ღრმად მიძინაულის სულ-გულსა და იხვებდნენ ჩვენის ღირს მემკვიდრეობითა, რომლით წინ წაგა ქვეყნის მაშენებლობა. განახლდებიან ციხე-ტაძარნი, სამოქალაქო ვაჭრობა, ხელისნობა, სწავლა-მეცნიერება. ზნე-კეთილობით, ერთიანთადად და ათი-ათასად წარიმატება მიწის შემუშავება, ნერგვა, წინღვა, მყენა გამრავლება, ყოველი საზრდო გაგვიფუძვება, რომ ყოველი კაცი ბედნიერების გზა-კვალს დაადგეს-ღვთის მსახურებით, სიმართლით და კაცთმოყვარეობითა“..

შ ე რ ი ფ - ბ ე გ ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი

ქ. არტანის,

29 თბათეს (1879 წ.)

შეძლებინდაგვარად ვეცადეთ მკითხველისათვის გაგვეცნო წარსულიყოფა აქარისა იმ დრომდე, სანამ ეს კუთხე კერძოდ, და ბათუმის ოლქი საერთოდ, ბერლინის ტრაქტატის ძალით 1878 წელს რუსეთის იმ-

ჭერიას არ შემოუერთდა. შემდეგ წერილში ვეცდებით გავუზიაროთ მკითხველს ის ცნობები, რაც ადგილობრივ შეგკრიბეთ ამ მხარის შესახებ იმ დღიდან დაწყებული, რაც აქ რუსეთის ადმინისტრაციამ დაიწყო შოქმედება და ყოველივე დაექვემდებარა იმპერიის საერთო კანონებს.

VI

აწინდელი აპარა

ადმინისტრაციული დანაწილება და მცხოვრებნი: ადმინისტრაცია, სამართალი, ზნეობა, მცხოვრებთა რიცხვი. — ეკონომიური მდგომარეობა: ხვნათესვა, საქონლის მოვლა-მოშენება, მებაღეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, შინა-ხელსაქმობა, სამუშაოდ გასვლა, ვადასახადი.

ადმინისტრაცია. ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ აწინდელი აპარა ადმინისტრაციული მხრით ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთით — ახალციხის მაზრაა საზღვარი, ჩრდილოეთით — გურია, სამხრეთით — შავშეთ-იმერხევი და დასავლეთით — სოფელი კიბე, რომელიც ქვემო-აპარის წაწილს გონიის ნაწილისაგან ჰყოფს. ამ საზღვრებში მოთავსებულია ზემო-აპარის და ქვემო-აპარის ნაწილები, ანუ საბოკაულონი. ზემო-აპარაში ნაწილის უფროსის სამყოფელია სოფ. ხულო, ხოლო ქვემოსაში — სოფ. ქედა.

უფროსებად ქვემო და ზემო აპარაში, როგორც ბათუმის სხვა ნაწილებშია, პირველად ადგილობრივნი მკვიდრნი იყვნენ დანიშნულნი იმ მოსახრებით, რომ ახალი ადმინისტრაციული წესწყობილება მომეტებული სიადვილით შეეტანათ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულების, მათი ზასიათის მცოდნე-მოსამსახურეთ. ჩვენ მოვუსწარით ხულოში უფროსად გურიის მკვიდრს, კაკიტანს ალ. ბერიძეს და ქედაში — თუფალ-ბეგ შარვაშიძეს. ჩვენი იქ ყოფნის ერთი წლის უკან ორივემ გაანება სამსახურს თავი. თითოეულ უფროსს თითო თანაშემწე (იგივე საქმის მწარმოებლები) და თითო თარჯიმანი (იგივე მწერალი) ჰყავთ. უფროსებს მინდობილი აქვთ ზრუნვა წესიერების დაცვისა, ზოგიერთ შემთხვევაში სამართლის გაჩენისა და მკვიდრთა ეკონომიურ ყოფისათვის. ნაწილის უფროსებად, ჩვეულებრივ, ინიშნებიან უკვე სამხედრო სამსახურში ნამყოფნი. მათს განკარგულებაშია თორმეტამდე ჩაუში, ანუ ჩაფარი, რომელნიც ადგილობრივ მკვიდრთაგან გამოჰყავთ და თვიურ ჯამაგირს აძლევენ.

სამართალი. ამა თუ იმ დანაშაულისათვის სასჯელის გადაწყვეტა და მოდავეთათვის სამართლის გაჩენა აპარაში ორი ადგილობრივი დაწესებულების ხელშია. ერთი — სასოფლო სასამართლო, რომელსაც შეადგენს სოფლის მამასახლისი, იმამი და სასოფლო მოსამართლენი, ანუ მეჯლისნი. ეს დაწესებულება არჩევს პატარა, მცირე-მნიშვნელოვან საქმეთა. თუ

შომჩივან-მოპასუხე სოფლის სასამართლოს განაჩენმა არ დააკმაყოფილა, საქმე გასარჩევად გადადის ნაწილის საერთო სასამართლოში. ამ სასამართლოს თავმჯდომარედ არის ნაწილის უფროსი, ხოლო წევრებად: ყადი; რომელიც გუბერნატორის მიერ ინიშნება და სამი საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი. ესენი ამ თანამდებობაზე ინიშნებიან ნაწილის უფროსის წარდგენილების თანახმად. ასე, რომ მთელი კრებული ფაქტიურად ნაწილის უფროსს ექვემდებარება, რადგან მასსზეა დამოკიდებული ვინ და ვინ წარადგინოს დასამტკიცებლად. თუ მოდავენი ნაწილის საერთო სასამართლოს განაჩენითაც არ იქნებიან კმაყოფილნი, იმ შემთხვევაში საქმე ირჩევა ბათუმის ოლქის საერო სასამართლოში, სადაც არიან თავმჯდომარე (ოლქის უფროსი), ყადი (საოლქო) და რამდენიმე წევრი.

ადგილობრივი მკვიდრნი ზოგად სახელმწიფო მნიშვნელოვან დანაშაულისათვის და აგრეთვე სისხლის სამართლის საქმისათვის სახელმწიფო საზოგადო კანონთა ძალით სამართლებიან. დანარჩენნი საქმენი და სამოქალაქო დევანი ირჩევიან საერთო სასამართლოს მიერ. საქმის გარჩევა სიტყვიერია და ორნაირადა ხდება: მემკვიდრეობის საქმე, ცოლქმრული და საოჯახო უთანხმოება შარიათის, ან მაჰმადიანური კანონის თანახმად ირჩევა ყადის მიერ. მის დადგენილებას ნაწილის სასამართლოს თავმჯდომარე ამტკიცებს, ხოლო სხვა საქმეს, ადათის თანახმად, დანარჩენი წევრები ხმის უმეტესობითა სწყვეტენ.

აჭარელი მეტად თავაზიანია, ზრდილი და პირად მთქმელი. აჭარელი ერიდება კაცის შეურაცხყოფას, მაგრამ ერიდება იმასაც, რომ სხვებმაც არ შეურაცხყოს იგი. შურის ძიება და „სისხლის აღება“ ძველთაგან დარჩენილია. თუ კაცი შემოაკვდა, მოელის, რომ მოკლულის ნათესავისაგან აღრე თუ გვიან იმავე საწყაოთი მიეწყვის. აქედან წარმოსდგება ყაჩაღად გავარდნა, რომლის შესახებ ამდენსა ჰყვირიან ბუკითა და ნალართა. კაცის მკვლელი სულ სისხლის აღების მოლოდინშია და უმეტეს შემთხვევაში ტყეში და სახლს გარეთ იფარავს თავსა, გაქირვებულია და იძულებული ხდება ამ შემთხვევაში სხვას წაართვას რამე. საზოგადოდ, თუ შეხედება კაცი, ისევ ამ ტიპის ყაჩაღს. ხოლო პროფესიული ყაჩაღი, რომელსაც სხვის ცარკვა-გლეჯა ხელობად ჰქონდეს გამხდარი, ძალიან იშვიათია ხოლმე აქ. მაგრამ წარმოიდგინეთ, ყაჩაღობის დროსაც კი თავის ღირსებას არა ჰკარგავს აჭარელი. სიმართლის თქმა, რაინდული ხასიათი ამ გაქირვებულ მდგომარეობაშიაც კი არ ავიწყდება და სწამს, რომ ვაჟკაცი ტყუილს არ იტყვის. მეტად დამახასიათებელია აქაურისათვის შემდეგი შემთხვევა. რამდენიმე წლის წინათ ბათუმ-ახალციხის შარა-გზაზე აჭარაში იწყინებრი პასეკი გაძარცვეს. ყაჩაღებმა პასეკს წაართვეს საათის ძეწყვი და ფულად ათი თუმანი. შავი ნიკელის საათი უკანვე დაუბრუნეს თურმე, სირცხვილია, ასეთი ნიეთის წართმევაო. მერე უკითხავთ, ჩემოლანში რა გაქვსო? პასეკს უპასუხნია—არაფერია შიგაო, იმ დროს როცა შიგ ექვსასი თუმანი დებულა. ყაჩაღები ენდგენენ თურმე,—ასეთი ნა-

ჰერიას არ შემოუერთდა. შემდეგ წერილში ვეცდებით გავუზიაროთ მკითხველს ის ცნობები, რაც ადგილობრივ შეეკრიბეთ ამ მხარის შესახებ იმ დღიდან დაწყებული, რაც აქ რუსეთის ადმინისტრაციამ დაიწყო მოქმედება და ყოველივე დაექვემდებარა იმპერიის საერთო კანონებს.

VI

აწინდელი აპარა

ადმინისტრაციული დანაწილება და მცხოვრებნი: ადმინისტრაცია, სამართალი, ზნეობა, მცხოვრებთა რიცხვი. — ეკონომიური მდგომარეობა: ხვნათესვა, საქონლის მოვლა-მოშენება, მებაღეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, შინა-ხელსაქმობა, სამუშაოდ გასვლა, გადასახადი.

ადმინისტრაცია. ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ აწინდელი აპარა ადმინისტრაციული მხრით ორ ნაწილად გაიყო. აღმოსავლეთით — ახალციხის მაზრაა საზღვარი, ჩრდილოეთით — გურია, სამხრეთით — შავშეთ-იმერხევი და დასავლეთით — სოფელი კიბე, რომელიც ქვემო-აპარის ნაწილს გონიის ნაწილისაგან ჰყოფს. ამ საზღვრებში მოთავსებულია ზემო-აპარის და ქვემო-აპარის ნაწილები, ანუ საბოქაულონი. ზემო-აპარაში ნაწილის უფროსის სამყოფელია სოფ. ხულო, ხოლო ქვემოსაში — სოფ. ქედა.

უფროსებად ქვემო და ზემო აპარაში, როგორც ბათუმის სხვა ნაწილებშიაც, პირველად ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ დანიშნულნი იმ მოსახლეობის, რომ ახალი ადმინისტრაციული წესწყობილება მომეტებული სიადვილით შეეტანათ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულების, მათი ზასიათის მცოდნე-მოსამსახურეთ. ჩვენ მოვუსწარიტ ხულოში უფროსად გურიის მკვიდრს, კაპიტანს ალ. ბერიძეს და ქედაში — თუფალ-ბეგ შარვაშიძეს. ჩვენი იქ ყოფნის ერთი წლის უკან ორივემ გაანება სამსახურს თანვი. თითოეულ უფროსს თითო თანაშემწე (იგივე საქმის მწარმოებლები) და თითო თარჯიმანი (იგივე მწერალი) ჰყავთ. უფროსებს მინდობილი აქვთ ზრუნვა წესიერების დაცვისა, ზოგიერთ შემთხვევაში სამართლის გაჩენისა და მკვიდრთა ეკონომიურ ყოფისათვის. ნაწილის უფროსებად, ჩვეულებრივ, ინიშნებიან უკვე სამხედრო სამსახურში ნამყოფნი. მათს განკარგულებაშია თორმეტამდე ჩაუში, ანუ ჩაფარი, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთაგან გამოჰყავთ და თვიურ ჯამაგირს აძლევენ.

სამართალი. ამა თუ იმ დანაშაულისათვის სასჯელის გადაწყვეტა და მოდავეთათვის სამართლის გაჩენა აპარაში ორი ადგილობრივი დაწესებულების ხელშია. ერთი — სასოფლო სასამართლო, რომელსაც შეადგენს სოფლის მამასახლისი, იმამი და სასოფლო მოსამართლენი, ანუ მეჯლისნი. ეს დაწესებულება არჩევს პატარა, მცირე-მნიშვნელოვან საქმეთა. თუ

შომჩვიან-მობასუხე სოფლის სასამართლოს განაჩენმა არ დააკმაყოფილა, საქმე გასარჩევად გადადის ნაწილის საერთო სასამართლოში. ამ სასამართლოს თავმჯდომარედ არის ნაწილის უფროსი, ხოლო წევრებად: ყადი; რომელიც გუბერნატორის მიერ ინიშნება და სამი საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი. ესენი ამ თანამდებობაზე ინიშნებიან ნაწილის უფროსის წარდგენილების თანახმად. ასე, რომ მთელი კრებული ფაქტიურად ნაწილის უფროსს ექვემდებარება, რადგან მასსხვა დამოკიდებული ვინ და ვინ წარადგინოს დასამტკიცებლად. თუ მოდავენი ნაწილის საერთო სასამართლოს განაჩენითაც არ იქნებიან კმაყოფილნი, იმ შემთხვევაში საქმე ირჩევა ბათუმის ოლქის საერო სასამართლოში, სადაც არიან თავმჯდომარე (ოლქის უფროსი), ყადი (საოლქო) და რამდენიმე წევრი.

ადგილობრივი მკვიდრნი ზოგად სახელმწიფო მნიშვნელოვან დანაშაულისათვის და აგრეთვე სისხლის სამართლის საქმისათვის სახელმწიფო საზოგადო კანონთა ძალით სამართლებიან. დანარჩენნი საქმენი და სამოქალაქო დავანი ირჩევიან საერთო სასამართლოს მიერ. საქმის გარჩევა სიტყვიერია და ორნაირად ხდება: მემკვიდრეობის საქმე, ცოლქმრული და საოჯახო უთანხმოება შარიათის, ან მაჰმადიანური კანონის თანახმად ირჩევა ყადის მიერ. მის დადგენილებას ნაწილის სასამართლოს თავმჯდომარე ამტკიცებს, ხოლო სხვა საქმეს, ადათის თანახმად, დანარჩენი წევრები ხმის უმეტესობითა სწყვეტენ.

აჭარელი მეტად თავაზიანია, ზრდილი და პირად მთქმელი. აჭარელი ერიდება კაცის შეურაცხყოფას, მაგრამ ერიდება იმასაც, რომ სხვებმაც არ შეურაცხყოს იგი. შურის ძიება და „სისხლის აღება“ ძველთაგან დარჩენილია. თუ კაცი შემოაკვდა, მოელის, რომ მოკლულის ნათესავისაგან აღრე თუ გვიან იმავე საწყაოთი მიეწყვის. აქედან წარმოსდგება ყაჩაღად გავარდნა, რომლის შესახებ ამდენსა ჰყვირიან ბუკითა და ნალართა. კაცის მკვლელი სულ სისხლის აღების მოლოდინშია და უმეტეს შემთხვევაში ტყეში და სახლს გარეთ იფარავს თავსა, გაქირვებულია და იძულებული ხდება ამ შემთხვევაში სხვას წაართვას რამე. საზოგადოდ, თუ შეხვდება კაცი, ისევ ამ ტიპის ყაჩაღს. ხოლო პროფესიული ყაჩაღი, რომელსაც სხვის ცარცვა-გლეჯა ხელობად ჰქონდეს გამხდარი, ძალიან იშვიათია ხოლმე აქ. მაგრამ წარმოიდგინეთ, ყაჩაღობის დროსაც კი თავის ღირსებას არა ჰკარგავს აჭარელი. სიმართლის თქმა, რაინდული ხასიათი ამ გაქირვებულ მდგომარეობაშიაც კი არ ავიწყდება და სწამს, რომ ვაჟკაცი ტყუილს არ იტყვის. მეტად დამახასიათებელია აჭარისათვის შემდეგი შემთხვევა. რამდენიმე წლის წინათ ბათუმ-ახალციხის შარა-გზაზე აჭარაში ინეინერი პასკვი გაძარცვეს. ყაჩაღებმა პასკეს წაართვეს საათის ძეწყვი და ფულად ათი თუმანი. შავი ნიკელის საათი უკანვე დაუბრუნეს თურმე, სირცხვილია, ასეთი ნივთის წართმევაო. მერე უკითხავთ, ჩემოდანში რა გაქვსო? პასკეს უბასუხნია—არაფერია შიგაო, იმ დროს როცა შიგ ექვსასი თუმანი დებულა. ყაჩაღები ენდგნენ თურმე,—ასეთი ნა-

სწავლი კაცი ტუჟილს როგორ იტყვისო, და ჩემოდნისათვის ხელიც კი არ უხლიათ.

ამგვარი ავკაცობის გარდა, რომელსაც სარჩულად ედება წმინდა ეკონომიური მიზეზი და პირადი ინტერესი, რაიცა ძლიერ იშვიათია ხოლმე, კაცის კვლას და სისხლის ღვრას ადგილი აქვს მეორე შემთხვევაშიაც. ამ მეორე შემთხვევას იწვევს ხოლმე ძველი ჩვეულება საცოლეს მოტაცებისა, როცა მშობლები ქალისა წინააღმდეგნი არიან ხოლმე. უფრო მეტ შემთხვევაში საქმე მორიგებით თავდება ხოლმე, მაგრამ მოხდება ისიც, რომ სასიძოსა და ქალის ნათესაეების მხრივ სისხლიც დაიღვრება, თუ, განსაკუთრებით, საცოლეს წინააღმდეგია თავის მომტაცებლის სურვილისა.

სტატისტიკური ცნობები, რომელიც ყველაზე უტყუარი მაჩვენებელია ამა თუ იმ მოვლენისა, ჩვენს აზრს ჩვენს სასაოგებლოდ ემოწმება და აქარწყლებს იმ ცილისწამებას, რომლის მსხვერპლნი გამხდარან აჭარის მკვიდრნი. ამასთან, საჭიროდ მაგვჩანია მოვიხსენიოთ, რომ სისწორე თუ სიმართლე ამ ცნობებისა მათი შემდგენელის კეთილსინდისიერებაზე გვაქვს მინდობილი.

მცხოვრებთა რიცხვი. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მცხოვრებთა რიცხვი მეტად მცირეა აჭარაში და რაც არის, ისიც დღითიდღე მცირდება, ან თუ მატულობს, მეტად სუსტად. ამის მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, ქონებრივი უძლეულება და აქაურ მწირ ბუნებასთან ზომამზე, მეტი ბრძოლაა. ჯერ იყო და ამ მხარეს რუსეთთან შეერთებისთანავე თითქმის ნახევარი რიცხვი მკვიდრთა თურქეთში გადასახლდა მუშაჯირად. ამ შემთხვევაში ეკონომიური მიზეზი იმდენად არ იყო, როგორც ქადაგება მოღებისა და მათ მიერ ძაგება რუსეთის წეს-წყობილებისა. აქარელნი, გულაცრუებულნი, თავის ერთმორწმუნე ხალხთან ეძებდნენ ნსნას და სამშობლო მხარეს თავს ანებებდნენ. ოთხმოცდაათიან წლებიდან გადასახლება შესწყდა. წელიწადში რამდენიმე მოსახლე თუ დაანებებს თავს აქაურობას. დაახლოვებით სწორი ცნობები აქაურ მოსახლეთა რიცხვის ცვლილების შესახებ ჩვენა გვაქვს 1889 წლიდან დაწყებული. ვიდრე 1896 წლამდე და ისიც ზემო-აჭარის შესახებ. რაც შეეხება ქვემო-აჭარას, მარტო 1895 წლის ცნობები შეეკრბით. ამასთან საჭიროდავთვლით აღვნიშნოთ, რომ ციფრებში სხვა ეროვნების წარმომადგენელნი მეტად მცირეა; ას სულამდე თუ იქნება როგორც ზემო, ისე ქვემო აჭარაში. ისიც ხულოსა და ქედაში არიან, როგორც ვაჭრები, სახელდობრ სომხები, ბერძნები და თურქები. სოფლად კი თვინიერ აქარელისა სხვა ეროვნებისა არაეინ ცხოვრობს.

მცხოვრებთა რიცხვი ზემო აჭარაში

1889—1896 წ. წ.

წელი- წადი	რიცხვი კომლთა	რიცხვი მდედრთა	რიცხვი მამრთა	თრი- ერთად
1889	2 609	8 423	9 156	17 579
1890	2 609	8 542	9 260	17 802
1891	2 615	8 730	9 466	18 196
1892	2 615	8 848	9 620	18 468
1893	2 615	8 893	9 886	18 779
1894	2 644	8 990	10 168	19 158
1895	2 645	9 052	10 261	19 313
1896	2 645	9 112	10 353	19 465

როგორც მკითხველი ხედავს, ამ საანგარიშო წლების განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვს მინცადამინც სახარბიელოდ არ უმატნია. შვიდი წლის განმავლობაში 2 609 კომლი რის ვაი-ვაგლახით 2 645 კომლი გამზდარა, ანუ 37 კომლი მომატებია, ესე იგი ორთაშუა რიცხვით წელიწადში $5\frac{2}{7}$ კომლი მომატებია. ხოლო იმავე ხნის განმავლობაში 17 579 სული 19 465 სულადლა გადაქცეულა, ანუ 1 206 სული მომატებია, რაიცა ორთაშუა რიცხვით შვიდასი წლის განმავლობაში შეადგენს ყოველწლიურს $172\frac{2}{7}$ სულს! ყოფილა ისეთი ბედნიერი წელიწადი, რომ ამ რიცხვს აღმატებია (მაგალითად 1892 და 1913 წწ.), მაგრამ გამოირკვა ისეთი წელიწადიც (1890წ.), როდესაც მცხოვრებთა რიცხვს 23 სულილა მომატებია.

საანგარიშო 1894 წელს მთელ ზემოაჭარაში

ქორწილი ყოფილა	36
დაბადებულა (მამრი 192, მდედრი—107)	299
მომკვდარა (მამრი)—99, მდედრი—45)	144

ასე რომ მთელი წლის განმავლობაში მომატებია:(მამრი 93 და მდედრი—62) 155 სული.

რაც შეეხება აჭარის მეორე ნაწილის, ქვემო-აჭარის, მცხოვრებთა რიცხვს, სამწუხაროდ, ამათსავე შესახებ არა გვაქვს ისეთივე ცხრილი, მაჩვენებელი მცხოვრებთა რაოდენობისა და მათი რიცხვის ცვლილებებისა რამდენისამე წლის განმავლობაში ერთად. ამგვარი ცხრილის მაგიერად აქ მოგვყავს 1895 წლის ანგარიში მცხოვრებთა, საიდანაც, კომლული და სულელი რიცხვის გარდა, მკითხველი დაინახავს სოფლების სახელებს და რომელ სოფელში რაგვარად არის განაწილებული ორივე სქესის რიცხვი.

სოფლები და მცხოვრებთა რიცხვი 1895 წ. ქვედა აპარაში

სოფლები	კომლი	მდებრი	მამრი	ორივე სქესის რიცხვი
1. ქედა	19	43	46	89
2. სამზიარ-შაგაბური	20	49	55	104
3. ძენიაშანი	32	118	115	233
4. კაკა-ოლლი	29	49	55	104
5. ორცვა	36	71	98	169
6. ალი-ოლლი	71	170	233	403
7. მეძიბნა	55	121	142	263
8. მერისი	186	588	696	1,284
9. აუუწა	51	99	116	215
10. ვაიო	57	106	128	234
11. ჯოდანი	53	125	148	283
12. ქინკაძე	33	82	87	169
13. აგარა	57	185	234	419
14. საღორეთი	38	90	107	197
15. ზესოფელი	35	70	95	165
16. ზვარე	34	77	94	171
17. გარდშანისი	17	35	34	69
18. წონიარისი	39	91	93	184
19. კვაშტა	51	106	125	231
20. კანტაური	30	51	67	118
21. აბუქეთა	24	55	68	123
22. ორთა-ხოხნა	22	46	46	92
23. კორომხეთი	20	40	51	91
24. დერე-ხოხნა	65	134	154	288
25. ახო	75	164	220	384
26. გოგელიძე	36	91	106	197
27. ცხმორისი	59	168	173	341
28. კოკოტაური	38	98	116	214
29. ზუნდალა	62	191	216	407
30. დანდალო	131	310	387	697
31. კიბე	55	170	166	336
32. კაპნისთავი	39	103	122	225
33. ზედა-მახუნცეთი	45	73	83	156
34. ქვედა-მახუნცეთი	30	69	82	151
35. ბზუბზუ	31	57	61	118
36. გოგიაძე-შოთაძე	30	60	65	125
37. გულეები	42	105	129	235
38. ზენდილი	45	101	128	229

39. ცხემლა	10	24	37	61
40. უჩხითი	56	134	163	297
41. მილისი	28	71	76	147
42. ნამლისი	19	54	70	124
43. მაჭახლისპირი	14	40	49	89
44. ქვედა-ხერთვისი	18	42	54	96
45. მალლაკონი	16	29	31	60
46. ქალახმელა	18	38	37	75
47. ქიძნათი	43	136	156	292
48. ქობალეთი	17	81	66	147
49. ღვარა	13	31	30	61
50. აჭარის-ალმართი	39	83	122	205
51. სინდიეთი	11	15	20	35
52. ქედ-ქედი	17	35	43	78
53. ჭანიერი	17	41	35	76
54. ჩხუტუნეთი	72	127	150	277
55. გორგარეთი	16	35	41	76
56. საფუტკრეთი	11	31	35	66
57. ჩიქუნეთი	66	209	208	417
58. ცხემლანა	9	24	17	41
59. ზედა-ხერთვისი	45	84	77	161
60. ზედა-ვაკე	25	57	59	116
61. ეფრათი	17	47	53	110
62. ქვაბისთავი	11	31	45	76
63. მინდიეთი	73	137	167	304
64. აკრია	32	63	82	145
სრულად	2 506	6 071	7 064	13 135

საანგარიშო 1895 წელს ქვედა-აჭარაში:

ჯვარი დაუწერიათ	28 კაცს
დაბადებულა (მდედრი — 131, მამრი — 134)	266 სულს
გარდაცვლილა (მდედრი — 29, მამრი — 82)	111 „
მცხოვრებთ მომატებია	154 „

რადგან ვერ მოვახერხებთ გვეშოვნა ამნაირივე მაჩვენებელი ზემო-აჭარის სოფლებისა და მათში განაწილებულ მცხოვრებთა, მკითხველს ძალაუნებურად უნდა დავაჯგროთ მხოლოდ სიას სოფლებისას, რაც საინტერესო უნდა იყოს, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ზემო-აჭარის სოფლების სახელების გაცნობაცა სწადს. მოგვეყავს რა ეს სიაცა, საჭიროდა ესთვლით დავსძინოთ, რომ სრული არ არის, შეიძლება თხუთმეტის ან ცოტა მეტი სოფლის სახელი გამოგვჩნა, ამიტომ რომ ზედა-აჭარაში მცხოვრებთა რიცხვი მთელი შვიდი ათასით მეტია ქვედა-აჭა-

რისაზე, მაშასადამე, სოფლებიც მეტი უნდა იყოს. აი ეს სიაცა, ანბანურს რიგზე დაწყობილი:

ა) აგარა, აღმათე, ახალდაბა; ბ) ბაკო, ბართაული, ბედლეითი, ბუთუ-რაული; გ) გოგამე, გუდასხევი, გორხანაული 10; დ) დიდ-აჭარა, დიაკონი-ლი, დიაკონიძე, დარჩიძე, დოვანი, ვაკე, ვერნები, ვარდისციხე, ვარჯანაუ-ლი; ზ) ზემოხევი 20; თ) თხილვანა; ი) იაკობიძე; კ) კალოთა, კვატია, კარაპეტა, კვახიძე, კვიწინაძე; ლ) ლამანაური, ლაკლაკიძე; მ) მანიაკეთი 30, მახალაიძე, მოპინეთი, მაწყვალთა; ნ) ნიგოზაული, ნადაბური, ნა-ნოშვილები, ნამონასტრევი; ო) ოქროპილარი, ოთანახევი, ოლადაური 40, ორთამელე; პ) პაქსიძე, პაპაშვილები; რ) რიყეთი; ს) სხალთა; ტ) ტაბაძველი, ტაკიძე, ტბეთი; ფ) ფაჩხა, ფურტიო 50; ლ) ღორჯომი, ღორჯომელაძე; ყ) ყადი-ოღლი; ჩ) ჩავო; ც) ცინტარიძე; წ) წინარიძე, წყლის-საყარი, წაბლანა; კ) კედლური, ქვანა 60; ხ) ხულო, ხიხაძირი, ხაბელაშვილები, ჯ) ჯაბნიძე—64.

აქუერების გვარების შესახებ ის უნდა ვსთქვათ, რომ ზოგიერთს გვარი გადაუთურქულებია, თუმცა ამასთან თავისი წინანდელი (გურჯული) გვარიც ახსოვს, ზოგს კიდევ ქართული გვარის დაბოლოება თურქულად გადაუკეთებია. აქ მოგვყავს ის გვარები, რომლებიც ხელუხლებლად, პირვანდელი სახით დარჩენილა და სრომლებიც ქვედა-აჭარაში შევ-კრიბეთ.

აბაშიძე
აბუეთელი
აბულაძე
ავალიანი
აზნაურაშვილი

ალექსაძე
ანანიძე
ასაბნაძე
ახველი

ბადმელიძე
ბაიძე
ბაზანდრიძე
ბალაძე
ბარამიძე
ბასილაძე

ბედინაძე
ბეჟანიძე
ბერიძე
ბოლოძე
ბოლქვაძე
ბროლაძე

გაბლაძე
გათენაძე
გელაძე
გვიანიძე
გზავრიძე
გოგიტიძე

გოგლაძე
გოგრაშვილი
გორგილაძე
გორაძე
გორდელაძე

დავითაძე	დიასამიძე
დევაძე	ღუმბაძე
დვალაძე	
ვაშაკიძე	ვენაძე
ვაშაყმაძე	
ზანაკიძე	ზაკარიძე
ზაქარაშვილი	ზოიძე
თავდგირიძე	თელიშვილი
თებიძე	თოდრაძე
თელიაშვილი	თურმანიძე
თეთემაძე	
იაშვილი	ირემაძე
კანტაქრელი	კვირიტაძე
კარიჭაშვილი	კიძინაძე
კახაბერიძე	კობლაძე
კახიძე	კონცელიძე
კილაძე	კოკობაშვილი
კვირიკაშვილი	კუზიაშვილი
კიბორიძე	კურცხალია
ლაზიშვილი	
შაკარაშვილი	შახაჩაძე
შამინაიშვილი	შახაჭაძე
შარშანია	შეგრელიძე
შატარაძე	შიქელაძე
შაქახელიძე	შორთულაძე
შნათაძე	წაკაშიძე
ოროშვილი	ოჭრიაძე
პოპუნძე	პარხალიშვილი
პარტენაძე	პეტრიძე
ჟღენტო	

საბძელიშვილო	სახაშვილი
საითაძე	სერობიძე
სალიძე	სოლოლაშვილი
სანიკიძე	სურმანიძე
სარაჯიშვილი	
ტაკიძე	ტრიკაძე
ტურიაშვილი	
უსტიაშვილი	უჩხაშვილი
ფარსენიძე	ფოცხოველი
ქავთარაძე	ქინძაძე
ქათამაძე	ქუჩუკაშველი
ქაჯაია	
ლორჯომელიძე	
ყარაშვილი	ყიფიანი
ყარაჩიშვილი	
შავიშვილი	შარტაშიძე
შავლიშვილი	შაქარიძე
შავლიძე	შოთაძე
შარაბიძე	
ჩაქველიშვილი	ჩიკუტაძე
ჩერქეზიშვილი	ჩხაიძე
ჩიკვაიძე	ჩხეიძე
ჩიკოლაძე	
ცარიელიშვილი	ცინცაძე
ძველიშვილი	ძნელაძე
ძიძიშვილი	
წავიშვილი	წითელაძე
წანწალიკიშვილი	წითლაძე
წვიტიშვილი	წულუკიძე
ქიანიშვილი	ქინჭარაძე
ქინკაძე	
ჯაბნიძე	ჯაყელი
ხონხელი	

ზემო-აჭარის მცხოვრებთა გვარების სია არა გვაქვს, მაგრამ არა გვეგონია, აქ ჩამოთვლილ გვარების გარდა ოცზე მეტი იყოს განსხვავებული.

ამ გვარების ღირსებათა შესახებ ის-ღა გვეთქმის, რომ ოსმალეთის მიერ ამ მხარის დამორჩილების და აქაურ წეს-წყობილების შეცვლის შემდეგ ჩვენბურთი „თავადები“ ოსმალურ „ბეგებად“ იქცნენ. ხოლო ის ბეგები, რომელნიც ჩამომავალნი იყვნენ ადგილობრივი მთავრებისა; მაგ., აბაშიძენი (ქვემო აჭარაში) და ხიმშიაშვილები (ზემო აჭარაში)—სანჯაყ-ბეგებად იწოდებოდნენ. ამჟამად ბეგთა გვარს ეკუთვნიან თავ-დგირიძენი, ბეჟანიძენი, ან ბეჟან-ოღლები, შარვაშიძენი და ხიმშიაშვი-ლები. ჩვენბურთი აზნაურები ადებად იწოდებიან. უბრალო ადებად ითვ-ლებიან აქ სხვათა-შორის, ამ მხარის და საზოგადოდ, ზემო ქართლის ბა-ტონ ათაბაგთა ჩამომავალნი ჯაყელნი, რომელნიც, რიცხვით შვიდ კომ-ლაძედ, ქვემო აჭარის სოფ. კვაშტაში ცხოვრობენ. ეს მხარე რუსეთმა რომ შემოიერთა, აჭარლების მალალი წოდების წარმომადგენელთაც შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურების წინაშე, რათა ესენი ქართველ თავად-აზნაურებად ჩაერიცხათ, მაშინდელი წინა-მძღოლი თავად-აზნაურებისა დიშ. ყიფიანი და საზოგადოდ ქართველობა აღტაცებით მიეგება ამ სარჩიელს, მაგრამ საკითხი, გვეგონია, აჭარელ თავად-აზნაურების თხოვნის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა.

ეკონომიური მდგომარეობა

ხენა-თესვა. სული კბილით უჭირავსო, რომ იტყვიან, აბა სწორედ აჭარელზე ითქმის! ამ მხარეში ადამიანი თითქმის იმიტომ ჩამოთესლებულა, რომ მთელი თავისი დღენი ძუნწ ბუნებას კრიჭაში უდგეს, შეუსვენებლივ ოფლის წურვით უნდა ებრძოლოს, რის ვაი-ვაგალახით იმდენი გამოჰკ-ლიდჯოს ხელიდან, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს. მთელი ფიქრი აჭარელისა, მთელი მისი მხნეობა ხორციელ ელემენტარულ მოთხოვ-ნილების დაკმაყოფილებას უნდება; რაიმე კომფორტისა და სულიერ საზრდოსათვის მეტი ძალა და მოხერხება არ შესწევს.

მთელი აჭარა, ორიოდ სოფლის გარდა, თავისი მთა-გორიან მდებარე-ობის წყალობით ხენა-თესვისათვის უხმარია. ორიოდ სოფელი გამოერევა, მაგალითად. ზემო-აჭარის სოფლები: შუახევი, ხიჭაური, სადაც ჭირნახული შრომის ფასს ააღებინებს გლეხს, სავაგიეროდ ჰაერის მხრით ისეთს პირო-ბებშია, რომ ვაიყოფნა და ვაი არ-ყოფნა: ციება მუსრს აელებს იქაურო-ბას! ისეთი სოფლები, რომლებსაც ახლო საძოვრები აკრავს და სადაც საქონლის მოშენებას მისდევენ, სულ ოთხი-ხუთია. იშვიათი ოჯახია, რომ წლითი-წლობამდე გაჰყვეს მოსავალი. მთელ აჭარაში სწორ და ვაკე ადგილს ვერა ნახავთ. სულ ოღრო-ჩოღროებით, დაქანებულ ქედ-ბით და მიუდგომელ მთებით დასერილია მთელი მხარე აჭარაწყლის და სხვა მდინარეთა ხეობების დაყოლებაზე. მიუხედავად ასეთი უკუღმარო პირობებისა, აქაური გლეხი მაინც ხენა-თესვას მისდევს, სახნავ-სათვის

ისეთ ციკაბო კლდეებზეა, რომ სახნისის ატანაცა სკირს და ხან შეუძლე-
ბელიცაა, ასე რომ თესვის დროსაც მიწას კი არ ხნავენ, არამედ, თოხ-
ნიან და ისე აბარებებენ თესლს! ეს კილევ არაფერი. ზოგან კაცი იძუ-
ლებულია მაღლა ხეს თოკი მიაბას, მეორე წვერი თვითონ მოიბას და ისე
უნდა თოხნოს, რომ თუ ვინიცობაა თოხნის დროს ფეხი დაუტურდა
თოკმა შეიმავროს თფსკრულში გადაჩეხვისაგან. ახლა თქვენ თვითონ
წარმოიდგინეთ, რამდენად გაბოროტებული და თავის გაჩენის დღის
მაწყევარი უნდა იყოს აქაური! და მაინც კილევ „დედა-მიწას“ ეძახის
ამგვარ მიწას! ვთქვით, თესლი ამოვიდა! აბა მაშინ შეუდგება კანკალი
აქარელსა! თუ გვალვაა, სიმინდი ერთ მტკაველზე ზევით თავს ვერ აიღებს,
ასე რომ ტაროს ნასახსაც ვერ გამოიღებს. თუ გაბმული წვიმები დაი-
ჭირა, მაშინაც ვი გლეხის ბრალი! ნიაღვარი ისე ჩამოჰრცხავს ხოლმე
ჭირნახულს და თვით მიწას, რომ იტყვიოთ, აქ მიწას თავის-დღეში არ
მიჰკარებია თოხიო. ან ისიც მოხდება, რომ კაკლის ოდენა სეტყვა სულ
დარეგავს იქაურობას. ხოლო თუ სამივე უბედურება თავიდან ასცდა
გლეხს, შესაძლებელია, მეოთხე უბედურება გამოუტყყერეს, რაც აქეთკენ
იშვიათი არ არის; ზამთარი ადრე დაიჭიროს, სიცივეებმა უსწროს და
სიმინდი არ დაამწიფოს. იშვიათად მოხდება, რომ ბუნების ამ ოთხ მოვლე-
ნათაგან ერთ-ერთს მაინც დაუსჯელი გადაურჩეს; ერთ-ერთის მსხვერპლი
უქველად უნდა შეიქნეს. სადაც მეტად დაქანებული არ არის ნიადაგი
და ჩამორცხვის შიში არა აქვთ, მიწას სახლთან ზამთრობით დაგროვილ
პატიუს აყრიან. ან და ყანაში ერთს ალაგას დააგროვებენ ნებს, ზედ
წყალს მიუშვებენ და ეგრეთ წოდებულ „ნებს-წყალით“ რწყავენ ნიადაგს და
კი არ იფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ადამიანი ნახევარ საქმეს საქო-
ნელს აკეთებინებდეს! რომ გულითაც უნდოდეს, პირუტყვს ვერაფერს გა-
დააზიდვინებს უგზოობისა გამო. ისევ თავისი ზურგი და მხარი! ზურ-
გით მოაქვს კილომეტრ-ნახევარი—ორი კილომეტრის მანძილიდან პა-
ტივი და აყრის მიწას, რომ, იქნება, სულ არ ამაღლოს ხელი ჩემმა მარ-
ჩინელმაო. რომ კაცმა იანგარიშოს, რამდენ დროს და შრომას ანდომებს
სიმინდის მოყვანას აქაური გლეხი, თითოეული ფუთი მანეთ-ნახევრის
ნაკლებ არ უნდა გაიყიდოს. და აჭარელი სიმინდს არც ყიდის, თორემ
ამაზე ნაკლებად ვერც გაყიდის, ხელს არ მისცემს, ისიც ალაგობრივ,
სხვაგან გაუტანელად. სხვაგან, აქარას გარეშე, რომ გაიტანოს, ზემო
ნათქვამ ფასს, სულ უქანასკნელი, ათი შაური მაინც უნდა მიემატოს.

ნიადაგი ხომ მწირი და უნაყოფოა, ეს უნაყოფო და მწირი ნიადაგი
მაინც სამყოფადაჰქონდეს აქაურ გლეხს! აბა ცეცხლი სწორედ მიწის ნაკ-
ლებობაა! მთელ კომლს, რომელიც ზოგჯერ 8—9 სულისაგან შედგება,
სახნავ სათესად უფარგისი მიწა დღიურ-ნახევარი თუ-ღა გააჩნია! ნუ
დაიფიწყებთ, რომ ამ „სახნავ-სათესად ვარგის“ მიწათა რიცხვში ითვლე-
ბა ის ხრიკეობაცა, სადაც გლეხი, როგორც ზემოთა ვსთქვიოთ, ხეზე თო-
კით არის მიბმული თავის ნებით დაუგორებლობისათვის და ისე თოხნის

ამ „ვარგის“ მიწასა! ამ „ვარგის“ მიწათა რიცხვშია ის მიწებიცა, რომელიც მოსაველს მხოლოდ 15—20 წლის განმავლობაში იძლევა, ისიც დიდი ხელის შეწყობით და ლოლიაობით: თუ ერთ წელიწადს სიმინდს დათესავენ, მეორე წელიწადს ზედ პური უნდა დათესონ, ან წინა აღმდეგ. ოცი წლის განმავლობაში ისე მოიღლება ნიადაგი, რომ მხვენელმთესველმა თავი უნდა გაანებოს და „ჰალად“ დააგდოს, თან რამდენიმე წლის განმავლობაში რწყას „ნეხვწყალით“. თუ არა მეტი, უკანასკნელი 20—26 წელიწადი გდია მიწა ამნაირად, სანამ ტყე არ ამოიყრის თავს. ამ ხნის შემდეგ ტყეს ჰკაფავს პატრონი და ნიადაგს ისევე აჯახიბებს, სანამ ხელმეორედ არ მოღლის და არ დააგდებს პატრონი „დასასვენებლად“, თუ მანამდე თვითონაც საუკუნოდ არ მოასვენა თავისი ძვლები იმავე დედამიწაში!.. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე იმასაც, რომ ამ „ვარგის“ მიწის და ერთი დღის შემუშავება უკლებს გლეხს თითქმის თუმნად, ანუ ფუთი სიმინდი—სამ აბაზად! საშუალო წლიური მოსავალი აქაური გლეხისა იშვიათად აღემატება 70 ფუტს. არის ისეთი „ფუხარა“ ღარიბი ოჯახიც, რომ შემოდგომაზე 15 ფუთ სიმინდს ძლივს შეჰყრის სასიმინდეში. ასე რომ აქ იშვიათია თავისი მოსავალი ვისმე წლის თავმდე გაჰყვეს. იძულებულნი არიან მეზობელ გურიაში გადავიდნენ ხოლმე, თუ ერბო აქვთ, თან გადაიტანონ და სიმინდში გაცვალონ ან, თუ ფული აქვთ, ფულით იყიდონ და აჭარაში ჩამოიტანონ. ვისაც თვითონ ჩამოტანა არ შეუძლია, სხვის ჩამოტანილს ყიდულობს. ალაგობრივ სხვა ადგილიდან მოტანილი სიმინდი ერთ მანეთად და ხან მანეთ-ნახევრად ფასობს სიმინდს, როგორცა ვთქვით, გურიაში ყიდულობენ, იმ დროიდან მოყოლებული, როცა აჭარაში თოვლს აიღებს და საცხენო გზა გაიხსნება. მაისიდან მოყოლებული მთელი ზაფხულის განმავლობაში ქარავეანი-ქარავეანი მისდევს გურიაში¹ გადასასვლელად. მომატებულად მიდიან ზოტიყელის გზით ბახმაროზე. იქიდან ბახმაროს გზით გურიის პირველ სოფელ ვაკიჯვარზე ჩამოდიან. წინა-წერილებში უკვე აღენიშნეთ ამ გზის სიაყვარგე, აქ მხოლოდ იმას დავეუბნებთ, რომ ალაგ-ალაგ ამ გზაზე ისეთი საფლობებია, განსაკუთრებით ახალ-გამოზაფხულზე გაბმული წვიმების შემდეგ, რომ შიგა რჩება ცხენიცა და საპალნეცა. ხანდა-ხან, მეტი გზა რომ არა აქვთ, საპალნეს სულ თავს ანებებენ, ოღონდ ცხენი გამოათრიონ ხოლმე როგორმე. აღმართებისას ხომ ნურას იტყვიო! და აქაური ცხენი მაინც ახერხებს ასეთი გზით ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში 8—10 ქილა სიმინდი ზიდოს ხოლმე. აჭარელების—სიცოცხლე კი არა—ტანჯვაა, მეტი არაფერი!..

¹ გურიაში გადასვლა სიმინდის საყიდლად ზემო-აჭარელთ ემარჯვებათ. ქვემო-აჭარელნი ბათუმსა და კახაბერში მიდიან ამისათვის. ამ მხრივ ქვემო-აჭარელნი შედარებით უკეთეს პირობებში არიან, რადგან ბათუმამდე შარა-გზაა გაყვანილი და იმით დადიან.

მაგრამ ცხენი ხომ ყველას არა ჰყავს, არც ერბო აქვს ყველას, რომ სიმინდზე გასცვალოს; მაშინ რაღას შვრება აქაური ფუხარა, რომელსაც სახლში ექვსი-შვიდი სული ჰყავს სარჩენი და თავისი მოწეული 12 თუ 13 ქილა სიმინდი იანერამდეც არ გაჰყოლია? რასა და ხელში „საჰანი“ (სპილენძის თეფში) უჭირავს და კარ და კარ დადის სიმინდის სათხოვნელად. მეზობლებიც, კაცმა სიმართლე უნდა თქვას, გაჭირვებაში ჩავარდნილს მეტად გულ-მტკივნეულად ეკიდებიან და, თუ კი რამ აბადიათ, გაუკითხველად არ უშვებენ. გაჭირვებული მეზობლის შეხედვაში აქარელს ცალი და ბადალი არა ჰყავს მთელ საქართველოში. მეზობლის სირცხვილი და გაჭირვება თავის საკუთარ სირცხვილად და გაჭირვებად მიაჩნია და ამ გრძნობის გამოჩენაში ერთიმეორეს ეჯობრება. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ასეთი შემთხვევა. ვთქვათ, ზამთარი როგორმე გააჯახირა ფუხარამ, კარს მიადგა გაზაფხული და მასთან ერთად ხვანათესვის დრო. საქონელი კი არა აბადია-რა... ასეთი შემთხვევა კი ძალიან ხშირია.

როგორ აღწევს გასაჭირს გლეხი თავს? მეტად საინტერესო ჩვეულება აქვთ: უსაქონლო გლეხი მეზობელს, რომელსაც უღელი ხარი ჰყავს, მაგრამ შენახვა არ შეუძლია [ამ მ თვიან ზამთარში საკვების უქონლობის გამო, ორივეს ერთმანეთს და „გაზამთრავს“, ესე იგი ზამთარში შეინახავს და ამ „გაზამთრის“ ქირაში გაზაფხულზე ყანას მოიხნავს და მერე ისევ პატრონს უბრუნებს.

პირდაპირი და აუცილებელი შედეგი ქირანახულის ნაკლებობისა-მუდმივი შიმშილია, რომელსაც აქარას, განსაკუთრებით მის ზემო ნაწილს, თითქმის ყოველ წელიწადს თავს ატყდებოდა. ხოლო მის ასაცილებლად კი აქარელს ძალა არ შესწევს, თუმცა ცდას არ აკლებს.

სიმინდს გარდა, აქ პურსაც სთესენ, მაგრამ, როგორც ქვემოთ მოყვანილ ცნობებიდანაც დავინახავთ, ძალიან ცოტას. თუ სთესენ, უფრო სადღესასწაულოდ და სასტუმროდ. ასე რომ სიმინდია მათი მთავარი მოსავალი. ჩვენი ნათქვამის ნათელსაყოფად და აქარელის უმწეო ყოფნის დასაშურათებლად აქვე მოგვყავს ციფრები.

1894 წელს ზემო-აქარაში

დაუთესიათ:	მოსულა.
სიმინდი 91 840 ფუთი	183 680 ფუთი
პური 26 035 „	78 105 „
ორივე ერთად; 117 875 ფ.	261 785 ფუთი.

ზემო-აქარაში ქერსაცა სთესენ (სანაგარიშო წელს დაუთესნიათ 107 ფ. და 25 გ., მოსულა ერთი ოთხად (430 ფ. და 20 გ.), მაგრამ პურისა და სიმინდის ანგარიშში არ შეგვიტანია, რადგან მხოლოდ ცხენის საკვებად ხმარობენ. როგორც ხედავს მკითხველი, პური აქ ერთი სამად იძლევა მოსავალს, ხოლო სიმინდი—ერთი-ორად. რიცხვის მთლიანობისათვის

ზემო-აჭარის მცხოვრებთა რიცხვი 20 000 რომ ჩავაგდოთ, თითოეულ სულს წლიურ ჭირნახულიდან 13 ფუთო ერგება! დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, გურია-სამეგრელოში, სადაც მკვიდრნი შედარებით ნაკლებ ენერჯისა ხარჯავენ ბუნებასთან ბრძოლაში, ვიდრე მთისა და მეტად ცივ ადგილის შვილი აჭარელი, კაცის სულზე თვითურად საზოგადოდ ორი ფუთი სიმინდია სამყოფად აღიარებული. აჭარელს, რა თქმაუნდა, მეტი დასჭირდება ნახევარ ფუთით მაინც. მაგრამ, დეე, ისევ ის ორი ფუთი ჩავაგდოთ. წელიწადში მოდის 24 ფუთი; იმას კი, როგორც დავინახეთ 13 ფუთი-ღა მოსდის წლიურ სარჩოდ, ესე იგი, თავში ქვა უნდა იცეს და დანაკლისი 11 ფუთი ანუ ნახევარი წლის სარჩო სადმე დაროგორმე უნდა იშოვოს.

ქვემო-აჭარაში 1895 წელს დაუთესიათ 7 964 ფ. და 10 გირ. სიმინდი. მოსულა—138,455 ფ. 10 გირ., ანუ ერთი ჩვიდმეტად. რიცხვის მთლიანობისათვის ქვემო აჭარაში ვიანგარიშით 13 000 სული. 138 455 ფუთი რომ გავყოთ, თითო სულს წლიურად ხვდება $10\frac{2}{8}$ ფუთი, ე. ი. აკლდება წლიურ საქირო სარჩოს $19\frac{1}{2}$ ფუთი, ანუ ზემო-აჭარელისაზე $2\frac{1}{2}$ ფუთით მეტი!

ყოველივე ამის შემდეგ, თუ მარცხად წელიწადში ორმა თუ სამმა აჭარელმა რაიმე ავკაცობა ჩაიდინა, ზოგიერთებს უკვირთ და განგაშს ცემენ: არიქათ, აჭარლებმა ქვეყანა დააქციესო! ჩვენი აზრით კი, საკვირველი ეს არ არის, საკვირველი და მართლა გასაშტერებელი ის არის, რომ ეს ნახევრად მშვიერ-მწყურვალ ხალხი ისეთი თავ-დაპერით ცხოვრობს, ბედის-მორჩილი, უდრტვინველად, და ყველანი ყაჩაღებად არ იქცნენ! შიშშიღმა, ხომ მოგეხსენებათ, რიდი და თავილი არ იცის!

სიმინდისა და პურის შემდეგ ბევრი მოჰყავთ ლობიო. 1894 წ. ზემო-აჭარაში დაუთესიათ 7,136 ფ. და 5 გირ. ლობიო და მოსულა 35,695 ფუთი და 25 გირ. ქვემო-აჭარაში 1895 წელს დაუთესიათ 631 ფ. და 16 გირ. მოსულა—6,945 ფ. და 16 გირ.; მოვთვლით აქ გავრცელებულ ლობიოთა სახელებს: მიწა-ლობიო, ყურშუმა, მადა, შვიდ-კვირა (შვიდ კვირაზე მოდის), პაპაყურა, მისირულა, სურუნჯა, ხანუმა, ხიშტა (გრძელი პარკს იკეთებს, ხიშტის მსგავსს). კარტოფილი, ეტყობა სულ ეხლახან გაიტენეს აქეთკენ. ზემო-აჭარაში 1894 წ. 172 ფუთი და 8 გირ. დაუთესიათ, მოსულა—543 ფ. და 31 გირ. ბოსტნეული მაკიდო, ხახვი, პრასა, რეპანი, კინძი, პიტნა, ნიორი, ქონდარი, მხესუმხირა, ჭლაკვა (ფოთოლი ხახვზე მწარე აქვს), კიტრი, ხაპი (გოგრა), ნესვი და საზამთრო ზემო-აჭარაში სიცოვისა გამო არ მოდის, მარტო ქვემო-აჭარაში მწიფდება. ბადრიჯანი, ბოლოკი, მხალი, კარხალი იმდენი მოჰყავთ, რომ ოჯახში სახმარებლად ეყოთ. შინ მოწეულის გარდა ველურ მხალსაც ხმარობენ საჭმელად. ასეთებია: მოლოქა, სევანტილა, ჭინჭარი, დონდლო, ოლენა, სვინტრი. ღიმა (ამ ოთხ უქანასკნელს მწნილად აღსდებენ).

ყოველივე ამის გარდა თუთუნსაცა სთესნენ, მხოლოდ ნაკლებად, რად-
ვანაც სათუთუნე ნიადაგი სამგან-ოთხგან თუ შეხედება კაცს და ისიც
ქვემო-აჭარაში. თუ ზემო-აჭარაში თუთუნის გასასყიდად სამყოფი მოჰყავთ
ყოფ. სხალთაში, წლიურად ასე სამას ფუთამდე. ეს არის და ეს; აქაურებს
ისიც არ მოჰყავთ, რადგან მისი ხელი არ იციან. ეს საქმე ლაზების ხელშია.
ქვედა აჭარაში 1845 წ. 25 დესეტინა მიწა გაუშვიათ სათუთუნედ და
მოსულა 875 ფუთი.

საქონლის მოვლა-მოშენება. ქირნახულის ნაკლებულობას აჭარაში ვერც
საქონლის მოშენება ჰფარავს. თუ რომ ერთი ფეხის დადგმა მიწა მოქმევა
აქაურს, თოხითა და სახნისით მოსვენებას არ აძლევს, ასე რომ საძოვრები
შიგ სოფლებში აღარც კი არის. და რაკი ზამთრისათვის, რომელიც აქ,
როგორც ვიცით, სულ უკანასკნელი, რვა თვეს გასტანს ხოლმე, საკვები
არ აბადია გლეხს, საქონლის გამრავლებასედაც, ძალა-უნებურად, ხელი
უნდა აიღოს. სულ დიდი, ერთი ძროხა ან ხარი—ჰყავს, ან და ისიც არა.
წელიწადი ისე გაივლის, რომ ერბოს, რომელიც აქაურ ცივი ჰაერის
მცხოვრებისათვის ასე საჭიროა, გლეხი სამჯერ თუ ოთხჯერ გაურევს საქ-
მელში. უმეტესი ხანი ლობიოსა და მხალ რახედმე გადადის იოლად. სა-
ქონლის მოშენებას ისეთ საზოგადოებებში მისდევენ, სადაც მთის იალა-
ღები ახლო აკრავთ. ასეთებია ზემო-აჭარაში, განსაკუთრებით, ლორჯო-
მის, აგარის, შუახევის და ფურტიოს საზოგადოებანი. ამ საზოგადოებათა
მცხოვრებნი, შედარებით სხვებთან, შეძლებულად ცხოვრობენ. ყოველ
ზაფხულ თითოეული კომლი 10 ფუთამდე გაჰყიდის ერბოს ბათუმსა თუ
გურიაში (სამწუხაროდ, ნამდვილ ცნობები არა გვაქვს მერძეობის შე-
სახებზე). ფუთი აქარული ერბო ბათუმში 10—20 მანეთი ჰფასობს. ერბო-
ყველის კეთების შესახებ უკვე გეჰყონდა ლაპარაკი.

აქაური პირუტყვის კარგად შენახვას წმიდა მოვალეობადა სთვლიან.
გლეხი თავის თავს დააკლებს და საქონელს კი როგორმე საკვებს არ დააკ-
ლებს. წარმოსადგენადაც ძნელია, თუ რა ციცაბოზე ადის აქაური გლე-
ხი, ოღონდ ერთი მუჟა მეტი თივა მოიმარაგოს ზამთრისათვის! ხშირად,
ძალიან ხშირად ბეწვზე ჰკიდია ხოლმე მისი სიცოცხლე. შორს გზაზე რომ
წავა აქარელი, თავისი ცხენის საგზალი თივა თან მიაქვს. კიდევ ამიტომ
ჰყავთ ხოლმე ცხენები დასუქებულები. მთელს აჭარაში იშვიათად შეგხვედ-
რივარ მკლე და უღონო ცხენსა. აქ გავრცელებულია ახალციხური ჯი-
შის ცხენები; ყველა დაუკოდავია და ფაფარი მოკლედ შეკრეპილი. მეტად
შეგარი ფეხისანი არიან და აღმართებზე სიარულში სწორუპოვარნი. რაც
უნდა აღმართი იყოს, აქაური ცხენი ზედკატასავით ადის მეტის-მეტი
სიფრთხილით. თქვენ წარმოიდგინეთ, 700—1000 მეტრის სიმაღლე გო-
რებზე ათი ფუთი ტვირთი გადააქვთ და გადმოაქვთ ხოლმე გურიიდან.
ატანა ხომ ატანაა, ახლა თქვენ ჩამოატანა თქვით! ისე დაგეშოლები არი-
ან, რომ იშვიათად ეცემიან. უკანა ფეხებს თითქმის ვაართხოზობენ ლიპ

გზებზე, წინა ფეხებს თანასწორად გაიშვებენ და ისე მისცურავენ. ხარე-ბიც მოსულები და ღონიერები არიან. ძროხები კი მეტად დაკნინებული-ჯიშისა ჰყავთ, აქა-იქ კამეჩებსაც შეხედებით, მაგრამ თუ იჩინენ კამე-ჩებს, უფრო საწველად. აქაურ აღმართებზე კამეჩი ველარ მუშაობს. სა-ხედრებიცა ჰყავთ, მაგრამ სულ ცოტა. ისიც იმ სოფლებში, საიდანაც ზაფხულში საძოვრებზე ადიან. მოჰკიდებენ ბარგ-ბარხანას და გაუყენებენ აღმართს. დიდ-ყურა, მგონი, ისე არსად ეჯავრებათ, როგორც აქ.

მთელ ზემო აქარაში 1894 წელს ჰყავდათ: ცხენი—905, სახეღარი—12-კამეჩი—308, ხარი—3 464, ძროხა—13 537, ცხვარი—2 849 და თხა—2 116.

ქვემო-აქარაში ეს ციფრები თითქმის მინიმუმამდე ჩამოდის, რაიცა აღ-ვილად აიხსნება იმ გარემოებით, რომ საზაფხულო საძოვრები თითქმის აღარც კი აქვთ. იმ დროს, როცა ზემო-აქარას საზაფხულო საძოვრები 8 000 დესეტინამდე აქვს, ქვემო აქარას ამის ნახევარიც არ გააჩნია. საქონლის შენახვას თუ კიდევ ახერხებენ, ეს იმის წყალობითაა რომ აქ სიმინდი უკეთესადა ჰხარობს და ჩალას საყოფად იძლევა. 1895 წელს ქვემო-აქარლებს ჰყოლიათ: ცხენი—628, სახეღარი—11, ჯორი—5, ხარი—2 845, ძროხა—2,778, ცხვარი—150, თხა—130.

მებალეობა და მევენახეობა. ხენა-თესვისა და საქონლის მოშენების შემდეგ აქაურ გლეხს ცხოვრებაში ასე თუ ისე შეღავათს აძლევს მებალეობა და მევენახეობა. აქარის შესახებ სამართლიანად ითქმის—მთლიანი ბალი-აო, ხილი და განსაკუთრებით მსხალი ყველგანაა. აშენებენ ხეხილს ძვე-ლებურად: ხეს გადასჭრიან, გააპობენ და ზედ კარგი ჯიშის ხეხილის ყლორტს დაამყნიან. კვირტით და სხვა გაადვილებული წესით მყნობა აქაურთათვის ჯერ-ჯერობით უცნობია. ხე ღალად იზრდება სიმა-ლი-სიგანეზე, ხელს არავენ უშლის, მეტ ტოტებს არავენ აკეცეავს, ასეა სიბერემდე; მაშინ კი პატრონი ძირში სკრის და შეშად აქცევს. განსაკუთ-რებით მიჩენილი ადგილი ხეხილს არა აქვს, იზრდება, საცა კი ბუნება აღმოაცენებს: ყანაში, ეზოში, ეზოსუკან, მინდვრად. სიბერის გარდა აქაური ხილის მტერია აქაური ზამთარი. თოვლი ტოტებს არ არჩენს ხოლმე და ხანდისხან მოსავალი სრულიად ცდება, როგორც, მაგალითად, 1894 წელს იყო. ამ წელიწადს ხილს წამლად ვერ იშოვნდით ზემო-აქა-რაში. გარდა ამისა, ერთი მოვლენაა აქ საკვირველი: თითქმის ყველგან ხილი მეწლეურია. წელ-გამოშვებით ისხამს, ანუ, როგორც აქ ამბობენ, „სირით ღოდის“.

აქაურ ხილს, განსაკუთრებით მსხალს, რომელიც მეტად ნაქებია, ეზიდებიან ცხენით, მომეტებულად ბათუმში და მსხალს ფუთს 30—80 კაპიკად ჰყდიან, ხოლო ვაშლს—40 კ.—1 მანეთად. აქვე, ალაგობრივ მოდიან არტაანლები, მოაქვთ თან მარილი, საქალამნე გაუქეთებელი ტყავები და ხილზე ცვლიან. განსაკუთრებით ხილი ბევრია სოფ. ფურ-ტიოში. საზამთროდ აკეთებენ მსხლის ჩირს. ზამთარი რომ დადგება, აშ ჩირს ხარშავენ და აკეთებენ ერთგვარ წვეს, რომელსაც ხოშიავს

ქმახიან (კომპოტი) და პურთან შექმანდად ხმარობენ. მსხლისა და ვაშლის გარდა საყოფად და კარგი თვისებისაჲ მოდის ქლიავე. 1894 წელს ზემო-აჭარაში ვაშლი 5 065 ფუთი მოსულა, ხოლო მსხალი—2000 ფუთი.

აქვე ჩაეურთავეთ აქაური მსხლისა, ვაშლისა და ქლიავეის სახელებს. ვაშლისა: ბოტია, წითელი, ყარაფილა, შაქარ-ვაშლა, ბია-ვაშლა, სობა-ვაშლი, წითელ-ვაშლი, მწვანია-ვაშლი, გონიერა, ჩალა-ვაშლა, დემირ-ალმა (მაგარი-ვაშლი), წიპლიკა-ვაშლი (წვითი-ვაშლი), კაჩა-ვაშლი, ყირმინი-ვაშლი; მსხლისა: ხეჭეჭურა (რთელის დროს მოდის, საზამთროდ ქურში ინახავენ და სახელიც აქედან დარქმევია), ბელღეთურა, ბუტურა, სალომა (ლომსავეთ იქმევა, მეტად რბილია), კვირის-თავა, სხალ-ძაძა, თავანა, ჯიხარაჯული, ხეხელა (ადრეული), ბარაქა, ბარაქას-ბუში, სხალ-ვაზა (საზამთრო), წყარო-პირი, სანთელა, ქილობა, სამწიფარა, ვარდანულა, წენგუა, უწყვეტა, სართულა, მაგარა, ბუმბულა, იხითური, შავ-სხალი, სხალ-თაფლა, თავრიჯულა, კაცისთავა, ბოქშუა, ნანეზირა, ყაბალარ-მუთი, წარე-ბოქშუა (ძალზე დიდია, ერთი კაცი ძლივას ერევა), პაკსაურა, მიხრიკი, ყვითელა, ხატურა, მილახური, გვერდ წითელა, თეთრუა; ქლიავეისა: ქლიავე, ოტური, ვარვალა, ჭანჭური, ღორ-ქლიავე.

მევენახეობის შესახებ რაღა ვსთქვათ? დაგვრჩენია მხოლოდ აღენიშნოთ ის სამწუხარო ფაქტი, რომ მაჰმადის სჯულს ქრისტიანობასთან ერთად მეურნეობის ამ საპატიო დარგისათვისაც ამოუკვეთინებია ფეხი აჭარიდან. თითქმის ყველა სოფელში დარჩენილი უზარმაზარი ქვევრები (შიგ ასი წლის ჩარჩენილი ღვინოც კი უნახავთ) იმას-ღა ჰპოწმობს, რომ მეღვინეობას აქ ოდესღაც საპატიო ადგილი სჭერია და ცხოვრების ერთ სახსართავანს შეადგენდა; მაგრამ მხოლოდ „ოდესღაც“, დღეს კი, სადაც არ დამტვრეულა ძველი ქვევრები, საცაა დამისხვრევა, ვაზები მოუვლელობით და უპატრონობით გადახმება და გადაიჩენება.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი საუკუნე მეტია, რაც აქ ღვინოს არ აყენებენ და, მაშასადამე, ვაზსაც არ უვლიან, ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ სულ არ გადაშენებულა. აქეთკენ დაბლარი არ იციან, სულ მაღლარია, როგორც გურია-სამეგრელოში; ვაზი უზარ-მაზარ ხეხვა გამოვებული, ღვთის ანაბარა იზრდება სხვა ხეთა შორის, საკუთრად ადგილი არც წინადა ჰქონია მიჩენილი და მით უფრო არც ახლა აქვს. უმეტესობას ნაცარი და ობი აქვს მოდებული და მოსავალს აღარ იძლევა ან დი გააბეჩებულა. თუ გამოისხა სადმე, დამწიფდება თუ არა ყურძნად შესება-მენ და ჭამის დროს-ღა მოიგონებენ თავიანთ ქრისტიან წინაპრებს: „გურჯობის“ (ქართველობის, ესე იგი ქრისტიანობის დროს) დაურგავთო. ხომ ვაზს განახლება უნდა, ან კიდევ მისს სენს—წამლობა. ეს აზრად არავის მოსდის. ასეა ზემო-აჭარაში.

ქვემო-აჭარაში კი, რომელიც გურიაზე უფრო დაახლოვებულია, მევენახეობა, შედარებით, უფრო სანუგეშო დღეშია. აქ ყურძენს ცოტაოდენი ფული შემოაქვს აჭარელის ოჯახში: ბათუმი ახლოსა აქვთ და იქ

ეზიდებიან გასასყიდად, ფუტს მანეთად და ხან მეტადაც ჰყიდიან. ღვინოს, თუნდაც გასასყიდად, არც აქ აკეთებენ. ქრისტიანობის გადავარდნის შემდეგ აქაური ყურძენი, მგონი, პირველად გასწურა და ღვინო დააყენა ქვემო-აჭარის უფროსის თანაშემწემ ბ-ნმა სიმონ იოსელიანმა 1896 წელს. როცა ქედაში გავიარე, მითხრა, ყურძენი სულ იაფად ვიყიდე (ფუთი სამ აბაზად) და 300 კოკა მშვენიერი ღვინო დავაყენეო. ჯერ არავის უცდია აქაური ყურძენი ღვინისათვის გაეწურნაო. ეს პირველი ცდაა და შემდეგისათვის უფრო მეტის დაყენებას ვაპირებო... კაცი რომ იყოს ჩამგონებელი და ქვემო-აჭარლებს ღვინის კეთებას დააჩვევდეს, რომ მერე გაჰყიდონ, მათ მწირს წლიურს ბიუჯეტს ერთი და ორი თუმანი კი არ მიემატებოდა! მერე აქ ზემო-აჭარაზე უფრო უწყობს ხელს ჰავა მეღვინეობას: აქეთ უფრო თბილა და ყურძენიც უკეთესად მწიფდება.

მართალია, მაჰმადის რჯულს აჭარელთათვის ყურძნის წვენი დალევა დუღილ-გათავებულის სახისა აღუკრძალავს, მაგრამ იმავე რჯულს ნება დაუბრუნებდა იგივე წვენი დალიოს „მართლმორწმუნემ“ მხოლოდ აუღუღარი. ამ მეორე სახის წვენს ყურძნისას აქ „ხარდალი“ ჰქვია. ხარდალს ამრიგად აკეთებენ: მოზელენ ხარდალს (მლოგვს); იმით, როგორც აქ ამბობენ, „გამოფაფავენ“ ქვევრს, შიგ ტკბილს ჩაასხამენ და თავს მოუკრავენ. ტკბილი არა დუღდება. როცა ნალიმი აქეთ, ამ ტკბილს შეექცევიან ძველებური ღვინის მაგივრად. ხარდალსაც ბევრს არ აკეთებენ. ქვევრს თავს მოხსნიან თუ არა, რაცა დგას შიგა, სულ უნდა ამოსწორონ. ყურძნის გასაწურად იმერული საწნახელი დარჩენიანთ, სახელად „ჯარა“ ჰქვია. ტკბილისაგან ხარდალის გარდა ჩურჩხელასაც აკეთებენ, რომელსაც აქ „ქუმა“-ს ეძახიან.

რომ ქვემო-აჭარაში ღვინის ხმარება ზემო-აჭარაზე გვიან გადავარდა, ამას შემდეგი, ხალხში დარჩენილი, მოთხრობაც მოწმობს. სოფ. ფურტიოში (ზემო-აჭარაშია, ხულოს ახლოს) ერთს დედაკაცს ცენტრაულს თურმე ძმა ეწვია სოფ. ჭვანიდან, ვანშამზე ღვინო მოსთხოვა: „ჩემო დაო, ღვინო არ გექნებაო?“ ქალმა ტირილი დაიწყო თურმე: „ჩემმა შვილებმა ღმერთი დაივიწყეს, ქური დამიმტვრიეს, ღვინოს არ ემსახურებიანო“.

რამდენად შევიძლით ცნობების შეკრეფა, ორივე აჭარაში დღემდე დარჩენილა 17 სახელწოდების ყურძენი. ამათგან „ადესის“ გარდა, რომელიც ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ ალბათ გურიიდან არის შემოტანილი (ჩვენ ზემო-აჭარის სოფელ ღორჯომში ვნახეთ), ყველა ძველებია. აი მათი სახელებიცა: ადესა (თეთრი და წითელი), ბუღმუში (თ.), ბურძალა (თ.), ბუტკურა (წ.), ბროლა (აღრეულია, თ.), ვანური თეთრი ყურძენი, კლარჯული (თ. და წ.), მატენაური (წ.), მეკრენჩხი (წ. მაგარკანიანი), მწვანე (თ.), შხუმი (დიდკუფხლიანია, სახელი მეგრული აქვს: „შხუ“— მსხვილი), ჩხავერი (წ.), ცხენისძუძუ (წ.), ჭოლი (მრავალ-მტევანა, რამდენიც ფოთოლი აქვს, იმდენი მტევანი ასხია, მხოლოდ მტევანი თხე-

ლია), ხარითვალა წწ., სხვილკუფხლიანი), ხოფათური (თ.), ჯანიში (ბრეში-თეთრი).

ამ ყურძნებისა ზემო-აქარაში 1894 წ. მოუკრეფათ:

ხოფათური	20 ფუთი.
მწვანე	20 ”
ბროლა	7 ”
ბუდეშური და ბურძგალა	8 ”
კლარჯული	20 ”
ბუტკურა	5 ”
ჩხავერი	11 ”
ადესა	3 ”
მატენაური	20 ”
ხარითვალა	4 ”
ცხენის ძუძუ	2 ”

სრულიად: 120 ფუთი.

ადგილობრივ თითოეული ფუთი ფასობდა ორი აბაზი. ანუ, ქვემო აქარაში მოსული ყურძენი სულ რომ გაეყიდნათ, ოთხ თუმანსა და რვა მანეთს აიღებდნენ!

ამ განყოფილების დასასრულელად მკითხველს გავაცნობთ „ყურძნის ლექს“, რომელიც აქ ძველთაგან დარჩენილა და რომელიც ჩამაწერინა ქვემო-აქარაში სოფ. ქედის მცხოვრებმა მოხუცმა გულა დისამიძემ. მართალია, ლექს თავისი პირვანდელი ღირსება არ შერჩენია, ხან რით-მა ჰყოქლობს, ხან ზომა აკლია, მაგრამ საინტერესოდ ვცანით, როგორც შებღალული ენის შებღალული ლექსი, ოდესღაც ალბათ ლამაზად შექმნილა ხალხის მიერ.

„ვენახმა სთქვა: შე ვარ გრძელი
 ზამთარ — გამონარები.
 გვეისხამ, გვეყვავილებ,
 რომას (?) უკან დავყუყუდები.
 ქე მოვა მომკრეფელი.
 მოაქვს კრული გიდელი;¹
 მოვიდა ძირში, ზედ ამოვიდა,
 ერთი წამომწვანა ხელი,
 წამწიკვა² კისერი,
 სულ მთელსა მომწყვიტა წელი
 ამწია და ძირს ჩამიშვა,
 ჩამყარა თელი³ გოდორში.
 ამწია და შინ წამიღო.

¹ გიდელი — ყურძნის საკრეფელი კალათია, შაქრის თავის მსგავსი, ხეზე გააქვთ და-სავლეთ საქართველოში, საცა მაღლარია. ყურძნის საკრეფად ყველგან გიდელს ხმარობენ.

² წამწიკვა — წამწყვიტა.

³ თელი — სულ მთლად.

ჩამბარვა თელი ჯარაში¹.
ზევიდან ყახაზი² შემდგება,
ქვეშ კიჭინაში³ მიფერები.
ორ ყურ ქვაბში მომაქცევენ,
უცეცხლოთ წამოვლულდები.
ხანდახან კაი ბიკი ვარ,
ხანდახან წამოვბუნძულდები.

მეფუტკრეობა. როგორც სხვა დარგი მეურნეობისა, მეფუტკრეობაც მეტად ჩამორჩენილია, ანუ, უკეთ, პირველყოფილ მდგომარეობაშია აჭარაში, თუმცა კი საზოგადო მდებარეობა აჭარისა და სიახლოვეთაფლიან მცენარეებით დაფარულ მთებისა მეტად ხელს უწყობს ფუტკრის გამრავლებას. ფუტკარი, საცა კი ჰყავთ, იმ ნაირსავე სკებში არიან მოქცეულნი, როგორც გურიის-სამეგრელოში: ორი არშინის სიგარძე მრგვალი ძელი შუაშია გამობილი, ორსავე ნაწილს გული ამოდრუტნული აქვს, იქით-აქეთ ბოლოები ერთ ხელის დადებზე მთელია და ერთმანეთზე ადევს. ქვეშიდან დასაჭერად თავსა და ბოლოში კაპიანი სარები ურჭვიათ, ერთი ადლის სიმაღლისა. სახლის გარდა, ასეთივე სკები ტყეშიაც შეგხვდებათ ხეებზე გატანილები და ტოტებზე ჩამოკიდებულები, რომ დათვი ველარ მისწვდეს: გაზაფხულზე, როცა თაფლით გაივსება, ჩამოიღებენ ძირს, თაფლს ამოაცლიან და ცარიელ სკას ისევ დაჰკიდებენ ხეზე მეორე გაზაფხულამდე. ესეც არის, რომ რაკი ერთხელ დაჰკიდებს სკას ხეზე, იმის შიში არა აქვს, რომ მეზობელი მიჭა და მის ნაშრომს დაეპატრონება. რაკი ხეს ნიშანი დაადო, მორჩა—ეს ხე მისია. აჭარელი, რომელიც მტკიცედ იცავს ჩვეულებას, თავის მეზობელს არ შეეცილება, თუმცა ულრან ტყეში უშიშრად შეუძლია სხვისი ნაშრომი მისაკუთროს.

მთელს აჭარაში ას-ოც კომლამდე იქნება სკების პატრონი, განსაკუთრებით ბევრი ჰყავთ ზემო-აჭარის ორ საზოგადოებაში: გუშუკაულისა და ინწყირეთისაში. ჰყოლიათ სულ 900 სკა (ზემო-აჭარაში—360 და ქვემოში—540). გამოუღიათ თაფლი—820 (ზემოში—360, ქვემოში—460) ფუთი და სანთელი—400 (ზემოში—180, ქვემოში—220) ფუთი. ერთი ფუთი სანთელი იყიდებოდა—16 მანეთად, ხოლო თაფლი—3 მანეთად; თაფლს უმეტეს შემთხვევაში არა ჰყიდიან, უფრო ოჯახში ხარჯავენ.

* * *

შინა-ხელსაქმობა და სამუშაოდ გასვლა. შინა ხელსაქმობაც მეტად დავარდნილია აჭარაში. სულ დიდი—ტლანკი შალეები მოქსოვონ დედა-კაცებმა თავიანთი ოჯახის წევრების შესამოსად. მეაბრეშუმეობას აქა-იქ კანტი-კუნტად მისდევენ. მაგრამ რაც მოუვათ აბრეშუმი, სულ ძაფად

¹ ჯარა—საწნახელი ხისა.

² ყახაზი—გლეხი.

³ კიჭინა—თვალი საწნახელისა, ნახვრეტი.

აქცევენ ხოლმე. ამ ოცდაათი წლის წინათ ბამბანარეც კანაფისაგან ტილოს საცვლებსა ქსოვდნენ. მაგრამ ახლა ესეც გადავიარდნილია. ზემო-აქვარის ზოგიერთ სოფელში, მაგალითად, ბაკოში, ხის ჯამ-ჭურჭელს აკეთებენ და არტაანში გააქვთ, მაგრამ ისე იაფად იყიდება ბაზარზე მათი ნახელსაქმარი, რომ შრომის ფასსაც ძლივას ინახლავდნენ: თითო ჯამი სამ კაპიკს ზევით ვეღარ საღდება. თიხის ჭურჭლის კეთებაც ნაკლებად არის გავრცელებული. თუ კიდევ აკეთებენ თიხის ჯამ-ჭურჭელს, ისევ შინ სახმარად. გარეთ, ბაზარზე, ვერ გააქვთ უგზოობის გამო: აქაურ ოღრო-ჩოღრო გზებს ერთი დოქი არ გადაურჩება დაუმსხვრეველი. ღურჯლობა ცოტათი იციან, მაგრამ სხვაგან გასვლა და თავის რჩენა ამ ხელობით არ შეუძლიან. უფრო ხუროები გამოდიან. მთელ ზემო-აქვარაში ითვლება 75 ხურო; მჭედელი—3, მხერხავი—80, მეწალე—3 და მესპილენძე—ორი. აი, აქაურის ხელოსნობის გამოხმატველი ციფრები! დღიური მუშაობა ხუროსი ფასდება 1 მ. ათი შაური, მჭედლისაც—იგივე. ქვედა-აქვარაში სოფ. მაჭახელაა განთქმული თავის ზეინკლებითა. თავის ღირსებით ცნობილი „მაჭახელას“ თოფები სწორედ ამ სოფელში კეთდება.

ოჯახს გარეთ, შიგვე აქვარაში სამუშაოს აპარელი ძალიან ნაკლებადაა ჰპოულობს, ერთადერთი ალაგი, სადაც ორიოდ გროშს იღებენ—ეს ამ უკანასკნელ ხანს გაყვანილი შარა-გზაა ბათუმსა და ახალციხეს შუა 140 კილომეტრის მანძილზე. აქ ზაფხულობით სოფელელი ზოგი ქვას ამტვრევს, ზოგი კლდეს არღვევს. ზოგი კიდევ საკირო ხე-ტყის მასალას ამზადებს, ზოგიც გზას ასწორებს და ამნაირად პურის ფულსა შოულობს, დღიურად ერთი-მეორეში სამ-აბაზ ნახევარს ღებულობენ ქირას. იმის გარდა, რომ თვითონ მუშაობს, აპარელი აქ თავის ცხენსაც ამუშავებს, ეზიდება ტვირთს, ერთი მხრით, ახალციხეში, მეორე მხრით—ბათუმსა და გურიაში. ასეთ შემთხვევაში ცხენიანად დღეში თუ ორი მანეთი აიღო, დიდად მადლიერია თავის ბედისა. სამუშაო წლის განმავლობაში ცხენის პატრონი თავის საქციელს 35—40 მანეთს ააღებინებს. თუ არ ცხენს, ურემს აქ ვერ ამუშავენ. ადგილობრივად დიდ-თვლებიან ურმების მაგივრად ზამთარ-ზაფხულ უთვალეზო მარხილებს ამუშავენ, ან თუ აქვს თვალი აქაურ მარხილს,—პატარა, ერთი ადლის სიმაღლე. ასეთ ურმებს აქ „სელი“ ჰქვიათ და შეფარდებულია მსუბუქი ტვირთის გასაზიდავად აქაურ საცალფეხო გზაზე, ან როგორც ცენი ეძახიან, „გზა-ბაწარზე“, ან კიდევ „ბაწარზე“ (ვითომ ბაწრის მსგავსი წვრილი გზაო). ვაკე საქართველოში ხმარებულ ურმების მსგავსი ურმები რომ გაიჩინონ, მარტო შარა-გზაზე ამუშავენ და მუშაობის შემდეგ იქვე უნდა დასტოვონ, რადგან უგზოობისა გამო შინისკენ ვეღარ შემოიტანენ შესანახად. ასე რომ თუ ამუშავენ, ისევ ცხენს, ჰაგრამ... მაგარი ის გახლავთ, რომ ცხენისათვისაც სამუშაო დრო განსაზღვრულია. აპრილიდან ღვიწნობისთვემდე თუ შეიძღეს მუშაობა, ხომ წელიწადს ბედნიერ წელიწადად

სთვლიან. დანარჩენი დროის განმავლობაში აქაურ „გზებს“ თოვლი ჰფარავს და გაუვალი ხდება.

დაზამთრდება თუ არა, აქარელი ცოლშვილს თავს ანებებს და მიდის ან ბათუმისაკენ ან გურიის სამუშაოს საძებნელად. აქ ზოგი ხურობს, ზოგი მიწას თხრის, უმრავლესობა შავს სამუშაოს ასრულებს. ცოტაოდენ ფულს თავს რომ მოუყრის, აქარელი ყიდულობს სიმინდსა და გამოუდგება უკან გზასა, რომ ცოლშვილს საჭმელი მოაწოდოს. ანაირად, სამუშაოდ წამსვლელთათვის 1894 წ. მარტო ზემო-აქარაში ხულოს ნაწილის სამმართველოდან 480 მოკლევადიანი ბილეთი მიუციათ. ქვემო-აქარიდანაც, თუ არ მეტი, ამდენივე ბილეთი მიიწვია იქნებოდა გაცემული.

დასახლებულ სამუშაოთა გარეშე აქარელი (ქვედა-აქარაში) ორიოდე გროშს უმატებს თავის წლიურ შემოსავალს სოფ. მერისში სპილენძის მადანში მუშაობით. ეს პირველი მადანია მთელ აქარაში; მუშაობა შიგ დაიწყო 1896 წლის ზაფხულს. მადანი ჩამოაქვთ სოფ. ქედაში ცხენებით, ქედიდან კი მადანი ურმებით ჩააქვთ სოფ. ერგეში (ბათუმს ახლო) რისნერის სპილენძის სადნობ ქარხანაში. საცხენო* გზას, რომლითაც აქარლები სოფ. მერისიდან ქედამდე მადანს ეზიდებიან, 15 კილომეტრი აქვს მანძილი და მეტად გაფუჭებული და ვიწროა. ფუთი მადნის გადმოტანაზე ცხენის პატრონი 12 კ. იღებს. ხსენებული სოფლის გარდა აქარაში სხვაგან ჯერ არსად არის სამადნო მუშაობა. თუმცა, ამბობენ, აქარის მთებში ბევრ ალაგას გამოჩნდა მდიდარი მადნები და მთელ კუთხეს ამ მხრივ, ადრე იქნება თუ გვიან, კარგი ბედი გაუღიმებსო.

გადასახადი. ამ ეკონომიური მდგომარეობის საზოგადო მიმოხილვის დასასრულს, საკიროდა ვთვლით დავსძინო ორიოდე სიტყვა ბეგარა-გადასახადისა და იმ წესის შესახებ, რა წესითაც აქარა უძღვებოდა ამ ბეგარა-გადასახადს უწინ, ოსმალების ხელში, და უძღვება დღეს, როცა ეს მხარე რუსეთის ხელში გადმოვიდა. როგორც მკითხველი დაინახავს, ხალხს, ისედაც განიორწყალებულს ქონებრივად, ოსმალთა ხელში ცხრაპირი ტყავი ძვრებოდა ათასგვარი გადასახადებისაგან, რომელთა მოგონებაში ასე დაოსტატებულნი იყვნენ ოსმალეთის სახელმწიფოს დამშეულნი და მექრთამეობის სენით გახრწნილნი მოხელენი, ვითომ და ხალხის უურისმგდებლად და მომვლელად მიჩენილნი. ხალხი რის ჰაპანწყევტით და ტანჯვა-წვალებით ახერხებდა ბუნებისაგან ორიოდ ლუკმის გამოგლეჯას და იმასაც ხვანთქრის ერთგული მსახურნი პირიდან აცლიდნენ. აბა სწორედ მაშინ შეეძლო აქაურ გლეხს თავის ქართლელი მოძმის მიერ გამოთქმული ლექსი თავის ეკონომიურ უმწეობის შესახებ აქარაზეც ზედ გამოეჭრა:

„ქართლი იმიტომ შემშულა,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს;
რაც მოსავალი მოუვათ,
ყველას ბატონი წაიღებს!..“

„ტრაპიზონის კალენდარი“ 1876 წლისა (იხ. ა. ფრენკელის „წერილები ჩურუქსუსა და ბათუმის შესახებ“) ასე აგვიწერს ოსმალეთის მიერ შემოღებულ გადასახადებს.

გაწერილი გადასახადი იყო:

1) „ხალიანი“, ანუ „ვერგი“ (თურქული სიტყვის „ვერ“—მოიტა-სგან წარმომდგარი). ყოველ წელიწადს სტამბოლში წყდებოდა ხოლმე, თუ რამდენი უნდა შეეტანა ამ გადასახადისა ყოველ საფაშალიყოს. 1876 წლიდან ეს გადასახადი მეორე გადასახადად შესცვალეს. სახელად ახალ გადასახადს ემლიაქი ერქვა, ესე იგი ქონებაზე იყო გაწერილი. ქონებარამდენი 1000 ყურუში ღირდა, იმდენი ოთხი ყურუში უნდა ეხადნა პატრონს.

2) **ბაღალი ასქერა**. ამას იხდიდნენ უფრო ქრისტიანენი სამხედრო სამსახურისაგან გასათავისუფლებლად. ყველა ვაჟკაცი 20—40 წლისა იხდიდა 27 ყურუშს.

3) **აშარა**. მცხოვრებნი იხდიდნენ მიწის ყოველ მოსავლის ათისთავს. პური, ქერი, სიმინჯი, ქერდია, თუთუნი, თაფლი, ბოსტნეულობა და ხილი, თუ ბოსტან-ბაღი ეზოს გარეთ იყო, აგრეთვე ცხვრის ნამრავლი— ყველა წყარო იყო გადასახადისა. თუ აშარას ფულით გადაიხდიდნენ, მაშინ **თახშირი** ერქვა.

ეს გაწერილი გადასახადია. მაგრამ თურქეთის მთავრობა გაუწერავ გადასახადსაც ართმევდა ხალხს.

გაუწერავს ხარჯს ეკუთვნოდა:

1) **იხთაზაბ**. ადგილობრივი უფროსნი მცხოვრებთ მსხვილი და წერილ საქონლისა და ცხენების გაყიდვის დროს ყველა 40 სულზე თითო ყურუშს ახდევინებდნენ.

2) **ჯევირე**, ხილის არაყის ხდისათვის.

3) **საპასპორტო** გადასახადი. ვინც სავაჭროდ უცხოეთში წავიდოდა ადგილობრივი ყაიმაკამი 40 ყურუშს ართმევდა, ხოლო ვისაც თავის მხარის სხვადასხვა ადგილას სურდა სიარული—ნ ყურუშში ხდებოდა.

4) **ზებიე** (სისხლისათვის). ყოველ დაკლულ საქონელზე 40 ფარას იხდიდა დამკვლელი.

5) **თემეთიუ**. ვაჭრობის გადასახადი იყო. ამ გადასახადს დუქნებზე ახდევინებდნენ. ვაჭრობის ოპერაცია რამდენ 20,000 ყურუშს უღრიდა, იმდენი 80 ყურუშში უნდა ეხადა ვაჭარს. ხოლო თუ დუქანში თვითონ დუქნის პატრონი ცხოვრობდა, დუქნის გადასახადი **ემლიაქის** გადასახადს ეკუთვნოდა. ქირით გაცემულ დუქნებისაგან ახდევინებდნენ 60 ყურუშს. ქირის ყოველ 2,000 ყურუშზე.

6) **რემში**, ანუ გადასახადი, რომელიც მოდავეთა შეჰქონდათ. თუ საჩივარი უღაო იყო—პროცესის ფასის ყოველ 40 ყურუშზე 1 ყურუში უნდა მიეცათ ადგილობრივ მეჯლისთათვის, ხოლო თუ საღაო იყო—ერთ-ორად. ამ ბაჟს საზოგადოდ ის იხდიდა, ვინც საჩივარს შიიგებდა.

7) აზნაოების ბაჟი, როცა იჯარით გასცემდნენ,—ყოველ 1.000 ყურუშზე 40 ყურუში.

8) რესმი ქედა ეილაღია, ანუ საქონლის ძოვების ბაჟი. ამას ახდევინებდნენ, როცა საქონელს სოფლიდან წამოასხამდნენ: ძროხაზე $\frac{1}{2}$, ხოლო მეწველ კამეჩზე 1 ოყა ერბო. ზოგიერთ ადგილებში საძოვრისათვის მსხვილი საქონელის ყოველ სულზე $\frac{1}{2}$ ყურუშს ახდევინებდნენ, მხოლოდ ცხვრისასა და ბატკნისას არაფერს ართმევდნენ. ეს გადასახადი 1872 წლამდე არსებობდა; ამ დროიდან კი მთელი წლის განმავლობაში ძოვებისათვის თითოეულ მსხვილ საქონელზე 3 ყურუშს იღებდნენ.

9) ტყის ბაჟი. ზოგიერთ ადგილას ახდევინებდნენ შენობის ალაგობრივ ღირებულების $\frac{1}{5}$, შეშა კი უბაჟო იყო.

10) თუთუნის როცა მეორე ოლქში შეჰქონდათ, თითოეულ ოყაზე 3 ყურუში უნდა მიეცათ.

11) როცა ყადი მცირეწლოვან ობლებს მზრუნველებს უნიშნავდა და საქიროდ დანახავდა მათი მოძრავი ქონების გაყიდვას, ყოველ 40 ყურუშზე 1 ყურუში სახელმწიფოს მიჰქონდა; ხოლო მზრუნველების დანიშნისათვის ყადიც თავის გასამრჯელოს იღებდა. ამ შემთხვევაში რაოდენობა გასამრჯელოსი მორიგებაზე იყო დამოკიდებული.

12) მარილს ბაჟი არ ედო; მაგრამ ესეც იყო, რომ როცა აქედან სხვანაირად გაქონდათ, ბათმანზე (18 გირვანქა) $4\frac{1}{2}$ ყურუშს ახდევინებდნენ.

ყველა ამ გადასახადს ადგილობრივ ყაიმაკამები თავის სასარგებლოდ ჰკრეფდნენ, ხოლო ზოგიერთ გადასახადის აკრეფას იჯარითა სცემდნენ ხოლმე.

როცა რუსეთმა შემოიერთა ეს მხარე, ოსმალთა დროის წესი გადასახადის მოკრეფისა პირველად დატოვა. მაგრამ პრაქტიკამ დაანახა აღმინისტრაციას მთელი უხერხულობა ამ წესისა და განიზრახა გაეადვილებინა ხარჯთ-აკრეფის წესი. მცხოვრებთ გამოუცხადეს, ვისაც სურს საკომლო გადასახადი ფულად შემოიტანეთო. რაოდენობა შემოსატან ხარჯისა განსაზღვრული იყო მოხარკეთა შეძლებისა და მათ მიერ კუთვნილ სახანავსათვის რაოდენობის კვალობაზე. თანხმობა განაცხადეს ბათუმის ოლქის მცხოვრებთ, ხოლო ართვინის ოლქში ისევ ძველებური წესი დარჩა.

ასე, რომ 1881 წლიდან აქაურ მკვიდრთ ორნაირად დაუწყეს გადასახადის ხდევინება: ართვინის ოლქში მიწაზე და საძოვრისათვის ბუნების ნაწარმოებითა ჰკრეფდნენ, ხოლო ბათუმის ოლქის საბოქაულოებში საკომლო და საძოვრის გადასახადი ფულად შემოიღეს. ამას გარდა, რადგან აქაურები სამხედრო სამსახურს არ ასრულებენ, სამხედრო ბეგარა-საც ფულად იხდიან.

სწავლა-განათლება და ქართული ენა.—ჩვენი ზრუნვა.—შინაური ცხოვრება:
ოჯახი და ცოლ-ქმრობა; სამოსელი, ხალხის ჯანმრთელობა და მკურნალობა.

სწავლა-განათლება. აჭარა, როგორც ვიცით ზემო-ქართლის ანუ სამცხე-სათაბეგოს ნაწილს შეადგენდა. ჩვენს ისტორიაში ეს მხარე ცნობილია ჩვენი საუკეთესო მწიგნობართა აკვნად და სამშობლოდ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხარე მართლაც სწავლა-განათლებით, თუ წინ არა, უკან მაინც არა მდგარა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. დარჩენილი ნანგრევენი დიდებულითა ტაძარ-ეკლესიათა უტყვენი მოწმენი არიან ძველი, ბრწყინვალე დიდებისა, მაგრამ—მხოლოდ მოწმენი... რაკი ოსმალებმა ხელში ჩაიგდო ეს მხარე, ხმლითა და ცეცხლით ბრძოლა გაუმართა აჭარლებს, დევნა დაუწყო მათს ენასა და მწერლობას. ორასი წლის განმავლობაში თურქთა კირთების ქვეშ ყოფნამ იმ ზომამდე მიიყვანა საქმე, რომ დიდებული ტაძრები და ციხე-კოშკები შეიმუხრნენ და მათს ნანგრევებზე ჯამები აღიმართა; დიდებული მწერლობის ნიშანწყალი გაჰქრა და ქართული ენა შეიბღალა. ხალხის სწავლა-განათლების საქმე და გონებრივი საზრდოს მოწოდება მოლებმა იკისრეს. ცალკე ამდენი ხნის ბრძოლამ, ცალკე ეკონომიურმა გაკირვებამ იქამდე დააჯანდაკა აჭარის მკვიდრნი, რომ გონებრივად ნახევარ ველურთ დაამსგავსა, ქვეყნიერებას ჩამოაცილა.

თურქეთმა საქართველოს ამ ნაწილს წაართვა, შეუბღალა და შეუგინა ყოველივე: თავისუფლება, მამა-ბაბური ადათ-წესები, მათი სწავლა-მოდლები, მათი წმინდა ენა... მერე, სამაგიეროდ რა მისცა? ან ზრუნავდა კია ამ ხალხისათვის? აბა ვისთვის ზრუნავდა, რომ აჭარისათვის ეზრუნა? ან ჰქონდა კია ამისი თავი? მისი ზრუნვისა და ფიქრის საგანი ისლა იყო, რომ ამ მთის ხალხისაგან უკანასკნელი სისხლი ეწოვა, ათასი წვითა და ცრემლით მონაგარი წაერთმია და მათი ცოლ-შვილი კი ცრემლ-შეუშრობელი დაეყარა... ასე ექცეოდა სხვებს და ეს პოლიტიკა ძარცვა-გლეჯისა, დაწიოკებისა და მტარვალობისა არც აჭარლების მიმართ შეუცვლია...

პირველი ჯამეები აშენდა აჭარაში თუ არა, მათთან ერთად დაარსდა თურქული მედრესე (სასწავლებელი), სადაც თვით უსწავლელი მოლები აჭარლების ბავშვებს ჯოხის ცემითა და ყვირილით არაბულს ასწავლიდნენ. მასწავლებელ-მოლებს საპედაგოგიო მოღვაწეობისათვის ყურანის კითხვისა და რამდენისამე არაბული ლოცვის ზეპირად ცოდნის მეტი არაფერი მოეთხოვებოდათ. მერე იმის ცდაშია; შიშითა და ბრძოლით შეათვისებინოს თავის მოწაფეს ის „სიბრძნე“, რაც თვითონ ვიანაჩრობით შეუძენია. ცემა ხელით, ჯოხით და საზოგადოდ ყოველგვარი ხორ-

ციელი სასჯელი—საუკეთესო საშუალებად მიაჩნია სწავლების დროს. ცალ ხელში ჯოხი უჭირავს ამართული და იმავე დროს ბავშვს ათასჯერ ამეორებინებს გაუგებარ არაბულ სიტყვას. ამ შემთხვევაში სრული ჰარმონიაა მასწავლებლისა და ბავშვის მშობელთა შეხედულებას შორის. მშობელი იმ აზრს შეზრდია, რომ ბავშვს, თუ არ ცემით, ისე სწავლას ვერ შეაყვარებო. ამგვარი აზრით წათამამებული უფრო მოლა სრულიად მხეცდება და თავს არ იზოგავს. რაც უფრო დაუზარელია ცემაში, მეტი ფასი და სახელი აქვს მშობლებს შორის. რამდენიმე წლის ტანჯვის შემდეგ საცოდავი ბავშვი თუ სულ არ გამოტყინდა თავისებური მასწავლებლის ხელში და გაუძლო მთელ პედაგოგიურ ინკვიზიციას, შეიძლება ზეპირად ისწავლოს არაბული ყურანის წაკითხვა, რამდენიმე არაბულივე ლოცვა ზეპირად, რომლის შინაარსი, რასაკვირველია, არ გაეგება, და ოსმალური წერა. უმრავლესობა ამასაც ვეღარ სწავლობს და სასწავლებელს თავს ანებებს.

წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად მოლა-პედაგოგი თავის შაგირდს გულში უნერგავს სიძულვილს ყველა იმ ერთა, ვინც მაჰმადის მმოსავნი არ არიან. მათთან კავშირის დაჭერა—ცოდვა და მაჰმადის საწყენი საქმე იქნებაო.—აი, ასეთი მოღებები იყენენ აქარლების მასწავლებლები და დღესაც ისინივე დარჩნენ აქაური სკოლების სვე-ბედის გამგეებად.

საანგარიშო წელს, მთელს აქარაში 68 მედრესე (სკოლა) იყო (ზემოში—31 და ქვემოსაში—37). შიგა სწავლობდა 1,177 ყმაწვილი (ზემოში—320 და ქვემოსაში—857). ამათგან სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა 26 მოსწავლე, ხოლო დანარჩენი ერისკაცთა შეილები იყვნენ. ამ უკანასკნელთა შორის 16 ყმაწვილი ბეგებისა იყო, ხოლო დანარჩენი სოფელეთა. თუ გავიხსენებთ, რომ მთელს აქარაში 32,448 სულია, 1,177 მოსწავლე მაინცა და მაინც ბევრად არ გვეჩვენება: ას კაცში 4-იც არა სწავლობს!... გარდა ყველა ნაკლულევალებისა, რომელიც თან ახლავს აქაური იმამების საპედაგოგიო მოღვაწეობას, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მედრესეებში სამოსწავლო წელიწადი 2-3 თვე თუ გასტანს, ისიც ზამთარში, როცა დიდი თოვლისა და სიცივეების გამო სასწავლებელში სიარული თითქმის შეუძლებელი ხდება ხოლმე, და როცა აქაურ ფიცრულს მედრესეებში 2-3 გრადუსის მეტი იშვიათად არის ხოლმე სითბო!... დანარჩენ დროს ბავშვები მშობლებს ეხმარებიან ხოლმე მუშაობაში.

ბათუმის ოლქის შემოერთების შემდეგ, კიდევ ათიოდ წლის განმავლობაში, ისევ მოღებების ხელში იყო სწავლა-განათლების საქმე როგორც აქარაში, ისე ბათუმის ოლქის სხვა ნაწილებში, მხოლოდ 1886 წლის თებერვალში გახსნა ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექციამ აქარის მეზობლად, გონიის ნაწილის სოფ. მარადიდში, პირველი სკოლა. მაგრამ მეტად დღენაკლული იყო ეს პირველი სკოლა.

ამ პირველი სკოლის თავგადასავალი სამეგალითოდ უნდა დარჩენილიყო შემდეგში მაინც არა სასურველი შეცდომის ასაცილებლად, მაგრამ, წარმოიდგინეთ, თითქმის იგივე შეცდომა იქნა განმეორებული ათი წლის შემდეგ ზემო-აჭარაში სოფ. ხულოს. აქაური ნაწილის უფროსის, კაპიტანის ალ. ბერიძის მეცადინეობით და ჩაგონებით ხულოში საზოგადოებამ თავისი ხარჯით სკოლა ააშენა და შემდეგშიაც მის შესანახად, რაც შეეძლო, დაჰპირდა. 1887 წლის ენკენისთვეში გამოგზავნილი იქნა მასწავლებლად ერთი სპარსელი, რომელსაც ქართულად მოლაპარაკე ბავშვებისა არა ესმოდა რა და ბავშვებს იმისი. ამ გარემოებამ იმ ზომამდე შეაფერხა სკოლის საქმე, რომ პირველადვე მოყვანილი 30 ბავშვიდან 10 ძლივას დაიარებოდა სკოლაში. სპარსი-მასწავლებელი როგორც იქნა გამოიცვალა და მის ნაცვლად დაინიშნა ადგილობრივი ენის მცოდნე მასწავლებელი, რომლის ხელში, რამდენადაც გავიგეთ, საქმე გამომჯობინებულია.

რაც შეეხება მთავრობას, აჭარაში სკოლის გახსნის შესახებ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით სრულებით არაფერი გაუკეთებია. 1890 წელს ბათუმის სამისიონერო განყოფილების მინდობილობით და გურია-სამეგრელოს მაშინდელი ეპისკოპოსის გრიგოლის დავალებით აჭარა მოიარა ბ-ნმა იონა მეუნარგიამ, გაიცნო მცხოვრებთა სარწმუნოებრივი მდგომარეობა, მათი ყოფა-ცხოვრება, წარსული, და თავისი მოსაზრება წარადგინა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას“ აქეთკენ სწავლა-განათლების გავრცელება და საზოგადოდ აღდგენა აწ დავიწყებული ქრისტიანობისაო. ეს მოხსენება მოხსენებად დარჩა, დაბეჭდაც კი არ ჰღირსებია, და აჭარა—უსკოლოდ. 1896 წ. „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ევტ. მამინაიშვილი იყო აქეთკენ. მცხოვრებთ თხოვეს „საზოგადოების“ ხარჯით სკოლის გახსნა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, „საზოგადოებას“ „უსახსრობისა“ გამო შესაძლებლად ვერ დაუნახავს აპარლების თხოვნა დაეკმაყოფილებინა...

ახლა ვიკითხოთ, რა მდგომარეობაში დაგვხვდა აჭარაში ქართული ენა და რა ზომები ვიხმარეთ მის აღსადგენად და მის აღდგენასთან ერთად ორასი წლის მოწყვეტილი ძმების სულიერად შემოერთებისათვის? აი, ამის შესახებ ვეცდებით მკითხველს შეძლებისდაგვარად პასუხი გავსცეთ.

ქართული ენა, მიუხედავად საშინელი ბრძოლისა, რომელიც სარწმუნოების გაუღენით მაჰმადიანობამ გამართა მასთან, თითქმის ხელშეუხებლად და პირვანდელი სიწმინდით დაცულა შიდა აჭარაში და განსაკუთრებით იმ ადგილებში, რომელიც ზედ აკრავს გურიას. მაგალითად, სოფ. ჭვანის ქართული განთქმულია და შიგ მრავალ საუნჯესა ეპოულობო ჩვენი ძველი ენისას.

ოჯახში ყველა, ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველნი ჩვენი ენისა. რადგან ნაბეჭდი წიგნები აქეთკენ ამ უკანასკნელ ხანამდე არ მოიპოვებოდა, თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა: აქაური ბეგების დედებმა, უფრო ხან-შესულებმა. მდაბითა შორის ძველებური წერის მცოდნე იშვიათია დღე-საც. წერის დროს, თუ ქალი წერდა, სიტყვებსაც ქართულს ხმარობდა, თვით სახე ამათი ნაწერის ანბანისა მეტად დაშორებულია ჩვენი აწინ-დელის წერისაზე და შეუჩვეველ თვალისათვის მეტად მძიმე გასარჩე-ვია. იმ დროს, როცა ჩვენ ვცდილობთ მრგვალადა ვწეროთ, თითქმის ყოველ ანბანს, ამით მიერ დაწერილს, სამკუთხედების ხასიათი აქვს.

ახალგაზრდობაში ქართული წიგნის მცოდნეს თითო-ოროლას შეხვდებო-კაცი ხულოსა და ქედაში, სადაც სამმართველოებში ქრისტიანე ქართველე-ბი ცხოვრობენ. არიან აჭარელი ჩაფრები, რომელთაც ამ მოსამსახურე ქართველთაგან ქართული წიგნი უსწავლიათ. ქედაში ერთი მიქელაძეა აჭარელი, რომელიც ჩვენს მწერლობაში მონაწილეობასაც კი იღებს და „ივერიის“ საშუალებით ქართველ საზოგადოებას აჭარის ამბებს აწვდის ხოლმე. ბეგებს შორის ზემო-აჭარაში აჭარის უკანასკნელი მთავრის შე-რიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილმა ზექერია-ბეგმა თითქმის თავისუფლად იცის ქართული წერა-კითხვა.

რაც შეეხება ძველ ხელნაწერებს, ერთიანად გამქრალია აქეთკენ. ბეგე-ბის გვაროვნობაში ორმოცდა-ათიან წლებამდე დიდძალი სიგელ-გუჯ-რები ყოფილა ჩვენი მეფეებისა. მაგრამ ამ ხანებში ყველა ბეგს სტამ-ბოლში მოუწოდეს, თან მიატანინეს, თუ რამ სიგელები ჰქონდათ, ოსმა-ლეთის მთავრობა დაჰპირდა, გამოგიცვლით ახლებზედაო და ის კი არა, რაკი ერთი ხელში ჩაიგდო, სულ ერთიანად ცეცხლის მსხვერპლი გახდა, რა არის, ძველთაგან მოპოვებული ყოველივე უფლება წავართვა მათს პატრონებსაო. დღეს კი, შესაძლებელია სადმე ერთი-ორი რამ კიდევ იყოს დარჩენილი ძველი ხელნაწერებიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ მოკ-ლე დროის განმავლობაში, რომელიც ჩვენ დავყავით ამ მხარეში, ვერ-სად წავაწყდით რასმე.

სახალხო სიტყვიერების ნიმუში ცოტა ჩავიწერეთ. მთელი ერთი თვის განმავლობაში ორად-ორი ანდაზა გავიგონეთ. ლექსი თუ კიდევ სადმე დარ-ჩენილა, ისიც მეტად დამახინჯებული და ლექსის ღირსებას მოკლებული რამ არის, რაიცა ადვილი დასანახავი იყო ზემოთ ჩაწერილი ნიმუშებიდან. თან ისიც შევნიშნეთ, რომ აჭარელი ლექსს ვერ იტყვის, თუ სიმღერაც არ ააყოლა. ლექსი და სიმღერა განუყრელი შექმნილა მისთვის. სოფ. ფურტიოში (ზემო აჭარა) ერთ მოხუცებულს გლესს, „ქოსა“-დ წოდე-ბულს და განთქმულ მოლექსეს, ვთხოვე რამე ლექსი ეთქვა. ბევრი ხვეწ-ნის შემდეგ სიმღერა დაიწყო ქართლურ „ოროველას“ ხმაზე, თანაც ლექსი დაატანა. როცა მოვიხილომე ლექსის ჩაწერა, ბევრი ვეცადე განე-

მეორებინა, მაგრამ ცდა ამოა იყო. „მოხუცი ვარ, რა ჩემი საქმეა ლექსის თქმა, ლექსი ახალგაზრდებმა უნდა სთქვან“-ო.

სახალხო ლექსთან ერთად აქ მისი განუყრელი დაჟ, სიმღერაც, ჰქრება. მთელი ერთი თვის მოგზაურობის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას განგებ თვალ-ყური გვეჭირა და წამლად ერთი სიმღერა არ გაგვიგონია, თუ ანგარიშში არ ჩავაგდებთ ზემო აღნიშნულ მოხუცს, რომელსაც თავის სურვილის წინააღმდეგ და თითქმის—ძალდატანებით ვათქმევინეთ ერთი ნაწყვეტი სიმღერისა. ცხენით თუ ქვეითად მიდის აქაური, ლეწავს კალოზე თუ თივასა ჰთიბავს—ხმას არ იღებს, საერთო ღუმელს არ არღვევს, თითქო საერთო რამ მწუხარება გადასწოლია მთელ მხარესა და მის მკვიდრთაო. ოღონდაც რომ მიზეზი არ აკლიათ გლოვისათვის! ორასი წლის მწარე კირთება ვის არ დაავიწყებს სიმღერას და მზიარულეზას!.. ან და აქ გამეფებულ უკიდურეს სიღარბესა და შიმშილთან გამწარებულ ბრძოლაში მყოფს, რა სიმღერისა ეცხელებათ, თქვენს ლხენას? ამას ის გარემოებაც დასძინეთ, რომ აქაური სუფრიდან სევდის უკუმყრელი, ადამიანის სულის გამამზიარულეგელი და ამამღერებელი სასმელი—ღვინო, თანახმად მაჰმადის ბრძანებისა, განღვენილია.

სიმღერა ხომ არ არის და არა, მაგრამ ვეღარც საკრავებს იპოვით აქეთენ. ერთად-ერთი საკრავი და აქაური მცხოვრების სულიერი მდგომარეობის გამომხატველია—ჭიმონი (რაჭული საზანდრის მსგავსი). მეტად მარტივი და სწადა სამუსიკო იარაღი, რომლითაც აქარელი ათასში ერთხელ თავის სევდასა და დარდ-ვარამს გამოსთქვამს ხოლმე.

ძველებური ქართლის ნიშანი განსაკუთრებით შენახულია აქაურ სიტყვა-პასუხში. მათი ზრდილობიანი ლაპარაკი, თავაზიანობა, სურვილი სტუმრის ამებისა—უმალღეს განვითარებამღვა მიღწეული. აქ ადამიანის ყური იზვიათად გაიგონებს უწაწურ სიტყვებს. ქართლელი მდაბითაგან ასეთი სიადვილით ხმარებული ლანძღვის ცნებები აქაურს რომ მოასმენინო, არა გვგონია, თავი შეიმაგროს და უსისხლოდ გაათავოს საქმე.

ჩვენ ორიოდ სიტყვა უკვე ვთქვით აქაურ ლაპარაკში დარჩენილ ძველი ქართული სიტყვებისა გამო. გვინდოდა რაც შეიძლებოდა სრული კრებული შეგვედგინა ამ გვარის სიტყვებისა, მაგრამ უღროობის გამო ამჟამად სურვილი ვეღარ ავისრულეთ.

ჩვენ ზრუნვა. ახლა დავგრჩენია აღვნიშნოთ მხოლოდ ჩვენი, ქართველების, ღვაწლი ახალშემოერთებული ძმების განათლებისათვის. არ შეიძლება ამ შემთხვევაში გულგრილობა ვუკიეინოთ ჩვენს საზოგადოებას. ვისაც თვალ-ყური უდევნებია მაშინდელ გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „ივერისათვის“, ეხსომება, რომ ნომერი ისე არ გამოვიდოდა, განსაკუთრებით „დროებისა“, რომ შიგ არაფერი ყოფილიყო ამ მხარის შესახებ. მკითხველი უახლოვდებოდა ამ ახალნაპოვნ ძმებს, მათ ტკივილს შუაზე იყოფ-

და და იმის ცდაში იყო, რომ ამ შავ დღეში ძმურად ხელი გაეწვდინა. ენუგეშებიანა და დაერწმუნებინა, რომ არც მაგრე უმწეონი ხართ, ისეთებიც არიან, რომ თქვენს საკეთილდღეოდ ჰფიქრობენო.

ამ საერო ფიქრმა ძალიან არ დაიხანა და მალე თავი იჩინა. ბათუმის-ოლქის შემოერთების შემდეგ შეიდ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ განიზრახა ბათუმში სკოლა დაეარსებინა და ამ სკოლას სულიერად უნდა შეეერთებინა მაჰმადიანი ქართველები დანარჩენ ქართველობასთან. ამანუკეთეს არათერს მოიფიქრებდა ჩვენი საზოგადოება. საქმე პირველადვე კარგად წავიდა, მაჰმადიანებმა თითქმის პირველადვე ნდობის თვალთ შეხედეს ამ სკოლას და არა-ერთმა და ორმა მაჰმადიანმა ქართველმა მიიღო პირველ-დაწყებითი სწავლა ამ სკოლაში. როცა ისტორია დაიწერება ჩვენისა და მაჰმადიან ქართველების დამოკიდებულებისა ამ ხნის განმავლობაში, მეისტორიემ არ უნდა დაივიწყოს ის უანგარო ღვაწლი და ამაგი, რა ღვაწლი და ამაგიც დაგვდო მაშინ პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებელმა მოსე ნთაძემ. პირველადვე ისეთი წინდახედული, საქმის მოყვარული, შეგნებული კაცი რომ არ ჩადგომოდა სათავეში ამ დიდსა და წმინდა საქმეს, ვინ იცის, როგორ დაგვეფრთხო მაჰმადიანი ქართველები და ჩვენც სხეებით მტრებად და მოღალატებად დავესახეთ...

ხსენებულ სკოლაში მაშინაც და ეხლაც მომეტებულად თვით ბათუმისა და მის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთა შვილები სწავლობენ-საკუთრივ აქარა, თავის სიშორისა გამო, განზე რჩებოდა. თუ ხელი მიუწვდებოდათ, ისევ ქვემო-აქარის ბეგების შვილებს და იმათაც თითო-ოროლას. ზემო-აქარა სრულებით მოწყვეტილი იყო და არის კიდევამ სკოლაზე. ასე რომ ქართული ენის საშუალებით სწავლა-განათლების შეძენა აჭარელისათვის დღესაც თითქმის მიუწვდომელია.

1895 წლის ზაფხულში აქარის გაცნობა და მცხოვრებთა შორის ქართული წიგნების გავრცელება განიზრახა ბ-ნმა ზაქარია ჭიჭინაძემ. თან წაიღო იაფფასიანი სახალხო წიგნები, განგებ საამისოდ აღბეჭდილი: „არსენას ლექსი“, „ქალ-ვაჟიანი“ და სახალხო ლექსები. ყოველ წიგნს შიგ ჩაურთო ქართული ანბანი და გაუდგა გზას. როგორც იმ ზაფხულს, ისე 1896 წლის ზაფხულს ბ-ნმა ჭიჭინაძემ მოიარა ზემო და ქვემო აქარის სოფლები, ხალხს უსასყიდლოდ დაურიგა წიგნები, შეკრიბა მრავალი ამბები, ამ მხარის გამაჰმადიანების შესახებ ხალხში დარჩენილი, და „ივერიის“ საშუალებით მკითხველ საზოგადოებას გაუზიარა. საინტერესოა ის საშუალება, რომელიც ბ-ნ ჭიჭინაძეს უხმარია ამ ხალხის დასახლოვებად და მისი გულის მოსაგებად.

ბ-ნი ჭიჭინაძე თურმე შედიოდა მათს ჯამეებში, შვესლის წინათ ფეხთხიხდიდა მათსავეით. მაგრამ სასმელებისა და ლოთობის სიძულვილს უწუნებდა და ბევრ სხვასა. ხალხის გული თურმე მაშინვე მოიყვავილა და ყვე-

ლჰსათვის ძვირფასი სტუმარი შეიქნა. თანაც ქართულ წიგნებს უკითხავდა. ხალხში მიძინებული გრძნობა ქართველობისა ილევძებდა და დიდი სიამოვნებით ართმევდნენ წიგნაკებს და ანბანსა სწავლობდნენ. ერთი წლის წინათ, 1897 წლის ზაფხულში, როცა ამავე მხარეს მეც ვეწვიე სტუმრად, არა ერთგან და ორგან შემხვდა ბ.ნ. ზ. ჭიჭინაძის დატოვებული წიგნაკები, რომელშიაც ქართული ასოებით არაბული ლოცვები და აქაური ლექსები იყო ჩართული. ამ ლოცვებისა და ლექსების ხალისით ქართული ანბანიც უსწავლიათ და მადლიერი გრძნობით იგონებდნენ ამ წიგნაკების დამრიგებელს ბ.ნ.ს ჭიჭინაძეს, ან როგორც ესენი ეძახიან, „ზაქარია—ეფენდი“-სა, ესე იგი სწავლულ ზაქარიას—„კაი კაცია, გურჯული (ქართული) ქითაბები (წიგნები) დაგვირიგა და ჩვენთან ერთად ჩვენს ჯამეში ლოცულობდაო“.

ოჯახი და ცოლ-ქმრობა. ოჯახი აქარელისა პატრიარქალურია; უფროსი და მბრძანებელი ოჯახის წევრებისა—სახლის უფროსია, მას ემორჩილებიან ყურმოჭრილად, სიტყვაშეუბრუნებლად ყველანი მის პატარა სამეფოში. ქალს ხმა არაფერში აქვს. ამას აქ წილად ხვდა გარდა ბირდაპირ სადიაცო საქმისა—ქსოვისა, კერვისა, საქონლის მოვლისა და წვრილფეხობის ყურისგდებისა, გარეთ—ყანაშიაც მუშაობა თავის ქმართან ერთად. ქალი მკის, თიბავს აქაურ მიუვალ ადგილებზე, ლეწავს კალოზე, ჭირნახული სახლში შემოაქვს. ერთადერთი სამუშაო, რომლისგანაც ის განთავისუფლებულია,—არის ცხენით საპალნის გაზიდვა აქარის გარეთ. სხვაფრივ კი, შინ ხანდახან მამაკაცზე მეტ საქმეს აკეთებს. განსაკუთრებით დიდ შრომას ეწევა ქალი, როცა მთების ახლო მდებარე სოფლები თითქმის სანახევროდ აიყრებიან ხოლმე და საზაფხულოდ თავის საქონელთან ერთად მთაზე მიდიან რამდენიმე თვით. აქ თითქმის ყოველი საქმე ქალს აწევს კისერზე: დღისით მინდვრად საქონელს აძოვებს, საღამოს სწველავს, რძისაგან ყველს, კარაქს და ერბოს აკეთებს, სწმინდავს ბოსელს, ქმარ-შვილს საქმელს უხარზავს, ურეცხავს, სამოსლისათვის შალებს უქსოვს. მამაკაცი მხოლოდ ხელმძღვანელია, თადარიგის მიმცემი.

მრავალცოლიანობა თუმცა მამადის კანონის ძალით აქეთკენ ნებადართულია, მაგრამ ერთ ცოლზე მეტი იშვიათად თუ ვისმე ჰყავს. ერთ ცოლს მარტო შექლებულები არა სჯერდებიან. აქაურ ბევრებს თუ ჰყავთ ერთ ცოლზე მეტი. მიზეზი ერთცოლიანობისა—წმინდა ეკონომიურია. აქაურს, ქონებრივად დავრდომილ მკვიდრს სადა აქვს იმისი თავი, რომ რამდენიმე ქალს თავი მოუყაროს და ასვას და აჭამოს!

მართალია, თითო ცოლსა სჯერდება აჭარელი, მაგრამ თუ მისმა მეუღლემ არ აამა და თავის ნებაზე სიარული დაიწყო, ქმარი ბევრს არ მოეზოდინებება, ასწევს და გაუშვებს, და სხვას, თავის კეჟის და გემოვნების ადამიანს მონახავს. ცოლს აქ კარგი ოჯახიანობის გარდა ქმრის

ერთგულება მეტად მკაცრად მოეთხოვება. ქმარი თვინიერ ღალატისა ყველაფერს შეუნდობს თავის თანამეცხედრეს. უმეტეს შემთხვევაში მიზნად განქორწინებისა ცოლ-ქმრული ღალატი ხდება. ქალი ამ შემთხვევაში, ერთი მხრით უღმობლად ისჯება ქმრისაგან, მეორე მხრით— ყბად-ასაღები ხდება თელის სოფლისა; სოფლის კორიკანებს აღდგომა უთენდებათ და რამდენისამე თვის სალაპარაკო მასალა ეძლევათ.

წესი ცოლის შერთვისა აქარაში თითქმის ისეთივეა, როგორც სხვაგან საქართველოში. შერთვამდე ვაჟს თავისი საბედო ხანდახან ნახულიც არ ეყოლება ხოლმე, რადგან აღარც ქორწილში, აღარც ტირილში ქალი მამაკაცს არ ეჩვენება. ღირსება-ნაკლულევენება იმ ადამიანისა, რომელსაც ვაჟმა თავისი მომავალი ცხოვრება უნდა შეუერთოს, უმეტეს შემთხვევაში მესამე პირის საშუალებით უნდა გაიგოს. ამ მესამე პირის საშუალებითვე უნდა გადაწყდეს ჯვარის-წერის საქმე. ეს მესამე პირი არის შუამავალი, ანუ, როგორც აქ ეძახიან, „ელჩი.“ თუ ვაჟს მამა ჰყავს, იმ შემთხვევაში მამა არიგებს საქმეს იმ ელჩის საშუალებით. ჯერ უნდა გაიგოს: ქალის დედ-მამის ზნედაცულობა და მათი ფიზიკური უნაკლულობა. თუ მამა შეკრებილ ცნობებით კმაყოფილი დარჩა, ქალის მამას ელჩს გაუგზავნის და იმის პირით უთვლის: „შენი ქალი ჩემს შვილს ცოლად მინდა შეერთოო. სანამ გადაწყვეტილ პასუხს შეუთვლიდეს, ქალის მამა თავის მხრივ ცნობებსავე ჰკრფეს მომავალ სასიძოს შესახებაც. თუ ქუაში დაუჯდა წინადადება, თანხმობას უთვლის. მაშინ მამა ვაჟისა ქალს ნიშანს უგზავნის: ბეჭედს, თავსაკრავს და სხვ., ქალი თავის მხრივ უგზავნის თავის ხელით მოქსოვილს აბრეშუმის ხვანჯარს, თუ შეძლებულია— აბრეშუმისავე პერანგს, მის ამხანაგს და ქისას. ამით ნიშნობა თავდება, წინდი მომავალი ცოლ-ქმრობის კავშირისა ორისავე მხრით მიცემულია. მერე ქალის სახლში მოვა ხოჯა, დასწერს ახტს (ცოლქმრობის პირობის ქალადღს, სადაც მზითეგია ჩამონუსხული) და გამოაცხადებს: მავანი ქალი მავანის ცოლიაო. ახტის დაწერას ესწრებიან (გარდა სასიძოსი) მამა სასიძოსი, რომელსაც თან ახლავს რამდენიმე მეზობელი. ქალი დამალულია. ამის შემდეგ წვეულება იმართება. ამ წვეულებაზე, როგორც სხვა დროსაც, ქალები არ ესწრებიან.

ნიშნობას რომ გადაიხდიან, ვაჟი თავისუფლად მიდის სიმამრის სახლში. ქალთანაც ცოლქმრულ კავშირს იჭერს. ისიც მოხდება ხოლმე, „რომ თავის სახლში წაყვანამდე ცოლი დაორსულდება და შვილიც კი ეყოლება. ცოტა არ იყოს, სირცხვილში ჩათვლებათ ორივეს ასეთი სულსწრაფობა, მაგრამ ეგ არის, ამ გმობით თავდება საქმე, სასჯელის ღირსად არც ერთსა სცნობენ და აღარც მეორეს. ქმრის სახლში წასვლის დროს ქალს მოსდევენ მაყარნი და მდაღენი (ან მხოლოდ მდაღე, თუ ღარიბია). გზაში ქალები ცხენებზე სხედან და ქვეითა კაცებს მათი ცხენები აღვირით უჭირავენ ხოლმე. გზის სიშორეს სიმღერითა და ლექსით იადვილებენ. ქორწილი საზოგადოდ შემოდგომაზე იცინა.

ზემოხსენებულ ახტში, სხვათა შორის, ის ქარის მოხსენებელი, რომ
თუ ქმარმა მოისურვა თავის ცოლის გაშვება, უნდა ნიქაპი (სასყიდელი,
შარჩო) მისცეს გაშვებულ ცოლს. ხელმოკლენი ცოლის გაშვების დროს
ნიქაპად 100—200 მანეთს აძლევენ. ხოლო მდიდრები, მაგალითად, ბე-
გები, თუ ცოლად დიდი გვარის ქალი ჰყავთ, გაშვების დროს 10,000
მანეთსაც აძლევენ. ახტი ქალსაც აძლევენ უფლებას თავის ქმარს გა-
ნექორწინოს. ამ შემთხვევაში თავის მზითვეზე ხელს იღებს, უკან
დაბრუნებას ვერ მოითხოვს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს უფ-
ლება ქალისა მხოლოდ იწერება, ისე კი თავს იშვიათად ანებებს
ქალი ქმარს. ქმარი განქორწინების დროს ცოლს ნიქაპს მაშინ არ აძლევს,
თუ დაამტკიცა ქალის დანაშაული. ხოლო თუ ვერ დაამტკიცა და ისე
შესტურის გავლენით მოინდომა მისი გაშვება, მაშინ კი კანონი ვალ-
დებულს ჰყოფს ცოლს ნიქაპი მისცეს. რომ ნიქაპის მიცემა აიცდინოს,
ქმარი ცდილობს თავისი უგემური ცოლი, როგორც აქ იტყვიან „გააძაღ-
ლოს“, ესე იგი იმ ზომამდე მიიყვანოს, რომ თვითონ ქალმა უთხრას:
ოლონდ გამიშვი და შენი არაფერი მინდაო. ისეც შეუძლია, ცოლმა
ქმარს თავი დაანებოს, სხვასთან კავშირი იქონიოს. მაგრამ კანონიერად
კი ვერ გაჰყვება, თუ ქმრის თანხმობა არ არის. ამ შემთხვევაში ერთად-
ერთი გზა აქვს ქალს: თავისი პირობა აპატივოს, ესე იგი მზითვევი
არ მოსთხოვოს. ქმარიც სულ დიდი, „ბოხრიკს“ (საქონელს) აჩუქებს
და შორჩა.

ცოლ-ქმრის განქორწინების წესიც თავის მხრივ სამგვარი ანუ სამ
ტალახიანია (სამ მუხლოვანი). ცოლის გაშვება ერთი ტალახით იმას
ნიშნავს, რომ ქმარი დროებით აძლევს ქალს განშორების ნებას. ერთი
ტალახით გაშვებული ქალი სხვაზე ვერ გათხოვდება, თუ ქმარმა ნება
და ნიქაპი არ მისცა. ქმარი-კი, თუ ისურვებს, შეუძლია შეურიგდეს
თავის ცოლს და ისევე შემოიყვანოს სახლში, მხოლოდ განქორწინების
დღიდან სამი თვის განმავლობაში აქვს ვადა. ხოლო თუ ამ ვადის გან-
მავლობაში ქმარმა თავის ცოლზე გული არ მოიბრუნა, ცოლს ნება აქვს
სხვას მისთხოვდეს. ორი ტალახით გაშვების დროს ხელახლა შერიგე-
ბისათვის-კი—რა თქმა უნდა, იმეც სამი თვის განმავლობაში—ქალის
თანხმობაა საჭირო, საქმის მობრუნება იმის ხელთაა, ქმარს არავითარი
ხმა არა აქვს. სამი ტალახით გამიშვიხარო, თუ უთხრა ქმარმა ცოლს,
მაშინ ქალმა და კაცმა ძალიან უფლითაეც რომ მოინდომონ სამ თვეზე
აღრე ვერ შეუუღლდებიან ერთმანეთს ხელახლა. ამ სამი თვის ვადის ის
მნიშვნელობა აქვს რომ ამ ხნის განმავლობაში გამოჩნდება გაშვებული
ქალი ორსულია, თუ არა. თუ ორსული არ გამოდგა, მაშინ ისევე
შეუღლდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში-კი, სანამ არ მოილოგინებს,
ვერავის წაჰყვება. მოლოგინების შემდეგაც შემდეგი ფორმა უნდა დაიც-
ვას: ჯერ უნდა სხვა კაცს გაჰყვეს, ამ მეორე ქმარმა უნდა გაუშვას და

მხოლოდ მეორე ქმრისაგან გაშვებულს შეუძლიან პირველი ქმრის სახლში იდიასახლისოს.

თუ ოჯახის უფროსი მოკვდა, შვილები დარჩა და ქვრივმა გათხოვება მოინდომა, შეუძლია მოძრავიდან მერვედი ნაწილი წაიღოს, დანარჩენი ობლებსა რჩებათ. ხოლო თუ შვილები არ დარჩა მიცვალებულს, მაშინ ქვრივს უძრავის მეოთხედი მიაქვს, დანარჩენი ქონება ქმრის ნათესავების კუთვნილებად რჩება. მზითვის ნაწილის წაუღებლობისათვის ქვრივ რძალს, თუ მიცვალებულს საცოლე ძმა დარჩა, ეს ძმა ირთავს, რა თქმა უნდა, თუ იმის მხრივაც თანხმობა იქნება. მაგალითად, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის უფროსი ძმა რომ მოკვდა, დედამ თავის ქვრივ რძალს, უთხრა, მეორე შვილი (შერიფ-ბეგი) მყავს, დაუცადე, სანამ დასაცოლიანებელი გახდებოდეს და იმას წაყვეიო. რძალმაც გაუგონა დედამთილს რჩევა და შერიფ-ბეგს გაჰყვა.

ძველთაგან ახლაც არის აქ დარჩენილი ჩვეულება აკვანში მყოფ ბავშვების დანიშვნისა. ორ აკვანს, რომლებშიაც დედათა სქესის და მამათა სქესის ბავშვებია, მშობლები ერთმანეთს მიუღვამენ და ამ დღიდან ქალ-ვაჟი ერთმანეთის ცოლ-ქმრად ითვლებიან. საზოგადოდ კი ქალს 15—20 წლისას ათხოვენ. 30 წლის განმავლობაში გაუთხოვრად დარჩენილ ქალს დრომოკმულს, დაბერებულს ეძახიან. ვაჟი კი 25—30 წლისა ირთავს ცოლს. თუ შინ ოჯახის მომვლელად დედათა სქესისა არავინა ჰყავს, მაშინ შეიძლება 20—22 წლისაც დაცოლიანდეს. რომ გათხოვდება ქალი, აქაური მართებლობა მოითხოვს, ქმრის სახელი არ ახსენოს ხოლმე; თავის მხრივ ქმარიც ვალდებულია თავის მეუღლეს სახელი არ დაუძახოს,—მეტის-მეტი სირცხვილი და დასაძრახისია. გარდა ამისა ქალსავე ვალად ედება თმა და თითებს ზემოთ ხელის სიშიშველ მამაკაცის ცნობისმოყვარე თვალებს არ აჩვენოს ხოლმე.

ნათესაური გრძნობა მეტად დიდი აქვთ აქაურებს. ასე წარმოიდგინეთ, თუ ქალმა ვისამე ბავშვს რაიმე მიზეზით ძუძუ აწოვა, მისი ნათესავი ხდება მეშვიდე მოდგამდე.

სამოსელი. რამდენადაც თავისებურია ბუნება აქარისა, იმდენადვე თავისებურია სამოსელი მისი მკვიდრისა. იმერულ გრძელ კალთებიან ჩოხას, ფეხით სიარულის დროს მეტად უხერხულ სატარებელს, აქ ვერ შეხვდებით. რაკი ცხენით სიარული აჭარაში მეტად სამძიმოა და რაკი მკვიდრი იძულებულია ძალა-უნებურად აქაურ აღმართებზე თავის ფეხებს დაატანოს ძალა, სამოსელიც ამ აღმართ-დაღმართების შეფარდებითი გამოუგონია. მეტი აქარელის ტანისამოსში არაფერია. ყველაფერი, რაც აცვია, მოკლეა და ტანზე მკიდროდ დამდგარი. აქაური შალის ჩოხა წელს ქვემოთ ოდნავ-და სცდება და ჩატანებულია აქაურ შალისავე ძიგვამი. ჩოხას ქვემოთ ზუბუნნი (სახელოიანი ყილეტი) აცვიათ; ზუბუნნი ჩითისაა

და საზამთროდ დაბამბულია; ხოლო საზაფხულოდ იგივე ზუბუნნი უსახლო და დაუბამბავია და სახელად ელფევი ჰქვიათ. ძიგვა საჯდომთან ძალზე დანაოჭებულია, სიარულს და ძირ დახრას სრულებით არ უშლის; ბოლოში ვიწროვდება, წვივებს მჭიდროდა ადგა და ფეხებზე პაჭუნავით არის მიმაგრებული. ფეხებზე ადგილობრივი მოქსოვილი ძალზე სქელი და კრელი წინდები აცვიათ და წინდებზე ჩაფულას (ქალამანს) ატარებენ. თავზე უეჭველად ყაბალახი უნდა ჰქონდეს შემობლანდული კოხტად. თავ-მომწონენი ზაფხულობით სირმა შემოვლებულ ჩოხას, ზუბუნს და ძიგვას შავი სატინისას ატარებენ. ოსმალური ფესი იშვიათი სანახავია. თუ ატარებენ, ისევ მოლები, ყადები და საზოგადოდ სასულიერო წოდებისანი. ჩვენებური გრძელი ჩოხა-ახალუხი აქაურ ბეგებს-ლა აცვიათ.

აქაური ტანისამოსის უეჭველ ატრიბუტს შეადგენს იარაღი. თოფი, წელს გარეშემო სავაზნე, მოვერცხლილი დამბაჩა, საჯაყვე, ტარიანი და ქარქაშში ჩაგებული და ქამარზე დაკიდებული, სატევარი, საქონე, სამოგვის მათარა,—აი აქაური რას ატარებს. თოფს ყველანი არ ატარებენ, ხოლო დანარჩენი არსენალი თითქმის ყველას აქვს წამოკიდებული. ამანირად გამოწყობილი აჭარელი, მხარბეკიანი, ჩამკერიულის ტანისა, წვერგაპარსული, შავი და პირდაპირობის გამომთქმელი თვალბიანი, შავგვრემანი, სურათ-ცხვირიანი, თამამად მოსიარულე, თან ზრდილობიანი სიტყვაპასუხის პატრონი—მეტად ჰშვენის, მეტად საამო საყურებელია.

ახლა ვნახოთ, როგორ იცვამს აქაური ქალი: ჩვენებურ ტანისამოსთან აჭარელი ქალის ტანისამოსი თავისებურია. ზევიდან აცვიათ ქათიბის მსგავსი ხირხა ჩითისა, დაბამბული ანუ უბამბო, სეზონის მიხედვით; ხირხას ქვემოთ ატარებენ კაბას, კაბას ქვეშ—პერანგსა და მისს ამხანაგს, ალისფერ ჩითისაგან შეკერილს. პერანგის ამხანაგი მეტად განიერია, მხოლოდ კოჭებთან ვიწროვდება, თავში თეთრი არშია აქვს გადაკერებული ხონჯრისათვის; ფეხებზე ჩუსტები აცვიათ აღმართებზე სიარულის დროს, ხოლო ვაკეში დადიან ნალიანით (ხისაგან გაკეთებული მაღალქუსლებიანი საცმელია, ზევიდან ვიწრო სამოგვე აქვს გადაკრული ფეხის შესაყოფად და დასამაგრებლად). თავზე შემოკრული აქვს თავის ჩითივით იაზმა, იმის ზემოთ თავის გარშემო ლეჩაქი, რომლის ერთი ყური წელზეა გადაშვებული, წინ სახეზე შემოკრული აქვთ სინათლის სანახავად თხელი მანდილი,—ფეჩა. ყველა ამის გარშემო გადაფარებული აქვს თეთრი ჩაღრი თავის დასამალავად. სიარულისა თუ მუშაობის დროს, შინ თუ გარეთ სულ ერთად ატარებენ ამ ჩაღრს, რომაქმამათა-სქესის წარმომადგენელთ, განსაკუთრებით უცხოელებს და გიაურებს (ქრისტიანებს) თავი არ დანახონ. როგორცა ხედავთ, რამდენადაც აჭარელი მამაკაცის ტანისამოსი პრაქტიკული და ადგილმდებარეობის პირობებთან შეფარებულია, იმდენად დედაკაცის ტანისამოსი უხერხულია, ადამიანს თავი-

სუფლად მოძრაობას უშლის, ხელ-ფეხს თითქმის უბორკავს. თითქო იმისათვის გამოუგონიათო, რომ მისმა მატარებელმა თავისი ნებით თავის თავი დაიტყვევოსო. ეს თეტიკურ გემოვნებაზე ხომ ნურას ბრძანებთ!

ხალხის ჯანმრთელობა და მკურნალობა. პერი აპარისა საზოგადოდ მეტად მრთელია. არის რამდენიმე სოფელი, სადაც ციება ზაუხულობით საკმაოდ სტანჯავს სოფლებს. ასეთი სოფლები (შუახვევი, ხიჭაური) მეტად ჩავარდნილ ადგილებში არიან გაშენებული, წყლის პირას, თითქმის ყოველი მხრით კლდეებით არიან შემოზღუდულნი და პერის მოძრაობა მეტად შეჩერებულია. ციების გარდა ზოგიერთ სოფელში (მურისი და ცხმორისი ქვემო-აპარაში, ღორჯომი—ზემო-აპარაში) ჩიყვიც არის სოფელთა შორის. ზოგიერთს ცხვრის ღუმასავით დაჰკიდებია კისერზე ჩიყვი და თავის თავისუფლად მოძრაობას უშლის. თვითონ ამ ჩიყვიანებს შორის კაცი იდიოტებსაც შეხედება. წმინდა ალაგობრივი სატკივრები ესენია. ზამთრობით ფილტვის ანთებაც ხშირია და უმეტეს შექთხევებაში ავადმყოფი მოუვლელობისა გამო თან უნდა გადაჰყვეს ხოლმე. ამ შემთხვევაში ერთადერთი მომხმარე ავადმყოფისა—მისი აგებულებაა. თუ მაგარი აგებულებისა და სენი სძლია, ხომ კარგი, თუ არა და თავისი მრავალტანჯული სული უნდა განუტყვეოს.

მკურნალობა აქაურ სოფლებში ჯერ-ჯერობით ისევ მოლების ხელშია. პედაგოგობის გარდა ესენი ხალხის კურნებასაც ხელს ჰკიდებენ. რაც უნდა სენი სჭირდეს ავადმყოფს, მოლა უკან არ დაიხვეს, ყველაფერში მეცნიერებას იჩენს. მათი წამალი—შელოცვა და თილისშებია, თუ ავადმყოფი მორჩა,—დიდება და სახელი მოლას, თუ თქვენი პირი წაიღო, მიანც არ დაემღურებინ, —ალბათ წერა ყოფილა, თორემ მოლას ცდა არ დაჟკლიათო. გასამრჯელოს მოლას ამ თილისშებისა და ლოცვებისათვის ზოგჯერ 5—3 მანეთამდე აძლევენ.

ნამდვილი სამკურნალო მეცნიერების მსახურნი აპარაში ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ დაინახეს მცხოვრებთა, როცა სოფ. ქედაში საგუბერნიო საექიმო უწყებამ სამკურნალო გახსნა. სამკურნალოს გახსნისთანავე ქედაშივე განწყობულ იქნენ ერთი პკურნალი, ერთი ბებია-ქალი, ფერშალი ქალი და ერთიც ფერშალი-კაცი. სამკურნალო მხოლოდ გარედან მოსიარულეთათვის არის დაარსებული და მისი შენახვა წელიწადში ოთხას თუნამდე ჯდება. დღეში ზოგჯერ 25 კაცი მოდის საექიმოდ, უფრო მამაკაცები, დედათა სქესისანი ჩვენებურ ექიმს გაურბიან. ისევ ფერშალ ქალს თუ ეჩვენებინ, ისიც როცა სიკვდილის კარამდე არიან მიღწეულნი. მაგრამ სამწუხარო ის გარემოებაა, რომ არც ბებია-ქალმა და აღარც ფერშალმა ქალმა ქართული ენა არ იციან, რომ გააგებინონ რამე მათთან რჩევის სათხოვნელად მისულ აპარელ ქალებს.

ქედის სამკურნალოს მოქმედების რაიონი მეტად განაწილებულია, მეტად მცირედ ნაწილი მცხოვრებთა, და ისიც ქვედა აპარისა ჰპოუ-

ლობს შევებას გასაქირში, რადგან, უგზობისა გამო, აქ მძიმე ავად-
 მყოფის ჩამოყვანა ფიზიკურად ყოველად შეუძლებელი ხდება. მთელი
 ზემო-აქარა კი, სადაც მხოლოდ ერთი ფერშალია, სრულებით მოკლე-
 ბულია მკურნალობას. ხულოში, ეგრედწოდებული, საფერშლო პუნქტია.
 აქ განწყობულ ფერშალს, რომელსაც თითქმის 20,000 სულის მოვლა
 და ყურისგდება აქვს დავალებული, წარმოადგინეთ, ქინაქინისა და
 საფადარათო ზეთის მეტი არაფერი მოეძებნება მის სამეზავრო აფთიაქში!
 ხანდახან ისიც არ მოეპოვება ხოლმე. ხოლო ექიმი აქეთკენ თავისდღეში
 თვალითაც არ უნახავთ, რადგან ერთადერთ მკურნალს ქედის სამკურ-
 ნალო აქვს ჩაბარებული და იქიდან ფეხს ვერ მოიცვლის. ექიმი კიდევ
 რომ დაიძრას ქელიდან, ამ უგზობაში სადღა წავიდეს. განსაკუთრებით
 ზამთრობით, დიდ-თოვლობის დროს, როცა სოფლებს შორის მისვლა-
 მოსვლა შეწყვეტილია! ასეა თუ ისე, 33,000 მცხოვრებს ერთი მკურნა-
 ლი, ორი ფერშალი ვაჟი და თითო-თითო ბებია-ქალი და ფერშალი
 ქალი ოღონდაც რომ ბევრს ვერაფერს სამსახურს გაუწყვენ. სამკურნა-
 ლო საქმე, სხვა მრავალთა შორის, აქარაში მეტად ბეჩავად არის დაყე-
 ნებული და მომართული. ამ მხრივ შევლას გარედან მოელის აქარელი,
 თვითონ კი სრულიად უმწეოა. უმწეოა ქონებრივად, თავის წარმატე-
 ბისათვის ზრუნვის თავი არა აქვს; უმწეოა იმ რადიციების უნდობ-
 ლობის გავლენით, რომლებიც ამდენი ხნის განმავლობაში თურქეთის
 უკუღმართმა ცხოვრებამ ჩაუნერგა, დედის ძუძუსთან ერთად შეაწოვა...

VIII.

ყადი-ოღლი.—სოფელნი.—ხულოს საფერშლო პუნქტი.—ციხის-ყელი და
 ისტორიული ნაშთი.—ცთომილი ლოდი და მისი ლეგენდა.

სანამ ხულოს დროებით მოვშორდებოდეთ, გვსურს რამდენიმე სიტყვით
 მაინც მოვიხსენიოთ მის აღმოსავლეთ მდებარე სოფელი ყადი-ოღლი.
 ხულოსა და ამ სოფელს შორის ნახევარი კილომეტრის მანძილი ღა
 თუ იქნება. მაგრამ ხულოდან მომავალი საცალფეხო ბილიკი ისეთი
 მყიფე და თავქვეა, რომ ძალზე გასაქირია როგორც აქ ჩასვლა, ისე,
 განსაკუთრებით, იქიდან უკან ამობრუნება.

თვით სოფელი გაშენებულია მდინარე აქარის-წყლის მარჯვენა ნა-
 პირზე, ქვეთკირის ერთსართულიანი სახლები თერთმეტ მეკომურისა
 ერთი მეორეზეა მიდგმული და ამ მხრივ ქართლის სოფელს მოგავო-
 ნებთ. ამ სოფლის თურქული სახელწოდების (ყადი-სასულეირო მოსა-
 მართლე და ოღლი—შვილი) შესახებ მცხოვრებთა შორის შემდეგი
 თქმულებაა დარჩენილი. აქაური მკვიდრნი არიან ბოლქვაძენი. მათი
 წინაპარი ქრისტიანი მღვდელი ყოფილა. მისი შვილი მაჰმადიანი გამ-
 ხდარა. გულდაწყვეტილ მამას უთქვამს შვილისათვის: ჩვენს წინაპრებს
 ნასწავლებს ეძახდნენ და ყველანი მღვდლები ყოფილან. რაკი, შვილო
 ძველი რჯული უარჰყავი, იმდენი ისწავლე, რომ წინაპართა სახელი

შინც შეგოჩესო“. ისიც მამის ნებას დაჰყოლია და ისე განსწავლულა, რომ თურქებს ყადობა მიუციათ. პირველი ყადი ამ გვარში ისა ყოფილა. მის შთამომავალს ყადი-ოღლები (ყადის შვილები) დაერქვა. ხოლო შათს სოფელს—ყადი-ოღლი.

ამ პატარა სოფელს იქით-აქეთ კლდეები დაჰყურებს, ასე რომ მზის სხივები იშვიათად ჩაატანს ხოლმე. ჰაერი შეგუბულია, თავისუფლად ვეღარ მოძრაობს, რასაც, რა თქმა უნდა, მცხოვრებთა სიმრთელეზე თავისი გავლენა აქვს. ჩემთან ერთად აქაურობის დასათვალისწინებლად ხულოს ფერშალიც მოდიოდა. რომ დაგვინახეს, დედათა სქესიანი, თუ ვინმე იყვნენ გარე სახლებში შეცვივდნენ, თითქო ალაღმა დაჰქროლათო. ხოლო მამაკაცი მოვიდნენ და მეტად თავაზიანად მისალმების შემდეგ საუბარი დაგვიწყეს. განსაკუთრებით ფერშალს მიეტანენ. ვინ რას შესწიოდა, ვინ რასა და „ბატონ დობტურს“ წამალს თხოვდნენ. ბევრი არაფერი სახარბილო იყო მდგომარეობა ჩვენი „დობტურისა“, რომელსაც თავისი პაწაწინა აფთიაქში რამდენიმე გრამი ქინაქინისა და ორჯერზე სამყოფ საფლარათო ზეთის მეტი არა მოეპოვებოდა-რა. ქალღმერთი კი ხულო აღნიშნულია „საფერშლო პუნქტად“, სადაც ფერშალს ზემოთაღნიშნული ორ წამლის გარდა სხვაც რამე უნდა ჰქონდეს, თუ თქვენც დამეთანხმებით. „ის კი არა, ამასაც დავიდარაბასა და ჩხუბის ქვეშ მამღვევინო“,—გულდაწყვეტით შემომჩვილა ფერშალმა, რომელსაც დავალებული აქვს ყური უგდოს მთელ ზემო აქარის მცხოვრებთ ოცი ათასზე მეტ ადამიანს! აქაური მთის წმინდა ჰაერი რომ არ ეწეოდეს, ჩვენი წამლების იმედით ბევრი გაუღებოდა წინაპრების გზა-კვალსო, დაასრულა სიტყვა ჩემმა თანამოსაუბრემ.

პურის ლეწვის დროს მოგვიხდა აქ ჩამოსვლა; ის იყო კალო ჩაეშალათ და უღელ ხარ შემულ კევრს შუახნის კაცი გარშემო დაასრიალებდა. ლეწვა იმ ნაირადვე სცოდნიათ, როგორც ქართლში. სალწავი იარაღიც იგივეა, კევრის ქვემოდან ივივე კაეები და გაფხავებული ქვებია ჩასმული, მხოლოდ სიმღერას ვერ გაიგონებთ. საშინელი ტანჯვა, სიბეჩავე და გულგატეხილობა ეხატება სახეზე აქაურ შრომის შვილს: მხიარულება მისთვის უცნობი ხილია.

ყადი-ოღლის ბოლოს ხულოს აღმართის აყოლებზე აქარის წყლიდან მოიმართება კლდის ზურგი, რომლის უმწვერვალეს ადგილს „ციხის-ყელს“ ეძახიან. „ციხის-ყელთან“ დღესაც ეტყობა ქეთაკირის საძირკველი მომცრო ეკლესიისა, რომელსაც სიგრძე 2 მხარი ჰქონია და განი—1. იქვე გვერდით კლდეში ჩაკირული ქვევრების ნამტვრევებიც მოსჩანს. „აქ ქილისა (ეკლესია) ყოფილა და ეს ქვევრებიც ღვინისათვის ჰქონიათ ჩვენს ძველებს „გურჯებს“-ო (ქართველებს), გვითხრეს აქაურებმა. ყადი-ოღლელნი დღესაც კი მოწიწებით ეპყრობიან თავიანთ წინაპართა სალოცავ ადგილს.

„ციხის ყელზედვე“ გამვლელის ყურადღებას იპყრობს კონუსისებური ქვა ერთი კუბიკური მხარის სიდიდისა. ეს ქვა, ანუ-უკეთ, ლოდი, ზედ კლდის

თავზეა ატანილი. ქვეშ სამი კუთხით ქვისავე პატარა ნატეხები უდგას საძირკვლად ისე, რომ ყველა მხრიდან სინათლე გადის. ერთი შეხედვით ეს ლოდი კაცს ამ ადგილას განგებ, ადამიანის ხელით დადგმული ეგონება. მაგრამ საკმარისია გაითვალისწინოთ მისი სიდიდე და სიმძიმე (სულ უკანასკნელი 300 ფუთი), ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, მიუვალობა იმ მწვერვალისა, სადაც იგი დადგმულია, რომ ეს აზრი უარპყოთ, განსაკუთრებით შეუძლებელი იქნებოდა აქ მისი ამოტანა იმ დროის მცხოვრებთათვის, რა დროსაც ამ ლოდის აქ გაჩენა ეკუთვნის. ეს ლოდი არის ის, რასაც გეოლოგიაში ფრანგულად diocerratique-ს უწოდებენ, ანუ «ცთომილ ლოდს». ასეთი ცთომილი ლოდები ხშირია კავკასიაში, შვეიცარიაში და საზოგადოდ კლდოვან და ყინულოვან ქვეყნებში. ვაკეზე ასეთი ლოდების ჩამოტანის მიზეზი გარდა სხვადასხვა მეტეოროლოგიურ მიზეზთა, უმეტესად ეგრეთ წოდებული მცურავი ყინულია, რომელსაც თავის ზურგზე უზარმაზარი ლოდები მოაქვს ხოლმე, სანამ სადმე ვაკეში, მთის მოშორებით არ გადასჩეხავს. ყინული დადნება, ხოლო მისი შიტანილი ლოდები ისეთ ვაკეზე რჩება, სადაც მათს გარშემო ქვის ნატამალიც არ არის ხოლმე, და მათი მნახველი ადამიანი ჰკვირობს, ამ ლოდებს აქ რა უნდოდაო! ამ გადაჩეხის დროს ხშირად სახლის სისხოლოდი სხვა ლოდებზე შესდგება ან ცენტრი სიმძიმისა სხვა პატარა ქვას აწევება და დიდი ლოდიკი ჰაერშია ხოლმე გაჩერებული. პირველად, სანამ კარგად გამოიკვლევდნენ ამ ცთომილ ლოდთა ხასიათს, ეგონათ პირველყოფილ ადამიანთა ქვის შენობებიანო, რადგან დოლმენებთან და განსაკუთრებით მენპირებთან საშინელი მსგავსება აქვთ ხოლმე, მაგრამ ამჟამად მეცნიერების მიერ ეს აზრი უარყოფილია. ხალხს მაინც, საცა კია ასეთი ცთომილი ლოდები, რაკი მისი გაჩენის ნამდვილი მიზეზი ვერ აუხსნია, ათასგვარი ლეგენდები შეუთხზავს იმის შესახებ. ზოგან დევების ნასაქმარად მიაჩნიათ, ზოგან რად და ზოგან რად.

ყადი-ოლლის ცთომილი ლოდი შესანიშნავია არა თავის არაჩვეულებრივის სიდიდით, არამედ თავის მდებარეობით. ყადი-ოლლეღნი, მართალია, არ ამბობენ ეს ლოდი მდევების დადგმულიანო, მაგრამ მათებური ახსნა ბუნების ამ მოკლენისა მეტად დაშორებულა სინამდვილეს და არა ნაკლებ დაუჯერებელია. მოუსმინოთ, თუ რას გვეუბნებიან აქურნი ამ ქვის შესახებ: ქრისტიანობის დროს ექვსნი ძმანი ყოფილან, დიადლონიერნი, იმავე დროს მეორე კაცის შვილნი ცხრანი ძმანიც ცხოვრობდნენ თურმე. ეს ქვა აკარის წყალის გაღმა დებულა, ყადი-ოლლის პირდაპირ. პირველნი ექვსნი ძმანი და მეორენი ცხრანი ძმანი გაჯიბბრებულან, ვინ უფრო ღონივრები ვართო. პირველთ უთქვამთ: ჩვენ ამ ქვას აქ, ამოვიტანთ და დავდგამთ და თქვენ, თუ მართლა ღონე გერჩით, მხოლოდ გადაავოროთო. როგორც გვარწმუნებენ აქაურნი, იმ ექვს ძმას მართლა გამოუჩენიათ არაჩვეულებრივი ღონე და ეს ქვა გამოუტანიათ და ციხის ყელზე დაუდგამთ. მოპირდაპირე ცხრა ძმათ ძვრად ვერ უქნიათ-

შას აქეთ დარჩენილა ეს ლოდი ამ ადგილას. მეორე ვარიანტი ამ ლოდის შესახებ გვეუბნება, რომ სამნი ძმანი ყოფილან, მეტად ძლიერნი და თავიანთ სახსოვრად დადგეს ეს ქვა აქაო. მაგრამ რაც უნდა ღონის პატრონი ყოფილიყვნენ სამნი თუ ექვსნი ძმანი, ან ცხრანივე ერთად, ამ 200—300 ფუთიან ქვის დაძვრა, მერე ასეთ დაქანებულ ადგილას ჩატანა, იქედან თითქმის ერთი კილომეტრის მანძილს მოსსლეტილ აღმართზე ამოტანა,—ყოვლად შეუძლებელია. ვაკეზე ოწინარის საშუალებით, თანახმად იმ თეორიისა, რომელიც არსებობს ისტორიის წინა დროების მეგალითურ შენობათა შესახებ, კიდევ მოსახერხებელი იქნებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაგორება ასეთი კლდისა, მაგრამ ყადი-ოღლებს ღრანტეებში ასეთი ტრიალი უზარმაზარი ლოდისა—ადამიანის ყოველ ღონეს აღემატება.

IX

თამარ მეფის ხსოვნა. —ხულოდან გასვლა და ჩემი ჩიჩქრონე იუნუსა ბერძენი.—ნეტარება მენდლიანს!—ვარცხლა.—ლორთა-ვაკე.—შეიღის საფლავი ანუ წმინდანიათი.—ფურტიოს ანუ დედოფლის-ხიდი.—დედოფლის ქვა.—დედოფლის გზა.—დედოფლის წყარო.—სიმონაური.—დოლაური.—ნახუცარი.—ფურტიო.—ყადი—ეფენდი ბერძენი.—გამასპინძლება.—საბრუნავს სერი და იქ გადახდილი ბრძოლა.—გამაჰმადიანებული ქამადაძე.

ჩვენი დიდებული მეფე თამარის ხსოვნა საზოგადოდ ჩვენი ქვეყნის განაპირა ადგილებშია ხშირად დარჩენილი. განსაკუთრებით ბევრი ამჟამი დატულია ამ მეფის ცხოვრების შესახებ აქარაში. თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია, როგორც ღვთის მოშიში, გულმოდგინე მზრუნავი ეკლესიათა გამრავლებისათვის, განაპირა ადგილების მფარველი და გამამგრებელი, მტრისთვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მიუყერძველი მოსამართლე და, ყოველივე ამის დასასრულ—წმინდანი და უბიწო, როგორც დავინახავთ იმ ლეგენდიდან, რომელიც ერთ-ერთ წერილში გვექნება ჩართული.

რაც, საზოგადოდ, აქარის შესახებ ითქმის, განსაკუთრებით ითქმის ამ მხარის სოფლის ფურტიოს შესახებ. ამ სოფელში (ფურტიოზე დევს სხალთის ტაძარში მიმავალი გზა, სადაც, როგორც აქაურები მოგვითხრობენ, თამარ მეფეს სალოცავად სიარული უყვარდაო) დაწერილებით აგვიწერენ: გზას, რომლითაც სულმნათი ჯვრით დადიოდა; გვიჩვენებენ ადგილს, სადაც ღამე უთევია, წყაროს, სადაც წყურვილი მოუკლავს, ქვას, რომელზედაც ფეხი შეუდგამს, მოგვითხრობენ, ვის რა სიტყვებით მიჰმართა და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველივე წვლილი თამარის ცხოვრებისა წარუშლელად აღბეჭდილა აქაურების ხსოვნაში, რაიცა მთის მხარის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ მდებარეობითაც აიხსნება, და ისეთი შედმიწვენილობითაც მოგვითხრობენ, თითქო გუშინდელი, საკუთარი

თვალთ ნანახი და ყურით გაგონილი ამბავი იყოს და არა რვა საუკუნის წინანდელიო! ჩვენ წმინდა მოვალეობად ჩავთვალეთ, ყოველივე განაგონისისრულით ჩაგვეწერა და მკითხველისათვის გვეგრძობინებინა ის სიამოვნება, რაც ჩვენ ვიგრძენით ამ კუთხეში. მით უფრო, რომ ვინ იცის, რამდენი კოკა წყალი ჩაივლის აჭარის-წყალში, სანამ ბევრი ჩვენთაგანი თავის თვალთ ნახედეს აჭაურობას და თავის ყურით მოისმენდეს აჭაურების პირიდან ჩვენი სულმნათი მეფის ქებათა-ქებას.

მზე სამოთხე მხარზე ამოიწვერა, ხულოს პირდაპირ პირქუშად წამოზიდულმა მთამ არგინეთისამ ნისლის მსუბუქი სამოსელი სრულებით შემოიყოლა და ამაყად გადმოხედა ქულს და ქვეშ გრგვინვით მიმავალ აჭარწყალს. ჰაერი გათბა და მეც ფურტიოსაკენ პირი ვიბრუნე. ჩემთან ერთად მოდიოდა გზის მაჩვენებლად ფურტიოს მცხოვრები იუნუსა ბერიძე, ხულოში ჩაფრად მყოფი, თავაზიანი, წმინდა ქართულით მოლაპარაკე, უებრო მოამბე. იუნოს ბერიძე საუცხოვო თანამგზავრი შეიქნა. თუმცა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მგზავრობის დასასრულთაივსებური სასყიდელიც მოითხოვა თავის სამსახურისათვის. მაგრამ კი არ იფიქროთ, რომ ჯილდო ვერცხლისა ეთხოვოს, არა, ასეთ ცილს ვერ დავსწამებთ. როცა ფურტიოს გავსცდით და დავადექით ხულოს უფროსის წინადადებით სოფელეთა მიერ გაკეთებულ გზას, სადაც ხულოს უფროსის სოფლელების თავდგმურად იუნუსა დაუნიშნავს, ჩემმა ჩიჩგრონემ მითხრა: „დიდი ჯაფა გავსწიე, ბატონო, ამ გზების გაკეთებაზეო. ხულოში მითხრეს, თქვენ ქითაბებსა (წიგნებს) წერთო და ქალაქში „ლლუბერნატორს“ იცნობთო. „როცა დაბრუნდებით, ჩემი სახელი ქითაბში ჩაწერეთ და ლლუბერნატორს თხოვეთ ერთი მინდალი მიბოძოს ამდენი შრომიზა“.. დავპირდი ამგსრულებინა პირველი ნახევარი მისი თხოვნისა (ამის მოწმე თითონ მკითხველიც ბრძანდება), ხოლო მეორე ნახევრის შესახებ ვუთხარი, თუ რა ძნელია ახლანდელ დროში მენდლის შოვნა... „კაცია, ვისაც მინდალი აქვს“, მითხრა იმედგადაწყვეტილმა იუნუსამ და ერთი ისეთი ამოიხუნემა, თითქო თან გული ამოაყოლაო... ზოგჯერ რა ცოტა რამე ჰყოფნის ხოლმე ადამის შვილსა!..

ფურტიოს გზა ხულოდან სამი ვერსის მანძილზე ჯერ ბათუმ-ახალციხის გზატკეცილით მიდის. პირველად გზის იქით-აქეთ ფიჭვნარევი ტყეა; და მისი სუნი მგზავრს საამოდ უღიტინებს. ალაგ-ალაგ მწვეანედ ხახხახებს. დაქანებული ველები, რომელთაც მხიარული ლუკლუკით რუები ურბენს ხოლმე, ველების ბოლოს, ხევში, სოფელეთა სახლები გადამდგარა ერთმანეთის მოშორებით. უმეტესი ნაწილი გზატკეცილისა გადასცქერის მოსხლტილ ხრამებსა, ასე რომ მგზავრს მეტის-მეტე სიფრთხილე მართებს, რომ ცხენიანად უფსკრულში არ გადაიჩხოს. ბუნება წამდაუწუმ იცვლება მგზავრების წინაშე და გამახალისებელი და საოცნებო სურათები მის თვალებს უზომოდ ეალერსება.

სანამ გზატკეცილიდან გადავუხვევდით, მარჯვნივ ერთი სერი მაჩვენა ოუნუსამ. აი, ბატონო, იმ სერს ხომ ხედავთ, „ვარცხლა“ ჰქვიან. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ ძველად თამარ მეფეს იქ ვერცხლის მადანი ჰქონია. რაც ვერცხლი სჭირდებოდა, სულ აქედან გაჰქონდა თურმე. იმის მახლობლად „ლორთა-ვაკეა“. შიგ კარგი მუხნარიაცაა. გათათრების დროს ერთს ხინიკაძეს ღორის კოლტი ჰყოლია. მისს სოფელში უმეტესობა-გათათრებული ყოფილა და მის წინააღმდეგ „აზაფებულა“ (ამხელ-რებულა), ღორები გაწყვიტე და შენც გათათრდი ჩვენსავითო. ხინიკაძეს ურჩობა დაუწყია და თავის კოლტითურთ ვაკეს შეხიზვნია. გაბრაზებული სოფელენი გამოსდევნებთან და თოფით მოუკლავთ. ამ ვაკეს „ლორთა-ვაკე“ დარქმევია და დღესაც ამ სახელს ვეძახითო.

მესამე კილომეტრზე გზატკეცილი უნდა დატოვოთ და ვიწრო ბილიკოთ თითქმის ცურვით თავქვე უნდა დაეშვათ აჭარის-წყალზე გადებულ ძველი ქვითკირის ხიდისაკენ. გზატკეცილის შორიახლო მგზავრის ყურადღებას იქცევს ქვის ყორე, რომლის ქვეშაც ასაფლავია ვინმე მაჰმედ ალა და მის საფლავსაც „შეიდის (წმინდანის) საფლავი“ ჰქვიან, რადგან ეს მაჰმედ-ალა თურქების მიერ წმინდანებშია ჩარიცხული. ამ ადგილს „წმინდანსაც“ ეძახიან. გამაჰმადიანებულ ქართველებს გორჯებთან ბრძოლა ჰქონიათ სარწმუნოების გამო. მაჰმედ-ალა შავშეთელი ყოფილა, სოფ. მოქთიდან. მისი ბაიარალთაობით აჭარის-წყალს გამოლმა გამაჰმადიანებულ ქართველთა ჯარი მდგარა, ხოლო გაღმა—მის მოწინააღმდეგეთა. გახურებულ ბრძოლის დროს მაჰმედ-ალას ტყვია მოხვედრია და სასიკვდილოდ დაუჭრია. დაკოდილ ბაიარალთას გაღმა გასვლა მოუნდომებია,—ბარემ თავი შეეკალა ბეტრისაო, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს თუ არა, იქვე ჩაიკეცია, წყალი მოსწყურებია და ღვისსათვის შეუთხოვნია, შენს მალესა წყალი გააჩინეო. ერთბაშად წყაროს ამოუხეთქნია, მომაკვდავს წყურვილი მოუკლავს და გარდაცვლილა კიდევ. ამ წყაროს „შეიდის წყალი“ დარქმევია. ამ ადგილას ამოჭრილი ქვაა დღესაც, წყლის ჩასაგროვებლად. მაგრამ ხან გამოჩნდება და ხან სულ დაშრება წყალიო- ამ ქვის როფეს აჭარელი ისე არ გაუვლის, რომ ხელი არ ჩაუშვას. შიგ და პირზე არ მოისვას, თანაც არ ილოცოს. წყალიც რომ არ იყოს შიგ, ყოველივე ამას ფორმისთვის მინც ასრულებს. ადრე წარწერიანი ქვის ფიტარიც ყოფილა აქა, მაგრამ დღეს კი დაქარგულია სადღაცა. წყალ-გაღმა, სადაც მაჰმედას მკვლეელი ქრისტიანი ზურაბა მდგარა, ამის სახსოვრად „ზურალი“ დარქმევია.

ერთმანეთში არეულ მუხნარს და ფიჭვნარზე მიმავალი ძალზე დაქანებული ბილიკი ქვეშ უფესკრულში თავდება, ზედ აჭარის-წყლის პირას, სწორედ ამ ადგილას, სადაც ამ რისხვიან მდინარეს რისხვიანივე ტოტი—სხალთს-წყალი—უერთდება. მდინარის ყვირილისაგან გარშემო არაფერი ისმის. კლდეთა შორის მომწყვედული წყლის ქუხილი. მალმა რისხვის ხმად ამოდის და მხოლოდ რაც უფრო განზე იწევს კლდები,

ისიც სუსტდება. მდინარის ორივე ნაპირს ქვის კამარიანი ხიდი აერთებს. თავი და ბოლო ამ ხიდისა დაყრდნობილია კლდიან ნიადაგზე. ასე რომ თვითონ ეს ბუნებრივი საფუძველი ადლ-ადლ-ნახევრის სიმაღლეზეა წყალს ამორებული. ამით უნდა აიხსნას, რომ აქამდე სრულიად უზიანო დგას ეს ძველთა დროების ნაშთი. შუა წელი ამ ხიდისა ორი მტკაელების სისქე თუ-ღაა. მაგრამ ქვა და კირი ისე შედღულეობა ერთმანეთს, რომ ერთ განუყოფელ მთავლს წარმოადგენს. ადამიანს ძალზე ანცვიფრებს ის სითამამე, რა სითამამითაც ძველი დროის ოსტატს ეს ქვის რვალი ერთ ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადაუტყორცნია! მისი მაშენებელი საფლავიდან რომ წამოდგეს, ბეერს. ახლანდელს ინჟინერს აწურვინებს ოფლს... 1895 წლის წყალდიდობის დროს მთელი აჭარა საშინელ სურათს წარმოადგენდა თურმე. მთელი მხარე წყლად გამსკდარა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას ემსგავსებოდა მაშინ აჭარის-წყალი, რომელშიაც თავს იყრის მთელი ზემო და ქვემო აჭარის წყლები დიდით— პატარამდე! სოფელნი ახლაც ძრწოლით იგონებენ ამ ამბავს. მთელი მთები და კლდეები, ტყე, სახლები, სადაც კი მისწვდა, ყველაფერი მოარღვია, ყველაფერი აღმოფხვრა. სახლის სისხო ლოდებს პატარა კენჭების მსგავსად მოათამაშებდა თურმე. მისი ღმუილი შორს ისმოდა და მთელს მიდამოს ზარსა სცემდაო. მაშინ ამ ხიდსაც არა ნაკლები ძალა დასდგომია, მაგრამ წარბშეუხრელად აუტანია ლოდების დაჯახება და დღესაც უვნებლად დგას გაღმა-გამოღმა მხარის შემაერთებლად.

ასეთი ხიდი მარტო ფურტიოში არ არის. ამის მსგავსი ერთი და იმავე გეგმის (და ალბად ერთი და იმავე დროისაც) ხიდი აჭარაში დღეს რვაა დარჩენილი, და ჩვენ პირადად შემთხვევა გვქონდა რვავე გვენახა. ამათგან ხუთი ზემო აჭარაშია, სახელდობრ: ყადი-ოლღებში, შანთაძეებში, შირინ-ოლღებში, ურხოს და ფურტიოს, ხოლო დანარჩენი სამი ქვემო-აჭარაში დარჩენილა: ერთია სოფ. დანდალოში, მეორე მახუნცეთსა და მესამეც ცხმორისში. 1895 წლამდე რვავე ხიდი ჯერ კიდევ მთელი ყოფილა. მაგრამ წყალდიდობას ზოგან სულ დაუნგრევია (შანთაძეებში, მახუნცეთსა და ცხმორისში), სხვაგან კი ცოტათი დაუზიანებია (ყადი-ოლღებში).

აქარლები, როგორც ყოველ ძველს ნაშთს ამ მხარისას, ამ ხიდებსაც თამარის დროში აშენებულადა სთვლიან. თუმცა მათ ნათქვამში ანაქრონიზმები ხშირია, მაგრამ ლეგენდას ხომ ასეთი შეცდომა უფრო ადვილად ეპატიება ხოლმე! მახუნცეთის, დანდალოს და ფურტიოს ხიდი ერთად გააშენა თამარმაო. სხვათა შორის მოგვითხრობენ, რომ გვირგვინოსანს ხირხათის ციხესა (აჭარის განაპირა ნაწილია, აღმოსავლეთით) და დანდალოს შუა ხალხი ეცენა და სიგრძეზე განწკრივებულნი ხიდისთვის საჭირო მასალას ერთმანეთს აწვდიდნენო. მაშინდელი მონარჩენი ქვა დანდალოს ხიდთან ახლაც ჰყრიაო. ამ ლეგენდას ისმენთ და თანაც ჰკვირობთ, რად

უნდა დასჭირებოდა მეფეს ხირხათის ციხიდან ქვის მოტანა იმ დროს, როცა ამ ხილებთან ყველგან თავსაყრელია ყოველგვარი ჯიშის ქვაო!...

თამარ მეფე, როგორც მოგვითხრობენ იგივე აპარელნი,—ხშირად დადიოდა სხალთის ტაძარში სალოცავად. აქაურ მთა-გორიან ბილიკებზე სავლელად სულ მუდამ ჯორი ჰყავდა, ამ ჯორით სწორედ ამ ფურტივის ანუ „დედოფლის ხიდზე“ გამოდიოდა თურმე. ხილს რომ მოადგებოდა, „ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირასო“. ხიდის მარცხნივ ნაპირზე ახლაცაა განკერძოებულად მიწაში ღრმად ჩამჯდარი ღოღი ერთ ოთხკუთხის ადლის სიფართისა, თითქმის ერთ ადლზე ამოწეული ნიადაგიდან. ამას „დედოფლის ქვას“ ეძახიან. თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავისს ჯორზეო.

ამ ხიდიდან ერთი გზა აჰყვება აღმართს, ნახევარ საათის სიარულის შემდეგ გზა ორ ტოტად იყოფა: ერთი ტოტი რომ ფურტიოში მიდის, ხოლო მეორეს სოფ. სხალთაში მიჰყავს მგზავრი. იმ გზას, რომლითაც თამარი სხალთაში დაბრძანდებოდა სალოცავად, დღესაც ამ ქალი მოგზაურის სახელი შერჩენია,—„დედოფლის გზა“. ამ გზას, ანუ, უკეთ, ბილიკს იქით-აქეთ ნაპირებზე ქვის ნაყორალი ატყვია, სერზე გადადის და იქიდან სხალთის-წყალთან ჩადის. მართლაც და დიდებული უნდა ყოფილიყო მეფე, რომელმაც ასეთი სიყვარული მოიპოვა თავის ქვეშევრდომთა შორის და თავისი ნეტარსახსენებელი სახელი ასე დაუვიწყრად ჩაუქსოვა მათს ხსოვნას!...

წარსულის მოგონებითა და ოცნებით გატაცებულმა სერზე ერთ სიმინდის ყანაში ტლანქად გაკეთებულ და მიწაში ჩარჭობილ ჯვარს მოკარ თვალი, მხარ-ნახევრის სიმაღლისას, სწორედ ისეთს, როგორც თითქმის ყოველ ყანებში შეხვდება ხოლმე ადამიანი გურია-სამეგრელოში. საქართველოს ამ კუთხეებში ასეთი ჯვრები, როგორც ვიცით, ითვლება მფარველად მკვიდრის ქონება-კარმიდამოსი მზაკვართა და მანე სულთაგან. ამ საქრისტიანო მხარეში ადამიანს თვალი შეჩვეული აქვს და ასეთი ჯვრები არ აკვირვებს. მაგრამ აპარაში, სადაც საუკუნე-ნახევარია, რაც ქრისტეს სჯული და ჯვარი მაჰმადიანობამ აღმოფხვრა, ჯვრის ნახვამ დიახ გაგვაოცა და ცნობის მოყვარეობა აღგვიძრა. პირველად ჩემს თვალს არც კი ვუჯერებდი—ხომ არა ვცდები-მეთქი, და იუნუსასა კკითხე: რა დგას ყანაში-მეთქი? ჯვარია ბატონოვო, მიპასუხა და თანაც ამიხსნა მისი დანიშნულება: მოგესხენებათ, ყანის მტერი ნამეტურად ჩხიკვია: როცა ამას დაარქობენ, სოფლიერი (გლეხი) ჩხიკვს ეტყვის: „თუ ამის მაღლი გწამს სიმინდს არ შემიქამო“!..

ჯვართან ერთად აქაც დარჩენილა ჩვეულებად ღობის სარზე ჩამოკიდება პირუტყვის თავის ქალისა, ან როგორც აქ ეძახიან, საქონლის ხაპერისა. ამ ძვალს აპარაში იგივე დანიშნულება აქვს, როგორიც იმერეთში:

მანვე თვალთაგან დაიცივას და უენებელ-ჰყოს კარ-მიდამო და ქონება აპარელისა, მისი უსულო, მაგრამ მუდამ ჟამიერი გუშაგი იყოს.

გარეშე ხილულ გარეულ ფრინველთა და ცხოველთა, გარეშე ბოროტისა და ავის თვალის უხილავ სულთა, აპარელის ქირანახულს მეტი სიძლიერი თენებენ და თითქმის აჩანაგებენ ბუნების მოვლენანი: გვალვა და გაბმული წვიმა, რომელთაც ხანდისხან სეტყვაც ერთვის ზედ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ეს ორი მოვლენა ბუნებისა ისე არსად არის საშიში, როგორც მთა-გორიან ადგილებში, როგორც არის აპარაც. ორ-სამ გოჯის სიღრმე ნიადაგი, რომელსაც მაშინათვე კლდე ჩისდევს ხოლმე, თუ გვალვაა, უცბად შრება, ნახნავი გოროხად იქცევა და სიმინდი ხჰება. გამოუბრუნებლად; თუ გაშუდმებული წვიმაა—მცენარე ნიადაგიანად ძირს ჩაირეცხება ხოლმე, ხოლო მისი პატრონი, ყოვლად უმწყო, ყოვლად უსასოო მთელი წლის განმავლობაში ხელდაბანილი რჩება თავისს სარჩო-საბადებელზე. და აჰა, ამ დროს, როცა ჯვარი და „საქონლის ხაპერი“ ევრასა ჰშველის აპარელსა, ეს უკანასკნელი ზენაარსს შეჭლადღებს, ცას შეჰყურებს, იქიდან მოვლის ხსნასა; განრისხებულს ბუნებას, ამ უბედურების მომვლინებელს, მსხვერპლსა სწირავს, რომ ამით გული მოუღბოს, თავი შეაბრალოს და რისხვა მოწყალებობად შეცკვლევინოს. აპარელი დარწმუნებულია, რომ ძღვენი და ქრთამი ყველგან და ყველასთან გადის, რომ ქვეყნად არავინაა ისეთი, სამსახური და მორჩილება არ ეამოს და რომ უამისოდ ცხოვრების ფონი, თუ სულ მახრჩობელა არ არის, ძნელი გასავლელი მაინცაა. ამ მსხვერპლის შეწირვას და ლოცვას ყურბანი ჰქვიან. გვალვის დროს, როცა სოფელი დარწმუნდება, რომ უყურბანოდ ზეციდან წვიმას ვეღარ ეღირსება, ყადი მოთავედ უხდება საქმეს და მთელ სოფელს ღიდიან-პატარიანად (გარდა ღედათა სქესისა) თავის ხოჯების საშუალებით იწოდებს, — „ღუაზე“ გამოდით, ესე იგი ვეზვეწოთ წვიმის მოყვანისათვისო. უწვიმობით შეწუხებული რამდენიმე სოფელი ერთად იყრის თავს ამ შემთხვევისათვის და ქართულად ამბობენ: „ღმერთო! წვიმა მოიყვანე შხაჰუნა და ძლიერიო“. წინ მოღები მიუძღვით. ლოცვის სათქმელად რაც უფრო მაღალი სერებია, იქ ადიან და ერთი სერიდან მეორეზე გადადიან,—აქედან უფრო ახლოსა ვართ ცასთან და უფრო გავაგონებთ ჩვენს გაჭირვებასაო. სამი დღის განმავლობაში დადის ხალხი მოღების წინამძღოლობით სერ-სერ. რა დაიღლებიან, შეისვენებენ და ისევ შეუღებებიან ლოცვა-ვედრებას. სამ დღეს უკან ჯამესთან ჩამოვლენ და საერთოდ გაღებული ფულით ნაყიდ ხარსა, ძროხასა, ყონსა ჰკლავენ და ხორცს ფუხრებს (ღარიბებს) ურიგებენ. რა თქმა უნდა, თავიანთ თავსაც არ ივიწყებენ და მართავენ ჰიდაობასა და სიმღერა-თამაშს. ამავე დროს ჩამოდიან მახლობელ მდინარესთან, რომელშიაც ჩადგმულია მოწნული ძარი. პროცესის მონაწილეს თითოეულს თითო წვიტი (პატარა) ქვამოაქვს. ყოველ ქვას ჯერ მოლას მიუტანენ და ისიც თურქულად შეულოცავს ხოლმე:

ღმერთო, წვიმა გვიწყალობე; შეწუხებული ვართ, შენი წყალობა მოგვანიჭე ყველასი, დიდისა და პატარასი, მწყალობელი შენა ხარ.“ რადგან ერთი ყველას თავს ვერ გაართმევს, შემლოცველად ხანდისხან ოცი, ოცდაათი მოლა მოიყრის ხოლმე თავსა. ამ შელოცვილ კენჭებს, რომელთა რიცხვი ზოგჯერ რამდენიმე ათასს აღემატება ხოლმე, წყალში ჩადგმულ ძარში აგდებენ და ელოდებიან წვიმის მოსვლას: დარწმუნებული არიან, რომ ცაველარ გაუძლებს შელოცვილ კენჭების ჯადოს, სიკერაზედ უნებურად ხელს აიღებს და უმეპველად გაწვიმდებაო. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ამ ოპერაციის შემდეგ, კრიკაშეკრული ცა ღრუბლებით დაიხუხლება, იელავს, გაისმის გრგვინვა და მათდა სასიხარულოდ, მართლაც წამოგვაგამაცოცხლებელი წვიმა და გველვისაგან სულ-ამორთმეულ კირნახულს უკვდავების წყალივით მოესწრება. ისეც მოხდება, რომ ხანგრძლივი გველვის შემდეგ, თუ კი ერთი და ერთი მოიხსნა ცამ პირი და გააბა, ავდარს-დასასრული აღარ უჩანს და, რგების მაგიერ, კირნახულს უარესად აფუჭებს. ამ მეორე უბედურების ასაცილებლად იმავე მოჯადოებულ ძარს, რომლის შემწეობით ცას პირი გაახსნევენ, წყლიდან ამოიღებენ და ისევ ყურბანს დაჰკლავენ, ისევ ლოცულობენ, რომ ცამ ისევ შეიკრას პირი, — გვაქმარე უხვად მომადლებული წყალობა შენო.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

ჩვენ ბილიკის აღმართს ბოლო აღარ ეღება, საცოდავი პირუტყვი-ღონიდან იცლება და ოთხივ ფეხებით ჰკანკალებს მეტი სიმწარისაგან — სიცხისაგან მათს მხედრებსაც ხვითქი გადაგვდის. მოსმენილ ამბის გავლენის ქვეშ მყოფმა მაშინაღურად ვინატრე, ნეტავ ვინმე მადლიანი გამოჩნდებოდეს ჩვენს ბედზე და ახლა ყურბანს დაჰკლავდეს, იქნება მართლა შესუსტდეს მზის სიმწვავე-მეთქი. ამ ნატვრაზე ზედ წავადექი — მშვენიერ რცხილნარში ჩუხჩუხით გამომავალ ბროლის მსგავს და ყინულივით ცივს წყაროს. აბა რას მოვიფიქრებდი, რომ როდისმე მელირსებოდა სიცხისაგან დატანჯულს წყურვილი მომეკლა სწორედ იმ წყაროზე, სადაც გადმოცემით თამარი არაერთხელ ჩამომხდარა, რომ ამავე წყალს დასწაფებოდა... „ეს, ბატონო, დედოფლის წყაროა“, — მითხრა ჩემმა იუნუსამ და თან მოაყოლა ამ ისტორიული წყაროს ბიოგრაფია. სხალ-თამი მიმავალი მეფე როცა მგზავრობის გათავებას ვერ მოასწრებდა და შემოაღამდებოდა, ფურტიოში დაისვენებდა მეორე დღემდე. ერთხელ ერთ შეძლებულ გლეხს — ვინმე სიმონას სწევვია. გლეხი სიხარულისაგან ცას ეწვია თურმე; — დედოფალი მეწვიაო, და დატრიალებულა, რომ დიდებულ სტუმარს თავის შეძლებისადაკვალად გამასპინძლებოდა, — ხსე რომ თვითონ დედოფალს საამოდ დარჩენოდა და ეთქვა, — შეხერა ქვეშევრდომი მყავსო. სიმონას შევლისათვის ღვინო მიუტვია ამ წყაროში ჩასაცივებლად. დედოფალს ფრიად მოსწონებია ჩაცივებული ღვინო და უნებებია შეეტყო, ასეთი ცივი წყარო (მართლაც ამ წყაროს 5^ე

შეტი არა აქვს სითბო) სად არისო? რა თქმა უნდა, მისი სურვილი მყისვე აუსრულებიათ. ამის შემდეგ აქეთკენ სიარულის დროს დედოფალი ამ წყაროს ისე არ გაუვლიდა, წყალი არ დაელიაო, და წყაროსაც მისი სახელი შერჩენია. არც თამარ მეფის მასპინძლის სახელი გადავარდნილა. ამ გლეხის ნამოსახლარს, რომელიც ახლა ფურტიოს მცხოვრებს, არიფ-ალა ბერიძეს ეკუთვნის, დღესაც „სიმონაური“ ჰქვიათ. მეორეჯერაც სწვევია თამარ მეფე სიმონას. მის შვილებს ძვირფასი სტუმრისათვის „დღლია“ (ურქო ძროხა) დაუკლავთ. მამას როგორღაც უკითხავს შვილებისათვის: სად დაჰკალიათ? იმათაც უჩვენებიათ. ამ ადგილსაც დაუეწყარი მეფის სტუმრად წვევის მოსაგონებლად „დღლიაური“ დაჰრქმევია და სახელი დღესაც არ შეცვლილა.

ადამიანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ „დედოფლის წყარო“ რითიმე ხელოვნურად დაემშვენებინა, ალბათ, მკრეხელობად ჩასთვალა ბუნებას შესჯობრებოდა ამ საქმეში. ჩუხჩუხით გამოდის დედამიწის გულიდან ანკარა, ვით ვერცხლის წყალი. ზედ დასცქერის ერთად თავშეკრული მარად მწვანე ნაძვები და წვრილ ფოთლიანი რცხილები, რომელნიც გუშაგად უდგანან და მზის სხივებს აღარ აკარებენ. გარს შემოხვევიან ხვევრდის მსგავსი ხავსი და სხვადასხვა გვიმრა. წყალს უხვად იძლევა ეს წყარო. მხიარულად მიხტის ქვიდან ქვაზე; იმის ქვემოთ გამწკრივებულია ოთხი თუ ხუთი ბუქულა სოფლიერთა და დღე და ღამე ნირშეუცვლელად აზმინებენ იქაურობას. ხის წისქვილები ისე პატარები არიან, რომ ერთი კაცი ძლივს მოთავსდება შიგ. თითქმის ყოველ ოჯახს თავისი საკუთარი ბუქულა აქვს, რადგან მთის წყლები უხვად გადმოსჩუხჩუხებენ. ღარებიც ხომ საინტერესო აქვს! იმის მაგივრად, რომ სამი ფიცარი შეეკრათ, მთლიანი ძელის გული ამოუღრუტნიათ. წყალი რაც კი ჩადის, წვეთი აღარ იკარგება და მთელი თავის ძალით ხვდება წისქვილის თვლებს.

დედოფლის-წყაროს წყალმა გაგვაცოცხლა, ღონე მოგვიკრიბა, თითქო ხელახლა დავიბადეო. მივიღვართ, მაგრამ აღმართი დაუსრულებელ ზოლად გადაიქცა. იქით-აქეთ დასასვენებლად გაშვებულ ფერდობს მწვანე ხასხასი გააქეთ. ყველას თავისი სახელი აქვს და თავისი ისტორიაცა, თუმცა ერთი შეხედვით კაცს აზრადაც არ მოუვა ეს ადგილები რომელსამე ისტორიული ამბის ასპარეზად ჩასთვალოს. ასეთებია, მკაგალითად, „ნახუცარი“ და „ნალობივი“—თითო დღის მიწა, თავისუფლად გაშვებული, ფურტიოს დასაწყისში. ერთხელ თამარ დედოფალს კვირა დღეს მოუხდა თურმე ფურტიოში გაჩერებო. ბრძანა, რაკი სხალთაში ვერ ჩაუსწარ, თქვენს ეკლესიაში უნდა მოვისმინო წირვაო. მთელი სოფელი შეიკრიბა, თამარ ბატონმა ეკლესიაში ინება ჩვენთან ერთად წირვის მოსმენაო. წირვის დაწყების ჟამი გახდა, მაგრამ მღვდელი აღარსადა სჩანდა. დიდებულმა მლოცველმა მოიკითხა: ხუცესი რა იქნაო? კრძალვით მოახსენეს: ნუ გავგრისხავთ, დიდებულო! მღვდელს შეეშინდა, მეფის საკადრისი წირვა შე სად შემიძლია ესწიროვო და დაიმალა. ფრიად ეწყინა თურმე და

ბრძანა, საცა იყოს, მოძებნეთო. იქით ეცნენ, აქეთ ეცნენ და გლებს ნიკოლა შანთაძეს ლობიოში კი უნახავს დამალული მღვდელი. მას აქეთ ეს ადგილები ისტორიული შეიქნა: ერთს „ნახუცარი“ დაერქვა და მეორეს „ნალობიევი“. თამარმა, ასე იყო თუ ისე, აწირვინა მღვდელს, მაგრამ გულ-საკლული დარჩა მაინც: „მინდოდა ქვის ეკლესია გამეშენებინა თქვენს სოფელში, მაგრამ თქვენი მღვდელი ხის ეკლესიის ღირსიც ძლივს არისო“. ამ ადგილას ძველი ქვის საყდრის საძირკველი დღესაც ეტყობა.

აჰა, ფურტიოში შევედით კიდევ. ადამიანს აოცებს ეს მთლიანი ტყე ხეხილისა, რომელშიაც ჩაფლულია აქაური ხის სახლები. განსაკუთრებით აღარებელია მსხალი. ალაგ-ალაგ ვაზებით დახუნძული ხეებიცა დგას. ამდენი კარგი ჯიშის ხილს აქარაში იშვიათად თუ სადმე შეხვდებით. სახლებიც ერთი მეორეზე დაახლოვებითა სდგას. სუყველა ხისაა, ყავრით გადახურული. შეუჩვეველს თვალს ეხამება აქაური წვესი ყავრით დახურვისა. ყავარი ლატნებზე აწყვია და აღარც ბასქა აქვს სადმე და აღარც ლურსმანი. ამ უკანასკნელის მაგივრად ბრტყელი ქვები აწყვია ყავარს დასამაგრებლად. საზოგადოდ, ალბათ ლურსმნის სიძვირისა გამო, მთელ აქარაში ასეა სახლები დახურული. სახლებთან მოდგმულია იმერული სასიმინდეები, ოთხ ბოძზე შემდგარი. ყოველ ბოძის თავზე ჯამის მსგავსად გაჩორკნილი ხის ნაჭრებია, მხოლოდ ამოღრუტნული ნაწილი ქვეშა აქვს მოქცეული, ხოლო გამობერილზე სასიმინდეს დედა-ძელის თავები და მყარებული. დანიშნულება ამ ოსტატურ ჯამისა ის არის, რომ ბოძზე ატოცებული თავვი ვერ შევა სასიმინდეში.

იმ ლამეს მასპინძლად გვყავდა ყადი ეფენდი ბერიძე, წვერი ხულოს მეჯლისისა, მთელ სოფელში ცნობილი თავის შეძლებითა, რასაც, რა თქმა უნდა, მისი თანამდებობაც უწყობს ხელს. სახლში თვითონ ბერიძე დაგვიხვდა და წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლა. ბერიძე აქეთვე ნასწავლ კაცად ითვლება, რის გამო ეფენდის ტიტული აქვს. ქართულად წმინდად ლაპარაკობს, და თუმცა წერა-კათხვა არ იცის, ხოლო თურქულად თავის ღირსების შესაფერი სწავლა აქვს მიღებული. თბილისელ ქართველებში დაახლოვებით იცნობს აქარაში ქართული წიგნების შემოტანის პიონერს, ბ-ნ ზაქარია კიჭინაძეს. მეტის ქებითაც იხსენიებს ჩვენს დაულალავს მოღვაწეს: ჩვენს ჯამებში დადიოდა, ჩვენთან ერთად ლოცულობდა; ბრალია, ასეთი ეფენდი კაცი გურჯია და ჩვენს სჯულს არ ღებულობს, თორემ ყადობას არავინ დაუჭერდაო...

ჩვენი ყადი შეძლებულ მოსახლედ ითვლება ფურტიოში. ორი სახლი უდგას გამოჩინებულ ადგილას: ერთში სახლობთ თვითონა ცხოვრობს, ხოლო მეორე, უფრო ახალი, სტუმრების მისაღებად აქვს. სასტუმროში რამდენიმე თვალია ნოხებ და ქეჩებ გადაფენილ ტახტებიანი. მისვლის თანავე სასტუმროში, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ყონაღში, შეგვიყვანა და თვითონ კი დატრიალდა, რომ შინაურებს საჭმელი დაემზადებიათ. მოკლე ხანში სუფრას გვიმშვენებდა ტაბაკად შემწვარი ღელაო, სიმინ-

დის მკადი, ბროლივით წყალი... და მასპინძლის მდიდარი გული. ქართულურ ბოდიშს დასასრული აღარ ჰქონდა: ნუ დაგვზრახავთ, თქვენს საკადრისად ვერ დაგიხვდით, მაგრამ რა ექნათ, ფუხარა ხალხნი ვართო... გულწრფელი მაღლობის მეტი რაღა მეთქმოდა. საქმელითა და დასვენებით ძალის მოკრეფის შემდეგ შეეუდევით სოფლის თვალთვალს. ყველგან ცნობის მოყვარობით გვზვერავდნენ: „გურჯი მოსულა, გურჯიო!“ ერთ ალაგას გვაჩვენეს უზარმაზარი ქვევრები, ქვევრით ამოვსებულები. გვიამბეს: გურჯობისას, დიდძალი ღვინო ღვებოდა ფურტიოშიო. დღეს კი აქა-იქ თუ-ღაა დარჩენილი ვახები ამ სოფელში და დამსხვრეული ქვევრები-ღა თუ მოწმობს, რომ ძველად მეღვინეობა ერთი უბირველესი დარგი ყოფილა აქაურების მეურნეობისა.

სამხრეთით ფურტიოს ერთი განბროკებული კალთა ეგრეთ წოდებულნი „საბრუნავას სერი“ აკრავს მთისა, რომელსაც მკაფიოდ ეტყობა გარშემო ხაზი, სადაც იწყება ნაყოფიერი და უნაყოფო მიწა. ეს კალთს მსგავსი ოთხი-ხუთი დღის ადგილი ხელის გულივით მოტვლებილია. ძველდროიდანვე ასე შეუშუშავებლადა გდია. მიწის უნაყოფობას ნიადაგის თვისებას არ აბრალევენ აქაურნი. ამის მიზეზად, თუ აქაურებს დავუჯერეთ, სრულებით შემთხვევითი გარეშობა გამხდარა.

სხალთაშია,—მოგვითხრობენ აქაურნი, მთავრად იჯდა ვინმე გორგაძე, ფურტიოში მცხოვრებ ფარნას შვილი ჭინკაძე (სოფელ დოლოგანში ჭინკაძენი, 30 მოსახლე, ახლაც ცხოვრობენ), რომლის ნამოსახლარად ფურტიოს ხიდს ახლო მდებარე ადგილს ასახელებენ,—გაურჩებია მთავარს —შენ უნდა გადაგადო და მე უნდა დავიჭირო შენი ალაგით. ერთხელ კიდევ შეუპყრიათ ურჩი ჭინკაძე და ჯაჭვით სხალთაში დაუბამთ. ტყვესთან ერთი კაცი მისულა და ნიშნის მოგებით უთქვამს: „ღირსი იყავ და ღირსეულადაც დაუსჯიხართო“. ტყვეს გული მოსვლია, ჯავჭი გაუგლეჯია და დამცინავიც მოუკლავს, ბოლოს, როგორც იყო, კიდევ გაქცეულა. გორგაძემ, რა კი ვერა მოუხერხა რა გადარდნილს ჭინკაძეს, გამოაცხადა: ვინც მოკლავს, წყალობით ავაესებო. გამოსულა ვინმე როკო (იმისი ნსახლარ ადგილს ახლაც „როკოს“ ეძახიან) ბერიძის შვილი აბაზა და მოუხსენებია მთავრისათვის: ჩემს კისერზე იყოს იმისი დაჭერაო! აბაზა ბერიძეს შეუყრია ჯარი და დიდხანსა სდია თურმე ჯერ შავშეთში, მერე ქვემო-აქარაში, მაჭახელშიც-კი. ბოლოს, ფურტიოში მოუმწყვდევია „საბრუნავას“ სერთან. ეს სახელიც იმიტომ დარქმევია ამ სერს, რომ ფარნას-შვილი აქ დაბრუნებულა. გამართულა ბრძოლა და მთელი ტბები დამდგარა სისხლისა (აქედან წარმოდგარა სახელი ამ სერის ერთი კუთხისა— „ტბანები“). ამ ბრძოლაში აბაზას გაუმარჯვნია და ფარნას შვილი მოუკლავს.

ომი რომ გადაუხდია აბაზასა, მის დამშეულ მემორებს სოფლისათვის საქმელი უთხოვნიათ. სოფელთ უბასუხნიათ: სანამ დაგიზადებდეთ, ემანდემ მსხალია მწიფე და ის მიირთვითო. ისინიც მივიდნენ და მწიფე

მსხალს შეექცნენ. იმ ისტორიულ ადგილსაც „სხალიანი“ შერჩა სახელად. საბრუნავა, ტბანები და სხალიანა სულ ერთადა ძვეს. ფურტიოს ორ უბანსაც თავ-თავისი სახელი დაერქვა ამ დროის მთავარ გემრთა მოსაგონებლად: ერთს—„აბაზაური“, ხოლო მეორეს—„ფარნასშვილები“.

ფარნას შვილის ამ ბრძოლის დროს ორი ნათესავი მოუკლავს გორგაძესი და უთქვამს: ვინც მინდოდა, ორი მაინც მოკვალი და ახლა სიკვდილს მაგდენად არ ვინაღვლიო. თანაც დასწყევლა თურმე ის ადგილი, სადაც სული დალია: „მოწყალე ღმერთმა ნურაფრის მოსავალი ნუ აღიაროს ამ ადგილს, საცა ჩემი სისხლი დაიღვარაო. ნურც ადამიანს და ნულარც პირუტყვის ნურა-რა არგოსო“... ეს სერი, როგორც ზევეთაცა ვსთქვით, უნაყოფოდ და ხრიოკადა გდია. რამდენიმე კომლი გლეხი სახლობს გარშემო, მაგრამ არც ერთს ხეირბ და წარმატება არ ეტყობაო.

გამარჯვებულმა აბაზამ წაიღო მოკლული ჭინკაძე და გორგაძესთან წავიდა.—ფარნას შვილის დევნაში, უთხრა, მაჰახელიდან კარჩხლის მთაზე გადმოვიარეთ, ანწლისა და ეწერის (გვიმრის) გარდა ყოველი ბალახი ვსძოვეთ ჩემიან, ჩემ ჯარიანა საქონელივით, სოფელში შესვლისა და პურის ჭამის დრო არა გექონდაო. ბოლოს რის წვალეებით ფურტიოში მოვიმწყვდიე და აჰა, სურვილი ავისრულე,—მოკვალიო. მთავარს გაენარდა ჩიმაარჯვე აბაზასი და თავის შრომის ფასად აჩუქა თეთრობის მთაზე საძოვარი და მაწყვალთის მთის ბაჟი, მისცა: დოლოვანი (ფარნას სოფელი) ყმად, ათას კოკიანი ჭური და სოფ. ფურტიოს ღვინის მოსავალი.

გახარებულმა აბაზამ ჭური სხალთიდან წამოიღო, მაგრამ ფურტიოში მოსვლამდე გზაში შემოაღამდა. ვასშმის მოსატანად სოფელში ბიჭი გაგზავნა. დაბრუნებულზე ბიჭს ჯორი კლდეზე „დაუხობდა“ (გადაუყარდა). იმ ადგილას დღეს „ჯორის სახობავი“ ჰქვიან, ხოლო საშიშ კლდეს—„ჯოჯოხეთის კლდე“.

ფურტიოში აბაზამ, საცა სხალთიდან მოტანილი ჭური დამარხა, იმის მახლობად ერთი ეკლესია ყოფილა. გამაჰმადიანების დროს ეს ეკლესია დაუნგრევიათ. ერთი ქვა-ლა დარჩენილა. ჯერ კიდევ მალულად ქრისტიანედ დარჩენილი სოფელენი მიდიოდნენ ამ ქვასთან, სანთელს ანთებდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ. ერთს გამაჰმადიანებულ ქამადაძეს ეს ქვა რკინის უროთი დაუმსხვრევია, რათა უკანასკნელი ნუგეშიც ხელიდან გამოსცლოდათ ქრისტეს მსახურთ. როცა ქვას ამსხვრედა, ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა ბევრი უშალა. მაჰმადიანი გაბრაზდა და იმდენი აცემა ამ დედაკაცს, რომ სიკვდილის პირად მიიყვანა. ლოვინად ჩავარდნილმა ქალმა ასე დასწყევლა მკრებელი: „მოწყალეო ღმერთო, ვინც მე ჩემი სალოცავი დამიმსხვრია, გაუხმე ხელი და მის გვარს პურით ნუ ვაძღებ და ნუ ახეირებო“. წყევლამ გასჭრაო,—ამბობენ სოფელენი,—და ქამადაძეს ხელი შეახმაო. ხელშემხმარი თავისავე თანამორჯულებსთან მისულა და რჩევა უკითხავს: ასე და ასე დამემართა და ნეტავ თუ რამე

მეშველებო. იმასაც რჩევა მიუცია: ისევ იმ დედაკაცთან მიდი და თავი დაალოცვინეო. ქამადაძე წასულა, მაგრამ დედაკაცი მკვდარი დახვედრია. —ქამადაძის გვარის კაცი იმ დღესაც არიან ფურტიოს ახლო სოფ. მქედ-ლურში. არც იმ დედაკაცისაგან დაწყველილ ქამადაძის ნამრავლს გაუ-ხარიაო, —მოგვიტხოვრობენ აქაურნი, —მქედლურის ქამადაძე სულ მშიერ-მწყურვალე დაიარება; პური რომ ჰქონდეს, ლობიო აკლია, ჩოხა რომ როგორმე ჩიცვას, ახალუხის შოვნის სახსარი არა აქვსო. ასე წვალეებით მოათრევენ თავიანთ დღესაო. დედაკაცისაგან დაწყველილ გვარს ან და-რა ახეირებსო!..

X

მარატის ხმოვა

ფურტიოდან ოლადაურამდე. — ემინ-ეფენდი და აქაური მასპინძლობა. — მაწყველთის ტყე. — იმერხევის საძოვრებზე. — ლეგენდა ბულა-გიოლის ტბი-სა. — სოფ. კუტის-ჯარი. — შავი ტბა. — შავშელები. — ქურთები. — სარიჩაი-რი. — ბეგები. — მათი საადგილ-მამულო საქმე და ჩივილი. — ჯვარის წერა ქურთებისა. — ხირხათის ციხემდე. — თხილვანის ტყე. — ხირხათის ციხე. — სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი. — ლეგენდა თამარ-მეფეზე.

ფურტიოშივე წამოგვეწია ხულოს ნაწილის უფროსი ალ. ბერიძე, რომელიც საზაფხულო საძოვრებზე მიდიოდა გლეხებ შორის საძოვრე-ბის გამო ატეხილ დავის გასარჩევად და სამართლის გადასაწყვეტად-სოფლიდან დილას გამოვედით. ერთი საათის სიარულის შემდეგ შევეუ-დექით სხალთის-წყლის ქვემოთ მიმდინარე მარატის ხევს. გზის ცალ-მხარეზე ისეთი ხრამები და უფსკრულებია, რომ მდინარე მკლავის სიმ-სხრდ მოჩანს და მისი ხმა სუსტად-და ამოდის ზევით. გაჭირვებას ძალა დაუტანებია აქარლისათვის და ამ მისხლეტილ ხრამებშიაც სიმინდი დაუთესინებია. წყლის გაღმა მყიდვედვე ამართულ სერებზე, საცა-კი ერთი მტკაველი მოსწორო ადგილი უპოვნიათ, მერცხლის ზუღესავით სახლე-ბი მიუკოსებიათ აქა-იქ.

გზის მთელ მანძილზე მგზავრს საამოდ თავს დასცქერის ტევრი, რომე-ლიც ერთმანეთში არეულ სხვადასხვა ჯიშის ხეებისაგან შედგება. უფრო ხშირია: ლეკიხე, ვერხვი, დათვა-მსხალა, არყი, წყავი, შქერი, თელა, ცი-ცალა, თხმელა და უხრავი. ეს უკანასკნელი გარეგნობით რცხილასა-ჰგავს და იქერქება. რო გათლით, ცოტა ხნის უკან წითლდება. ისე კი მოშავოა. მისი სიმეგრისა გამო, ურმის ღერძს ამ ხისას აკეთებენ, აგრეთ-ვე ურო უხრავისა არის ნაქები. ამ ხეს თურქულ სახელსაც ეძახიან — „დემურ-ყრან“ (რკინის გამტეხი). ამნაირი ტყე გრძელდება სოფელ ოლა-დაურამდე, რომელსაც ჩამოუღის მარატის ხევის წყალი.

ფურტიოდან პირველი სოფელი ოლადაურია. აქ მასპინძლად დაგვიხ-ვედა ადგილობრივი შეძლებული მემამულე ემინ-ეფენდი. ოსმალეთის მთა-

ერობისაგან სხვადასხვა სამსახურისათვის უხვად დაჯილდოებული და წარჩინებული. მის სასახლეს ეზოდ აქვს ოთხი-ხუთი ქცევა მიწა, ხეხილით სავსე. ეზოს ერთ კუთხეში თვით სახლი დგას ორ-სართულიანი, ხისა, საკმაოდ მოზრდილი, სამამაკაცო და სადედაკაცო განყოფილებებიანი. ჩვენ, ჩვეულებისამებრ, სამამაკაცო განყოფილების სასტუმროში მიგვიღეს. რვა ოთხკუთხა მხარის სივრცე ოთახის მორთულობას შეადგენდა: ტახტი 1 მტკაველის სიმაღლისა და 5 მტკაველის სიგანისა, ქეჩა გადაფენილი; კედელზე ერთი ფიცარი იყო მიკრული, თაროსავით, ზედ ლამპები ელაგა; იმის ქვემოთ კედელშივე ჯოხი იყო შერჭობილი ტანისამოსის გადასაკიდებლად. ერთი კედლის შუაში ძალზე მაღალი ბუხარი იყო თლილი ქვისა.

გამასპინძლება ყოველ მოლოდინს აღემატა. მეტისმეტი სიფრთხილე და ცდა მართებს უცხო კაცს, რომ აქაურ სუფრაზე ადგილობრივი ეტიკეტი პირნათლად აღასრულოს და თავისი ქცევა უზრდელობაში არ ჩამოერთვას. საქმელთა სიმრავლეა, რომ კაცს ოჟულს აწურობებს! ჭამის წინ მსახურს (რა თქმა უნდა, მამათა სქესისას) შემოაქვს მეტად თავისებური ტასტი, რომელშიაც საწურსავით დაცხრილული სპილენძის ხუფი თავდაყირაა ჩამოხობილი, რომ ტასტში ჩასულ წყლის წინწყლები ზევით არ აწოვიდეს და სტუმარს არ მოხვდეს. ამ ტასტს მსახური დაჩოქილად გაწვდით და ისე გაბანინებთ ხელს. მეორე მსახურს ხელსახოცი უჭირავს. ყველას რომ ჩამოვიღიან, მერე შუაში დგამენ მრგვალ ხის სუფრას, მრგვალ ფეხიანს, სწორედ საეკლესიო ფეშხუმის მსგავსს. საყურადღებო ის არის, რომ სახელადაც ამ სუფრას აქ ფეშხუმს ეძახიან. სტუმრები და მასპინძელი (როცა ღირსებით და ხარისხით სტუმრებს ეტოლება) ამ ფეშხუმს გარშემო უსხდებიან. ზედა დგამენ რიგ-რიგად თითო საკმაოდ დიდ სენს სპილენძისას, რომელიც ყველასათვის საერთოა და შეიცავს ერთ ხელ საჭყელს. დანარჩენი ხელი საჭმელები, ამ ნაირივე სინებში მოქცეულები, აქავე მახლობლად ტახტზე აწყვია, თავდახურული, გაუცივებლობისათვის. ამ სინის გვერდი აწყვია სქელი მქადის ნაჭრები, ცხელ-ცხელი. ყველანი სათითაოდ ამ მქადს გასაცივებლად ხელში აგუნდავებენ, მერე ერბოთ გაცლენთილ შეჭამანდს ამოავლებენ და ასე გაპოხილი ლუქმაც ადივლად პოულობს გზას. აი თვით მენიუ სადილისა: 1) შარვა (ჩიხირთმის წსგავსი), 2) სუთლი (რძეში მოხარშული ბრინჯა), 3) ფლავი, 4) ქათმის ტაბაკა, 5) ყველი და კვერცი ერთმანეთში არეული და ერბოთი მოხრაკული, 6) ზორანი (ერბოკვერცი), 7) ცხვრის ხორცი მოხარშული, 8) ბურღული (დაღერღილი ხორბალი, ერბოში მოხარშული), 9) ზინკალი ყველისა და ბოლოს ყავა!.. სასმელად აქაურ ბროლივით ანკარა და ყინვასავით ცივ წყალსა ხმარობენ. ყოველი ხელი საქმელი პარბად მოაქვთ და ადგილობრივი პოლიტესი მოითხოვს სტუმარმა ყველან გემო მიინც ნახოს თუ გულმოდგინედ ვერა სჭამს, ანუ, როგორც აქ ამბობენ, ვერ „შეურიგდება“.

ჩვენი მასპინძლის ეზოში ძველი ნსაცდრალიცაა. ძველი კედლებისა მხოლოდ ქვების გროვა-ღაა დარჩენილი. ხელუხლებლად დარჩენილა აგრეთვე ძველადვე დარგული ბზის ხეები. მთელ ამ ადგილს მოწიწებით ეპყრობიან და შეუძლებელია იქ დარგულს ბზებს ერთი ტოტი ჩამოაცილონ.

ოღალაურიდან გამოსულებმა გავიარეთ რამდენიმე პატარა სოფელი და შევეუდექით საზაფხულო საძოვრების აღმართსაც. ამ აღმართთან ერთად იწყება საუცხოო ტყე სოჭისა. მაგრამ რა, რამდენიმე წლის განმავლობაში დამპალი ჯირკვები-ღა დარჩება ამ დაუფასებელი ტყისა. როგორც გვითხრეს, სათიბის სიცოტავე იძულებულ ჰყოფს აქაურ გლეხს ეს მრავალსაუკუნოვანი ხეები ძირში სჭრას და ტყე სჩეხოს, რომ ორიოდე მტკაველი მეტი სათიბი შეიძინოს. მოჭრილი უზარმაზარი ხეები იქვე ლაშება და უგზობისა გამო კაცს მისი გამოყენებაც ვერ მოუხერხებია. ზოგან ქრის მაგივრად ასეთ მდიდარ ტყეებს პირდაპირ ცეცხლს უჩენენ, რომ უფრო ადვილად გაიწმინდოს ნიადაგი საბალახოდ. გული სიბრალულით გეწურება ადამიანს, როცა ამ ბარბაროსობის მსხვერპლს, გაოხრებულ ტყეს უყურებ! ამ გაოხრებულ ტყისაგან ათასგვარი ჭია-ღუა უჩნდება თვითონ ცოცხალ ტყესა და, რასაც ადამიანი ვერ აკლებს, ის უსრულებს. განსაკუთრებით ნაძვნარია დაზარალებული ამ ქიებისაგან. მათ შორის ყველაზე მეტად აჩანაგებენ აქაურობას სამი ჯიშის ჭია: *Tomicus hidentalus*, *Tomicus distridentalus*, *Xiloterus lineatus*.

საცა ტყე თავდება, საძოვრები—ეგრეთ წოდებული მაწყვალთის საძოვრები—იწყება. აქვე რამდენიმე ხის ჯარგვალები ანუ ყიშლები დგას საქონლისა და ადამიანის სადგომად. მთელი ზაფხულის განმავლობაში ამ ყიშლებში არაეინა დგას. ბალახიც თავისუფლად იზრდება. შემოდგომაზე მაღალ მთიდან დაბრუნებული საქონელი მთელი თვე და ხან მეტიც აქა რჩება, სანამ აქაც დიდ თოვლს არ დასდებს და ქვევით, სოფლად, არ ჩამოიყვანს როგორც საქონელს, ისე მის პატრონსაც. ყიშლები აქაურული სტანციაა მთაზე საძოვრად წასულ საქონლისათვის. იშვიათია ისეთი ეილა, რომ თავისი ყიშლები არა ჰქონდეს.

ყიშლებს გარშემო ცოტად თუ ბევრად აკრავს ტყე. მაგრამ რაც უფრო შორდებით, ტყეც თანდათან ისპობა და გამოდიხართ წმინდა ალპიურ საძოვრებზე, რომლებიც შეფენილია მთების კალთებსა და ქედებზე. ამ მთის სივრცეზე გამოსკვებისთანავე ვაკის გაკვალული გზა იკარგება და შის ადგილს იჭერს ბილიკები. მთა ამ ბილიკებით დაჭესილია და, თუ პირდაპირ მიმართულებას აცდით, განსაკუთრებით, ნისლ-ბურჯულსხს დროს, მთელი დღე ივლით უგზო-უკვლოდ და დანიშნულ ადგილს მაინც ვეღარ შიადწევთ. ამ შემთხვევისათვის მთავარი მიმართულების ბილიკის იქით-აქით მხარეზე ყოველ ორ-სამ მხარის მანძილზე მიწაში ჩარქობილია მო-

დიდო ქვეები და მათი შემწეობით ადამიანი ადვილად პოულობს გზას. მაგრამ ამ ქვეებს მხოლოდ მანამდე შეუძლია მგზავრს სამსახური გაუწიოს, სანამ თოვლს არ დასდებს. ადრეულ ზამთრის დროს, რაკი თოვლით დაიფარება იქაურობა, ხშირად მოხდება, რომ მთელი საქონელი ელუპება პატრონს გზის დაკარგვის გამო. ამ შემთხვევისათვის აქა-იქ კლდეზე დიდი ლოდებია კაცის მსგავსად აყუდებული, რომელსაც „ქვა-კაცას“ (ფრანგული menhir) ეძახიან და რომელსაც მთაზე თოვლის დროს იგივე დანიშნულება აქვს, რასაც მეზღვაურთათვის ზღვაზე კანდელს.

ამ მთაზე აქარლებთან ერთად ამოდიან შავშელებიც. საძოვრების სიმცირის გამო უსიამოვნება ხშირია ხოლმე ამ მეზობლებს შორის. ამ ზაფხულსაც, ხულოს უფროსის აქ ამოსვლას, სხვათა შორის, აზრად აქონდა გარჩევა მათ შორის ატეხილი დავისა და სამართლის გადაწყვეტა. იმ დამეს მოსასვენებლად ავირჩიეთ ერთი მყუდრო ხევი, რომელსაც იქით-იქით მოჩუხჩუხე წყლები ჩაუდიოდა. საბნად გვექონდა ფირუზი ცა, ვარსკვლავებით მოჭედილი, ხოლო ლეიბად—მწვანე ხავერდიანი ქედი ხევისა. ჩვენი მოსვლისთანავე თავი მოიყარეს გლეხებმა, მომჩივან-მოპასუხეთა. ყოველ ეილის წარმომადგენელს თითოეცხვარი მოჰყავდა ძღვნად იმ იმედით, რომ სამართლის სასწორი იქნება ჩემსკენ გადიხაროსო. უფროსმა, მოუსმინა რა ორივე მხარეს, ზოგს იქავე, უაპელაციოდ, მამაშვილური დარიგება მისცა, ზოგი დატუქსა, სხვებს დაუყვავა და ბოლოს ორივე მხარე დაკმაყოფილებული დაბრუნდა: აღარც სასამართლოში წოწიალი და აღარც ხარჯი და დავიდარაბა!..

ლამის სიცივით (მარიამობისთვის პირველ რიცხვებში!) შეწუხებულნი მოუთმენლად მოველოდით გათენებას და მზის ამოსვლას. აჰა ისიც, გათენდა, ჯადოთი საესე და სათაყვანო მტრედის ფერ ცისკიდურიდან ამოგორებული მზე ყველას თანაბრად უგზავნიდა სხივებს და ამ სხივებში ჩაქსოვილი ჰქონდა უსახლგრო ალერსი, სიყვარული და ძალა. აჰა, მიეალერსა მზე დიდებით მოსილ თეთრად გადაპენტილ და მაცად წამოზიდულ კარხხალის მთას და მისი თავი ფანტასტიურად ააეღვარა. აქიდან სხვა მთებზე გადავიდა, ყველა გაალამაზა, ყველა დაასურათხატა. თვალი ერთი სურათიდან მეორეზე გადაბრის, არც იცით, რომელზე გააჩეროთ, რომელი შეირჩინოთ მასსოვრობაში, რომელს მისცეთ უპირატესობა. ყოველი ბალახი, ყოველი ქვა, ყოველი მთის წვერი ერთად შეერთდა ერთობრივის ძალით სადიდებლად ბუნებისა, საერთო სიყვარულს აბნევენ გარეშემო, საერთო სიყვარულის საგალობელს აღავლენენ ზეცას...

დავადექით იმერხევის საძოვრების გზას, რომელსაც სამხრეთით შავშეთი აკრავს. ხეები იშვიათი სანახავი ხდება. აქა-იქ თუ-ლა დგანან ობლად ფიჭვნი, მთის წვერებზე აცოცებულნი. აქაური საბალახო განთქმულია მთელ ამ მხარეში. აქაურ ბალახით გამოკვებილი საქონლის რძისაგან ჭაუკეთესო კარაქი იღლებება. ბათუმის ბაზარზე ეგრეთ წოდებული

„იმერხეველი“ ერბო ფუთი 4-5 მანეთით მუდამ მეტს ფასობს, ვიდრე სხვა ადგილის ერბო.

გამოჩნდა არსიანის მთაცა, რომელიც შესანიშნავია თავის ტბით. ტბა მთის ძირას არის და შავშელები და ქურთები შიგ საუკეთესო კალმახს იჭერენ. ეს ტბა მრგვალია, ასე ნახევარი კილომეტრი ექნება გარშემო-მკვიდრნი სახელად „ბულ-გიოლს“ (ბულა-ბულა და გიოლ-ტბა) ეძახიან. ამ სახელწოდებას ლეგენდა ასე გვიხსნის: ამ ტბიდან ზაფხულობით ბულა ამოდიოდა და ძროხებს ამაკებდაო; წითელი ფერისა იყო შავწამწა-მიანი (ახლანდელ ხარებს შავი წამწამი იმისაგან გამოჰყვათო) და მეტად ღონიერი. ხარები სულ გაუწყვეტია. სხვა ვერაფერი რომ ვერ მოუხერხე-ბიათ, ერთ კაცს თავის ხარისათვის წამწეტებული რკინით მოუჭედნია რქები. როცა ბულა ტბიდან ამოსულა, რქამოჭედილი ხარი გვერდებში დასძგერებია და დაუჭრია. დაჭრილი ბულა ტბაში ჩაეარდნო და იმის სისხლს მთელი ტბა შეუღებნია. ამოსვლით კი მას ღღეს აქეთ არ ამო-სულაო.

ღავეუბირდაბირდით სოფელ კუტი-ჯარსაც, დარჩიძეების ახლო მდებარეს-აქაური მცხოვრებნი წინათ, ქრისტიანობის დროს, თავდგირიძენი ყოფი-ლან. ვენახები სოფ. შუახევეში ჰქონიათ. ერთხელ რთველის დროს ყურ-ძნის საკრეფად წასულან. სოფლად მხოლოდ ერთი ავადმყოფი ქალი დარჩენილა, ამასობაში მტერი დასხმია სოფელსა და ცხენები სულ წაუ-ლალაეს. ავადმყოფი ქალი სერზე ასულა და გაჰივრებისაგან ისეთი ძა-ლით დაუკრვლია, რომ თავისიანებისათვის ხმა მიუწვდენია, მაგრამ თი-ბონ-კი დაკუტებულა და მის მოსაგონებლად ამ სოფელს სახელი „კუტის-ჯარი“ ღღესაც შერჩენია.

სანამ სარიჩაირში ჩავიდოდით, შემთხვევა მოგვეცა ყარა-გიოლის ეილებ-თან ერთი საუცხოვო ტბა დაგვეთვალეირებინა. ეს ტბა გზის მარჯვენა მხარესაა და ერთი ქცევა ადგილის ტოლაა. ტბა იკვებება ორი ნაკადუ-ლითა, რომელიც სამხრეთიდან ერთვის. გაზაფხულზე, თოვლის დნობის-დროს, ტბა მატულობს ხოლმე, რაც კალაპოტის ნაპირზე დარჩენილ ლაშზე ცხადად ეტყობა. გასავალი წყალს ძირს უნდა ჰქონდეს. ხალხი, როგორც წთის ყველა ტბების შესახებ, ამ ტბის შესახებაც ამბობს, რომ უძირაოა. წყალი სასმელად კარგია.

ამ ტბას ორი სახელი ჰქვია: ქართულად შავი ტბა, ხოლო ოსმალუ-რად—ყარა-გიოლ (ყარა-შავი და გიოლ-ტბა). თანახმად ხალხში დარჩე-ნილი ლეგენდისა, ეს სახელი ამ ტბას აი როგორ დარქმევია:

თამარ მეფის დროს ერთი მისი მოლაღატე ტყვე ზანგი გაქცეულა. მაშინვე გამოჰკიდებიან და დაუქერიათ. დაბრუნებულზე ამ ტბას რომ დაახლოვებიან, ზანგს გადაუწყვეტია შიგ გადაეარდნო იყო და დახარო-ბით თავი ეხსნა მომავალი ტანჯვისაგან. მოუხერხებია კიდევ გულის-წადილი აესრულებინა. თამარის კაცებს ბევრი უძებნიათ, მაგრამ ვერა-გზით ვერ უპოვნიათ. დამმარებულნი და ხელცარიელნი თამართან მისუ-

ლან და ყოველივე უამბნიათ. თამარს უბრძანებია: ალბათ, დაგრქთაშქს და თქვენც გაუშყითო. იმათ დიდი ფიცი უთქვამთ. ხელახლა უძებნიათ კაეებითა და ბადითა, მაგრამ მაინც ვერ უპოვნიათ,—წყალმა ძირს გაიტანაო.

ამ ტბისა და სარიჩაირის მთის შუა შავშელების ეილებია. აპარლები-ვით, ამათაც საზაფხულოდ ამოუდით აქ საქონელი. ამათი ცხოვრება აპარელთა ცხოვრებისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ სიღარიბე ამათში უფრო საგრძნობელია. მატერიალურ ნაკლებულობას ხალხი მეტად დაუჩაგრავს და დაუჩიავებია, თითქმის პირუტყყვად უქცევიან. თუ აპარაში ცოტა აქეთ სახნავ სათესი, შავშელებს თითქმის სულ არა აქვსთ. მათს მხარეში ზამთარი უფრო გრძელია, უგზოობისაგან ხომ სული აქეთ ამორთმეული. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე თვეს ეღირსებათ ხოლმე შედარებით სიამით იცხოვრონ,—ზაფხულში, მთებზე ამოსვლის დროს. ტანით შავშელები აპარლებზე უფრო პატარები არიან. სახეზე საშინელი ნალველის და დაჩაგრულობის ბეჭედი ახით; იშვიათად დაინახავთ ვალიმებულთ. მათი ლაპარაკის ვაგება მეტად გასაჭირია.

ამავე მთებზე რამდენიმე ეილად გაფანტულია ორას კომლამდე ქურთი-ესენიც ზაფხულობით ამოდინა აქ საქონლის საძოვებლად და ერბო-ყველის საკეთებლად, მათი ყველი საკმაოდ გემრიელია. ხოლო ქურთის ქალები —კი ხალჩების ქსოვით არიან განთქპული. ისინივე ქსოვენ თავიანთივე კარეებისათვის მატყლის ხარგებს.

ქურთებს ყველას ორ-ორ თვალისანი ჯარგელები უდგათ, ერთში თვითონა ცხოვრობენ, ხოლო მეორე თვალი ერბო და ყველის საკეთებლად აქეთ-საქონელი კი ცალკე უყენიათ. როგორც შავშელების ეილებში, მათ სახლებს წინ დაგროვილ ფეინს ვერ დაინახავთ. ზამთრობით კი ბარად ჩადიან, ბათუმის ახლო კახაბერში დასაბანაკებლად.

ტანად საშუალოზე ნაკლებნი არიან, ხმელნი, შავგვრემანნი, სახის სწორნაკეთებანი, მკვირცხლნი და შემმართველნი. ამათი ქალებიც საკმაო სილამაზისანი არიან: შავგვრემანნი, შავთვალწარბანი, ბროლის მსგავს და მიჯრით მიწყობილ კბილებიანი. აპარლების ქალებივით კარ-გამოკეტილში არა ცხოვრობენ: ამათ გაცილებით მეტი თავისუფლება აქეთ.

* * *

აჰა, მიატანეთ ჩვენი მგზავრობის უკანასკნელ ჰენქტსაც, სარიჩაირის (თურქულად სარი—ყვითელი, ჩაირ—ბალახი). ეს მთა თითქმის აღმოსავლეთი საზღვარია ზემო-აპარისა. აქედან გზა გადადის ახალციხის მაზრაში, ბოცოს ხევიში, ანუ როგორც ახლა გადამახინჯებით ეძახიან, ფოც-

ზოგში და შავშეთში. ამის იქით აქარული სოფელი აღარ არის. სარიჩაირის მახლობელი სოფლებია სამხრეთით ქოჩახი, ბაკო და განთქმული ისტორიული ხიზათა ციხე. საბალახო ამ მთაზე საუცხოვოა, წყაროები უკეთესი, ნაძვისა და სოჭის ტყე იქვე მახლობლად აკრავს.

სარიჩაირზე დაბინადებულია ოცდაათ კომლამდე ქურთი თავიანთი საქონლით. ნათთან ერთად აქ მთაზე ზაფხულის გასატარებლად ამოსულნი არიან ზემო-აქარის ბეგები, უკანასკნელი მთავრის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილები. ერთი მათგანი, უფროსთაგანი, ჯემალ-ბეგი, მილიციის პორუჩიკი, ცოლშვილით არტაანიდან მოსულა აქ. ერთი, სულ უმცროსის, ზეჟერია-ბეგის ვარდა, ყველანი ცოლიანები არიან და თავის ცოლებზე აქ ჰყავთ ამოყვანილნი საზაფხულოდ. ტანთ ყველას ჩვენებური ჩოხები აცვიათ (ეს კი აქარაში იშვიათია), ქართულს თითქმის ყველანი კარგად ლაპარაკობენ, უმცროსმა ზეჟერია-ბეგმა ქართული წერაკითხვაც-კი იცის. ქურთებთან ძალიან კარგი განწყობილება აქვთ. ზოგს მათი ქალები ცოლადაც შეურთავეთ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ზემო-აქარაში ერთზე მეტი ცოლი მარტო ამ ძმათა ხიმშიაშვილებსა ჰყავთ, როგორც შეძლებულთ და წარჩინებულ გვარის ჩამომავალთ.

ამ ხიმშიაშვილთა ნივთიერ მდგომარეობის შესახებ სანუგეშოს ბევრს ვერაფერს ვიტყვი. საკვირველი კია, რომ მთელი მხარის მპყრობელის შვილებს თავიანთი მომავლისა ეფიქრებოდეთ და ქონებრივად უზრუნველყოფილნი არ იყვნენ. მაგრამ ასე-კი გახლავთ. მათი ჩივილის და ლაპარაკის თემაც უფროს-ერთ შემთხვევაში ეს არის. დაწვრილებით მოყოლა ამბისა შორს წაგვიყვანს. ვეცდებით, რამდენადაც შეიძლება, მოკლედ მოვუთხროთ მკითხველს ამათი საგულისხმიერო თავგადასავალი.

რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის დროს ზემო-აქარის მთავარმა, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა, როგორც ვიცით, თურქეთს ზურგი შეაქცია, რუსეთს ერთგულება გამოუცხადა და, როგორც გავლენიანმა პირმა, რუსეთის ჯარს დიდად გაუადვილა ამ ტერიტორიის შემოერთება. არ გამოუდგებოთ იმის ჩამონუსხვას, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა შერიფ-ბეგი ამ შემთხვევაში. მაგრამ ერთი კი ცხადია: ასეთი სამსახურის განწევა კაცს, სხვათა შორის, უფლება ჰქონდა უხვი მატერიალური ჯილდოს მიღებისა. მთავრობამაც აღუნიშვნელად არ დასტოვა ეს სამსახური შერიფ-ბეგისა, და, როცა ეს უკანასკნელი, ნაომეს, 1880 წ., პეტერბურგში წავიდა, ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო და უთხრა: „არ დავიფიწყებ ომის დროს შენს მიერ გაწეულ სამსახურსა“-ო. ამ დროს შერიფ-ბეგი რუსის სახელმწიფო სამსახურში შტაბ-ოფიცრის ხარისხით იყო; დაენიშნა პენსია მისი ხარისხის შესაფერი; თანაც გამოეცხადა, რომ თუ ვინცობაა, აქარა ისევ ოსმალთ დარჩა და თქვენ იძულებულ იქმენით აქაურობა დატოვოთ, მაშინ რაც ამ მხარეში მამული გაქვით, იმდენივე მამული მოგეცემათ რუსეთის იმპერიაშიო. ხოლო მამული ჰქონდა

შერიფ-ბეგს: ყარსის ოლქში (ურში) 400 დესეტინა საშენი ტყე, შიგ ყარსშივე საგაყუფო (მეჩეთებისთვის შეწირული, ერთი ნაწილი მეჩეთებს ხმარდებოდა, ხოლო დანარჩენი შემწირველს) დუქნები, აჭარის საგაყუფო (საეკლესიო) სოფლები: ხულო, დიდ-აჭარა, დოსხევი, ალმე და საზაფ-ხულო საძოვრები. ყოველივე ამას ოსმალეთის სულთნების ფირმანების და ქართველ მეფეთა მიერ ბოძებულ გუჯრებით შევლობდნენ შერიფ-ბეგის წინაპარნი და, როგორც მათი კანონიერი მემკვიდრე, ჰვლობდა აგრეთვე თავის სიცოცხლეში თვით შერიფ-ბეგიცა.

აჭარა რუსეთმა დაიპყრო თუ არა, რუსეთის მთავრობის წინაშე სარჩიელი აღძრა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა,—ჩემი მამულები რუსეთის კანონის თანახმად დამიმტკიცეთო. იმავე ხანებში კომისია შედგა ახლად შემოერთებულ ტერიტორიის სამამულო კითხვათა გამოსაკვლევად. 1883 წელს ამ კომისიამ, სხვათა შორის, განიხილა რა აჭარის სამამულო საქმენი, დაადგინა: ყველა მამულები აჭარისა ოსმალების ხელში სახელმწიფო ყოფილა და, მაშასადამე, ახლაც სახელმწიფოდ უნდა დარჩესო. ხოლო შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის საკუთრებად მარტო 16 დესეტინა მიწა იცნო! 1889 წელს მთავრობას ხელ-ახლა მიართვა თხოვნა შერიფ-ბეგმა თავის მამულების შესახებ. მაგრამ 1893 წ. გენერალ-მაიორის ხარისხით გარდაიცვალა ისე, რომ სიცოცხლეში არაფერს მოსწრებია.

მამის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა ზეჟერია-ბეგმა განაგრძო თავისი და ძმების სახელით თავიანთი ქონებრივი ინტერესების გამორკვევა. თავიანთ თხოვნებში ძმები ამბობდნენ, რომ სხვა ყველაფერს რომ თავი დავენებოთ, რა ჭკუაში მოსასეულებია, რომ მთელი მხარის უფროსს 16 დესიატინა მიწის მეტი არ ჰქონდესო! მას აქეთ მოგზაურობს. მათი თხოვნები ქალაქიდან ქალაქში, კანცელარიიდან კანცელარიაში, მაგრამ დღემდე ხიმშიაშვილთა სასარგებლოდ არაფერი გადაწყვეტილა. კითხვის გადაწყვეტამდე კი ხაზინა ევატრონება მათ მამა-პაპეულ მამულსა. „თუ სამართალი გაგვიწყვიტეს და ჩამოგვართვეს მამაპაპეული მამული,—ამბობენ შერიფის შვილები,—აჭარაში შიმშილის მეტი რაღა დაგვრჩენია, ისევე ერთმორწმუნე ხვანთქარს მამის მაგივრად ბოდიში უნდა მოვთხოვოთ და მფარველობა ვთხოვოთო. თუმცა სრულებით ჯერ კიდევ არ გვეკარგება იმედი, რომ ჩვენი მამის ერთგულება და ამაგი, ადრე იქნება თუ გვიან, დაფასდება და მტერს არ გაგვიხარებენ და არ გააციენებენ ჩვენი უბედურებითაო. ჯერ ახლაც ნიშნს გვიგებენ: ოსმალეთს რომ უღალატეთ და ახლა ნახეთ, რაც ხეირი დაგეყრებათო! თუ ეს იმედიც გაგვიცრუვდა, მაშინ აქ შიმშილს და ჩვენი ღირსების შეუფერებლად ცხოვრებას ოსმალეთს გადახვეწვა გვირჩევნისო.

შერიფ-ბეგს დიდი ოჯახი დარჩა. სულ 20 შვილი ჰყავდა (11 ვაჟი და 9 ქალი). ამათგანი ზოგი დაისოცა და უმეტესობა დღესაც ცოცხალია. აი მათი სახელებიცა:

ქენი: 1) აბას-ბეგი, მილიციის მაიორი (გარდ. 1890 წ.), 2) მურთაზ-ბეგი (გარდ. 1876 წ., ხულოშია დასაფლავებული); 3) ისა-ბეგი, მილიციის მაიორი, ახალციხის მაზრის დისტანციის უფროსი, 4) ჯემალ ბეგი არმიის კავალერიის როტმისტრი, 5) ზეჟერია-ბეგ, 6) თეჟურ-ბეგ, 7) ყაია-ბეგ, 8) მუსტაფა-ბეგ, 9) ჰაშიმ-ბეგ, 10) ჯაფარ-ბეგ, 11) იზეთ-ბეგი; ასულნი: 12) ილდინ-ხანუმ (სტამბოლშია გათხოვილი), 13) ნიზამ-ხანუმ (შავშეთშია გათხოვილი ნური-ბეგ ხიმშიაშვილზე), 14) ზეინაბ-ხანუმ (შავშეთშივე იყო გათხოვილი), 15) სონა-ბატი, 16) ვერა-ბატი, 17) ასია-ბატი, 18) ნეჟ-ჰიბა-ბატი, 19) სარა-ბატი, 20) ფატმა-ბატი.

ამ ოც შვილში დღეს ცოცხალი არიან 9 ვაჟი და 4 ქალი. ქენი, ზეჟერია-ბეგის გარდა, ყველანი დაცოლშვილებულნი არიან, ქალებში კი ორია გასათხოვარი—სონა-ბატი და ვერა-ბატი (ბატი, ე. ი. ბატონი). სულ კი მთელი ოჯახი 60 სულზე მეტია. ვაჟებში ისა-ბეგი და ჯემალ-ბეგი აჭარას გარეშე ცხოვრობენ, ხოლმე სხვებს აჭარაშივე (სოფ. ხულოს) აქვთ მოსახლეობა.

თავის შვილებიდან შერიფ-ბეგს მარტო ორი მიუბარებია: სამხედრო სასწავლებელში (პეტერბურგში). მაგრამ მათი იქ ყოფნა, სავალალოდ, ხანგრძლივი არა ყოფილა. სამმა თურქულის გარდა რუსული წერა-კითხვაც იციან, ხოლო ერთმა, ზეჟერია-ბეგმა რუსულის და თურქულის გარდა ქართული წერა და კითხვაც იცის. ამბობენ, პეტერბურგში ყოფნის დროს შერიფ-ბეგი თვითონაც მოინათლა და ორი ვაჟიც მონათლაო. დანარჩენმა შვილებმა მარტო თურქული იციან, ლაპარაკით-კი ქართულს ყველანი ლაპარაკობენ.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ორი რუსის სამსახურშია, ხოლო დანარჩენნი, შინა-კაცებს რომ იტყვიან ჩვენში, ისინი არიან. ჯერ კიდევ ჩამოურთმეველ მამულს მამაპაპეული წესით უფლიან და კიდევ ახერხებენ, დანარჩენ აჭარლებთან შედარებით, მდიდრულად იცხოვრონ, სანამ ხაზინა ამ მამულებსაც არ ჩამოართმევს. მერე რა მოუვათ? აბა სწორედ ეს კითხვაა, რომ განუწყვეტლივ თავს დასჩხავით შავბელთი ყორანივითა...

* * *

ორიოდე სიტყვა უკვე ვთქვით საირჩაირის მთაზე საზაფხულოდ ამოსულ ქურთების შესახებ. ჩვენს მწერლობაში, რამდენადაც ვიცით, არაფერი იქმულა ამ საინტერესო ხალხის შესახებ, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ქვეყანას შემოხიზნია. და უნდა აღვიაროთ, რომ ეთნოგრაფიულად ეს ხალხი მეტად საინტერესო და ყურადღების ღირსია. ჩვენ ამ წერილში აზრად არა გვაქვს დაწვრილებით აღვწეროთ ქურთები. ნიმუშად შევეხებით მხოლოდ ერთ ნაწილს ამ ბუნების შვილთა შინაური ცხოვრებისას—ცოლქმრობის წესს და ჯვარის წერის ჩვეულებას. იმედი გვაქვს, იმით, ცოტათიც არის, შევავსოთ ის ნაკლი, რომელიც მათ შესახებ ჩვენს მწერლობაში არსებობს.

როგორც ვთქვით, ქურთის ქალს შედარებით უფრო მეტი თავისუფლება აქვს, ვიდრე მისს აქარელ დას. ქალი, როგორც გათხოვილი, ისე, გასათხოვარი, პირდაუფარავი დადის და ვაჟისათვის მისი გაცნობა და თავის გრძნობის გამოცხადება ძნელი არ არის. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ცოლქმრობის გარეშე თავისუფალი კავშირი მათ შორის იშვიათი არ არის, თუმცა ისიც კია, რომ ასეთი კავშირი საგმობია მათგან და ქალი მუცლის გაფუჭებით ცდილობს ცოდვა სიყვარულისა დაფაროს. მუცლის გაფუჭების ჩვეულება აქ ძალიან ხშირია.

ჯვარის წერისათვის საკმარისი არ არის, რომ ვაჟს ქალი მოსწონდეს, საქაროა ქალსაც მოსწონდეს თავისი მომავალი ამხანაგი ცხოვრებისა და მის თანხმობასთან ერთად მიუცილებელი დასტური მშობლებისა, თუ კი უნდათ, რომ საქმე მშვიდობიანად და უღავიდარაბოდ გათავდეს. როცა ორივე მხარე თანახმაა, ვაჟი თავის მხრივ უშაკაცებს უგზავნის ქალის მშობლებს. ესენი ქალის მშობლების წარმომადგენლებთან შეთანხმების შემდეგ მოლას უცხადებენ: მავანმა ვაჟმა და ქალმა ჩვენ მოგვანდეს გამოვაცხადოთ მათი სურვილი ცოლქმრობისაო. ისიც საჭირო ოქმს შეადგენს, მერე შინაურნი, კეთილსინდისიერთა თანადასწრებით, შეავსებენ ქალის ნზითევს, ყოველ ნივთს სათითაოდ. მოლაც ყოველივეს წერს და სიას აღგენს. ამ სიას ბოლოს აბარებს ქალის დედას. რომ ვინიცობაა ქმარმა თავისი ცოლი გაუშვა, ამ სიის ძალით უკანვე მოსთხოვოს თავის ქალის მზითევი. მშობლების სახლიდან დედოფლის წამოყვანის დროს კარებში ერთი ქალის ნათესავთაგანი ჩადგება და სიძიანებს მოსთხოვს: ესა და ეს ცხენი მომეცი, თორემ ქალს ისე არ დაგანებებთო. ისინიც იძულებულნი არიან დააკმაყოფილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქორწილი დროებით დაიშლება, სანამ, გაჯიუტებულ ნათესავს სურვილს არ აუსრულებენ.

როცა ქალის ან მისი მშობლების ნება არ არის, მაშინ ვაჟი ძალას მიმართავს ხოლმე, რასაც, რა თქმა უნდა, სისხლის ღვრაც მოჰყვება. ამ შემთხვევაში დიდ მონაწილეობას ღებულობენ, ხშირად ვაჟის სასარგებლოდ; აქაური ბეგები, როგორც ვაგლენიანი პირნი, რადგან ქორწილი ზაფხულობით ხდება ხოლმე და იმ დროს ესენიც მათთან არიან.

როცა ორისავე მხარის ნება-ყოფლობით არის წამოყვანილი ქალი, საქორწილო პროცესის წინ მიუძღვის ქურთული დაფა-ზურნა. დაფა-ზურნის უკან მოდიან ცხენოსანი მაცრიონები და ამათ უკან — ქალები. ქალების შუაში დედოფალი მოდის ცხენით. თავით-ფეხებამდე ტომპრის სახით შეკერილ კრელს ჩითის ჩადრშია გამოხვეული. ამ ჩადრს „ტუალი“ ჰქვია. პირისახე არ უჩანს, მხოლოდ თვალებისათვის აქვს დატოვებული ადგილი. ხელში ბალღი უჭირავს. მთელს პროცესის მონაწილეთა ცხენსა და ცხენს შუა ქვეითი კაცი მიდის და მარჯვენა ხელით წინა ცხენის კუდი უჭირავს, ხოლო მარცხენით — უკანა ცხენის სადავე. ასე რომ ასისა და ხან მეტის მხარის სიგრძე ცოცხალი ჯაჭვია გაკეცილებული, რომლის დაშლა არავის შეუძლია: თუ ვინმემ გაიარა, იმის მომასწავებელი

იქნება, რომ ცოლ-ქმარს შუა ვინმე გაივლისო, ესე იგი უკმაყოფილო ცხოვრება ექნებათო. ამბობენ კიდევ, ბავშვებს ყელ-კირვება (აქარულად — „მატაური“) დახოცავსო. სიძის სახლში მისვლამდე რამდენიმე მარულას გამოუშვებენ. სახლს რომ ოციოდე მხარზე დაუახლოვდებიან, დაიწყებენ თოფ-დამბაჩის ცლას, სახლთან ჯერ მივა პირველი მხედარი და ჩამოხტება, ქვეითი კაციც მის ცხენს ხელს გაუშვებს. მერე ჩამოხტება მისი მომდევნო და ასე დედოფლამდე. როცა დედოფლის რიგი დადგება, მოიყვანენ ცხვარს, მის წინ ყელს გამოლადრიან და სისხლს მოაქცივენ: ეს ყურბანია, შესაწირავია, მშვიდობით მოსვლის სამადლობელოა. მერე მის ცხენთან გადმოაპირკვავებენ ქვებს, რომელზედაც პირქვე გდია ხის კოვზი. ყველამ უნდა იგულისხმოს, რომ პატარძალი ვერაფერსა ხედავს. სანამ ცხენიდან ჩამოვიდოდეს, ერთი ღავ-ღუვი ატყდება: ქალისიანები ვაჟისიანებს საჩუქარსა თხოვენ: ქალს მანამდე არ დაგანებებთ, სანამ რასმე არ მოგვცემთო. საჩუქრად შემოღებულია: ცხენი, კამეჩი ან ძროხა. როგორც იქნება, შეთანხმდებიან. თვალახვეული ქალი ჩამოდის ისე, რომ ცალ ფეხს პირდაპირ ქვებზე დაგდებულ კოვზს ადგამს. თუ დაამსხვრია კოვზი, ცოლობის გასაჭირს ყველაფერს გაუძღებს და შვილ-ლოსნობაშიაც ნაყოფიერი იქნებაო. ამის შემდეგ შეჰყავთ ქოხში. ქალები სიცილით უკან მისდევენ, მამაკაცები გარეთა ჩრებიან. ცოტა ხანს უკან პროცესიაც იშლება: საქორწილო ღვინო არ იციან.

ზურნა კი ყველა ოჯახს დაუვლის. ხალხი გროვდება და ქალი და კაცი თამაშობს ზურნის ხმაზე.

* * *

სამი დღე დავყავით სარიჩაირზე ჩვენს სტუმარ-მოყვარე მასპინძლებთან. განუწყვეტელმა ნისლმა და წვიმებმა, სამწუხაროდ, ნება არ მოგვცა საესეებით გვეგემნა აქაური მთების სიამე, მიდამონი დაწვრილებით მოგვევლო. უმეტეს ხანს იძულებული ვიყავით კვამლით სავსე კარავ ქვეშ ვმჯდარიყავით, რაც მაინც და მაინც სასიამოვნოდ არ უნდა ჩაითვალოს. ასე რომ თავი უნდა დაგვეკრა მანდაურობისათვის. სარიჩაირი შეიქნა უკანასკნელ ბუნქტად ზემო-აჭარის აღმოსავლეთის ნაწილში მოგზაურობისა. მაწყვალთის ზემოთ ასულეგს—ახლა ხულოში დაბრუნება გვიხდებოდა სხალთის წყლის ხეობით, რომელიც ისტორიულად ყველაზე მეტად საყურადღებოა ამ მხარეში. ღირსშესანიშნავია განსაკუთრებით ამ ხეობის სათავეში მდებარე ციხე ხირხათისა, რომელიც მოწმენდილ დარში სარიჩაირიდან მკაფიოდ მოსჩანს და რომელთანაც დაკავშირებულია ესდენი თავგადასავალი აქარელთა ცხოვრებისა.

ეს ნაწილი მგზავრობისა მით უფრო სახალისო იყო, რომ ჩვენთან ერთად მოდიოდნენ: ვითარცა მასპინძელი, ზეჰერია-ბეგ ხიმშიაშვილი, ერთი სემინარიის მოწაფე—მე-ძე და ორიც ბანოვანი, ოჯახობა გურული თავად იესე ნაკაშიძისა, რომელიც საზაფხულოდ და სტუმრად ბეგებთან იყო ამოსული. ამათთან ერთად უნდა დავვეთვალიერებია ხირხათის ციხე.

სარიჩაირს ნახევარ კილომეტრით გამოვსცდით: თუ არა, დაიწყო საუცხოვო ტყე ნაძვისა, რომელსაც შზე ვეღარც კი ატანდა, ყამდაყამ გამოვდიოდით ხეხილიან ველებზე. ესენი ნასოფლარნი იყვნენ. აშკარად ეტყობოდა, რომ ზედ ამ მოკლე ხნის წინათ სახლებულან სოფელენი. ისიც ეტყობოდა, რომ ამ ადგილებიდან რამდენიმე სოფელი აყრილა და იქაურობისათვის თავი დაუწებებდა. ამ მიდამოებში მარტო ორ სოფელში დარჩენილან მცხოვრებნი, ბაკოსა და თხილვანაში,—სულ ორმოცდაათ კომლამდე. ეს ორი სოფელი ხირხათის მთის ძირასა და ჭალას წარმოადგენს, რომელსაც ბაკოს წყალი გარდი-გარდმო უფლის. გარშემო სირხათის მთის დაყოლებაზე რამდენიმე მთაა ამართული.

სოფ. თხილვანიდან ოთხ-ხუთი კილომეტრის მანძილი ხშირი ნაძვნარით არის დაფარული. ასე 2,000 დესიატინა სულ უხსოვარი, დროის ტყეს უჭირავს. მისი ყურებით თვალი ვერ ძღება. მაგრამ ამასთანავე გულს-სიბრალულით გივსებთ შემდეგი ბარბაროსული ნამოქმედარი ადამიანის ხელისა: კაცის სიმაღლეზე ნახევარ ადლის სიგანედ ყველა ხეს ქერქი აქვს შემოცლილი, ანუ, როგორც აქ ამბობენ, „დაყვერილია“. მთელ სოფელს ორი ზამთრის განმავლობაში უმუშავნია ამ ტყის „დაყვერისათვის“. ასეთი ბარბაროსობის შედეგი ისაა ხოლმე, რომ ხე, „დაყვერის“ შემდეგ, მეორე-მესამე წელიწადს ხმება, რადგან აქედან, უგზოობის გამო, ვეღარსად ვაიტანენ, გამხმარ ხეს ათასგვარი ჭია-ლუა უჩნდება და აოხრებს დანარჩენ მოზარდ ხეებსაც. აქარას ამ ტყეების წყალობით უდგას სული, ამათი წყალობითაა, რომ მხარეს მთის წყლები მთლად ვეღარ აოხრებენ. და თუ ტყე მოისპო, მაშინ მართლა რომ წყალი წაიღებს აქაურებს. და რომ ტყე ისპობა და რომ 10-15 წლის განმავლობაში სრულებით მოტიტვლდება სათავე სხალთიწყლისა, ამას დიდი წინასწარმეტყველური ნიჭი არა სჭირია.

რა იყო მიზეზი, რომ აქარელი თავის სიმდიდრეს, მოვლისა და დაცვის მაგიერად, ასე მტრულად და უღმერთოდ მოქცევია? ამ კითხვაზე აი რა პასუხს იძლევიან ადგილობრივი მკვიდრნი: „თურქეთის მთავრობის დროს ჩვენ ტყე გლეხობისა იყო, როგორც და რამდენიც გვჭიროდა, იმდენს ვხმარობდით, დამუღელი და ბაჟის მთხოვნელი არავინა გვაყავდა. გაყიდვა ტყისა ჩვენ არ შეგვეძლო, რადგან გზები არა გვაქვს მისი გასატანი, მაშასადამე, თუ ვსჭირდით ტყეს, ისევ შინა-საჭიროებისათვის, ასე რომ უხსოვარი დროის ტყეს არც კი აჩნდებოდა რამე. ასეთი თავისუფლება გვქონდა, სანამ სამხედრო საერო მმართველობის ხელში იყო მუჰაჯირების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი მიწები. მაგრამ 1894 წელს, სახელმწიფო ქონებათა უწყებამ ჩაიბარა აქარის ტყეები და მეტყვე (ალ. აბაზაძე) დანიშნა. ჩვენა ვსთქვიით, ეგ არის ბაჟს გვაღებენ ტყეებზეო. სალხი აჯანყდა, მოითხოვა, ტყის დარაჯები მოეშორებინათ აქაურებისათვის,—სულთამხუთაელებივით ნუ ჩაგვიყენეთო, თორემ თავი-ცოცხალი აღარ გვინდაო. აბაზაძემ და ხულოს უფროსმა ბერიძემ ხალხს-

დამწვიდება დაუწყყო: მთავრობას თქვენი შევიწროება კი არა სურს, არამედ ის უნდა, რომ ტყე წესიერად იხმაროთო. უბაყოლ შეგიძლიათ შეშა და საშენი მასალა შინაურ საჭიროებისათვის გამოიტანოთ, უბაყოლთვე მოგეცემათ საკაფავი (დასასვენებლად დაგდებულ სახნავ-სათეს ადგილებზე ამოსული ბუჩქ-ჯაგები), ბალთალუბი (წყნელი ღობეებისათვის). აგრეთვე ნეკერიო (ხის ტოტები ზამთარში საქონლის საკვებად). მაგრამ ხალხმა მაინც არ დაიჯერა. უნდოდათ ყველანი აჯანყებულყენენ, მაგრამ მეთაურები დაიპირეს. მეტყვევ მაინც ვერ შედიოდა ტყეში. ბოლოს, ხალხმა ორი ზამთრის განმავლობაში მთელი ვარგისი ტყე „გადაყვრა“

აი ამ ბუნებრივი სიმდიდრის სამწუხარო ისტორია. გული გწყდება ადამიანს ამ გავერანებული ტყის ყურებაზე და თანაც ვერც გაგიმართლებია ეს საცოდავი ხალხი და ვერც თუ სულ გაგიმტყუნებია...

ცხენებით თითქმის ხირხათის მთის ძირამდე მივედით. აქ კი ცხენები დავტოვეთ და ფეხით შევუდექით. გავედით მთის მდინარე, ბაკოს წყალად წოდებული, უზარმაზარ ლოდებით სავსე. მდინარეს მეორე ნაპირას აღმართი იწყება მთისა, მოფენილი ჩამოქცეული მთის ლოდებითა, რაიცა ჭაშინლად აძნელებდა სიარულს. ამას ზედ დაერთო უწყლოობა. ბედზე მთის მოცივი რომ არ გამოგჩენოდა, ყოვლად შეუძლებელი გახდებოდა გზის გაგრძობა. ყოველივე ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ბანოვანნი თითქმის ხელით ასახიდი გაგვიხდა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მხოლოდ ამ სასიამოვნო ტვირთის წყალობით ეძლიეთ გაჭირვება და ერთი საათის შემდეგ უკვე ციხის თავზე ვიყავით.

თეთი ხირხათის ციხე ზღვის პირიდან 2,600 მეტრის სიმაღლეზეა და წარმოადგენს განმარტოებულ და წოწოლა კლდეს, სამივე კუთხივ მახლობელ მთებიდან ხრამებით მოშორებულს და მიუვალს. ზედაპირი მთისა სამი დღიური სივრცისა იქნება და გარშემოვლებული აქვს ქვიტიკრის გალავანი, რომელსაც ჩრდილოეთის მხრივ ნიადაგი გამოსცლია და ჩამოქცეულა. ალაგ-ალაგ გალავანს სარკმელები აქვს ჩატანებული. ერთმანეთზე მოშორებით სუთი მაღალი კოშკიცა დგას, ხუთივე სანახევროდ დანგრეულები. ციხის შიგნით ნახევრად დანგრეული ეკლესიაცაა. არის აგრეთვე რამდენიმე დამტრეული და ქვებით სავსე ქვევრები, ნაწვიმარი წყლის შესაკრებად, რადგან მახლობლად წყლის ხსენება არსად არის „ნაღვარევის“ წყლამდე, რომლის ხმა ძლივას ამოდის ციხემდე. ციხის შუაგულში ქვით ამოკირული დილეგია ტყვეთათვის. 1874 წელს ეს ციხე უნახავს გენერალ გ. ყაზბეგს და მასთან ერთად ერთი ქართული წარწერიანი ქვაცა, როგორც გვითხრა ჩვენთანვე ამოსულმა ბაკოს მცხოვრებმა გლეხმა მევლეთ დავითაძემ. მაშინ ყაზბეგს ისეც ამოჰყოლია ამ ციხეზე და ის ქვა უნახავს. მაგრამ მაშინ პატარა ვიყავი და აღარ მახსოვს სად იყოვო. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ამაოდ, რადგან აქაურობა ჭაშინლად დაფარულია ნანგრევებითა და შამბით.

ამ ციხეზედვე 1894 წ. ამოსულა ჩვენი ქვეყნის ძველ ნაშთთა მკვლევარი გრაფინია უვაროვისა. ქართველ ქალთან კი ამ მხრივ პირველობა მიეკუთვნათ ჩვენს დაულალავს და გამბედავ თანამგზავრებს ი. ნაკაშიძის ასულს და მის ნათესავს ქალს მე—ძისას. აქარელებმა რომ გაიგეს, ხირხათის ყოლზე (ციხეზე) გურჯის ქალები ასულანო, კარგა ხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ ეს ამბავი, რადგან თვით აქარელთაგან ამ ციხეზე ზამთრობით თხილამურებით რჩეული მონადირენი თუ ამოდიან თხებზე სანადიროდ.

შიგ ციხეში ტყის წარმომადგენლად ერთადერთი დაჯანდაკებული ფიქვი დგას $2\frac{1}{2}$ მხარის სიმაღლისა. სანაგიეროდ ბლომდაა მოცვი, კლდის მოცხარი, ყოლო, რაიცა მისწრებაა აქ ამოსულისათვის წყურვილის მოსაკლავად. აქედან, როგორც გვითხრა ჩვენმა ჩიჩერონე დავითაძემ, მკაფიოდ მოსჩანს თეთრთავა მთა კარჩხალისა, შავშეთის მთები, ჩირუხის მთა, გურიის საზღვარი. მართლაც თუ წარმოვიდგენთ ამ ციხის სიმაღლეს და იმ გარემოებას, რომ ის მეტად შორ მანძილიდან (100 და მეტი კილომეტრის) მოსჩანს, აქედან მნახველს საუცხოვო სურათი უნდა ეშლებოდეს თვალწინ. მაგრამ, სამწუხაროდ, ნისლმა, რომელიც ხშირად სტუმარია ამ ციხისა, ყოველივე დაჰფარა და არამც თუ მთებს, ერთმანეთსაც ძლივს ვხედავდით.

ამ ციხის აშენების დრო, სამწუხაროდ, არ ვიცით. ლეგენდა კი მისაშენებლად თვის თამარ მეფეს. მაგრამ სანამ ამ ლეგენდას გავაცნობდეთ მკითხველს, მეტი არ იქნება აღვნიშნოთ ის ისტორიული ამბავი, რომელიც მომხდარა ამ XIX საუკუნის დასაწყისს ამ ციხეში.

როგორც მკითხველთა უწყიან ჩვენი წინა ნაწერიდან, 1802 წელს ხიმშიაშვილთა წინაპრის აბდულა-ბეგ ხიმშიაშვილის შვილმა სელიმ-ბეგმა ისარგებლა ახალციხის ფაშის შერიფ-ბეგის პოლიტიკურად აწეწილი მდგომარეობით, აქარლების დანხარებით ახალციხიდან განდევნა და ფაშობათვითონ ჩაიგდო. ბოლოს ისე გათამამდა, რომ სულთანს ურჩობაც კი შეჰჰკადრა. განრისხებულმა სულთანმა ფაშობა წაართვა და სიკვდილი მიუსჯა. 1805 წელს ახალციხიდან ივლტო და აქარაში იმალებოდა. 1815 წ. სულთანის ბრძანებით გამოგზავნილ იქნა ჯარი, რომელსაც მეთაურობდა არზრუმის სერასქირი ბაბა-ფაშა, ფებლევანად წოდებული. სელიმ-ფაშა მტერს ამ ხირხათის ციხეში გაუმეგრდა, რაც მოწმობს, რომ ეს ციხე ამ ოთხმოცი წლის წინათ კიდევ მრთელი ყოფილა. ამ ისტორიული მომენტის ხსოვნა აი რა რიგად არის დარჩენილი ხალხში:

ახალციხეში გაფაშების შემდეგ სელიმს რაღაც უსიამოვნება მოსვლია. არტაანის ბეგ ჰამზა-ალისთან. ბეგს მისი ცოლი ავად უხსენებია. სელიმმა უთხრა თურმე: ქალის შეურაცყოფა კაცობა არ არის და რაკი ეს შემომკადრე, უღვაში არა მსხმია, თუ ერთი წლის განმავლობაში თავი არ მოგჰქერ და შენი ცოლები ხირხათის ციხეში არ დავისვი ცოლებადო. თავისი მუქარა აუსრულებია კიდევ.

ჰამზა-ალის მემკვიდრენი სულთანთან წასულან, წაუყვანიათ მცირეწლოვანი ბავშვები, წაუღიათ სისხლში მოსვრილი ტანისამოსი ჰამზა-ალისა და შეუჩვილიათ—სელიმმა ასე და ასე გვიყოფო. სულთანმა მაჰმუდ-ურან-ფაშა გამოგზავნა ჯარით და ფირმანიც მისცა—სელიმ-ბეგი დაიპირე და თავი მოჰკვეთო.

ეს რომ სელიმმა შეიტყო, 400 კაცი შეიყვანა ხირხათის ციხეში, თან ერთი წლის საყოფი საგზალი შეიტანა და კარები ჩაიკეტა.

მაჰმუდ-ფაშა 12,000 კაცისაგან შემდგარი ჯარით ხირხათის ძირას დაბანაკდა, სოფ. თხილნარში. ორი თვის განმავლობაში იმის ცდაში იყო, სელიმი როგორმე ხელში ჩაეგდო, მაგრამ ციხეს ვერას გზით ვერ მიუღდა.

ამასობაში სელიმმა სულთანს კაცი გაუგზავნა: ნება მიბოძე შენთან მოვიდე, ყველაფერი მოგახსენო და თუ მტყუანი ვიყო, მაშინვე მომკალიო. მაგრამ სანამ სულთანის პასუხი მოვიდოდა, სელიმის საუბედუროდ ციხე სწორედ შიგნიდან ვატყდა. მის ბაირალთარს ვერცხლისმოყვარეობამ სძლია, მაჰმუდის მიერ მოსყიდული იქმნა და ციხის კარის გასაღები მისცა.

ერთ ღამეს, სელიმის ჯარი უშიშრად და არხეინად რომ იყო, ისე ციხის კარი გაიღო. ბაირალთარი სელმთან მიიჭრა საჩქაროდ, კარი დაუკაკუნა და მოახსენა: ფაშა შემოვიდა და უნდა წაგყვანოსო, ძალით ვერას გაეხდებოთო, სელიმი გამოვიდა და უთხრა: ცოტა მომითმინეთ და წამოვალო,—მინდა ცოლშვილს გამოვეთხოვო. მივიდა ცოლებთან და უთხრა: ძვირფასი რამ ნივთები მომეცითო. ცოლებს ეგონათ გაგყვდაო, ან ფულით მტერი უნდა დაახარბოს და თავი დაიხსნასო და ცრემლი მოერიათ.—გთუ ნუ გგონივართ,—დაამშვიდა სელიმმა,—ჯალათს ნება აქვს მკვლარს ჯიბე გამისინჯოს, რაც გამოჩნდება, ყველაფერი მისი იქნება. რომ დამისინჯავს და ვერაფერს იპოვის, ხომ შემაგინებს: „ფუი ამის კაცობას, ცარიელი დანავალაო“. ეს უთხრა და ორიოდ ძვირფასი თვალი გამოართვა და ჯიბეში ჩაიღო.

სელიმი ციხიდან გამოიყვანეს და სანამ თავს მოჰკვეთდნენ, სამი დღელამე არ აძინეს, რომ თავის მოკვეთის დროს ტანჯვა არ ეგრძნო. აჰა, მისი დასჯის დღეც დადგა, მაგრამ ჯალათობა არავინ იკისრა. ბოლოს, ერთი არტანუჯელი სომეხი გამოჩნდა, მისცეს ერთი ოქრო და იმანაც მოჰკვეთა თავი სელიმს სოფ. ბაკოს ზემოთ, სწორედ იმ ადგილას, რომელსაც „სერი-ყანა“ ჰქვია და სადაც გლეხნი დღესაც პურსა სთესენ. მერე ეს სომეხი სელიმის შვილს არტანუჯში მოუძებნია და მოუკლავს.

ამ აჭარელი გმირის თავის მოკვეთის შემდეგ ორ საათს არ გაუვლია, ისე სულთანის ფირმანიც მოსულა: „თუ დაიპირეთ სელიმი, ცოცხალი მომგვარეთო“. მაჰმუდ-ფაშამ, ამის მაგიერად, სელიმის თავი სულთანს ჩაუტანა სტამბოლში, როგორც ტროფეი. სულთანს ძალიან ეწყინა თურ-

შე და ჰკითხა: „ფირმანი რა უყავიო?—სიკედლის შემდეგ მოვიდაო.— რაკი ასეთი კაცის დაფასება არა გცოდნია და არ დაგნანდა, აღარც მე შენანებო“ და ბრძანა თავი მოეკვეთნათ.

სელიმის თავი სტამბოლშია დამარხული და ქების წარწერაცა აქვს მის საფლავის ქვესაო. ტანი კი ჯერ სოფ. შიგანაში დაუმარხავთ, მაგრამ მერე ცოლს თავის სოფელ ნიგოზულში გადაუტანივნება.

—

ახლა მოუსმინოთ აჭარელს, რას ამბობს თავის ლეგენდაში ამ ციხის ამშენებელ თამარის შესახებ. ეს ლეგენდა თამარს წარმოგვიდგენს ხირხათის ციხეში შეფარებულს „უსჯულოთა მეფის“ ალერსისაგან თავის დასაღწევად.

ამ „უსჯულოთა“ მეფეს დიდი ქება გაეგონა თამარისა: მისი სილამაზის წინაშე მზის ბრწყინვალე სხივნი კრთებიანო, არცერთ დედის მუცელს მაგის მსგავსი ასული არ უშვია ქვეყნის გაჩენიდანო. იმანაც გადასწყვიტა ცოლად შეერთო. გაუგზავნა მოციქულები და თავისი სურვილი შეუთვალა; თანაც დარწმუნებული იყო, რომ თამარი დიდი სიხარულით მოისმენს ჩემს წინადადებასო. ექვიც კი არ ჰქონდა, რომ თამარს უარის თქმა აზრად მოუვიდოდა. მაგრამ თამარს გადაწყვეტილი ჰქონდა უბიწოდ დარჩენილიყო და, ეგეც არ ყოფილიყო, უსჯულო მეფეს მაინც არ გაჰყვებოდა, თუმცა ამ მეფეზე ძლიერი და მდიდარი ცის ქვეშეთზე არაფერ იყო. ამიტომ, თავის თავყანისმცემელს უარი შემოუთვალა, — იმედი ნუ გაქვს, რადესმე ცოლად შემირთავო.

უსჯულოთა მეფე დაჩვეული იყო, რომ ყველანი და განსაკუთრებით ღედათა სქესისანი, მისი სურვილის ყურმოჭრილი მორჩილნი ყოფილიყვნენ, ამიტომ თავმოყვარეობა მეფისა მწარედ შეურაცხპყო ამ სუსტი ქმნილების უარმა. გადაწყვიტა, ძალით მოეხრევინებინა ქედი თამარის ჯიუტობისათვის. შემოიკრიბა აურაცხელი ჯარი და ჯერ საქართველოს მუსრი გაავლო. მისგან დევნილი თამარ მეფე აპარაში ივლტოდა იქ თვალის დახამხამებაზე ხირხათის მიუდგომელ მთაზე მაგარი ციხე ააშენა, შიგ შეიყვანა თავისი ჯარი, შეიტანა რამდენიმე წლის საყოფი სარჩო და დაუწყო ლოდინი მტერს. მტერიც მალე მოვიდა უთვალავი ჯარით და ხირხათის ციხის პირდაპირ მთაზე დაბანაკდა. ბევრი უტრი-ალა, მაგრამ ციხეში ვერასვხით ვერ შევიდა. გაიარა რამდენიმე თვემ. მეფე იმედს არ ჰკარგავდა, — საქმელი რომ შემოეღევა, დამნებლება, მაშ რას იზამსო. მაგრამ თამარი წარბსაც არ იხრიდა, გული არხეინად ჰქონდა.

მოთმინებიდან გამოსულმა უსჯულო მეფემ ბრძანა, ის ხრამი, ხირხათის ციხესა და იმის ბანაკს შუა რომ იყო, ბამბით ამოევისოთ და ამით ერთი მხრით — თამარისათვის ეჩვენებინა თავისი სიმდიდრე და მეორე მხრით — ხიდი გაეკეთებინა ციხეში შესასვლელად. რაც მის სამეფოში ზამბა იყო, სულ აქ მოზიდეს და მოკლე ხანში ხრამი ციხის პირამდე

ამოაესეს. ამ დროს თამარმა ბრძანა ამ ბამბის ხიდისათვის ცეცხლი წა-
კცილებინათ. ასე რომ შრომამ და ხარჯმა ფუჟად ჩაუარა მისს მოტრ-
ფიალეს.

ხირხათის ციხიდან ერთი დღის სავალზე ზარზმის მონასტერია, სადაც
თამარს, ჩვეულებრივ, ღვთის ლოცვა-ვედრება უჯარდა. ხირხათის ცი-
ხეში ამდენი ხნის ყოფნის შემდეგ ძლიერ მოუნდა ზარზმაში წასვლა.
მაგრამ როგორ? უსჯულოთა მეფეს ყველგან დარაჯები ეყენა, რომ თამა-
რი არსად გაპარულიყო. რათა ეს დაპრკოლება თავიდან აეცილებინა,
თამარმა ბრძანა ზარზმამდე გვირაბი გაეყვანათ მიწის ქვეშ. მისი სურვი-
ლი დაუყოვნებლივ აღასრულეს მისმა ერთგულმა ქვეწევრობებმა. და აჰა
თამარმა იწყო ზარზმაში სიარული და ვედრება—ღმერთო, იხსენ შენი
მშოსავი ხალხი ამ განსაცდელისაგანო. რაკი ამ მონასტერში სიარული
და მის წმინდა კედლებს შორის ვედრება წესძლო. თამარმა ყოველი
დარდი გულიდან გადაიყარა: იმედი ჰქონდა, რომ ღმერთი ამ წმინდა
ადგილას ვედრებას უსმენდა და მისს სამეფოს ხელს არ ააღებდა.

მაგრამ ციხე შივნიდან გატყდა.

თამარ მეფეს ზარზმაში ერთი დედაბერი ემსახურებოდა და იმის მეტ-
მა არავინ იცოდა საიდუმლო გზის არსებობა. უსჯულოთა მეფემ გაპოაც-
ხადა, ვინც თამარს დამაჰერინებს, თავისს წონა ოქროს მივსცემო.
ყოვლად ძლიერმა ოქრომ თავტანი დაუჯარგა დედაბერს და გადააწყვე-
ტინა თავის მეფისათვის ელაატნა. მტერს შეუთვალა: თუ დაპირებულ
ოქროს მომცემ, დაგაჰერინებ თამარსაო. მეფემაც სიხარულით მიუწონა
ოქრო. დედაბერმა მიიყვანა ერთ ადგილას, მიწა ჩაახრევიანა და უთხ-
რა, აჰ ჩაესაფრე და როცა გამოივლის, შენ იცი და იმანაო.

დანიშნულ დროს ღვთის მოშიში თამარი მართლა მოვიდა ზარზმაში.
მაგრამ მისი აჰ მოსვლა უკანასკნელი იყო. რაკი დაინახა, რომ გამე-
ცებულ მტერს ხელიდან ვეღარსად წაუვიდოდა, გადასწყვიტა თავისი-
თავი თუ არ მკვდარი, ცოცხალი არ დაენებებინა, და შეევიდრა: „უხე-
დავ ჩემს დღესა, შენი ხელისაგან განთავისუფლების ცდა ჩემი მსრით-
ამაო იქნება. ერთს-ლა გთხოვ: ერთი დღე თავისუფლება მომეცი, რომ
ოთახში მარტო დავრჩე და უკანასკნელად ვიღოცო ღმერთი. მერე რაც
გენებოს, ის მიყავიო“. მეფემაც ნება მისცა, ჩაეკტა ერთს ოთახში და
გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

მეორე დღეს გულის ფანტკალით გაალო მეფემ ოთახი, სადაც დამ-
წყვდეული ჰყავდა თავისი ძვირფასი ტყვე. მაგრამ დახე, მის სასოწარ-
კეთას, მზის დარი თამარის გაცივებული გვამი-ლა ესვენა,—იმავე ღამეს-
ვი დაეღვიანა საწამლაღვი, რომელსაც სულ თან ატარებდა, რაკი შიში
ჰქონდა, რომ შეიძლება მტერმა, ერთ დღეს ხელში ჩამიგდოსო.

მეორე ვერსია ამ ლეგენდისა ამბობს, რომ უსჯულოთა მეფე, მართა-
ლია, დიდხანს სდევდა თამარს, მაგრამ ხელში ვერ ჩაიგდო ვერც მკვდარი
და ვერც ცოცხალი. თამარმა იცოდა, რომ მეფე დაფიცებული იყო:

თუ ცოცხალს არა, მკვდარს მაინც ჩავიგდებ ხელშიო. ამიტომ მოხუცებულობამდე ემალებოდა მტერს. რომ იგრძნო, სიკვდილი მომიახლოვდაო, იახლა თორმეტი ერთგული კაცი და უდაბნოში დაიმალა. ეს უდაბნო, დღესაც არავენ იცის სად არის. როცა თამარი გარდაიცვალა, მისმა თორმეტმავე ერთგულთა საწამლავი დალიეს, რომ იქიდან არავენ გამოუსულიყო და როგორმე არ წამოსცდნოდან, სადაც განისვენა საუკუნოდ ქართველთა წმინდა მეფემა, რათა უსჯულოთა მეფეს არ მიეგნო მის ცხედრისათვის. აქ, ამ უდაბნოში,—დასძენს ლეგენდა,—დიდებული გვირგვინოსანი ოქროს აკვანში განისვენებს და შვიდი სამეფოს განძი გარშემო შემოქუჩებული აქვსო. ასე რომ სრულიად ეთანხმება ამ ლეგენდას ის ხალხური ლექსი, რომელშიაც გამოთქმულია ის აზრი, რომ არავენ იცის თამარ მეფის საფლავი თუ სად არისო:

„დაბნელებულა ქართლის მზე:—
დგდა ქართლისა თამარი,
სიმშენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
სიკვდილის შემდეგ მშობლებმა
მკვდარიც ვერ ჰპოვეს სად არი“.

თანხმად ამ ლეგენდის შესამე ვერსიისა, თამარ მეფე არ მომკვდარა, ცოცხალია და ერთ დღეს ისევ გამოჩნდება და მეთაურად დაუდგება თავის საყვარელ ხალხს, რომელიც ერთ დროს ესდენ ზედნიერი, ესდენ მამაცი და სახელგანთქმული იყოვო.

აქვე გავიგონეთ ერთ ქობულეთელი აზნაურის, მაჰმადიანი ქართველის, ყურშუმ-ალა ჭყონიასაგან თამარის ანდერძისებური შემდეგი ლექსი:

„ათასი კაბა¹ ყმა მყავდა:
ყველანი ოქროს დილითა;
ვაქმეფდი დედალ ხოხობსა,
ვასმეფდი ბროლის ჭიჭითა.
ვინცა შემება, შევები
ალალითა და ჯიჭითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იჭითა“...

ნახევარ უამის სიარულის, ანუ, უკეთ, ცურვის შემდეგ ჩვენს ცხენებს ვახედით და ღამის წყვილიდში, რომელსაც ჩამოზნელებული ტყე უფრო აძლიერებდა, ცხენების ალლოზე დანდობილნი, სოფ. ქოჩანში მივდიოდით, ხიშვიაშვილთა საზაფხულო სასახლეში.

¹ 1 კაბა—1,000-ია

სხალთის ხეობა

სოფ. ქოჩახი და ბეგების სახაფხულო სასახლე.—შერიფ-ბეგის უმცროსი ქალი ვერა-ბატი და მისი მასწავლებელი მოლა.—ნასოფლარი.—რას ნიშნავს სახელი „ქოჩახი“?—სოფ. ხიხაძირი.—ოლქობის (აჯანყების) ამბავი და „მოსქოფები“.—აქაური ხეები.—მეწეერი.—სოფ. ვერნები.—დაავადებული სული.—ვერნების ეკლესიის წარწერა.—გზა სხალთისაკენ.—ფაჩის კლდე.—სხალთის ტაძარი და მისი არეზარე.—ლევანდები სხალთის ტაძრის შესახებ.—ხიმშიაშვილთა სასახლე სოფ.სხალთაში.—ხულოსაკენ.—აქაური ზრმები.

სხალთის ხეობის სოფ. ქოჩახი, სადაც ხიმშიაშვილებს სასახლე აქვთ, ერთ მოზრდილ ველზეა გაშლილი. ჩრდილოეთით ჯერ ისევ პატარა და მოკრძალებული სხალთის წყლის სათავე ჩაუდის შხუილით, აღმოსავლეთით ხიხათის მთა და მისი ციხე ამაყად თავს დასცქერის, ხოლო დასავლეთით და სამხრეთით ცისკიდური ფერდობზე შავად შეფენილ ნაძვნარს უკან მოსჩანს. ამ ველზე შემოკავებულია ათიოდე დღიურის სივრცე ადგილი და მის ერთ კუთხეში ორი ორ-სართულიანი სახლი დგას ხისა: ერთი დიდი—მასპინძელთათვის, ხოლო მეორე მომცრო—კონალი, სტუმრებისათვის. ეს უკანასკნელი ახალ გემოვნებაზეა აშენებული და ახალი ავეჯით მორთული. ეს სასახლე დროებით საცხოვრებლადაა აშენებული: შერიფ-ბეგის შვილები და მათი ოჯახობა გახაფხულ-შემოდგომაზე (სახაფხულო სამოვრებზე საქონლის ამორეკვის და დაბრუნების დროს) რამდენიმე კვირას ატარებენ აქ.

ეზოს შუაგულ ადგილზე დასაფლავებულია თვით შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომლის შესახებ არა ერთხელ გვექონდა ლაპარაკი ჩვენს წინა წერილებში. როგორც ვიცით, ეს ბეგი გარდაიცვალა პეტერბურგში 1892 წელს და მისი სურვილის თანახმად, მისი გვამი შვილებმა აჭარაში მოასვენეს და სამშობლო მიწის ეს ადგილი ამოურჩევით განსასვენებლად.

აქ გამოვლის დროს სასახლეში რამდენიმე ცოლი-და დაგვხვდა ბეგებისა და აგრეთვე მათი უმცროსი დაი—ვერა-ბატი (ვერა ნათლობის სახელია, ხოლო ბატი შემოკლებული „ბატონია“). ეს ქალი შერიფ-ბეგს პეტერბურგიდან ცოლად ჩამოყვანილი გერმანელი ქალის ხელში მიეცა და ქრისტიანულად არის მონათლული. 17 წლისაა, ტანმაღალი, თეთრ-გვრემანი და მეტად ლამაზი. რადგან თავის რძლებთან იზრდება, თუმცა ქრისტიანია, ისიც მაჰმადიანურ წესს მისდევს და გარეშე კაცის ცნობისმოყვარე თვალებს ემალება. ჩვენ ერთხელ სასულეობით შემთხვევით მოვკარით თვალს, თორემ, შეიძლებოდა, აქედან ისე წავსულიყავით, არც კი გვენახა ეს პირველი ქრისტიანი გამაჰმადიანებულ აჭარელთა შორის. ვერა-ბატს დედის გარდაცვალების შემდეგ ზრდიდა მისი დეიდა და, სხვათა შორის, რუსულსაც ასწავლიდაო. მაგრამ მის შემდეგ თავის რძლებთანაა და ისეთ აღზრდას ღებულობს, როგორც შეჰფერის

მაჰმადის მორწმუნე ქალს. ქართული ლაპარაკი კარგად იცის. იცის აგრეთვე ქართული და ოსმალური კითხვა. მისი მასწავლებლობა დაკისრებული აქვს ბეგებთან მყოფ ახალგაზრდა მოლა ბერიძეს. დიდი არ არის ამ პედაგოგის გონებრივი ავლა-დიდება: როგორც თვითონ მითხრა, ოთხი წლის ქაპანწყვეტის შემდეგ არაბულად ყურანის წაკითხვა უსწავლია, თუმცა წაკითხულის შინაარსი არ ესმის, იცის აგრეთვე რუსულისა და ქართული ბეჭდურის წაკითხვა. ეს არის და ეს! ასეთ პედაგოგს აქვს მომავალი დედის აღზრდა ჩაბარებული! აქ მისი ცოდნა და განსწავლულობა საკმარისად არის ცნობილი, მეტს არავინა თხოვს. საინტერესო ის არის, რომ ეს მოლა პედაგოგობის გარდა მოსამსახურის თანამდებობასაც ასრულებს ბეგების სასახლეში. მაგრამ აქეთვე არც ეს გარემოება აკვირვებს ვისმე. როცა მოლას ვკითხე, რამ გაიძულა მოსამსახურეობაც გეჟისრა-მეთქი, მიპასუხა, პაწა ფარა მინდა მოვავროვო, რომ მერე სტამბოლში წავიდე, ერთი რვა წელიწადი ვისწავლო იქ და ხოჯობა ვიშოვნოვო. თანაც მთხოვა, წიგნის (ქართულის) კითხვა კი ვიცი, მაგრამ წერა ვერავინ მასწავლა და ძალიან კარგს ინებებთ მასწავლიდეთო. მეც სიამოვნებით მოეუჯექი და რამდენიმე საათის განმავლობაში ქართული ხელნაწერი ასოების ხასიათი გავაცანი. სიხარულით ცას ეწია: ახლავ ვერა-ბატისაც ვასწავლი გურჯულ წერასაო. გამომშვიდობებისას მთხოვა აგრეთვე, ქლაქიდან მის მშვენიერ შეგირდისათვის გურჯული ქითაბი (წიგნი) გამეგზავნა. მეც დიდი სიამოვნებით გავუგზავნე „დედა-ენა“ იმ იმედით, რომ, იქნება, ამ წიგნის საშუალებით მაინც გაიცნოს მისმა შეგირდმა, ცოტათიც არი, ჩვენი ცხოვრება, იქნება, სახელმძღვანელო წიგნის გველენით ოდნავადაც არის ატოკდეს მისი ნორჩი და მიძინებული ქართული გული...

ბეგების სასახლეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მშვენიერი ნაშენი ტყე აკრავს ნაძვისა. გზები რომ იყოს და მასალის გამოტანა და გაყიდვა შეიძლებოდაც, ამ ტყის პატრონთათვის მეტის-მეტად სახარბიელო იქნებოდა. მაგრამ უგზოობა, როგორც სხვაგან აჭარაში, აქაც ყოველგვარ ეკონომიურ კეთილდღეობას შაგბედით ყურანივით თავს დასჩხავის და ჩასახვის ნებასაც კი არ აძლევს. მარტო შინაურ, ალაგობრივი საქიროებისათვის თუ შედიან შიგ საქირო მასალის გამოსატანად, თორემ ეს არღენი ბუნებრივი სიმდიდრე თითქმის გამოუყენებელია. ათასში ერთხელ არტანდიდან და ფოცხოვიდან თუ გადმოვლენ გლეხები აქაურ ხე-ტყის სასყიდლად. მაგრამ იმათი წაღებული აქაურ ტყეს არც-კი ეტყობა. ძალიან კარგი ხარები უნდა, რომ ერთი ურმით 5 მხარის სიგრძე და 6—7 გოჯის სისხო ხე წაიღონ! ფასსაც ახდევინებენ: ერთ ურემ ნელზე აბაზამდე, მასალის ღირსებისდა-კვალად. ამ ფასად ხე-ტყის გაყიდვა თითქმის უსასყიდლოდ გადაყრათ, მაგრამ რას იზამენ, როცა მყიდველებს სხვა მოცილე და მეტის შემძლევი არავინა ჰყავთ! ისიც, წელიწადში ასიოდ ურემი თუ გაიყიდა, დიდ ღვთისწყალობად ითვლება!—აქეთ-

კენვე მზადდება ხის ჯამ-ჭურჭელი არტანისაკენ გასასაღებლად, მაგრამ ამ შინაანხელსაქნარს საპატიო ადგილი არ უჭირავს ბაზარზე და ამიტომ ცოტაოდენი მისდევს ამ ხელობას.

ბეგების ტყეშივე ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ ძველი ნასოფლარების კვალი: სახლების ქვის საძირკვლები. ერთი ნასოფლარის გვერდით ძველბუთრი სასაფლარო ვნახეთ: მიწაში ფართო ქვის ფიცრებია, იქით-აქეთ გვერდებზე, ზემოდანაც ფართოვე მთლიანი ქვის ფიცარი აქვს სახურავად. გვინდოდა რამდენიმე საფლავი მოგვეთხარა და შეგვესწავლა როგორც მაშინდელი დროის ადამიანის დასაფლავების წესი, აგრეთვე გვენახა, თუ რა ნიეთი იქნებოდა ჩატანებული მიცვალებულთან ერთად საფლავში, მაგრამ ჩვენი სურვილი სურვილად დარჩა. მითხრეს, ერთი ქვის ჯვარიც იყო აქაო, მაგრამ არ ვიცით, სად არისო. ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს სასაფლარო ქრისტიანობის დროისა უნდა იყოს. სასაფლაროზე ამოსული სოჭის ხეებიც ორას წლისაზე მეტის ხნისანი არიან. ეტყობა, ერთ დროს დიდი სოფელი ყოფილა. დღეს კი სოფ. ქოჩახში ბეგების მეტი არაფერია სახლობს. როგორც ხალხში დარჩენილ თქმულებიდანა ჩანს, მცხოვრებნი ამოწყვეტილან (ომისა თუ ქრისაგან). მთელ სოფელში ორი და-და დარჩენილა. ერთიმეორესათვის უთქვამთ: ჩვენ რაღას გაუჩერდეთ ამ უბედურ აღაგსაო, აქაურობას გავშორდეთო (თურქულად „ქოჩახ“) და ხირხათის ციხეზე ასულან. თუმცა, ხალხის თქმით, ამ სოფლის სახელი ოსმალური სიტყვა უნდა იყოს. მაგრამ შეიძლება ეს სახელწოდება ქართულიც იყოს. ქართულად „ქოჩახი“ პატარა ქოთანსა ჰქვიან. ადვილად შესაძლებელია, ეს სახელი ამ სოფელს თავის მდებარეობის გამო დარქმეოდეს: აქაურობას ყოველ მხრივ მთები აკრავს და ქოთანთან დიდი მსგავსება აქვს.

ნახევარი დღის დასვენების შემდეგ სალამი მივეცით ჩვენს სტუმართმომყვარე მასპინძელს, ზეპერია-ბეგს, და დავეშვით სხალთის-წყლის დაყოლებაზე. პირველი პუნქტი, სადაც უნდა გავჩერებულყავით იმ დემეს, სოფ. ხიხაძერი იყო. ამ სოფელში ისევ დღის სინათლით ჩავედით, ასე რომ მანდაურობის დათვალიერება იმავე დღეს შეგვეძლო. წარმოიდგინეთ, ოთხკუთხედი ამართული და ტყით დაბურული მთები, რომელნიც ერთი-მეორეს ძალზე ახლო მიჰკვრიან და რომელთა იქით არაფერი ჩანს. ამ მთების ძირას ერთ მტკაველ მიწაზე ერთმანეთზე მიკრულია თხუთმეტოდე მოსახლე ხიხაძირელების ხის სახლები. ცის ერთ ნაჭერიდან, რომელიც ქვაბის სარქველივით აქაურობას დაცქერის, მთელი დღის განმავლობაში მზე საათ, ან საათნახევარს გზავნის სოფელში თავის სხივებს. ეს ზაფხულობით. ზამთრობით კი, როცა მზე უფრო სამხრეთისაკენ არის ხოლმე გადახრილი, მთელი თვეობით აქაურებმა არ იციან, მზე და მისი ცხოველყოფელი სითბო და სინათლე რა არის!..

სოფ. ხიხაძირში შესვლისთანავე გხვდებით მიწასთან გასწორებული საძირკველი ძველი დროის ეკლესიისა, რომლის ნანგრევებზე ჯამე გაუშენებიათ. ეკლესიის თლილი ქვები აქავე წყაროს წყლის ამოკირავისათვის მოუხმარებიათ. ამ ქვათა შორის ერთი ქვაა დატანებული (1 მტკა-ველი და 3 გოჯი განი აქვს და 2 მტკ. და 3 გოჯი—სიმაღლე), რომელზედაც ჯვარია გამოსახული, ონკანს ზევითაც თურქულად აწერია: „ჩემი სულის საოხად გავაკეთე ეს წყარო სელიმ-ალამ (შემდგომი სელიმ-ფაშად წოდებული სელიმ ხიმშიაშვილი) 1202 წელს (ჩვენებურად 1785 წელს)“.

საღამოხანზე ამ წყაროს მახლობლად თავი მოიყარეს აქაურმა მცხოვრებანთა. მეტად ფრთხილად გამოძკითხეს ვინაობა. დიდი ეჭვით უყურებდნენ ჩემს მოგზაურობას ამ ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ მხარეში. გადასახადით ისე არიან დაშინებულნი, რომ ყველა უტბო კაცს, აქეთ-ქენ გადმოტყორცნილს, ეჭვის თვალთ უყურებენ: ყველა მთავრობის მოხელე ჰგონიათ და მათი სიმიდრის შესატყობად გამოგზავნილი, რომ შერე ახალი რამ გადასახადი გააწერონ. ვერ წარმოუდგენიათ, ქვეყანაზე არსებობდეს ვინმე ძე ხორციელი მათი გულშემატკივარი, მათი კეთილის მდომი. ყოველ კითხვაზე ცდილობენ პირდაპირ არ გიპასუხონ, ან ორპოფი და სინამდვილეს დაშორებული პასუხი მოგცენ, თავიანთი გაჭირვება ერთი-ათად გააზვიადონ და მეტად უმწეოდ და უსასოოდ მოგაჩვენონ თავი. დიდი „ფიცი მტკიცი“ დამჭირდა დამერწმუნებია, რომ არავითარი ბოროტი განზრახვა და ფარული აზრი არა მქონდა და რომ მათთან მხოლოდ სამოყვროდ ვიყავ მოსული.

ჩემს თანამოსაუბრეთა შორის ერთი ხნიერი სოფლელი ერია, გვარად ბერიძე. აჭარაში უკანასკნელად (ოთხმოციან წლებში) მომხდარი ოლქობის (აჯანყების) დროს მთავარ მომქმედ პირად ეს ბერიძე ყოფილა. სხვათა შორის, ეს სოფელი, ხიხაძირი, გამხდარა ბრძოლის ასპარეზად და აჯანყებულნი რუსის ჯარს აქ უმკლავდებოდნენ. თავზარი დაგვეცა,— ვიამბო ძველმა მეომარმა ბერიძემ,— როცა გავიგონეთ, რომ ჩვენი ხვანთქარი დამარცხდა და „მოსქოფებმა“ (ვითომ მოსკოველებმა ანუ რუსებმა) დაიპირეს ჩვენი მხარეო. მთელი ქვემო და ზემო-აჭარა ფეხზე დადგა, ვისაც თოფის აღება შეეძლო, სულ ოლქად გავედით და გადავწყვიტეთ „მოსქოფა“ აქეთკენ არ შემოგვეშვა. ჩვენი ჯარი ხიხაძირში დაბანაკდა. რუსის ჯარი ქოჩახში იდგა, თან ახლდა შერიფ-ბეგი (ხიმშიაშვილი). ხალხი საყვედურს უთვლიდა შერიფ-ბეგს:— შენაა, რომ გვიღალატე და გაგვეყდი, თორემ რუსს აქ რა უნდოდაო. გაბოროტებულმა ხალხმა შერიფ-ბეგს სხალთაში სასახლე დაუნგრია. ხულოში უფროსის კანცელარია და ყველა ქალაქები გადასწვა, თვითონ მეფისოვს (ხულოს უფროსს) მოუტკველს არ გავუშვებდნენ, რომ დროზე არ გაქცეულიყო, დიდხანს ვეწინააღმდეგებოდით რუსს, მაგრამ ბოლოს მაინც გვაჯობა. ამ ოლქობის დროს მეც შემიპყრეს და უნდა დავეზვრიტეთ, ერთს კაცს

რომ არ გადავერჩინო. ნაომევს მთავრობას თხოვნა მივეცი,—პენსია დამინიშნეთ-მეთქი. ოცი წელიწადია მას აქეთ და პასუხი არაფერი იმისო. იქნება მომიხერხოთ და ჩემი თავი მოაგონოთო. რომელ მთავრობას მიეცი თხოვნა-მეთქი? ვკითხე.—რუსისას,—გულუბრყვილოდ მიპასუხა.—ძალიან ვეჭვობ, რუსეთის მთავრობამ თავისი სალდათების მკვლელს წყალობის თვლით მოგხედოს მეთქი!.. მერე ვკითხე: რატომ თურქეთის მთავრობას არა სთხოვე-მეთქი.—ასე მითხრეს, ახლა ჩვენი არა ხართ, რუსეთს ეკუთვნით და ისინი გაარჩევენ შენს თხოვნასო.

მეორე დილას, სანამ ხიხაძირს გამოვეთხოვებოდი, ვნახეთ იქვე მახლობლად სერზე აგებული ციხე, „ვარდ-ციხე“-დ წოდებული. ეს ადგილი ყელია მთელი ხეობისა და ზედ აშენებულ ციხესაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მტრისაგან ამ ხეობის დაფარვის დროს. ციხე ორია: ერთია იმ ადგილას, სადაც კალათის-წყალი სხალთის წყალს ერთვის, მეორე მის ზერელეა. ორივე კარგად მოზრდილებია და ნახევრად დანგრეულებია. ციხის კედლებს დატანებული აქვთ ჩუქურთმებიანი თლილი ქვები, ყოველ ექვს გარეშეა, რომ ეს ქვები ეკლესიისაა. გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ციხე თურქების ბატონობის დროს არის აშენებული, თორემ ქრისტიანები, მეტადრე იმ დროს, ეკლესიის ქვებს ციხეს არ მოახმარდნენ. შესაძლებელია, ეს ქვები ხიხაძირის ეკლესიისაც იყოს; ალბათ, თურქებს ტაძარი დაუნგრევიათ და მისი მასალა ციხისათვის მოუხმარნიათ.

ხიხაძირიდან მეტად დახრამული გზა იწყება. ამის მიზეზი პატარა ხევებია, რომელნიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩამოდინან სხალთის-წყლის მსახრდობლად და საშინლად ხრავენ ნიადაგს. უმეტესი ნაწილი ამ ღელეებისა ზაფხულობით თითქმის მშრალია და ქვებ შორის აღარც-კი ჩანს ხეირიანად. პირველი შეხედვით კაცსა ჰგონია, ამაზე უწყინარი არაფერი უნდა იყოსო, მაგრამ საკმარისია დააკვირდეთ მათს კალაპოტებში ერთი მეორეზე შემდგარ უზარმაზარ ლოდებს და საზარლად დახრულს და დაღლელი ნაპირებს, რომ საცხებით წარმოიდგინოთ, თუ რა ძალას იკრებენ ეს ღელენი წყალდიდობის დროს! საშინელია თურმე მათი ყურებამ დროს: უზარმაზარ ლოდებს პატარა კენჭებივით მოათამაშებს, ძირიანად მოგლეჯილ უშველებელ ხეებს ერთი მეორეზე ხერგავს, ნაპირებს ანგრევს და თან მიაქვს ყანები, სოფელთა წისქვილები და სხვა ავლადილება. საცა პატარა ღელენი ამას ჩადიან, სხალთის-წყალი, ეს წმინდა მთის მდინარე, ამავე დროს, რა თქმა უნდა, დიდი რისხვა უნდა იყოს!..

აქაურობის მტერი, გარდა ამ ღელეთა—მეწყერია. შემოდგომა და ავრდები ისე არ გაივლის, რომ ზემო-აჭარაში რამდენიმე ალაგას არ ჩამოირღვეს მთა. ამ ჩამორღვევის დროს საშინლად მახინჯდება ნიადაგი-ილუპება ხანდახან სოფელთა სახლ-კარი, ტყე, ნათესები. მაგალითად,

1895 წლის ავღრების დროს ხულოს მახლობლად, სოფ. ყადი-ოღღების ზემოთ ჩამოსულმა მეწყერმა ქვეშ დაიტანა ოთხი მოსახლე, მათი საქონელი და სახნავ-სათესი. იმავე ხანებში ხულოს ქვემოთ ჩამოიღრღვა სოფ. ჩაოს ტყე, ოცდა ათ დღიურზე მეტი. ხოლო სივრცით ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს სოფ. ვერნების (სხალთის ხეობაში) მეწყერს. აქ ჩამოქცეულია 50 დღიურზე მეტი მიწა და ჩამოღრღეტილი ნიადაგი შორს მანძილიდან მოსჩანს წითლად. ნიადაგის ამგვარი რღვევა ჩვენს ქვეყანაში ერთი აქ შეხედება კაცს და მეორე—რაქაში, რომელსაც გეოლოგიურად დიდი მსგავსება აქვს აქარასთან.

დილას ხიხაძირიდან გადმოსული, სადილობისას უკვე სოფ. ვერნებში ვიყავით. სოფელში ექვსი-შვიდი კომლი მოსახლე იქნება. მთელი სოფელი იმწროდ, ერთ დაქანებულ ფერდობზეა მიკრუნჩხული. სოფელში შესვლისთანავე თქვენს ყურადღებას ერთბაშად იპყრობს აქაურების დაავადებული სახე. წამლად ერთს ადამიანს ფერი არა აქვს. ყველანი ჩაყვითლებულნი, უმეტესად ქოსანი არიან, თითქოს, ეს არის, სამაჟრიდან ამოუღიათო. ძლივას დადიან, მიხერა-მოხვრასა და ლაპარაკში სიცოცხლე აკლიათ. ათი კაცი ვნახეთ და მათ შორის ოთხს უშველებელი ჩიყვი ჩამოკიდებოდა კისერზე ცხერის დუმახავით, ორი იდიოტიც ერიათ, პირზე განუწყვეტლად დორბლი ჩამოსდიოდათ. საინტერესოა გამოკვლევა სოფელთა ასეთი გადაშენების მიზეზისა. ჩვენ მოვალეობად ჩავთვალეთ, მხოლოდ ფაქტი აღგვენიშნა და სპეციალისტის ყურადღება ამ საგნისათვის მიგვექცია. ამ ფაქტის აღნიშვნასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ სოფელს სრული ამოწყვეტა ან გადაშენება მოეწიოს. ცხადია, ჰავა ან წყალი ხელს არ უწყობს მცხოვრებთა გამრავლებას, რასაც თვით მისი სახელი „ვერნებიც“ მოწმობს. საფიქრებელია, ოდესმე იმაზე მეტი უნდა ყოფილიყვნენ მოსახლენი აქ, ვიდრე დღეს არიან, მაგრამ შემდეგში აქაურობა ამოწყვეტილა, გავერანებულა.

თქვენსავე ყურადღებას იპყრობს აქ ის ჩუქურთმებიანი ქვები, რომლებიც აქაურ საბძლებს, სახლებს, ყორეებს და კალოებსა აქვთ დატანებული. თქმა არ უნდა, მახლობლად ქვის ეკლესია უნდა ყოფილიყო. და მართლაც, საკმარისია გზიდან რამდენიმე ნაბიჯი გადადგოთ, რომ თავს წაადგეთ დანგრეულ ეკლესიის საძირკვლებს, მიწასთან გასწორებულებს, რომელთა შორის კაკლის ხეა ამოსული. ამ დროს ვერაინა ვნახეთ აქ, რომ რამე ეამზნა ამ ეკლესიის შესახებ, ხოლო ერთ კუთხეში წავაწყდით ერთ ჩუქურთმიან და წარწერიან თილქვას, რომელმაც ჩვენი ცნობისმოყვარობა ასე თუ ისე დააკმაყოფილა. ამ ქვას ვანი ათი მტკაველი აქვს, სიმაღლე ოთხი და სისქეც—ერთი მტკაველი. ზედ გამოყვანილ ჩუქურთმების თანახმად, ეს ქვა ეკლესიის შესავალ კარს ზემოთ უნდა ყოფილიყო ჩატანებული. მისი ხუცური წარწერა მეტად ძველებურია, უმეტესად წაშლილია და ძნელად იკითხება. რამდენად შეგვეძლო, ფრთხილად და გულმოდგინედ გადმოვიღეთ. მაგრამ მარტო ჩვენს თავს

არ ვენდეთ და მისი წაქითხვა ვსთხოვეთ ჩვენს ისტორიკოსს თ. ჟორდანიას, რომელმაც, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ ამ წარწერის გადმოღების დროს, რომელიმე ხაზს ან ნაწილს ასოსას უნებურად გამოეუშვებდით ან უნებურადვე ოდნავ შეეცვლიდით, ასე აღმოიკითხა: ქ ე (ქრისტე) აღ ნ (ადიდენ) ეე ნი (ერისთავთ ერისთავნი) გრგოლ (გრიგოლ)და აბს რი (და აბუსერი)და გ ი (გიორგი) და (ბე) შქენი (და ბეშქენი)... (აქ ერთი სიტყვის გარჩევა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა) ზ ქრ (ზაქარია)“.

ეს წარწერა სოფ. ვერნების ნაეკლესიარის ქვისა, ბ-ნი თ. ჟორდანიას აზრით, მეტად საყურადღებოა, რადგან მოიხსენებს ცნობილ აბუსერიძეთა გრიგოლს და სხვ. აბუსერიძეთა შტო აღნუსხულია ბ-ნი თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ (მეორე ტომი, გვ. გვ. 122—123; 120 და 121) და აქიდან ჩანს, ვინ როდის ცხოვრობდა. ამ შტოებში ბეშქენ აბუსერიძე მოხსენებული არ არის. შეიძლება, ვერნების წარწერაში მოხსენებულნი აბუსერიძენი შემდეგი დროისანი იყვნენ (XIV—XVI საუკ.), რომელთაც ჩვენი ისტორია არ იცნობს, და ანუ სულ უძველესი დროისანი (IX—XI საუკ.), რომელნიც ნაკლებად არიან ცნობილნი. აბუსერიძეთ სპერიათ ოპიზა და მისი არემარე—აჭარა-შავშეთი ანუ ეგრეთ წოდებული, ხიხათა საერისთავო.

ამ ნაეკლესიარის მახლობლად, გზის პირას, ერთი უზარმაზარი ურთხელი დგას, ერთ საერთო ძირზე ორ ტანად ამოსული. სისხო ოთხი კაცის ხელის შემოწვდომა აქვს. როგორც ვიცი, ეს ხე ძალიან ნელა იზრდება, ასე რომ, ჩვენი ანგარიშით, სულ უკანასკნელი, ექვსი საუკუნისა მაინც უნდა იყოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხე დარგულია ეკლესიის აშენებისთანავე, რაც მოწმობს ვერნების ეკლესიის სიძველეს და მის წარწერას ეთანხმება. ამ ხეს ტოტები ჩამოცლილი აქვს და არც მაღალია, მაგრამ სიცოცხლით დღესაც ცოცხალია, თუმცა კაცის სიმალღეზე ტანი სულ გაჩორკნილი აქვს,—ეტყობა, მოცილილი ხალხი დანით ზედ ვარჯიშობს და მის მკვეთელობას იჩენს.

სოფ. ვერნების ცოტა ქვემოთ, სხალთის-წყალზე გავედით და დავადექით საკმაოდ კარგ გზას, რომელიც სოფ. სხალთიდან სხალთის-წყალის მარჯვენა ნაპირით გამოუყვანია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. ეს გზა სხალთიდან მეცხრე თუ მეათე კილომეტრზე წყდება, შერიფ-ბეგს-კი ნდომებია თვით ქოჩახამდე გაეყვანა და ამ რიგად სოფლელთათვის მისვლა-მოსვლა გაუადვილებინა ამ ორ პუნქტს შუა. მაგრამ რადგან ეს ამბავი ჯერ ისევ თურქების დროს ყოფილა, ოსმალეთის მთავრობას პოლიტიკური მოსაზრებით გზის დანარჩენი ნაწილის გაყვანა აუკრძალავს: ქოჩახამდე რომ გზა გაკეთდეს, რუსს ახალციხიდან შემოსვლა გაუადვილებოდა.

მთელი ეს გზა დაფარულია უხსოვარ დროიდან წიფლით. აქა-იქ გამო-
ვრევა წაბლი, მუხა და ფიჭვი. ტყე ისე ხშირია, რომ მზე თავის სხივებს
შიგ ვეღარ ატანს. მეზაერი ნეტარებაშია: რაც უნდა სიცხე იყოს ამ
ხეების ტოტების მფარველობის ქვეშ მყოფი უზრუნველყოფილია, ნელი
სიო საამოდ ეალერსება სახეზე და სულთქმას უადვილებს. თან სამოთ-
ხისებური სიჩუმეა გარშემო გამეფებული. სხალთის-წყლის ხმა ქვეშიდან
ნელ დუდუნად-ლა ამოდის. ამ უცნაურ ბუნებაში ჩვეულება ც უცნაურია:
ბუმბერაზ წიფელზე ადამიანს როგოები გაუტანია გარეული ფუტკრის
საბუღრად და ტოტებზე კავებით ჩამოუკიდნია აკვანივით. გარეული
ფუტკარი ამ მზამზარეულ ბინაში სიამოვნებით ბუღდება და აქაურ გლეხს
წლითი წლობამდე თაფლს არ აკლებს. როგოს დამკიდებელს სრულიად
არ ეფიქრება იმისა, მეზობელი მივა და როგოდან თაფლს მომპარავსო;
ჩვეულების მიერ დაკანონებულია, რომ ვინც ერთხელ დაჰკიდა როგო
ხეზე, და ხეს ცულით ნიშანი დაადო, მერე იმის საკუთრებაა ნიშნიანი
ხეცა, როგოცა და შიგ დებული თაფლიცა,—სხვა, რაც უნდა უჭირ-
დეს, პატრონის დაუკითხავად ხელს ვერ ახლებს, თუმცა სრულებით
არ ეშინიან, რომ ამ უდაბურ ტყეში ვინმე მოასწროს სხვის ქონების
დასაკუთრების დროს. ადამიანის შემდეგ, როგორც ვუწყით, დათვს აქვს
საშინლად აღებული თაფლის გემო. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ,
სირცხვილ-ნამუსს ბევრს არ დაგიდევთ, სხვის საკუთრების პატივისცემა
მიანც და მიანც არ იცის და დიდი სიამოვნებით ჩაიტკბარუნებდა ძირს
ასე ადვილად გაკეთებული თაფლით, მაგრამ საქმე ის არის, რომ გლეხს
ცოტა იმაზე მეტი ჭკუა გამოუჩენია: როგო ისეთ ტოტზე დაუკიდნია,
რომ თაფლის მტერს დათუნას თუ სულმა წასძლია და ზედ გავიდა,
დიდხანს არ დაავიწყდება თავისი გაუფრთხილებლობა: ტოტი მის სიმძი-
მეს ვეღარ გაუძლებს და ორმოცი მხარის სიმალიდან წამოსულმა ძირს
თქვენი მოწონებული სისახლე უნდა აავოს; კიდევ კარგი, თუ გვერდები
მთელი შერჩა!.. ასე რომ, გლეხის ეს „ბუნებრივი“ ქონება ყოველ ფათე-
რაკისაგან უზრუნველყოფილია. თაფლის ამოღების დრო რომ მოვა,
პატრონი როგოს დასცლის და ისევ თავის ადგილზე დაჰკიდებს მეორე
მოსვლამდე: აღარც შიში მოპარვისა, აღარც მოვლა-წყალება, აღარც
რამე ხარჯი და ბორჯი!...

დაუფიქრებელი სოფ. ფაჩხმასაც, განთქმულს თავისი რკინის წყლე-
ბით. სოფელი, მსგავსად სხვა აქაური სოფლებისა, გაშენებულია ფაჩ-
ხმატელის კლდეზე, რომელიც ერთ დროს, როგორც ხალხში დარჩენილი
ამბავი მოგვითხრობს, მსხვერპლი გამზდარა ნიადაგის რღვევისა. ეს კლდე
შუაზე გაპოვიდა და ერთი ნაწილი დღე-დღეზე ძირს ჩამოსაქცევად
ეშაადებოდა თურმე. მაგრამ ხალხის ფანტაზიამ ეს კლდე აამეტყველა.
ხალხის გასაფრთხილებლად სულ იძახდა თურმე: „მოვდივარ, მოვდი-
ვარო.“ ერთხელ მის ძირას ერთ დედაკაცს სარეცხი სდგვია. მოესმა
კლდის ძახილი: „მოვდივარ, მოვდივარო,“ მთელი დღის განმავლობაში

იმდენი იძახა, რომ დედაკაცს მოთმინების ფიალა აღევსო და შეუტია; „რა თავს იგდებ! ყურთა სმენა კი წაილე! სულ იძახი „მოვდივარო“ და ამდენ ხანს რითი ვერ მოხვედი? კლდემ იწყინა დედაკაცის შეუპოვრობა; ერთბაშად მოსკდა და დედაკაციც ქვეშ დაიტანა. ეს დედაკაცი დღესაც ამ კლდის ქვეშ არისო,—დასძენს ხალხის თქმულება. ამ ფაჩხმატის კლდის ამბავი დღესაც ანდაზად არის გადაქცეული. ვინმე რომ დაჟინებით დაიწყებს ძახილს ერთსა და იმავე საგნის შესახებ და თავის ნათქვამს ბოლოს არ მოუღებს, ეტყვიან: „რას იძახი ფაჩხმატის კლდესავითო?!“

ჰა, შეთხელდა ტყე, გზაც გათავკეციდა. მზემ უფრო და უფრო მოუმატა კბენას. 1.600 მეტრის სიმაღლიდან 693 მეტრზე დავეშვით; უკვე სხალთის მიდამოში ვარ. ბუნებამ ერთბაშად იცვალა ფერი, სიცივის სამეფოდან სითბოში შევედი: გამოჩნდა ტყემალი, ვაზი, ატამი, შვინდი, რაც სულ ოთხი-ხუთი საათის წინ გამოვლილ ადგილებზე აღარ ხარობდა. გამოჩნდა მხცოვანი და უტყუარი მოწმე წარსულისა—სხალთის ტაძარი. ტაძრამდე ასიოდ ნაბიჯის მანძილზე, გზის პირას, ძველი შენობაა ქვითკირისა, ანუ სხალთის ტაძრის თაბუნის მარანი, მიწაში ჩამარხული უზარმაზარი ქვევრებით. საკვირველია, ამდენ აოხრებას და მუსვრას როგორღა გადარჩა თითქმის ხელუხლებლად ეს ქვევრები, ნაშთი ძველი ქართული კულტურისა. ეტყობა, სხალთის არე-მარეში ძველად დიდძალი ღვინომოდიოდა, რომ მისს შესანახავად ასეთი ქვევრები სჭირდებოდათ. ახლა ათასში ერთხელ თუ შეხვდებით სადმე გამეჩხვრებულ და საცოდავად დაკნინებულ ვაზს. ამ მარნის მახლობლად კლდეში მრავალი ნაშთია ბერების სენაკებისა.

თვით სხალთის განთქმული ტაძარი ფერდზედაა აშენებული. უგუმბათოა და ორპირად ჩამოშავალი სახურავი აქვს. სიგრძე მისი 25 ნაბიჯს უდრის, განი—12 და სიმაღლეც 12 ნაბიჯი ექნება. შიგნითა და გარეთ ეკლესიის ტანი თლილის ქვით არის ნაგები: სამწუხაროდ, საცა-კი ხელი მისწვდომიათ, ეს ქვები ყველგან ჩამოუღლეტიათ. დახურული ლორფინითა ყოფილა, მაგრამ ისიც სულ აუტკლიათ; მრავალ ალაგას თალი დამსკდარია, ისე რომ შიგნით მზის სხივიც კი შედის. რა თქმა უნდა, ასე გაძარცვული სახურავი დიდხანს ვერ გაუძლებს ბუნებას და უმეველად მალე უნდა ჩამოიშალოს. აღმოსავლეთის მხრით სამი მშვენიერი ხელოვნური ჩუქურთმით შემკული სარკმელი აქვს ჯვრის სახისა. შიგნით მთელი ეკლესია მხატვრობით ყოფილა დაფარული, მაგრამ მტარგალურ ხელს არაფერი დარჩენია შეუგინებელი და გაურყვნელი: საცა ხელი მისწვდომიათ, მხატვრობანი ჩამოუფხვკიათ. საცა მალა ყოფილა, ტყვით დაუცხრილავთ, ბოლოს, შიგ ცეცხლი დაუწითათ და კვამლით სულ ერთიანად გაუმურავთ ეკლესიის ზემო ნაწილს. ჭერს ოთხივე კუთხივ ჩაკირულია ხმის გასადიდებელი ქურები, რომელნიც მტრის ხელს ხელუხლებლად გადარჩენილან. იატაკი, რა თქმა უნდა, თლილი ქვებით იქნებოდა მოგებული, მაგრამ ახლა წამლად ერთსაც ვერა ნახავთ აქ

თლილ ქვას: სულ აუცლიათ. იქაურობა ფეინითა და სკორეითი სავსეა-
უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო,—აბა სწორედ ამ ტაძრის
შესახებ ითქმის. გარშემო მაღალი გალავანი აქვს შემოვლებული, სადაც
ძველად დარგული ბზა დღესაც დარჩენილა და მიდამოს თავის სუნსა-
ჰვენს. საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ხუროთმოძღვრების მხრივ ხალ-
თის ტაძრისთანა ძვირფასი ამ მხარეზე ერთიც არა ყოფილა, ჩვენი
ცხოვრების აყვავებული ხანის დიდება ამ ტაძარში სრულად ისახე-
ბა. და მართლა, სასწაულად უნდა ჩაითვალოს, რომ მტერთა ხელს
გადაურჩა და ჩვენამდე ამ ნახევრად შებღალული სახით მაინც მოაღ-
წია. სხვა ეკლესიები კი, მაგალითად, ხულოსი გამძვინვარებულ თურ-
ქებს სულ ნაღმებით დაუქცევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ.

ხალთის ტაძრის გადარჩენის მიზეზად, სხვათა შორის, უნდა ჩაით-
ვალოს, როგორც აქაურებმა გვიამბეს, ის შიში, რომელიც მის დაქვე-
ვა-დანგრევის მოწადინებულთათვის ჩაუნერგავს ორ გარემოებას:
ერთ აქაურ გლეხს სახლის ბუხრისათვის აქედან ერთი ციგა თლილი
ქვები წაეღო, ხარებს ციგა დაუძრავთ თუ არა, გლეხს ბნედა დამართ-
ნია. ხარებს ციგა უპატრონოდ შინ აუტანია. მოუკითხავთ პატრონი.
ბევრი ძებნის შემდეგ ეკლესიის გალავნის ახლო დახვედრით სიკვდი-
ლის პირას მისული. უთქვამთ, ალბათ, გურჯების (ქართველთა) ღმერთი
გაგვირისხდა ქვის წაღებისთვისო და წაღებული მასალა უკანვე დაუბრუ-
ნებიათ. მომაკვდავი გლეხი მაშინვე მობრუნებულაო.

მეორე ამბავი. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის მწყემსს ამ ტაძარში ავდრის-
დროს ცხვრები შუურეკია. რაღაც მიზეზით ერთი დღის განმავლობაში
მთელი ფარა გაწყვეტილა და თვით მწყემსიც ლოგინად ჩავარდნილა.
სხვა მწყემსებსაც იგივე დღე დასდგომია. უთქვამთ, ალბათ, ამ ჯანა-
ბეთში შაითანები (ეშმაკები) ბუღობენო. მთელი ეკლესია ბურღოთი და-
ნეშოთი აუვსიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ.

თვით ხოჯებსაც მოუხდომებიათ ეს ტაძარი მეჩეთად გადაეკეთებიათ,
მაგრამ მუშაობას შესდგომიან თუ არა, ყველანი ქუთაზე შემცდარან და
ამ განზრახვაზე ხელი აუღიათ.

ამათს გარდა, შერიფ-ბეგის მამასაც უცდია მოესპო ამ ტაძრის ხსენება-
განუზრახავს აქაურობა დაენგრია და მის ნანგრევებზე სახლი აეშენებია.
მაგრამ პირველ ღამეებში სიზმრებს საშინლად შეუქამია და იძულებულ-
ქმნილა სახლი სხვაგან აეშენებია.

ამ ხმებს დიდი გავლენა ჰქონია მცხოვრებლებზე და ამ ტაძრისადმი
შიში და კრძალვა ჩაუნერგავს. დღეს, მართალია, ნგრევით არავინ ანგრევს,
მაგრამ მგზავრები, მეტადრე მწყემსები, მეტად უპატიურად ეპყრობიან-
გამვლელ-გამომვლელთათვის ეს ტაძარი სასტუმროდ გამხდარა; შიგ-
ანთებენ ცეცხლს, აბამენ თავიანთ საჭონელს და მათი ნეხვით მანდაუ-
რობას აბინძურებენ და ანაკვიანებენ.

სხალთის ტაძრის, ქართული ხუროთმოძღვრების ამ საუკეთესო ნიმუშის აშენება, თანახმად ჩვენი ისტორიკოსის დ. ბაქრაძისა, უნდა ეკუთვნოდეს საქართველოს ცხოვრების ოქროს ხანას: X—XIII საუკუნეს. ამასვე ეთანხმება აქაურებში დარჩენილი ხსოვნა თამარ მეფისა, რომელმაც მათი თქმით, ეს ტაძარი ალაშენა და რომელსაც მეტად უყვარდა მის კედელთა შორის ლოცვა-ვედრებაო.

სხალთის ტაძრის აშენების შესახებ ორი ზეპირთქმულებაა ხალხში დარჩენილი: ტაძრის შენების დაწყებამდე თამარ დედოფლისათვის უკითხავთ, სად გვიბრძანებთ შენობის დაწყებასაო?—მსხალთან, —უპასუხნია დედოფალს, და მიუთითებია იქვე მდგარი დიდ მსხლისათვის. სახელიც „სხალთისა“ ტაძარს აქედან დარქმევია. მის მშენებლად გამოჩენილი ოსტატი ყოფილა მოწვეული. ოსტატს საჭირო ქვის მასალას შევირდი უმზადებდა ერთ კლდის ძირას, სხალთიდან ნახევარ დღის სავალზე. გამოჩენილ ოსტატს შევირდიც თავის შესაფერი ჰყოლია. უკანასკნელს წინდაწინ გამოუანგარიშნია, რამდენი ქვაც დასჭირდებოდა ტაძრის დამთავრებას და სწორედ იმდენი მოუზადებია, არც მეტი და არც ნაკლები. ოსტატს შენება რომ დაუმთავრებია, გამოსაცდელად შევირდისათვის შეუთვლია, ქვა დამაკლდა და მომაწოდეთო. შევირდს თამამად შემოუთვლია: რაც გამოგიგზავნე, ის ეყოფოდა, მეტი საჭირო არ არისო. ოსტატს სწყენია თავის შევირდის მიხედვრილობა: ახლავე რომ ასეთი ნიჭი გამოიჩინა და მაჯობა, მერე რაღა იქნებოა? არა, ჩემი სიცოცხლე არა ღირსო. აუწვევია და ეკლესიის სახურავიდან გადმოშვებულა და თავი გაუფუჭებია.

სხალთის ტაძრის დასავლეთ მხარეს მაჰმადიანური სასაფლაოა, სწორედ იმ ადგილას, საცა წინათ ქრისტიანეთ უნდა ჰქონოდათ თავიანთ მიცვალებულთა საძირხე. აქ ასაფლავია უმეტესად ხიმშიაშვილთა ოჯახის წევრები. მაჰმადიანურ საფლავზე საზოგადოდ ბრტყელი ლოდები ზეზეა მიწაში ჩასმული. ამ ლოდებად უხმარნიათ სხალთის ტაძრის თლილი და ჩუქურთმიანი ქვები, რომელთა ერთი ნაწილი ბეგის სასახლის ბუხრებისათვისაც ამოუღიათ. სასაფლაოს გვერდით ჩამოუღის ღელე და ღელეს გაღმა თვით სასახლეა ხიმშიაშვილებისა.

ჯერ გზვდებათ ღელეზე გადმომდგარი წისქვილი, რომელითაც მიდამოს მცხოვრებნი სარგებლობენ; იმას მოსდევს პატარა, ორსართულიანი სახლი—სასტუმრო, ანუ კონალი, სადაც მასპინძლად დაგვხვდა სახლის დარაჯი, ციებისაგან საშინლად დატანჯული. მთელი სოფელი, თავის ჩავარდნილ მდებარეობის წყალობით, მეტად ციებიანია. მზისაგან სხალთის-წყალს ორთქლი ასდის, რომელიც აქვე გუზდება და ზაფხულობით განუწყვეტელი ციების მიზეზად ხდება. დარაჯმა, ანუ როგორც აქ ეძახიან, ყორულჩიმი, ბოდიში მოიხადა, —ბეგები შინ არა ბრძანდებიან და ნუ გავვიწყრებით, თუ თქვენი შესაფერისი პატივი ვერ გეცითო, და შეგვიძლდა სასახლეში.

სასახლე ხისაა, შვიდ-რვა თვალიანი და ევროპულ გემოვნებაზე აშენებული თვით შერიფ-ბეგის სიცოცხლეში. შიგ არავენა ღვას. მამის სიკვდილის შემდეგ შეიღებს აქაურობისათვის თავი გაუნებებით: ზამთრობით სამი ძმა ხულოში ცხოვრობს, მეოთხე ახალციხეში მსასურობს და მესუთეც—არტანუჯში. ზაფხულობით კი, როგორც ვნახეთ, ქოჩახსა და სარიჩაირში ატარებენ დროს თავიანთი ცოლშვილით. სასახლეს ათიოდ ქცევა მიწა აკრავს, რომლის კარგა მოზრდილი ნაწილი სხალთის წყალს მოუგლეჯია. შიგ ერთ დროს მრავალი ხეხილი ყოფილა, მაგრამ ახლა ყველაფერი თავმინებებულია. სასახლის მახლობლად ამ ბაღში პატარა სასაფლაოა, ეკლთ დაფარული და გარშემო შემოკავებული. შიგ ასაფლავია შერიფ-ბეგის გერმანელი ცოლი და მისი ქალიშვილი, რომლის მოსანათლად მამას 1890 წ. აქ მღვდელი მოუწვევია და იმ დროს აქ დამსწრე ბ. იონა მეუნარგიასათვის მოუნათვლინებია. საფლავის მატურზე ჯვარია ამართული.

საზოგადოდ თავმინებებული სასახლის დათვალიერება მეტად გულს უკლავს ადამიანს: ერთ დროს დიდებით ცხოვრობდა აქაურობის უფროსი და ბატონი, სიცოცხლე სდულდა, სშირი მისვლა-მოსვლა იყო და დღეს კი... ადამიანისა და საზოგადოდ სიცოცხლის წარმომადგენლად ერთი საცოდავი, ციებისაგან ოთხად მოხრილი, დახაშმებული დარაჯი-დაა... მოსასლევ ახლო-მახლო არავენაა, თუმცა აქაური ნიდავი თავის ნაყოფიერებით მთელ ზემო-აჭარაში განთქმულია. ჩვენი აზრით, ციება უნდა იყოს მიზეზი, რომ მიწის ნაყოფიერებასაც არა ხარბდებიან გლეხები და აქ არ სახლდებიან. მთელ ზემო-აჭარაში თუთუნი მარტო აქ მოდის. იმის დასამუშაველად, რადგან აქაურებმა მისი ხელი არ იციან, ლაზები მოდიან გაზაფხულზე და მოსავლის აღებამდე აქა რჩებიან-კარგი ღირსების თუთუნიც მოსდით.

სანამ ჩვენ აქაურობას ვათვალიერებდით და ვისვენებდით, დარაჯის ცოლს მჰადი გამოეცხო, ერბო-კვერცხი გაეკეთებინა და სუფრა გაგვიშალეს სასახლეში. ამას ზედ დაერთო ბროლივით წმინდა და ცივი წყაროს წყალი. თითქმის მთელი დღე ნამგზავრთ და უსმელ-უქმელთ მეტად ტკბილად გვეჩვენა ეს მცირე სასმელ-საქმელი. სასადილევს ცოტა თვალი მოვატყუეთ, სალამი მივეცით იქაურობას, ისევ ავიარეთ ტაძრის ფერღზე, ერთი უკანასკნელად თვალი მიმოვავლეთ მანდაურობას და შევუღდექით მაღლა მთაზე მიკრულ სოფ. ჩავოს აღმართს, რომლის იქიდან გზა ხულოსაკენ გადადის.

სხალთიდან ჩაოში მიმავალი გზა მეტად მოსხლეტილია. ცხენით სიარულის შესახებ ფიქრიც მეტია იქ, სადაც თვით ცხენსაც რის წვალებით ამოაქვს თავისი ტანი. გზის სიძნელეს აქარწყლებს თვალწარმტაცი ბუნება: ცათამდე აზიდული ფიქვებით და ნაძვით დაფარული ზურგი მთი-

სა, შორს, ვიწრო ხეობაში ხუვილით მიმავალი აქაფებული სხალთისწყალი, მთას იქით—მწვანე ხავერდის მსგავსი თხემნი მთისანი, რომელთაც თვალ-წარმტაცად ზედ დაჰყურებს ბუმბერაზი და ფირუზი თალი ცისა. ორი საათის სიარულის შემდეგ, კარგა შებინდებულზე, ერთს გლენისას ჩამოვხტით ღამის გასათევად, სოფ. თაგოში. მასპინძელმა შემოგვთავაზა ყოველივე ის, რის მოტანაც შეეძლოდა რომლითაც თვითონ თითქმის წლითი-წლობამდე იკვებება: ლობიო, მჭადი და ცივი წყალი.

მეორე დილას მზეს ჩვენც ავყევით და გავუღდექით ბილიკს, ანუ, როგორც აქ ეძახიან, გზას, რომელსაც ქოლგასებრ ზედ დაჰყურებს კაკლის ხეები თავიანთი განიერი ტოტებით. გავიარეთ სოფ. გურძაული, ცნობილი თავისი რკინის წყლით. წყლის მთელ კალაპოტს ჟანგის ფერი აქვს. თან ისე უხვად მოდის, რომ ერთთვალთან წისქვილს აბრუნებს. სოფელენი ამ წყალს არ სვამენ,—ფახიმიანიო (ცუდიო). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ რკინისა და საზოგადოდ მადნეული წყლები აქეთკენ ხშირია, მაგრამ მათი თვისება ჯერ თითქმის არავის განოუკუვლეია, თორემ ადვილად შესაძლებელია, ეს უსასყიდლო ბუნების სიმდიდრე ადგილობრივ მკვიდრთათვის, სხვათა შორის, ცხოვრებინ თვალსაჩინო წყაროდ შეიქმნეს.

ცოტა ხნის უკან ზედ მოვექეციით ქედს, რომელიც აპარის-წყლისა და სხალთის-წყლის ხეობებს ერთმანეთისაგან ჰყოფს იმ ადგილამდე, საცა აპარის-წყალს სხალთის-წყალი უერთდება. აქ იწყება მეტად მყიფე დაღმართი, გრძელდება ხუთი-ექვსი კილომეტრის მანძილზე და ექანება პირდაპირ აპარის-წყალში. ამგვარ გზებზე ცხენი უსარგებლოა. ურემს ხომ თვალთ ვერა ნახავს კაცი. ხარებისა და ცხენის დანიშნულებას ადამიანი ასრულებს თავის ყველაფრის ამტან და დამაშვრალ ზურგითა. ასეთ ადგილებსათვის ტვირთის ჩასატანად, ისიც ზამთრობით, თოვლის დროს, მარხილებს, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ციგებსა ხმარობენ, მაგალითად, შეშისა ან თივის ჩასატანად. დატვირთული ციგის ბოლოზე კაცი დგას და დატურებულ ციგას ჯობით, რომელიც იგივეა, რაც ზღვაში გემისათვის სამართი, სასურველ მიმართულებას აძლევს. ეს არის ერთი ტიპი აქაურის ურმებისა. უფრო მოვაკო ადგილას თვლებიან ურმებსაც შეხედება კაცი. მათი სახასიათო თვისება ის არის, რომ ხელნები ურემს დაღმართში ერთბაშად არ ატურებს და საყენის მაგივრობას უწევს. ასეთ ურემს სელი ჰქვიათ. სიგრძე სელს ხუთი-ექვსი ადლი აქვს. დედნებს შუა განი 1 ადლსა და სამ გოჯს უდრის; დედნებს ხუთი საყარი აერთებს, რომელთა შუა თითო ციდა ადგილია დატოვებული. ლები დედნებზე სულ ორი წყვილია. სიმაგრისათვის დედნებს იმ ადგილას, სადაც ღერძი აქვს გაყრილი, ეგრიჯები აქვს. ღერძი თვლებშია დამაგრებული და მათთან ერთად ბრუნავს. თვითონ თვალი ერთი ადლი სიმაღლისაა და ფერსობის შესაერთებლად ერთი მტკაველის სიგრძე ჰალები აქვს ხუნდში (მორგვში) ჩამაგრებული. ხელნები დედნებთან კავითაა შეერთ-

ბული და მათი ქვედა ნაწილი მიწას თავისდღეში არ ასცილდება. არის ამავე ტიპის სხვა ურმებიც, მხოლოდ აღარც ქალები აქვთ, აღარც ეგერიჯა, აღარც საყარი. ბოლოს, შეგხვდებათ აგრეთვე ჯინი ანუ გოდორმარხილა. ეს იგივე ციგაა უთვლებო, მხოლოდ ზედ დამაგრებულია მოწნული ჯინი გადასატანად სიმინდისა და საზოგადოდ ისეთი ნივთისა, რომელიც ადვილად სცვივა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სელით ერთ უღელ ხარს 15—20 ფუთი სიმძიმის ზიდვა შეუძლია. ჯინითა და დანარჩენებით—ამაზე ნაკლების.

ჯოჯოხეთური დაღმართის სიმწარეს, ცოტა არ იყოს, გვიქარვებს ყოველ ნაბიჯზე სიგრილის მომფენი მთის წყაროების ჩხრიალი. თითქმის ცურვით ჩავალწიეთ აჭარის-წყლამდე, სადაც ძველებური ქვიტკირის ხიდზე გავედით. უკვე ნაცნობ სოფელს ყადი-ოღლებს მარჯვნივა ვტოვებთ და ახალი აღმართით ავდივართ სოფ. ხულოში, რომელსაც ამ ერთი კვირის წინათ გავანებეთ თავი.

ხულოდან ბათუმამდე

ხულოდან ქედამდე.—ქედა, შენობანი, ჯუმობა. აქაური მცხოვრებნი. თუ-
ფალ ბეგ შარვაშიძე, ქართული ენა.—ჩემი თანამგზავრები.—„წერა-კითხ-
ვის საზოგადოების“ სკოლის ნაშეგირადლი ბეგი აბაშიძე.—მეთევზეობა.—
სოფ. აჭარის-წყალი.—სოფ. ვრგე.—კაპანდიდი და კარჩხალის მთა.—აფხაზთა
სოფელი.—ძველი და ახალი ბათუმი.

ჩვენი მთაბარობა, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზნთა გამო, ძალაუნე-
ბურად უნდა განგვესაზღვრა და ხულოდან პირდაპირ ბათუმში წავსუ-
ლიყავით. ქედამდე ორ მანეთნახევრად დავიჭირავეთ ცხენი, რომლის
პატრონი ფეხით წავიდა წინდაწინ, რომ მერე უკანვე დაებრუნებია თა-
ვისი საქონელი. გამოვეთხოვეთ ჩვენს სტუმართმოყვარე მასპინძლებს
კაპიტან ალ. ბერძენს და ხულოს ბოქაულს ვას. დეკანოზიშვილს, რომელთაც
ესდენ შეგვიწყვეს ხელი ზემოაჭარაში მოგზაურობის დროს.
დავადექით ახალციხე-ბათუმის გზატკეცილს, დაუსრულებელ თეთრ-
ზოლად მიმავალს მწვანედ მოზიბინე ტყეს შორის. მარცხნივ მოგვდევს
ხულით ცისფერი ქაჭარის-წყალი, რომელსაც ნაზად დაჰსურებს რღუ
მალეებით სავსე მთის კალთები, ფიჭვითა და მუხით დაფარული. ერთი-
მეორეზე უკეთესი სურათები ბუნებისა მგზავრს სევდას უკუ-უყრის. რამ-
დენად მშვენიერია ეს გზა, იმდენად საშიშია: მეტის-მეტე სიფრთხილე
მართებს მგზავრს, რომ ამ მიხვეულ-მოხვეულ გზიდან ცხენიანად უფსკ-
რულში არ გადაიჩეხოს, განსაკუთრებით ღამით. საჭიროა ნელა სიარუ-
ლი, განსაკუთრებით მოსახვევებთან.

საათის სავალ მანძილს ისე გაივლით, რომ მგზავრს ვერ დაინახავთ.
აქა-იქ გხვდებით ბერძენი კალატოზები, ქვის ხიდების მკეთებელნი. მათ-
თანვე ნახავთ აჭარლებსაც, მაგრამ ესენი უბრალო და იაფფასიანი სამუ-
შაოს ასრულებენ. შეხვდებით აგრეთვე სპარსელთ, რომელთაც ფურგონ-
ებით ბათუმიდან ხიდებისათვის საჭირო მასალა და მომუშავე ბერძენ-
თა სურსათი დააქვთ. ცხრა-მთას იქიდან მოსული კაცი აჭარელს თავის-
კარ წინ პირიდან ლუკმას აცლის. აჭარელს ფურგუნისათვის საჭირო
ცხენები ყოველთვის მოეძებნება, მაგრამ ბეჩავს ისიც-კი ვერ მოუხერხე-
ბია, რომ თავისი ცხენი მოთხოვნილების შესაფერად გამოიყენოს და
თავის კარ წინ გავარდნილი ლუკმა თავის ჯამშივე ჩაიდოს... გაივლით
ცოტას და ხედავთ იგივე აჭარელნი, გზის გასაგანეებლად კლდეებს-
ნალმით ამტვრევენ და საზოგადოდ, ასრულებენ სამარცხო და ძალღ-
უმადურ სამუშაოს.

ჩვენი გამოვლის დროს ამ გზაზე, რომელსაც 140 კილომეტრი აქვს
სიგრძე, გახურებული მუშაობა იყო. რაც წინაწლებში ხიდები გაეკეთე-
ბინათ, 1895 წლის წყალდიდობას ყველა გაეფუჭებინა. აგრეთვე ქვა
უნდა მოეყარათ 40 კილომეტრის მანძილზე. იმ შემოდგომისათვის სრუ-

ლებით უნდა დაემთავრებიათ და 1898 წლის გაზაფხულისათვის ბათუმსა და ახალციხეს შუა საფოსტო მიმოსვლა უნდა გაჩაღებულიყო. ეს გზა, გარდა იმისა, რომ ამ ორ ერთიმეორეს დაშორებულ და მოწყვეტილ პუნქტს შორის მიმოსვლას გააადვილებს, ჩვენს ქვეყანაში, საქართველოს სამხედრო გზის შემდეგ, სიმშენიერით პირველად ჩაითვლება.

გამოვიარეთ ქვანა, ახალდაბა—საზღვარი ზემო და ქვემო აჭარისა. მოვატანეთ სოფ. დანდალოსაც. აქ აჭარის-წყალზე რკინის ხილია, ახლად ვაკეთებულნი, და მისსავე გვერდით ურყევად დგას ძველებური ხილი, ერთი იმათგანია, რომელიც ზემოთ აღენიშნეთ. ორივე საძირკველი მისი კლდოვან ნაპირებზე დგას, სიგრძე 12 მხარი აქვს, განი 4 ადლი. რადგან ახლა ზედ არაყინ დადის, მთლად სუროს დაუფარავს. თქმულებაა დარჩენილი, რომ შავი ზღვიდან გემები დანდალომდე ამოდიოდნენ და მახლობლად კლდეში რკინის რგოლებია ჩარჭობილი გემების დასაბმელად.

ახალდაბიდან მოკიდებული გზა ვაკდება და ნიადაგიც ნაყოფიერი ხდება. თუ ზემოთ სიმინდი მიწას ძლივას სცილდება, სამაგიეროდ, აქ თვალს ახარებს საყენის სიმალლე, მაგარდროიანი, ხშირად ორტაროიანი სიმინდი. ხეხილიც ხშირდება. მიწის ნაყოფიერებასთან ერთად ჰავაც იცვლება. განსაკუთრებით ჩავარდნილ ხეობაში ციება ზაფხულობით მეტად გახშირებულია, რაც ცხადად ეტყობა მკვიდრთა ჩაყვითლებულ სახეს, მოლევშილ მიხვრა-მოხვრას, უსიცოცხლო ლაპარაკს.

მზე კარგა ვადახრილი იყო, როცა სოფ. ცხმორისში ჩავედით. სიმინდის ყანის შუა მოგრძო კარავი დაგვხვდა, სადაცა დგას გზის კეთების იჯარადარი გურული, გვარად ერქომამიშვილი, რომელსაც გურიიდან 15-ოდე მუშა მოუყვანია და გზაზე ამუშავებს. ჩვეულებისამებრ გურულმა ენაწყლიანობით ბოდიში მოიხადა, რომ ასეთ უდაბურ ადგილას შესაფერი სტუმართმოყვარეობის დამტკიცება არ შეეძლო. წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა ამ მივარდნილ ადგილას, ამ ფაცხაში აღმოვაჩინეთ, სახელდახელო ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა, რომელთა კითხვით, თავისუფალ დროს, თურმე ჩვენი მასპინძელი ერთობა. სხვათა შორის, დაგინახეთ ალ. ფრონელის „მთიულეთი“, „მოამბის“ №№ და სხვ.

გზას თანდათან ერთნაირი ფერი ეძლევა, ნირშეუტკვლელია, მარჯვნივ და მარცხნივ სიმინდის ყანებია გაყოლებული. აჭარის-წყალის კალაპოტი განიერდება და თვით მდინარეც მდოვრდება, დარბაისლდება; სიცხესაც ემატება. შეხვდებით ჩადრში გახვეულ აჭარელ ქალებს, რომელთაც ზურგზე გორიცა (ზურგსაკიდი კალათა) აქეთ მოკიდებული და შინისაკენ სიმინდი თუ ხილი მიაქვთ, აქა-იქ გზის გაღმა მართლმორწმუნე აჭარელ მგზავრს თავისი მოკლე ტანისამოსი ძირს გაუშლია და დაიოქილი, სამხრეთისაკენ პირქცეული მაჰმადს ევედრება. საცა მოუსწრებს დრო ლოცვისა, იქვე შესდგება და, რაც უნდა ეჩქარებოდეს საქმეზე, ჯერ სულეგრ მოვა-

ლემბას აღასრულებს და მხოლოდ მერე გაუდგება გზას. გულნებიერებით და მაჰმადის წინაშე პირ-ნათელი...

ხულოდან დილით გამოსულნი, ქედაში კარგა შედამებულზე-ლა ვიყავით. აქაც თავი შევაფარეთ ქედის ნაწილის სამმართველოს კანცელარიას, სადაც უფროსის საქმისმწარმოებელმა სვ. იოსელიანმა ყოველგვარად ხელი შეგვიწყო საჭირო ცნობების შეკრების საქმეში.

ქედის ნაწილის სამმართველო აჭარის-წყლის მარცხენა მხარეს გორაკზე, ნაწილის უფროსის თუფალ-ბეგ შარვაშიძის ქვეთავის ორსართულიან სახლშია მოთავსებული და მთელ ქედას ზედ დასცქერის. ამ მხარესვე არის ჯამე ქედისა, დუქნები და საზოგადოდ საეპარქო ცენტრი. ჩვენი მოსვლის მეორე დღეს აქ პარასკეობა ანუ, როგორც ამბობენ, „ჯუმობა“ იყო გამართული. ორპირად ჩამწკრივებულია ბატარა, კოლოფების მსგავსი ოციოდ ხის დუქანი, რომლებშიც თავი კუდს ძლივს მოიქნევს. აქ არის საფართლო, სამკედლო, საწვრილმანო, სამიციტრო და სხვა. მოვაქრეთა შორის ადგილობრივ მკვიდრთ გარდა სომეხებსა და ბერძენებსაც შეხვდებით. ამ დუქნებს შუა მოედანზე პარასკეობით სოფელთ გამოაქვთ სხვადასხვა ხილი, ყველი, ერბო (არტაანიდან მოტანილი), რომელიც აქ ოცა სამაბახნახევრად ფასობს, ადგილობრივი შალი მეტად მტკიცე (ალაბი 23 კაპეიკად), ცაცხვის ქერქისაგან ხელოვნურად გაკეთებული თოკები (6 მხარი აბაზად), მატყლი (ოცა 25 კაპ.), ძროხისა და ცხვრის ხორცი.

საზოგადოდ, ქედა ქვედა-აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთანავე შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის ნაწარმოებისა. ყოველი აღებ-მიცევა ქვემო-აჭარლისა უმეტეს ნაწილად აქა სრულდება. რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო-აჭარელს სასყიდლად, უმეტესად ქედას უნდა მოატანოს, რადგან მთელ ქვედა-აჭარაში, გარდა სოფ. აჭარის-წყლისა, დუქანი სხვაგან არსად მოიძებნება.

ქედის ბაზრის გვერდით ხის ჯამე დგას. რადგან პარასკევი მაჰმადიანთა უქმეა, ჯამე მლოცველებით სავსე იყო. ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩვენც შევედით შიგ. მათებური წირვა უკვე გაეთავე-ბინათ და ქედის მოლა, ვინმე ნაკაშიძე, ხალხს უქადაგებდა მაჰმადის სამოთხის ნეტარების შესახებ თურქულად. რამდენად შეიძლებოდა გარეგნულად შეტყობა, თვალსაჩინო ორატორული ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მისი ნათქვამი უმეტეს ნაწილს მსმენელთა, $\frac{3}{4}$ მაინც, არ ესმოდათ, როგორც ეს მითხრეს ჯამედან გამოსულებმა. ბარემ არ გვესმის, მაგრამ რას ვიზამთ, ჯამეა, ღვთის სახლია, მაინც უნდა ვიართო და ვილოცოთო.

როგორცა ვთქვით, აჭარის-წყალი ქედას ორადა ჰყოფს. ორივე ნაწილი ხის მსუბუქი ხილითაა შეერთებული; საკმარისია ცოტაოდნად ღონიერი წყალიდობა, რომ ამ ხილმა წყლის ძალას ველარ გაუძლოს და

ორივე ნაწილს დაბისას კავშირი მოჟსპოს და ერთმანეთს მოსწყვიტოს. ქედის მეორე ნაწილი, აჭარის-წყლის მარჯვენე მდებარე, წარმოადგენს ოთხიოდ ხის დუქანს, ორსართულიან ქვიტკირის შენობას სასოფლო ქსენონისას და ორიოდ სხვა კერძო სახლს. იქვეა საწყობი და სასწორი სოფ. მერისიდან სპილენძის მწარმოებელ რიხნერისათვის ჩამოტანილი სპილენძის ლითონისათვის.

ქედის ორივე ნაწილს გაღმა-გამომდინადნ თავს დასცქერიან ნორჩი ტყით დაფარული მთანი, სადაც აქა-იქ მიუვალ ადგილას მიკოსებულია სოფელთა სახლები.

მოსახლეთა შორის, გლეხებს გარდა, აქ არიან ბეგები. პირველი მათ შორის, შეძლებითა და მდგომარეობით არის ხანში შესული, დარბაისელი თუფალ-ბეგ შარვაშიძე, ქედის ნაწილის უფროსი, რომელიც ქედში სამსახურის ასასრულებლად ჩამოდის, ცხოვრებით კი ქედის გარედ, თავის საკუთარ სოფელში ცხოვრობს. თუფალ-ბეგს ოფიცრის ხარისხი აქვს, სწავლა შინაური აქვს მიღებული, რუსულს, ცოტა არ იყოს გაჭირვებით ლაპარაკობს (ქართული და თურქული ზედმიწევნით იცის), მაგრამ რუსის ადმინისტრატორობა ჩაუბარებით იმ დროს, როცა მთავრობას აქეთენ გავლენიანი პირთა საშუალებით უნდა შემოეღო თავისი წეს-წყობილება. თუფალ-ბეგ შარვაშიძეზე უკეთესს, ბუნებისაგან ჭკუით დაჯილდოებულს და გავლენიანს ამ მხარეში ვერც იპოვინდენ. მთავრობასა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის ეს შუაკაცის მისია თვალსაჩინოდაც აასრულა თუფალ-ბეგმა. ჩვენი აქ ყოფნის შემდეგ დიდხანს არ დარჩენილა სამსახურში. მგონია, მეორე წელიწადს იძულებული იქნა სამსახურიდან გამოსვლის ქალაქი შეეტანა და იმის მაგივრად დაუნიშნავთ ვინმე სე—ვი.

თუფალ-ბეგ შარვაშიძის წინაპარი აფხაზი ყოფილა. რალაცა დაუშავეზია და აფხაზეთიდან მთავრის რისხვას გამოქცევია აჭარისაკენ. აქაურობა იმ დროს ახალციხელ ჯაყელების ხელში ყოფილა. ახალ-შემოხიზნული აფხაზი თავადიშვილი ჯაყელს ალერსიანად მიუღია და მისი გვარიშვილობის შესაფერი ადგილ-მამულიც მიუცია. ამის შემდეგ ხშირი მიმოსვლა ყოფილა გამართული აჭარასა და აფხაზეთს შორის და ერთმანეთს იკითხავდნენო. ოსმალეთის მთავრობას შეჰშინებია, ქვეშევრდომნი არ გადამიბირონ და არ გამოიორგულონო და ამ აზრით სასტიკად აუკრძალავს, განსაკუთრებით ყირიმის ომის შემდეგ, აჭარელთათვის სხვაგან სიარული.

შერვაშიძეთა გარდა ქედის მიდამოში სახლობენ ბეგები ბეჟანიძენი, ანუ, როგორც ახლა ეძახიან, ბეჟან-ოღლები. მათი ოჯახი განთქმულია შეძლებით, დარბაისლობით და, განსაკუთრებით, ქართული ენის ცოდნით. როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა. სამ-

წუხაროდ პირადად ვერ მოვახერხებთ გვენახა ბეჟანიძეთა ოჯახი და ცოტა ხანს მაინც მათთან დავრჩენილიყავით.

24 მარიაამობისთვის მშვენიერ დილას სოფ. ქედსაც თავი დავუკარიტო- თანამგზავრებად მომყვებოდა ოთხი მოზარდი ყმაწვილი: ორი თუფალ- ბეგ შარვაშიძის შვილი და ორიც მისი ნათესავი. ოთხივე ბათუმში, ახლად გახსნილ გიმნაზიაში, უნდა მიეზარებინათ. ორ მათგანს ბათუმის- საქალაქო სასწავლებელში უსწავლიათ და ცდილობდნენ ჩემთან რუ- სული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათს ქართული ლაპარაკის სმენას არა- სჯობდა-რა. მეტად საამო საყურებელნი იყვნენ ეს თავისუფალი შვილი- აჭარის მშვენიერი ბუნებისა, აჭარულად კობტად გამოწყობილნი; თავზე სირმიანი ყაბალახები ჰქონდათ შემოხვეული. ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქო ზედ დაბადებულანო.

ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კობტა, აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქარ- თულს წმინდად ლაპარაკობდა, თურქულ სიტყვებს არც კი ურევდა ლაპარაკში. აღმოჩნდა, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადო- ების“ სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში- სასოებითაც იხსენიებდა თავის დაუეწიყარ მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობას და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცი, სულ „ჩვენმა- მოსემ“ მასწავლაო, მაჰმადიანი ქართველები განსაკუთრებები ვუყვარ- დითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენთვისაო. რომ უფრო ვესიამოვნებოთ, მოგვიყვა აკაკის, ჭალადიდელის, მ. გურიელის ლექსებს. თანაც იმღერა „სამშობლო ხევსურისა“, რომლისაც როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს, ნაღვლიანად დასძინა: უფრო მეტი მეცო- დინებოდა, მაგრამ სულ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო.

შევეყვით ლაპარაკსა. საგნად ჩვენი ლაპარაკისა თავისთავად, ბუნებ- რივად შეიქნა ის კითხვა, რომელიც აქეთ სტუმრად გადმოსულ ქართველ კაცს ყოველთ უწინარეს ებადება, და რომელიც მისგან გამოწველილვასა, ასე თუ ისე გამორკვევასა და პასუხს თხოულობს,—კითხვა ეროვნული- თანამოსაუბრემ, 16—20 წლის ყმაწვილმა, ქართველის გულს, ვულს დაკოდილს, უმაღამა და უსალბუნა...

ქედიდან მოკიდებული მდებარეობა უფრო და უფრო ვაკდება, ბუნე- ბას კი თავისი სიმშვენიერე ბოლომდე რჩება. გზის ორივე მხარეს ტყით შემოსილი კალთები მთებისა ისევ თვალს უხარებს მგზავრსა, მხოლოდ ფიქვი ჰქრება. მის ადგილს იჭერს რცხილა, წიფელი, წაბლი და სხვ. მდებარეობის დეაკებასთან ერთად აჭარის-წყალიც შესამჩნევად მშვიდდება, სახლის სისხო ლოდები ჰქრება მის კალაპოტში. მახუნ- ცეთის ძველ ხიდთან აჭარის-წყალის მარჯნივ ოცი მხარის სიმალიდან შურდულივით ექანება ხავსით დაფარულ და ლიპ კლდეზე ორი ადლის სიგანე ჩაქუხა, ანუ როგორც აქ ეძახიან, ჩხერი. სანამ მიწას მოატანდეს,

აქვე მხატვრული მარხვრული ავადი პალატის დამფუძნებლის ნიშნულს.

მსიძლიერეოიუნიონისადმი: მსიძლიერეო
უნიონისადმი: მსიძლიერეო
-ნიონისადმი: მსიძლიერეო
ნიონისადმი: მსიძლიერეო
ნიონისადმი: მსიძლიერეო
ნიონისადმი: მსიძლიერეო

თვით ეს ხელნაწერი ასე იკითხება:

ანუ	ამას მოგახსენებ ჩვენ ყველამ თქვით ჩუვენი ქება;
ბანუ	ბიძას ჩუვენს უყვარვართ, უკეთესი არ იქნება;
განუ	გური (?) წელს უზმივართ, რომ არ წუვდეთ, არ იქნება;
დონ	დოლო, თლათ უნდა დაუჯდეთ; თლათ ქვეყანა განათლდება.

პერსონი უთვალავ რიცხვად მარგალიტის მსგავს წინწყლებად იზნევა, რომელთაც მზის სხივებზე ფანტასტიური ბრწყინვალე გააქვთ. მთელი გზის მშვენიერება ეს ჩხერი და მგზავრი, რაც უნდა ექპარებოდეს, დიდხანს თვალს ვერ აშორებს, მისი სილამაზით მოხიბლული.

შედარებით დამშვიდებული აქარის-წყალი თევზაობასაც, განსაკუთრებით, სასროლი ბადით, ხელს უწყობს. მთელს აქარაში, რომლის მდინარენი ასე საესენი არიან მეტად გემრიელი თევზით, განსაკუთრებით კალმხით, მხოლოდ აქ, ქედის ქვემოთ, დავინახეთ მებადურნი: ვსარგებლობთ ამ შემთხვევით, რომ მკითხველს გავაცნოთ ორიოდ სიტყვით სხვადასხვა იარაღნი, თევზის საჭერად ხმარებული ქვედა-აქარაში.

ჩვენ თევზის ჭერის მხოლოდ შეიღნიარ ხერხის ცნობები შეგვირბით. შესაძლებელია მეტიც იყოს. ერთი, ყველასაგან ცნობილი ხერხი — ანკესიაჰ. მეორე — სასროლი ბადე, საქართველოში ყველგან გავრცელებული; მესამე — ხოლისი, ანუ გიდელის მსგავსი მოქსოვილი ბადე; ხოლისს თავში საძირკველი ან წყლის ფსკერზე დასაყრდომი კანფისა აქვს, სწორი, ალაბის ან მეტ-ნაკლების სიგრძე, ხოლო დანარჩენი ორი მესამედი ნაწილი მიმაგრებულია ცერის სიმსხო ჯოხზე, რომელიც ბადის პირს რკალის მსგავს სახეს და სულ მუდამ ღია, გაშლილ მდებარეობას აძლევს. ამ რკალისავე შემწვობით ხოლისი მღვრიე წყალში იდგმის, და ფეხით თუ, ჯოხით ცდილობენ ჭთევი შიგ შერეკონ. მეოთხე — მაშხალაა: სკრიანთხილის ნედლ ჯოხებს, მერე ცეცხლზე არბილებენ, რომ უფრო ადვილად დაიტკეცოს (დაიშალოს), ტკეცებს მზეზე ანმობენ და კონებადაჰკრავენ, თევზის ჭერის დროს ამ ტკეცების კონას ცეცხლს უჭიდებენ — ერთს ეს ცეცხლ-მოკიდებული კონა, ანუ როგორც აქ ეძახიან, მაშხალა-უჭირავს ხელში და წყლის ფსკერს უნათებს მეორეს, რომელსაც ხელში სამკაპიან ჩანგალწამოცმული ჯოხი უჭირავს და ღამით დაძინებულ თევზს ეძებს. დაინახავს თუ არა, ჩანგალს ჩაჰკრავს და ზევით ცოცხალ-მკვდარი დაჭრილი თევზი ამოაქვს. მეხუთე საშუალება თევზის ჭერისა არის. ოსარო. მდინარეს ერთ ნაპირიდან ირიბად ქვევით და ნეშოთი გადაკედლავენ, ქვედა თავში წყალს სადენად ვიწრო ადგილს დაუტოვებენ და იქვე მოწნულ გონძლოს (გიდელის მსგავსი კალათი) ჩაუდგამენ. ამავე დროს ზევიდან ჯოხებითა და ქვევით თევზს ქვემოთ ერეკებიან. თუ ერთი ჩავიდა თევზი გონძლოში, მერე იქიდან ამოსვლა აღარ შეუძლია. ორი დანარჩენი უფრო პირველყოფილი საშუალებაა. ზამთრის პირას მდინარის მყუდრო ნაწილში მოზრდილ ქვებს აწყობენ ერთი-მეორეზე და პატარ-პატარა წრეებს აკეთებენ, რომელთაც ერთ მხარეს პატარა შესასვლელს უტოვებენ. ამ ქვის წრეებში წყალი უფრო თბილია და თევზიც ეტანება გამოსაზამთრებლად. როცა დაატყობენ რომ შიგ კაი ძალმა თევზმა მოიყარა თავიო, შედიან და ხოლისის საშუალებით იჭერენ — დასასრულ, წყალს ერთ ადგილიდან გადაუგდებენ, მის ფსკერს ამშრალევენ და მშრალზე დარჩენილ თევზებს ხელით იჭერენ.

თევზი, განსაკუთრებით, კალმახი, როგორც ცივის წყლების მოყვარული სულიერი, ბევრია ზემო-აჭარაში. პატარა ხევებში ამის მეტს სხვა თევზს ვერა ნახავს ადამიანი, და საქმელადაც მეტად გემრიელია. ქვემო-აჭარაში კი, სადაც, ზემო-აჭარასთან შედარებით, უფრო თბილა, კალმახი ნაკლებადაა და სხვა ჯიშის თევზს უთმობს ადგილს. აჭაურ წყლებში, განსაკუთრებით აჭარის-წყალში, სოფ. ქედის ქვემოთ სჭარბობს წვერა, ელვანა, კაფალა და სხვ.

ოცდაათი კილომეტრი კალმით დახატულ ბუნების გზისა იხე გამოვი-არეთ, რომ არც-კი გვიგრძენია დაღლა. მოვედით მდინარე აჭარის-წყლისავე სახელის სოფელში. სოფ. აჭარის-წყლიდან გზა ორად იყოფა: ერთი სამხრეთისკენ ართვინში გადადის, ხოლო მეორე პირდაპირ ბათუმში. აქვე აჭარის-წყალი ბათუმის ოლქის და საზოგადოდ საქართველოს ერთ უდიდეს მდინარეს ქოროხს ერთვის. რამდენად აჩქარებულია აჭარის-წყალი, იმდენად დინჯია მისი შთანთქმელი დედა-მდინარე ქოროხი. პირველი ფირუზის ფერია, მეორე მღვრიეა, მუდამ ტალახიანი, ქვიშა-შეყრილი, როგორც მისს სახელს განმარტავს ჩვენი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი. ამ გზების გასაყართან მდებარეობას ეს სოფელი ძალაუნებურად თავისებურ სადგურად და შესასვენებელ ადგილად გაუხდია. აქ ერთ მხარეს ქვეთკირის შენობა დგას საინჟინერო უწყებისა და მისსავე მახლობლად სამი-ოთხი სამიკიტნო. სამიკიტნოები იმერლების ხელშია და, როგორც გვითხრეს, ბედს არ ემდურიან მათი პატრონები, რადგან ბათუმ-ახალციხის შორის გზის გაყვანის გამო აქეთკენ სულ მუდამ დიდი მოძრაობაა ხალხისა, განსაკუთრებით ზაფხულობით. ერთ-ერთ სამიკიტნოს ფანჯატურში ჩამოვხვით და მუცელი მოვიტყუეთ საქმელ-სასმლითა, რომელთა ღირსების შესახებ უფრო „არას“ თქმა შეიძლებოდა, ვიდრე „ჰოსი“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფასი მაინც მეტად გაზვიადებული ედვა. პროტესტის განცხადებაც მეტად საშიშია, რადგან გალაღებულს მიკიტანს ყველასათვის ერთი და იგივე პასუხი აქვს: „თუ არ გნებავთ, ნუ მიირთმევთო“. მოდი და ნუ „მიირთმევთ“, როცა მის იქით კარი არა გაქვთ... პირველად აქ ვიგრძენით, რომ აჭარულ პირნათლობას ვშორდებოდით... მაგრამ უკეთესი „სიამოვნება“ შემდეგში მოგველოდა...

აჭარის-წყალსა და ბათუმს შუა მდებარე გზა ჯერ-ჯერობით ბათუმ-აბასთუმნის გზატკეცილის საუკეთესო ნაწილად ითვლება. არსად აღმართი, არსად გადასაჩხის კლდე. ამიტომ აჭარის-წყლამდე ბათუმიდან ეტლებითაც ამოდიან. ხოლო მუდმივად მგზავრნი სამს დილიჟანს მიმოჰყავს. ეს დილიჟენები ჩვენებურების ხელშია. სხვათა შორის, ერთ რიგ დილიჟენებისას ამუშავენს ბათუმელი შეძლებული მაჰმადიანი ქართველი ალი-ალა, რომელსაც გამართული აქვს ოთხი დილიჟანი, 8 ეტლი, 16 ჯაგვი და სხვ. ჩვენი ქარავანი, 5 სულისაგან შემდგარი, ალი-ალას მედილიჟენს გაურიგდა ბათუმში ჩაყვანას კაცის თავზე შვიდ შაურად.

ჩვენი მედილიჟენ ხონელი გამოდგა. ნამდვილი ტიპიური მედილიჟენე იყო, რომელსაც ჩვენს პროვინციებში შეხვდებით. ტანთ გაქონილი ახალუხი ეცვა, დახეული ყაბალახი თავზე შემოეხვია; დასიებული სახე, დაღურჯებული ცხვირი, ჩახლეჩილი ხმა—ყოველივე აშკარად მოწმობდა, რომ მათი პატრონი პილატეს ცრემლებს მეტად უბოდიშოდ ეპყრობოდა. ფაგლახად, იმ დღეს სადღაც ნივრით გამომძღარიყო და მასთან მეზობლობამ სული ამოგვართვა. რამდენად თვითონ იყო ქონმოკიდებული, იმდენად გაძვალტყავებულნი და ნამარხულენი იყვნენ მისი ცხენები. დილიჯანს, რომელშიც ექვსი სული-ლა ვისხედით, ორი ცხენი მშვენიერ გზა-ტკეცილზე ძლივას მიათრედა, და მედილიჟენე წამდაუწუმ უჯავრდებოდა. სრული სამი საათი მოვანდომეთ. ამას ზედ დაურთეთ მედილიჟენის უბოდიშობაც მგზავრებთან. როცა შევნიშნეთ, ასეთ დახოცილ ცხენებს რაღად უბამ, ვეღარ იძვრიან-მეთქი, არც აიღო, არც დაიღო: „თუ არ მოგწონთ, გადაბრძანდითო“. და ასეთი ნუგეშის სიტყვები შუა გზაზე გვითხრა!..

გავიარეთ სოფ. კიბე საზღვარი ქვემო-აჭარისა და გონიოს ნაწილებისა. გზის პირად ფარდალალა ფაცხაში ორი თავით ფეხებამდე შეიარაღებული ზაფთიები ანუ ჩაფრები იდგა.

სოფ. ერგესთ ან, გზის ნახევარ მანძილზე, მედილიჟენე ცხენებს ასვენებს. იქვე შეხვდებით სოფელ ბავშვებს, რომელთაც მგზავრებისათვის გამოაქვთ პატარა კალანჩხებით ლელი, „ადესის“ ყურძნის აკიდობი და სხვ. ხილი. აქედან მოყოლებული გზა მდ. ჭოროხს შორიახლო მისდევს. თვით ჭოროხი მეტად მძიმედ მოდის. მის ნაპირებზე ხედავთ დატვირთულ ნაგებს, რომელთაც ოთხი-ხუთი კაცი მსხვილი თოკებით აღმა მიათრევენ ოფლის წურვით. მენავეები თითქმის ყველანი გონიელი ქართველი-მაჰმადიანები არიან და მენავეობა შეადგენს მათი ცხოვრების სახსარს. ბათუმიდან ართვინამდე ზემოაღნიშნული საშუალებით ააქვთ თითო ნავით ას ფუთამდე ტვირთი და თითო ფუთზე ხუთ-ექვს შაურს იღებენ. ართვინამდე ასვლას, 90 კილომეტრის მანძილს, ოთხ დღეს ანდომებენ. ხოლო ართვინიდან ქვევით წყლის მიმდინარეობას მოჰყავს ერთი-ორად დატვირთული ნავი და მენავეებისაგან თითქმის არც-კი თხოულობს ნავით წამოყვანა შრომას, ამ მანძილსაც სულ ოთხს საათს ანდომებენ.

მივუახლოვდით სოფ. კაპანდილსაც, სადაც გზის პირას რამდენიმე ბერძნის დუქანია და მათ შორის მეგრელს; გვარად ქანტურიასაც, გაუბედნია გაესნა სამიკიტრო და ბერძნებს შესჯიბრებოდა. კაპანდიდან ჰორიზონტი სულ ფართოვდება. იქიდან გამოჩნდა ფირუზი შავი ზღვა და თან გადიშალა კახაბერის დაცემული და ნაყოფიერი ჭალა, დაფარული კაცის სიმაღლე და ღონიერი ღეროებიანი სიმინდით. აქედანვე სამხრეთის მხარეს მოჩანდა მარადის თოვლიანი მწვერვალი კარჩხალისა, სამხრეთი საქართველოს ბუმბერაზი დარაჯისა და უმაღლესი მთისა

(შავი ზღვის პირიდან 3,429 მეტრია), რომელსაც მგოსანმა მამია გური-
ელმა საუცხოვო სტრიქონები უძღვნა.

ბათუმამდე ორი კილომეტრი გვიკლია. გზის მარცხნივ ვაკეზე გაშე-
ნებულია სოფელი აფხაზებისა, რომელნიც ბათუმის გენერალ-გუბერნა-
ტორის კომაროვის დროს გადმოსახლებულან აქ აფხაზეთიდან. სულ
ძამოცდათ კომლამდე იქნებიან. დაგვენანდა, რომ უფრო დაახლოებით
ვერ შევიძელით მათი ყოფა-მდგომარეობის გაცნობა, ამიტომ ბოდიშს
ვიხდით მკითხველთან, რომ უნდა ვაკმაროთ მწირი ცნობები მათ შესახებ.
სახლები რიგზე აქვთ ჩამწკრივებული, უმეტესობა ფაცხებია, მაგრამ შიგა-
დაშიგ ქვეთკირის სახლებსაც შეხვდებით. ალბათ იმ მოსაზრებით, რომ
ეს თავისუფალი ბუნების შვილნი ხელის ახლო ჰყოლოდათ და ადვილად
ედევნებინათ თვალ-ყური მათთვის, ბათუმს ახლო, მართალია, ნაყოფიერ,
მაგრამ ციებიან ადგილზე დაუსახლებიათ. ეს სენი თურმე მუსრს ავლებს
აფხაზეთის მთის შვილებს. ციების გარდა მათი მტერი გამხდარა მდ.
ქოროხი. ისე არ აღიდგება ეს მდინარე, რომ გლტების ჭირნახული არ
დააწიოკოს. 1895 წლის წყალდიდობას თითქმის სულ ერთიანად წაუღეკია
აქაურობა. სწავლა- განათლება მათთვის ჯერ ისევ მიუწვდომელია. ზოგი-
ერთს ქართული ენაც უსწავლია და ბათუმში „წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელ საზოგადოების“ სკოლაში შვილებსაც აბარებენ.

ბოლოს, აჰა, გამოჩნდა მთელი ტყე ნავთსადგურში მდგარ გემების
დირეკებისა, ქარხნების კვამლი, მტვერი. მოისმა ქალაქის რახა-რუხი.
შევდივართ ბათუმში, რომელსაც ბ.ნი ნ. ნიკოლაძე აგვიწერს ასე: „ბათუ-
მის ქალაქი ასიოდენ სახლს და ქოხს ჰქვია. ზოგი მათგანი დაბწნილი
და შეტკეილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია. ორიოდენ შენობა ქვეთკირი-
საც მოიძებნება და ქვეთკირი, მგონი, უფრო იმიტომაა აშენებული,
რომ ქარი, სიცივე და სიცხე შეუშვან, ვინმე კაცს თავი შეაფარვინონ“
(„სხვათა შორის“, — „კრებული“ 1873 წ., № IV, გვ. 31).

ასეთი იყო ბათუმი ამ 25 წლის წინათ, როცა ისევ თურქების ხელში
იმყოფებოდა. დღეს კი იმავე ქალაქში, რომელსაც მივარდნილი სოფლის
სახელი უფრო შეჰფეროდა, და რომელშიაც 4,970 სული მცხოვრები
ირიცხებოდა, ითვლება 30,000 სული; „შეტკეილ ფაცხების“ ალაგას
წამოზიდულია ორ-სამ სართულიანი სახლები, გაყვანილია მშვენიერი
მოკირწყლული ქუჩები, ვაჭრობა გაჩაღებულია, მთელ მსოფლიოსთან
მიმოსვლაა გამართული, ვახსნილია საქალებო და სავაეო გიმნაზიები
და სხვა დაბალი სასწავლებლები, საკრედიტო დაწესებულებანი, ქარხ-
ნები. თვალს გიტკობთ ტროპიკულ მცენარეებით შემკული ბაღები.

ოჩამჩირე—კარი სამურზაყანოსი. მისი წარსული და აწმყო.—სიძინდით ვაქრობა.—ოჩამჩირის ბზა.—ოჩამჩირის სკოლა.—ჭურღობა და მთავრობის ღონისძიება მის მონასპობად.

სოხუმიდან დაბა ოჩამჩირემდე გემი სამი საათი უნდებდა გზას. ეს ხანი ისე გაივლის ხოლმე, რომ კალმით დახატული სანაპირო ადგილებით ცქერაში მგზავრი ველარცკი გაიგებს, მეტადრე, თუ კარგი გემია და ამინდიც ხელს უწყობს მის ნირმეუცვლელ სრიალსა ზღვის გაშალაშინებულ ხედაპირზე.

საქართველოს დაბა-ქალაქებში შავი ზღვის პირას ბათუმის, ფოთისა და სოხუმის შემდეგ მეოთხე ადგილი ოჩამჩირეს უჭირავს მცხოვრებთა რიცხვით, შენობებითა და თვისი სავაჭრო მნიშვნელობით.

ერთ დროს სამურზაყანოს კარად და სავაჭრო ცენტრად ოჩამჩირე ითვლებოდა. ეს მნიშვნელობა დღესაც შერჩენია ამ დაბას, იმ განსხვავებით, რომ წინანდელ ანოხოლებულ ხის დუქნებს ქვეითკირის „მაღაზიებიც“ ამოუდგეს გვერდით, ხალხი მოემატა, ვაქრობამ მეტი ფართო მოედანი მოიპოვა, აქედან გატანილი საქონელი თურქეთსაც გასცილდა, სხვა ქალაქებთან მიგვლა-მოსვლა გახშირდა და გაადვილდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას შედარებით ვამბობთ. სახეში გვაქვს ოჩამჩირე ამ ოცდაათი წლის წინანდელი და ოჩამჩირე—დღევანდელი, ის ოჩამჩირე, რომელსაც თითქმის ყველა აქაურები მოსწრებიან და თავისი თვალთ უნახეთ.

ოჩამჩირე გაშენებულია ზღვის პირის გასწვრივ, სივრცეზე; განი $\frac{1}{2}$ კილომეტრი თუ ექნება. ამ ოცდაათი წლის წინათ აქ ვაჭრები-და იყენინორპირად ჩარიგებული იყო ხის დუქნები, სამეგრელოს სხვა დაბების გეგმაზე.

მაგრამ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი (1877-1879) ომის შემდეგ სურათი საგრძნობლად გამოიცვალა. დუქნების გარშემო რაც დაბის საკუთრება ჭიწები იყო, 350 ოთხკუთხ საყენიან ნაწილებად დაიყო და გაიყიდა. მეპატრონეთ შინ სახლები ჩაიდგეს, და მოქალაქობრივ ცხოვრებას საძირკველი ჩაეყარა. თქვენს თვალს ახარებს ახლა აქა-იქ კოხტად წამოღმული სამ-ოთხ თვალნიანი სახლები მაღალ საძირკველზე, ეზოში

ჩაყრილი ვაზები და ხეხილები. მხოლოდ დროსა და ხელისშემწყობ გარემოებას უცდის ოჩამჩირე, რომ უფრო გაიზარდოს, უფრო განზე გაიწიოს. მცხოვრებთა რიცხვი გარკვეულად და გასაზრდელად.

მცხოვრებნი ორივე სქესისა ოჩამჩირეში დღეს 608 სული ითვლება. ამათში 26 კომლი ლაზია, 3—ბერძენი, 1—სომეხი და 1-იც პოლონელი. დანარჩენი მეგრელები არიან. სალაპარაკო ენა მეგრულია, თუმცა ქართულიც ყველამ იცის. მეგრელებში (მეტადრე ვაჭრებში) ბევრია ბერძნული და თურქული ენების ზედმიწევნით მცოდნენი. თითო-ოროლამ ბერძნული წერა-კითხვაც იციან, საყველ-პურო თურქული თითქმის ყველამ იცის.

ვაჭრობაში პირველი ადგილი მეგრელებს უჭირავთ. შესანიშნავი საფართო დუქნები აქვთ. ერთი მეგრელი ვაჭართაგანი ყოველწლივ 40 ათასის აღებ-მიცემობას უძღვება, რაც ოჩამჩირის მსგავს პატარა დაბისათვის დიდ სიმდიდრედ ითვლება. დანარჩენები ხუთ-ექვს ათასიან თანხას ატრიალებენ. ცნობილი მოვაჭრენი სიმინდითა—მეგრელებივე არიან.

მეწაღობა, მეუნაგრეობა, ოქრომქედლობა და სხვა ხელობა მეგრელთა ხელშია. მთელ დაბაში: 3 მეწაღეა, 7 მკერვალი, 5 ოქრომქედელი, 5 მქედელი, 3 ქვაბების მკალავი და 1-იც ზეინკალი. 107 ვაჭარში 71 მეგრელია, ხოლო დანარჩენი 36 სხვა ეროვნებისანი არიან.

აქაურ ვაჭრობას სულს უდგამს და, საზოგადოდ, მთელ ოჩამჩირეს ცოცხალი ადამიანის ფერს აძლევს სიმინდი. ამ 40-ისა და 50 წლის წინათ აქედან სიმინდი გაჰქონდათ თურქეთში, და დღესაც სამურზაყანო-ელნი ამ ჰირანხელის მეტს სხვა საზრდოს ვერას აძლევენ ვაჭრობას. სიმინდილა აქაური აღებ-მიცემობის თვალსაჩინო საგანი, სიმინდით-ღაიბრუნებენ აქაური მკვიდრი სულსა. წინათ, როდესაც ამერიკა არ გვექიშებოდა, აქაურები ერთი თვალსაჩინო დამაკმაყოფილებელთაგანნი იყვნენ თურქეთის ბაზრისა ამ საქონლით. და დღეს-კი იმდენი კონკურენტი გამოუჩნდა ამ მხრივ სამურზაყანოსა, რომ, ლამის არის, ხელი ააღებინონ სიმინდის თესვაზე. წლეულ, ჩვენებურ სიმინდზე მოთხოვნილებისა და აქედან გამოწვეულ ფასების დაცემისა გამო, ოჩამჩირიდან მკათათვის გასულამდე 50.000 ფუთი სიმინდი რის ვაჭირებით გაიტანეს; წინა წლებში კი ამ დრომდე 1 და 2 მილიონი ფუთი სიმინდი იყო ხოლმე გატანილი. ამ ზაფხულს ოჩამჩირეში ოქტუმიდან ჩამოტანილი სიმინდი ფუთი ხუთ შაურად გაყიდულა, იმ დროს, როცა თვითონ მიწის მუშას ფუთი სიმინდის შემუშავება შეიდ შაურ ნაკლებ არ დაუჯდება. აქაური მიწის მუშანი ამ გარემოებამ ძალიან უნდა დააფიქროს, იმაზე მეტი რაც აქამდე უფიქრიათ უკიდურეს ვაჭირებისა და საერთო უბედურობის დროსა, თორემ შორს არ არის ეამი განსაცდელისა!

სიმინდი გააქვთ აქედან უმეტეს წილად თურქეთში. მცირედი ნაწილი საფრანგეთში (მარსელში) მიდის. სიმინდის წამლებნი ლაზები არიან—

წავების ნაპირად გამოტანის დროს ამ უკანასკნელთ მეგრულ ლაპარაკს ყური მოვკარი, გამოვეხმაურე. ვკითხე სადაურობა, წინაპრების ვინაობა, გვარი და სახელი. ასე გვიპაზუხეს:

ჩენი წინაპრები სამურზაყანოდან არიან წასულნი ლაზისტანშიო. ახლაც გვყავს აქეთკენ შორეული ნათესავებიო. მართლაც ზოგს გვარები უცვლელად შერჩენიათ. მათ შორის ხშირად შეხედებით ასეთ გვარებსა: მორლანია, ნარაკია, მარშანია, და სხვ. მხოლოდ სახელები ოსმალური აქვთ. მეგრულად ლაპარაკობენ, მაგრამ ისე დამახინჯებულად, რომ თუ ყური არ შეაჩვიე მათ ლაპარაკს, გაგება გაგიჭირდებათ. საშინლად ბევრს ურევენ თურქულ სიტყვებს. მენავეობა მათთვის ცხოვრების სახსარს შეადგენს. ოსმალეთის ქალაქებში წასვლა, იჭიდან სამშობლოში დაბრუნება და სამშობლოდან ისევ ოჩამჩირეში მოსვლა და სიმინდის ყიდვა, —ამაში გადის მათი სიცოცხლე, ათას თავგადასავლიანი, საშიშო. მაგრამ ამ საშიშროებით და ტანჯვა-წვალებით სავსე ცხოვრებას ისე შეჩვევიან პატარაობითვე, ისე შეუსისხლხორცებიან, რომ მუდამ ეამ შიშში ყოფნა ლაზთათვის მეორე ბუნებად გადაქცეულა. ამათ ვერ წარმოუდგენიათ, თუ ზღვის გარეშე რამე სიამოვნება არის, ვერ წარმოუდგენიათ მიწის მუშის მყუდრო ცხოვრება, ვერ წარმოუდგენიათ თავისთავი უნაყოფი. ნავია მათი აღმზრდელი აკვანი, ნავი არწევს მთელი თავისი დღენი და ერთ დღეს თავის საყვარელ ნავთან ეხუტება ლაზი ზღვის ფსკერსა. ქართველებს ჯერხანად მარტო ლაზები-ლა გვყავს მენავენი. ამასთან მენავენი თამამნი, შეჩვეულნი პატარობითვე ზღვას გამწყურალ-განრისხებულსა და ზღვას დამშვიდებულსაცა.

სიმინდის გარდა აქედან გააქვთ ბზა. თვითონ თურქული სახელი ოჩამჩირის (ჩამჩირ—ბზა; ოჩამჩირე—საბზე ადგილი) მოწმობს, რომ ოჩამჩირეს მიდამოში წინათ დიდძალი ბზა იდგა. დღეს კი ამ ძვირფას ხეს ოჩამჩირეს მიდამოებში კაცი ვერ შეხვდება. რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი ომის შემდეგ დიდძალი მუშტარი მოაწვა ბზას, დავისაც კარგი, მამაპაბათგან ხელუხლებლად დარჩენილი ტყე ჰქონდა, ჩალის ფასად ჩაუყარეს უცხოელებს. დღეს ბზის ტყეს ცოტათი თავი შეუნახავს სახაზინო მამულებში (ტყვარჩელის აგარა—700 დესიატინა და ოქუმის აგარა—700 დესიატინა) და ოქუმის საზოგადოების ტყეში.

ეს უკანასკნელი წლები ოჩამჩირიდან თითქმის არ გაჰქონდათ. წლებიანდელმა ზამთარმა და დიდმა თოვლმა დიდი ზიანი მისცა სახაზინო ბზის ტყეს. ბევრი ბზა დაამტვრია. სახელმწიფო ქონებათა უწყებამაც გაფუჭებული ბზა გაჰყიდა. ამ წარსულ მარიამობისთვეში წაიღო ერთმა ფრანგების გემმა 7,000 ფუთი ბზა. წლეულ კიდეც უნდა გავიდეს იმავე ბზის 50 ათასი ფუთი. სახარბიელო ფასებშიაც არ გაყიდულა ბზა: ფუთი მანეთად და თერთმეტ შაურად წავიდა.

გარშემო მდებარე სოფლებიდან სოფლის ნაწარმოები და კერძოდ მანოვავე ოჩამჩირეში გასასყიდად ძალიან ნაკლებად შემოაქვთ. ათასში

ერთხელ თუ დაინახავთ სოფლიდან შემოტანილ სულგუნს და ისიც, რატომ უნდა, იხად არ იყიდება. გირვანქა ადგილობრივი ყველისა თითქმის აბაზად ჰქვასობს. მთელი ზაფხული რომ ოჩამჩირეში დარჩეთ, ადგილობრივად მოწეული ხილით პირს ვერ გაისველებთ. წარმოიდგინეთ, ლაზებს მოაქვთ აქ გასასყიდად მსხალი, ვაშლი და სხვ. ლაზებივე ჰყიდიან აქ აქარიდან მოტანილ ერბოსა. აქაური მეხილე თურქები უფრო ბათუმიდან ეზიდებიან ხილსა. ეს იმას უნდა ჰგავდეს, რომ „ანაკლიაში“ (სამეგრელოშია, სადაც აუარებელ თევზს იჭერენ) ერთ კაცს შემწვარი თევზი მიჰქონდაო“. მაგრამ ასე კია-და!

სოფლიდან ნაკლებად შემოტანილი სანოვავის მიზეზი თუა, რომ აქაური სამიკიტროში ასე მამა-სისხლად იყიდება საქმელ-სასმელი. მერე ისიც რა: მოუხარშავი ფქვილის ღომი, ხუთი წლის ტარანი ანუ მისი დაი—ფარგა, „ბოკის“ ყველი, „ადვისის“ ღვინო. აი, აქაური სამიკიტრო რით უმასპინძლდება მის ანაბარა დარჩენილ ადამიანს.

ოჩამჩირე ვაკეზეა გაშენებული. გარშემოც ქაობები არტყია. ეს გარემოება აქაურ ჰავას ციებ-ცხელებიანსა ჰხდის. ციება აქ იცის ზაფხულობით, მაგრამ ეს უკანასკნელი ხანი რაც შიგ ოჩამჩირეში თხრილები გასჭრეს და ზოგან ქაობები გაშრა, ციებამაც იკლო. წლეულ, მაგალითად, სხვა წლებთან შედარებით, ნაკლებად იყო ციება. ზაფხულობით ყოველდღე ჰქრის ზღვიდან გრილი ქარი, რომელსაც „ზღვაურს“ ეძახიან. ეს ქარი სიცხეს ძალას უკარგავს.

„რუსთა საზოგადოების“ საფოსტო გემები აქ ზაფხულობით კვირაში ექვსჯერ შემოდის—სამჯერ რუსეთიდან მომავალი და სამჯერაც—ბათუმიდან. ფოსტის მოსვლის დროს ოჩამჩირის ნირშეუცვლელი ცხოვრება ფერს იცვლის ხოლმე. ამოძრავდება.

რა თქმა უნდა, დიდ წარმატებაში შევა ოჩამჩირე, თუ მალე გამართლდა ხმები აქეთკენ რკინიგზის გაყვანის შესახებ: იმასაც ამბობენ, ოჩამჩირეზე ექვსი კილომეტრის სიშორეზე კაცი არაფრად ჩააგდებს, თუ კოროლისმე ეღირსა აქაურებს ასეთი ბედნიერება.

ოჩამჩირეს აქვს შემდეგი სახელმწიფო დაწესებულებანი: კოდორის ნაწილის უფროსის კანცელარია, სასამართლო, ფოსტა-ტელეგრაფი და საბავაო. გარდა ამათი, არსებობს აფთიაქი, ჰყავს თავისი ექიმი და ფერშალი.

თვალსაჩინო ნაკლს აქაურ ცხოვრებისას შეადგენს ერთი, თუნდა მცირედი წიგნსაცავის უქონლობა. ახალმოსულმა ადამიანმა ორი ან სამი საათის შემდეგ არ იცის, რა ჰქნას, ისე მოეწყინება აქ ყოფნა. წამლად ერთი გაზეთის შოვნა არ შეიძლებოდა. მართალია, აქაურ ყავახანაში მისდით ბათუმის რუსული გაზეთი „შავი ზღვის უწყება“, მაგრამ ისე არ შეგიძლიანთ წაიკითხოთ ეს, უეცრავად პასუხია, გაზეთი, რომ ბრახისაგან თავი შეიკავოთ. ნომერი ისე არ გამოვა ამ გაზეთისა, რომ რაიმე უშვერი თრევა-ლანძღვა და უგვანო ჭორიკანული ცილისწამება არ იყოს საქართველოს შესახებ.

ოჩამჩირელები ზრუნვას შეუდგნენ კიდეცა ამ ნაკლის ასაცილებლად. გამართეს ხელის მოწერა, თხუთმეტიოდე თუმანს თავი მოუყარეს და, ის იყო, საქმეს უნდა შედგომოდნენ, რომ ჰაი არა, ხელის შემშლელი გამოტყვერა ამ საშვილიშვილო საქმისა. ოჩამჩირელთ უნდოდათ, რომ მომავალ წიგნსაცავში რუსულ წიგნებთან ერთად ქართული წიგნებიც ყოფილიყო, რადგან უმეტესი მოთხოვნილება აქ ამ უკანასკნელებზედაა. ცნობილმა ბორ. ხორავამ აქაც გაურია თავისი ხელი. არავინ იცის რა ნაქანებთი, და ნებართვა გამოიტანა ისეთი წიგნსაცავის გახსნისა, სადაც ერთი ქართული წიგნი არ უნდა ყოფილიყო. ამ მოგროვილ ფულსაც, ცოტას გაწყდა, თავისი აზრის აღსასრულებლად არ დეჰპატრონა. ოჩამჩირელებმა მაშინათვე განზე დაიხიეს.

ამგვარად, ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია. ხოლო ოჩამჩირელნი უწიგნოდა რჩებიან, ვინ იცის, როდემდე! მერე ისეთ დროს, როცა ყველგან წიგნსაცავები იხსნება, ხალხი განათლებაში დგამს ფეხსა, თვალს ახელს, ჭკუას იკრეფს... როცა, წიგნების შემწეობით, ყველა ცდილობს მოყვარე მტრისაგან გაარჩიოს, კარგი—ავისაგან; როცა ცდილობენ, თავის მრავალფეროვან გაჭირვებას მალამო რამე დასდონ, წელმოწყვეტილი სიცოცხლე გაიამონ; გაიუმჯობესონ.

სამართლიანად თავი მოაქვს აქაურებს თავიანთი სკოლითა. მშვენიერი ექვს-თვლიანი ქეთიკირის შენობა სკოლისა, ოჩამჩირის გამოჩინებულ ადგილასა დგას, და შორ მანძილიდან პირველად ეს სკოლა ხედება კაცს თვალში. მაგრამ რომ იტყვიან „გარედან მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდან—მოყვარესა“, სწორედ ამ სკოლაზე ითქმის, როგორც მკითხველი ქვევით დაინახავს.

აშენებულია ეს სკოლა 1885 წელს ოჩამჩირელების ხარჯითა. სულ დაუჯდათ მისი აშენება აქაურებს 9,000 მანეთი.

მას აქეთ სკოლის შენახვა აქაურებს ყოველწლივ უჯდებათ 2,200 მანეთი, სახელდობრ: ორს, საგნების მასწავლებელს—900 მან., მებღღეს (სკოლას სამეურნეო განყოფილება აქვს)—480 მან., 150 მ.—საღმრთო სჯულის მასწავლებელს, 200 მან.—ქალთა განყოფილების მასწავლებელ ქალს, 100 მანეთი წიგნსაცავისათვის არის გადადებული და დანარჩენ 370 მანეთსაც სხვა წვრილმან საჭიროებას (მოსამსახურე, გათბობა და განათება და სხვ.) ანდომებენ.

კურსი ამ სკოლისა გრძელდება 3 წელიწადი, თუმცა 2 კლასიან ნორმალურ სასწავლებლად ითვლება. საგნებს მარტო რუსულს ჭინაზე ასწავლიან. შიგა სწავლობენ მეგრელები და აქა-იქ აფხაზი ბავშვები.

მაგრამ ამოცანად რჩება ის გარემოება, თუ რას ასწავლიან ამ სამი წლის განმავლობაში. წლეულ აქ კურსდამთავრებულ ოთხ ბავშვთაგან ერთი სოხუმის სამთო სკოლაში მისაბარებლად მოიყვანეს: რის ვაივა-გლახით მესამე განყოფილების ეგზამენი დაიჭირა იმ სასწავლებელში, რომლის სამ განყოფილებას ოჩამჩირის სკოლის სამი განყოფილება

თავისი პროგრამით თუ არ აღემატება, არ ჩამოუვარდება. სოხუმის ამავე სამთო სკოლაში ოჩამჩირის სკოლაში კურსდამთავრებულთან ერთად ვეზამენს იქერდნენ სოხუმის სამრევლო სკოლაში (სამი წლის კურსია) კურსდამთავრებული 3 შეგირდი და სამივე ჩინებულად მომზადებულნი გამოდგნენ 1 კლასში შესასვლელად.

სანუგეშოა განა, რომ ისეთმა ყმაწვილმა, რომლის აღზრდა ოჩამჩირელთ 520 მანეთი დაუჯდათ და რომელიც 3 წელიწად ღროსა ჰკარგავს, სოხუმის სამთო სკოლა რა არის, იმის 1 კლასის ვეზამენიც ვერ დაიჭიროს!.. საგულისხმოა ეს ფაქტი, და „ვისაც ყურნი ახგნენ სმენად, ისინონ“.

ზევითა ვთქვით, რომ ოჩამჩირელნი აქაური სკოლის წიგნსაცავისათვის ყოველწლივ ათ თუმანს იხდიანო. არც ეგ არის მცირედი ფული. ქება და დიდება ოჩამჩირელთ, რომ ამის გაღებასაც ახერხებენ! გარნა ის, რასაც თვითონ იკლებენ, ის წვითა და დაგვით მონაგარი ფული აღწევს თავის დანიშნულებას? აბა ვნახოთ ესეცა.

ამ სკოლის წიგნსაცავის მთელი „ავლადიდება კატას აეკიდება“. მარტო ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა არსებობს, ღარიბი, ისიც ნახევარზე მეტი „ცირკულიარებითაა“ სავსე. საბავშვო საკითხავი წიგნები სრულიად არ არის. ჯერ არავის უნახავს, რომ ოჩამჩირის სკოლის შეგირდს სახელმძღვანელოს გარდა სხვა რამე საკითხავი წიგნი სქეროდეს ხელში, სკოლიდან გამოტანილი.

რა თქმა უნდა, ოჩამჩირელს ვერავენ დაუშლის თავისთავს მაინცა ჰკითხოს: მისი ღარიბ ჯობიდან ამოღებული ფული სკოლის წიგნსაცავს როგორა და რამდენად ხმარდება?... იმის ნება კი, მგონი, აქვს, ამ კათხეაზე პასუხი მიიღოს.

ოჩამჩირელთა და ოჩამჩირის სკოლის ზედამხედველს შორის კარგა ხანია ატეხილია უსიამოვნება ამ სკოლის ბედიღბლის ასე უკუღმართად წასვლის გამო. გამოძიებაც არის დანიშნული. რა თქმა უნდა, ოჩამჩირელთ თუ კი 9.000 მანეთის ერთხანად დახარჯვა შეეძლოთ სკოლისათვის და იმავე საგნისათვის ყოველწლივ 2.200 მანეთის გაღება არ ემძიმებათ, არც ის უნდა გაუჭირდეთ, რომ თავიანთ ერთადერთ სკოლას გონივრულად გაუძღვნენ და ეცადონ მოსპონ მიზეზი მისი წარმატების ხელის შემშლელი.

ერთნაირი საშუალება შემოღებული აქეთევენ, ვითომდა მოსასპობად ქურდობისა: როცა ვინმეს ცხენს ან სხვა ოთხფეხ საქონელს მოჰპარავენ, მთელი სოფელი, სადაც საქონელი დაიკარგა, ვალდებულია, დანაკარგი უშლოს პატრონსა. მეგრელების ერთმა სოფელმა აძვიბუჟამ, რომლის მეზობლად რუსები სახლობენ, 3 წლის განმავლობაში ამნაირი ფული 15.000 მანეთი გადაიხადა. კომლზე ყოველ წლივ უწევს 5 მანეთი.

ამგვარი გადასახადი იხადეს ერთ წელიწადს, იხადეს ორს, სამს, ოთხს, იხადეს ჯერ წელიწადში მანეთი, მეორე წელიწადს—2 მანეთი,

მესამეს—3 და აგრე დაუსრულებლივ, სანამ ფილა მოთმინებისა პირთამდე არ მოიყარა, სანამ სოფელენი წელში არ გასწყდნენ და როგორც ერთი მანეთის, ისე ერთი გროშის გადახდაზედაც უარი არ განაცხადეს: გავტყავდით, სულს იქით არა გვაბადია. რა და ბარემ ეს წამებულ სულიც ამოგვხადეთო.

რა თქმა უნდა, რაკი საქმემ ამ ზომამდე მიაღწია და გლეხი ნებით არას იძლეოდა, საქირო შეიქნა ცოტა ენერგიული ზომები: დაწიოკება, მათრახებით აქრელება ზურგისა და ბევრი სხვა... ხალხი დრტვინავს. ხოლო ისინი, ვინც უნდა მოუსმინოს გაკირვება და ჩივილი, მებალის ყურებს ისხამს.

მართლა-და, უსამართლობა როგორ არ არის, სხვისი დანაშაულისათვის პასუხი მე გამაცემინო, მე, რომელსაც ამ დანაშაულში წილი არა-ვითარი მიღევს?!

რაკი ერთხელ შემოღებულა წესი დანაკარგის სასოფლოდ გარდახდევენებისა, აქაური გამგენი არხენად არიან. ერთ სოფლიდან თუნდ ყველა ცხენი და შინაური საქონელი წაასხან ქურდებმა, „ახავაიო“ არავენ იტყვის: სოფელი გადიხდისო... გლეხის ჯიბე ყველას შიოს მარნად მიაჩნია და ყველა შიგ აფათურებს ხელებსა. დაბალ ლობედ წელში-ოთხად მოხრილი გლეხი გაუხდიათ და ბრალიანი და უბრალო მიჰსევია და ზედა ჰლამის გადასვლასა.

არავენა ცდილობს სოფლის მტერი და დუშმანი-ქურდი ალაგმოს. ეს უკანასკნელიც რა კი ჰხედავს, არავენ გვედენისო, თავისი მოქმედება დააკანონა, სითამამე მოიკრიბა, შიშის ნატამალი არა აქვს. თორემ, რა ბრძანებაა, ქურდებს რომ ვისიმე ეშინოდეთ და რიდი ჰქონდეთ, როგორ მოხდება ისა, რომ ოჩამჩირის ბლალოჩინს, ივანე კერესელიძეს, დღისით-შისით, ყველას თვალწინ ცხრა კლიტულიდან გამოუყვანეს ცხენი ქურდებმა? შიგ ოჩამჩირეში, მთელი ადმინისტრაციის თვალწინ... მიყრუებულ სოფელში, სადაც ძალი პატრონს ვერა სცნობს, რალა უნდა ხდებოდეს?!..

II

სოხუმ-ზუგდიდის გზატკეცილი.—თ. დ. გლოცინის გავლა ამ გზაზე,—
სამურზაყანოელთა და ცალკე ქოროელთა საჩივარი.—ოქუმი საენი.—ჭირნახულსკუთღუპირი უჩანს.—ოჩამჩირელი ტაიჭი.—ოქუმი.—ოქუმის ქართული წიგნსაცავი.

ოჩამჩირეში ზაფხულობით ქირით ცხენის შოგნა ძალიან ძნელია. რაც რამ ცხენებია, სულ მთავია გაგზავნილი გასასუქებლად. თუ არის დარჩენილი, ჯერ ერთი, გაძვალტყავებულ არსებას წარმოადგენს, რომელზე შეჯდომა საცოდაობაა და მეორედ, შედარებით, ძვირადაც აქირავენ. ოქუმამდე (ოცდაათხი კილომეტრია) მანეთი და ათი შაური გამოგვართვის. გვერდები სათითაოდ დაითვლებოდა ჩემი ცხენისა, ზურგი აღღე-

ტოდა, ყურები ჩამოეყარა. შემეშინდა, გზაზე არ შემომაკვდეს და საზღვევი არ გამიხდეს-მეთქი. როგორც იყო, გული გავიმაგრე და მე და ჩემი თანამგზავრი დავადექით ეგრეთ წოდებულ სოხუმ-ზუგდიდის გზატკეცილს. საინტერესოა ამ გზის ისტორია და მკითხველის ყურადღებას ცოტა ხანს მასზე შევაჩერებ.

ამ გზას პირველხარისხოვან მნიშვნელობას მთავრობა დიდი ხანია აძლევდა. და იმავე თავითვე სურდა სოხუმის ოლქი და ზუგდიდის მაზრა ხერიანი გზით შეეერთებინა. განსაკუთრებით სახეში ჰქონდათ სტრატეგიული მნიშვნელობა მომავალი გზისა.

მაგრამ—ეგ სურვილი—სურვილად დარჩა, განზრახვას საქმედ ქცევა, განხორციელება ვერ ედრისა, ისე მოუხწრო რუსეთ-თურქეთის ომმა (1877—1879). უგზოობის გამო, მტერთან საბრძოლველად განმზადებული ჯარების გადასვლა-გადმოსვლას ათასი ხიფათი და გაჭირვება სდევდა თან და ხელი ეტრებოდა. დიდი ზარალი ნახა მთავრობამ მაშინ მარტო იმ მიზეზით, რომ ეს ორი ადმინისტრაციული ცენტრი—სოხუმის ოლქი და ზუგდიდის მაზრა, ერთმანეთს მოწყვეტილი იყო, შემეერთებელი და შემაკავშირებელი არაფერი ჰქონდა.

ომის გრიგალმა გადაიარა... მწარე გამოცდილებამ ყველას გაუთვალისწინა აუცილებელი საჭიროება ზემოხსენებული სოხუმ-ზუგდიდის გზის გაყვანისა.

1885 წელს, სოხუმის ოლქის უფროსად პოლკოვნიკ ვედენსკის ყოფნის დროს, სამურხაყანოელთაგან კომლზე 2 მანეთი მოჰმოქეს,—გზა უნდა გაეკეთათო. ანაირად თავი მოუყარეს 14.000 მანეთს. მაგრამ გზა მაინც არ გაკეთდა და მკვიდრთ ძველებურად ტყავი სძვრებოდათ უგზოობითა. ეს კია, რომ მას აქეთ მთელი 10 წელიწადი გეოგრაფიულ რუკაზე იხსენიება სოხუმ-ზუგდიდის გზატკეცილი, იმ დროს, როცა მასზე აღნიშნული ადგილი წარმოადგენდა გაუვალს, უღრანს ტყესა და საფლობებს.

1885 წელს აღძრული საკითხი სოხუმ-ზუგდიდის გზის გაყვანის შესახებ 1892 წლამდე თითქოს ყველას დაავიწყდა. 1892 წელს კი კვლავ აღიძრა ლაბარაკი ამ საგანზე. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ საუკეთესოდ სცნო—მკვიდრთა ხარჯით გაყვანილიყო. სოხუმიდან მდ. კოდორამდე (20 კილომეტრის მანძილი) უკვე არსებობდა გზა. რჩებოდა გასაკეთებელი მდ. კოდორიდან ოჩამჩირემდე და აქედან ზუგდიდამდე, სულ 68 კილომეტრის მანძილზე.

მკვიდრთ ჯერ ერთხმად უარი განაცხადეს—ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ ამ გზის გაკეთებაშიო, ორი ადმინისტრაციული პუნქტი უჩვენოდაც უნდა იყოს შეერთებულიო. ღარიბები რომ არ ვიყვნეთ, ჩვენს წვლილს ჩვენც მოგაწვდიდითო. ამ აზრის თავგამოდებული მომხრე იყო ხაბუგ ანჩაბაძე, სოფ. ქილოუს მცხოვრები. სხვა ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, ის დააბრალეს, რომ ქურდებსა და ავკაცებს ჰმეგობრობსო,

მათთან საქმეს იჭერსო. ეს უნდა გაეხადათ მიზეზად მისი გადასახლებისა ადმინისტრაციული წესით. დიახ, შეეცადნენ ჩირქი მოეცხოთ იმ კაცის სახელისა და ცხოვრებისათვის, რომელიც მთელ აფხაზეთ-სამურზაყანოში განთქმულია თვისი უმწიკვლო ცხოვრებით. მაგრამ ამითაც ფონს ვერ გავიდნენ.

მოგეხსენებთ, ძალა აღმართსა ხნავსო! ბოლოს მაინც გააღებინეს შვედრთ ფულს. კოდორის საბოქაულომ 31,000 მანეთი გადაიხადა, ხოლო სამურზაყანოელთ კიდევ გადაახდებინეს კომლზე 9 მანეთი, ანუ წინათ გადახდილ 14,000 მანეთითურთ, სულ 68,000 მან. ესე იგი თითოეულ კომლს სამურზაყანოელს შეეკმნა გაღებული 11 მანეთი. სამურზაყანოელ განიორწყლებულ გლეხთათვის 11 მანეთის გაღება ადვილი არ იყო. ესენი თხოულობდნენ—რამდენიც გნებავდეთ, გვაძუშავეთ, მხოლოდ ფულად ნურას გამოგვართმევთო.

სოფ. ჯუდაეას დღესაც ვალად აწევს ამ გზის გასაკეთებელი 700 მანეთი. ადმინისტრაცია ძალას ატანს, გინდა თუ არა, მოგვეციო. ერთი ქრისტეს ტირილია მთელ სოფელში... მით უფრო უჭირთ სოფელელთ ფულის გადახდა, რომ წლეულ სიმინდის ფასიც დაეცა. ხოლო აქაურმა გლეხმა თუ სიმინდი არ გაჰყიდა, ისე ფულს ვერსაიდან იშოვნის. უკანასკნელ შემთხვევაში მის ერთადერთ მარჩინალ საქონელს—კამეზს უყიდიან.

1895 წლის შემოდგომაზე გზის შესამოწმებლად დანიშნულმა კომისიამ ნამუშევარი შეამოწმა, მოიწონა და შარაგზა დამთავრებულად აღიარა.

საინტერესოა, რას წარმოადგენს ეს „შემოწმებული და მოწონებული“ გზა დღეს, ის „შოსე“, რომელსაც იმდენი მწარე ცრემლი და ოფლი დაედევნთა სამურზაყანოელთა?

1895 წლის შემოდგომაზედვე, გზის შემოწმების შემდეგ, ერთ თვესაც არ გაუგლია, მდ. ღალიძგაზე გადებულ ხიდს წყალმა იქით-აქეთ ნაპირები გამოურეცხა. ხიდი შუაში დარჩა: არც ცასა სწვდება და არც დედამიწასა, აღარც მოყვარეს უწევს სამსახურსა და აღარც მტერსა. ხალხი იძულებულია, ძველებურად, ფონზე გავიდნენ ამ ადგილას. ხოლო წყალდიდობის დროს, ძველებურადვე ოჩამჩირე და სამურზაყანო და მასთან ზუგდიდის მახრა ერთმანეთს მოწყვეტილი რჩებიან.

მდ. ღალიძგის ხიდი ოჩამჩირეზე $\frac{1}{2}$ კილომეტრის მანძილზეა. აქედან მოყოლებული, ხრეში თითქმის არსად არის მოყრილი. მხოლოდ გზის იქით-აქეთ თხრილებია გაყვანილი, დღეს ისიც ქმით ამოცხებულია. თვითონ გზაზე წითელი მიწა დაყრილი. წვიმის დროს ურემს გავლა არ შეუძლია. მთელი ზამთარი, თიბათვის გასვლამდე, ამ გზით ოჩამჩირეში ურმით ერთი ქილა (ფუთი) სიმინდი არ შემოუტანიათ. რის წვალებით, ცხენით თუ შეიძლება გავლა, ისიც ყოველთვის არა. ეს იყო მიზეზი, რომ წლეულ ოჩამჩირიდან მოტანილ საქონელში წამოღების

ქირას, ქილაზე ოქუმელი ვაკრები 23 კმ. მანძილზე აბაზს აძლევდნენ ცხენების პატრონთ.

ხილები გზაზე არის, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ადამიანი ზედ გაიაროს. გზიდან ხილზე გადასვლა არ შეიძლება, რადგან ხილსა და გზას შუა ადგილი მიწით არ ამოუესიათ. ასე რომ ისევ წყალში უნდა ვახვიდე და ხილი კი განზე დასტოვო.

ერთი უცნაური გარემოება: ოჩამჩირედან შოკოლეტული მთელ გზას ისე გაივლით, რომ, გარდა ილორისა, ერთ სოფელს ვერ შეხვდებით. განგებისად დავთვალეთ და ილორიდან მოკიდებული 15 კილომეტრის მანძილზე მხოლოდ 4 მოსახლე კაცი ვნახე ამ გზის პირას!.. ასე რომ გზა გაკეთდა სოფელთა ხარჯით და სოფელთათვის კი თითქმის მიუწვდომელია; იმას თავი დავანებოთ, თუ რა ღირსებისაა ეს გზა, ამდენ ტანჯვად დამჯდარი.

ამ ზაფხულს სახელმწიფო საბჭოს წევრმა, თავადმა გოლიციინმა გამოიარა ზუგდიდიდან ზემოხსენებულ გზაზე. მდ. ენგურიდან მოკიდებული ყველგან ხვდებოდნენ სამურზაყანოს სხვადასხვა სოფლები და ყველგან თხოვნა მიართვის: ამდენი ფული გადაგვხდა და გზა კი მოკლებულია ყოველ იმ ღირსებას, რაც ნამდვილ გზას უნდა ჰქონდესო. სხვათა შორის, ამ შინაარსის თხოვნით დაუხვდნენ ილორელებიცა. 9 მანეთის გადახდამ გაგვატყუაო და უგზოობამ უარესი დაგვმართაო.

— მერე ვინ გამოგართვით 9 მანეთი?—ჰკითხა თავადმა ილორელებს.

— გვიბრძანეს: ნებით რომ არ მივეციოთ, ძალით წაგვართვისო.—უპასუხეს ილორელებმა.

— ჰკუთა წაგივიათ, რომ მიგიციათო. — უბრძანა თავადმა, გამოეთხოვა და დანარჩენი გზის თვალთვრებას შეუდგა.

ილორელთ, „სოფელნი და მდინარის“ არ იყოს, იმედი ჰქონდათ:

„ჩვენს შეწუხებას წყაროსგან რა იგი ესრედ შეისმენს,
„მათა შეტუქსავს, წაართმევს და მოგვემხ დანაკარგსა ჩვენს“-ო.

ის კი არა, ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ მართლა სატანჯველად ყოფილან გაჩენილნი და მათი პატრონი და გულშემატკივარი ქვეყანასა ზედა არავენ არისო.

„მცირედს ხანს, გაოცებულნი მწარედ სოფელნი უმზერდნენი
„მერე შეხედეს ერთმანეთს და თავ-დაკიდვით დაბრუნდნენ“..

და ამით ინუგეშეს თავი:

„იქ სამართალი ვით ჰპოვოს საწყალმან, ანუ უძღურმან
„სადაცა...“

ოჩამჩირიდან მე-17 კილომეტრზე ოქუმის გზა მარცხნივ გადუხვევს: კილომეტრნახევარი გზა ტყეზეა გასავლელი, საცა გზის იქეთ-აქეთ აქა-იქ ოთხი-სუთი ოთხკუთხი საყენი ტალახია ჩარჩენილი, — თვით მკათათვის მწვავე მზე არ აშრობს ამ ტალახსა. შიგ დიდი განცხრომით ჰგორაობენ სქელ-ტყავიანი კამეჩები და ისეთ სპეციფიკურ სუნს აყენებენ გარშემო,

რომ თუ ცხვირი არ დაიცვა ადამიანმა, დაჰბნედავს. ამ ტალახს მეგრულად სპეციალური სახელი ჰქვია—„ოლონტყეში“, ესე იგი კამეჩისგინა ღორის საგორავებელი ტალახი.

მერე იწყება მთელი ნ-ოთხკუთხი კილომეტრი ნაყოფიერი ქალები, მდ-ოხოჯესა და ოქუმ-წყლის გარშემო მდებარე. მთელ ექვს კილომეტრ გზას ისე გაივლით, იქით-აქით სიმიანდის ერთიანი ყანების მეტს ვერას დაინახავთ. აქა მალაღ ხეებზე გაშვებულია ვაზები, ცოტა მოშორებით ვეება-კაკლის ხეები ფართოდა ჰფენს თავის ჩრდილს ქვეშ შეფარებულ სიმიანდსა. ოქუმ-წყალი გამალეებული მირბის, მიჰხუვის, მიაგორებს უშველებელ ქებებსა, საშინელ მიდრეკილებას იჩენს დაუდგრომლობისადმი. დღეს რომ აქა აქვს კალაპოტი, ხვალ მთელ ნახევარ კილომეტრზე მოშორდება ამ ადგილს. მიაქვს ყანები, ჰგლეჯს ძირიანად ას-წლოვან ხეებსა, ბობოქრობს.

მოსავალს ძალიან ცუდი პირი უჩანს. ჯერ იყო და წვიმები თიბათვის ნახევრამდე არ შეწყვეტილა. ქვეყანა დაღბა ამდენი წყლისაგან. სიმიანდის თესვა ნაგვიანევი შეიქმნა. სიმიანდმა ძლივს თავი წამოყო, ცამ კრიკა შეიკრა—არ აღირსა დედა-მიწას არცა წვიმა, არცა ნამი. თვით აქაურმა ნაყოფიერმა ადგილმა ვერ გაუძლო ამდენ გვაღვასა. სიმიანდს ზრდა არ დასცალდა, ჩვეულებრივზე ადრე ტაროების გაკეთება იწყო-წვიმა არც მაშინ ელირსა. ტაროების ნასახი ნასახადვე შერჩა ზედ, მარცვალი ვერ გაიკეთა, ფოთლები შეახმა ღეროს. ამდენმა შრომამ, ამდენმა ოფლის წურვამ თითქმის მუქთად ჩაუარა აქაურ მიწის მუშას. მერე ისიც როდის? როცა შარშან მოწეული სიმიანი ფუთი ხუთ და ექვს შაურად ჩაუყარა ვაჭრებს, ასე რომ ყოველ ქილაზე თვითონა ნახა ზარალი სამი შაური.

ჩვენმა ტაიქმა 23 კ-მეტრის მანძილი სრული 8 საათი გვატარა, არც მეტი და არც ნაკლები. მე, რა თქმა უნდა, იმას არ ვახსენებ, რომ მათრახის ცემისაგან მარჯვენა მკლავში ისე მოვსწყდი, რომ მთელი სამი დღე ამ „ნასიამოვნო“ მოგზაურობის შემდეგ ხელში ვერაფერს ვიღებდი. ყველაზე დიდი სამსახური ჩვენმა ტაიქმა ოქუმთან გაგვიწია. ერთი კილომეტრი მანძილი დავერჩინოდა გასაეღელი. კოკისპირული წვიმა დაუშვა. საზაფხულოდ გამოწყობილი მხედარი არ დაინდო წვიმამ, ხოლო მისი ტაიჭი, თითქოს დაავიწყდაო ყოველივე ზრდილობა, გაჩერდა ერთ აღაგას. ყვირილი, ცემა ფეხით, ცემა მათრახით, ლანძღვა—ყოველივე ამია შეიქნა, ნაბიჯს არ მოუმატა. კიდევ იღბალი, ღამემ გვისწრო და ოქუმში ჩვენი სტუმართმოყვარე დიასახლისის მეტს გარეშე ცნობის-მოყვარე თვალს არ შეეძლო ენახა მართლა-და შესაბრალისი მდგომ-

რეობა ჩვენი ტულეტისა. სამი საათის შემდეგ, როცა სავსე სუფრას ვუსხედით, მაშინ-ღა დავაფასე ბედნიერება იმ ადამიანისა, რომელიც: ოჩამჩირეში ნაჭირავებ ცხენით ამ სიშორეზე არ მიდის, როგორც მე ვავიარე, რომელსაც ისეთ ცხენზე ჯდომის დროს კოკისპირული წვიმა არ მოასწრებს და პერანგი მშრალი შერჩება და დაცივისა არ ეშინია, და რომელიც პირამდე სავსე სუფრას უზის და მდიანად შეექცევა თბილ ღომსა, ახალს, დაბრაწულ ქათამსა, საწებელსა და სხვას, თბილს ოთახში, ტკბილ მეგობართან ტკბილ ბაასში გართული.

მეორე დღეს, წინა დღის კოკისპირული წვიმის შემდეგ, ცხრათვალა მზემ თავისი სხივები მოჰფინა დაბა ოქუმს, და მეც გამომიტყუა მის დასათვალეებლად.

ოქუმი სამურზაყანოს ცენტრად ითვლება. სულ პაწაწკუნაა. ორპირად ჩარიგებული აქვს ორმოცამდე ხის დუქანი, სადაც მეგრული ვაჭრები სხედან და ვაჭრობის დაცემას ჩივიან. აქაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ამ დუქნებში გამოკიდულია ზიზია მივიები, შაურიანი „ციცხოცები“ (თავიჩითები), საეჭვო ღირსების ტარანი, ორაბაზიანი „ბუწკანტი“ (გარმონი) და ბევრი სხვა. სამაგიეროდ აქაური გაკეთებული შათარახები და უნაგირები ნაქებია.

ოქუმში აქვს რეზიდენცია სამურზაყანოს ნაწილის უფროსს. „ქრისტიანობის გამაგრებლებ“ საზოგადოებას გახსნილი აქვს ორკლასიანი სკოლა, რომლის შენობა წარსულ ზამთარს დიდ თოვლს ჩაუმტვრევია, და ახალ სახლს აკეთებენ.

ყველაზე სასიამოვნო და სანუგეშო მოვლენა ოქუმის, ცოტა არ იყოს, მდორე ცხოვრებაში—აქაური წიგნსაცავია, ოქუმის შუაგულ, გამოჩინებულ ადგილას წარმოღმული. შენობა წიგნსაცავისა ხისაა, პაწია, ერთ-თვლიანი, სამი ადლი სიგრძე აქვს და ამდენივე განი. გაშენებულია აქაური მკვიდრის ივანე გეგიას საფასითა. დამჯდარა სულ თოთხმეტი თუმანი. წიგნსაცავი აკურთხეს წარსულ თიბათვეში. მის კურთხევაზე ბლომად თურმე დაესწრნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, აგრეთვე ყოფილენი.

სულ ერთი წელიწადი თუ არის, რაც იმ წიგნსაცავის დაარსების შესახებ აღიძრა ლაპარაკი „ივერიაში“. ვინც კი გაიგო, დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს ყველამ წიგნსაცავის დაარსების მოთავეს ბ. ივ. გეგიას; შეძლებისა-და კვალად, ზნეობრივი და მატერიალური დახმარება გაუწია ყველამ საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან. ფრიად სასიამოვნოა ის ერთობლივი შეგნება ამ დიადი საქმის მნიშვნელობისა და ის სიყვარული, რომლებიც წიგნსაცავის დამაარსებლის სახელზე გამოგზავნილ წერილებში ეტყობათ ამ უკანასკნელთა აქსონებს. ერთი-

მათგანი უგზავნის ხუთ მანეთს, თავის ღარიბ და ხელ მოკლე ნაცნობებში ხუთ-ხუთ შაურობით მოგროვილსა, და თანაც სწერს: „ამას წინეთ „ივერიის“ ფურცლებზე ამოვიკითხეთ თქვენი წერილი, რომელიც ღირსია თანაგრძნობისა ყველა იმ ქართველისაგან, რომელსაც ოდნავაცა შესტკივა გული ჩვენი ბეჩავი ერის წარმატებისათვის“... წერილის ბოლოს ის აზრია გატარებული, რომ ჩვენს ერს განათლების სხივი უნდა მოგვფინოთ, ვინ იცის, შემდეგში „ცხოვრების გაზაფხული დაგვიდგესო“ და სხვ. მერე ამასა სწერს, როგორც ეტყობა, კაცი რომელსაც სკოლის გარეშე უსწავლია წერა-კითხვა და ქართულ წიგნებზე აღზრდილა და განვითარებულია.

მეორე ადგილიდან ოქუშის წიგნსაცავს უგზავნიან 322 სხვადასხვა ქართულ წიგნს და წიგნთსაცავის გამგეს სწერენ: „...თქვენ კარგად გესმით, თუ რა იარაღია ეხლანდელ დროში კაცის ხელში წიგნი. მაშ, მიაწოდეთ იგი ყველას! გაუშკლავდით მოღალატეებს, ვინაიდან ჩვენ, თუ ერთმანეთის გატანა და ერთი პირი გვექნება, მტერი ვერას დაგვაკლებს. მიმართეთ კერძო წერილებით ჩვენს „წიგნების გამომცემელ ამხანაგობათ“, შეაწუხეთ ყველა, აუხსენით საპირობება საგნისა, ეს ის ხანია, როდესაც დიდი მეცადინეობა გვკვირია, თორემ თუ, ჩვეულებისამებრ, ქართულად, ძილს თავი არ ვანებთ, სამუდამოდ დავიღუპებით. თქვენგან დაწყებული საქმე დიდი საქმეა და დარწმუნებული იყავით, რომ თქვენც გექნებათ წილი დიდებული ტაძრის აშენებაში“...

მესამე კიდევ აი რასა სწერს: „ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო, შეუვალს უკუნეთში განათლების სხივი მოგეფინოს. მაგრამ, როგორც ვხედავ, მანდაური კაცის გული და ყინული ერთი უნდა იყოს. მანდ ერთი და ორი კაცი კი არა, ასი კაცი უნდა იყოს, რომ მანდაურის გაყინულ გულში ნამდვილი სითბო შეიტანოს. იცოცხლე და ღმერთმა მოგცეს სიმზნევე და მოთმინება, რომ თქვენს ცდას უნაყოფოდ არ ჩაეგლოს.“

წიგნთსაცავის თაროებს ამშვენებს მშვენივრად დაკაზმული თხზულებანი ჩვენი სახელოვანი მწერლებისა: ალ. ყაზბეგისა, აკაკისა, ილ. ჯავახიძისა, რაფ. ერისთავისა და სხვ. მერე მოსდევს წვრილი წიგნები, რიცხვით 500-მდე. ამ წიგნებში ურევია მთელი ბიბლიოთეკა თვითონ დამარსებელისა, 200 წიგნზე მეტი. ამ უკანასკნელ დროს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამაც“ გამოუგზავნა წიგნთსაცავს სამი თუმანის მეტი წიგნები.

ქართულის გარდა წიგნთსაცავს აქვს რუსული განყოფილებაც. შიგნახავთ დოსტოევსკის, ლერმონტოვისა და სხვათა თხზულებებს.

წიგნის კითხვისათვის მსურველთ არაფერი ერთმევათ. მხოლოდ ვისაც უნდა, შემოსწირავს. ერთად-ერთი წყარო შემოსავლისა—წევრებია. წიგნსაცავს ჰყავს 17 წევრი, რომელნიც წიგნსაცავის სასარგებლოდ წელიწადში 48 მანეთს იხდიან. სხვა წყარო შემოსავლისა ოქუშის წიგნსაცავს ჯერ-ჯერობით არა აქვს.

მე რომ ვნახე, სულ ერთი თვის გახსნილი იყო წიგნსაცავი. უმეტესობამ ჯერ კარგადაც არ იცის, რა არის წიგნსაცავი, ან რა დანიშნულება აქვს. ჯერ მარტო ვაჭრები ჰყავთ წიგნსაცავს მუშტრებად, სულ 10 კაცს მიაქვს წიგნები შინ საკითხავად და ორიოდ სოფლის მასწავლებელიც სარგებლობენ აქაური წიგნთსაცავის წიგნებითა.

საკვირველია, სხვაგან ყველაზე მეტი მუშტარი კაზმულსიტყვაობას ჰყავს და აქ კი უფრო ისტორიულ ნაწერებს ეტანებიან. აღტაცებაში მოდიან, როცა კითხულობენ ი. გოგებაშვილის „თავდადებულ ქართველებს“ რომელშიაც ნაცნობი გმირი „ცოტნე დადიანი“ ყველას თვალწინ უდგა-კაზმევს გემოს ცოტ-ცოტათი იღებენ. ყველაზე მეტად ეტანებიან „ჩანგ-სა“ და „ქალ-ვაჟიანს“.

ოქუმის წიგნსაცავი, იმედია თანდათან, რაც ხანი გაივლის, მკვიდრ ნიადაგზე დადგება, წიგნებს შეიძენს და მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნება მისი არსებობა. მაშინ, უეჭველია, მისგან მოტანილი სარგებლობაც თვალსაჩინო იქნება. ამიტომ ყველა ჩვენგანის მოვალეობაა, ხელი-მოუმართოთ ამ ახალ ფეხადგმულ საქმესა, ფრთა გავაშლევინოთ. სულმნათის, შოთა რუსთველის საგულისხმო სიტყვები: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა—დაკარგულია“ მარად უნდა გვახსოვდეს. მით უფრო გვმართებს ყველას ხელის გამოღება, რომ სამურზაყანო განაპირა ადგილია საქართველოსი, მოშორებულია ცენტრს, მოკლებულია ნასწავლებს და გულშემატკივრებს. ერთი და ორი კაცი, სხვა არ იყოს, ბრალია, ამოდენა მხარეში. გულითაც რომ უნდოდეთ, თუ სხვა არ ეხმარება, თუ სხვა არ უდგა მხარეში, იმდენს ვერას გააკეთებთ, რამდენსაც გააკეთებდა სხვა დროს, სხვა გარემოებაში. არამც თუ არსებულ წიგნსაცავებს უნდა მივეშველნეთ, არამედ, საცა არ არის გახსნილი, ვეცადნეთ გავხსნათ.

ჯერ ხანად მთელი ჩვენნი ყურადღება აქეთკენ წიგნსაცავებს უნდა მივაქციოთ, ამიტომ რომ ქართული სკოლები არა გვაქვს ამ მხარეში, სკოლებიც ცოტაა, და სადაც კი არის შიგ ქართულის ხსენება არ არის. მარტო წიგნები თუ არ დაგვაფიწყებს ჩვენს ენას, ჩვენს თავს, ჩვენს წარსულსა; მარტო წიგნების შემწეობით თუ დაეფიწყებთ ზრუნვას ჩვენი აწმყო და მომავლის კეთილ-მდგომარეობისათვის.

III

გარეგნობა სამურზაყანოს სოფლისა.—კარ-შიდამო სამურზაყანოელისა.
—შინაური საქონელი აქაურთა.—უსკოლო სოფელი.—ეკლესიები.—თავისებური სასაფლაოები.—გზები.

თავისებურია სამურზაყანოს სოფელი. ძირეული განსხვავებაა აქაურსა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფელს შორის. იმ დროს, როცა ქართლის, ერთმანეთზე მიყრილ სახლებს სულ მეოთხედი საათის განმავლობაში შემოუფლის კაცი, აქ, სამურზაყანოში, მთელი ორი საათია საქპრო.

რომ სოფლის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გაატანოთ. უჩვევი კაცი, თუ აქ ჩავარდა, ვედარც კი იფიქრებს, თუ სოფელშია. წინ ტყეა, უკან კიდე ტყე. ორივე მხარესაც იგივე ტყე გარტყიათ.

აქა-იქ, ოაზისებივით, ტყე გაკაფულია და სიმიინდის ყანაში ყავრული სახურავი მოსჩანს სამურხაყანოელის სახლისა. იშვიათად ნახავთ ორ-სამ სახლს, რომ ერთმანეთისაგან ღობე ჰყოფდეს. უმეტესობა მათგანი კილომეტრსა და მეტსაც ჰშორავს ერთი-მეორესა. ცხრა მთას იქით, და რომელსამე სახლს ცეცხლი რომ გაუჩნდეს, სანამ მეზობელი მოეშველე-ბოდეს, აქაური მოსახლე ძირიან-ბუღიანად გადიბუგება და ჰერი არ დარჩება თავშესაფარებელი. ახლა წარმოიდგინეთ ოთხას-ხუთასი კომლი, ხუთი ოთხკუთხი კილომეტრის სივრცე ადგილზე დაბინავებული, და ეს იქნება აქაური სოფელი...

თითოეულ მოსახლეს უფრო ხშირად თხემლის წყნელის ღობით და, თუ შეძლებული თავადიშვილია, მუხის მესერიოთ შემოკავებული აქვს 3—4 დღიური მიწა. შუაში უდგას წაბლის, წიფლის ან თხემლის ფიცრისაგან გაკეთებული ორ-სამ თვალიანი ოდა; იმას მოდგმული აქვს სამზარეულო, ცოტა მოშორებით ფიცრული ხულაა, ხულას გვერდით სასიმიინდე დგას, რომელსაც ქვეშ ფიცრის კედლები აქვს, საქონლის დასაბმელად მომართული.

ამ შენობებს ერთი დღიური მიწა, თუ არ მეტი. უჭირავს. სახლის წინ ეზო ჭიშკარამდე თავისუფლად არის გაშვებული, ქორთვა ბალახს ხშირად ზედ დაჰყურებს ასწლოვანი კაკლის ხე. და მისი განზე გასული ტოტების ხშირ ჩრდილს თავს აფარებენ სიცხეში აქაური მამა სახლისა და მისი სტუმრები. ზოგან, კაკლის ხის გარდა, ნახავთ რომელსამე ხე-ხილს. სხვა ხეებში თხმელა სკარბობს აქაურების ეზოში. ყველას სათითაოდ მირგული აქვს ვაზი. იქ, სადაც ხეები იშვიათია, ეზოში შუაგულ ალაგას ნახავთ ტოტებიან სარს, მიწაში ჩარქობილს. ამ სარის დანიშნულება ის არის, რომ ზედ მიაბამენ ხოლმე სტუმრის ცხენებსა, დანარჩენ ადგილზე სიმიინდის ყანა ბიბინებს.

სასახლედ შემოდობილ ადგილს გარეშე, გარდა მდ. ოქუმწყალისა და ოხოჯეს პირას მდებარე ნაყოფიერი ჭალებისა, ბევრია აქ შეუმუშავებლად გაშვებული მიწა. უმეტესობა ამ მიწებისა დაფარულია ან ნარეკალათი და სხვა გამოუსადეგარი ბუჩქებითა, ან არა და გვიმრათი, რომელიც აქ, ნოყიერ ნიადაგის წყალობით, საოცარი სიმაღლისა იზრდება. ზოგან მხარ-ნახევარი სიმაღლე აქვს აქაურ გვიმრას. შიგ თავისუფლად დამალვა შეუძლია როგორც ადამიანს, ისე საქონელს.

საბალახო ადგილები აქ ცოტაა. და სადაც კია, საქონელი ზამთარ-ზაფხულ ზედ ასევეა. ბალახს ამოზუსსებასაც კი არ აცლის აქაური ოთხფეხი,—მაშინვე ძირიანადა ჰგლეჯავს მიწიდან. გარეთ, თავისუფალ ადგილზე, ბალახს რომ ვერ შოულობს საქონელი, ღობეებსა სტეხავს და ყანას ეტანება. ხოლო აქაური ღობე არც ისე მკვიდრია, რომ შიმშილი-

საგან გაალმასებული საქონელი დაიჭიროს და გლეხის ნაოფლარი არ მოაძვინოს. კიდევ ამიტომ არის აქეთკენ ასე ხშირი სიმინდობის ღროს გლეხებს შორის დავა და ჩხუბი. ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად აქაურნი საქონელს უღელს დაადგამენ ხოლმე კისერზე. ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ უღლიანი ხარი, ძროხა, ღორი, და წარმოიდგინეთ, ძალიც კი! ძაღლებიც კი აფუჭებენ სიმინდის ყანებსა. სასაცილო სანახავია ასეთი ძაღლი, რომელიც ერთი მხარის სიგრძე მსხვილ ჯოხსა მიათრევს და იმის სიმძიმისაგან კისერი საცოდავად მოღრეცია...

საკვირველია, სხვა არა იყოს-რა, რომ ასეთ მდიდარს ბუნებაში საქონელს საკვები აკლდეს! კიდევ ამიტომაც, რომ აქაური საქონელი ასეთი დაკნინებული ჯიშისაა, რომ აქაური ძროხა ასე ცოტა რძეს იძლევა, რომ აქაურ ღანღალა-გადაღეულ მუშა-საქონელს ძალა ვერ შესწევს ხანგრძლივი მუშაობა აიტანოს, მძიმე ტვირთს მოერიოს სხვაგნებურ დარჩეულის ჯიშის და უკეთესად მოვლილ საქონელივით.

სკოლას აქაურ სოფელში იშვიათად შეხვდებით. მთელ სამურზაყანოში სულ ათგან თუ არის სამრევლო სკოლა, რომლებიც, უღლეურივით, ძლივს მიათრევენ თავის გაჯახირებულს არსებობას.

ეკლესიები აქ უმეტესად ქვითკირისაა. თეთრად გასპეტაკებული კედლები აგურის ეკლესიებისა დიდ მანძილზე მოსჩანს. წინ ეკლესიას უდგას ასწლოვანი ცაცხვები, რომლის ძირს ნაწირვებს სოფელნი თავს აყრიან და თავის კირ-ვარამზე ბჭობენ. არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ ერთ გარემოებას, ეკლესიის გალავანში საფლავის ბეჭობები ძალიან ცოტაა. ჰკვიროვით, ნუ თუ ასე ცოტანი იმარხებიან აქ მკვდრებიო! მაგრამ რომ გასცდებით ეკლესიასა, გზის იქით-აქეთ, გამოჩინებულ ადგილას ტყე გაკაფულია, ოთხ-კუთხად რიკულია შემოვლებული რამდენსამე ალაგას და იქავ ლამაზად აღმოცენებულია ფართო ფოთლიანი ჭადრები ან სურნელოვან ყვავილიანი ცაცხვები.

ეს აქაურების მიცვალებულთა განსასვენებელი ადგილებია. ასეთი სასაფლაოები მთელი გზის გაყოლებაზედაა. ყოველ სასაფლაოზე ორი-სამი მიცვალებული ასაფლავია—თითოეული ოჯახის წევრები. აქაურები თავისი მიცვალებულების ეკლესიაში დასაფლავებას იმდენად არ ეტანებიან. ურჩევნიათ, მათი მკვდრების ძელები მათი სახლის ახლო ესვენოს, რომ ხშირად შეეძლოთ დახედვა და „ქირისუფლობა“, რომ არ დაავიწყდეთ...

გზები აქაური? მარტო სამურზაყანოელის საიდუმლოს შეადგენს, თუ როგორ უნდა იაროს აქაურს, ეგრეთ წოდებულ გზებზე ადამიანმა და თავისავე მსგავს ადამიანთან კავშირი და მისვლა-მოსვლა იქონიოს. არც ერთ გზას არც ერთ ალაგას არ ეტყობა ადამიანის ხელი. ხამი კაცის ცნობისმოყვარეობას დიდძალ მისალას აძლევს ეს გზა. შენს თავს ეკითხები: ურმით სიარულს აქაური გლეხი როგორ ახერხებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცა პირს მოიხსნის და ქვეყანას, სადაც ეს გლეხი ცხოვრობს, ერთ გაუვალ ლაფად აქცევს ხოლმე. შენს თავსვე ეკითხები: როგორ-

ლა ახერხებს აქაური გლეხი ცხოვრებას იქ, სადაც მთელი ნახევარი წელიწადი ალაფებულ სოფლებში მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია და სადაც სხვა უმაგისო შიმშილით მოჰკვდებოდა?! ამ კითხვის ახსნა სამურ-ზაყანოელის იმ თვისებაში უნდა ვეძებოთ, რომელიც მარტო იმისთვის არის ნიშანდობლივი და რომელიც მას მის მსგავს ადამიანში ასე მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არჩევს. ეს თვისება გახლავთ: შეფარდება თვისი ცხოვრების მოთხოვნილებისა ადგილობრივ პირობებთან და ამ მოთხოვნილებში ჩამოყვანა მინიმუმამდე...

ცხადია, აქაურ კაცს უგზობაა წელში წყვეტს, მის ეკონომიურ ყოფას მიწასთან ასწორებს. იმას ნუ ბრძანებთ, აქაურ გლეხს არ ესმოდეს, რომ კარგი გზა ერთბაშად წამოაყენებს ფეხზე მის ნივთიერ დავრდომილებასა. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, ჯერ ერთი, წელი არ მოსდევს იმისთვის იზრუნოს, მეორე, თაოსნობასაც მოკლებულია. სიღარიბეც არაფერია, ოღონდ შეინძრნენ ისინი, ვისაც მათს საკეთილდღეოდ ზრუნვა აქვს მინდობილი,—მთელი სოფელი ჯარასავით დატრიალდება. ხოლო სანამ თავის პატრონისაგან აქაური მეურნე რასმე ხეირს ეღირსებოდეს, მის, ამ ყველფრის ამტან ზურგს, კიდევ ცხრა-პირი ტყავი ასძვრება...

IV

„სამურზაყანოელი გლეხი შინ“.—ჩემი მასპინძელი გუდა.—აქაური გლეხის მოსახლეობა.—ფაცხის მორთულობა: გარდერობი, ბუფეტი, სახლის ავეჯი.—საზრდო გუდასი.—როდის არის გუდა ბედნიერი?—სულიერი მოთხოვნილება გუდასი.—მისი დარდი, მისი ეკონომიური იდეალი.—როდის შეეცვლება სახე გუდას პირველყოფილ ბრძოლასა ცხოვრებასთან?—ერთი ღამე გუდასთან.—ძველი ჩვეულება.—გამოთხოვება.

სალამო უამდებოდა. მე და ჩემი მეგობარი ერთ ზემოაღწერილი სოფლის ბოლოს გავედით. იძულებული ვიყავ მოგზაურობა შემეწყვიტა და აქაური გლეხის სახლში შემეხედნა და პირისპირ შემხედროდა „სამურ-ზაყანოელი გლეხი შინ“.

საცალფებო ბილიკი უფრო ვიწროვდებოდა და უვალი ხდებოდა. ცხენები მარქავად მოგვდევდნენ უკან. გზის იქით-აქეთ ტყეა. ადამიანის ხმა არ ისმის. აქა-იქ მოსხლეტილ გორაკებზე სიმინდის ყანები მოწმობდა, რომ ადამიანი ახლოს უნდა ყოფილიყო. გარშემო გამეფებულ მყუდროებას ჩვენი ცხენების ნალები-ლა არღვევდა და შინისაკენ მომავალი საქონლის ბლავილი. მოულოდნელად წინ შემოგვეფეთა თორმეტცამეტი წლის ბალლი, დაღეული, ფეხშიშველა, სახე-გაცრეცილი. ადგილობრივ მოქსოვილი შალისაგან შეკერილ ღართის ნაწილები ბაიარალივით დაჰფრიალებდა მის გამბდარს სხეულს. ჩვენს დანახვაზე შეკრთა-უშეკვლია, სერთუკოსნებს აქ არ მოელოდა. დაველაპარაკეთ, მაგრამ ის

კიდევ გარინდებული იდგა; ვერ გამოერკვა. ბოლოს, ძლივას მოგვეცა პასუხი. ჩვენი მომავალი მასპინძლის შვილი გამოდგა. რომ გაიგო ჩვენი განზრახვა, „ახლავე ბაბას (მამას) შევატყობინებო“, შურდულივით აიჭრა აღმართში და მალე თვალთაგან მიგვეფარა.

ერთი უკანასკნელად გადავტანეთ ძალა ჩვენს დაზანებულ და აღმართში სიარულს კადაჩვეულ ფეხებსა და საუცხოვო ბუსნოს მოვექცეთ. წინ გადავგვეშალა დასურათხატებული ვაკე სამურზაყანო—აფხაზეთისა, იმის იქით—ლაყვარდი ზღვა, რომელზედაც დიდფრთებთან ფრინველებით აფრა გაშლილი ნავეები მისრიალებდნენ. სანამ კაკლის ძირას შევისვენებდით, ჩემი მეგობრის „მოკეთემატ“ მოატანა.

ჩვეულებრივი „გამარჯობა—გაგიმარჯოს“-ის შემდეგ ჩემმა მეგობარმა „რეკომენდაცია“ გამიწია თავის მოკეთე გუძასთან: მთაზე უნდა ავიდეს და შენ გზა უნდა უჩვენოვო.

გუძამ ერთი კი ექვის თვალთ ამათვალეირა და უთხრა ჩემს მეგობარს:—მთაზე რა უნდა ასეთ „ჩინონიკ“ კაცს?—მაგრამ თვითონვე დაატანა:—აღბათ „ჰავისათვის“ (ჰაერის გამოსაცვლელად) მიდისო?

— სწორედ გამოიცანი!...—გუძასუხე გუძას.—ამაღამ კი შენი სტუმარი ექნები-მეთქი.

მეგობარი გამოგვეთხოვა. ხოლო გუძამ წინდაწინ ბოდში მოითხოვა, შენ რომ გეკადრება, ისეთ პატივს ვერა გცემო, მაგრამ რაკი მობრძანდით, ჩემი სიღარიბეცა ნახეთო. და გუძა თავის ფაცხისაკენ გამიძღვა.

წარმოიდგინეთ ოთხი დღიური სამოსახლო მიწა, შუაგულ ტყეში, სოფელს ორ კილომეტრზე დაშორებული. ადგილი მთა-გორიანია, გარშემო, როგორცა ვთქვით, უღრანი ტყე აკრავს. თვით ეზოს შემოვლებული აქვს მეტად სუსტი ღობე, ერთი ალაბის სიმაღლე. ორი წილი მიინც ამ ღობისა ბუნებრივია,—ნარეკალა, მაყვალი, ყველა ერთად იფარავს გლეხის მიდამოს. ერთს ალაგას ჭიშკარია, მეტად თავისებური მოწყობილობისა. იქით-აქეთ, ერთმანეთზე ორი მხარის დაშორებით ორი წყვილი-ლატანია დარქობილი, ერთი მხარის სიმაღლე. თითოეული წყვილი-ლატანებისა უგრეხელათია გადაბმული ისე, რომ ყოველ ნახევარ ალაბზე შიგა-და-შიგ ცარიელი ალაგი რჩება. ამნაირადვეა გადაბმული მეორე წყვილი. მერე ლატანების ცარიელ ადგილებში გაყრილია, ურდულუმბის-მსგავსად, თითქმის იმავე სიმსხოს ოთხი თუ ხუთი ლატანი. როცა ეზოში შესვლა გინდათ, ლატანები სათითაოდ უნდა გამოაძროთ სულ უკანასკნელამდე.

ჭიშკრიდან, ან, როგორც აქ ეძახიან, „ოლავედან“ ფაცხამდე საცალ-ფეხო ბილიკი მიუღის ასი მხარის მანძილზედ. ურემი ამ ეზოში ვერ შევა, რადგან ხრამებსა და ოღრო-ჩოღროს-ლა წარმოადგენს ჩვენი გუძას-ეზო. არც საჭიროა გუძასათვის ურემი. გულითაც რომ უნდოდეს, ამ კლდე-ღრეში ურემი გამოუსადეგარია. ცხადია, ხარების სამუშაოს გუძას მძლეოთა-მძლე მხარი ასრულებს. ტყე იქავე, ცხვირ-წინა აქვს და შეშა

ჭურგით გამოაქვს. სიმინდიც იქ უთესია და, როცა ყანას აიღებს, თავი-
ღივე ხელით თხილის ტკეცისაგან მოწულ კალათით სიმინდს ეზოს შუა
ალაგას ოთხ ბოძზე შეყენებულ წკნელის სასიმინდეში შეჭყრის, რომელ-
ზედაც ტკეცა (საცალფებო კიბე) აქვს მიდგმული ასასვლელად. ჩალასაც
ურემი არა სჭირია, — რომ მოსჭრის, კონებად შეჭკრავს და ეზოშივე ხეზე
დაჰკიდებს ზამთრისათვის. ხე-ტყეს, როგორცა ვსთქვით, ტყიდან არ
ეზიდება გუძა და სხვა მეტი არაფრისათვის უნდა ურემი. შიგ ჩაჯდომა
და იმით სიარული, თავის ქართლ-კახელ მოძმესავით, გუძამ არ იცის.
რომ გაუცხადოთ, რომ საქართველოში არის ისეთი კუთხე, სადაც ურემ-
ში სხდებიანო, თქვენი ნათქვამი სიცილადაც არ ეყოფა. თუ გაუჭირდა
და ცხენი ვერსად იშოვა, რამდენსაც გნებავთ, იმდენ მანძილს ფეხით
გაივლის და ურემში მაინც არ ჩაჯდება, — ქვეყნის სირცხვილს არა სჭამს
და ისეთ საქმეს არ იზამს, რაც მის მამა-პაპას არ ჩაუდენია.

ჩვენს გუძას ეზოში, ანუ, უკეთ, ყანაში, ხეები ოზლადა დგას. ამოდ
ჟებთ აქ კარგ საყვარელივით ხეებზე გადახვეულ ვაზებს. ღვინო არ
მოუღის გუძას და ისიც სტოიკურად ითმენს უღვინობასა. წელიწადი ისე
გაივლის, საზედაზე ღვინო არ გაჩნდება მის ფაცხაში. ღვინოს ბადლად
გუძას წყარო აქვს მთისა, ანკარა და ყინულივით ცივი.

ქობის გვერდით გამართულ ბოსტანში გუძას ცოლის მიერ გულმოდ-
გინედ გახელილს მწვანელს მშვენიერად ამოუყვავა თავი თხის ნაკელით
გაპარტივებულ ნიადაგიდან. აქა ნახავთ: ცოტა პრასას, ცოტა ოხრახუშს,
რეჰანს, წიწაკას, წითელ მხალსა; ამათს გვერდით ორმოციოდე ძირი
თუთუნიცა სთესია, საკუთრად გუძას მოთხოვნილების დასაკმაყოფი-
ლებლად.

ბოსტნის გვერდით ხუთიოდ სკა დგას ფუტკრისა. ამ ძვირფას მწერ-
თაგან გაკეთებული თაფლი წლითი-წლობამდე ჰყოფნის გუძას წვრილ-
ფეხობასა გამწვარებულის პირის ჩასატკბარუნებლად. იმათი ნაშრომით
ჩანთელს ჩამოჰქნის ხოლმე გუძა. ხანდახან, როცა სტუმარი მოუვა, ამა-
ვე სანთლით უკუნით მოკულ ფაცხას სინათლის მკრთალ სხივს მოჰფენს
ხოლმე.... ისიც კარგია იმისათვის.

ფაცხა ორი აქვს გუძას. ერთსა თვითონ შეჰფარებია თვისი ცოლშვი-
ლით, მეორეში საქონელი უბია — ზამთარში. ორივე წკნელისაგან არის
მოწული. ზევიდან გვიმრა ჰხურავს. მიველ ფაცხას მართო ერთგანა
აქვს ლურსმანი: ამ ერთად-ერთი ლურსმნით გარედან კარის დასაკეტე
ხის კოჭია დაჰდელი კარის ჩარჩოზე. სიდიდე ფაცხისა 12 კუბიკურ
მხარს უღრის, ესე იგი 3 მხარი სიგძე აქვს, 2 — განი და 2 მხარიც —
სიმაღლე. კარი ორი აქვს: ერთი წინიდან და ერთიც იმის პირდაპირ —
უკანიდან. სარკმელს გუძას ფაცხა მოკლებულია. ხოლო როგორც ჰაერი,
ისე სინათლე კედლებში უხვად დატოვებულ ჭურჭრუტანებიდან შემოდის.

მხოლოდ ზამთარში კედლები გარედან გვიმრით გაიბურება, რომ, ცოტათიც არის, სიცივეს წინააღმდეგობა გაუწიოს და შიგ არ შამოუშვას. ზამთარში ამ გვიმრით გაბურულ ფაცხას ცეცხლი ძალიან ადვილად იმსხვერპლებს ხოლმე. კიდევ ამიტომ არის, რომ გლეხი რამდენჯერმე იკეთებს ასეთ ფაცხებსა. ისიც კია, რომ შრომა მის აშენებას დიდი არ უნდა: ორი მარჯვე კაცი სამი დღის განმავლობაში მასალასაც მოამზადებს ფაცხისათვის და ააშენებს კიდეცა აქაური გლეხის იაფფასიან თავშესაფარსა.

ჩემს მისვლაზე დიდი ფაცი-ფუცი შეუდგა ამ პატარა სამეფოს, სადაც თვითმპყრობელი გუდა იყო. ჯერ გუდას ვაქმა შორიდანვე შეატყობინა გუდას ფანიას (ოჯახს), სტუმარი მოგვყავსო. ფაცხის კარებში გუდას თანამეცხედრე მომეგება და მოწიწებით თავი დამიკრა. ხელში ახლად ნამტირალევი ქორდა ბალღი ეჭირა, — პაწაწუნა განცვიფრებულ თვალებზე ცრემლი შეჰყინოდა. გვერდთ უდგნენ დანარჩენი წვერნი ფანიასი: უფროსი ქალი, ტანმალალი, გაცრეცილი, გამხდარი, თუმცა კი მარილი არ აკლდა მის ლაზათიან სახესა. ასე 10—11 წლისა თუ იქნებოდა. იმას მოსდევდა, კრუხის წიწილებივით სამი ნაგლეჯუა ბავშვი, სულ ერთმანეთის მომდევნო. გარეგნობით ძნელი გამოსაცნობი იყო, რა სქესს ეკუთვნოდა ან ერთი ან მეორე — ყველას ერთნაირი პერანგი ეცვათ ნარმისა, ნაფლეთებად ქეული და ძალზე გაშავებული. ამ პერანგების სახელოებს აკლდა, განსაკუთრებით, სითეთრე: მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ პერანგის სახელოებს აქ ცხვირსახოცის მაგივრადაც ხმარობს მისი პატრონი...

ფაცხის შუა ალაგას, კერას თავით, ერთი დიდი ჯირკვი დევს, რომელსაც აქ „ბუკი“ ანუ დედა-შეშა ჰქვიათ. ამ ბუკს მიწყობილი აქვს წვრილი ფიჩხი, ანთებული. საკომლე ფაცხას არა აქვს. კვამლი ფაცხის ხან ერთ კუთხეს ეწყვეტება და ხან მეორეს და შიგმყოფთ უსულღმერთოდ სტანჯავს ხოლმე. დირეები და სახურავის ქვედა ნაწილი მურისაგან გაშავებულია. კერას იქით-აქეთ კველები დგას. კველა — საჯდომია ერთნაირი და მარტო აქეთკენ და სამეგრელოში შეხვდება კაცი. ეს თავისებური საჯდომი წარმოადგენს ძელს, რომელსაც სიგრძე $\frac{1}{2}$ —2 ალაბამდე აქვს. განი — $\frac{1}{2}$ — $\frac{1}{4}$ ალაბი. აკეთებენ პატარებს — ერთი კაცის საჯდომს, აკეთებენ დიდებსაც, რომელზედაც მწყრივად რამდენიმე კაცი ეტევა ერთად. ეს ძელი ქვევიდან გამოთლილია, იქით-აქეთ თავებში დატოვებული აქვს ბრტყელი ფეხები. $\frac{1}{3}$ ალაბის ან კიდევ ნაკლების სიმაღლეზე დგას კველა. ძალიან მდგნეა; ადვილად არა ტყდება, ხანდახან, თუ მაგარი ხისაც არის, ორ-სამ მოდგმას მოიჭამს. ეგ არის, მარტო ფერს იცვლის; — დროთა ვითარებისა გამო ძალზე შავდება. გარეცხვას თავის დღეში არ აღირსებენ, რაც უნდა ამაგდარი იყოს აქაური გლეხის კველა.

კერას ორი მხარე აქვს: ერთი ხავაჟკაცო („საქომლო“) და მეორე — საქალბო („საოსურო“). პირველ მხარეზე სხდებიან მამათა სქესის წვერნი

აქური გლეხის ფანიასი, მეორეზე — ქალები. სუფრასაც ცალ-ცალკე უს-
ხდებიან ქალები და კაცები. ეს წესი სასტიკად არის დაცული სამურ-
ზაყანოელის გლეხის სახლში. კაცობრიობის იმ ეპოქას გვაგონებს ეს განა-
წილება ოჯახისა, როდესაც ქალი უმწვერვალეს ზომამდე ჰყავდა დამო-
წინებელი მამაკაცსა და როცა პირველი ვერა ჰბედავდა თავის „უფროს-
თან“ — ქმართან, ერთ სუფრას მოჯდომოდა. დასახელებულ „საქალებო“
მხარეზე დიასახლისი (ამ სიტყვას აქ მნიშვნელობა ეკარგება) ჩამოჯდა კვე-
ლაზე და მას მიეჭუჭკა წვრილფეხობა თაცხისა. მათს პირდაპირ, მეორე
მხარეზე სამფეხა და სამკუთხოვან, გუძას ხელით გაჩორკნილ, დგამზე მე
მოვასყვენ სხეული. ბავშვები ამაოდ ცდილობდნენ დაეფარად თავიანთი,
ცეცხლისაგან დამწვარ-დამბრაწული წვივები, რომელთაც უსირცხვილოდ
თავი გამოეყოთ მათი მოკლე და დაგლეჯილ პერანგებიდან. დედაც, ბო-
ლიშის მოსახდელად, ტყუილად ეუბნებოდა დაიფარეთო. პირველმა შთა-
ბეჭდილებამ ყველას გადაუარა, დამშვიდნენ, — „სტუმარი“ მთელი ღამე ჩვენ
თან იქნება და შეგვეძლება კარგად ვუყუროთო. თორმეტი თვალი ისა-
რივით მე მომაშტერდა და თავით-ფეხებამდე მუშტრის თვალით სინჯვა
დაუწყო ჩემს ტანისამოსსა, ყველას ეს ერთი კითხვა ეხატებოდა თვალე-
ში: „ამ კაცს ჩვენთან რა უნდოდაო?“ მხოლოდ კვამლი მიხსნიდა ხოლ-
მე მათი ცნობისმოყვარე თვალებისაგან: ქარი დაუბრკოლებლივ ატანდა
ფაცხის ნახევრად ფარღალალა კედლებსა, ჰბორავდა და გვაშფოთებდა
შიგმდგომთა: კვამლს ხან ჩემკენ ელალებოდა და ხან ჩემს ახალ ნაცნო-
ბებს აფორიაქებდა.

ფაცხის ორივე მხრივ თითო წყვილი გაჩორკნილი ფიცარია, მიჯრით
მიწყობილი. თუ გნებავთ, ტახტი დავარქვათ ამ ფიცრებსა. აქ კი ტახ-
ტის დანიშნულება აქვს. მათს სიშიშველეს არა ჰფარავს-რა, — ადგილობ-
რივი მოწნული ქილობი რა არის, იმასაც კი მოკლებულია გუძას განსა-
სვენებელი. ერთ ალაგას მწვარივით რალაც მოკუმშული ეგდო. უფროსი
ქალი ღდა და ვასწორა. ეს გაბრტყელებული, სიფრიფანა, ჯვარიმამის
ლაფაშივით, მქვარტლში ამოვლებული, დაფხრეწილი ლეიბი იყო. არც ბამ-
ბა-გამოყრილი საბანი იყო უკეთესი ღირსებისა. ერთი ბალიშიც ეგდო,
უფორმო. როგორც ეტყობოდა, ქათმის გაურჩეველ ბუმბულით უნდა
ყოფილიყო სასესე. გაბრტყელებულ მუთაქას სიმინდის ფუჩჩი გამოცვე-
ნოდა...

აჰა, მთელი ლოგინი, რომელზედაც გუძა და მისი ცოლშვილი, დღიურ
ჯარამთან სასოწარკვეთილ და გამძაფრებულ ბრძოლის შემდეგ, თავიანთ
ცოდვილ ძვლებს ასვენებენ, რათა, ღონე-მოკრებილთ, მეორე დღეს
განაგრძონ იგივე სასოწარკვეთილი ბრძოლა და სრბოლა ძალ-უმადური
ცხოვრებისა.

გუძას ფაცხის ერთ კუთხეში ტახტზე ზანდუკიც იდგა, მქვარტლის
ფერისა. წინანდელი წითელი ფერი საღებავისა აქა-იქ კიდევ შერჩენოდა.
ამ ზანდუკში ინახება გუძას ცოლის განძეულობა: ერთი სამშაურიანი თა-

ვიჩითი ანუ „ცახოცი“, ორ-ხუთშაურიან ჩითისაგან შეკერილი „საგარეო“ კაბა, ერთი სამაბაზიანი ჩუსტები, ოქუემელ ხარაზის შეკერილი, შაურია-ნი სარკე, წითელ სამოგვე გადაკრული, —ის სარკე, აქაურს ქალებს სად-მე დღეობაში ან ოქუემში წასვლის დროს ჯობით რომ დააქვთ ხოლმე და რომლის შემწეობით, დანიშნულ ადგილამდე მოახლოვებისას, სადმე ბუჩქთან ან წყლისპირას თავის ფიზიონომიას ისწორებენ. ამათს გარდა, ამ გაცრეცილი ზანდუკის რომელიმე მიმალულ კუთხეში კიდევ უნდა დებულიყო თავლის სანთლის ნაჭერზე მიკრული ორშაურიანი თეთრი ფული, გუძას სახლის ერთ-ერთი წვერის ავადმყოფობის დროს ილორის წმ. გიორგისათვის შეწირული და ავადმყოფის თავზე შემოვლებული. ორი ან სამი აბაზი, ათას ალაგას გამოკრულ-გამონასკვილი, — „შავი დღისათვის“ გამომოგვილი.

ჩემს მახსოვრობას ძალას ვატანდი, მინდოდა გამეთვალისწინებინა ამნაირივე ზანდუკი ჩემი ძიძისა; ამნაირივე სიდიდისა, ამნაირადვე დამპყვარტლული, ამნაირადვე, მუთაქის მაგვარად კუთხეში მიდგმული, ის ზანდუკი, რომელიც, ჩემს პატარაობაში, არა ერთხელ გადამიქოთებია — რა არის, ორიოდ ჩურჩხელა ამოვაცოცო და სადმე ხის ძირას შევექცე-მეთქი; ჰო, მინდოდა მომეგონებინა, კიდევ, ზევით ჩამოთვლი-ლის გარდა, რა უნდა დებულიყო ამ ნაცნობ ზანდუკში...

პატარა, ძუძუმწოვარა ბავშვმა, არა ერთხელ დაწყებულ და შეწყვეტილი ტირილი კვლავ განაგრძო: მეძინებო. დედამ ძუძუ ჩასჩარა პირში, რძესთან ჩააყოლა ბავშვმა თავისი ცრემლები და, ბოლოს, ზედ ძუძუზე მიძინა. დედამ აიყვანა, აკვანში ჩააწვინა და, უფროსი ქალის დახმარებით, არტახები შემოაკრა. აქაური აკვანი ძალზე ვიწროა, განი მტკა-ველ-ნახევარი თუ ექნება, მაღალია და დანჯღრეული, ეტყობა ამ აკვან-ში გაზრდილა მამა სახლისა, ხუთი მისი შვილი და, ვინ იცის კიდევ რამდენი გაიზრდება. ამ აკვანში!

ძუძუმწოვარამ დაიძინა. ცოტა იმაზე უფროსი ტახტზე აგოგდა და ისიც ძიძმა გულზე მიიხუტა. დიასახლისმა რაკი თავისუფლება იგრძნო, ვახშმის თავდარიგს შეუდგა. მიუჯდა ფქვილით სავსე ტომარას (საკი), წინ დაიდგა ბარქაში (სარლა) და ფქვილის ცრა დაიწყო. ხოლო მისმა ტასიამ თუჯის ქვაბს დაავლო ხელი, სადილობისაგან ზედ შერჩენილი ღომის ქერქი დაჩლუნგებულის უტარო დანით მოაცილა და კუთხეში დაყუჩებულ წიწილებიან კრუხს დაუყარა. დაწმენდილი და გარეცხილი ხელიანი ქვაბი პირამდე წყლით მოჰყარა გოგონამ და, დედის დახმარებით, რკინის ნაპრის მაგიერ ქერზე დაკიდებულ ხის კაცს ჩამოჰკიდა. ცეცხლს შეშა შეუკეთეს. დაუფუნებულმა ცეცხლმა ათს წუთში აადულა წყალი. დიასახლისმა სიმინდის ფქვილით სავსე ბარქაში გვერდით დაიდგა, მერე ადუღებულ წყალში მუჭა-მუჭა ყრა დაუწყო ფქვილს და თან ჩო-გნით ურევდა. კაეზე დაკიდებული ქვაბი ამასობაში, რა თქმა უნდა, ინძრეოდა, და მისი შენძრევასთან ერთად პანტა-პუნტით ზევიდან ზოლ-

ზოლად დაკიდებული მქვარტილი წამოვიდა. მე თვალები ავარიდებ ზრდი-
ლობის გულისთვის... რომ გასქელდა ღომი, დიასახლისმა ძირს ჩამოიღო
ქვაბი, დადგა იქავე, კერის პირას, ჩართზე¹ და სუთით² (კირზა)
მაგრად ზელა დაუწყო. ხუთი წუთი ჰხელდა. მერე ისევ კავზე დაჰკიდა
ქვაბი.

მე ისევ განვაგრძე ჩემი ექსკურსია თვალებით ფაცხის მიდამოში.

მიმოვალე თვალი „ბუფეტს“. ერთი თხმელის ფიცარია გათლილი,
სიგრძე აქვს 2 ალაბი, განი— $\frac{1}{2}$ ალაბი. ეს ფიცარი დგას ოთხს ორ ნახევარ
ალაბიან ფეხზედ, რომლებიც ქვეშ განზე არის გაწეული, რომ ტაბლა
უფრო მაგრად იდგეს. ზედ ალაგია: ბლის ფილი (ქვიჯე) თავისი ქვითა,
ბუყუნის (ერთნაირი ხის ჭურჭელი) მაწენის შესანახად, ხუთი ხის ჯამი
ადგილობრივ გაკეთებული, ორი თეფში სინისა, 4 კოვზი ბზისა, ადგილობ-
რივივე გათლილი. ტაბლის ახლოვე კედელზე ეკიდა: ნიგა (საწველელი),
მწარე გოგრის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი კვეთარისათვის და
ოჩიჩე—ხის ჭურჭელი, რომელშიაც ახლად ამოღებულ ყველსა სდებენ,
რომ შრატისაგან დაიწრიტოს. ბუფეტის ახლო იდგა ერთი თავმომ-
ტვრეული კოკა თიხისა და ერთიც დოქი. ამ ორ ჭურჭლის დასადგმელ
ალაგას გაუმრობელი ქოქი დგას. გუძას ფაცხაში აღუნუსხველი, გგონია,
არაფერი დაგვრჩება, თუ ყოველივე ზემოდასახელებულს მივუმატებთ
„ტაბაკს“—გრძელს, ოთხფეხიან ფიცარს, რომელზედაც პირდაპირ
ღომს დააგებენ და წინ დაიდგამენ ხოლმე სადილ-ვახშმის დროს. განი
ტაბაკს $\frac{1}{2}$ ალაბი აქვს, მისი სიგრძე კი ფაცხის წვერთა რიცხვზეა დამო-
კიდებული. ფეხები ტაბაკისა ორი მტკაველის სიმაღლეა, ასე რომ როცა
უსხედხართ, უნდა დაიხაროთ ხოლმე ღომის ასაღებად. როცა ჭამას
გაათავებენ, ტაბაკს აიღებენ. მისი შესანახი ადგილი ფაცხის კედელია,
ან შიგნით და ან, უფრო ხშირად, გარეთ, საწვიმურს ქვეშ, და ან კიდევ
აივანზე: კედელში ორი ჯოხია გაყრილი, რომლებზედაც პირქვე დაამხო-
ბენ ტაბაკს, და იქა დევს, სანამ ხელმოორედ არ დასკირდებათ.

აჰა, მთელი ავლადიდება გუძასი. ერთ დღეს გაყიდვა და ფულად
ქცევა რომ მოუნდომოს გუძამ მთელ მორთულობას მისი ფაცხისას,
მთელს ტულეტს ამ ფაცხის წვერებისას, სულ ბევრი, ხუთი მანეთის
პატრონი თუ განდება. თუმცა გუძა თქმით კი იტყვის „ლარიბადა ვა-
რო“, მაგრამ ეს თქმა სიტყვის მასალაა, პირის დასამშვენებელია, ამბობს
იმიტომ, რომ სხვა ყველა მისი მსგავსი გლეხები ამას ამბობენ; ხმარობს
ამ სიტყვებს იმიტომ, რომ პატარაობითვე ნაკლებულების მეტი არა გა-
მოუცდია-რა და ამ მცნების გამომხატველი სიტყვები სულ პირზე აკე-
რია.

¹ ჩართი—მრგვალად, ქვაბის ძირის სიფართოზე, დაგრეხილი ვახია ან უგრეხელა. ქვა-
ბის ძირი შივ კალაპოტსავითა დგას, არ იწმრვეა და ღომი მოხერხებულად იხელდება შიგ-
² „გარგატსაც“ ეძახიან. გათლილი ჯოხია, მკლავის სიმახსი, ან ნაკლები, ერთის ალა-
ბის სიგრძე.

გუძა კმაყოფილიც იქნება ხოლმე, თუ თავის სარჩო სიმინდს მოიწვეს; კმაყოფილია, თუ სადილ-ვახშმად ფქვილის ღომი, ნაჭერი ყველი აქვს; უმეტეს კმაყოფილია გუძა, თუ თავის დედიშობილად მორბენალ ბავშვებს თითო ნარმის პერანგი ჩააცვა „სააღდგომოდ“. გუძას სხვა ყველა საქიროება, სხვა ყველა მოთხოვნილება—ხორციელი თუ სულიერი—ავიწყდება, როცა მოაგონდება საბედისწერო „ფოშტის“ (სახელმწიფო გადასახადი) და მადასახლის-მწერლის ფული. წელიწადი-თორმეტი თვე ერთ აზრსა ჰყავს მისი ფიქრი-გონება მიჯაბუელი ამირანით, შეპყრობილი: დასახლებული გადასახადი როგორ მოვიშორო თავიდანო? ამ გადასახადისათვის-ღა იღვამს გუძა წელებზე ფეხებს. დარწმუნებულია, გლეხი, ჩემსავით შავიღდის დაბადებული გლეხი, ამ გადასახადისათვის არის გაჩენილიო. არ არსებობს გუძასათვის ეკლესია; არ დასდევს, მისმა ბავშვმა წიგნი იცის, თუ არა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, რა ცათაფრენა შეუდგება, როცა ამ გადასახადს მოიშორებს, რომელიც დამოკლესის სატევარივით მის გაშავებულ ქედს დასცქერის საბედისწეროდ. თითქო მძიმე ლოდი გადუგორდა მაშინ გულიდანაო. მაშინ მომავალ წლამდე განცხრომაშია, ნეტარობს: არხეინად ქამს ფქვილის ღომს გაძლომამდე, საღამოს, მზის ჩასვლისას, იძინებს, მეორე დღეს მზეს ისიც აჰყვება, რათა იმავე ფქვილის ღომით გაძლომისათვისვე იზრუნოს. წლითი-წლობამდე ჩაჰკირაკიტებს დედა-მიწას. ჩაჰკირაკიტებს მანამდის, სანამ, იმავე მიწას არ შეუერთდება მისი სხეული. მისს ალაგას მისი შვილი, ტაგუ, ჩადგება, ისიც გუძასავით შეებრძოლება შავს მიწასა... და ვინ იცის, სანამდე გაგრძელდება ეს პირუტყველი, პირველყოფილი ბრძოლა; ვინ იცის, როდის შეეცვლება ხასიათი და ფერი ამ ძალღ-უმადურ ბრძოლასა?..

სანამ მე გუძას ავლა-დიდებასა და მისი ცხოვრების განხილვაში ვიყავ, „ვახშამიც“ დამზალდა. ტასიამ ღოქი აიღო და ხელი დამაბანინა. ამ წინასიტყვაობის შემდეგ წინ ტაბაკი დამიდგა. ხოლო დიასახლისმა ჩოგნით¹ ორი „დაგება“ ღომი ამოიღო ქვაბიდან და ტაბაკზე დამიგო ერთი-მეორეზე. მერე შიგ სულუგუნი ჩამიჭრა და მითხრა:—„მიირთვით, ბატონოვო“. გუძაც, ბოდიშის მოსდით, შორი-ახლო მოუჯდა ჩემს ტაბაკსა, ღვინის მგიფრად სუფრას ანკარა ცივი წყალი გვიმშვენებდა. გუძამ ბოდიში მოიხადა უღვინობისათვის. რა ვქნათ, ბატონო ღარიბი კაცის საქმე ხომ მოგეხსენებათო!.. ნავახშმევს ტასიამ ისევ დაგვისხა წყალი და ხელი დაგვაბანინა.

ვახშამს აქ მაშინვე ძილი და განსვენება მოსდევს. იღბალი ჩემი, რომ ჩემს ხურჯინში საბანიცა მქონდა და საზამთრო გვაბანაკიცა². დიდი სამსახური გამიწია ერთმაცა და მეორემაც. ჩემს თავს „ბარაკალა“

¹ ჩოგანი—ქვაბიდან ღომის ამოსაღები იარაღია. ერთი ალაბი პატარა ფიცარი ნიჩაბივით არის გაკეთებული, მხოლოდ ბოლოზე მომრგვალებულია.

² გვაბანაკი—პალატო.

ვუთხარი ასეთი წინდახედულობისათვის. როგორც შემძლო, მოვაწყვე ჩემი სარეცელი. ტასიამ აქაური ჩვეულებებისამებრ, ფეხთ გამხადა, პატარა ჯირკვი მოიტანა, რათა ზედ ფეხები შემეწყო, ძმამ ცივი წყალი დაუსხა და თვითონ კი ფეხები დამაბანინა. ვერ ვეუორჩე ამ ძველს ჩვეულებასა, თუმცა კი ჩემი ფეხებისათვის ტასიას შეწუხება მეტი იყო.

ჩემმა სახელდახელო ლოგინმა აღტაცებაში მომიყვანა. თავთ მელო უნაგირის ბალიში, ქვეშ მეშალა საბანი და ზევიდან კიდევ ჩემი საზამთრო გვაბანაკი მეხურა, ფაცხის ერთ მხარეს ტახტი მე დავიჭირე, ხოლო მეორეს—გუძამა და მისმა ფანიამ. დაწოლის დროს მარტო დამის სიბ-ნელე იდგა ჩვენს შორის კედლად...

აი ეს გახლავთ უფერ-უშპარილო პროზა გუძასი, ამ ჩვენი ცხოვრების სვე-უბედური გერის ყოფა-მდგომარეობისა!.. და აი ის „მეგრული“ ფაცხაც, რომელმაც ჩვენს ნიჭიერ მგოსანს გ. ქალადიდელს თავისი მშვენიერი ლექსი დააწერინა...

განთიადისას ტყე აივსო ჩიტების სტეენითა და ქიკვიკ-გალობითა. დაძინებულმა ბუნებამ გამოიღვიძა. გუძას ჯერ ფრთოსანთა და მერე ოთხფეხ ცხოველთა ხმა მისცეს ჩიტების გალობასა. ნელ-ნელა ფაცხის მკვიდრნიც წამოიშალნენ. საჩქაროზე ხელპირი დავიბანეთ და მე და გუძა მთაში წასასვლელად მზადებას შევეუდექით. გუძამ მშვლის რქაზე დავიდებული თოფი ჩამოიღო, საპირისწამლე გაუსინჯა და ისევ ირმის-ტყავისაგან შეკერილ ბუდეში ჩასდო. „უნდა თან წავიღოთ, იქნება, „უწმინდური“ (დათვი) შემოგვხედეს გზაშიო.“ გუძას ცოლმა ქასლაშია¹ ჩამოიღო, მაწვნით გაავსო და გუძას დაჭიდა, გზაში დავკირდებათო. იმ დამეს, ჩემი ცხენი გუძამ, ქურდების შიშით, ფაცხის აივანზე დააბა, და გუძას უფროსი ვაჟი უხვად უყრიდა ახლად გამოჭრილ სიმინდს. გუძამ შემთქაზმა ცხენი. ფაცხიდან გასვლის წინათ შევეცადე სასყიდელი მიმეცა ჩემი მასპინძლისათვის. პატივისცემისათვის სამაგიეროდ ფულს ვერ შეაძლევთ აქაურ მასპინძელს: არამცთუ არ გამოგართმევთ, შეუ-რაცხყოფადაც მიიღებს თქვენს ქცევას. მეც, რაკი სხვა გზა არა მქონ-და, პატარა ტასიას „სახსოვრად“ ერთი ცხვირსახოცი უფეშქაშე, რა-მაც ცასა სწია გოგონა. დანარჩენ ბავშვებს ორ-ორი ორცხობილა და-ვურიგე და ზედნადებად გაზეთის ორიოდ ნომერიც დავუტოვე. ქალა-დი რომ დანახეს, ერთმანეთს მივარდნენ და თითოეული მათგანი შეეცადა დაპატრონებოდა ამ „ტატას“. მათს ბრძოლაში დედა ჩაერია და ყველა გაათანასწორა: გამოჰკლიჯა გაზეთის ფურცლები და ზანდუქში შეინახა მოწიწებით.

თითქოს დიდი ხნის მოკრთე და ნაცნობი ვყოფილიყავ, გულწრფელად გამომეთხოვენ. სინანული გამოაცხადეს, რომ ასე „უტბად დავმორდი“. მათს ლოცვას საზღვარი არა ჰქონდა. „აქეთობას უეჭველად მნახეთ, რო-გორც კარგმა მოყვარებოა“, მომადხა დიასახლისმა ლობესთან მისულს.

¹ ქასლაშია ჭურჭელია, თხის ტყავისაგან გაკეთებული. შიგნით და გარეთ დახვეტილია. შიგ ახსამენ მაწონს და მგზავრობის დროს დააქვთ. მთაში ყველა ხმარობს ამ ჭურჭელს.

მთისკენ.—ხელ უხლებელი სამეფო წიფლისა.—მისი გადარჩენის მიზეზი. ისიც გაიკაფება.—უღმერთო ბილიკი ანარიის მთისა.—გზის დასამშენებელი: წყაროები, მთის ნაკადულები, ნისლი.—მეორე გახაფხული.—წყავის ბუჩქები.—დასასრული მთის გზისა.

შევუდგეით მე და ჩემი ჩიჩერონე—გუძა მთის კალთასა. სულ საცალ-ფეხო გზაზე მივდივართ, ცხენი კი სალთად მიგვყავს. გზასა ჰვარავს ტყე თხილისა, წიფლისა, წაბლისა, მთის ნეკერჩხალისა. ორი საათის სიარულის შემდეგ მართო წიფლის სამეფოში შევყავით თავი. მეტად მსხვილი და მაღალია აქაური ლალად გაზრდილი წიფელა. სისქე მისი ორი ალაბია, ზევით კიდევ თვალს ვერ უწვდენს ადამიანი. ადამიანს ჯერ აქ ცული არ შემოუტანია იმ განზრახვით, რომ ხე მოესჭრა და იმით ვისარებლოო. ასეთი უტეხი, ან როგორც მეგრელები ეძახიან, „უქმელი“ ტყე წიფელისა. აჰყვება თვით ანარიის მთამდე, 30 ოთხ-კუთხა კილომეტრის სივრცეზე მესამედი ამ ტყისა ოქუმის საზოგადოებას ეკუთვნის, დანარჩენი სახაზინოა.

როგორცა ვთქვით, ეს ტყე ხელუხლებელია იმიტომ კი არა, რომ აქეთ-კენ რაიმე წესი იყოს დამყარებული ამ ტყის რივიანად და გამოზოგვით ხმარებისა. ჯერ ამნაირი წესის შემოღება, რომელიც ასე საჭიროა სამურზაყანოს ტყეებისთვის, მხოლოდ ოცნებების საგანს შეადგენს. თუ ეს ტყე ბარბაროსულად გაჩანაგებას გადაურჩა, ამის მიზეზი, ჯერ ერთი, ის გახლავთ, რომ ადგილ-მდებარეობა აქვს მიუვალა. აწ არსებული გზით ვერ მიუღდება ვერც ურემი და ველარც ჩაღვადარი. მაგრამ მალე, სულ მალე, 20—30 წლის შიგნით, როცა ბარი სულ გაიკაფება, აქაური გლეხი ძალაუნებურად აატანს ამ მთასა და ასწლოვანის წიფლების კრა აახშიანებს აქაურობას.

ბარიდან ანარიის მთისაკენ ორი საცალფეხო ბილიკი მიდის: ერთი იწყება სოფ. ჩხორთოლიდან, მეორე—ოქუმიდან. ჩხორთოლიდან მიმავალ ბილიკს აფხაზების გზას ეძახიან, რადგან აფხაზ მწყემსებს ამ გზით დაუღით საქონელი სამურზაყანოს მთებზე. ოქუმიდან მიმავალი გზით კი მხოლოდ სამურზაყანოელი მწყემსები დადიან. ჩხორთოლის გზა მოკლეა. აქეთობას ამ გზით მომიხდა ჩამოსვლა მთიდან და სულ იმას ვიძახდი, ნეტავ ამ გზით არ წამოვსულიყავ-მეთქი. გზა ქვიანია და მოსხლეტილი. თითქმის ერთი კილომეტრის მანძილზე იძულებული ვიყავ, ცხენისათვის უნაგირი მომეხსნა და ზურგით მეზიდა, ცხენი კი თავის ნებაზე მივუშეი. მაგრამ ვაი ასეთ გაშვებას! ვამბობდი, აი ახლა დაიმტვრევა, აი ახლა დასაზღვევი გამიხდება-მეთქი. დღესაც ვერ წარმომიღვენია, როგორ დაუღით ამ გზით საქონელი!..

შუა გზაზე ორივე ეს ბილიკი ერთდება და ამის. იქით, შედარებით, უკეთესი სავლელია. შედარებით, იმიტომ რომ ადგილ-ადგილ საცალფეხო ბილიკი მოსხლეტილ კლდეებს გადაჰყურებს. საკმაოა, ერთი ბეწო

გადაუტდეს ფეხი ამ ბილიკზე მიმავალ ადამიანსა თუ საქონელსა, რომ ძირამდე სული არ ჩაჰყვეს და თვალწუვდენელ ხევში სადმე სვაჯ-ყორნების საკორტნი გახდეს. ხოლო ასეთი უბედურება აქ ხშირიცაა, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა იალალზე საქონლის ჯოგს მიერეკებთან მწყემსები, და ენკენისთვეში, როცა იგივე საქონელი იალალიდან უკან მოუდით ხოლმე.

ანარჩისა და იმის იქით მდებარე მთების იალალზე, სვანეთის საზღვრამდე, მიუდით საქონელი თითქმის მთელ სამურზაყანოს და აბუჟას მწყემსებსა. ყოველ გაზაფხულზე ზემოდასახელებული ბილიკით სულ უკანასკნელი 60,000 სული საქონელი მიუდით, სხვილფეხა, თუ წვრილფეხა. ხოლო უგზობით, წელიწადი ისე არ გაივლის, მწყემსებს ორასი თუმანის ზარალი არ მოუვიდეთ იქითობას, თუ აქეთობას. ერთხანად სამსახურთმანი რომ დაიხარჯოს, მეტი არც კი მოუწდება იმ ადგილების შესწორებას, სადაც მეტად საშიშია გავლა. თვით მწყემსების გარდა ამ საქმეში, უეჭველია, სახელმწიფო ქონებათა უწყებაც მიიღებს მონაწილეობას, იმიტომ რომ მთელი საზაფხულო საძოვარი ადგილები აქეთკენ ამ უწყების ხელშია. ამ საძოვრებიდან წლიური შემოსავალი, ჯერ ახლა, როცა ასე საშიშია აქეთკენ სიარული, ორას თუმანს აღემატება, რაკი გზა შესწორდება, მაშინ საძოვრების მუშტარიც იმატებს და, მაშასადამე, შემოსავალიცა.

ამ აღმართ-აღმართ მიმავალ გზას ამშვენებს და მისწიძნელეს ავიწყებს მგზავრს ანკარა და ყინულივით ცივი წყაროები. უცნობ მწყემსს ღარი გაუკეთებია ხის ქერქისაგან, რათა დაღლილი მგზავრი მოხერხებით დაეწაფოს წყალს და ღარის გამკეთებელს ლოცვა-კურთხევა გაუგზავნოს. ერთ ასეთ წყაროსთან მე და ჩემმა გუძამ სიაშოვნებით მოვასვენეთ ძალზე დაღლილი მუხლები და შუბლი გაეიგრიღეთ. გუძამ მოხსნა ქასლაშთავი, ადღებილი და კარაქმოდებული მაწონი ჩაყვავებ² დაასხა და შემომთავაზა. ჩემი ორცხობილებიც წყალში დავალბეთ და ორმავე აღტყინებული შიმშილი დავაყუჩეთ. ძნელად დაავიწყდება კაცს ასეთ ალაგას მოსვენება და დანაყრება, თუნდაც მწირი სურსათით...

მთელი 6 საათი მივდივართ. შუადღეა. მზეს, მიუხედავად იმისა, რომ შუაგული მკათათვეა, სითბო აკლდება: ბარი და მისი პაპანაქება სიცხე შორს დავგრჩა. ბამბის ქულა ნისლეები ბოლქვა-ბოლქვად დაჰგოგავენ გვევში. ხან ჩვენამდეც ატანს, შიგ ვეხვევით და ტანისამოსი მსუბუქად გვისველდება. გრილა. ვგრძნობთ მთის სიახლოვეს. ჰაერი თანდათან მსუბუქი ხდება და ჩვენი ფილტვები ხარბად ისუნთქავენ. მაჯისცემას ხშირია. იქით-აქეთ ხვევებში კლდიდან-კლდეზე ცელქად მხტომარე მთის ნაკადულების საამო და ნირსეუცვლელი შუილით სმენა გვევსება. ტკბო-

¹ აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი.

² ხის ქურჭელია, ტოლჩის მგავსი.

ლი ხმა ამ შუილისა შორსა ჰკოცნის მწვანე ხავერდით დატვირთულ მთასა და მის ნაბრალებსა...

წიფლის ხშირი და თაღვით ჩამობურვილი ტყე თანდათან თხელდება, სინბნელე თავის ალაგს სინათლეს უთმობს. იწყება წყავის ბუჩქნარი. კვლავ გვიგაზაფხულდება: ახლა, მკათათვეში, ჰყავის. თეთრი ყვავილები მისი დამბნელის სურნელებით ავსებს მიდამოს. ამ ბუჩქს აქ ყვავილი ყვავილადვე რჩება. სიცოცხე არ აცლის ნაყოფად გამოისხას, დაამწიფოს და თავის გემო აჩვენოს აქაურ ზაფხულის სტუმართ, ბარს დამორჩებულთ და ხილს დანატრულებულ მწყემსებს. არც თუ ტყუილად იკარგება ეს ყვავილი: ეს შეადგენს თავდათავ სარჩოს ფუტკრისას, რომელსაც სამურზაყანოელის მეთრენობაში საპატიო ადგილი უჭირავს. ბარად კი, სადაც მწიფდება, წყავის, ყურძნის მტევნების მსგავსს, ნაყოფს მკვიდრნი ჰკრეფენ, სწურავენ და ეგრეთ წოდებულ „წყავის ღვინოს“ აკეთებენ, რომელსაც ზაფხულში ღვინის მაგიერად შეექცევიან ხოლმე. მე ჯერ არა მქონია შემთხვევა ამ თავისებური „ღვინის“ დაღვინისა, ხოლო ვისაც კი დაუღვინია, ამბობენ—„არა უშავს-რაო.“

VI

მშენიერია მთა!—შარდენის თიფუ.—ლანნი შვილნი ლაღის ბუნებისა.—
ინახად დასხლამა.—რითი იყვებებიან ლანნი შვილნი ლაღის ბუნებისა?—
ბარად დაწყობილი გვგვა მთაში არ გამოვადგებათ.—ღამე მთაში.—დილა.—
გუძას რეკომენდაცია.

მშენიერია მთა, როცა, ხანგრძლივი ძილის შემდეგ, ახლად იღვიძებს, ძალ-ლონეს იკრებს. მშენიერია მისი თვალწარმტაცი, დაქარგული ზედაპირი, გულის ამბოკებელი. სანეტაროა მისი მსუბუქი ჰაერი, წმინდა, უმწიკვლო, რომელიც თავის ცხოველმყოფელ ძალას ყოველ სახსარში დაგიტარებთ ხოლმე, დაღლილს ჯანსა გმატებთ, გულს გიმაგრებთ, საბრძოლველად გიწვევთ!.. რა სჯობს ამ ნიავს, მაგრილებელს, დამამშვიდებელს, რომლის ნახ ხვეენაზე გულს გეფონება, გაეწყდება სიმწარე სააქო, გადაღიხარ საღლაც შორს, ოცნების სამეფოში, „საცა არა არს არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული დაუცხრომელი...“ ამ დროს თქვენი არსება ერთად-ერთი, განუზომელი სურვილით ავსება: ყველა გულზე მიიხუტოთ, ყველას ძმურად ხელი გაუწოდოთ და შევება მიანიჭოთ, ყველას ნუგეში სცეთ, მიუღალერსოთ, დაუყვავოთ, ყველა ტვირთმძიმესა და მაშვრალს ფიანდაზად გაეშალოთ...

აი, ამასა ვგრძნობდი, როცა გუძას უკან მივსდევდი მთის ბილიკზე. თქით-აქეთ ამაყად წამოზიდული თოვლიანი მწვერვალები და მათი ფერდობები მზებუდ ფანტასტიურად ციმციმებდნენ. ერთად-ერთი სიტყვა ამომხდებოდა ხოლმე გულწრფელად, როცა მთის სიმშენიერე ინსტიტუტურად გამაჩერებდა: „რა კარგია!“ ის იყო, თოვლი ახლად აელა.

ზოგან, განსაკუთრებით ჩრდილოეთ მხარეზე, კიდევ დარჩენილიყო და მის ქვეშიდან ვერცხლის წყალივით სხლტებოდა მთის წყალი, იწყებდა წაინწყარს, მერე სხვა უერთდებოდა, იქცეოდა რუდ, რუ—კისკას ნაკადულად, ზედ გადაურბენდა ახლად-თავწამოყოფილ ბალახს და ჩხრიალით მიხტოდა კლდიდან კლდეზე.

გზა-გზა მთის ოდენად დამდგარ ბამბის მსგავს ნისლში წამდაუწყობე ვეხვეოდით. ერთ გორაკზე ავედით. ნისლმა გადაიყარა. გუძამ იხელთა, კარგად ივარაუდა ადგილ-მდებარეობა და, ბოლოს, წამოიძახა,—მოვსულ—ვართ შარდენის¹ თიფუსთანაო? ხევს გაღმა კვამლიც დავინახეთ. გუძამ გასძახა. გუძას ძახილზე მწყემსების ძაღლები წამოიშალნენ და ყეფით ჩვენსკენ წამოვიდნენ. ამასობაში მწყემსების ბიჭებმაც მოატანეს ხვენამდე, ძაღლები მოგვიგერეს და ბინაზე წაგვიყვანეს, სადაც გადასურული არა იდგა-რა. თუ ბინა ერქვა, იმიტომ რომ შუა ალაგას ცეცხლი-ენტოთ და გარშემო კიდევ მწყემსები შემოსხდომოდნენ.

— გიმრავლოთ საქონელი!—შეესძახეთ ახალმისულებმა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!—გვიპასუხეს მწყემსებმა და ყველანი ფეხზე წამოგვიდგნენ.

— სტუმრებს ხომ მიგვიღებთ?—დავეკითხეთ.

— სტუმარი ღვთისაა!—მითხრა უფროსმა მწყემსმა. მერე დასაჯდომი ადგილი მიჩვენა, დაბრძანდითო. ხოლო პატარებმა ცხენი ჩამომართვეს. ყველას ეოცა ჩემი ნახვა. „ჩინონიკს“² აქ რა უნდოდაო?—ჩუმად დაუწყეს გამოკითხვა ჩემს ჩინებონებს. პირადად მე არაფერი მკადრეს. მწყემსებს სირცხვილად მიაჩნიათ, ახალმოსულ სტუმარს ვინაობა ჰკითხონ, პირველ დღეს მაინც.

ბინა, ანუ, როგორც მწყემსები ეძახიან, თიფუ, სადაც მე უნდა გავჩერებულყავ, წარმოადგენდა მინდორს, მთის კალთაზე, ერთი ხევის ახლოს. იქავ, გვერდით, ტყე ეკრა, სადაც წიფლის გვერდით მუქ-მწვანე წიწვიან ნაძვსა და ფიჭვსაც შეხედებოდით. ფარდული აქ არა არის-რა. ერთ ალაგას დიდი ცეცხლია დაგუგუნებული და, როგორც ზევითა ვთქვით, გარშემო მწყემსები უსხედან. დასაჯდომად ყველას თითო ტყავი აქვს თხისა, რომელსაც აქ „კვარჩხას“ ეძახიან. კერძის ერთ მხარეს-ოთხი ორკაპიანი ჯოხია დასმული, ერთი ალაბის სიმაღლეზე; ზედ გადებულია ქიგოები, ერთმანეთს მიჯრით მიწყობილი. ეს გახლავთ ტახტი (აფხაზურად „ჰუმტა“), რომელზედაც თიფუს უფროსს დამეძინავს და დღე ზის ხოლმე. იქავ ახლოს ბორჯღლიანი სარია დარკობილ

¹ შაოდენი—მწყემსის სახელი.

² თიფუ—მწყემსების ბინა.

³ ყველას, ევროპიულს თუ რუსულ ტანისამოსში გამოწყობილს, აქ „ჩინონიკს“ (ვითომ-მოხელეს) ეძახიან.

და ზედა ჰკიდია მწყემსების თოფები და ხალთები, რომლებშიაც მათი ნივთები აწყვია: თითო ხელი საცვალი, ნემსი, ძაფი, ღვედი, სადგისი, თოფის წამალი, ტყვია და ზოგჯერ წამალი, ავადმყოფ საქონლის მოსარჩენი¹. მოშორებით ოთხი ბორჯღლიანი მაღალი სარია, გარდი-გარდმო ლატნები აქვს გახარისხებული და ზედ აწყვია: ხის ლანგარი, ჩაყები (მაწვნის სახვრები ხის ქურქელი), ხის კოვზები და ქყლინტი ყველი. გვერდებზე ჩამოკიდებულია თუჯის ქვაბი. ქვეშ, მიწაზე, გამწკრივებულია მაწვნის შესადედეგელი დიდი ხის ქურჭლები, რომლებიც ორ-ორ კოკა რძეს ჩაიტევენ თავისუფლად და რომელთაც „ბუყუნ“ ჰქვიათ აქაურულად. ამ ზემოაღწერილ თავისებურ ბუფეტს აქ „აშვამკათ“-ს ეძახიან.

აშვამკათის გვერდით მეორე ჰუშტაა გაკეთებული, სადაც მძიმე ბარგი აწყვია: უნაგირი, მარილი და სხვა. ამაზე აწყობენ წვიმის დროს ყველაფერს, რის დასველებასაც ერიდებიან. გაავდრება აქ ალამად იცის. მოკრიალებულ ცაზე მჯილის ოდენა ღრუბელი გამოჩნდება, თვალის დახამხამებაზე გაიზრდება, იელავს და თან კოკისპირულ წვიმას წამოუშენს. სულ ბევრი, ათი-თხუთმეტი წუთი გაგრძელდეს ასეთი წვიმა, სამაგიეროდ ქვეყანა წყლად იქცევა, მთა სულ ერთიანად ჩამორეცხება. ასეთი წვიმის მოახლოვებას მწყემსები ალღოთი შეიტყობენ ხოლმე. მაშინათვე ერთი ფაცაფუცი შეუდგებათ, თავიანთ გულებს და სხვა რაგინდა-რას თავს ერთად მოუყრიან, დააწყობენ ჰუშტაზე და ზედ კვახჩებს (თხის ტყავებს) დააყრიან, რომ წვიმამ შიგ არ გაატანოს.

ბარგი, ავად თუ კარგად, დასველებას გადარჩება, მაგრამ მწყემსებზე საცოდავი ამ დროს სულიერი არსება არ იქნება. რაც ძალა აქვთ, იფუფნებიან მოკლე, გახეხილ ადგილობრივ მოთელილ ნაბდებში, მაგრამ წვიმა ორი წუთის განმავლობაში შიგ ატანს და მწყემსს პერანგი არ შერჩება ხოლმე მშრალი. რო გადაიღებს, ცეცხლი უკვე ჩამქრალია და ორი-სამი საათი უნდა, სანამ ხელმეორედ ცეცხლს გააჩენდნენ და დასველებულ ტანსამოსს გაიშრობდნენ.

¹ აქაურ მწყემსებში გავრცელებულია ავადმყოფი საქონლისათვის ორნარიო წამალი: ერთი თურქულისა, და საზოგადოდ, იარების მოსარჩენი და მეორე საქონლის კირის წინააღმდეგ.

იარების წამლად ერთი მცენარის ძირსა ხმარობენ, რომელსაც „ძირტკილას“ ეძახიან ამ მცენარეს მსხვილი ძირი აქვს; მიწიდან რომ ამოიღებენ, ახმობენ, მერე, როცა დასკირდებათ, ჩამოფეხვენ დანით და დაიარებულს ადგილას დააყრიან. საღვინფეციო თვისება აქვს. მატლი, ან როგორც აქ ეძახიან „თელი“ (ე. ი. მთელი, სულიერი არსება) არ გაუჩნდება იარაზე, თუ ამ წამალმა მოუხწროვო.

საქონლის კირის საწინააღმდეგოდ ერთ პატარა ცხოველს ხმარობენ. ამ ცხოველს აფხაზურად ფ შ ი ძ ა (ე. ი. ლამაზი) ჰქვიათ, პატარაა, მუცელი თეთრი აქვს, ტანი—ყანჯის ფერი, ტანის სიგრძე კუდიანად 20 სანტიმეტრი აქვს, ხოლო კლერს მარტო 4 1/2 სანტ. ფრჩხილები ჩიტის კლანჭებს ნიუგავს, ხეზე ცეცხვით იცის გასვლა; საშინელი მარდია და, ამასთან, ძნელად მოსაკლავი. როცა საქონელს კირი გაუჩნდება, ამ ფშინას ხორცს გარეცხენ და ნარეხს წყალს საქონელს დააღვებიან. ამბობენ ძალიან რაგებსო.

თვითონ მცხოვრებნი აქაური კარვებისა, როგორც ლაღნი შეიღნი ლაღის ბუნებისა, მეტად ტანმრთელნი არიან. უმეტესობა მათგანი ჩამკრევილია, ლოყა-წითელი. ავადმყოფობა აქ ნიადაგს ვეღარა ჰპოულობს ფეხის მოსაკიდებელს. ყველას კმაყოფილება ეხატება სახეზე. მადლიერნი არიან სიცოცხლისა და ბუნების წიაღზე თავის საყვარელ და სულზე სარჩევ საქონლის გვერდით შეჭხარაიან მზის ამოსვლა ჩასვლასა, მთვარის კაშკაშსა, ვარსკვლავთ ციმციმსა; სტკებებიან სულმუდამ ლურჯ-მოციალე ცის ყურებითა, ხავერდისებურ ნიადაგზე სიარულითა, მთის ნიავის სუნთქვითა.

კარვის უფროსი მაშინათვე ვახშმის თადარიგს შეუღდა. ბრძანა, ჩემს პატივისცემად საკლავი დაეკლათ¹. თვალის დახამხამებამზე თხა გაატყავეს, მერე კერას იქით-აქეთ ორკაპიანი ჯოხები ჩაარქვეს, ზედ ჯოხივე გასდეს გარდიგარდმო და იმაზე ხორცით სავსე ქვაბი დაჰკიდეს. საღამოს 8 საათზე ვახშამი მზად იყო, ე. ი. ხორცი მოიხარშა.

ჯერ მთვარე არ ამოსულიყო. ცოტათი ბნელდა. ერთმა მწყემსმა სამასრედან კვარი ამოიღო² და იმითი გაგვინათა სუფრა. ყველანი მოკეცილები ვსხედვართ კვახჩებზედ, წინ გვიშლია ხის ფოთლიანი შტოები, რომლებზედაც კერძაულმა³ ყველას სათითაოდ მოზრდილი ნაჭრები დაგვიწყო ახლად მოხარშული ხორცისა, ერთ ფურცელზე ხორცისათვის სანღლებელი დაგვიდევს, პიღბილისა, მარლისა, პრასისა და ოხრახუშისაგან შემზადებული. სანამ უფროსმა არ აიღო პირველი ლუქმა, სხვები იმას შესცქეროდნენ და ჰამა არ დაუწყიათ. ერთი პატარა მწყემსი ანთებული კვარით თავს დაგეტრიალებდა და მე და ჩემს მდინახეთ სუფრას გვინათებდა. ყველანი ცარიელ ხორცს სანღლებელს ვაწებდით და ისე შევექცეოდით. ხორცს არა უშავდა, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ნახარში უკეთესი უნდა ყოფილიყო და ვთხოვე, არ გადაღვარონ-მეთქი. თხოვნა ამისრულეს, მაგრამ დამცინეს კია, რუსეთში იქნება გაზრდილი, რომ ხორცის ნახარში მოითხოვაო. აქ ხორცის ნახარშს არა ხერებენ, მყეფარეს გადაუღვრიან ხოლმე მრგვალ ხისაგან ამოღრუტნულ როფეში.

ხორცის ჰამას ვათავებდით, თიფუს უფროსმა ერთი ნაჭერი თავისი არჩივისა კერძაულს გაუგზავნა მადლობის ნიშნად. დანარჩენებმა უფროსს მიჰბაძეს; მეც, რა თქმა უნდა. ამგვარად ნათავაზევი ხორცი ბლომად შეუგროვდა კერძაულს. ყველა ნეშოზე დააწყო, ხელში დაიჭირა, წინ წამოდგა და ყველას მადლობა გადაგვიხადა, თქვენი ნახელავი გაისასაცო! კერძაული, სანამ ჩვენ ვისხედით, არ დამჯდარა, სულ თავს გვედგა, საქმელი არა დააკლდეთ-რაო.

¹ საკლავის დაკვლა უდიდეს პატივისცემის ნიშანია.

² აქაური მწყემსები კვარს მასრასავით სოლიან და სამასრეში ატარებენ, რომ საჭიროების დროს ხელად ამოიღონ ხოლმე.

³ ყოველს კარავს თითო უფროსი ჰყავს და თითო კერძაული. უფროსს მთელი კარვის ავ-კარგი ვკითხება, ხოლო კერძაულს ბუფეტი აბარია და საქმელ-სასმელის განაწილება იმას ვკითხება.

ხორცის შემდეგ ახლადამოღებული ყველი მოგვიტანეს. თითოს ნახევარ-ნახევარ გირვანქაზე მეტი გვერგო, ზოგი ისე ვჭამეთ, ზოგიც შეგვიწვეს.—გემო გამოეცვლებოდა. ყველს მაწონი მოჰყვა, ჩაყვებში ჩასხმული. თითო ჩაყვაში თითო ჩარქვა მანც ჩავიდოდა, სულ უკანასკნელი. მე კოვზი მოვითხოვე მაწვნის სახვრეპად, ისინი-კი პირდაპირ მოიყუდებდნენ და უკოვზოდა ხვრეპდნენ. როგორც იყო, ჩაყვა ნახევარზე დავიყვანე. ყველამ გაიკვირა, ეს რა ცოტა მიირთვაო! თუ ცოტა ხანი მოვიგვიანდათ ჩვენთან, თქვენც ჩვენსავით შეეჩვევით ბევრი საქმლის ჭამასაო. იმედი გაუმართლდათ: ოთხი დღის შემდეგ ჩემს ჩაყვაში ქობა არა რჩებოდა მაწვნისა. ნავახშმევს ყველას ზელი დაგვაბანიენს და პირი გამოგვარეცხინეს.

როგორცა ხედავთ, ვახშამი ისე გათავდა, ღომი არ გვიჭამია, ცარიელი ხორცისა და ყველის მეტი. ღომი აქ ნატურის საგანს შეადგენს და იშვი-ათად ამშვენებს მწყემსების სუფრასა. ერთი კი, როცა პირველად ამოვ-ლენ ბარიდან, თან წამოიღებენ რამდენიმე ქილა სიმინდის ფქვილს და ერთი კვირის განმავლობაში ხარშავენ ღომსა და მერე კი მთელი ზაფხული ცარიელ ყველსა და მაწონზე გადადიან. ათასში ერთხელ მთიდან ბარში ჩასული და უკან დაბრუნებული მწყემსი თუ ამოიტანს გამომცხვარ მჭადსა. უნდა უყუროთ, რა სიხარბით დაესევინა! ერთი ასეთი შემთხვევის მოწა-მე მე თითონ ვიყავ შემდეგში. მწყემსები თორმეტამდე იყვნენ. გასკრეს მჭადი და თითოს ორ-ორი თითის დადება-და ერგო. ისე სჭამდნენ ყველ-თან, როგორც ბარად ყველსა სჭამენ მჭადთან ან ღომთან.

ამიტომ, ადვილად მიხვდებით, რა სასოებით შეექცეოდნენ ჩემგან ატა-ნილ ორცხობილას... პირველ ღამეს ყველას თითო-თითო დაურიგე. მათს მადლობას საზღვარი არა ჰქონდა. მეორე დღეს, როცა სეირნობის შემდეგ ბინაზე დავბრუნდი, ჩემი ხურჯინი გავსინჯე, სამოციდან ერთიც არ იღო წამლად. პატარა მწყემსებს ისე გაუტკბათ თურმე, რომ ჩემი გულკეთი-ლობით უსარგებლნიათ (მანც არ გაგვიწყრებო!) და უბოლიშოდ სულ ამოელაგებინათ. მთელი დღე ახრამუნებდნენ მთის ლადა-ლუდაში, არავინ დაგვინახავსო. დავლონდი ცოტათი, ცარიელ მაწონს რა მაქმევს-მეთქი! მაგრამ გვიან-ლა იყო, თითზე კბენამ ვერა-რა მარგო. ესთქვი,—ბარად დაწყობილი გეგმა მთაში არ გამოადგება კაცსა-მეთქი,—და ამით ვინუ-გეშე თავი.

მეცხრე საათი იქნებოდა. ყველანი ძილის თაღარიგს შეუდგნენ. მე, პატივისცემის ნიშნად კარვის უფროსმა თავისი ჰუშტა დამითმო და ზედ კვახჩები გააშლევინა. ძალიან მაგარი დასაწოლი იყო, ქიგოებმა ფერდე-ბი არ შემარჩინა, ზოგი ხორკლიანი იყო და უსულღმერთოდ მჩხვლეტდა, მაგრამ ასეთ ტახტისათვის ზენაარსს მადლობასა ვსწირავდი. ზედ საზამ-თრო საბანი და საზამთროვე გვაბანაკი წავიხურე, თავთ უნაგირის ბალიში

ამოვიდე და დასაძინებლად მოვემზადე. ახალგაზრდებმა ცეცხლი წაიღეს და მოშორებით დაწოლილ თხებს გარს შემოუწვენენ. ბინაზე დარჩენილებმა ტყავის ქალამნები გაიხადეს, შორი-ახლო მიწაში ჩაფლეს, რომ, ერთის მხრით, დარბილებულიყვენ და, მეორეს მხრით, ქოფაკებს არ შეეკამათ. ქვეშ იმათაც კვახები ამოიდეს, გაეხვიენენ თავიანთ მოკლე ნაბლებში და ცოტა ხნის შემდეგ ხვრინვა ამოუშვეს.

ძნელად დამავიწყდება ეს პირველი ღამე მთაში. აქეთ-იქით მთის მწვერვალნი ჩარჩოსავით შემოგვკროდა. ვარსკვლავებით მოკირწყლული ცის სივრცე ზედ დაგვეყურებდა. გაბადრული მთვარე ამ ვარსკვლავთკრებულს შორის მისცურავდა და სხივნი მისნი ნაირ-ნაირად სცვლიდნენ მიდამოსა: ღამის მნათობის ჩრდილი ხან ერთი მთის ფერდს გადაეფინებოდა და ხან მეორეს, და საოცნებო სახე ეძლეოდა ყველაფერს. დიდხანს, სულ დიდხანს ვსტებებოდი ამ სურათითა, სულითა და ხორციით ვისვენებდი. გრილი ნიავე, ჯიშთებით¹ ამოვსებულ ხევიდან წამოსული, ჩემს სახეს ოდნავ ჰკაწრავდა.

ყველამ დაიძინა. საიდანღაც დათვი გაჩნდა. ყურებდაცქვეტილმა ქოფაკებმა დროზე გაუგეს და ყეფა ასტეხეს. მათს ყეფაზე მწყემსებიც აიშალნენ და გააბეს ყვირილი. მანამდე არ დასცხრნენ, სანამ ცხრამთა არ გადაალახვინეს ავის განზრახვით მოსულ „უწმინდურსა“². ღამეში ხანდახან რამდენჯერმე დაუფრთხობს ხოლმე ძილს მწყემსებს მგელი თუ დათვი.

¹ ჯიშთი—ხევიში ჩარჩენილი თოვლია. როცა უნდათ ხორცი დიდხანს შეინახონ და არ გაუფუჭდეთ, მწყემსები ამ ჯიშთებში ჩაფლავენ. ჯიშთი მთაში მწყემსებისათვის საყი, ხელეს მაგიერია.

² დათვს აქ ორი სახელი ჰქვია: თუნთი და უწუნდური (უწმინდური). საზოგადოდ მავნებელ სულდგმულთ აქ ორნაირი სახელი ჰქვიათ: ერთი—ნანდვილი და მეორე მოგახილი. ცდილობენ, ყოველთვის მოგონილი სახელი დაუძახონ ხოლმე ამგვარ სულდგმულთ, იმიტომ რომ,—ამბობენ,—ნანდვილი სახელი რომ დაეუძახათ. ეგონება—აგვიძახიანო. მოველენ და დაგვახიანებენო. მგელს, დათვს, ტუოას მებრულად საერთოდ უშინუ (უხსენებელი) ჰქვია, ე. ი., ისეთი არსებანი, რომელთა სახელის თქმა არ შეიძლებაო.

ქროთდ, დათვს, როგორც ზევითაცა ვსტევით, „უწუნდური“ (უწმინდური) და „ბურღინა“ (მობურტყულე) ჰქვიათ. მელას—„მადეძვალე“ (ჩაქჩაქით მოსიარულე) და „უტუ-უნაშუში მაჭომალი“ (უწვე-უნხარშავის მჭამელი ტუოას — აკალი-ჭელი“ (ველ-დაწყველილი) და „მოცკეცკეალე“ (ცუცუნა). გველს—„ურალარათში“ (შვილართინი) და „თული ვილესარგალუი“ (მირს რომ დაეთრევა). თაგვს—„კულდელამი“ (კულდანი) და „კიბირმოჭკადილი“ (ქბილ მოჭედილი). ჭიანჭველას—„კუნებტხილი“ (წელმოტხილი). თავესა და ჭიანჭველას გამოცვლილ სახელებს ქალები განსაკუთრებით მაშინ უძახიან, როცა აბრეშუმის ჭია უსხედთ და თანაც დაატანენ: „ოშ გელოშ ვიშო“—ას მთის იქით. ე. ი., ასის მთის იქით მისი (ცხოველის სახელი) თავიო! ქოროს—„ყინ-მალუ“ (ზევით, ე. ი., ცაში მოსიარულე) ჰქვიათ. ყვავის—„დუდ-უჩა“ (შავ-თავა)-მატლს—სამ ნაირ სახელს ეძახიან: „ოკიშიშ ნაზიმალი“ (ზურგის შოწელი), „თელი“ (მთელი, ცოცხალი) და „შურდგმული“ (სულდგმული). თუ საქონელს იარაზე მატლად გაუდა, განსაკუთრებით მაშინ ერიდებიან მატლს ნამდვილი სახელი დაუძახონ. ქათმის ქირს „ივანია“ ჰქვიათ მეგრულად. თუ ქათმებს დაერია, იტყვიან, ჩვენს ქათმებს „უსახელე“ (უსახელო) დამეპართაო.

გარდა ამისა, თუ ნადირმა რამე ზიანი მოგაყენათ. ან აბრეშუმის ჭიას თავგი და ჭიანჭველა დაეხვია, ან და ქათმები და საქონელი ჭირმა გაიწყვითათ, სხვის სახლში თქვენს გაჭირვებას ვერ იტყვით. ვითომ, რაც თქვენ გადაგზდათ თხეზე, ვისაც უთხარით, მათგადაეფიანო. თქვენი ლაპარაკის შემდეგ თუ რამე მოუვიდით, იტყვიან (თქვენზე): „მხარით შოტანა (მარცხი) და დამისეაო“.

აჰა, ინათა. სიბნელემ სინათლეს დაუწყო ბრძოლა. სიცივე უარესად გვკბენს. ხუთის ნახევარზედ უკვე ფეხზედა ვართ. დაგუგუნებულს ცეცხლს ძალზე ვეტანებით. ღამის სინათლე შეჭრთა. ერთბაშად ნათელი მოეფინა ქვეყანას. აღმოსავლეთი სისხლის ფერად შეიღება. შორს, უმტვერო თოვლით გადაპენტილ მთის მწვერვალებს სხივი მოხვდა მზისა და ათასფერად ააბრჭყვიალა. ამასობაში, ამოიზიდა დიდებით და ძლევამოსილებით მორჭმული მნათობი, უხე-სხივიანი, და პირველი სიბზო გამოუგზავნა მისს მაღიდებელ ქვეყანას. ბამბის-ქულა ნისლი შეკრთა; თავი აარიდა მინდორსა და მოდუღუნე ხევისაკენ გაიპარა, დარცხენილი. დიდამიწამ მზის სითბოს თავისი, ალპიური ყვავილების სუნით შეზავებული, სუნთქვა შეუერთა. ღამის სიცივისაგან მიბნედილმა, სულგანაბულმა, უმანკომ, მთის მასურათებელმა ბალახ-ყვავილმა გამოიღვიძა, სახეზედ უსახლგრო ტრფიალება გადაეფინა, კოპწიად თავი მაღლა აიღო და არშიყობა დაუწყო მზესს. დილის ცვარმა, ბალახზე შესკუპებულიმა, მზეზე მარგალიტით ბრჭყვიალი დაიწყო. საქონელიც აიშალა, მათს ბლავილს შორს მთამ მისცა ბანი.

იქავ ყინულოვით ცივ წყაროზედ ხელ-პირი დავიბანეთ და საუზმეს შევეუდექით. ისევ ის მაწვნით სავსე ჩაყვა, ისევ ის კყლინტი ყველი, ისევ ის ქიფური!..

საერთო ცნობისმოყვარეობის საგანი გავხდი. ბინის უფროსმა ბოდიშის მოხდით მკითხა:

— უკაცრავად კი ნუ ვიქნები, და თქვენ „ჩინონიკი“ ხომ არა ბრძანდებით?

— არა.

— „პისერი“?.

— არც „პისერი“.

— იქნება, გამოქცეული ვინმე ხართ (ყაჩალი თუ?) და მთაზე დამალვა გინდათ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სანამ ჩვენთანა ხართ, თავზე ერთი თმაც არ მოგაკლდებათ მტრის ხელიდან. გამოქცეულები და დაპირვებული დაფარვა მწყემსებმა ვიცით! უმალ ჩვენ გავწყდებით, სანამ ჩვენი კარვის სტუმარს¹ ცუდს რასმე შევამთხვევთ!..

— გაზეთს „აკეთებსო“. — გამომიხსნა გაპირვებისაგან ჩემმა ჩიჩრონე—გუძამ.

— მაშ, რაკი გაზეთის „მკეთებელი“ ბრძანდები, ჩვენი გაპირვება მაფას² შეატყობინე, შეღავათი რამ გვიწყალობოს, ბევრი გადასახადი გვაწვეს. — მთხოვა ჩემმა სტუმართმოყვარე მასპინძელმა.

¹ თუ ერთი ღანე გაათიეთ მწყემსთან. მერე მისს მოკეთედ ითვლებით. თქვენის გულისათვის, საჭიროების დროს, თავს დანდებს.

² ე. ი. მეფეს.

მასსოვს, რაღაცა ორაზროვანი ნუგეში ვეცი.

მაინც ვეცდები, რაც რამე ვნახე მათთან ყოფნის დროს, ან გავიგონე, თუ მაფას არა, მკითხველს მაინც გაუზიარო.

VII

აფუნი.—ილაღები. საქონლის ძოვების წესი.—ძველი და ახალი დრო მთაზე.—მერძობა: ნაწი, დვრიტა, ყველი, ქიფური, მაწონი.—ერბო-კარაქის კეთება არ იციან—მატყლი, როგორც წყარო აქაური მკვიდრის შემოსავლისა.—საკლავი საქონელი.

საქონლის მოშენებას (განსაკუთრებით წვრილფეხა საქონლის) სამურო-ზაყანოში მთის კალთებზე მდებარე სოფლების მკვიდრნი მისდევენ. ასეთი სოფლები სულ შვიდია: საბერიო, დინა-ზურგა, რეჩხი, ღუმურიში, ოქუმი, ჩხორთოლი და ბეღია. როცა მზის სხივებს სიცხოველე მოემატება და მთაში თოვლი დაიძვრის, ე. ი. როცა „აფუნი“ (მთაში წასვლის დრო) დადგება, რამდენიმე ხწყემსი ერთმანეთს შეჰპირდებიან, ერთ ფანიად (ერთ ოჯახად, ერთ კარვად) შევერთდეთო. მერე ერთი-მეორეს თავიანთ საქონელს აშინჯვინებენ, — ნახეთ, მთელი საქონელი მყავს, თუ გასარევი ვარ, გამირიეთო. თითოეულ ამხანაგს ზოგს 100 სული თხა ჰყავს და ამდენივე ცხვარი, ზოგს—50 და სხვ. რაკი ერთ ფანიად შედგებიან, საერთოდ ირჩევენ სარქლად ერთ გამოცდილ, სიტყვა-პასუხიან მწყემსს, რომელსაც მთიდან ჩამოსვლამდე დანარჩენები ყველაფერში ემორჩილებიან, როგორც უფროსს. უიმისოდ ფეხს ვერ გადადგამენ, ის არის მათი ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი.

სანამ მთის გზას შეუდგებოდნენ, ყოველი მწყემსი თავის მოვალეობად ჭათელის ილორის წმ. გიორგის (აფხაზეთშია, ოჩამჩირეს ახლო) შეავედროს თავისი თავი და საქონელი: შენი წყალობა გაგვატანე, თუ უვნებლად ჩამოგვიყვან ჩემი საქონლითა, შენს კარზე (ილორის ეკლესიაში) კერძს დაგიკლავო.

სამურზაყანოელებს უფრო მახლობელ მთებზე მიუღიო საქონელი, ანაბრია, აცვილარა, აკიბო, აიცი, ჰარვა, ბაშკაფსარა, არმუე, ჯოლორძაგა, ხაკენი, თენგიზ-თიფ, ფაშვი-თიფ, ხოჯელი—ყველა კარგ საძოვარ მთებად ითვლება, თუ გვიანი ზამთარი არ იქნა.

ზემოდასახლებული საძოვარი მთები სახელმწიფოა. ადგილობრივი თავადიშვილები მელიტონ ემუხვარი და სხვ. საზინისაგან იჯარით იღებენ ამ მთებს და მთის სივრცის მიხედვით იხდიან იჯარის ფულსა 200—400 მანეთამდე თითოეულ მთაზე. ესენი, თავის მხრივ, მწყემსებს აძლევენ აქ საქონლის ძოვების ნებას. თითო სულ ცხვარზე ახდევინებენ ორშაურსა, ხოლო თხებს უფასოდ აძოვებინებენ, რადგან მთაში უთხოოდ გაძლება არ

შეუძლიათ მწყემსებსა. ზაფხულობით მთაზე ცხვარს არა წველავენ, რადგან ჯერ ერთი, ბინები არა აქვთ და არც ცხვრები ნებდებიან საწყველად. თხა არის მთაზე მწყემსის მარჩენალი. უმისოდ ერთ დღესაც ვერ გასდლებენ. ამიტომ, თხას მწყემსები მთის „ბალ-მარანს“ ეძახიან. მეცხვარეების გარდა მთაზე მეძროხეებიც ამოდიან. თითოეულ ძროხაზე ხუთ შაურს იხდიან საძოვრისას.

მეწველ საქონელთან ერთად მწყემსებს მთაზე ცხენებიც ამოუდით გასასუქებლად. სამურზაყანოში იშვიათია მოსახლე კაცი, რომ ცხენი არა ჰყავდეს. მთელ ზამთარს ხედნიან და გაზაფხულის პირზე მწყემსებს აბარებენ მთაზე წასაყვანად. ცხენის თავზე მწყემსი გასამრჯელოს თითო მანეთს იღებს პატრონისაგან. ამ ფასში ვალდებულია მთაზე ყური უგდოს ცხენსა, რომ კარგად გასუქდეს, არსად კლდეზე არ გადაიჩიხოს და მარიამობისთვის გასულს ისევ პატრონს ჩააბაროს მთელი, უვნებელი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მთაზე ყოფნის დროს ცხენი კლდეში გადაიჩიხება. ამ შემთხვევაში მწყემსი ვალდებულია პატრონს მკვდარი ცხენის ტყავი მოუტანოს ნიშნად იმისა, რომ ცხენი მართლა მკვდარია და არა მოპარული, ან გაყიდული. მაშინ მწყემსი პატრონს არ უზღავს ცხენის საღირასს.

არღისულად სამურზაყანოს მთებზე ყოველ ზაფხულს 30,000 სული ცხვარი ამოუდით, 1,500 თხა, 1,000 ცხენი და 500-ზე ცოტა მეტი ძროხა თხის ჯოგს მწყემსები მალალ მთებზე არ ერეკებიან. უფრო დაბალ მთებს ეტანებიან საბალახოდ, სადაც საზღვარია ტყისა და ალპიური მცენარეებისა. განსაკუთრებით, იმ ადგილებს არა შორდებიან, სადა წყავია ბლომად. თხა ამ ბუჩქის ფურცელს ძალიანა სძოვს. თავშესაფარ კარგებს თხის მწყემსები არ იკეთებენ, თუმცა ხე-ტყე ყოველთვის სამყოფადა აქვთ,—დავიდარაბა ეზარებათ. სხვათა შორის, მათი უბინაობის მიზეზი ისიც არის, რომ ერთ ალაგას ფეხს არ იკიდებენ ბინადრებად; სულ ბევრი, 10 დღე გააჩერონ თხები ერთ ალაგას. თიფუს (ბინის) ცვლა და უკეთეს საბალახო ადგილის ძებნა ძალიან უყვართ. მეძროხეები უფრო არიან ბინადრები; ერთ ალაგას მთელი თვეობითა ჩერდებიან და კარგებიცა აქვთ. სულ სხვაა მეცხვარის საქმე (თხასა და ცხვარს ცალ-ცალკე აძოვებენ), რომლებიც სულ შიშველ მთაზე მიდიან, სადაც ალპიური ბალახის მეტი არაფერია. იშვიათად შეგხვდებით იელი (*Rhododendron caucasicum*), ისიც მეტად დაგვალულია, ნახევარი ადლი-ლა თუ აქვს სიმაღლე. საკარგე მასალა არსად იშოვება. ერთხელ მოჭრილი სააშვამქათო სარები ერთის ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. შეზად მარტო იელსა ხმარობენ.

აქაურ მთებს, გარდა იმისა, რომ ზედ საუცხოვო საძოვარი ადგილებია, ის კარგი და მწყემსთათვის სახარბილო ღირსებაცა. აქვთ, რომ

შათი საქონელი აქ უზრუნველყოფილია ქურდობაცაცებისა და აკლებისაგან. ახლაც გულისწვით იგონებენ მწყემსები იმ „ომარ-ხანობის დროსა“, როცა ეს მთები ასპარეზი იყო ცალკე სვანებისა და ცალკე აფხაზების თავგასულობისა. მარშინის გვარი ადრე რისხვასა და შიშის ზარსა სცემდა მთელს მწყემსობასა. 20—30 კაცი თავზედად დათარეშობდნენ ზაფხულში მთებზე და მეცხვარეების ავლადიდებას ანიავებდნენ. ეს უკანასკნელნიც ცდილობდნენ ისე ადვილად არ დაეპოთ მტრისათვის წვითა და დაგვით ნახარდი საქონელი. იმართებოდა ჩხუბი. დათრგუნვილი და დარბეულნი უმეტეს შემთხვევაში, მშვიდობისმოყვარე მწყემსები რჩებოდნენ. საქონელთან ერთად დამარბეველებს ხშირად მწყემსებიც მიჰყავდათ ტყვედ. დღეს კი სამურზაყანოს მთებზე მეცხვარენი იმას-ღა ცდილობენ თავიანთ საქონელს კარგი საძოვარი ადგილები აურჩიონ და ეს საძოვარი ადგილები სვანეთის საზღვარზე ახლოს იქნება თუ შორს ამის დარდი არ აწუხებთ.

მერძეობა აქ მამა-პაპური წესითა სწარმოებს. ამ მხრივ სამურზაყანოს მწყემსებს არავითარი წინსვლა და წარმატება არ ეტყობათ. ისევე ის იარაღები, ისევე ის უნაგარიშობა, რაც 30—50 წლისა და კიდევ იმის იქით იყო.

თხებს დღეში ორჯერა სწველავენ: შუადღისას და საღამოს. რძეს ასხამენ სპილენძის ქვებებში, რომლის თავზე ორჯოხია გადებული და შუაში ხის ქერქისაგან, ოთხკუთხ კოლოფის მსგავსად, გაკეთებული საწურავია რძისა. ქვეშ ამ საწურავს გვიმრა უფენია სქლად. ამ საწურავში გატარებულ რძეს ნახევარს ჯერ ადულებენ და მერე მაწვინად ადებდნენ დიდს ბუყუნებში. მერე ნახევარს ყველად აკეთებენ. ყველის დედად აქ ძროხის, ლორის, თნის ან ცხვრის კუჭსა ხმარობენ, რომელსაც „ნაწი“ ჰქვიათ აქაურულად. უპირატესობა ლორის კუჭსა აქვს, სანაწი ქურჭელში ყველაზე დიდ ხანსა სძლებს.

საინტერესოა ამ ნაწის მომზადების პროცესიცა: დაკლულ საქონელს ამოაცლიან კუჭსა, კარგად გარეცხავენ, შემოაცლიან გარსს და სამი-ოთხი დღე მარილში ჩაფლავენ. მერე გამოიღებენ და სხვენზე, კერიის თავზე დაჰკიდებენ გასაშრობად. როცა კარგად გახმება, შეიძლება მისი ხმარება სამი თითის დაღება ნაჭერს მოსჭრიან და ჩააგდებენ მწარე გოგრისაგან გაკეთებულ ქურჭელში, დაასხამენ შრატს, მიუმატებენ სამიოდე კბილ მარილს და ხუთიოდე პატარა ნაჭერს ლელვის პატარა ტოტისას. შიგ ურეგია აგრეთვე შაშხის ან ლორის ძვლი. ასეთ ძვალს ჯერ სხვენზე შეაგდებენ და იქა გდია, სანამ კარგად არ გახმება. ნაწი მზადაა. ხმარების წინ ლელვის ჩხირით აურევენ და მერე ჩაასხამენ ყველად შესადებებელ რძეში. ყოველ დილა-საღამოს ახალ-ახალ შრატს ჩაუმატებენ სანაწი ქურჭელში ნაცვლად დახარჯულისა. გარდა ამისა, ყოველ კვირა სამ-სამ კბილ მარილს ჩააგდებენ.

როგორც ზევითა ვთქვით, ღორის ნაწი ძროხისას სჯობია,—უფრო გამძლეა. როცა კარგი ნაწი უნდათ, ეცდებიან ღორი მთვარის დაბერებისას დაჰკლან, როცა ბნელი ღამეებია (უკუშელა). ღორს რომ გაფუფქავენ, პირველად ნაწს ამოიღებენ, ზემოაღწერილის წესით დაამარილებენ და შეინახავენ. მხოლოდ,—ამბობენ,—მარილმა მანამდე უნდა უკბინოს ნაწს, სანამ დაკლული ღორის ხორცს გემოთი ნახავდეს პატრონო. ეს აუცილებელი პირობაა, თუ გინდათ ნაწი კარგის ღირსებისა გამოგივლიდეთო.

არის კიდევ ერთნაირი ნაწი, რომელიც ყველას სჯობია და, ამასთან, ყველაზე ძვირია. ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული „ქვეცერე“, ანუ ქართულად—დვრიტა. მხოლოდ დედის რძით ნაკვებ ბატკანს ან ციკანს რომ დაჰკლავენ, კუჭიდან ამოუღებენ აყველებულ ხსენს („ქვეცერე“), გაახვევენ რაშიმე და შეინახავენ. როცა დასჭირდებათ, თითო ბეწოს რძეში გაურევენ და ისიც აიკრება.

ნაწისაგან აპირილ რძეს ქვაბიდან ყველის ამოღების წინათ ცოტა გაათბობენ ცეცხლთან. ამოღებულ ქვლინტ ყველს აშვამკათზე შესდგენ მალა, რომ ძაღლები არ შეწვდნენ. ასეთი ამოღებული კვერეული ყველი მწყემსებში დიდ ხანს არ რჩება: ორი-სამი დღის განმავლობაში იხარჯება, რადგან ღომის მაგიერადაც იმასა სჭამენ და ყველის მაგიერადაც. სულუგუნად (გადაზელილი ყველი) თბის მწყემსები ქვლინტ ყველს არ აკეთებენ. თუ აკეთებენ, ისიც თითო-თითოს, შინ წასაღებად.

ყველის ამოღების შემდეგ შრატისაგან მთაში არაფერს აკეთებენ, პირდაპირ ძაღლებს უსხამენ. ყველის გარდა მწყემსებთან ერთნაირ საქმელს შეხვდებით. ეს არის „ქიფური“, რომელიც ბარად არ იციან. ამ საქმელს ძალიან ეტანებიან მთაში და სულ უბრალოდაც აკეთებენ. მაწონს „ქასლაშში“¹ ჩაახამენ, იქით-აქეთ ყურებში ხელს დაავლებენ და ერთი საათის განმავლობაში აჟანქყარებენ, მერე მზის გულზე დაჰკიდებენ. თუ მწყავე მზეა, 3—4 საათი სამყოფია, რომ მაწონი აღულდეს და ის მარგებელი და საამო მთის საქმელიც მზადაა, რომელსაც ქიფურს ეძახიან.

სულუგუნების კეთებას უფრო მეძროხეები მისდევენ. იმათი ვაკეთებულნი სულუგუნი ერთიდან სამ გირვანქამდე იწონის. ზოგნი საჩუქრად აკეთებენ სულუგუნს, რომელიც 20 და მეტი გირვანქა გამოდის.

კარაქისა და ერბოს კეთება, მსგავსად სამეგრელო-აფხაზეთისა, არც აქ იციან. ერბო სამურზაყანოს დაბებში რუსეთიდან მოაქვთ. ერბოს ეზიდებიან აგრეთვე ლაზები და გირვანქა ორ აბაზად და ხშირად ათ შაურად იყიდება.

¹ გაფხვილი და გუდასავეთ შეკერილი თხიერი.

მწყემსები ბარად ბრუნდებიან მარიამობისთვის გასულს, როცა მთაზე ძალზედ აცივდება და ხშირად თოვლსაც დასდებს ხოლმე. ამ დროს ჰკრეჭენ კიდეცა ცხვარსა. აქაური საქონელი მატყლს ცოტას იძლევა და მდარეც არის, რადგან თითონ საქონელი წვნიკის ჯიშისაა. ერთი კანძი მატყლი ერთი „ქიტა“ გამოდის, ანუ წონით ერთი ლალარკონი (1¹/₂ გირვ.), და ათ შაურად იყიდება, ისიც სოფლად. ოქუმში ძალიან მცირედი გასავალი აქვს აქაურ მატყლსა, რომელსაც დიდს ცილობას უწევს თბილისიდან მოტანილი მატყლი. ლალარკონი ამ უკანასკნელისა აქ 60—80 კაპა დასობს.

მატყლისაგან სამურზაყანოში ნაბდებსა სთელავენ. აქ მოთელილ ნაბადს თითოს ოთხი ქიტა მატყლი უნდება, ასე რომ ნაბდის გამკეთებელს თითონ მასალა (4 ქიტა მატყლი) 2 მანეთი უჯდება. თუ ორი დღის შრომაც, ნაბდის მოსათელად საქირო, დღეში სამი აბაზი ჩავაგდეთ,—ნაბადი დაჯდება 3 მ. და 20 კაპ. გასავალი კი აქაურ ნაბადს თითქმის არა აქვს. ოქუმში ვაჭრები მანეთად ან ექვს აბაზად თუ იყიდიან. უმეტეს შემთხვევაში, ვაჭრები ნაბდებში სოფლელთ საქონელს აძლევენ ფულის მაგივრად: ფართლეულობას, მარილს და სხვ., ისიც რის ხვეწნითა და დავიდარაბით. აქაურ ნაბდებს უფრო დაბალი ხალხი ხმარობს. ვისაც, ცოტათიც არის, თავი მოაქვს, სოფ. ჯვარიდან (ზუგდიდ. მაზრა) მოტანილ ნაბდებსა ჰყიდულობს.

მატყლისაგანვე აკეთებენ საჩოხე და საძიქვე შალებსა, თუმცა დაბალი ხარისხისას. წყთა აქაური შალისა იყიდება შაურად, ყაბალახი—მინეთად და ექვს აბაზად.

აქაური საქონელი დასაკლავადაც იყიდება კარგი ძალი, განსაკუთრებით სალოცავებისთვის. სამურზაყანოში იშვიათად ნახავთ ოჯახსა, რომ წელიწადში სამნაირი სალოცავის სამსახური არ ემართოთ. თითოეულ მათგანს თითო თავი საკლავი სჭირია. ახლა ამას მიუმატეთ მკითხავის რჩევით შეწირული საქონელი! ზოგი მოსახლე-მწყემსი წელიწადში 20 მანეთის საკლავს გაჰყიდის.

VIII

სარწმუნოება სამურზაყანოელ მწყემსისა.—მიქამ-გარიო.—მოის წყალი.—ჩაქუხა.—წყალში ბანაობა აკრძალულია.—მიქამ-გარიოხსტობა.—მთა და მისი თაყვანისცემა.—ნაშთი ასტროლატიისა.—ჯუჯა ხალხი და ადამიანის გაჩენა.

ათასში ერთხელ ულხინს აქაურ მწყემსსა. გაჭირვება განუყრელი თანამგზავრია მისი ცხოვრებისა. ხშირად ხდება ხოლმე მსხვერპლი ულმოზელი ბუნებისა. ამ გარემოებამ აქაური მწყემსი იძულებულყო მფარველი ეძებნა, ძლიერი, უხილავი. მისმა ფრთა-შესხმულმა ფანტაზიამ თავისი მფარველი უზენაეს ძლიერებასთან ერთად ხორციელი ადამიანის

გარდობასურვილით შეჰმოსა. მწყემსი ცდილობს ეგ მისი მფარველი მოისყიდოს, გული მისი მოიგოს ლოცვითა, ტკბილი სიტყვა-პასუხით, საამო ქცევითა და უმეტესად—შესაწირავევით.

მწყემსებრს ყველაზედ დიდ მფარველად მთავარ-ანგელოზი მიქელ-გაბრიელი ითვლება, რომელსაც აქ „მიქამ-გარიოს“ ეძახიან. მეორე სახელიცა ჰქვია—ერგე. მიქამ-გარიო არის პატრონი მთისა, მას მორჩილებენ ცის მნათობნი. უმისოდ მზეს არ შეუძლიან დილას ბალახზე დამსხდა-ის მარგალიტები ნამისა ათასფერად ააბრწყვილას; უმისოდ დამის გუშაგი—მთვარე ვერ ამოვა და საოცნებოდ ვერ დაასურათხატებს ათასი წლობით ნაგებსა და მედიდურად წამოზიდულ ბუმბერაზ მთების მწვერვალებსა და კალთებს; მიქამ-გარიოს ნებაზედაც დგას დარი მთაში, როცა უბინაო მწყემსი ბუნების წიაღზე იძინებს ტკბილად თავის შვილივით ნაზარდ და ნალოლიავებული საქონლის გვერდით; მიქამ-გარიოს ნებაზე არის დამოკიდებული ელვა-ქუხილი და კოკისპირული წვიმის მოსვლა, რომელიც ხანდახან ისე დიდია ხოლმე, რომ, გეგონებათ, მთლად უნდა ჩამორეცხოს კაციან-საქონლიანად მთაო.

ამიტომ, ადვილი ასახსნელია ის მოწიწება, ის კრძალვა, უდიდეს სასოებასთან შეერთებული, რომელსაც აქაური მწყემსები მიქელ-გაბრიელისადმი ჰგარძობენ. ადვილად ასახსნელია ის ზრუნვაცა მისი მომადლიერებისათვის, ზრუნვა მათ თავზე გადმოვლინებული რისხვა-წყრომის აცილებისათვის.

როცა მთაში წვიმს, მწყემსები დიდ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე, გარს შემოუსხდებიან დაერგე-აშვას (ერგე აფხაზურად—მიქელ-გაბრიელი და აშვა—სიმღერა, ე. ი., მიქელ-გაბრიელის სიმღერას ამბობენ). უმღერიან მიქელ-გაბრიელს, აღიღებენ: ძლიერი ხარ, ჩვენ უშენოთ არაფერი შეგვიძლია, შენ გლოცულობთ, შენს წყალობას ნუ მოგვაკლებ, საქონელს ნუ შეგვიწუხებ.

მწყემსის ფანტაზიამ იქამდეც მიადწია, რომ მიქელ-გაბრიელი ხორციელჰქმნა, დაიახლოვა, როგორც კარგი მეგობარი და მფარველი. აქაურ მწყემსებში დაცულია ერთი თქმულება მიქელ-გაბრიელსა და მწყემსზე. როგორც ამ თქმულებიდან დაინახავს მკითხველი, მიქელ-გაბრიელი მწყემსთან მიდის, როგორც მეზობელი ვინმე, ელაპარაკება, იხსნის გაჭირვებისაგან, აფრთხილებს მოსალოდნელი ხიფათის დროს, სახლ-კარს უშენებს, ფულებს აძლევს, მის ყანაში ღვთის თვალს ატრიალებს, ერთი სიტყვით, ანიჭებს ყოველივე სააქაო სიკეთესა, რის ნატვრაც კი შეუძლია მწყემსსა. აი, თვით თქმულებაცა.

მწყემსი ვინმე იყო სამურზაყანოში, უთვალავი ცხვრის ფარის პატრონი. გავიდა ზაფხული, მთაში ყოფნის დრო. მზეს სითბო მოაკლდა, სიცივე დაიჭირა. მწყემსმა თაყვანისცა მთასა¹, დაირეკა ცხვარი და,

¹ როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქაური მწყემსები მთას თაყვანს სცემენ, როგორც უზუნაენს არსებასა.

ცოტა არ იყოს, სიხარულით დაადგა ბარის გზასა. ჯერ ისევ შიშველზე¹ რომ დასაღამოებოდა. წამოვიდა ბოლქვა-ბოლქვად ნისლი, ეს იყო განუყრელი ამხანაგი მთისა და საშინელი მტერი მწყემსისა, შიგ გაპხვია ყველაფერი, გაპხვია მწყემსის საყვარელი ცხვარიცა. შავი ღრუბლებივით დაიხუნწლა ცა. იელვა, ქუხილი მიემატა გულშემზარავი. ცამ პირი მოიხსნა, კოკისპირული წვიმა დაუშვა, თითქო წარლენას უქაღის ქვეყანასაო. მწყხარებით გაიწურა გული მწყემსისა, განსაცდელში ჩავარდა. კენესითა და ნამდვილი მწყემსურის, მშობლიური გულმტკივნეულობით თავი მოუყარა ერთად, დაეყრდნო თავის ლაბაშასა² და შეეცადა ფარისთვის ერთიანად შეეხენდა. იქნება უკანასკნელად ვხედავ ჩემს ცხვარსაო, იქნება (ღმერთო, მტრის გულისას ნუ გამხდომი!) მთლად შთანთქას აბო-ბოქრებულმა ბუნებამ, ერთიც არ გადამირჩინოსო, იქნება მეც თან გადამიტანოსო... იქნება,³ გადავრჩე ცოცხალი, მაგრამ რაღად მინდა სიცოცხლე ჩემი ცხვრის შემდეგ, რად მინდა უბედური თავი უმითოდ, რა გემო ექნება ეულს სიცოცხლესა? არა, თუ დაღუპვა უწერია ჩემ ცხვარსა, ისევ იმათთან ერთად მეც მიმიბაროს ჩემი მთის ცივმა არვა-შებმა (ხრამებმა)“. ელვასავით გაურბინა ამ მწარე, ნალველში ნალესმა ფიქრებმა და თავის უკანასკნელ სახარსა და ნუგეშსა ჩამიბარა. შეევეღრა მთასა, მთის გამჩენ ღმერთსა: ნიხსენ გაქირვებისგან, ნუ დამიღუპავ ამ წვითა და დაგვით, შეილსავით ნაზარდს და ნაამაგვეს ცხვარსაო. თუ ცოცხალს გადაგვარჩენ, ილორის წმ. გიორგის კართან მივალ და ზეარაკს შემოგწირავ შენს სახელსაო.

ბუნება ბოხოქრობდა. თითქო უფრო უმატა სიმკაცრესაო. სასო წარეკვეთა მწყემსსა. მოეშვა სულითა და ხორცითა. უკანასკნელად შეევეღრა თავის მფარველსა — მთავარანგელოზს მიქელ-გაბრიელს: „ერთი თეთრი ვერძი, ერთი კრავი შენთვის შემომივლია, ოღონდ, ჩვენო მფარველო, ჩვენო მხსნელო, გვიხსენ ამ გაქირვებისგან შენი სახელის სადიღებლად“.

უცბად, იმავე სისწრაფით, რა სისწრაფითაც გაავდარდა, გამოისარკა, ღრუბლები გადაიყარა ცაში, თითქო არც კი ყოფილა როდისიპეო. სალი კლდე გაშრა, უმთვარო ცა მოიკირწყლა ციმციმავარსკვლავებითა. ჩამოვიდა მწყემსი სამშვიდობოს, გულდამშვიდებული დაბანაკდა და ცხვრის კრეჟის თადარიგს შეუღდა.

მეორე დილას სამმა ანგელოზმა გაიარეს მის ბინაზე. თურმე თავისი ბინა მწყემსს ანგელოზების საველე გზაზე დაედვა. ეწყინათ. წავიდნენ ღმერთთან და შესჩივლეს: მწყემსს მოუკალათნია ჩვენს საველე გზაზედა და ცხვრის გაკრეჟას აპირებსო. ღმერთმა უბრძანა: მოსთხოვეთ დაპირებული ზეარაკიო.

მოვიდნენ ანგელოზები მწყემსთან და უთხრეს:

¹ „შიშველს“ მთაში მწყემსები ისეთ მთას ეძებნენ, სადაც ბალახის მეტი სხვა მცენარე არ არის.

² მთის ჯოხი მწყემსისა, ბოლო რკინითა აქვს მოჭედილი.

— ღმერთი დაპირებულ ზვარაკსა გთხოვსო.

მწყემსმა შორს დაიჭირა სიტყვა:

— მე მთავარ-ანგელოზ მიქელ-გაბრიელს დაეპირდი ვერძსა და კრავსა და კიდევ შეეწირავ. ვენაცვალე მისს სახელსა, ვერძი და კრავი კი არა, მთელი ფარა რომ მიხოვოს, ყველაფერს თავს შემოვაველებ!

ანგელოზები ხელცარიელნი დაბრუნდნენ. შესჩივლეს ღმერთს მწყემსისა ურჩობა. ღმერთმა უბრძანა:

— თუ ორ დღეში არ აიყაროს მანდედან, მოუვლინეთ წვიმა, თოვლი, ქუხილი და სულ ერთიანად გაუწყვიტეთ ფარა.

მიქელ-გაბრიელი მწყემსთან მივიდა და უთხრა:

— აქედან აიბარგე და მოშორებით სადმე გაიკეთე ბინა.

ხელახლად მოვიდნენ ანგელოზები და ნახეს, რომ მწყემსი აბარგებულ იყო. მიქელ-გაბრიელმა კვლავ ურჩია მწყემსსა: ისევ წინანდელ ადგილას გადადი და ეცადე, ორ დღეში გაჰკრიჭო ცხვარიო. მწყემსმა ბევრი მკრეპავები იშოვნა და ორ დღეში გაჰკრიჭა ფარა.

მთავარ-ანგელოზმა უთხრა: კარგი სასახლე ააგეო.

— სასახლის ასაგები ფული ვინ მომცა?—უთხრა მოკრძალებით მწყემსმა.

— ფულის დარდი ნუ გაქვს. — ანუგეშა მიქელ-გაბრიელმა, — სთქვი, ამდენი ფული მჭირია-თქო, და ფულით მაშინათვე ჯიბე გაგვესება.

მწყემსმა დაასია უთვალავი ხუროები და შვიდ დღეზე სამეფო სასახლე ააგო. ნახეს ანგელოზებმა მწყემსის გაკეთებული სასახლე და ღმერთს ამბავი მიუტანეს. „თუ ერთ კვირაზე თავიდან არ მოგწყდათ, — ბრძანა ღმერთმა, — დააქციეთ მანდაურობაო“. მიქელ-გაბრიელმა გააფრთხილა მწყემსი, — თუ სახლი არ გაჰყიდე, ცუდი დღე მოგელისო.

— ვილა იყიდის ჩემს სახლს, ბატონო?—დაეკითხა წყემსი.

— შენ იმასი ფიქრი ნუ გაქვს. ხვალვე მოვივა იმისი მყიდველი ვაჭარი. რასაც სთხოვ, ჩარჩობას არ დაგიწყებს, მაშინვე მოგცემს.

მეორე დღეს მივიდა მწყემსთან ერთი მდიდარი ვაჭარი და სახლს შეევაჭრა:

— რამდენი მოგცე შენს სახლში?

— ხუთასი თუმანი.

— ინებე!—უთხრა ვაჭარმა და ხუთასი თუმანი მაშინვე დაუთვალა. მოვიდნენ ანგელოზები იმ განზრახვით, რომ მწყემსის სახლი დაეწვრიათ. მაგრამ ნახეს, რომ მწყემსის მაგიერ ვილაც ვაჭარი დაჰპატრონებოდა, რა თქმა უნდა, ხელი არ ახლეს, რადგან მწყემსის ჯავრი სკირდათ და არა ვაჭრისა და უკან დაბრუნდნენ დალონებულნი.

ეწვია მიქელ-გაბრიელი მწყემსსა და უთხრა:

— ვაჭარს გულს ავეტრუებ სახლზე და სულ ჩალის ფასად მივაყიდებ შენთვისაო.

მეორე დღეს მოვიდა ვაჭარი მწყემსთან და სთხოვა:

— მოდი, შენი სახლი ისევ შენ იყიდე, იაფად მოგცემო.

— რა მოგცე?—ჰკითხა მწყემსმა.

— რაც მომიცია, იმის ნახევარს დაგჯერდები.

— არა, მესამედს მოგცემ.—უთხრა მწყემსმა.

მორიგდნენ. მწყემსი თავის სახლში დაბინავდა. ნახეს ეს ანგელოზებმა და შესჩივლეს ღმერთს. „ამას მიქელ-გაბრიელი მიშვრება და ამიტომ მიპატივებია“,—ბრძანა ღმერთმა.

მიქელ-გაბრიელმა პურის დათესვა ურჩია. მწყემსმაც დათესა პური. აბიზინდა ჯეჯილი. მერე თავთავები დაიკეთა. მკის დროც დადგა. ნახეს ანგელოზებმა, მწყემსს ყანა დაუთესიაო და ღმერთს შესჩივლეს მისი თავებლობა. ღმერთმა უთხრა: როცა პური მომკას და ძნები ურემზე დააწყოს, ხვავი წაართვით: თითო ურმიდან თითო ქილა ხორბალი და გამოუყვანეთო.

მოიჭრა მიქელ-გაბრიელი მწყემსთან და უთხრა: თითო ურემს თითო თავთავი დაუღეო. მწყემსიც ისე მოიქცა. გაღეწა კალო. საშინლად ხვავიანი ჭირნახული დაუღდა: თითო თავთავიდან თითო ქილა ხორბალი გამოუვიდა. პური ბელელში არც კი ეტეოდა.

დაღონდნენ ანგელოზები, მაგრამ რალა დროს!

მიქელ-გაბრიელმა ურჩია მწყემსს, შენი ფარა მთაში გარეკე, ნუ მიხედავ, ისედაც არა უჭირს-რაო. მწყემსმა დაუჯერა. ერთი წელიწადი გავიდა,—თავისი ფარა არ მოუკითხავს. წლის გასულს კი წავიდა ცხვრის სანახავად. ფარა ერთი-ორად გამრავლებულიყო, ყველა საუცხოვოდ დასუქებულია. გაეხარდა მწყემსს. მადლობა შესწირა თავის მწყალობელს. მიქელ-გაბრიელმა უთხრა: თუ გინდა, შენს ცხვარს თითო ხარის ფასად გაგაყიდვინებ. მუშთარსაც აქვე აგიჩნო.

მეორე დღეს მუშთარი მოვიდა და მწყემსმა თითო ცხვარი ხარის ფასად გაყიდა. გამდიდრდა საშინლად. დაიწყო მეფური ცხოვრება. მიქელ-გაბრიელსაც დაპირებული შესწირა.

სხვათა შორის, მთაზე წყლებია საუცხოვო. ისე ფეხს ვერ გადადგამთ, ცივისა და ანკარა წყლის ჩაქუხას არ წააწყდეთ. ზოგი ჩახრიალა 15—20 მხარის სიმაღლიდან ეხეთქება სალ კლდესა, ბოლი ასდის, იბნევა მარგალიტებოვით და ჰნამავს ნაკადულის კალაპოტის მუქ-მწვანე ჩარჩოსა. ჩახრიალა და მარლვეველი აქაური სიჩუმე-მეყდროებისა. შორს გაისმის მისი ტკბილი, დამამშვიდებელი, ნირშეუცვლელი შხუილი.

ამ ჩახრიალებს ქვეშ ბანაობა მეტადა რგებს ადამიანსა. პირველში ხამი კაცისათვის ძნელია ცივი ტემპერატურის ატანა აქაური ჩაქუხისა, რომელსაც სათავე აქავე აქვს, დაუმდნარ თოვლ ქვეშ. იმას-ღა მოახერხებს კაცი, ერთხელ გადაისხას ტანზე ყინულივით ცივი წყალი. მერე თანდათან შეეჩვევა და მოთხოვნილებად გადაექცევა ჩაქუხას ქვეშ ბანაობა. მე ისე შევეჩვიე, რომ ერთხელ დილის ექვს საათზე ვბანაობდი, როცა

გარშემო ჯერ სიცივე იდგა და მზე ძლივს იყო ამოსული, ერთს შუად-
ლისას და მესამეჯერაც—სალამოს, მზის ჩასვლისას. აქაურ წყალში ბანა-
ობის შემდეგ კაცს ქამის მაღა ემატება, რაღაც განახლებასა გრძნობს,
რაც უნდა აღმართი იყოს, ისე აირბენს, ქშენა არც-კი აუტყდება.

მაგრამ მწყემსები კი ძალიან ერიდებიან აქაურ წყლებში ბანაობას.
საკვირველი საფუძველიცა აქვს მათს ამგვარ თავდაქერასა. ჩემს ბანაო-
ბას რომ უყურებდნენ, როგორც „მოჯგირეს“ (მოკეთეს), ხათრით ვერას
მეუბნებოდნენ, თორემ სხვას ვერ მოვუთმენთ ასეთ საქციელსაო, შიშველი
კაცის ნახვა მთას არ ესიამოვნებაო. მწყემსებს სწამთ აგრეთვე, რომ
მიქელ-გაბრიელი, ანუ როგორც მოკლედ ეძახიან, მიქამ-გარიო, ზეციდან
რომ ჩამოდის, ტანს მარტო ამ მთების წყალში იბანსო, ბარის წყალი
არ ვარგა, ყველა შიგ ურევს ხელსაო. იმათი აზრით, მიქამ-გარიოს სა-
ბანებელ წყლის გამურტლება არავის ეპატივება. ეგ არის, ახლა დროება
წახდა, აღამიანი გაამაყდა, მიქამ-გარიოს შიში და რიდი დაეკარგა, თო-
რემ წინათ ამ წყლებში პირის დაბანასაც ვერიდებოდით, არამც თუ
ტანისასაო.

აქაურ მთებზედ ეგრეთ წოდებული მიქამ გარიოს ტბაც არის. სახელად
ერგეძაშრა (მიქელ-გაბრიელის ტანის საბანი ტბა) ჰქვია.

ეს ტბა ოქუმიდან ორი დღის სავალზე მდებარეობს. მრგვალია. გარ-
შემო ერთი ვერსი სივრცე ექნება. წყალი ამ ტბისა შრატის ფერია.
გარშემო მაღალი კლდეები არტყია, საიდანაც წყლები უერთდება. ტბის
წყალს მხოლოდ ერთგანა აქვს გამოსასვლელი. აქედან გამოსული წყალი
მერე მდინარე ენგურს ერთვის. მახლობლად შემდეგი მთები უძევს:
ჩამპარხ, ბაშკაფსარა და ანაყუ. უკეთეს კაცის თვალი ამ მთაზე ვერასა
ნახავს! მწყემსის ფანტაზიამ კიდევ ამიტომ ვახდა ეს ტბა მიქელ-გაბრიე-
ლის საკუთრებად. მარწმუნებდნენ, მიქელ-გაბრიელი ამ ტბაში ბანაობდა
წინადაო. ამიტომ ძესოორციელი ვერ მიეკარებოდა: ვერც ხელს იბანდა
შიგ და ვერც ტანსაო. ახლაც ერიდებიან ამ წყალში ხელ-პირის ბანას.
თავის ისტორიაცა აქვს ამ ტბას, რომელიც მწყემსებმა მიამბეს.

ერთი მწყემსი იყო, სახელად ბოში ერქვა. მთელი ზაფხული ცხვარი
აძოვა მთაზე, კარგად გაასუქა. ღვარობისთვის¹ ცხვარი ბარად ჩამორეკა,
გაპკრიჭა და, რადგან კარგი დარები იდგა და ზამთრის მოახლოების
ნიშნები ჯერ არა სჩანდა, ისევ უკან დაბრუნდა. სალამოს ერგეძაშრას
(მიქელ-გაბრიელის საბანაო ტბის) ნაპირად დაბინავდა. რომ დაღამდა,

¹ ღვარობისთვის (მვარულად—ღვარალა-თუთა) მწყემსები ენენისთვის ეძახიან. ამ
თვეში მთაზე ცუდ ამინდს იჭერს ხოლმე, ღვარი იცის ხშირი. მწყემსები ამ თვის შემ-
დეგ მთაზე ვერა ჩერდებიან და ბარად ჩამოდიან.

ტბიდან ერთი კარგი თეთრი ვერძი გამოვიდა და მისი ცხვარი ყველა დანერბა. მეცხვარე გაოცებული შესტკეპროდა ამ მოჩვენებასა. ვერძი მეორე ღამესაც გამოვიდა ტბიდან. ამის შემდეგ ბოშის მთაზე თვე-ნახევარი მოუგვიანდა.

მეორე გაზაფხულზე უმცროსმა ძმამ უთხრა, წლეულ უეჭველად მე წავალ მთაზეო. ბოში უარზე დადგა, მაგრამ უმცროსმა ძმამ მიანიც თავისი გაიტანა.

ღარიკა უმცროსმა ძმამ ცხვარი და ისიც ერგებაშრასთან მივიდა. საღამოს ტბიდან ვერძი გამოვიდა და ცხვარს ნერბვა დაუწყო. გაუკვირდა მწყემსს, ვერ მოითმინა და შესძახა. ცხვრის ფარა დაფრთხა; რასაკვირველია, ვერძიც დაფრთხა, და ტბაში ჩაეშენენ.

ცარიელი დაბრუნდა შინ, დალონებული, უმცროსი ძმა და ბოშის თავისი თავგადასავალი უამბო. ეწყინა ბოშის ეს ამბავი, —აკი გითხარ, ნუ წახვალ, თორემ რასმე ცუდს შეემთხვევი-მეთქი.

ბოშიმ მაშინათვე აიღო: სოინარი (ლარქემი), ქიანური, ჩონგური და ავიდა ერგებაშრასთან. დაჯდა ნაპირას და რიგ-რიგად ჯერ ერთი დაუკრა, მერე—მეორე, მერე—მესამე. თანაც დაამღერა. საკრავების ხმაზე ტბიდან ცხვრები ყველანი გამოვიდნენ სათითაოდ. სიხარულისაგან გაიკვირვა ცხვრების ამოსვლა უმცროსმა ძმამ და კიდევ შესძახა. ცხვარო ხელახლა ჩაეშვა წყალში. მწარედ დაღონდა ბოში, ბევრი იმღერა, დაუკრა საკრავებზე, მაგრამ ცხვარი არ ბრუნდებოდა. უჩემცხვროდ მე რაღად მინდა სიცოცხელი, —წამოიძახა სასოწარკვეთილმა ბოშიმ და ცხვარს თვითონაც გადაჰყვა წყალში.

ამის შემდეგ მწყემსებს ხშირად გაუგონიათ ტბიდან ამოსული ხმა „ჰეი, ჰეიო!“¹ „ისიც უნახავთ მწყემსებს, რომ აფუნის (მთაზე ცხვრის გარეკის-დრო) დროს ტბას ნაპირად მატყელი გამოჰქონდა“, დასძინა თენგიზ კაკუბავამ, ვისგანაც ეს ამბავი გავიგონე.

მიქელ-გაბრიელის შემდეგ აქაური მწყემსი ფრიად სასოებით ეპყრობა მთას. მთის თავყანისცემა და შიში კულტად აქვს გადაქცეული. აღმერთებს მთას, მიქამ-გარიოს საფარველ ქვეშ მოყოფს, მასა ლოცულობს. მწყემსის ლაპარაკში ხშირად მოჰკრავთ ყურს „მთის მადლმაო“.

ვითხე მწყემსებს, მთას რა მადლი აქვს, რომ იმას იფიცავთ-მეთქი? — მადლი როგორ არა აქვს მთასა? ისაა ჩვენი მარჩენელი. მთა რომ არ იყოს, მწყემსებიც არ ვიქნებოდით.

როცა გაზაფხულზე პირველად მთაზე ამოდიან, მწყემსები საკლავსა ჰკლავენ და მთის ლოცვას ამბობენ. ხანში შესული მწყემსი ხონჩაზე აწყობს საკლავის გულ-ღვიძლსა და ყველას მაგიერად მთას ევედრება: ნუ

¹ ამ ხმით მწყემსი ცხვარს ეძახის ხოლმე.

მოგვაკლებ შენს წყალობას ჩვენ, ჩვენს ჯოგსა, რომლებიც შენს კალთაზე დაედევართ, მხიარულად და უვნებლად ჩაგვიყვანე ბარადო.

მწყემსის აზრით, მთას შიშველ ტანს ვერ აჩვენებს კაცი, ეწყინებაო. ამიტომ არის, რომ ტანის ბანა მთაზე ცოდვად მიაჩნიათ. მაშინათვე განრისხდება მთა და წვიმა და აედარი მოვაო. ჩემი იქ ყოფნის დროს ნისლი ხშირი იყო. მითხრეს, ეს სულ იმის ბრალია, რომ შენ ტანს იბან აქა და შიშველ ტანს მთას უჩვენებო.

მთაზე ყოფნის დროს მწყემსები უწმაწურ სიტყვა-პასუხს ერიდებიან,— ესეც მთას ეწყინებაო. მთას საალერსო სიტყვები უნდა გავაგონოთ, სიმღერით დავატკბოთო.

ქვებს რომ გადმოაპირქვავებენ, ზემოდან ბალახს რასმე დააფარებენ,— ცამ შავი და მურიანი ძირი არ დაინახოს ქვებისა, თორემ განრისხდება და წვიმით სულს ამოგვხდისო.

მთაზედვე მწყემსებ შორის ნახავთ ნაშთს ძველი ასტროლატრიისას: მზესა ფიცულობენ. ხშირად გაიგონებთ: „ბეაშ მარდი მე“ (მზის მადლი მე), ან და „უშულადუ ბეაშ მარდი მე“ (დაუღალავი მზის მადლმა). რომ ვკითხე, მზეს რად-ღა ჰფიცულობთ-მეთქი, იმათ მიპასუხეს:

— ისიც ღმერთია: გვატობს, თოვლს აღნობს მთაზე, ბალახს ამოსვლის დროს ხელს უწყობს. მზე რომ არ იყოს, საქონელი სიცვიით გაგვიწყდებაო.

საგარაკო მიწების შესაძენად გამართული შეჯიბრი.—სოფ. „მაიაკი“ და ზეგრელთა თავგადასავალი.—გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძის მამული.— შეგრელი მოიჯარადრე.—ათვალისწუნებული აფხაზეთი და 1876—77 წ.წ. რუს-ოსმალის ომი.—თუთუნის თესვის შემოღება აფხაზეთში.

შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი, იქ, სადაც ერთ დროს ბერძენთა და რომაელთა სავაჭრო ახალშენები იყო, დღეს კვლავ იბრუნებს წარსულ სახელსა და დიდებას, კვლავ იპყრობს საზოგადო ყურადღებას. წინათ აქ ბერძენ-რომაელთა ცენტრი იყო აღმოსავლეთთან სავაჭრო საქმეთა დასაქერად; დღეს იგივე ადგილები საზამთრო კურორტებად არის გადაქცეული. სულ ათიოდ წელიწადია, რაც სოხუმის თბილ-მა ჰაერმა, მისმა წარმტაცმა ბუნებამ ამ ქალაქში რუსეთიდან ხალხი მოიზიდა. ბევრი აღმოჩნდა აქ მიწების შეძენის და დასახლკარების მსურველი. განელო ხანმა და ფასები დაედო სოხუმის გარეშე მდებარე ადგილებსაც. მყიდველები აღმოუჩნდნენ მთელი შავი ზღვის პირას მდებარე ადგილებსაც, სოხუმიდან მოკიდებული ვიდრე ნოვოროსიისკამდე. ამ გარემოებას ხელი შეუწყო ნოვოროსიისკიდან სოხუმამდე გზატკეცილების გაყვანამაც. ის მხარე, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გაუჯალტყეს მიჰქონდა, დღეს აგარაკებად არის გადაქცეული, და აქ საკუთრების შეძენის მსურველთა რიცხვი არა თუ კლებულობს, დღითი-დღე იზრდება. ამ მისწრაფებას სულს უდგამს და აღაფრთოვანებს იმედი მომავლის რკინის გზისა, რომელმაც მისვლა-მოსვლა უნდა გააადვილოს ერთმანეთზე დაშორებულ ადგილთა შორის.

აფხაზეთს ახალი ხანა დაუდგა, რომელმაც ძირიანად უნდა შეუცვალოს ფერი მის პირველყოფილ ცხოვრებას. ვისაც აქეთკენ ამ ოცი წლის წინათ უმოგზაურია, ახლა ვერც-კი დაიჯერებს, თუ ეს მხარე მოკლე ხნის განმავლობაში ასე გამოიცვალა. აჭრელდნენ მცხოვრებნი, აჭრელდა ეთნიური შემადგენლობა. გესმით რუსული, ქართული, ბერძნული, სომხური; მეგრული ყაბალახი, ოსმალური ფესი, რუსული კარტუზი—ერთმანეთშია აქ არეული. აქაურობას რომ ყურს უგდებთ, თქვენს თავს ეკითხებით, ეს მკვიდრი ამ ქვეყნისა რაღა იქნა? როგორ მოხდა, რომ მის სუფრას სხვები მოსხდომიანო!... მათ სანახავად კი მთელი ორმოცი კილომეტრი და მეტიც უნდა გაიაროთ გზა-ტკეცილით.

ოქტომბრის შუა რიცხვები იყო, სოხუმიდან გაგრისკენ ეტლით რომ გავედით ცნობილი ფრანგი მოგზაური ბარონ დე-ბაი და ამ სტრიქონების დამწერი. მიუხედავად შემოდგომისა, მცენარეულობას თავის მწვანე ხასხასა ფერი ისევ შეუცვლელი ჰქონდა. მზის სხივები ისე ათბობდა ქვეყანას, გეგონებოდათ, ზაფხულის პირას ვართო. გზატკეცილი ზღვის პირის გაყოლებით მიიკლავება. სოხუმიდან მეოთხე კილომეტრზე თავდება ქალაქის გარეუბანი, ციებ-ცხელებიანი, გუბეებიანი...

სწორედ ამ ქაობზე, ხშირ ტყეში, მეგრელებს თავიანთი საცოდავი ფაცხები წამოუდგამთ. ჰკვირობთ და ვერ მიმხვდარხართ, რამ გააბედვინა ამ საცოდავებს ამ ციებ-ცხელების ბუდეში დასახლკარებულ იყვნენო!... ჩამომხმარაგაყვითლებულ სახეებზე ამოიკითხავთ მთელ ტანჯვას, მთელ წვალებას, რაც იმათ უნდა გამოეცლოთ. ამ ოცი წლის წინათ 25 კომლ მეგრეს თავი დაუწებებია სენაკის მაზრისათვის, სადაც ისინი მოთმინებიდან გამოუყვანია უმიწობას, ძალღუმადურ ცხოვრებას, — სოხუმის ოლქში გადმოხვეწილან ბედის საძიებლად. უგლიათ უგზოუქველოდ და სხვა გზა რომ არა ჰქონიათ, ამ ადგილზე გადაუწყვეტიათ დამყარება.

ეს ადგილი ქალაქისა იყო, მაგრამ რადგან ურგები და ქაობიანი იყო, ზედ არავინ სახლდებოდა. კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ქალაქს უფასოდ უნდა მიეზომა ას ღესეტინაზე მეტი რუს მატროსებისათვის, რომ მეთევზეობა გაეგრცელებიათ სოხუმში. მაგრამ მატროსთაგანი არავინ აღმოჩენილა აქ დასახლების მსურველი. მაშინ ზემოხსენებულმა მეგრელებმა ქალაქს უთხრეს: მაინც ხომ არავინ ესახლება ამ მიწაზე, და გთხოვთ იჯარით მოგვცეთ სახნავ-სათესადო. ქალაქსაც ჰკუთაში დაუჯდა უსარგებლო მიწების გამოყენება და თანხმობა გამოუცხადა. მეგრელებმა მხნედ მოჰკიდეს ხელი საქმეს. ტყე, რაც შეეძლო, გაჰკაფეს, ქაობები დააშრეს, გაიჩინეს სახნავ-სათესი, გააშენეს ვენახი და გაჩნდა ეგრეთ წოდებული სოფელი „მაიაკი“. ქალაქს ღესეტინაზე ექვს მანეთს იჯარის ფულს აძლევდნენ წლიურად და თვითონაც წლითი-წლობამდე იოლად გამოსვლას ახერხებდნენ. მაგრამ სოხუმში თვითმმართველობა რომ შემოვიდა, სოხუმის მაშინდელმა პატრონმა და ბატონმა ბერენსმა აითვალისწინა ისედაც ყველასაგან ათვალწუნებული მეგრელები და უთხრა — აქედან მიბრძანდით, მატროსები უნდა დაეასახლოთ ამ მიწებზედაო. მეგრელებმა მოახსენეს: ოცი წელიწადია ჩვენი ძალღონე აქაურობის გაწმენდას, ციებ-ცხელებასთან ბრძოლას შევალეთ და ახლა მზა-მზარეულზე სხვები უნდა დაასახლოთო?! ეგ თუნდ არაფერი, მატროსებიც რომ არსად არიან ჯერ, რალად დგებით ჩვენს ცოდვაში და რათ გვიწყვეტთ ლუკმა პურსო.?

მაგრამ ასეთი საბუთებით მეგრელები ფონს ვერ გავიდნენ და ძალა რომ დაადგათ, ხელმწიფე იმპერატორს ტელეგრაფითა თხოვეს: ასეთ დღეში ვართ თქვენი ერთგული ქვეშევრდომნი და მოწყალეობა მიიღეთო!..

მობდა გამოძიება, რომელიც გვეგონია დღესაც არ გათავებულა. დღესაც იმის გაკეთების მოლოდინშია 25 კომლი მეგრელი, რომელთაც არ იციან, დღეს რომ თავის ღარიბულ ქოხში სძინავთ, ხვალ სად მოუხდებათ უსახლ-კაროდ ყოფნა, უმწეოდ ხეტიალი და ერთი მტკაველის მიწის ძებნა...

ესეც თქვენნი მოკლე თავგადასავალი სოფელი „მაიაისა“.

მეთხბე კილომეტრიდან იწყება გიორგი დიმიტრის-ძე შარვაშიძის მამული. ეს ერთადერთი მემამულე გახლდათ აფხაზეთში, რომელსაც აქაურობაზე კარგა მოზრდილი (6.000 დესეტინა სახნავ-სათესი) მამულის შეძენა და (თავი-და-თავი) შერჩენა და ასე თუ ისე მოვლა მოუხერხებია. უსარმაზარი ზვარი ევროპული და ადგილობრივი ჯიშის ვაზებისა, გამოცდილი მებაღის ხელმძღვანელობით სათანადოდ მოვლილი, მაყურებელს თვალს უხარებს. მაგრამ წარმოიდგინეთ იქვე, გვერდით, მეურნეობა მეგრელი მოიჯარადრისა, რომელიც შარვაშიძისავე მამულზე დაბინავებულია. წნული ფაცხა, წნულივე, წასაქცევად გამზადებული, სასიმინდე, დაფეხვილი საღორე—აი მთელი უძრავი ქონება აქაური მოიჯარადრე მეგრელისა.

ეხოში ერთ ხეხილის ხეს ვერ ნახავთ წამლად. ყველაფერზე ეტყობა, რომ მოიჯარადრე დროებით მოსახლეა, იჯარის ვადის გათავებას უყურებს, არ იცის, მერე რა მოელის, სად წავა, ვის მამულზე დაბინავდება. სულ იმის ფიქრშია, დღევანდელი დღე როგორ დავალამოო. ასეთ მედღე-მეხვალეთავან არიან შემდგარი სოხუმის მემამულეთა მიწებზე დაბინავებული მეგრელები! და აბა რა გასაკვირველია, ქართული ანდაზა— „მედღე-მეხვალისათო უწვიმდეს და უთოვდესო“ სრულებით გამართლდეს ამ მოახალშენებზე!...

მერვე კილომეტრზე, მდინარე გუმისტასთან, გ. შარვაშიძის მამული თავდება. ამის იქით იწყება ის ადგილები, რომელიც რუსეთიდან ვალ-მოსულმა მდიდრებმა შეიძინეს ჩვენი მემამულეებისაგან. წინანდელი მკვიდრი აფხაზები მოკლებულნი იყვნენ უფლებას ქალაქ სოხუმის მახლობლად (ოცი კილომეტრის მანძილზე) დასახლებულიყვნენ, როგორც არა საიმედო ელემენტები. აბუჟაში (ალმოსავლეთ აფხაზეთში) შეედლოთ ყოფნა მხოლოდ მდინარე კოდორის გამოღმა; ხოლო ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში) მდინარე აც-წყლის იქით, გაგრამდე.

მიზეზი ასეთი სასჯელისა ის გახლდათ, რომ რუსეთ-თურქეთის უკანასკნელი (1876—1878 წწ.) ომის დროს აფხაზთ თურქეთა მომხრეობა დაბრალდა. აფხაზთ რომ ჰკითხოთ, ფიცით-მტკიცით თავს იმართლებენ—ომის დროს უპატრონოდ დავარჩით, ჩვენს ქვეყანას თურქი შემოესია და დაეპატრონა და ორში ერთი უნდა აგვერჩია: ან თურქებს შეგებრძოლებოდით, ან მათს მხარეს გადაესულიყავითო. ბრძოლის ატეხა ჩვენის გაწყვეთით გათავდებოდა, და იმატომ ისევ მათს მხარეს გადასვლა ვარჩითო. თურქებმა ოსმალეთში წაგვასხეს, მაგრამ იქ მწარე დღე დაგვადგა, ნახევრად გაწყვედით და აქ რომ დაებრუნდით—მოღალატეებად მოვინათლენითო.

აი, ამ „მოღალატეთა“ ადგილები გავერანგებულად დარჩა. დესეტინა მიწა 5—10 მანეთად ფასობდა. როცა სოხუმს ფასი დაედო, ამ ადგილებსაც მოაშურეს. დესეტინა მიწის ფასი ერთბაშად 50—60 მანეთამდე ავიდა. სოხუმში გაჩნდა მთელი ბრბო კომისიონერებისა, შუამავლებისა, რომელნიც, ხუთ თუმნად რომ თვითონ ყიდულობდნენ დესეტინას, ოც, ოცდაათ და ორმოც თუმნად სხვებზე ჰყიდდნენ. ფასები დაედო განსაკუთრებით ზღვის პირას მდებარე მიწებს; ზოგი ჰყიდულობდა სააგარაკოდ და ზოგიც კიდევ იმისათვის, რომ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ნაჭერ-ნაჭერ გაეყიდა ერთი-ათად და ერთი-ოცად. მთელი მათი იმედი რკინიგზაა, რომელმაც რუსეთი კავკასიის უნდა შეუერთოს. თუ გზა მალე გაიყვანეს, იმედები, გვეგონი, გაუმართლდეთ, მაგრამ თუ კიდევ კარგახანი გავიდა მის გაყვანამდე, თქვენი მტერი, მათს იმედებს კბილო მოეჭრას!

ფსირცხის (ახალი ათონის) ახლო-მახლო ადგილებში ორიოდ ჩვენებურს კიდევ შერჩენია მამული. გასაკვირველიცაა, რომ ამათაც სულმთავარ წასძლიათ და გაუძღეს მეტად ძნელ ცდუნებას — მყიდველთა მიერ შეძლებულ საარაკო ფასებს. მათ მამულებზე მეგრელთა მაგიერ ვხედავთ თურქეთიდან გადმოსულ სომხებს, რომელნიც თუთუნის მოყვანას მისდევენ. თუ რამდენად სახიერია ეს დარგი მეურნეობისა იქიდან ჩანს, რომ მოიჯარადრე სომხები დესეტინაში 25—30 მანეთს იძლევიან წლიური იჯარას. აფხაზეთის ნოყიერი და დასვენებული მიწაც უხვად იძლევა მოსავალს. დღეს ამ მხარეში ბერძნებს გარდა ოთხი ათასზე მეტი სომეხია, რომელნიც მეთუთუნეობას მისდევენ. რუსეთში ამჟამად საპატოო ადგილი უჭირავს სოხუმის ოლქის თუთუნს როგორც ღირსებით, ისე რაოდენობით. სოხუმში ვინ იცის, რამდენმა მოიკიდა ქონი თუთუნის ვაჭრობით, რამდენმა შეიძინა ქონება, ძვირფასი მამულები! სამწუხაროა, რომ აქეთ წამოსულ მეგრელებს არავითარი წილი უდევთ ამ სიმდიდრეში.

გზის გაყოლებაზე ვაჭრობის მოყვარე მეგრელებს ხის სამიკიტნოები წამოუდგამთ, მაგრამ გვერდით სომხებიც ამოადგომიან, თითქოს ეუბნებოდნენ: მართალია, ვაჭარი ხალხი ხართ, მაგრამ „ჩამოდევს“ ვერც ჩვენ გვეტყვიო! ათასი ჯურის ხალხით საესე დილიენები, ჯაგვეები, ზოგი მიღის, ზოგი წოდის. მოძრაობა ძლიერ გაცხოველებულია. ეს იქ, სადაც ამ ოცდახუთი წლის წინათ ათასში ერთხელ თუ შეხვდებოდით ცხენოსან აფხაზს და სადაც აფხაზის შიშით სხვა, თუ არ მეტად იძულებულია და ისიც თავითფეხებამდე თოფ-იარაღში ჩამჯდარი, გავლას ერიდებოდა.

ფსირცხის მონასტერი.—ცხოვრების მაძიებელი რუსები.—რუსთა ახალშენები და მალარია.

თითქო უდაბურ, სიცოცხლის უნიშანწყლო ადგილებიდან გამოსულს ურთბამად გადაგეშალათ თვალწინ წალკოტი, მუქმწვანე მცენარეულობით მოსილი, უზარმაზარი სასასლეებით! ასეთ შთაბეჭდილებასა სტოვებს სოხუმის გზით მომავალ მგზავრებზე მონასტერი ფსირცხისა. გარშემო აყუდებულ მთებს თოვლიანი მწვერვალნი კავკასიონისა ამაყად ზედ დაჰყურებენ უმაშვრალ დარაჯებევით! ძირს კიდევ, ლურჯი ზღვა, სადაც თეთრიალქინანი ნაევი პეპლებევით მიმოსრიალებს, ნაპირებს დაუსრულებლევ ეჩურჩულება ტკბილად, ფირუზი კამარა ცისა თავის ფრთებს ქვეშ ნაზად იფარებს იქაურობას, ხოლო ცხოველმყოფელი მზე თბილ სხივებს უგზავნის დედა-მიწას, ზამთარ-ზაფხულ, ნიადაგ, განუწყვეტლევ.

აქ, ამ ფსირცხასთან მახლობლად, ბერძენთა ახალშენი იყო ანაკოფია, ამის ციხის ნანგრევები ახლაც არის და აფხაზურად ანუხვაჰჰეიანი.

მდიდარია ამ კუთხის ისტორია, ბევრ რასმე გეაცნობს, ბევრ თავგადასავალს მოგვითხრობს მისას. რუსეთ-თურქეთის უკანასკნელ ომამდე ფსირცხაში აფხაზებს საუკეთესო ბალ-ვენახები ჰქონდათ გაშენებული და ბუნების წიაღზე სიცოცხლით ხარობდნენ. მაგრამ განვლო ჟამმა, მკვიდრნი აიყარნენ, ცხრამთას იქით გადაიხვეწნენ, ან გაწყდნენ, ადგილები დაცარიელდა, წალკოტი ტყედ იქცა, გარეულ ნადირთა საბუდრად.

ფსირცხაში დაბინავებული ახალი პატრონების მუყაითობით აქაურობა მეტად დამუშავებული და დამშვენებულია. რომელიმე დიდი ქალაქის პარკში გგონიათ თქვენი თავი—ზეთისხილის, ფორთოხლის, ზამთარ-ზაფხულ გაშლილი ვარდები, კვიპაროსის ხეივნები—ყოველივე თვალსაზიზღავს. მაგრამ ყოველივე ეს მომსვლელთა საჩვენებლად არის გაკეთებული. სხვა რამ კულტურა აქ არ არსებობს, რომ ადგილობრივ მკვიდრთ შიჰბაძონ, შიგ იმუშაონ და ისწავლონ რამე.

თვალთათვის მეტად საამონი არიან თვით გარემონი მონასტრისა, ლამაზად შეხამებული ბუნება, ბუნება მდიდრული, უებრო და სწორუბოვარი. საამოა მთის პატარა მდინარე ფსირცხისა, ლალი, ნებიერი, რძისავით აქაფებული, ხოლო მონასტერთან ხელოვნურად დაგუბებული, შინაური გველებით და გემრიელი თევზით სავსე. საუკეთესო კუთხეა სასიერნოდ და ხორციელი დასვენების მოსაპოვებლად. თუ სწადს ადამიანს თვალს წყალი ასვას, გულზე ეფონოს, უნდა იხილოს აქაურობა, ოდეს ცხრათვალა მზე ქვეყანას დაჰქათქათებს, თბილა, ოდეს ლაქვარდი ზღვა სარკესავით გაშალაშინებული, სწორი, მზის სხივზე ათასფერად ლივორვებს, ჰკრთის და მართლაც, ამ უკანასკნელ ხანებში აქ მიდამოებმა სასიერნო ადგილის ხასიათი მიიღო. იშვიათია მგზავრი, შავი ზღვის პირის

აღმოსავლეთ ნაწილის სანახავად მისული, რომ აქ არ შეუხვიოს და
ორიოდე დღე არ გაატაროს ამ მყუდროსა და ესოდენ მშვენიერ ადგილას!...

ფსირციხიდან გულაუთისაკენ მიმავალი გზა ისევ ზღვის პირად მიიქ-
ლაკნება. თითქმის, უდაბურ ადგილთა შორის, ფსირციხის იქით, 2 კი-
ლომეტრის მანძილზე, მოჩანს მაღლობზე შეფენილი სოფელი ანუხვა-
ერთ დროს აფხაზებით დასახლებული. მიდამო გაკაფულია და ზედ თამ-
ბაქოა დათესილი. ეს ადგილი საუკეთესო სამოსახლო ადგილად უნდა-
ჩაითვალოს. ვაკის ციება აქ არა სწვდება და სოფელეთ შეუძლიათ მთე-
ლი თავისი დრო და ჯანი მუშაობას შესწირონ. ირჯებიან კიდევცა. ხე-
ლი სახეირო საქმისათვისაც აქვთ მოკიდებული. როგორცა ვთქვიით, თამ-
ბაქო მეტად ხელსაყრელი მცენარე გამოდგა, აქაური ნიადაგიც ხელს-
უწყობს მის მოსავალს და მისნი მიმდევარნი ეკონომიურად, სხვებთან
შედარებით, უკეთესად არიან.

აქიდან მე-7 კილომეტრზე რუსთა ახალშენი გამოჩნდა, პეტროპავლოვ-
სკად წოდებული. ადგილობრივ ადმინისტრაციას, რომელსაც ეხმარებო-
და სოხუმში დაარსებული კომიტეტი, ადგილი საუკეთესოდ უცვნია გლეხ-
თათვის: ნიადაგი ნაყოფიერი და ვაკე,—სხვა მეტი რა უნდა რუსის-
გლეხსაო! არავის მოაგონდა, რომ ამ ნოყიერი ადგილების გვერდით ქაო-
ბებიც ბევრი იყო; არავის მოაგონდა, რომ მაღარა აქ დასაბამითვე
ჰბუღობდა, არავის მოაგონდა, რომ ამ მაღარის შიშით აქ აფხაზებიც
კი ერიდებოდნენ დასახლებას. როცა ვიდასაც მაღარა უხსენებია, კომი-
ტეტის ერთ წევრს (ექიმს) ისიც ეთქვა: თუ ახალმოსულები ციებამ
გასწყვეტა, მათ ალაგას სხვანი მოვლენ.

ეს ვაებატონები „უმალესი მოსაზრებით“ ხელმძღვანელობდნენ:—ხელი
უნდა შევეშალოთ მეგრელთა ელემენტის გამრავლებას, თუნდაც მთელი
სოფლის სიცოცხლედ დაგვიჯდეს ეს ხელის შეშლაო!... ოცდაათიოდ
კომლ რუსთა ახალშენს რიგზე გაუმწკრივებია ფეინით და ტალახით
შელესილი ქოხები. გარშემო არტყია ტყე, მზის სინათლე არ ატანს, გაუ-
ვალი, გაუშრობელი ქაობები, სინესტის გამავრცელებელი; ამას ზედ
ერთვის უხვი წვიმა და ნამი, მზეც სითბოს არ აკლებს. ყოველივე ეს
საუკეთესო პირობებია ციების არსებობისათვის. ზაფხულსა და შემოდ-
გომაზე აქაურები მოცელი თივასებრ წვანან. ოდნავ სცხრება ციება-
ზამთარში, ოდნავ, იმითომ რომ ამ კურთხეულ ქვეყანაში სიცივე არც
ზამთარში იცის, თოვლს არა სდებს და არა ჰყინავს. ტყეს სამოსელი თითქ-
მის დეკემბრის დამლევამდე გაჰყვება ხოლმე. ახალმოსუნეს იმისი თავი-
სადა აქვს, უღრანი ტყე ჰკაფოს და ნიადაგი დაწრიტოს, გააშროს. „უმალ-
ლესს“ კულტურას ვერაფერს იცნობს. ისიც იმ სიმინდს ჩაჰკირკი-
ტებს, რასაც აქაური სთესენ და იწევენ.

ციებას და ქონებრივ სიჩიავეს ზედ დაურთეთ რუს ახალშენთა სიყ-
ვარული არყისა... სვამენ უზომოდ. ამ რამდენიმე წლის წინათ ამ სო-

ფელში ერთ ჩვენებურს დუქანი ჰქონდა და, სხვათა შორის, არაყსაც ჰყიდა. მუშტრებად უმთავრესად ამ სოფლის მცხოვრებნი ჰყოლია. ნახევარ თვეში 16 ვედრო არაყი გაუყიდა! ესე იგი, დღეში ვედროზე ცოტა მეტი! ფული რომ შემოეღოდათ, მოჰყავდათ გოჭი, შინაური ფრინველი, მოჰქონდათ თავიანთი წაღები, ქული, სამოსელი და სხე.

ციებამ ერთი მოდგმა ახალშენელთა ინაცვალა. ახლები მოვიდნენ და დასახლდნენ.

ამ სოფელს გარდა ამ მხარეში ორი სხვა სოფელიცაა რუსების: ერთია აცში, ბაკლანკად წოდებული, გუდაუთიდან 15 კილომეტრზე, აღმოსავლეთით, მეორე ბომბორაში, მე-5 კილომეტრზე, დასავლეთით. ამ ორი სოფლის მცხოვრებნიც იმავე პირობებში არიან, როგორშიც პეტროპავლოვსკელნი. იგივე ვაკე, იგივე ტყე, იგივე ქაობები. აგვისტოსა და ენკენისთვეში ოჯახს ვერა ჰნახავთ, ციება მუსრს არ ავლებდეს. განსაკუთრებით ბავშვები წყდებიან. ახალი დაბადებული თითქმის ყველა იხოცება. მიცვალებულთა რიცხვი დაბადებულთა რიცხვს სჭარბობს. 1893 წელს, მაგალითად, ბაკლანკაში დაიბადა 21, გარდაიცვალა 25. აქ პირველად 1879 წელს გადმოსახლდა სტავროპოლის გუბერნიიდან 80 კომლი გლეხი. იმათგან თითქმის ყველანი ამოწყდნენ, ზოგიც იქით. აქეთ გაექცა უმეტეს სიკვდილს. მაშინ მოსულთაგან რამდენიმე კომლი-ღა დარჩა. ამათი დატანჯული ყოფა ჩვენ თვითონ ჩვენი თვალთა ენახეთ, მათი ჩივილი ჩვენ თვითონ გავგონეთ. ამას თვით რუსები, ვისაც აქეთ-კენ უვლიათ, აქაურობა უნახავთ და სიმართლის თქმისა არ შეშინებიათ, ერთპირად აღიარებენ.

მთელ გზას ფსირციხიდან გუდაუთამდე ისე გაივლით, რომ ამ ორი სოფლისა და შარაგზაზე მეგრელთა აქა-იქ გადმოდგმულ დუქნებს გარდასახლს ვერა ნახავთ. ტყითაა დაბურული გზის ორივე მხარე.

მე-17 კილომეტრზე ტყიდან გამოდინართ და ერთბაშად თვალწინ გადაგვლებათ მალღობზე წამოდგმული სახლები, ქვისა და ხისა ერთმანეთში არეული, ზღვის პირას გამწკრივებული სანდლები, სიმინდისა და სხვა აქაური ნაწარმოების საზღვარგარეთ წასაღებად მოსულნი.

ეს გუდაუთი გახლავთ.

III

გუდაუთა ძველად.—მეგრელი ვაჭრები.—ლიზინი—რეზიდენცია აფხაზეთის მთავრისა.—ლიზინის ტაძარი.—შარვაშიძეთა გვარი.

გუდაუთი საკმაოდ მოზრდილი დაბაა აფხაზეთისა. შიგ 172 კომლი (1,117 სული) მცხოვრები ითვლება სხვადასხვა ეროვნებისა. მათ შორის რიცხვით, როგორც ყველგან აქეთკენ, პირველი ადგილი უჭირავს ქართ-

ველებს — 356 სული, შემდეგ რუსებს (242 სული), მერე მოჰყვებიან ბერძნები (133 სული), სომხები (132), აფხაზები (87 სული), ლაზები (32) და სხვ. დაბაში არის: ფოსტა-ტელეგრაფი, მომრიგებელი მოსამართლე, გულდაუთის ნაწილის უფროსის (ბოქაულის) კანცელარია, ორკლასიანი სამრევლო სკოლა, პირველ-დაწყებითი სამინისტრო სასწავლებელი, მენავეთა საზოგადოების სააგენტო და ერთი სასტუმრო.

გადაუთი სავაჭრო ცენტრია დასავლეთ აფხაზეთისა. აფხაზეთის დაშორებულ კუთხეებიდან აქ შემოაქვთ გასაყიდად: სიმინდი, კაკალი, ღვინო, ხე-ტყე (უმთავრესად ბზა). თავისი სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა გულდაუთს რუსეთ-თურქეთის უკანასკნელ ომამდინაც. მხოლოდ სავაჭრო ასპარეზზე დღეს რომ მეგრელებსა ვხედავთ უმთავრესად, მაშინ პირველობა ლაზებსა ჰქონდათ. რუსეთის საქონელს ბაზარი ჯერ კიდევ არ მოეპოვებია აქეთკენ. ჩითეული და შაქარი, თურქეთის იალქნიან გემებსა და ნავებს მოჰქონდათ. იმავე გემებსა და ნავებს გაჰქონდათ აქედან სულადი, ბზა. იმ ხანებში გულდაუთში ვერ ნახავდით დღევანდელ ქვითკირის სახლებს, დღევანდელ ქუჩებს, თვით მოსახლეობასაც. ზღვის ნაპირას პატარა, ერთმანეთს მიყრილი ხის დუქნები-ლა იყო გადმომდგარი. შიგა ვაჭრობდნენ და შიგვე ცხოვრობდნენ. 30 დუქანი იყო ლაზებისა და 15—მეგრელთა. ერთი ფურნეც იყო, სადაც პური სამ დღეში ერთხელ ცხებოდა. მეგრელი ვაჭარი დახლს უკან რომ იდგა, ტანზე მთელი აბჯარი ჰქონდა ასხმული. შიშინი დრო იყო. აფხაზები სხვის ქონებას შესაფერი პატივით არ ეპყრობოდნენ. იმას-ლა ელოდებოდნენ: მარჯვე დრო და შემთხვევა ხელთ ეგდოთ, რომ ვაჭარს თავს დასახმოდნენ, დუქანი გაეტეხათ, ფული წაერთმიათ, საქონელი გაეზიდნათ. ყოველ ვაჭარს სული კბლით ეჭირა. ასეთ გარემოებაში, როცა ვაჭარი დღე-ყოველ გასაქცევად მზად იყო, დრო არა ჰქონდა, აქ დასახლები-სათვის ეზრუნა, ცოლშვილი თანა ჰყოლოდა. სამეგრელოში დატოვებულ ცოლშვილს წელიწადში ერთხელ თუ მოჰკრავდა თვალს. ასე წვალობდა. ასე ჯახირობდა, რომ ორიოდ გროში ეშოვა, ცოლ-შვილი ერჩინა.

ვინ იცის, რამდენჯინს გაოხრდა და გადაიბუგა გულდაუთი, რამდენჯინს აფორიაქდნენ აქაური ვაჭრები! მათი ქონებრივი ზარალი, ზნეობრივი ტანჯვა, გამოვლილი შიში, უმწყობა და უპატრონობა განა ენით გაზო-ითქმის და კალმით აიწერება?! დაირბივნენ აქაურნი აფხაზთა ამბოხების დროს 1864 წელს. სული კიდევ ვერ მოეთქვათ, წელში კარგად ვერ გასწორებულყვენენ, რომ 1876 წელს რუს-ოსმალოს ომმა უსწრო და აწინდელ გულდაუთში ერთის მხრით ცეცხლმა და მეორეს მხრით ადამიანის ხელმა მიწის პირთან გაუსწორებელი არაფერი დასტოვა, არაფერი გადაარჩინა. ნაომეკს ისევ დაბრუნდა ნაზარალევი ხალხი, ვაჭრობა ისევ გაცხოველდა. ბზა, აქაური ღვინო, სიმინდი, ბაზარზე გამოვიდა. მე-19 საუკუნის მიწურულში მეგრელებს მხარში სომხებიც ამო-

უდგენენ. ბაზარზე თუთუნიც გაჩნდა, ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხების მოწეული. გაყვანილ იქნა სოხუმ-ნოვოროსიისკის გზატკეცილი. მისვლა-მოსვლა გაადვილდა. ათასი ჯურის ხალხი ერთმანეთს დაუახლოვდა. დაბას ფერი დაედო. სამოსახლო მიწების მსურველები აღმოჩნდა, გაიყვანეს ქუჩები, გაჩნდნენ სკოლები და სხვა დაწესებულებანი. გუდაუთს ძველებური გუდაუთისა მარტო ადგილი შერჩა, ქალაქს დაემსგავსა. ამასთანავე, გუდაუთს, როგორც ზღვის პირას მდებარე ადგილს, სოხუმით, ხმა დაუვარდა: სააგარაკო ადგილიაო, რკინიგზაც მალე გაიხეისო. რუსეთიდანაც იწყო ხალხმა დენა გუდაუთსა და მის გარშემო მიწების სასყიდლად. სამოსახლო მიწების ფასმა აიწია. მეგრელთა რიცხვიც მატულობდა. იქნდა სამოსახლო მიწებს, ზედ შენდებოდნენ.

მაგრამ აიწეწა და აილუფხა იმათი საქმე, ვისაც აქ ყოველ საქმეში უპირატესობა უნდა ჰქონოდა, ვისაც ამ მხარისადმი იმდენი ამაგი მიუძღოდა! მეგრელებს აქ ადგილი არა აქვთო! რისთვის, რა დანაშაულობისათვის?! სამართალი სად არისო?—იძახდნენ მეგრელები. და ეს სანატრელი სამართალი არსად იყო. ერთი-ღა თავისუფალი ასპარეზი დარჩენიათ—ვაქრობა. და ბედი მათი, რომ ამ საქმეში აქეთკენ მათ ბაღალი არავინ ჰყავთ!

გუდაუთიდან ჩრდილოეთით აღმართ-აღმართ მიმავალს, ოღრო-ჩოღრო გზას კაცი სოფ. ლიხნში მიჰყავს. იქით-აქეთ მაღალ ვენახთა და ტყეთა შორის ძლივს მოსჩანს აფხაზთა ფაცხები, წნული, გვიმრით დახურული, ღარიბული და თითქმის პირველყოფილ ადამიანთა ბინების მსგავსი... აქა-იქ წინ შემოგეფეთებათ თითქმის დედიშობილა ბავშვები, რომელნიც უცხო კაცის ნახვაზე დასამალავად გარბიან ხოხობის წიწილებით. საზოგადო სურათი ადამიანის გულს სანუგეშოს, გამამზნევებელს არას ეუბნება...

მესამე კილომეტრზე იშლება მოზრდილი ვაკე, ასე 15 დღიურის სიგრძე. ეს გახლავთ სოფ. ლიხნის შუაგული. აქ ჰქონდა რეზიდენცია აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ შარვაშიძეს. სახელი ლიხნის ქართული სიტყვა ლიხნისაგან დარქმევია, რადგან საუკეთესო საღვინო და დროს გასატარებელ ადგილად ითვლებოდაო. თურქული სახელიცა ჰქვიან ლიხნის—სოუქ-სუ, ე. ი. ცივი წყარო. მართლაც, გარშემო მრავალ ალაგას ამოჩუხჩუხებს ცივი, ბროლივით ანკარა, მეტად საამო სასმელი წყაროები.

ამ ტრიალ მინდორზე განკერძოებია დგას მრავალდროების მოწმე. სამი ბუმბერაზი ცაცხვი, ტოტებგაშლილი. ერთ-ერთის ძირას ერთი მხარის სიგრძე და აღღნახევრის სიგანე ფიქალი ჰგორავს. ამ ფიქალზე ჯდებოდა თურმე მთავარი აფხაზეთისა და ცის ქვეშ, სიტყვიერად უაპელაციოდ ასამართლებდა თავის ქვეშევრდომთ.

გარშემო აფხაზთა ფაცხებია. მთავრების დროს აქ თურმე ქართული იქნა იყო გავრცელებული. როგორც ვიცით, მთავრები უმეტესად თანამეცხედრებად დადიანთა ქალებს ირთავდნენ. ამათ თან მოჰყვებოდათ

ნამზითენი ყმანი, რომელთაც სასახლის გარშემო ასახლებდნენ. დღეს ამ მოსახლეთა შორის მხოლოდ მეგრული გვარებია დარჩენილი; ენას კი აფხაზურის გარდა სხვას ვერ გაიგონებთ. მთავრის ნასახლარის გვერდით ტაძარია ლიხინისა, დიდშენი, ბიჭვინთისა და დრანდის ტაძართა გვემაზე აგებული. ამ ტაძრის აშენების დრო უნდა იყოს არა უგვიანეს XI საუკუნისა, რადგან ერთ კედელზე დარჩენილი წარწერა გვიჩვენებს 1066 წელს, როდესაც მეფობდა ბაკრატი, მეფე ქართლისა და აფხაზეთისა. მეორე საინტერესო წარწერაცაა იმავე კედელზე, საინტერესო იმით, რომ მხედრული ასოებითაა და ეკუთვნის იმავე ხანას. კედლებს ძველებური მხატვრობა ძალზე ცოტა აქვს შერჩენილი, ზოგი ცეცხლისაგან გაფუჭებულა და რაც ცეცხლს გადაარჩენია, შემდეგში ვითომ განახლებეს დროს, კირით დაუფარავთ. ტაძარში დამარხულია 1821 წელს გარდაცვლილი მთავარი აფხაზეთისა სეფერ-ბეი (მამა უკანასკნელი მთავრისა); რომელიც მოინათლა, სახელად გიორგი დაირქვა და ცოლად შეერთო გრიგოლ დადიანის ქალი თამარი.

ორი ამბის მოწმეა ლიხინი. ამ ორმა ამბავმა ძირიანად შესცვალა აფხაზთა ცხოვრება, ცხოვრება პოლიტიკური და ეკონომიური. ერთია—აფხაზეთიდან რუსეთში ძალით წაყვანა უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა, ამ უკანასკნელის უფლებათა გაუქმებით; მეორე—აფხაზთა ამზოხება, ლიხინში დაწყებული, აფხაზთა ბრძოლა მეფის ჯარებთან.

სანამ თვით მთავრის შესახებ ვიტყოდეთ რასმე, ორიოდ სიტყვით გავაცნობთ მკითხველს შარვაშიძეთა ჩამომავლობის ისტორიას.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ახლანდელი სოფელი სამურზაყანოსი—ბედია და მისი გარემო საეგროში (სამეგრელოში) შედიოდა. მაგრამ ბერძენნი რომ გაბატონდნენ შავი ზღვის პირას, გაიჩინეს ახალშენები. აქაური ერისთავნი იძულებული გახდნენ სამეგრელოსაკენ დაეხიათ. საქართველოს პირველ მეფეთა დროს ეგრისი საერისთავო იყო და საქართველოს ჰმორჩილებდა. შემდეგ სამეგრელოს დადიანები ეპატრონებიან, ხოლო აფხაზეთს — შარვაშიძენი. შარვაშიძეთა შესახებ აი რა გადმოცემა ვიცით: დავით აღმაშენებელმა დაიმორჩილა შირვანის მთავარნი, შირვან-შაჰებად ანუ შერვაშეებად წოდებულნი. იმავე დავით აღმაშენებელმა 1124 წ. ემირ ბენიშე დიდს წაართვა ქალაქი ანი და მთელი მისი გვაროვნება აფხაზეთში გადმოასახლა. ამავე დროს გადმოასახლა დავითმა შირვან-შაჰების გვარის თავადებიც, რომელთაც მერე შერვაშისძენი დაერქვათ. მატრიანეში ცნობილი პირველი შარვაშიძე თამარ მეფის დროს ცხოვრობდა და სახელად დოთალოს ერქვა. როგორც დადიანნი, ისე შარვაშიძენი დამოუკიდებელი მთავარნი შეიქმნენ XV საუკუნის მიწურულიდან.

შემდეგში სამმა ძმამ შარვაშიძემ გაიყო აფხაზეთი. ბზიფუ (კოდორიდან გაგრამდე) ერთ ძმას ერგო, აბუჟა (კოდორიდან ლალიძგამდე) მეორეს, ხოლო მესამეს (მურზაყანს)—მდ. ლალიძგადან მდინარე ენგურამდე. აქედან დაერქვა ამ ნაწილს სამურზაყანო, ე. ი. მურზაყანის წილხდომილი.

ომი მაინც არა ცხრებოდა შარვაშიძეთა და დადიანთა შორის მეგრელებით დასახლებულ სამურზაყანოს დაპატრონებისათვის. ამ საქმეში რუსეთი ჩაერია და 1845 წ. თავისი მმართველობა შემოიღო სამურზაყანოში, ხოლო საკუთრივ აფხაზეთში ეს მმართველობა შემოღებულ იქნა 1863 წელს. ოდეს უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთში წაიყვანეს და მისი ტახტი გააუქმეს.

IV

უკანასკნელი მთავარი აფხაზეთისა.—მისი წაყვანა რუსეთში.—პოლკოვნიკი კოლიარი და აფხაზთა აჯანყება 1864 წ.—გულაუთის უფროსი დიმი. ჰავჭავაძე და აჯანყებულთა მეთაურების დასჯა.

აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის კალო მაშინ გაიღეწა, როცა რუსეთის ჯარმა 1810 წელს სოხუმში დაიკავა; სეფერ-ბეი შარვაშიძემ თავის ნებით აღიარა რუს-ხელმწიფის სუზერენობა. თანაც მოინათლა და ქრისტიანული სახელი—გიორგი დაირქვა. იმავე წელს გიორგის ებოძა უმაღლესი ღრამოტა და ამ ღრამოტის ძალით შარვაშიძენი ცნობილ იქმნენ აფხაზეთის მთავრებად; თავიანთი ქვეყნის შინაურ საქმეთა გამგებლებად. 1821 წელს გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა და მისი თანამდებობა დაიკავა მისმა უფროსმა შვილმა დიმიტრიმ, პეტერბურგის პაჟთა კორპუსში აღზრდილმა. 1823 წელს ისიც გარდაიცვალა და სამთავრო უფლება მცირეწლოვან ძმა მიხეილზე (ჰამუთ-ბეი) გადავიდა. რუსეთის მეფის მხედრობამ თანდათან დაიმორჩილა კავკასიის მთიელები; გადაყენებულ იქნენ მთავარნი სვანეთისა, სამეგრელოსა. ორივე მხარეში რუსული წესწყობილება შემოვიდა. აფხაზეთი რჩებოდა განზე, აქ კიდევ ინარჩუნებდა მთავარი თავის უფლებას. მაგრამ ამ უფლებათა დღენიც დათვლილნი იყვნენ. კავკასიის მთავარმართველი მურავიოვი წერილს წერილზე ჰგზავნიდა პეტერბურგს:—ამდენს რას ვებოდიშებით აფხაზეთის მთავარს, რა ღონის პატრონი ის არის, რომ ძალა გავვიწიოს!... უნდა აფხაზეთს მოვაშოროთ და ჩვენებური წესწყობილება შემოვიღოთ ამ მხარეშიცაო. მით უფრო, რომ ეს მხარე მოლაღატე, უნდო ხალხით არის დასახლებულიო...

რამდენიმე წლის განმავლობაში იყო გამართული ამ შინაარსის მიწერ-მოწერა. ბოლოს, გადაწყდა კიდევ: მთავარი რუსეთში წაიყვანათ, უმთავროდ დარჩენილ მხარის დამორჩილება უფრო ადვილი იქნებაო.

მთავრის წასაყენად დანიშნული იყო 1864 წლის ნოემბერი. მთავარი მიხეილ შარვაშიძე საზამთრო სასახლეში ცხოვრობდა, დ. ოჩამჩირეში. თან ახლდნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), მოძღვარი—დეკანოზი ბასილ მიქაბერიძე, მთავარიდაკონნი ივანე თვალთვაძე და იოსებ ტიტვინიძე, მედავითნენი გრიგოლ კასრაძე და ალექსი ღვებუაძე; იქვე ჰყავდა ბაზიერი (ოტია კახიანი), შემომინოვე (მანა შარაშენიძე), მემეძებრე (ბესო მიქელაძე).

წაყვანის ერთი კვირის წინათ მთავარი სოფ. კვასკეში, ტკვარჩელის აბანოების მახლობლად, წავიდა სანადიროდ. ასე რომ მის წასაყენად მოსულ გენერალ შატილოვს ოჩამჩირეში მთავარი არ დახვდარია.

ნოემბრის მშვენიერი თბილი დარი იდგა. ღამე მთვარიანი. ნაშუალამევის ორს საათი იქნებოდა, როცა ოჩამჩირეს ნავსადგურში 3 ორთქლმავალი გემი შემოვიდა. ამ გემებიდან ხმელეთზე 6,000 კაცი გადმოსხეს გენერალ შატილოვისა და პოლკოვნიკ როსტომ მარშანიას მეთაურობით. ამ ჯარს შემოუერთდა 700 ყაზახ-რუსი, ოჩამჩირეში დაბანაკებული. თვალის დახამხამებაზე ალყა შემოარტყეს მთავრის სასახლეს. ყოველი ღონე იღონეს, რომ შიგნიდან არავინ გამოსულიყო მთავრისათვის ამბის მომტანად. ამ დროს სასახლეში იყვნენ: უფროსი მსახური და მოლარე მთავრისა ქუთია კოზმავე, სიძე მოძღვარ მიქაბერიძისა—დავით ახვლედიანი და ნათესავი მისი, 13 წლის ყმაწვილი, დიმიტრი ხოქოლავე. ხმაურობაზე გამოეღვიძათ. ქუთია კოზმავე მიხვდა, ეს ჯარი სასიკეთოდ არ არის მოსულიო. იმდენს ეცადა, ჯარს ხელიდან გაუსხლტა და ფეხით მთავართან გაიქცა ამბის შესატყობინებლად.

ოჩამჩირედან კვასკეში 700 ჯარისკაცი გაგზავნეს და გზის მაჩვენებლადაც როსტომ მარშანია გააყოლეს. ცოტა ხანს უკან ამ შვიდას კაცს 3,000 კაცი სხვა დაადევნეს. ბოლოს, თვით გენერალი შატილოვიც გაუდგა კვასკეს გზას, თან მიჰყავდა 2,000 ჯარისკაცი. ჰფიქრობდნენ, მთავარი ასე ადვილად არ დაგვნებდებო. მთელ აფხაზეთს შეგვიყრის და გავვიძალიანდებო. ოჩამჩირეში 1,000 კაცი გარს შემოერთდა დაბას. ვინც შიგ მოექცა, გარეთ არ უშვებდნენ,—მთავარს ამბავი არ მიუტანონო. ღუქნები დაჰკეტეს და თითოეულ მათგანს 10—15 კაცი მიუყენეს დარაჯად.

მალულად გამოქცეული ქუთია კოზმავე გაგზავნილ რაზმის მოსვლამდე აიჭრა კვასკეში და მთავარს ყოველივე მოახსენა. მთავარმაც რამდენიმე ერთგული კაცი იახლა და მივიდა სოფ. გუფში, თავ. მარშანიებთან, თავისი უმცროსი შვილის მიხეილის (არზაყანის) აღმზრდელებთან. შველა თხოვა, ტახტი ხელიდან მეცლებო. მაგრამ მარშანიებმა სანუგეშო ვერაფერი უთხრეს: რუსის ჯართან ჩვენი, ომში გაუწვრთნელი აფხაზები ვერაფერს ვახდებთან, ტყუილად დაიხოცებთანო. გვიან-ღა იყო ბზიფელებისათვის რომ შეეტყობინებია ამბავი, და წელმოწყვეტილ მთავარი ბედს დამორჩილდა. გუფიდან ჯარის მისაგებებლად წამოვიდა.

მთავრის საქმებრად წასული ჯარი კვასკეს ავიდა. რაკი მთავარი იქარდახვდა, უკან გამობრუნდა. შუაგზაზე მთავარიც შემოხვდა.—მზადა ვარ, წამიყვანეთო. ოჩამჩირეში მთავარს საქირო დრო მისცეს ბარგი ჩაელაგებია და გამოუცხადეს: მეფის ნაცკლის ბრძანება გვაქვს, ქუთაისში წაგიყვანოთ, იქ ბინა გაქვთ მომზადებული და იქვე იცხოვრებთო. ქუთაისის ხსენებაზე მთავარს გაეხარდა: რაკი სამშობლოში ვიცხოვრებ, კირს აღვილად გავუძღებო. ოქროსა და ვერცხლის ფული და განძეული დიდ ყუთებში ჩააწყობინა, თან წამოიყვანა ქუთია კოხმავეა და რჩეული ქორ-მეძებრები. მსახურთ დაუბარა,—შემოგი თვლით და მაშინ წამოდით, დანარჩენი ქორ-მეძებრებიც მაშინ წამოიყვანეთო. ბოლოს, სასახლეში შევიდნენ როსტომ მარშანი, ყახახთა პოლკოვნიკი და რამდენიმე ოფიცერი, გამოიყვანეს მთავარი და მიაცილეს ნავამდე, სადაც გენერალი შატილოვი უცდიდა. ორივენი გემზე ავიდნენ. ნაპირზე აუარებელი ხალხი იდგა საყურებლად გამოსული. ყველას ეგონა, გემი ფოთისაკენ წავაო. მთავარი ნაღვლიანის თვალებით გადმოსცქეროდა სასახლეს, აბუჟას, მთლად აფხაზეთსა... გული აუჩუყდა, თვალეზე ცრემლი მოერიდა თვალი აარიდა იქაურობის მზერას. მხოლოდ გონების თვალთ უკეპროდა თავის აწყყლს და მომავალს, იმის გამოცნობას-ლა ცდილობდა, რა მომელის, რას მიზამენ, ან ჩემს ქვეყანას რა დაემართებაო... ერთი აზრი შავებდითი ყორანივით თავს დასჩხაოდა, არ ასვენებდა: ჩემთან ერთად ბოლო მოეღება აფხაზეთის სამთავროს სამუდამოდო... გემი გაგიდას (სოფელია ოჩამჩირის აღმოსავლეთით) გაუსწორდა. დაუპირდაპირდა ანაკლიას, საცაა, ფოთში ჩავალთ,—იძახოდა გუნებაში მთავარი.

უცბათ კაპიტანის კომანდა გაისმა და გემმა ნელ-ნელა პირი იბრუნარჩესეთისაკენ... მთავარს გონი ვერ მოეკრიფნა. თავის თვალებს არ უჯერებდა... ოჩამჩირელთაც დაინახეს უკან მიბრუნებული გემი. ყველანდარწმუნდნენ, რომ მთავარს პირველად და უკანასკნელად ხედავდნენ. უნდოდათ პროტესტის გამოცხადება, მაგრამ საყოველღმერთხეოდ ოჩამჩირეში დეტოვებულმა 4,000 კაცისაგან შემდგარმა ჯარმა, ყველას გულშივე ჩააკვლეინა ეს პროტესტი, გარედან მხოლოდ ცრემლად გამოხატული. გემმა მთავარი ნოვოროსისკში გაიყვანა. ხოლო იქიდან კ. ვორონეჟში წაიყვანეს საცხოვრებლად.

მთავრის წაყვანის მეორე დღეს ოჩამჩირეში ბოქაულად ვინმე კაცმანოდანიშნეს. მისი პირველი განკარგულება ის იყო, რომ აქ დასახლებულ 700 კომლ ლაზებს გამოუცხადა: პასპორტები მოიტანეთ, ან ყველანდგადასახლდით აქედანაო. უმეტესმა ნაწილმა ქონება ნახევარ ფასებში მიჰყიდ-მოჰყიდა და იქაურობას თავი დაანება. ექვსი თვის უკან მთავრისცოვრების საპატრონოდ აღმინისტრაციამ დანიშნა დადიანები დავით გიორგის-ძე (ცოლის ძმა მთავრისა) და ნიკოლოზ ელიზბარის-ძე (სიძე მთავრისა). სამთავრო ბეჭედი მიხეილისა დარჩენოდათ დეკანოზ მიქაბერიძეს და მთავრის მდივანს გიგო ხოჯაშვილს, რომელსაც მთავრის-

წაყვანის შემდეგ ბევრი ყალბი საბუთის ქალაქები უკეთებია და მთავრის სახელით უსაღებია. მთავრის ზოგიერთი მამულის გაყიდვასაც კი აბრალებდნენ.

ონიამირეში რომ კაცმანი დანიშნეს, სოხუმში პოლკოვნიკ კონიარს ჩააბარეს უფროსობა და აფხაზეთის პატრონობა.

სამშობლოს დაშორებულ მთავარს დიდხანს არ უცოცხლია. რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა, სამშობლოში მოასვენეს და შესაფერისი პატივით მოქვის ტაძარში დაასაფლავეს.

აფხაზეთის მთავარი რომ 1864 წელს წაიყვანეს, ორი წლის შემდეგ, 1866 წ. 10 ივლისს, აფხაზეთში რუსული მართვა-გამგეობის შემოღება იქნა გამოცხადებული. სოხუმიდან ლიხინში ჩამოვიდა მაშინდელი სოხუმის სამხედრო ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი კონიარი. უნდა გამოეცხადებინა აფხაზთათვის:—ბატონ-ყმობა უნდა გადავარდეს აფხაზეთში, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში მოხდაო, მიწები სახელმწიფოდ უნდა გადავიდესო. კონიარს სოხუმიდან თან მოჰყავდა მთავრის მცირეწლოვანი უფროსი შვილი, გიორგი,—თუ ვინცობაა, არეულობა მოხდა, ამის პატივისცემით მაინც არაფერს გამიბედავენო, თან ახლდა აგრეთვე 70 ყაბაზ-რუსი. მთავრის სასახლის წინ მინდორი სავსე იყო სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული აფხაზებით. ყველანი თოფ-იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი, მაგრამ საომრად მოსვლა, ამბოხების მოხდენა წინდაწინ არავისა ჰქონია აზრად...

სასახლის აივანზე გადმომდგარმა კონიარმა თარჯიმანის, გიორგი ტყეციშვილის პირით გამოუცხადა თავის მოსვლის აზრი. ხალხმა ვერ გაიგო კარგად მისი ნათქვამი, ვერ გაიგო და გაუკვირდა კიდევცა. ბატონ-ყმობა აქ სიტყვის მასალად არის ხმარებული, ალბათ, უნდათ მიწები ჩამოგვართვანო. კოლიარს ხალხმა პასუხად ის უთხრა, რომ ერთი კვირის ვადა მოგვეციოთ საფიქრებლად, თან ნამესტიკს მოვახსენებთ ჩვენს მდგომარეობას, მანამდე კი გადაწყვეტილს ვერაფერს გეტყვიოთ. კონიარი, როგორც მომსწრენი მოგვითხრობენ, მეტი-მეტი ფიცხი ხასიათისა ყოფილა, ლაპარაკის დროს ნათქვამ სიტყვების სიმძიმეს არ აკვირდებოდაო. მან დაივიწყა, რომ მეტად მძიმე საქმის გადაწყვეტა ჰქონდა მინდობილი; დაივიწყა, რომ ერთხელ გამოცხადებით, ბრძანებით და მუქარით აფხაზებთან ვერას გახდებოდა; დაივიწყა, რომ აფხაზნი, როგორც თავმოყვარე ხალხი, აღუღებელი კილოთი ნათქვამ სიტყვებს ვერ მოითმენდნენ, არავის შეარჩენდნენ. კონიარმა თავისი თავი წარმოიდგინა ისეთ კაცად, რომელსაც ყველანი სიტყვაშეუბრუნებლად, დაუყოვნებლივ უნდა დამორჩილებოდნენ, და გულმოსულად უარპყო ხალხის თხოვნა; კიდევაც შეურაცხყო აფხაზნი უწმაწური სიტყვებით. თარჯიმანმა კონიარის ნათქვამის თარგმნა რომ გაათავა, ერთმა მოსწრებულმა გაუკაცმა თადა მარლანიაო ხალხს შესძახა: ერთმა კაცმა როგორ შეგამინათო, და თოფიც გაისროლა თურმე. ნერვებდაძაბულ ხალხს მეტი წა-

ქეზებაც არ უნდოდა და ტყვია სეტყვასავით წამოვიდა. მოკლულ იქნა ოფიცერი, კონიართან მისული მოხელე ჩერებოვი და 50-მდე ყაზახი. გააღმასებულ აფხაზები აცვიდნენ სასახლეში; კონიარი თვითონ ბუხარში შეიმაღა და მისულებს მთავრის შვილი გიორგი გამოაგება,— იქნებ როგორმე დაამშვიდოს აფხაზნი და სიკვდილს ავცდეთ. მაგრამ ვერც ამან უშველა. აფხაზებმა გიორგი შუაში ჩაიყენეს, რომ იმისთვის ხელი არავის ეხლო. ხოლო სხვები ოთახში შეცვიდნენ, კონიარი ბუხრიდან გამოათრიეს და ასო-ასოდ აჭკაფეს.

ალექსანდრე ეპისკოპოსი მეორე დღეს მთავრის ძმის, ალექსანდრეს მიუღღემ, ზომბორაში ჩამოიყვანა მალულად. ყაზახ-რუსებიც თარჯიმან-მღვდ. მიქელ სახოკიას პირით დააჯერა: მენდეთ, ჩემთან არაფერი გიშავთო, და ისიც ეპისკოპოსთან ერთად იქვე ჩამოიყვანა. ჩასვა ყველანი ნაფში, საიმედოობისათვის თვით მღვდ. მ. სახოკიაც გააყოლა და სოხუმში გაისტუმრა. ამგვარად, უვნებლად გადაარჩინა ყველანი უეჭველ სიკვდილს.

აჯანყებულნი აფხაზნი ლიხინიდან წამოვიდნენ და ჯერ მიესივნენ-გულაუთას. იქაურობა გაძარცვეს, აიკლეს და გადასწვეს. აქედან სოხუმის დასარბევად და იქ მყოფი მეფის ჯარის ამოსაუღებლად გამოსწიეს-ორი ათას კაცზე მეტმა მოიყარა თავი. მაშინდელ სოხუმში ორმოციოდე ხის დუქანი-ღა იყო მეგრულ ვაჭრებისა. ამბავი მოვიდა თუ არა, კონიარი მოჰკლეს და აფხაზნი სოხუმს უპირებენ თავდასხმასაო, მცხოვრებთა და ჯარმა სოხუმის ციხეს შეაფარეს თავი. ეს იყო 28 ივლისს.

სალამოზე კოკისპირული წვიმა წამოვიდა და მდ. გუმისთა საშინლად აადიდა: საომრად წამოსული აფხაზები აღიდებულმა მდინარემ არ გამოუშვა და მთელი ერთი დღე წყალგაღმა დააკავა. ამასობაში ჯარმადრო მოიგო, ჯებირები გააკეთა და დასახვედრად მოემზადა. 29 ივლისს აფხაზებიც მოვიდნენ და ქალაქს ჩრდილოეთიდან, ტრაპეციად წოდებულ გორაკიდან, მიესივნენ, ბოტანიკურ ბაღს ზემოდან. ხეებს ამოფარებულებმა მუსრი გაავლეს მეფის ჯარს და ის იყო, უნდა ქალაქი აეღოთ, მაგრამ ამ დროს ნავთ-სადგურში შემოსულ შხუნებიდან მთელი რვა პოლკი ჯარი გადმოსხეს. ორ-ათასამდე მეომარმა აფხაზებისამ ვერ გაუძლო მოწინააღმდეგეს და 30 ივლისს უკანვე წავიდა.

გემებით მოსულ ჯარს, რომელშიც ერივნენ გურულ-მეგრელთა მილიციონერებიც, თვით მირსკი (მთავარ-მართებლის თანაშემწე) მოჰყვებოდა. სოხუმი განსაცდელს რომ გადაარჩინეს, 15 აგვისტოს მირსკი ლიხინში ავიდა. გადაწყვეტილი იყო, აფხაზები არ დაეზოგნათ, მაგრამ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. დაბრუნებულზე კონიარისა და ორი ოფიცრის გვამი სოხუმში ჩამოსვენეს. ერთი მოკლულ ოფიცერთაგან იყო ჩვენი ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი, რომელიც სოხუმის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს, სადაც დღესაც მარხია.

გუდაუთის უფროსად დაინიშნა თავ. დიმ. ჭავჭავაძე, რომლის ბრძანებით აფხაზებს ყველას იარაღი ჩამოართვეს და სოხუმში ჩამოიტანეს. ჭავჭავაძემ არეულობის 30 მოთავე სახლში მიიპატიჟა, გაუმასპინძლდა და ურჩია, სოხუმში წამომყევით, შეინანიეთ დანაშაული და ვიშუამდგომლებ ყველაფერი გაპატონო. სოხუმში ჩამოსულ მოთავეთ ყაზახები გააყოლეს და ყველანი რუსეთს გადაასახლეს. უმრავლესობა იქ დაიხოცა და ათი წლის შემდეგ ცოტანი-ლა დაბრუნდნენ სამშობლოში, მათ შორის სოფ. აცის მცხოვრები აფხაზი ზიამასირ მუსაიფა ოთირბა. დახვრეტით სოხუმში სამი დახვრეტეს: ყიზილბეგ მარლანია, აშვა ჭიფა და ერთიც უცნობი გლეხი.

ლიხინში მთავრის სასახლეს, მირსკის ბრძანებით, ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს. მისი უზარმაზარი ქვეთკირის შენობიდან კედლები-ლა დარჩა და დღეს თუ არა, ზვალ ისიც დაინგრევა. ამბოხების დროს დახოცილი ყაზახები ერთ, საერთო ძმათა სასაფლაოში დამარხეს და ზევიდან ქვეთკირის ფანჩატური დაადგეს ლიხინის მინდორზე, ყოფილი სასახლის პირდაპირ.

V

შუაგულ აფხაზეთში.—აფხაზური სოფელი.—სწავლა-განათლება.—აფხაზეთის ჩამორჩენილობა.

გუდაუთიდან მოკიდებული დასავლეთით, თითქმის 6-7 ვერსის მანძილზე, ადგილმდებარეობა დაცემულია, ვაკეა, ტყით დაფარული. პირველი სოფელი აფხაზთა—ლიხინია, მთელი ექვსი-შვიდი კილომეტრის მანძილზე გაფანტული იმნაირად, როგორც ამას სხვებან იმერეთში ვხედავთ. სახლი აფხაზისა, უმეტეს შემთხვევაში, წნული ფაცხაა, ისლით ან გვიმრით დახურული, გვიმრითვე გვერდებშებურდული, სითბოსათვის, უიატაკო, უქერო, უსარკმლო... სინათლე ასეთ ფაცხაში ჭუჭრუტანებიდან შედის ან და იმ ორ კარიდან, რომელიც ერთი წინიდანა აქვს და მეორეც—მის პირდაპირ,—უკანიდან.

რაც უნდა ღარიბი იყვეს აფხაზი, ასეთი ფაცხა ორი უნდა ედგას: ერთი სასტუმროდ, მეორე—საჯალაბოდ, და თავის საცხოვრებლად. მთელი ყურადღება აფხაზს სასტუმრო ფაცხისათვის აქვს მიქცეული. მართალია, მორთული არ არის; იქით-აქეთ ტახტები, ხშირად შიშველი; ეს ტახტები დასაჯდომიცაა და დასაწოლიც. სამაგიეროდ, რამდენიმე ხელი ლოგინი მხოლოდ სტუმრისთვის არის შეკერილი. აფხაზისათვის დიდი სირცხვილია, სტუმარს ვერ დაუხედეს, ვერ გაუმასპინძლდეს და ლამე ვერ გაათენებოს...

მთელ აფხაზეთში ერთი კილომეტრის სიგრძე სასოფლო საურმე გზა არ არის... და, მე თქვენა კვითხავთ, შესაძლებელია უგზოო მხარემ რამე ხეირი ნახოს ცხოვრებაში? ხოლო თვითონ აფხაზი ამისთვის არა ზრუ-

ნავს. მართალია, აფხაზი ბუნებით ნიჭიერია, მიხვედრილია, მაგრამ ცარიელი ბუნებრივი ნიჭი რას გახდება, თუ წხარში ცოტაოდენი მინც სწავლა არ უდგას და არ ეხმარება!... და სწორედ ეს სწავლაა აქეთვე ნათლით საძებარი. მე არას მოგახსენებთ ხალხის საერთო განათლების შესახებ, იმ საერთო განათლებისა, რომელიც აქეთვე არ არსებობს; სავალალო უფრო ის გახლავთ, რომ ამ ხალხს ინტელიგენციაც არა ჰყავს, ოთხი-ხუთი განათლებული კაციც არ მოეძებვა, რომ წინამძღვრობას უწყვედეს თავის მოძმეთა, მათი ჭირისა და ლხინის გამომხატველი იყოს.

1893 წელს აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში პირველად დაარსდა რუსული სკოლა აფხაზეთის, ორკლასიანი, ხუთი წლის კურსით. ეს სასწავლებელი, „მთიელთა სკოლად“ წოდებული, სოხუმში დღევანდლამდე არსებობს. მაგრამ აფხაზეთა ცხოვრებას ნირი არ შესცვლია, არაფერი დასტყობია. ხუთი წლის განმავლობაში შეძენილ რუსულ წერა-კითხვას სკოლიდან გამოსული შეგირდი ერთი წლის განმავლობაში თითქმის სრულიად ივიწყებდა. თუ ქალაქში რჩებოდა, მისი იდეალი იყო, სადმე მწერლად შეეყო თავი, ან „საღნიკის“ (ჩაფარის) ეპოლეტი დაეკერებია მხრებზე. ხოლო თუ სახლში ბრუნდებოდა, მოკლე ხნის განმავლობაში იმავე ხელობას იწყებდა, რასაც მეზობელთა შორის ხედავდა.

დღეს ბევრ სოფელშია გახსნილი სამრევლო სკოლა, მაგრამ იმ უკუღმართი მიმართულებებისა გამო, საზოგადოდ ჩვენებურ სკოლებში რომაა გამეფებული, აქაური სკოლები ყველაფერს ემსახურებიან, ყველაფერს ასრულებენ, გარდა მთავარი დანიშნულებისა—ყრმათა გონებრივი და ზნეობრივი გაწვრთნისა. აქაურ მკვიდრთ არც ამ სკოლათა არსებობა ჰმატებს რასმე და აღარც უმისობითაც დააკლდებათ რამე.

უკულტურობის, გონებრივი გაუნათლებლობის შედეგია ნაწილობრივ აფხაზეთა ღარიბული ცხოვრება, ნივთიერი ნაკლებობა. აფხაზი, ნამდვილი შვილი ბუნებისა, ჯერ ისევ იმ ხანაშია, როცა ადამიანი მხოლოდ მოშვიებული კუჭის დაყურებისათვის ზრუნავდა. უფრო შორს გახედვა, გათვალისწინება მომავლისა—ემძიმება, ან ვერ მოუხერხებია და გაურბის კიდევ. სიმინდს თუ იწვეს, იმდენს იწვეს, რომ მის ცოლშვილს მეორე ჭირნახულამდე გაჰყვეს; აფხაზი ფიზიკურ დაღლას ერიდება. ზედმეტი, გასაყლი სიმინდის მოწვევას გაურბის; სირცხვილად მიაჩნია ვაჭრობა, სხვისთვის მუშაობა, საზოგადოდ, ფიზიკურ მუშაობას გაურბის. ბუნებასაც თავისი შვილი ისე არსადა ჰყავს განებივრებული, როგორც აფხაზეთში. კიდევ ამიტომია, რომ აფხაზს ვერსადა ჰხედავთ გარეთ გასულს, სამუშაოს საძებრად. არათუ გარეთ, აფხაზეთს მოშორებით, თავის სოფელსაც არა შორდება. თითქმის შუაგულ აფხაზეთში ერთ-ერთი მრეწველი მაქსიმოვი აწარმოებს ხე-ტყის დამზადებას. ყოველწლივით მასთან 2,000-მდე კაცი მოდის, მასთან ნახავთ: სვანს, რაჭველს, ლეჩხუმელს, გურულს, მეგრულს და აფხაზს კი—არც ერთს. აფხაზი ყოველივე ამას შორიდან უყურებს, სტუმარივით. უბრალო ხელოსნობა რა არის,

იმასაც კი ვერა ნახავთ მათ შორის. რისამე ფიცრულის დადგმა რომ დასჭირდებოდათ, ხუროებს სხვაგანიდან უნდა დაუძახონ.

არც საქონლის მოვლა-მოშენებას მისდევენ. აქა-იქ თითოეულმა კომლ-მა თუ 5-10 თხა გაიჩინა, დიდი საქმეა. ისიც იმიტომ, რომ თხები ზამთარ-ზაფხულ ცის ქვეშ არიან, საკვებს არა სთხოვენ.

ეგ არის, ხეხილისა და ვენახის გაშენება კი უყვარს აფხაზს. აფხაზი, განსაკუთრებით მოხუცი, ეზოდან ისე არ გამოვა, ხელში წალდი არ ეჭიროს. თუ მყნობის დროა, დასამყნელი ტოტიც უჭირავს რომლისაზე ხეხილისა. სადაც პანტას ან მაქალოს ნახავს, უეჭველად უნდა დაამყნოს. ეს ჩვეულება შვილიდან შვილზე გადადის, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საათხაზოში თვით უღაბურ ტყეშიაც კი ნახავთ მშვენიერი ღირ-სების შინაურ ხილს.

VI

მევენახეობა.—კულტი მიცვალებულთა.—მცენარეთა თავანისცემა.—„შაშუ“
ანუ „მჭედლობის ღმერთი“.—ბზით ვაჭრობა.

ხეხილის გარდა განთქმულია აფხაზეთის ვენახები და აფხაზური ღვინო. თავისებური და საამო საყურებელია აქაური ვენახები: გზის ორსავე ნაპირას ჩარიგებულია უსისტემოდ ხურმისა და თხემლის ხეებზე გადახვეული ვაზები! ამ ორი ჯიშის ხეს აქეთკენ სავაზოდ ყველგან უპირატესობა აქვს, რადგან ფოთლები წვრილი აქვთ, მზის სხივები ადვილად ატანს შიგ და ჩქარა ამწიფებს ყურძნის მტევნებს. აქ ზოგიერთი სოფელი მარტო ყურძნის მოსავლითა ცხოვრობს. ასეთებია: აქანდარა, დურუპ-ში, აბგარა, აცი, ლიხინი, ოთჰარა, ბარმიში, კალდახვარა, ბლაბურხვა და სხვ. ეს სოფლები ღვინის ბაღდადებად ითვლება აქეთკენ. საუკეთესო ღვინო დგება ამილახუს ჯიშის ვაზისაგან, რომელიც, როგორც აქ ამბობენ, მთავარს ქართლიდან, ამილახერის მამულიდან მოუტანიანებია. ღვინო ძვირფასი უდგება ამ ვაზს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ნაცარმა სრულიად გააფუჭა და ამჟამად ძლიერ მცირე მოსავალს იძლევა. არის კიდევ სხვა ჯიშის ყურძენი, მაგ., ალბიში, რომლისგანაც ამულახუზე უკეთესი ღვინო დგება, მაგრამ თითქმის მოსპობილია. უფრო გავრცელებული ჯიშის ყურძენებია: კაქიკი (შავი), აპაჰყვაჯა (შავი), ავასარხვა (ოქროს ფერი), აჩიქ, ავიჰვატა. ეს 20—25 წელიწადია, „ადგის“ ყურძენიც შემოვიდა, რუსული ყურძნის სახელით მონათლული. წინათ ღორებისათვის თუ ჩამობერტყავდნენ მას, მაგრამ ახლა თანდათან პატივს ჰპოვენ, რადგან ბაზარი გაეხსნა და მოსავალიც კარგი იცის.

ომიანობამდე აქაური ღვინო აქვე იხარჯებოდა. მაგრამ ნაომეც გარეთაც გაეხსნა ბაზარი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ მხარეში მეგრელებმა იწყეს დენა. აქაური ღვინო გაიცნეს ადღერში, შვაჩეში (სოკი), ნოვოროსიისკში, ფოთს, მათუმს და სხვ. მეგრელი ვაჭრები

დადიან სოფლად და მთელი ვენახის მოსავალსა ყიდულობენ. ყურძენს აქვე სწურავენ. გაწურული ღვინო კასრებით მიაქვთ გუდაუთამდე ურმებით და იქიდან გემით ან ნავებით სხვადასხვა ადგილას.

თვითონ აფხაზი თავის სახარჯოდ ან გასასყიდად ცოტას იყენებს ღვინოს, მაგრამ თუ დაიყენა, მისი გამოზოგვით ხარჯვა ემძიმება; ეძებს ყოველ მარჯვე შემთხვევას, რამე წვეულება გამართოს და ერთბაშად გამოდლოს წლის მოსავალი, რომ მერე მთელი წელიწადი უღვინოდ იჯდეს, უმინდა წყლის ანაბარა.

რაც უფრო შორიდებით გუდაუთს, ადგილმდებარეობა მაღლა იწვევს, მცირდება ვაქე, სამაგიეროდ მატულობს სერები, მთები, კავკასიონის ქედის თანატოლად მიმავალი. მთის ფერდობზე არწივის ბუდესავით აქა-იქ მიკრულა აფხაზთა ფაცხები, მოსჩანს ვაზიანი ხეები, სიმინდის ყანები. მეტად ფერადი და საამო სურათია!... თვალი ერთნაირ სანახაობით არ იღლება. ღვინობისთვის გასულს ბუნებას მწვანე სამოსელი ისევ ისე გაუხუნებელი ჰმოსია,—იმ ზომამდე თბილა.

მგზავრის ყურადღებას იქცევს ეზოებში წამოდგმული თითო, ხან რამდენიმე პატარა ხის ფარდულები. ეს გახლავთ აქაურთა სასაფლაოები. მოუნათლავი აფხაზი თავისს მიცვალებულს შორს არსად ისტუმრებს, არამედ სახლის ახლო, ეზოში, თვალსაჩინო ადგილას ჰმარხავს, რათა შეეძლოს ხშირად დახედოს, ახლოს ჰყავდეს.

ხოლო იგივე მოუნათლავი აფხაზი ეზოში დასაფლავებულის სულის მოსახსენებლად სხვაგან აშენებს ამავე ფორმის ფარდულს, მხოლოდ უფრო დიდს. ასეთ ფარდულს აბაყა ჰქვიათ. ყაფრითაა გადახურული, გვერდებამოშენებული. ოთხივე კუთხე დგამები აქვს ჩამორიგებული ჩამოსაჯდომად ან დასაწოლად. ასეთ აბაყას აშენებს მამა გარდაცვალებული შვილის სულის საოხად ან, პირიქით, შვილი მამისათვის. ამ შენობებს ერთგვარი სასტუმროც შეიძლება ვუწოდოთ, მხოლოდ სასტუმრო უმასპინძლო, უსასყიდლო და მარადჟამ კარ-ღია. ავდარმოსწრებულ მგზავრს შეუძლია შიგ თავი შეეფაროს გამოდარებამდე ან ღამე გაათიოს, ცეცხლი დაანთოს და ნაბადში გახეული იქვე მიწვეს და მიიძინოს. როცა თავს ანებებს ასეთ სასტუმროს, მოვალეობადა თვლის შენდობა შეუთვალოს მიცვალებულის სულს, ვის სახელსაც ეს აბაყა ატარებს. ასეთი აბაყა განსაკუთრებით იქა კეთდება, საცა გზა იყრება, სოფელს მოშორებით. ზოგ ჰირისუფალს ისე სწამს მაღლიანობა აბაყასი, რომ სასმელ-საჭმელიც კი მიაქვს და შიგა ტოვებს, რომ დამწეულმა მგზავრმა შიმშილი დაიწყნაროს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი ხანი არ უნდა იყოს, რაც აფხაზებმა თავიანთი მიცვალებულის დასაფლავება დაიწყეს. მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც ამ სამასი წლის წინათ მოიარა და აღწერა სამეგრელო, გაკვრით შეეხო აფხაზეთსაც და აღნიშნა, რომ აფხაზები მიცვალებულთ ხეზე ჰკიდებდნენო. ალბათ, მანაცხედ სტოვებდნენ ამ მდგო-

მარგობაში ცხედარს, სანამ ყვაე-ყორანნი ხორცს არ დაჰკორტნიდნენ. მერე ცარიელს ძვლებს-ღა მარხავდნენ, როგორც ამას დღესაცა ჰშერებთან პოლინეზიის მცხოვრებნი.

მეტად მრავალფეროვანი და რთული აფხაზთა ჩვეულებანი ტირილ-სა, მიცვალებულის გლოვა-დასაფლავებისა, მეტად ვრცელია ჩვეულებანი წინაპართა სულის თაყვანისცემისა. მაგრამ, სამწუხაროდ, მეტს ვერ გაეჩერდებით ამ საგანზე, რადგან ეს მეტად შორს წაგვიყვანდა დამგზავრის შენიშვნების ჩარჩოში, ცოტა არ იყოს, ძნელი დასატევი იქნებოდა. აქ მხოლოდ მოკლედვე შეეხებით ამ მხარეში ჯერ კიდევ მკვიდრად შენახულ ფიტოლატრიას ანუ მცენარეთა თაყვანისცემას.

მცენარეთა თაყვანისცემა მთელი დარგია პირველყოფილი სარწმუნოებისა. ხე, და საზოგადოდ მცენარე, ადამიანს ესდენ სამსახურს უწევდა, უწევს და გაუწევს. ამიტომ სრულებით ბუნებრივია ამ ადამიანის მხრივ, მცენარე რომ მფარველად, თაყვანისცემის საგნად, ღმერთად გაეხად. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ღმერთი მუდამ კი არ იყო მოლიმარე, კეთილი, მუდამ არ უჩრდილებდა, მუდამ არ აძლევდა ნაყოფს, ხანდახან მრისხანებასაც აჩვენებდა თავის თაყვანისმცემელს. პირველ შემთხვევაში პირველყოფილი ადამიანი ცდილობდა მადლობა გადაეხადა, მეორე შემთხვევაში-კი გული მოეღბო, მისი რისხვა თავიდან აეშორებინა. როგორც მადლობისათვის, ისე გულის მოსალობად საჭირო იყო მსხვერპლი.

ზოგი ხე განსაკუთრებით იპყრობდა ადამიანის ყურადღებას: თავისი სიდიდით, თავისი თვისებით ან იმით, რომ განმარტოვებით იდგა, სადმე ტრიალ მინდორზე. ასეთ ხეს ხშირად შეხვდებოდა კაცი აქეთკენ. აფხაზი მოწიწებით გაივლის ხოლმე ასეთს ხესთან, თან ვალდებულია რამე აჩუქოს, შესწიროს და ასე თუ ისე მორჩილება გამოუცხადოს, მისი სიძლიერე აღიაროს. ვინ იცის, რა და რა ხასიათის, რა და რა ფორმის ძღვენსა და შესაწირავს არა ნახავთ ამ ხეთა ძირში! აფხაზის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს ამ შემთხვევაში. აქ ნახავთ თოხის ნატეხს, თოფის ლულას, საიაზმეს, სპილენძის ქებას, შავ ფულს, ცულის ნატეხს, თუნუქის ბუკიალა ნაქერს. გულუბრყვილო შემომწირველი დარწმუნებულია: ყოველივე ასეთი ძღვენი მადლობით არის წმინდა ხის მიერ მიღებულიო, და როგორც უკვე შეწირული და ხის საკუთრება, გარეშეთაგან ხელუხლებელია, ადამიანს რაც უნდა უჭირდეს, რაც უნდა დიდი ჰქონდეს დასაკუთრების სურვილი, მაინც ხელს არ ახლებს, რო გაუვლის შეწირულ ნივთთა ამ საწყობს, გაჩერდება, დაიჩოქებს და აზოვის: „უღუფსა ჰათ (შენი წყალობა მომეც)“.

ასეთი ხე, გარდა იმისა რომ თავის თაყვანისმცემელთ მფარველობს და იცავს, მოსამართლის როლსაც ასრულებს. მომივიარნი და დამნაშავენი მასთან მიდიან, დამნაშავენი ფიცსა დებენ—ესა და ეს დანაშაული არ ჩავვიდენიაო. არც გამოძიება, არც მოწმე, არც აპელაცია და-

არც კასაცია... ხე გაასამართლებს ყველას, მტყუანს ავად გახდის, თავის კარის წინ შესაწირავიანად მოიყვანს და მომჩივანისათვის ბოდვის მოახდევინებს, დანაკარგს აზღვევინებს. ასეთ ხესთან უბრალო მომაკვდავს პირდაპირ როდი შეუძლია ლაპარაკი. ამისათვის განსაკუთრებული თანამდებობის პირნი არიან არჩეულნი: ესენია რომ მომჩივანთა თხოვნას ხეს მოახსენებენ, და სხვადასხვა...

მეორე საინტერესო სალოცავი აფხაზთა—შაშუ, ანუ მჭედლების ღმერთია. შაშუს სახელობაზე ტყეებში აკეთებენ პატარა ქურებს ქვებისავან; კირის მაგივრად უბრალო აყალო მიწას ხმარობენ. ზედ აწყვიან ჩაქუჩი და გაზი—სიმბოლო მჭედლობისა. ახალწლის წინადლით მლოცავნი ამ ქურასთან მიდიან, საკლავსა ჰკლავენ, საუკეთესო ნაწილს ცხოველისას—გულ-ღვიძლს, ხის შამფურზე წამოგებულს, შაშუს სწირავენ და დანარჩენს თვითონ შეეჭკევიან. მსგავსად წმინდა ხეთა, სამჭედურიც მოსამართლის როლს ასრულებს: მომჩივანნი მის წინ ფიცულობენ და თავიანთ სიმართლეს საჯაროდ აცხადებენ. აფხაზი, რაც უნდა ძალა ადგეს; ტყუილი თქმას სამჭედლოს წინაშე ვერ გაჰბედავს. ერთი ასეთი სამჭედლო სოფ. კალდახვარაში მაჩვენეს, ეკლესიის გვერდით.

გულაუთიდან მდინარე ბზიფამდე, ანუ კაპოეტის წყლამდე, სურათი ათასფერად იცვლება, ერთი სურათი მეორეზე უკეთესი, უფრო მომხიბლველი! მაგრამ სურათი ბუნებისა, მდ. ბზიფის ხიდიდან რომ ეშლება მგზავრს, ყველას ჩრდილავს. აქედან ხედავთ მთელი ბზიფუს ხეობას, თვით იმ თოვლიან მთებს, ამ მდინარეს რომ ასაზრდოებენ. ეს ის ხეობა გახლავთ, რომელიც უხსოვარ დროიდან განთქმული იყო უძვირფასესი ჯიშით—ბზით. დასავლეთი ევროპის ბაზარზე სულ უკანასკნელმა ზე-ტყის მწარმოებელმა თუ ვაჭარმა იცის აფხაზეთის ბზის buis d'Abazie-ს სახელი. აქაური ბზა ყვითელია, როგორც კვერცხის გული, მეტად მკვრივია და გაშალაშინების შემდეგ სპილოს ძვლის მსგავსია. ამ ჯიშის ხეს აღმოსავლეთ საქართველოში იშვიათად ვხედავთ, აფხაზეთსა და სამურზაყანოში კი მთელი ტყეებია ოცისა და ორმოცი ათასი დლიურის სივრცისა.

ბზის ვაჭრობა აფხაზეთში დიდი ხნიდანვეა დაწყებული. ჯერ ისევ გენუელები (1120—1476 წ.) მოდიოდნენ აქ ბზის გასაზიდად. იმ ადგილის (ბიჭინტასა და ბომბორას შუა), საიდანაც ეს საქონელი გემებით გაჰქონდათ, Capo de buis (ბზის ნავსადგური) დაარქვეს. იმ დროს ბზის ტყე თვით ზღვის ნაპირამდე წვდებოდა თურმე, მაგრამ აფხაზებს კარგი ღირსების ბზა უფრო შორი ადგილებიდან მოჰქონდათ. იაფადაც ჰყიდნენ. ერთ ფუთ მარლში ერთ ფუთ ბზას აძლევდნენ. ღირსების გარდა აქაური ბზა შესანიშნავია თავის სიდიდითა და ხნოვანობით. აქაურ ტყეებში კაცი დღესაც შეხვდება 600—700 წლის ბზის ხეს, რომელსაც ზოგჯერ 10—15 გოჯი სისქე აქვს.

ამ უკანასკნელ დროს ბზის ტყეები ძალზე გაიჩეხა აქეთკენ და, რა თქმა უნდა, ამიტომ თვით საქონელიც გაძვირდა. ამ ათისა და თხუთმეტოწლის წინათ ფუთი ბზა პირველი ხარისხისა ოთხ აბაზად და მანეთად რომ იყიდებოდა, ახლა იგივე ფუთი ორ მანეთად და მეტადაც ფასობს ალაგობრივ: მაინც ყოველწლობით აფხაზეთ-სამურზაყანოდან, თუ მეტი არა, 40.000—50.000 ფუთი ბზა გააქვთ სახლვარგარეთ.

მდ.ბზიფიდან მე-4 კილომეტრზე სოფელი კალდახვარაა. გზის პირას ერთი მხრით ეკლესია დგას ხისა, მეორე მხრით რამდენიმე დუქანი, მეგრელთა და აფხაზთა მოსახლეები. იმის ცოტა მოშორებით, სოფლის ბოლოს, დიდი მთავრის, ალექსანდრე მიხეილის-ძის, მამულია, თ. გიორგოერისთავისაგან ნაყიდი. შემდეგ—მე-19 კილომეტრიდან იწყება მამულაპრინცი ოლდენბურგელისა და აქედანვე იწყება თვით ვაგრაძე, რომელიც ეს ორი-სამი წელიწადია, რაც გაშენდა და რომლის შესახებ ამდენს ლაპარაკობენ ყველგან.

VII

გაგრა: მისი წარსული, აწმყო და მომავალი

ამჟამად აფხაზეთში და საზოგადოდ შავიზღვის პირის აღმოსავლეთ ნაწილში ყველას პირზე აკერია ვაგრა. ეს ერთი საუკეთესო კუთხეთაგანია შავი ზღვის პირას. აფხაზეთის ქება სოხუმიდან დაიწყო და, როცა სოხუში ასპარეზზე გამოვიდა, არც ეგონათ, თუ მისი მსგავსი კუთხე მეორეც იქნებოდა ამ მხარეში. მაგრამ ვაგრამ ლამის არის, თავი გაუსწოროს შავი ზღვის პირას მდებარე ადგილებს. სულ რაღაც სამი წლის წინათ ეს კუთხე ერთი მივარდნილი და უდაბური ადგილთაგანი იყო აფხაზეთისა. მისი მიგდებულობისა და უპატრონობის მიზეზი, სხვათაშორის, ისიც გახლდათ, რომ ერთი მხრით ჰშორავდა სოქას, მეორე მხრივ—გულაუთას. ერთ მიზეზად კიდევ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ რიგიანი ნავსადგური არა აქვს, რომ გემებს უშიშრად შეეძლოთ გაჩერება ლელვის დროს. ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ ვისთვისმე რომ გეთქვათ: დღევანდელ ვაგრაში დღიური მიწა შიგ დაბასა და დაბის გარეთ ას თუმნად გაიყიდებო, სასაცილოდ არ ეყოფოდათ თქვენი ნათქვამი!...

ერთი დრო ჰქონდა ვაგრას, დრო ომიანობისა. მარჯვე მდებარეობის წყალობით საომარ ასპარეზად იყო არჩეული. კავკასიის ქედის თანტოლად მომავალი მთა აფხაზეთისა ვაგრასთან შიგ ზღვაში იჭრება და ჰქმნის ბუნებრივ საზღვარს აფხაზეთსა და საჩერქეზოს შორის, საზღვარს მიუდგომელს და ძნელად გადასალახველს. საკმარისია ამ ალაგას ათი, ოცი კაცი ჩასაფრდეს, რომ მოსეულს, რიცხვმრავალ მტერს კუდით ქვა ასროლინოს. ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობა რომ ჰქონდა ვაგრას,

სწორედ იმიტომაც ააშენა რუსეთის მხედრობამ აქ ციხე და შიგ გარნიზონები ჩააყენა სამოციან წლებში, როცა ომი ჰქონდათ ჩერქეზებთან. ერთხელ ჩერქეზნი შეკრებილან და გადაუწყვეტიათ ღამით უჩინრად დასხმოდნენ თავს რუსთა გარნიზონს. გულისნადებს თურმე მშვენივრადაც აისრულებდნენ და მტერი ცოცხალი ერთიც ვერ გადაურჩებოდათ, რომ შინაურობაში მოღალატე არ გაჩენოდათ, რომელმაც რუსეთის ჯარს ჩერქეზთა განზრახვა შეატყობინა. ასე რომ, როცა ჩერქეზნი მიადგნენ ციხეს, რუსები მზად იყვნენ და სრულებით ადვილად უპოუ-აქციეს მტერი.

როგორცა ვთქვით, გაგრამ ამ სამი წლის წინათ წამოჰყო თავი, მაგრამ თავი წამოჰყო არა როგორც ციხე-სიმაგრემ, არამედ როგორც კლიმატურმა სადგურმა, თვალის სასეირო და დროის გასატარებელმა ადგილმა, რომელმაც უთუოდ დიდი მეტოქეობა უნდა გაუწიოს დასავლეთ ევროპის კურორტებს. რუსეთში დიდი ხანია აზრი ტრიალებს: შავი ზღვის პირის მშვენიერი ადგილები, წთბილი ჰავით შემკულები, გამოიყენონ და რუსეთის ფული, ევროპის კურორტებში რომ იხარჯება, რუსეთის იმპერიაშივე დარჩესო. ამ აზრის განხორციელება თავს იღო პრინციპა პ. ოლდენბურგმა, რომელმაც მთელი კომისია შეადგინა და მიანდო შავი ზღვის პირად კლიმატურ სადგურისათვის შესაფერისი ადგილის არჩევა. ბევრი კვლევისა და ძიების შემდეგ არჩევანი გაგრას ხვდა.

მართლაც და ამაზე უკეთეს ადგილს ვერც აირჩევდნენ აქეთკენ როგორც ჰავისა, ისე ბუნების სიტურფის მხრივ. ჩრდილოეთით გაგრას ჰვა-რავს ტყით შემოსილი მთა, რომელიც ბუნებრივ კედლად და დაბრკოლე-ბად უდგება კავკასიის ქედიდან წამოსულ ცივს ქარს. ხოლო დასავლე-თიდან ზღვა სითბოს უგზავნის აქაურობას.

გაგრის ის ნაწილი, სადაც ახლა სასტუმრო და სხვა შენობებია, ამ სამი წლის წინათ წარმოადგენდა ჭაობს და კაცის სიმალლეზე აყრილ გვირით იყო დაფარული. დიდი ბძროლა იყო საჭირო ამ მცენარის აღმოსაფხვრელად და ჭაობების ამოსაშრობად. გარდა ამისა, თვით შენო-ბების დასადგამი ადგილი რა კი ცოტა იყო, კლდისათვისაც უნდა წაერ-თმიათ ერთი ნაწილი. შრომამ ყველაფერს სძლია. ჭაობები ამოაშრეს. გვირნარის ალგას გაჩნდა მშვენიერი ბალი ტროპიკულ მცენარეთა. ძნე-ლად დასაჯერებელია, რომ ამ ადგილს სულ ორი წლის განმავლობაში ასე ეცვალოს ფერი, მაგრამ ასე კი გახლავთ. აქაურ ბუნებას, თუ აღა-მიანმაც ხელი შეუწყო, სასწაული შესძლებია.

მეტად კარგი სამყოფელია გაგრაში ზამთრობით. თბილა, ზამთრის თუსხს კაცი არა გრძნობს, მყუდროება იდილიურია. ტყეს სამოსელი თითქმის დეკემბრამდე ჰმოსავს, მაგრამ ზაფხულობით ცხელია. მზისაგან დღისით გახურებული კლდე ღამით ჰაერს აგუბებს და ადამიანს სუნთქ-

ვას უძნელებს. რომ ზაფხულშიაც მიიზიდოს სტუმრები აქაურობამ, იმ განზრახვით მთაში 36 კილომეტრის მანძილზე გაყვანილია გზატკეცილი, რომელსაც კაცი საზაფხულო იალაღებზე აჰყავს, სადაც საზაფხულო აგარაკების გამართვასაც აპირებენ.

გაგრა ორია: ძველი და ახალი. ძველი, ანუ კეთილმოწყობილი ნაწილი გაგრისა, მდებარეობს იქ, სადაც სასტუმრო და სასახლეა პრინცისა, ახალი გაგრა ძველზე ხუთი კილომეტრით დაშორებულია აღმოსავლეთისაკენ და წარმოადგენს ასი მხარის მანძილზე გზის იქით-აქეთ გამწკრივებულ ხის ღუქნებს. ვაკრების უმრავლესობას ქართველები შეადგენენ; მათ შორის შეხედვებით სომხებსა და ბერძნებსაც. ამ ღუქნებს შორის ერთი ხის სასტუმრო არის ღუქნებისავე არქიტექტურისა. აქვე აქვთ ბინა ჩვენებურ მეეტლეებს, რომელთაც ქვემო და ზემო გაგრას შუა ხალხი დაჰყავთ.

რამდენად ჭოპწია და სუფთაა ძველი გაგრა, იმდენად ბინძური და ალუფხულია ახალი გაგრა. ერთი საინტერესო რამ მიაშვეს აქაურმა ვაკრებმა. ყველას საღუქნე ადგილი იჯარით აქვთ აღებული აქაური მემამულისაგან, ვინმე ნახიმოვისაგან. ყოველი მღუქნე წელიწადში ათ თუმანს იხდის, ე. ი. იმდენს, რამდენითაც ამ ხუთი წლის წინათ 20 დღიური მიწის ყიდვა შეიძლებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ, მამულის პატრონს ნახიმოვს, ეს ათი თუმანი ეცოტავება და უნდა აუწიოს საიჯარო გადასახადს. იქვე მახლობლად ერთ ჩვენებურს აქვს მამული და მოლაპარაკება აქვს გამართული ვაკრებთან: ჩემს მამულზე გადმოდით, უფრო ხელსაყრელ პირობებში დაგაყენებთო. გვგონია საცაა, თავს მიანებებენ ახლანდელ მემამულეს და კარგსაც იზამენ. ხსენებულ ნახიმოვს ამ ორი წლის წინათ აქ შეუძენია 2.000 დღიური ათ თუმნად. ახლა კი ოთხკუთხ მხარს თუმნიდან ორ თუმნამდე აფასებს, ანუ დღიურს 12—14 ათას მანეთად.

წარმოუდგენელია, რა ფასები დაედო აქაურ მამულებს ამ ორი-სამი წლის განმავლობაში!.. თვით პრინცმა ოლდენბურგმა კერძო მემამულეებისაგან იყიდა 800 დღიური მიწა, დღიური ზოგი 250 და ზოგიც 500 მანეთად. და ასეთ ფასში გაიყიდა ის მიწა, რომლის დღიური ოთხი წლის წინათ თუმნადაც არ იყიდებოდა. ამ ადგილებში აქა-იქ ჩვენებურებს ჯერ კიდევ შერჩათ მამული. მაგ., შარვაშიძეს 800 დღიური აქვს, კანკიას 150 დღიური, შენგელაიას 40 დღ. და სხვ. ბევრმა კი მოასწრო მამულის გაყიდვა და ათასობით აიღო.

გაგრა,—ეს ერთბაშად შექმნილი კურორტი და, თუ გნებავთ, ქალაქი, მიეტად საინტერესო და საყურადღებოა. მას უთუოდ დიდი მომავალიცა აქვს...

უნდა გამოვტყდეთ, ცოტა არ იყოს, დაღონებული დავშორდით გაგრას, გაგრას გაცხოველებულს, გაგრას, რომელმაც ახალი, კულტურული ფერი უნდა დასდოს ჩვენი სამშობლოს ერთ კუთხეს; განსაკუთრებით მაშინ იმატა ნღველმა, როცა, გაგრას დაშორებით, თვალწინ წარმოგვიდგამთელი კონტრასტი გამოღვიძებული გაგრისა და აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს შორის ამართული, კონტრასტი სიბეჩავისა, უმეცრების, უპატრონობისა და უმწეობის აღმნიშვნელი...

რედაქტორისაგან 3—6

გ შ რ ი ბ 7—107

I. ნატანებიდან. წინასიტყვაობის მაგიერი.—მარშრუტი: ნატანებ-ოზურგეთის გზა.—თანამგზავრის გაცნობა.—„წყველიმც იყავ, ბათონის ქალაქოს!“ —პური თუ ღონი?—დვებზუელი მეომრის თავგადასავალი 7—12

II. გურიანთა. გურიანთას ციება.—გურია ფირალეების დროს.—ფირალეობის მაგიერი —ქურდობა.—ძველი ქალაქი პეტრა ანუ „უჩინარი“.—სად არის პეტრას ქალაქი?—ოზურგეთს ჩასვლა.—ლიტერატურა გურიის შესახებ.—ძველი და ახალი გურია: საზღვრები, რიცხვი მცხოვრებთა.—საიდან დაერქვა აწინდელს ოზურგეთის მახრას „გურია“?—ძველი მწერლები.—ბატონიშვილი ვახუშტი.—სულხან-საბა ორბელიანი.—ღუბუა დე-მონპერე.—მარი ბროსე.—ქობულეთური ლეგენდა.—გურია—გული საქართველოსი 13—19

III. ოზურგეთი. ოზურგეთი.—მდებარეობა ოზურგეთისა.—პავა ოზურგეთისა.—სახლები.— ვაჭრობა და ვაჭრები.—ჩაცმულობა იქაურის ვაჭრისა.—„პარასკეობა“.—მეგრელი მწყემსები გურიაში.—ქალაქის ბაღი, მისი წარსული და აწმყო.—ოზურგეთი, როგორც სატახტო ქალაქი გურიელებისა.—სასახლის გალავანი.—უკანასკნელი მთავარი გურიისა და მისი ოჯახის თავგადასავალი.—გურიელთა ჩამომავალნი ოზურგეთში.—მოგზაური ღუბუა დე-მონპერე ოზურგეთში.—ბოტანიკოსი სვიჩი.—აწინდელი სახე მთავრის სასახლისა.—ეკლესიები.—სასტუმრო.—მცხოვრებთა რიცხვი.—ვინაობა მცხოვრებთა.—ქართველი კათოლიკენი ოზურგეთში.—„დრუჟინა“ 19—27

IV. ოზურგეთი (გაგრძელება). ოზურგეთის სულეირი ცხოვრება.—სწავლა-განათლება.— ქართული სტამბა.— წიგნის მალაზია.—ნეეტლეთა ამხანაგობა ანუ „კამპანია“.— გურიის სევატრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი“ და მისი მოღვაწეობა.—„შემნახველ-გამსესხებელი“ ამხანაგობა.— ქალაქის უფასო წიგნსაცავი.— ეურნალ-გაზეთები.— ქალაქის თვითმართველობა.—ოზურგეთის მოქალაქის ოჯახი 28—36

V. შემოქმედი. ოზურგეთიდან შემოქმედამდე.—გარეგნობა აქაური სოფლისა.—გზა.— მებილიე გოგო-ბიჭები.— შემოქმედლენი.— ღუმბაძიანთ გვარი.—მიტროპოლიტი იაკობ ღუმბაძე.—მდ. ბჟუჯი.— უხიდობა.— ეშუაქების ბუნავი და მამა გიორგი ღუმბაძე.—მდებარეობა შემოქმედის მონასტრისა.—ძველი სიძლიდრე მონასტრისა.—მისი გაქურდვა.— შემოქმედის „გულანი“.—წინაპართა შრომისმოყვარეობა 36—42

VI გომი. გომისაკენ.—გომელი გუშაგი: ცხენის თავი.—გომი, როგორც საგარაკო ადგილი.—გომის ტყე.—წყლის ჩამური.—ფემის ჩამური.—ლომის შემუშაება.—ლომის თესვა გურიაში.—სანთლის არაყი.—მეფუტკრეობა.—არყის ხდა.—გომის „ჩაქუხა“.—სტუმრად ყოფნა გლეხისას.—„ბაპა-ჯვარი“.—დადეგი.—მლაღვი.—ოზურგეთში დაბრუნება 42—51

VII. ეწერა. სოფ. ეწერი და მისი მცხოვრებნი.—უნუგეშო მომავალი.—სახელმწიფო ბანკი.—თავად-ახნაურთა მოსალოდნელი უმამულობა.—რის პატრონია დღეს გურული გლეხი?—რის პატრონი იქნება?—სად უნდა გადასახლდეს გურული?—ვინაობა ეწერლებისა.—მათი ძალა

და უნარი.—მათი სოფლის საზოგადო სახე.—ასიმილაცია.—მაგალი-
თი წადევრლებისა.—რაოდენობა რუსებისა გურიაში 51—56

VIII. ლიხაური. გზა.—მდებარეობა.—ეკლესია და მისინი სიძველენი.—ჯვარი.—
დღეობა ანუ გამოფენა ლამაზებისა.—გურული ბანოვანი და მისი
ჩაცმულობა.—გურული თავადიშვილი და გლეხი.—ძველმეტყინი და
აწინდელი დღეობა.—ლიხაურის ციხე.—როგორ აშენდა ლიხაურის
ციხე?—მამია გურიელის მოღარე და მისი შვილი.—ლიხაურის
ტყე.—ჩვენი მასპინძელი 57—64

IX. ნავომარა. ნავომარის ტყე.—გურიელის სამოურაო.—„ნავომრობა“.—ჩვენი
ხალხის ხელსაქმე.—სუფსის ქალა.—მამულების გამოჭრა 65—68

X. აკეთი. მამუკა თავდგირიძე და თავდგირიძეთა გადმოსვლა გურიაში.—მამუკა
თავდგირიძე და აჭოაის ფაშა აბდულტეგი ხიმშიაშვილი.—მამუკას
მემკვიდრეობა.—მაცხოვრის ეკლესია.—საჯვარე თხამიანთ უბანში
და ორიოდ სიტყვა ძველ ხელნაწერთა შეკრების გამო.—„ნაოფლა-
რი“.—სოფლის მასწავლებელნი.—ვასილ რუსი.—აკეთელი მათუსა-
ლა.—სტუმართმოყვარეობა.—აკეთელი იდალგო.—„მშვიდობით, ტა-
რიელის სამშობლო სოფელი“ 68—87

XI. ზახვი. აკეთიდან ბახვამდე.—ქარ-მიდამო გურული აზნაურისა.—მეღვინეო-
ბა.—გურიელის მეღვინეთუხუცესი.—იონა მეფნარავია და გურული
გლეხი.—გაბრიელ ეპისკოპოსი. ბახვის წინაშე.—შემნახველ-გამსეს-
ხებელი სალარო.—ვაკე-ჯვარი და ვაკეჯვარელები.—სწავლა-განა-
თლება 87—94

XII. ბიხარო. ბახმაროს გზა.—კოკია და „ცხრა-ფუთა“.—მშენება „ტიალი-
სა“.—ბახმარო: მისი წასული, მისი აწმყო.—ერისთავების დავა.—
მოპარენი.—ცხოვრების პირობები.—ბახმაროს საძოვრები.—შეგარელი
მეჯვარენი.—უხა კვარაცხელია და მისი ფილოსოფია, მისი კარავი.—
განდრეკილზე ასვლა.—ზნის ამოსვლა.—ავდარი და გასვლა 94—107

ა ბ ა რ ა 108—249

I. ისტორიული მიმოხილვა. ისტორიული მიმოხილვა აჭარისა.—პოლიტიკური
მდგომარეობა.—ოსმალის გაბატონება 103—110

II. აჭარის მთაზე. სახლრეები.—შემოსასვლელი ზეგები.—ბახმაროდან გასვლა.—
ბახვისწყლის სათავე—სამასის წლის დამორბეული ძეგები.—აჭარელ
ქალების შეხედრისა.—ზოტიყელის ეილა.—საზოგადო სახე—ეილის
სისტემრო.—გამასპინძლება.—„კითხვა სირცხვილი არ არის“.—
იჯავი.—ქართული ენა.—ჩემი მასპინძელი ირემაჭე.—სახლი ანუ კო-
ნალი აჭაურთა. მერძევეობა.—აჭარელი შინაურობაში.—გამომშვი-
დობება 110—126

III. ზოტიყელიდან ღორჯომამდე. სანეტარო ბუნება.—მთის ჩივილი.—გურულ
ქალ-ვაყების მოტაცება.—„ჩრდილაზე“.—მთის გზა.—„სისხლის დღე“
(ყანლი-დერე).—აჭარელი და ფირალობა.—ღორჯომის ტყე.—სათი-
ვეები აჭაურთა.—ყიშლალები.—სოფელში შესვლა 126—133

IV. ღორჯომა. აჭაური სოფელი.—ჯამე.—სახლი აჭარელისა.—აჭაური ბუნება
და ზამთარი.—ქრისტეანობის ნაშთი და გრაფ უვაროვის მეფლის
საარქეოლოგიო მოგზაურობა აჭარაში.—არქეოლოგიური ნივთების
გახილვა.—ჩვენი დაუდევრობა.—აჭაური ქალი.— გორგაძის ქალი
იეთერა და მისი თავგადასავალი.—ხულომდე 133—142

V ხოფ. ხულო და აჭარის წარსული. ხულო.—წარსული ცხოვრება აჭარისა.—
ხიმშიაშვილთა გვარი.—აბდულ-ბეგი ხიმშიაშვილი.— სელიმ-ფაშა
ხიმშიაშვილი.—ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი და გენერალი ბაოლი ოს-
ტრენაკენი.—ახმედ-ბეგის შვილები.—ქერ-ხუსეინ-ბეგი და ოსმალეთის
ცდა აჭარის ფაქტიურად დამოუჩილებისა.—ოსმალური ხარაჯის
შემოღება.—ბათუმის ოლქის დაპყრობა რუსეთის მიერ.—აჭარლების
გადასახლება ოსმალეთში.—მათი ყოფა ახალ ქვეყანაში.—ანბონება
აჭარაში.—გენერალ-მაიორის კოშაროვის „განცხადება“.—როგორ
მოგვება ქათველობა ახალ შექმნილ ძმებს.—სადილი ტიელისში
1878 წ. გიორგობისთვის ში.—წერილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილისა 142—158

VI. აწინდელი აპარა. საადმინისტრაციო დანაწილება და მცხოვრებნი: ადმინისტრაცია, სამართალი, ზნეობა, მცხოვრებთა რიცხვი.—ეკონომიური მდგომარეობა: ზენა-თესვა, საქონლის მოვლა-მოშენება, მებაღეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, შინაზელსაქმობა, სამუშაოდ გასვლა, გადასახადი 158—181

VII. აწალა-განათლება. სწავლა-განათლება და ქართული-ენა.—ჩენი ბრუნვა.—შინაური ცხოვრება.—ოჯახი და ცოლ-ქმრობა; სამოსელი, ხალხის ჯანმრთელობა და მკურნალობა 182—193

VIII. ყადიოლო. სოფელი და სოფელსანი.—ხულოს საფერშლო პუნქტი.—ციხისყელი და ისტორიული ნაშთი.—ციომილი ლოდი და მისი ლეგენდა 194—197

IX. თამარ-მეფე აპარაში. თამარ-მეფის ხსენება.—ხულოდან გამოსვლა და ჩემი ჩიხეროზე იუნუსა ბერიძე.—ნეტარება მენდილას!—ვარცხლა.—ლორთა ვაჯე.—შეიდის საფლავი ანუ წმინდანინი.—ფურტიოს ანუ დედოფლის ხიდი.—დედოფლის (თამარის) ქვა.—დედოფლის (თამარის) გზა.—დედოფლის წყარო.—სიმონაური.—ნახუცარი.—ფურტიოს.—ჯადი ეფენდი ბერიძე.—გამასპინძლება.—საბრუნავის სერი და იქ გადახდილი ბროლია.—გამაჰმადიანებული ქანადაძე 197—203

X. მარატის ხეობა. ფურტიოდან-ალადაურამდე.—ემინ-ეფენდი და აქაური მასპინძლობა.—მაწყვალთის ტყე.—იმერხევის სამოვრებზე.—ლეგენდა ბულა-გიოლის ტბისა.—სოფელი კუტის-ჯარი.—შავი ტბა.—შავშელბი.—ქურთები.—სარჩაიარი.—ბეგები.—მათი საადგილმამულო საქმე და ჩივილი.—ჯვარისწერა ქურთებისა.—ხირხათის ცისმდე.—თხილგანის ტყე.—ხირხათის ციხე.—სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი.—ლეგენდა თამარ-მეფეზე 208—225

XI. ხხალთა ხეობა. სოფ. ქოჩახი და ბეგების სახაფხული სასახლე.—შერიფ-ბეგის უმცროსი ქალი ვერა-ბატი და მისი მასწავლებელი მოლა.—ნასოფლოარი.—რას ნიშნავს სახელი „ქოჩახი“?—სოფელი ხიხაძირი.—ოლქობის (აჯანყების) ამბავი და „მოსქოფები“.—აქაური ხეგები.—მეწყერი.—სოფ. ვენებნი.—დააკდებული სული.—ვერების ეკლესიის წარწერა.—გზა ხხალთისკენ.—ფაჩის კლდე.—ხხალთის ტამარი და ნისი ატამარე.—ლეგენდები ხხალთის ტამარის შესახებ.—ხიმშიაშვილთა სასახლე სოფ. ხხალთაში.—ხულოსკენ.—აქაური ურბები 226—239

XII. ხულოდან ბათუმამდე. ხულოდან ქედამდე.—ქედა, შენობანი, ჯუშობა.—აქაურნი მცხოვრებნი.—თუფალ-ბეგ შერვაშიძე.—ქართული ენა.—ჩემი თანამგზავრები.—„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლის ნაშთგარდალი ბუგი აბაშიძე.—სოფ. ერგე.—კაპანდოდი და კარჩხალის შთა.—აფხაზთა სოფელი.—ძველი და ახალი ბათომი 240—249

ზ ა მ უ რ ზ ა შ ა ნ ი 250—295

I. თანამირე—კარი სამურზაყანოსი. თანამირე—კარი სამურზაყანოსი.—მისი წარსული და აწმყო.—სიმინდით ვაჭრობა.—თანამირის ბზა.—თანამირის სკოლა.—ქურდობა და მთავრობის ღონისძიება მის მოსასპობად 250—256

II. ოქუმბაკენ. სოხუმ-ხუფიდის გზატკეცილი.—თავ. დ. გოლიცინის ვავლა ამ გზაზე.—სამურზაყანოელთა და ცალკე ილორელთა საჩივარი.—ოქუმბაკენ.—ქირანაზულს ცუდი პირი უჩანს.—თანამირული ტიპი.—ოქუმის ქართული წიგნსაცავი. 256—263

III. სამურზაყანო. ვარგენობა სამურზაყანოს სოფლისა.—კარ-მიდამო სამურზაყანოელისა.—შინაური საქონელი აქაურთა.—უსკოლო სოფელი.—ეკლესიისა.—თავისებური სასაფლაოები.—გზები 263—268

IV. სამურზაყანოელნი. სამურზაყანოელი გლეხი შინა.—ჩემი მასპინძელი გუძა.—აქაური გლეხის მოსახლეობა.—ფაცხის მორთულობა: გარდემოობი, ბუფეტე, სახლის ავეჯი.—საზრდო გუძასი.—როდის არის გუძა. ბენდირი?—სულიერი მოთხოვნილება გუძასი.—მისი დარდი, მისი ეკონომიური იდეალი.—როდის შეეცვლება სახე ვუძას პირ-

ველეოფილ ბრძოლას ცხოვრებასთან?—ერთი ღამე გუძასთან.—ძვე-
ლი ჩვეულება.—გამოთხოვება 266—274

V. მთისკენ.—ხელუხლებელი სამეფო წიფლისა.—მისი გადარჩენის მიხეტი.—
ისივე გაიკათება. უღმერთო ბილიკი ანარის მთისა.—გზის დამამშ-
ვენებელი: წყაროები, მთის ნაკადულები; ნისლი.—მეორე გახაფხუ-
ლი.—წყაიის ბუჩქები.—დასასრული მთის გზისა 275—277

VI. მთაზე. მშვენიერია მთა!—შარდენის თიფუ.—ლაღნი შვილნი ლალის
ბუნებისა. ინახად დასხდომა.—რითი იკვებებიან ლაღნი შვილნი
ლალის ბუნებისა?—ბარად დაწყობილი გეგმა მთაში არ გამოგადგე-
ბათ.—ღამე მთაში.—დილა.—გუძას რეკომენდაცია 277—284

VII. მწყემსების ცხოვრება. აუფნი.—იალაღები.—საქონლის ძოვების წესი.—
ძველი და ახალი დრო მთაზე.—მერძეობა: ნაწი, დვითტა, ყველი,
ქიფური, მაწონი.—ერბო-კარაქის კეთება არ იციან!—მატყლი, რო-
გორც წყარო აქაური მკვიდრის შემოსავლისა.—საკლავი საქონელი 284—288

VIII. მწყემსების ხარწმუნობა. სარწმუნოება სამურხაყანოელი მწყემსი
სა.—მიქამ-გარიო.—მთის წყალი.—ჩაქუხა.—წყალში ბანაობა აკრძა-
ლულია—მიქამ-გარიოს ტობა—მთა და მისი თაყვანისცემა.—ნაშ-
თი ასტროლატრიისა.—ჯუჯა ხალხი და ადამიანის გაჩენა 288—295

ა ზ ხ ა ზ ე თ ი 296—319

I. ხერთო სურათი. საგარაკო მიწების შესაძენად გამართული შეჯიბრი.—
სოფ. „მაიაკი“ და მეგრელთა თავგადასავალი.—გიორგი დიმიტრის
ძის შარვაშიძის მამული.—მეგრელი მოიჯარადრე.—ათვალისწინე-
ბული აფხაზეთი და 1876—77 წ. წ. რუს-ოსმალის ომი.—თუთუნის
თესვის შემოღება აფხაზეთში 296—299

II. ახალშენები. ფსირცნის მონასტერი.—ცხოვრების მამიებელი რუსები.—
რუსთა ახალშენები და მალარია 300—302

III. გულაუთი და ლიხნი. გულაუთა ძველად.—მეგრელი ეპარები.—ლიხნი.—
რეზიდენცია აფხაზეთის მთავრისა.—ლიხნის ტაძარი.—შერვაშიძეთა
გვარი 302—306

IV. აფხაზეთის მთავარი. უკანასკნელი მთავარი აფხაზეთისა.—მისი წაყვანა
რუსეთში.—პოლკოვნიკი კოლიარი და აფხაზთა აჯანყება 1864
წელს.—გულაუთის უფროსი დიმიტრი ჭაქვაძე და აჯანყებულთა
მეთაურების დასჯა 306—311

V. შუაგულ აფხაზეთში. შუაგულ აფხაზეთში.—აფხაზური სოფელი.—სწავლა-
განათლება.—აფხაზეთის ჩამორჩენილობა 311—314

VI. ცხოვრება აფხაზთა.—მევენაზეობა.—კულტი მიცვლებულია.—მცენარეთა
თაყვანისცემა.—„შაშუ“ ანუ „მჭედლობის ღმერთი“.—ბზით ვაჭ-
რობა 315—317

VII. გაგრა. მისი წარსული, აწმყო და მომავალი 317—319

№ 15 886.

Т. САХОКИА
ПУТЕШЕСТВИЯ

(На грузинском языке).

Издатель Грузинской ССР
19 — Тбилиси — 56